საქართველოს რადიოს
ისტორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

ელდარ იბერი, თეა მჟავანაძე,
ნანა ტალახაძე

საქართველოს რადიოს ისტორია

პროფ. ე. იბერის საერთო რედაქციით

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

„საქართველოს რადიოს ისტორია“ მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ესაა პირველი მონოგრაფიული ნაშრომი საქართველოს რადიოს ისტორიაზე და მოიცავს მთელ მის საქმიანობას დაარსებიდან 2004 წლის ბოლომდე, როცა იგი სახელმწიფო სტრუქტურიდან საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაიქმნა. ნაშრომი ემყარება დიდძალ საარქივო მასალასა და რადიოს ფონდში დაცულ აუდიოჩანაწერებს, რადიოპრესის ცნობებს, ამ სფეროზე არსებულ პუბლიკაციებს, რადიოს ვეტერანთა მოგონებებს, თვითონ ავტორთა ერთი ნაწილის რადიოში მუშაობის მრავალწლიან გამოცდილებას.

ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლეს სასწავლებლებში „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ კურსის შესწავლისას, ასევე შეიძლება გამოადგეს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებსა და რადიომაუწყებლობის პრაქტიკოს მუშაკებს. მასში, ალბათ, სათანადო მასალა მოიძებნება მათთვისაც, ვინც დაინტერესებულია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების, კულტურისა და ხელოვნების უახლესი ისტორიის საკითხებით.

რეცენზენტები: პროფ. ნიკო ლეონიძე
პროფ. თამაზ ჯოლოგუა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009
ISBN 978-9941-13-117-2

შესავალი

ოთხმოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში დაიწყო რეგულარული რადიომაუწყებლობა. დამთავრდა ერთი დიდი მონაკვეთი საქართველოს რადიოს ისტორიისა, როცა იგი სახელმწიფო მაუწყებლობას წარმოადგენდა (სულ რამდენიმე წელია, რაც მან საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსი შეიძინა). ეს მონაკვეთი ორ განსხვავებულ ეპოქას მოიცავს: პირველი – საბჭოთა და მეორე – დამოუკიდებელი საქართველოსი და, რა თქმა უნდა, უთუოდ იმსახურებს შესწავლას, მით უმეტეს, რომ დღემდე არსებული ყველა გამოკვლევა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში მხოლოდ პრესას შეეხებოდა (ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები თუ პოპულარული ბროშურები პრინციპულად არაფერს ცვლის). ასეც არ იყოს, საქართველოს სახელმწიფო რადიო ერთადერთი რადიო იყო ქვეყანაში თითქმის 70 წლის მანძილზე და თუ, როგორც იტყვიან, რადიო „ისტორიის წამის ისარია“, ამ ისრის მოძრაობა, განსაკუთრებით ისტორიის მნიშვნელოვან წუთებში, არ შეიძლება ინტერესს არ იწვევდეს.

ყოველ ისტორიულ გამოკვლევას თავისი კონკრეტული მიზნები და ამოცანები აქვს, მაგრამ, ცხადია, მასზე ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერებანიც ახდენს გავლენას. ეს პირველ რიგში შეეხება ეროვნული ისტორიის ნებისმიერი საკითხის შესწავლას. ილია ჭავჭავაძის სიტყვები რომ გავიხსენოთ, „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“.[1]

---

[1] ილია ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV, თბილისი, 1987, გვ. 153.

ნებისმიერი საზოგადოებრივი მოვლენის ახსნა და გააზრება შეუძლებელია იმ ისტორიული წანამძღვრების გარეშე, რამაც მისი დღევანდელი სახე განაპირობა. საქართველოს რადიო ევროპის განვითარებული ქვეყნების რადიომაუწყებლობათა თანადროულად ჩამოყალიბდა და მრავალი ათეული წლის მანძილზე არა მარტო სახელმწიფო იდეოლოგიას ემსახურებოდა, არამედ ამავე დროს მხარში ედგა ქართულ კულტურასა და ხელოვნებას, იღვწოდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის, ეროვნული ცნობიერებისა და საყოველთაო საკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისათვის. იმისათვის, რომ სრულად გავერკვეთ საქართველოს რადიომაუწყებლობის დღევანდელ პროცესებსა და მომავლის პერსპექტივაში, გავიგოთ, „რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ“, პირველ რიგში უნდა გავიაზროთ, რა ფუნდამენტზე იქმნებოდა იგი და რა გამოცდილება დაედო საფუძვლად, რა უნდა შევინარჩუნოთ და რა დავტოვოთ ისტორიის კუთვნილებად.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, კოსმოპოლიტიზმის მოძალების ხანაში, როცა რადიოს (და ტელევიზიის) ზოგიერთი „მოღვაწე“ ირონიულად აღიქვამს სამამულო მაუწყებლობის ტრადიციებს და ცდილობს ეთერიდან გამოდევნოს პუბლიცისტიკა, მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება – შეცვალოს ისინი იაფფასიანი გასართობი პროგრამებით. ეს ვითომდა შეესაბამება მედიის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, რომელიც მხოლოდ ინფორმაციითა და გართობით შემოისაზღვრება და გამორიცხავს განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის ფუნქციებს, საბავშვო აუდიტორიის ინტერესებს, სოციალურ პასუხისმგებლობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქვეყნის დემოკრატიზაციის დღევანდელ პირობებში შესაძლებელი გახდა წარსული მოვლენების ადეკვატური შეფასება, იდეოლოგიურ დოგმებსა და კონფორმისტულ კონცეფციებზე უარის თქმა, ისტორიული სურათის ობიექტურად წარმოჩენა. ნაშრომთან მიმართებით ეს ობიექტურობა ემყარება დიდძალი საარქივო მასალისა და რადიოს ფონდში დაცული აუდიოჩანაწერების შესწავლას, რადიოპრესის ცნობებს, ამ სფეროზე არსებულ პუბლიკაციებს, რადიოს ვეტერანთა მოგონებებს, თვითონ ავტორების ერთი ნაწილის რადიოში მუშაობის მრავალწლიან გამოცდილებას.

რადიომაუწყებლობა, გარდა იმისა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია,

ამავე დროს თვითონ წარმოადგენს სისტემას – ტექნიკურს, ორგანიზაციულს, პროგრამულს. ეს კი ნიშნავს, რომ მის ფუნქციონირებაზე ზეგავლენას ახდენს ყოველი სამაუწყებლო რგოლი, ყოველი ცალკეული ელემენტი. აქედან გამომდინარე, მისი შესწავლა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ორ ასპექტს, სისტემურობის ორ დონეს: ჯერ ერთი, განიხილავდეს რადიომაუწყებლობის სახეობებს, პროგრამებსა და ჟანრებს არა როგორც ავტონომიურ, თავის თავში ჩაკეტილ სტრუქტურებს, არამედ როგორც ერთი მთლიანი წარმონაქმნის ელემენტებს; და, მეორე, იზოლირებულად, სხვა საშუალებებიდან მოწყვეტილად კი არ გაიაზრებდეს რადიომაუწყებლობას, არამედ ინფორმაციისა და ხელოვნების მონათესავე არხებთან ურთიერთკავშირში (მით უმეტეს, რომ რადიომაუწყებლობა არა მხოლოდ ჟურნალისტიკის, არამედ მთელი დღევანდელი კულტურის აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია, მრავალ სისტემურ კავშირშია ჩართული). ასეთია თანამედროვე „კონტექსტური აზროვნების“, ჰუმანიტარული ცოდნისადმი სისტემური მიდგომის მოთხოვნა, რაც ტრადიციული ჟურნალისტიკამცოდნეობისთვის ნაკლებად იყო დამახასიათებელი.

ნაშრომში გამოყენებული კვლევის ისტორიზმის, სისტემურობისა და კომპლექსურობის პრინციპები განაპირობებს იმას, რომ თითოეული საკითხი განიხილება მისი განვითარების პროცესში, სხვა საკითხებსა და პრობლემებთან ურთიერთკავშირში, სხვადასხვა მეთოდით, როგორც ისტორიულ-თეორიული, ისე პრაქტიკული თვალთახედვით. ასევე, გულუბრყვილობა იქნებოდა საქართველოს რადიოს ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის ანალიზი არსებული პოლიტიკური კონტექსტისა და სოციალურ-ფილოსოფიური კონცეფციებისაგან მოწყვეტით, კონკრეტული ისტორიული პირობების გაუთვალისწინებლად. ამან განაპირობა კვლევის პროცესში საბჭოთა ეპოქის ზოგიერთი ნაშრომის გამოყენებაც მიუხედავად მათი ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური ხარვეზებისა. ამანვე განსაზღვრა შესასწავლი პროცესის პერიოდიზაციაც, რაც ისტორიული გამოკვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს და საბოლოოდ განაპირობებს ნაშრომის კომპოზიციურ სტრუქტურას. აქ, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია რადიოჟურნალისტიკაზე სოციალური კონტექსტის გავლენა, მასზე საზოგადოების პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემის ზემოქმედება, მაგრამ ამავე დროს თავისი ადგილი ეთმობა იმ პროცესების მიმდინარეობას, რო-

მელიც თვითონ რადიომაუწყებლობის შინაგანი ბუნებით არის განპირობებული. 80 წლის მანძილზე, რაც საქართველოს რადიომაუწყებლობა ჟურნალისტიკის სისტემის შემადგენელ ნაწილად იქცა, მან გაიარა ის სამივე ძირითადი ეტაპი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებისათვის: 1. წარმოშობა და ჩამოყალიბება; 2. ტექნიკური და შემოქმედებითი სიმწიფე; 3. შემდგომი სპეციალიზაცია, საკუთარი სპეციფიკის მაქსიმალური გამომჟღავნება ინფორმაციის სხვა საშუალებებთან კონკურენციის პირობებში. ამასთან, თუ პირველი ორი ეტაპი რადიომაუწყებლობის განვითარების შინაგანი კანონზომიერებებით იყო განპირობებული და ბეჭდური ჟურნალისტიკის ფორმების ჯერ ათვისების, ხოლო შემდეგ გადალახვის გზით მიმდინარეობდა, მესამე ეტაპი ძირითადად განაპირობა ტელევიზიის წარმოშობამ და საეთერო ჟურნალისტიკაში რადიომაუწყებლობის მონოპოლიზმის დასრულებამ. ყოველივე ეს ქვეყნის ისტორიის ძირითად ეტაპებთან ერთად საფუძვლად დაედო საქართველოს რადიოს ისტორიის პერიოდიზაციას.

ყოველ ცალკეულ პერიოდში, კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად იცვლებოდა საქართველოს რადიოს ამოცანები, მაგრამ არ იცვლებოდა მისი არსი. რადიოს საზოგადოებრივი დანიშნულება განისაზღვრებოდა იმ სოციალური ფუნქციებით, იმ როლითა და ადგილით, რომელიც მას განეკუთვნებოდა არსებული საზოგადოების პოლიტიკურ სტრუქტურაში. საბჭოთა პერიოდში იგი, როგორც მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალება, თავის მხრივ, უფრო დიდი სისტემის – კომუნისტური იდეოლოგიის, კომუნისტური აღზრდის სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, ემყარებოდა მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებსა და მეთოდებს და ხელისუფლების ინსტრუმენტს წარმოადგენდა საზოგადოების მართვის სფეროში.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რადიო აქტიურად ასრულებდა საყოველთაო აგიტატორისა და პროპაგანდისტის როლს – მსმენელს აწვდიდა ოპერატიულ ინფორმაციას, განუმარტავდა მოცემულ ეტაპზე პარტიის პოლიტიკას, პროპაგანდას უწევდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მომხდარ ეკონომიკურ და კულტურულ გარდაქმნებს. რადიოპროგრამებში ოპერატიულად და პარტიული პოზიციით აისახებოდა ყველა ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოვლენა, რომელიც საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში ხდებოდა ექვსი ათეული წლის

მანძილზე. ამასთან, რადიომაუწყებლობის როლი მხოლოდ ინფორ-მაციითა და პროპაგანდით როდი ამოიწურებოდა. სხვადასხვა ჟურ-ნალისტური ფორმების გამოყენებით იგი კონტროლს უწევდა პარ-ტიული და სახელმწიფო დირექტივების ცხოვრებაში გატარებას, სა-წარმოო-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და, ამდენად, სახელმწიფოებრივი მართვის ერთ-ერთ ორგანოსაც წარმოადგენდა.

დამოუკიდებელ საქართველოში სახელმწიფო რადიომ უდიდესი ცვლილებები განიცადა. მან გაიარა ყველა ის ეტაპი, რაც დამახასია-თებელია ახალფეხადგმული დემოკრატიის ქვეყნების მასობრივი ინ-ფორმაციის საშუალებებისათვის. მართალია, იგი კვლავ განიცდიდა ხელისუფლებისაგან გარკვეულ ზეწოლას, მაგრამ ამავე დროს, აშ-კარად გამოიკვეთა დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობა-ნიც: ინფორმაციის მონოპოლიზაცია შეიცვალა ინფორმაციის თავი-სუფლებით, კლასობრივი, პარტიული კატეგორიებით აზროვნება იდეოლოგიური პლურალიზმით, მასებზე მანიპულატორული ზემოქ-მედება საზოგადოებაში მასობრივ-ინფორმაციული ურთიერთობის უზრუნველყოფით და ა.შ.

ამასთან, საქართველოს რადიომ შეინარჩუნა და განავითარა თავისი დიდი კულტურტრეგერული ტრადიციები. იგი ხომ ათეულო-ბით წლების მანძილზე ემსახურებოდა საზოგადოების სულიერ გან-ვითარებას, ცოდნისა და კულტურის გავრცელებას, აკუმულაციასა და მომავალი თაობებისათვის გადაცემას (თუმცა პროპაგანდისტუ-ლი ფუნქციისაგან არც ეს საქმიანობა იყო მთლიანად თავისუფალი). თავისი ტექნიკური სპეციფიკის გამო მას ხელოვნების რეპროდუქ-ციის მეტი საშუალებანიც გააჩნდა ბეჭდურ ჟურნალისტიკასთან შე-დარებით (განსაკუთრებით მუსიკალური ხელოვნებისა და თეატრის სფეროში) და უდიდეს როლს ასრულებდა მხატვრული კულტურის დემოკრატიზაციის პროცესში – ყოველდღიურად აზიარებდა ხე-ლოვნებას უამრავ ადამიანს.

საქართველოს რადიოს ყოველ ოჯახში მიჰქონდა გამართული ქართული სიტყვა, აცნობდა ქართული პროზისა და პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებს, ასმენინებდა ქართულ მუსიკასა და ქართულ სპექტაკლებს უნიჭიერეს ხელოვანთა შესრულებით (თუმცა არც მსოფლიო ლიტერატურასა და მსოფლიო ხელოვნებას ივიწყებდა), ბავშვებს უამბობდა ზღაპრებს, უფროსებს ასწავლიდა ხალხური სიმღერების შესრულებას. არ დარჩენილა სულიერი ცხოვრების არც

ერთი სფერო, თავისი ადგილი რომ არ ჰქონოდა მიჩენილი საქართველოს რადიოს პროგრამაში; არ ყოფილა არც ერთი ქართველი მწერალი, პოეტი, მუსიკოსი, მსახიობი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, რომელიც საქართველოს რადიოს ყურადღების მიღმა დარჩენილიყო. ასევე, ბევრი თვალსაჩინო ქართველი მსახიობი, მუსიკოსი, მწერალი თუ მეცნიერების წარმომადგენელი მუშაობდა რადიოს სხვადასხვა რედაქციაში და განსაზღვრავდა მის პროფესიულ დონეს.

რადიოს იშვიათი ჩანაწერების უმდიდრესი ფონდი XX საუკუნის საქართველოს ხმოვან მატიანეს წარმოადგენს. მან მომავალ თაობებს შემოუნახა აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანისა და მრავალი სხვა სახელოვანი მამულიშვილის ხმები, ქართული ხალხური სიმღერების დიდი ოსტატების – ძმები ერქომაიშვილების, ნიკო ხურციას, სანდრო კავსაძის, ავქსენტი მეგრელიძის, ძუკუ პაჭკორიას, დედას ლევანას, დები იშხნელებისა და სხვათა უნიკალური ჩანაწერები. ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, პოლიტიკისა თუ საზოგადოებრივი აზროვნების ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ამ მასალას – მის გარეშე გაცილებით ღარიბად წარმოჩნდებოდა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურა.

ასე რომ, საქართველოს რადიოში მიმდინარე ისტორიული პროცესები ერთმნიშვნელოვნად ვერ შეფასდება. ორი მიმართულება – პოლიტიკური და კულტურული – განსაზღვრავდა მის საქმიანობას მთელი მისი არსებობის მანძილზე და თუმცა ორივე ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, თითოეულმა თავისი კვალი დატოვა ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, დღევანდელი გადასახედიდან ბევრი რამ სულ სხვანაირად ჩანს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გლობალური ტელევიზიის, ინტერნეტისა და მულტიმედიის განვითარების ეპოქაში რადიო ვეღარასოდეს დაიკავებს იმ ადგილს, რომელიც მას თუნდაც ორიოდე ათწლეულის წინ ეკავა. მაგრამ საზოგადოების მასობრივ-ინფორმაციული ურთიერთობის განვითარების ისტორიაში მან თავისი როლი შეასრულა და ეს როლი ყოველგვარი მიჩქმალვისა და გაზვიადების გარეშე უნდა იქნეს გააზრებული.

თავი I

რადიომაუწყებლობის აღმოცენება და ჩამოყალიბება საქართველოში (1925-1940)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში მიმდინარე ტექნიკურმა პროგრესმა ხელი შეუწყო ელექტროკავშირის წარმოშობასა და განვითარებას.

ამ პროცესს ჩვენს ქვეყანაში მეტად თავისებური და საინტერესო ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1859 წელს, ცნობილი ქართველი პოეტისა და იმხანად კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლის გრიგოლ ორბელიანის ინიციატივით, ხელი მოეწერა ელექტრომაგნიტური ტელეგრაფის დებულებას, რომელიც ითვალისწინებდა სატელეგრაფო კავშირის დამყარებას თბილისსა და ფოთს შორის. ამ მიზნით საქართველოში მოიწვიეს ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და გამომგონებლის, ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ფირმა „სიმენსისა და ჰალსკეს“ ხელმძღვანელის ვერლენ ფონ სიმენსის უმცროსი ძმა ინჟინერი ვალტერ სიმენსი, ვისი ხელმძღვანელობითაც 1860 წელს დამონტაჟდა საქართველოში პირველი სადენებიანი სატელეგრაფო ხაზი – ფოთი-თბილისი. კონტრაქტის თანახმად ვალტერ სიმენსმა გააგრძელა მუშაობა (იგი თბილისში დასახლდა ოჯახთან ერთად და აქვე გარდაიცვალა 1868 წელს) და 1863 წლის 12 იანვარს პირველი დეპეშები გაცვალეს თბილისმა და სტავროპოლმა. 1864 წელს დამთავრდა სატელეგრაფო ხაზის თბილისი-ერევანი-ჯულფას მშენებლობა, 1865 წელს – თბილისი-თეირანის, 1868 წელს კი – თბილისი-ბაქოსი. 1870 წელს ამუშავდა მსოფლიოში ყველაზე გრძელი 11000 კილომეტრი სიგრძის სატელეგრაფო ხაზი ინგლისი-ინდოეთი, რომლის ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეც გადიოდა (სოჭი-სოხუმი-ზუგდიდი-შორაპანი-თბილისი-დილიჟანი-ერევანი-ნახჭევანი-თავრიზის მიმართულებით). მას ინდოევროპის ტელეგრაფს უწოდებდნენ და მისი მოქმედების პერიოდში (1931 წლამდე) „თბილისი საერთაშორისო სატრანზიტო დე-

პეშების ერთ-ერთი აღიარებული ცენტრი იყო ევროპასა და აზიაში“.[1]

უფრო გვიან პერიოდს განეკუთვნება საქართველოში რადიოტელეგრაფის (უმავთულო ტელეგრაფის) განვითარება. როგორც ცნობილია, რადიოტელეგრაფი იმით განსხვავდება თანამედროვე რადიომაუწყებლობისაგან, რომ არ ძალუძს ადამიანის ხმის ან მუსიკის გადაცემა და პირობითი ნიშნების სისტემას, ე.წ. მორზეს ანბანს იყენებს. მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს, ჯერ 1894 წელს იტალიაში, შემდეგ კი 1896 წელს ინგლისში იტალიელმა ინჟინერმა გულელმო მარკონიმ პირველად შეძლო ამგვარი რადიოსატელეგრაფო კავშირის განხორციელება. მანვე 1897 წელს მიიღო პატენტი „უმავთულო კავშირისათვის ელექტრომაგნიტური ტალღების გამოყენებაზე“ და ჩამოაყალიბა მძლავრი აქციონერული საზოგადოება შექმნილი აპარატის მასობრივი წარმოებისათვის.

საქართველოს რადიომაუწყებლობის ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცელია ქართველი გამომგონებლის გრიგოლ (ნიკოლოზ) ნახუცრიშვილის მოღვაწეობაც. იგი 1900-1905 წლებში სწავლობდა ქალაქ დერპტის (იგივე ქ. იურიევის, ახლანდელი ტარტუს) უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე და დიდი მონდომებით მუშაობდა ახალი ტიპის ხელსაწყოს – ინფორმაციის უმავთულო გადამცემი აპარატის მოდელის შექმნაზე. გრიგოლ ნახუცრიშვილმა 1902-1904 წლებში გ. მარკონისა და ალ. პოპოვისაგან დამოუკიდებლად შექმნა მათ მიერ დამზადებული ხელსაწყოებისაგან განსხვავებული ელექტროკავშირის ასოთმბეჭდავი აპარატის ორიგინალური კონსტრუქცია, რომელიც რადიოკავშირის ავტომატური მიღება-გადაცემის საშუალებას იძლეოდა.[2] სამწუხაროდ, რადიოს ქართველ გამომგონებელზე მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. მის შესახებ ქართველმა საზოგადოებრიობამ მხოლოდ 1906 წლის 5 მარტის „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში გამოქვეყნებული წერილიდან შეიტყო, რომელიც მისი გარდაცვალების წლისთავს მიეძღვნა. მასში, გარდა გრ. ნახუცრიშვილის ბიოგრაფიისა, დაბეჭდილია გამომგონებლის ფოტოპორტრეტი და მისი ხელსაწყოს ფოტო წარწერით: „გრიგოლ ნახუცრიშვილის მიერ გამოგონებული მანქანა

---

[1] ა. კარბელაშვილი, ტრანსკონტინენტური ტელეგრაფის ხაზი საქართველოში, თბ., 2000, გვ. 17.

[2] დ. ჩუბინაშვილის სახელობის თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, § 2218, გვ. 14.

უმავთულო ტელეგრაფიისა“. იქვე, სქოლიოში კი მითითებულია: „ეს აპარატი იგზავნება რედაქციაში. აღწერილობა მისი, სამწუხაროდ, დაიკარგა, რადგან სხვა ბარგთან ერთად არ მიუღიათ მშობლებს“. გრ. ნახუცრიშვილმა ხელმოკლეობის გამო ვერ შეძლო ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება და აღიარების მოპოვება, მძიმედ დაავადებული 29 წლის ასაკში, 1905 წელს, გარდაიცვალა სამშობლოსგან შორს, ქ. დერპტში და იქვეა დაკრძალული, ხოლო მის მიერ გამოგონებული ხელსაწყოს რამდენიმე დეტალი – კლავიატურისა და ცილინდრის ნაწილი ამჟამად ინახება დ. ჩუბინაშვილის სახელობის თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

საქართველოში რადიომეურნეობის ჩამოყალიბებისათვის პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა 1910 წელს, როდესაც ნავთლუღში აიგო რადიოსადგური, რომელიც ეკუთვნოდა სამხედრო უწყებას და უმეტესად საველე რადიოსადგურებთან კავშირგაბმულობისათვის იყენებდნენ. ეს იყო რუსების მიერ დამონტაჟებული ერთადერთი მცირე სიმძლავრის ნაპერწკლოვანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური თბილისში, რომლის საშუალებითაც რადიოკავშირი ხორციელდებოდა ბაქოსთან, ყარსთან, სარატოვსა და ასტრახანთან. 1917 წელს ბათუმშიც აშენდა 10-კილოვატიანი სანაპირო რადიოსადგური, ერთი წლის შემდეგ კი ფოთში – 5-კილოვატიანი. საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო სამოქალაქო რადიოსადგურები.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ინფორმაციისადმი გაზრდილმა მოთხოვნილებამ კიდევ უფრო დააჩქარა რადიოტექნიკის განვითარება. რუსეთში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის 21 ივლისს სახკომსაბჭოს მიერ გამოცემულმა დეკრეტმა „რუსეთის რესპუბლიკის რადიოტექნიკური საქმიანობის ცენტრალიზაციის შესახებ“[1] ფაქტობრივად სახელმწიფო მონოპოლია გამოაცხადა რუსეთში არსებულ რადიოგადამცემ სადგურებზე და სხვა რადიოტექნიკურ საშუალებებზე. ამ დროს საქართველო უკვე აღარ შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში და დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ახალ რესპუბლიკას თავად უნდა ეზრუნა საერთაშორისო საკომუნიკაციო სივრცეში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად. მაგრამ 1918-1921 წლებში საქართველოში არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გამო ეს პროცესი შეფერხდა. დამონტაჟდა მხოლოდ მცირე სიმძლავრის ორიოდე

[1] Глейзер М. С. Радио и телевидение В СССР (1917-1963), М., 1965, ст. 10.

რადიოსადგური და ისიც უცხო სახელმწიფოების მიერ, რომელთა მისიები საქართველოში შემოსვლისთანავე თავიანთ ქვეყნებთან დამაკავშირებელ საკომუნიკაციო საშუალებების შექმნაზეც ზრუნავდნენ. 1918 წელს გერმანელების სამხედრო უწყებამ თბილისში, ნავთლუღში, ძველი რადიოსადგურის შენობაში გამართა 15-კილოვატიანი მიმღებ-გადამცემი ნაპერწკლოვანი რადიოსადგური და აღმართა ფოლადის ანძა ქოლგური ტიპის ანტენით. 1919 წელს კი, თბილისში, საბურთალოზე, იტალიის სამხედრო მისიამ მოაწყო 5-კილოვატიანი რკალური რადიოსადგური რომთან დასაკავშირებლად.[1]

საქართველოში ინგლისის ჯარის შემოსვლისთანავე, გერმანელებმაც და იტალიელებმაც დატოვეს საქართველოს ტერიტორია და მათ მიერ დადგმული რადიოაპარატურაც აქვე დარჩა. ცხადია, რომ 1918-1921 წლებში ჩვენს ქვეყანაში უცხოელების მიერ მოწყობილი რადიოსადგურები ისევ მათ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა და სრულებითაც არ ითვალისწინებდა ახალშექმნილი რესპუბლიკის ინტერესებს. ამდენად, ეროვნული რადიომაუწყებლობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ისევ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევითა და ფინანსებით უნდა განხორციელებულიყო. ამ საკითხს დიდ პროპაგანდას უწევდა იმდროინდელი ბეჭდური სიტყვაც, რომელიც რადიოს არნახულ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე ამახვილებდა ყურადღებას და იგი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლის ერთ-ერთ ბერკეტად მიაჩნდა. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას გვაწვდის 1919 წელს ქ. ქუთაისში გამოცემული ალ. ნაზარიშვილის წიგნი „უმავთულო ტელეგრაფი ანუ რადიოტელეფონი“, რომელსაც თან ახლავს „ელექტრობის ტერმინების რუსულ-გერმანულ-ქართული მოკლე ლექსიკონი“. ეს ნაშრომი გაჟღენთილია ღრმა პატრიოტიზმით, რომელიც ევროპულ სივრცეში საქართველოს მყარად დამკვიდრების სურვილითაა დამუხტული და ამის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ეროვნული რადიომაუწყებლობის შექმნას აცხადებს.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საშუალებების მდგომარეობის შესახებ საყურადღებო მასალაა თავმოყრილი იმდროინდელ პერიოდიკაშიც. მაგალითად, ჟურნალ „საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობის“ 1920 წლის 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი – „საქართველოში მძლავრი რადი-

[1] საქ. უიცსა, ფ. 600, აღ. 1. საქ., 1791, გვ. 21.

ოტელეგრაფის სადგურის დადგმა“ გვამცნობს, რომ 1919-1920 წლებში რადიოტექნიკის საკითხებს საქართველოს ტექნიკური კომიტეტის ელექტროტექნიკური განყოფილება ხელმძღვანელობდა და იგი არსებული რადიოსადგურების გაუმჯობესების მიზნით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. 1920 წელს ფრანგული ფირმის Société Générale de Radio-télégraphe ხელმძღვანელობამ საქართველოს მხარეს შესთავაზა ახალი ტიპის მძლავრი რადიოსადგურის დამონტაჟება, რომლის მსგავსი დანადგარი 1917 წლიდან წარმატებით მუშაობდა საფრანგეთში და უზრუნველყოფდა დღისით კავშირს არანაკლებ 6000 კილომეტრის რადიუსით, ღამით კი – ორჯერ მეტი რადიუსით. როგორც წერილის ანონიმური ავტორი ირწმუნება, „ახალი რადიოსადგური საშუალებას მოგვცემს უშუალოდ დღის კავშირი დავამყაროთ ევროპულ და აზიურ ცენტრებთან (პარიზი, ბერლინი, ლონდონი, სტოკჰოლმი და ა.შ.), რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს დიპლომატიურ და კომერციულ ურთიერთობებს“. მაგრამ, როგორც წერილიდან ირკვევა, საქართველოს ტექნიკური კომიტეტის ელექტროტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელობა ფრთხილად მოეკიდა საფრანგეთის მხარის წინადადებას და გადაწყვიტა, ხელშეკრულება მხოლოდ მას შემდეგ გაფორმებულიყო, როდესაც ფირმის მიერ შემოთავაზებული რადიოსადგურის ავკარგიანობაზე „საზღვარგარეთიდან გამოიგზავნებოდა შესაბამისი ცნობა და სხვადასხვა ფირმებს შორის მოეწყობოდა შეჯიბრი“. თავშეკავების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, სავარაუდოდ, რადიოსადგურის საკმაოდ სოლიდური ღირებულებაც – 12 მილიონი მანეთი ბონებში – უნდა ყოფილიყო, რომლის გადახდა ახალშექმნილ რესპუბლიკას გაუჭირდებოდა და პროექტიც აღარ განხორციელებულა. სამაგიეროდ, იოლი გამოსავალი მოიძებნა, ჩატარდა თბილისში უკვე არსებული რადიოსადგურის რეკონსტრუქცია და მის ბაზაზე დიდუბეში 1920 წლის ზაფხულში ამუშავდა მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური რუსეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან პრესის მასალების მისაღებად, რომელიც შემდგომ შიო ჩიტაძის ქუჩაზე გადაიტანეს. სწორედ ამ რადიოსადგურთან არის დაკავშირებული რადიომაუწყებლობის წარმოშობა საქართველოში.

1921 წლის დასაწყისში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, აქ არსებული რადიოტექნიკური საშუალებები მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა. საქართველო ახალშექმნილი სოციალისტური სახელმწიფოს კომუ-

ნიკაციურ სივრცეში აღმოჩნდა. ამ დროიდან დაწყებული, 80-იანი წლების ბოლომდე, საქართველოში რადიომაუწყებლობის ჩამოყალიბება და განვითარება უშუალოდაა განპირობებული საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესებით. ეს სავსებით ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 70 წლის მანძილზე საქართველო პოლიტიკურად, იდეოლოგიურად და ეკონომიკურად საბჭოთა სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყო და მას სულიერი თუ მატერიალური ცხოვრების არც ერთ სფეროში არ გააჩნდა დამოუკიდებელი განვითარების საშუალება (სწორედ ამიტომ საქართველოს რადიოს ისტორიის უდიდეს ნაწილს განვიხილავთ აღნიშნულ პროცესებთან კავშირში, რაც მისი განვითარების ყოველი მომენტის სრული და ობიექტური ანალიზის საშუალებას იძლევა).

ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე ფართომასშტაბიანი საქმიანობა წამოიწყო რადიომეურნეობის ჩამოყალიბებისათვის და, უკვე 1921 წლის ბოლოს, ახალგაზრდა რადიოსპეციალისტებმა შემდგომში ცნობილი რადიოინჟინრის დ. ხმიადაშვილის ხელმძღვანელობით რეკონსტრუქცია ჩაუტარეს თბილისში არსებულ ნაპერწკლოვან რადიოსადგურს, რამაც შესაძლებელი გახადა მუდმივი რადიოკავშირის დამყარება მოსკოვთან. ასევე შეკეთდა ბათუმისა და ფოთის რადიოსადგურებიც. 1923 წლიდან ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის უშუალო ხელმძღვანელობით დაჩქარდა რადიომშენებლობის ტემპები, ფართოვდებოდა საქართველოს რადიოქსელები, ყალიბდებოდა რადიოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იზრდებოდა ფართო მასების დაინტერესება კულტურის ამ ახალი დარგით.

1924 წლის 13 თებერვალს თბილისში განხორციელდა „ხმამაღლა მოლაპარაკე რადიომაუწყებლობის სადენებით ტრანსლაციის პირველი ცდა“ – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან თბილისის ელექტრომექანიკური ქარხნის კლუბში მოეწყო ბიზეს ოპერა „კარმენის“ ტრანსლაცია. როგორც ამ გადაცემის უშუალო მონაწილე და ორგანიზატორი დ. ხმიადაშვილი იგონებს, „მუშათა კლუბის დარბაზი სავსეა ხალხით. ესტრადაზე მოთავსებულია ორი დიდი რუხი ფერის გრამაფონის მსგავსი კონუსური რუპორი. ამ რუპორიდან სცენის იქით გაყვანილია სადენები. აქვე მაგიდაზე მოთავსებულია საკონტროლო ტელეფონი და სხვა აპარატურა. ამ ტელეფონის აპარატთან ისმის ხანგრძლივი ზარი. დარბაზში გამეფდა აბსოლუტური სიჩუმე, ზოგი დამსწრეთაგანი განსაკუთრებული ყურადღე-

ბით რაღაცას ახალს მოელოდა, ზოგიერთების სახე გამოხატავდა ირონიულ უნდობლობას. დრო ნელა მიიზლაზნებოდა. მოულოდნელად რადიორუპორიდან მთელ დარბაზს „კარმენის“ უვერტიურა მოეფინა. დარბაზში იჭექა მქუხარე ტაშმა. ეს იყო ქართველი მასობრივი რადიომსმენელის მისალმება საქართველოში პირველად მოწყობილი სახალხო ხმამაღლამოლაპარაკე რადიოტრანსლაციისადმი. ეს იყო ახალი მნიშვნელოვანი მოვლენა. დაიწყო რადიოტექნიკისა და ელექტროაკუსტიკის გამოყენება მასების კულტურულ-პოლიტიკური აღზრდის მიზნებისათვის“.[1]

ამ ფაქტმა საქართველოში რადიოსაქმისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააცხოველა და ხელი შეუწყო რადიომოყვარულთა მოძრაობის ჩამოყალიბებას.

1924 წლის 7 აპრილს თბილისში პროფსაბჭოსთან დაარსდა „ამიერკავკასიის რადიო საზოგადოება“, რომელიც მიზნად ისახავდა რადიოს პოპულარიზაციას, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ამ დარგში და რადიომშენებლობისათვის ხელის შეწყობას.[2]

1920 წელს რუსეთში აიგო პირველი რადიოსატელეფონო სადგური. ეს ნიშნავდა, რომ შესაძლებელი გახდა ადამიანის ხმის, მუსიკისა და ხმაურის გადაცემა – ყველა იმ გამოსახვითი საშუალების გამოყენება, რაც დღესაც გააჩნია რადიომაუწყებლობას. 1921 წლის ივნისში მოსკოვის მოედნებზე დაიდგა ხმამაღლამოლაპარაკეები (რადიორუპორები), რასაც მოჰყვა ეთერში გაზეთების კითხვა. ერთი წლის შემდეგ კი მოსკოვის ცენტრალურმა რადიოსატელეფონო სადგურმა, რომელსაც კომინტერნის სახელი მიენიჭა, დაიწყო მიკროფონთან ადამიანების გამოყვანა, მოხსენებებისა და ლექციების გადაცემა. ასე რომ, 1924 წლისათვის მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებში, და მათ შორის საბჭოთა კავშირშიც, უკვე არსებობდა რეგულარული რადიომაუწყებლობა, რომლის გადაცემის „დაჭერას“ დიდი მონდომებით ცდილობდნენ რადიომოყვარულები თვითნაკეთი დეტექტორული და ელექტრომილაკიანი მიმღებებით. როგორც დ. ხმიადაშვილი იგონებს: „მახსოვს 1924 წლის შემოდგომაზე ღამით, თვითდამზადებული ელექტრომილაკიანი მიმღებით მოსკოვიდან

---

[1] დ. ხმიადაშვილი, რადიოტექნიკის განვითარება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 10.

[2] „რადიომშენებლობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, გაზ. „კომუნისტი“, 1924, 13.04.

მოვისმინე რადიოტელეფონური გადაცემა. ეს მაშინ დიდი სენსაცია იყო, ბევრს არ სჯეროდა, „შურდათ“, ეჭვობდნენ და გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს სამყაროს ეთერს“.[1] მალე საქართველოშიც გამოჩნდა სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო არტელების მიერ გამოშვებული რადიოაპარატურა.

რადიოსაქმის წინსვლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1924 წლის 28 ივლისს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულმა დადგენილებამ „კერძო მიმღები რადიოსადგურების შესახებ“, რომლის თანახმადაც, სსრკ-ის მოქალაქეებს, ასევე კერძო ორგანიზაციებსა და ცალკეულ კოლექტივებს უფლება ეძლეოდათ მოეწყოთ მიმღები რადიოსადგურები. „ეთერში თავისუფლების კანონმა“, როგორც მას უწოდებდნენ, საგრძნობლად გაზარდა რადიომოყვარულთა რიცხვი. მათ, ასევე, დიდი დახმარება გაუწია იმ დროისათვის პოპულარულმა, გ. ფლეიშერის „უსადენო ტელეგრაფის“ სახელმძღვანელომაც, რომელიც ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის მოსწავლეთათვის იყო განკუთვნილი. ამავე წელს დაიწყო გამოსვლა საკავშირო ჟურნალმა „რადიოლიუბიტელმა“, რომელიც საქართველოშიც ვრცელდებოდა.

1925 წლიდან პრესის ფურცლებზე სულ უფრო მეტი მასალა იბეჭდებოდა რადიოს „სასწაულებრივ“ პერსპექტივებზე. 1925 წლის 22 მარტს გაზეთი „კომუნისტი“ რუბრიკაში „რადიო“ აღფრთოვანებით წერდა: „დადგა სულ ახალი ხანა, წარმოიდგინეთ ჩვენი მთიულები, თუშ-ფშავ-ხევსურები, სვანები და სხვა, რომელთაც შეძლება მიეცათ არ მოსწყდნენ ცხოვრებას, ყოველდღე მიიღონ ცნობები, თუ რა ხდება მსოფლიოში, მოისმინონ კონცერტები თავის ქოხში და ა.შ. აშკარაა, როგორ დახმარებას გაუწევს განათლებას რადიოტელეფონი... რადიო შლის ჩვენს წინაშე საოცნებო პერსპექტივებს, უკვე დაწყებულია ცდები და მოსალოდნელია ახლო მომავალში, რომ ჩვენ შეგვეძლება გარდა ლაპარაკისა იმ პირთაგან, რომელიც მოშორებულია ათასეული ვერსის მანძილზე, მისი დანახვა“.

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ კი 1925 წლის 31 მარტს მოსახლეობას მოუწოდებდა: „დროა გამოვიღვიძოთ, რადიომშენებლობით უნდა დავაინტერესოთ ფართო მასები. რუსეთში ასეთი მოძრაობა უკვე დაწყებულია, ჩვენ კი ახლა ვიწყებთ“. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა გასწია საკავშირო სააქციო საზოგადოება „რადიოპე-

[1] დ. ხმიადაშვილი, რადიოტექნიკის განვითარება საქართველოში, გვ. 12.

რედაჩამ“, რომლის საქმიანობა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა და მიზნად ისახავდა მიმღები და გადამცემი რადიოსადგურების მშენებლობის დაჩქარებასა და რადიომოყვარულთა წრეების მასობრივ ორგანიზებას (იგი 1924 წელს შეიქმნა და თავიდან „რადიო ყველასათვის“ ერქვა. მისი დამფუძნებლები იყვნენ სუსტი დენების ქარხნების ტრესტი, რუსეთის დეპეშათა სააგენტო და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი). „რადიოპერედაჩამ“ ოთხი წელი იმუშავა აღნიშნული მიმართულებით და დიდი როლი შეასრულა საბჭოთა რესპუბლიკებში რადიომეურნეობისა და რადიომაუწყებლობის ჩამოყალიბებაში, ასევე მან მოუმზადა საფუძველი საბჭოთა კავშირში ერთიანი სამაუწყებლო სისტემის შექმნას.

1925 წლის გაზაფხულზე დაფუძნდა „ამიერკავკასიის რადიომოყვარულთა საზოგადოება“, რომლის გამგეობაც იყო თბილისში, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატში, რადიოს სამმართველოსთან. ამ საზოგადოების შემადგენლობაში შედიოდნენ პარტიული მოღვაწეები და რადიოსპეციალისტები: ალ. მიასნიკოვი – საზოგადოების თავმჯდომარე, ა. ათარბეგოვი – თავმჯდომარის მოადგილე, გ. სტურუა – საინიციატივო ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, ასევე, რადიოინჟინრები დ. ხმიადაშვილი, გ. ფლეიშერი და სხვები. საზოგადოებას დაევალა უმოკლეს ვადაში ფართომაუწყებელი რადიოსადგურების მოწყობა თბილისში, ბაქოსა და ერევანში. პირველი რადიოსადგური კი თბილისში უნდა დადგმულიყო. „პირველი ჩვენი ნაბიჯი ამ სფეროში იქნება თბილისში პირველი შორს გადამცემი რადიოსადგურის მოწყობა. უახლოეს კვირაში ჩვენ მას შევიძენთ მოსკოვში და მაშინ სამასი ვერსის ირგვლივ თბილისიდან ყველა მიმართულებით ჩვენ გადავცემთ კომუნისტების მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, გავავრცელებთ პირველ დაწყებით ცოდნას, საბჭოთა აზრებს. შემდეგ კი ახალი სადგურები მოეწყობა ბაქოში, ერევანში, ბათუმში და ფოთში“ – წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 1925 წლის 13 თებერვალს.

1925 წლის მარტს, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად ცნო რადიომოყვარულთა წრეების დაარსება მუშათა კლუბებში. თბილისში, და საერთოდ, მთელ რესპუბლიკაში ხალისით დაიწყო ასეთი წრეების შექმნა. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ს. ორჯონიკიძის სახ. რკინიგზელთა კლუბთან არსებული რადიოწრე, სახელმწიფო უნივერსიტეტთან,

პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, პირველ სამრეწველო-ეკონომიკურ ტექნიკუმთან, გაზეთ „კომუნისტთან“ არსებული რადიოწრეები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში რადიომოყვარულთა მოძრაობის გაფართოებაში. 1925 წლის 4 აპრილს გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა, რომ „რადიოს მოყვარულთა საზოგადოებამ“ გადაწყვიტა გახსნას რადიოკოოპერატივი, რომელიც მსურველებს მიაწვდის რადიომიმღებებს, რადიოლიტერატურასა და სხვ. შეღავათიან ფასებში“, ხოლო 25 მარტის „ქრონიკაში“ აღნიშნულია, რომ „საკავშირო ცეკის მიმართვის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეადგინა სამაგალითო თემსაბჭოების სია მათი რადიო-მიმღები მანქანებით დასაჯილდოებლად“. 1925 წლიდან რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე მომრავლდა ახალი რუბრიკები: „რადიო“, „რადიოკუთხე“, „რადიოტექნიკა“, „რადიოს ამბები“, სადაც იბეჭდებოდა როგორც ინფორმაციები რადიოსაქმის შესახებ, ისე სამეცნიერო-პოპულარული წერილები რადიოტექნიკაზე, რადიოაპარატურის გამოყენებაზე და ა.შ.

თბილისში უკვე ბევრი რადიომსმენელი ახერხებდა „კომინტერნის“ რადიოგადაცემების მოსმენას და ქართულ პრესაში საკავშირო რადიოპროგრამებიც იბეჭდებოდა. რადიოსადმი გაზრდილმა ინტერესმა დღის წესრიგში დააყენა თბილისში არსებული რადიოსადგურის გაფართოების საკითხი. ამ მიზნით კომპარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებასთან დაარსდა რადიოკომისია, რომელსაც გ. სტურუა ხელმძღვანელობდა (ამგვარი კომისია თავდაპირველად 1925 წლის ივნისში შეიქმნა საკავშირო კომპარტიის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან).

ქართული რადიომაუწყებლობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1925 წლის 22 აპრილს ნავთლუღში ახალი ასოცმეტრიანი რადიოანძის აღმართვა, რომელიც 300 კილომეტრის რადიუსით მოქმედებდა. ამ საზეიმო ღონისძიებას პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებიც დაესწრნენ და რესპუბლიკური პრესაც გამოეხმაურა მას ვრცელი რეპორტაჟებით. ანალოგიური რადიოანძა აღიმართა ბაქოში, ერევანსა და ხარკოვში. ერთი თვის შემდეგ კი ამუშავდა ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ შექმნილი ნახევრად კუსტარული სამაუწყებლო რადიოსადგური ნავთლუღში, საიდანაც განხორციელდა პირველი საცდელი რადიოგადაცემა და რომლის შესახებ 1925 წლის 23 მაისს იუწყებოდა გაზეთი „ზარია ვოსტოკა“.

წერილი „რადიოსატელეფონო გადამცემი თბილისში“ მკითხველებს ამცნობდა, რომ „თბილისში გამოჩნდა პირველი რადიოსატელეფონო გადამცემი. იგი დროებით დადგმულია თბილისის მძლავრ რადიოსადგურზე და წარმოადგენს საცდელ-საჩვენებელ გადამცემს. 21 მაისს ნავთლუღიდან მოეწყო პირველი რადიოგადაცემა. მსახიობ-შემსრულებლები იყვნენ თვითონ სადგურის თანამშრომლები, რომლებმაც რადიოტელეფონით გადასცეს სიმღერა, მუსიკა და საუბარი. მიუხედავად გადამცემის მცირე სიმძლავრისა, გადაცემა მიღებული იყო კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმში რეგენერაციულ მიმღებზე საკმაოდ მკაფიოდ და ხმამაღლა. საცდელი გადაცემები მოეწყობა 23 და 24 მაისს საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე, 600-დან 700 მეტრამდე სიგრძის ტალღებზე“. ამგვარად, 1925 წლის 21 მაისს საქართველოში განხორციელდა პირველი საცდელი რადიოგადაცემა და საფუძველი ჩაეყარა რადიომაუწყებლობას. ეს თარიღი უნდა ჩაითვალოს საქართველოს რადიოს დაბადების დღედ.

როგორც ჩანს, 21 მაისს სადგურის თანამშრომლებმა ტექნიკურად შეამოწმეს გადამცემის მუშაობა (ალბათ, ამიტომაც მოგვევლინენ ისინი მსახიობების როლში და მიმღები აპარატიც ამიტომ იდგა ელექტროტექნიკუმში). საჯაროდ გამოცხადებული 23-24 მაისის ცდები კი, სავარაუდოდ, უფრო ფართო აუდიტორიისათვის იქნებოდა გათვალისწინებული. ყოველ შემთხვევაში, სხვა მსგავსი სანდო ცნობა ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი, საქართველოს სახალხო არტისტი მარო თარხნიშვილიც პირველ რადიოგადაცემას 1925 წლის მაისის თვეს უკავშირებს: „მიხარია, რომ მომსწრე ვარ პირველი რადიოგადაცემისა. 1925 წლის მაისის თვე იყო, დღე კარგად არ მახსოვს, მიგვიწვიეს რვა კაცისაგან შემდგარი ვოკალური ჯგუფი ყოფილ ბარიატინსკის, ამჟამად ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, სასტუმრო „თბილისის“ შენობაში... გახსნა საზეიმო იყო, მთელი თბილისი მოუთმენლად ელოდა პირველად ადამიანის ხმის მოსმენას. ბარიატინსკის ქუჩა და ალექსანდრეს ბაღი სავსე იყო ხალხით. ისინი სულგანაბულები ელოდნენ გადაცემის დაწყებას. დიქტორმა ბოიარსკიმ მიულოცა მსმენელებს რადიოს გახსნის დღე და გამოაცხადა პროგრამა. პირველ ნომრად მე შევასრულე „ურმული“, შემდეგ ჩვენმა გუნდმა იმღერა და გამოვიდნენ სოლისტები ს. ინაშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, ლ. გერმესაშვილი, პიანისტი ბარათოვა,

საზანდარი კ. აღჯოიანის ხელმძღვანელობით“.[1] მარო თარხნიშვილის ეს მოგონება გვიანდელია და, ჩვენი აზრით, მასში წელი შეცდომით არის მოცემული: ჯერ ერთი, პირველი საცდელი რადიოგადაცემისას („მთელი თბილისი მოუთმენლად ელოდა პირველად ადამიანის ხმის მოსმენასო“) საეჭვოა, რადიოს ორგანიზაციული სტრუქტურა ისე ყოფილიყო ჩამოყალიბებული, როგორც ეს მოგონებაშია აღნიშნული; მეორე, 1925 წელს ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, შრომის სასახლეში რადიოსტუდიის არსებობა არც ერთი სხვა წყაროთი არ დასტურდება (უფრო სავარაუდოა 1926-27 წლებში); მესამე, დიქტორმა ა. ბოიარსკიმ რადიოში მუშაობა დაიწყო 1927 წლიდან (ეს ზუსტად არის მითითებული რადიოკომიტეტის ბეჭდური ორგანოს „რადიოპროგრამების“ 1941 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ანატოლი ბოიარსკი“). ასეც არ იყოს, შეუძლებელია ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა იმდროინდელ პრესას გამორჩენოდა, მის შესახებ კი 1925 წელს არსად არაფერია ნახსენები (მაშინ, როდესაც ზემოთ აღნიშნული ლოკალური საცდელი გადაცემაც კი მაშინვე აცნობეს საზოგადოებას). ასე რომ, მარო თარხნიშვილის მოგონება სავარაუდოა, უფრო 1927 წელს უკავშირდებოდეს, როცა საქართველოს რადიომ რეგულარული (თუმცა არა ყოველდღიური) მაუწყებლობა დაიწყო.

პირველ ხანებში საცდელი გადაცემები ეწყობოდა არასისტემატურად, სხვადასხვა საათზე და ყოველ წინა დღეს გაზეთები „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტი“ ამის შესახებ აუწყებდნენ რადიომოყვარულებს და მოუწოდებდნენ კოლექტიური მოსმენისაკენ: „20-21 ივნისს ნავთლუღის მძლავრ რადიოსადგურზე საღამოს ხუთი საათიდან გადაიცემა 1 კილოვატიანი ლამფის სადგურით მოხსენება, მუსიკა და სიმღერა. ეს იქნება საცდელი გადაცემა. თბილისში არსებულ ყველა მიმღებ აპარატს შეუძლია მიიღოს ეს გადაცემა. გადაცემას ხელმძღვანელობს რადიოტექნიკი ს. კასრაძე“.[2] ან კიდევ: „27 სექტემბერს პირველად გადაიცემა მელოდეკლამაცია, ეს მეტად რთული საქმეა, განსაკუთრებით ძნელია რადიოში სიტყვისა და მუსიკის შეხამება, დიქციის გადაცემა“[3] და ა.შ. ამ სახის ინფორმაციები უხვადაა გაბნეული მაშინდელი პრესის ფურცლებზე.

ასევე ინტენსიურად მიმდინარეობდა რადიოსადგურის ტექნი-

---

[1] ჟურნალისტის ცნობარი, თბ., 1975, გვ. 193.

[2] რადიოკონცერტი თბილისში, გაზ. „კომუნისტი“, 1925, 20.06.

[3] „2-й опытный радиоконцерт“, „Заря Востока“, 1925, 23.09.

კური გაუმჯობესება. როგორც 1925 წლის 30 ოქტომბრის გაზეთი „მუშა“ იტყობინებოდა: „რადიოსადგურის თანამშრომლები მუშაობას აწარმოებენ რადიოტელეგრაფის სადგურის რადიოტელეფონის სადგურად გადასაკეთებლად. ჯერჯერობით ახალ გადამცემ რადიოსადგურზე ცდებს აწარმოებენ. დღემდე გადაცემულია 5 კონცერტი, ხოლო პატარა საცდელი კონცერტი კი – ბევრჯერ“.

1926 წლიდან რადიოსაქმე წინ წავიდა. მიმღებ რადიოსადგურთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა, „მიმღებ რადიოსადგურებს დგამენ სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები. თბილისის სახლების სახურავები იქსელება ანტენებით, რადიოსადგურები იჭერენ მოსკოვიდან და უცხოეთიდან გადმოცემულ რადიოცნობებს“, – წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 1926 წლის 13 იანვარს. ამ დროისათვის ამიერკავკასიაში მუშაობდა ორი სამაუწყებლო მიმღებ-გადამცემი რადიო-სატელეფონო სადგური თბილისსა და ბაქოში და 10 რადიომიმღები სადგური, მათ შორის ბათუმში, სოხუმში, საგარეჯოში, ერევანში, ცხინვალში თუ ნახჭევანში...[1] ასევე აღრიცხული იყო 400-მდე რადიოწრე, აქედან თბილისში – 200. ამავე წელს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ მოლაპარაკება დაიწყო ამერიკის ცნობილი რადიომშენებელი ფირმის „ვესტერნ-ელექტრიკ-კომპანის“ ქარხნის ხელმძღვანელობასთან ახალი ხუთკილოვატიანი რადიოსადგურის შესაძენად. მაგრამ სადგურის სოლიდური ღირებულების გამო (230000 მანეთი), ეს ხელშეკრულება არ შედგა და ლენინგრადის სუსტი დენების ქარხანას დაევალა ოთხკილოვატიანი სიმძლავრის რადიოსადგურის დამზადება, რომელიც ბევრად იაფი – 50000 მანეთი ღირდა. ნავთლუღის რადიოსადგურის მშენებლობას ხელმძღვანელობდა მოსკოვიდან მოვლინებული ინჟინერი ვ. გილბერტი.

1926 წლის 20 მაისიდან საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ინიციატივით ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს დაევალა უფასოდ მიეწოდებინა ინფორმაციული მასალები ნავთლუღის რადიოსადგურისათვის. საქართველოს პროფკავშირების გადაწყვეტილებით კი დედაქალაქის ყველა რაიონის მუშათა კლუბებში დაიგეგმა ხმამაღლამოლაპარაკეების დადგმა.

ამავე წლის ნოემბერში მწყობრში ჩადგა МП ტიპის ოთხკილოვატიანი რადიომაუწყებელი სადგური ნავთლუღში და დასრულდა რადიოცენტრის აგებაც, რომელშიც შედიოდა „ცენტრალური რადი-

[1] „რადიო თბილისში“, გაზ. „კომუნისტი“, 1926, 29.01.

ობიურო, გადამცემი რადიოსადგური ნავთლუღში და მიმღები სადგური საგარეჯოში“. „რადიოსადგური მეორეა მთელს კავშირში მოსკოვის შემდეგ“,[1] – აღნიშნავდა პრესა.

ამ დროისათვის რადიოსტუდია განთავსებული იყო თბილისის ცენტრში (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტზე), მაშინდელი პროფსაბჭოს შენობაში (ანუ, როგორც მარო თარხნიშვილის მოგონებაშია, სასტუმრო „თბილისის“ შენობაში), სადაც გამოყოფილი ჰქონდა „ქვედა სართულზე ორი ოთახი. ოთახში იდგა როიალი და დიქტორის მაგიდა ნახშირის მიკროფონით. ეს მიკროფონი მერე შეიცვალა ელექტროდინამიკური მიკროფონით“.[2]

1927 წლიდან საქართველოს რადიომ დაიწყო სისტემატური მუშაობა (რასაც, როგორც აღვნიშნეთ, 1925-1926 წლებში წინ უძღოდა არაერთი საცდელი გადაცემა). 3 იანვარს გადაიცა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მ. კახიანის მოხსენება და რადიოკონცერტი. ამ დღიდან საფუძველი ჩაეყარა ქართულ რეგულარულ მაუწყებლობას. 1928 წელს თბილისის რადიოსტუდია, რომელსაც მაშინ ამიერკავკასიის რადიოცენტრს უწოდებდნენ, ახალი ტექნიკით აღიჭურვა და განთავსდა კიროვის, ახლანდელ ლეონიძის ქუჩის 8-ში მდებარე შენობის II სართულზე, ქვედა სართულზე კი მოეწყო სატრანსლაციო კვანძის სააპარატო. სადგურის ტექნიკური ექსპლუატაცია დაეკისრა ფოსტა-ტელეგრაფის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს, ხოლო გადაცემის საორგანიზაციო მუშაობის (კონცერტების, ლექციებისა და სხვათა მოწყობა) ხელმძღვანელობა დაევალა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებასთან არსებულ რადიოკომისიას (ხელმძღვანელი გ. სტურუა). რადიომაუწყებლობის პირველ ხელმძღვანელად დაინიშნა ი. გედევანიშვილი – საკავშირო სააქციო საზოგადოება „რადიოპერედაჩას“ რწმუნებული ამიერკავკასიაში, მხატვრულ ნაწილს უძღვებოდა გ. კილაძე, პირველი კონცერტმეისტერი იყო ა. მელიქფაშაევი, პირველი დიქტორები – პროფესიით ფიზიკოსი, რადიომოყვარული გ. გაჩეჩილაძე და ლ. ლუკაშევა.[3]

---

[1] „რადიომშენებლობა“, გაზ. „კომუნისტი“, 1926, 30.11.

[2] დ. ხმიადაშვილი, რადიომაუწყებლობის გარიჟრაჟი, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966, № 5, გვ. 4.

[3] იქვე.

რადიო მტკიცედ იკიდებდა ფეხს ყოველდღიურ ცხოვრებაში და დიდ პოპულარობას იხვეჭდა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენაში. „ყველაზე დიდ მიღწევად მე მიმაჩნია თანამედროვეობაში რადიო, თუ ჰაეროპლანის მართვა ცაში“,[1] – ჩაუწერია გალაკტიონ ტაბიძეს თავის დღიურში 1927 წელს, ხოლო 1930 წელს მან ლექსიც კი მიუძღვნა რადიოს:

„ხედავთ, რაგვარად შეამოკლა
რადიომ სივრცე!
. . . . . .
აქ კი გასძახის სივრცეს თბილისი!“[2]

საქართველოს რადიოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება განისაზღვრა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის 10 იანვრის დადგენილებით „რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელობის შესახებ“, რომლის თანახმადაც პარტიულ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზეც მოწყობილი იყო რადიოსატელეფონო ქსელები, ევალებოდათ უშუალო ხელმძღვანელობა გაეწიათ რადიოსათვის და მაქსიმალურად გამოეყენებინათ იგი სააგიტაციო და საგანმანათლებლო მიზნებისათვის, წინასწარ განეხილათ, შეემოწმებინათ რადიოპროგრამები და რადიომასალები, გულდასმით შეერჩიათ მომხსენებლებისა და მიკროფონთან გამომსვლელთა შემადგენლობა და უზრუნველეყოთ გადაცემათა მაღალი იდეური და პოლიტიკური დონე. ამ დადგენილებით კომპარტია ხელში იღებდა რადიომაუწყებლობაზე ხელმძღვანელობის სადავეებს და რადიოგადაცემების შინაარსსა და მათ იდეურ-პოლიტიკურ მხარეზე უმკაცრეს კონტროლს აწესებდა. თუმცა მანამდე, ჯერ კიდევ 1925 წლის დეკემბერში, საკ. კპ (ბ) აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გადაწყვეტილებით რადიომაუწყებლობა პირდაპირ დაექვემდებარა „მთავლიტის“ კონტროლს (ასე ეწოდებოდა მთავარ საცენზურო კომიტეტს, რომელიც ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას აკონტროლებდა და საბჭოთა კავშირში 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე არსებობდა).

რადიო საბჭოური ცნობიერების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების მძლავრი ბერკეტი ხდებოდა. რადიოს ხელმძღვანელებიც პარტიული და კომკავშირული მუშაკები იყვნენ და რადიოგადაცემე-

---

[1] გ. ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1989, გვ. 423.
[2] გ. ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III. გვ. 24.

ბის „იდეოლოგიურ სიფხიზლეზე“ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა. მკაცრი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული მიკროფონების დასაცავად, რომ ეთერში არც ერთი გადაცემა არ გასულიყო პასუხისმგებელი ხელმძღვანელის დაუკითხავად და ნებართვის გარეშე. მართლაც, ცენზურის გაუქმებამდე სტუდიაში, სადაც საეთერო მიკროფონები იდგა (ყველა ტექსტი და ჩაწერილი გადაცემა მანამდე იყო შემოწმებული), სპეციალური დაცვა მხოლოდ იმ პირებს უშვებდა, ვისაც ამის განსაკუთრებული ნებართვა ჰქონდა (ძირითადად დიქტორებს). რადიოეთერშიც უმეტესად გადაიცემოდა საბჭოთა მთავრობისა და კომპარტიის წარმომადგენლების მოხსენებები და ლექციები. ასევე დიდი ადგილი ეკავა საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში დაბეჭდილ მასალებს – ჯერ კიდევ არ ჩანდა სპეციალურად რადიოსათვის მომზადებული ორიგინალური გადაცემები. ასევე ეწყობოდა კონცერტებისა და ოპერების ტრანსლაციები, საუბრები რადიოტექნიკის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა რადიოსაქმით ახალგაზრდების დაინტერესებას. 1927 წლიდან, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა „გამოჰყო სპეციალისტ ლექტორთა ჯგუფი, სხვადასხვა სეზონური სენებისა და სანიტარული განათლების შესახებ რადიოთი ლექციების წასაკითხად. განზრახულია შემდეგი საკითხების განმარტება – მალარია, ჭლექი, ლოთობა, პარტახტიანი ტიფი და სხვა“.[1]

1927 წლის თებერვლიდან გაზეთებმა „კომუნისტმა“ და „ზარია ვოსტოკამ“ დაიწყეს ყოველკვირეული რადიოპროგრამების ბეჭდვა, რაც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ პროგრამირების იმდროინდელ პრინციპებს. თვალსაჩინოებისთვის გადავხედოთ 1927 წლის 20 თებერვლის გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ 20-28 თებერვლის რადიოპროგრამას:

20 თებერვალი – 1. ტვინი და სული (ლექცია ქართულ ენაზე) – 7-7.30. 2. კომკავშირის რადიოგაზეთი (რუსულ ენაზე). 3. თეთრი ტერორის ახალი ტალღა (ძიგრაშვილის მოხსენება). 4. რადიოს მეგობართა საზოგადოების ტექნიკური კონსულტაცია. 5. კონცერტი – 9-9.30.

21 თებერვალი – 1. ფასების დაკლება (პიჩკიანის მოხსენება). 2. თვითგანვითარების საკითხები. 3. რადიოტექნიკის მიღწევები. 4. კონცერტი.

22 თებერვალი – 1. მიტინგის დახვრეტა ალექსანდრეს ბაღში (ტოროშელიძის მოხსენება). 2. წითელი არმიის მე-9 წლისთავისათ-

[1] რადიოლექცია, გაზ. „კომუნისტი“, 1927, 22.01.

ვის (ლევანოვსკის მოხსენება რუსულ ენაზე). 3. ოპერა „ლაკმე“.

23 თებერვალი – 1. მიტინგის დახვრეტა ალექსანდრეს ბაღში (რუსულ ენაზე). 2. წითელი არმიის მე-9 წლისთავი (აღნიაშვილის მოხსენება). 3. კომკავშირის რადიოგაზეთი (ქართულად). 4. კონცერტი.

24 თებერვალი – დასვენების დღე. რადიოგადაცემა არ იქნება.

25 თებერვალი – გასაბჭოების 6 წლის აღსანიშნავად შემდგარი საზეიმო სხდომის გადაცემა.

26 თებერვალი – 1. მუშა და გლეხ ქალთა დღისათვის მოხსენება. 2. ოპერის გადაცემა.

27 თებერვალი – 1. ბრძოლა ბიუროკრატიზმთან (მოხსენება). 2. ავიაქიმიის ამოცანები და ქვეყნის თავდაცვა (ჯუღელის მოხსენება). 3. ტექნიკური კონსულტაცია. 4. კონცერტი.

28 თებერვალი – 1. როგორ იმორჩილებს ადამიანი ბუნების ძალას (ლექცია). 2. ალკოჰოლი და გადაგვარება (ლექცია). 3. კონცერტი.

გადაცემები იწყებოდა საღამოს ხუთ საათზე და მთავრდებოდა თერთმეტ საათზე. დროთა განმავლობაში რადიოპროგრამების თემატიკა გამრავალფეროვნდა და თანდათან გამოიკვეთა რადიოპუბლიცისტიკის ფორმები.

„რადიოგაზეთი“ – ასე ერქვა პირველ რადიოფორმას, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობის ძირითადი ფორმა იყო რამდენიმე წლის განმავლობაში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. რადიოგაზეთი, როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, ბეჭდური სიტყვის გავლენით შეიქმნა და მრავალსიუჟეტიანი იყო. თავდაპირველად იგი მოიცავდა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილ ინფორმაციებს, პროპაგანდისტული ხასიათის სტატიებს, ფელეტონებს, ნარკვევებს, ე. ი. ყველა იმ ჟანრს, რომელიც შემდგომში დამოუკიდებელ რადიოჟანრად ჩამოყალიბდა და რადიოპროგრამაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა. რადიოგაზეთი, ფაქტობრივად, ეს იყო იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ დარგობრივი პრესის საეთერო ვარიაცია შესაბამისი სახელწოდებით, მაგალითად: კომკავშირული რადიოგაზეთი – „ახალგაზრდა კომუნისტი“, სასოფლო გაზეთი – „ახალი სოფელი“, მუშათა გაზეთი – „მუშა“. 1928 წლიდან გამოჩნდა „წითელარმიელთა რადიოგაზეთი“, რომელიც სამხედრო-პატრიოტულ პროპაგანდას ისახავდა მიზნად. ასევე გადაიცემოდა რადიოგაზეთები აზერბაიჯანულ ენაზე „იენი ქენდი“ („ახალი სოფელი“) და სომხურენოვანი „პროლეტარი“, რომლებსაც საქართველოში გამომავალი ამავე სახელწოდების გაზეთების ჟურნალისტები ამზადებდნენ სპეციალურად რადიო-

სათვის. დროდადრო რადიოგაზეთები გამოდიოდა აფხაზურ და ოსურ ენებზეც. საერთოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის მხოლოდ საქართველოს რადიო რეგულარულად მაუწყებლობდა ოთხ – ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (თუმცა თავიდან, კარგა ხნის მანძილზე, იგი ცხადდებოდა თურქულ ენად). გარდა ამისა, რადიოგაზეთმა ხელი შეუწყო მაუწყებლობის ახალი მიმართულებების წარმოშობას, პროგრამების დიფერენციაციის პროცესს. ჩამოყალიბდა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებთან ურთიერთობის ახალი ფორმები, მაგალითად, „პიონერულმა რადიოგაზეთმა“ საფუძველი ჩაუყარა საბავშვო მაუწყებლობას, „კომკავშირულმა რადიოგაზეთმა“ – ახალგაზრდულ მაუწყებლობას და ა.შ.

მალე „რადიოგაზეთებში“ მზამზარეული საგაზეთო მასალების ეთერში გადაცემის პარალელურად გამოჩნდა სპეციალურად რადიოსათვის მომზადებული მასალებიც, რომლებსაც ჟურნალისტები ადგილზე გასვლით მოიპოვებდნენ. ამასთან, საგაზეთო მასალების შერჩევაც, მიკროფონთან მათი წაკითხვის მანერა უკვე თავისთავად ქმნიდა მასალის მიწოდებისა და აღქმის ახალ, ორიგინალურ ფორმას – რადიოენას. იგი უფრო ემოციურად ზემოქმედებდა აუდიტორიაზე, ვიდრე დაბეჭდილი სიტყვა, თანაც პათეტიკური და „ამაღლებული“ ტონი, ინტონაცია და სხვა არავერბალური საშუალებები, რომელიც საბჭოური პროპაგანდის აუცილებელი ატრიბუტი იყო, ზეპირ სიტყვაში უკეთ წარმოჩინდა.

დღევანდელი გადასახედიდან, რადიოგაზეთს მიმოხილვის ნიშნებიც ახასიათებდა და თანამედროვე რადიოპროგრამის ფორმატიც, რომელიც თემატურად და ჟანრობრივად განსხვავებული ფორმით ქმნიდა სოციალისტური ცხოვრების პანორამას და პროპაგანდას უწევდა ახალი იდეების დამკვიდრებას მასობრივ ცნობიერებაში. იგი ყველაზე თვალსაჩინოდ გამოხატავდა ლენინის შეხედულებას რადიოზე, როგორც „უქაღალდო და უმანძილო გაზეთზე“. 1930 წლისათვის საბჭოთა კავშირში ეთერში გადიოდა დაახლოებით 300 რადიოგაზეთი. ასეთი სიმრავლე განპირობებული იყო თვითონ ხელისუფლების მოთხოვნითაც – ნაბეჭდი გაზეთების სიმცირისა და ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელების სირთულის გამო მათი ფუნქცია ინფორმაციის სისტემაში გარკვეულწილად რადიოგაზეთებს უნდა შეესრულებინათ.

სამწუხაროდ, ქართული რადიოგაზეთების ტექსტებს ჩვენამდე არ მოუღწევია და მხოლოდ იმდროინდელი პრესის საშუალებითაა

შესაძლებელი გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას რადიოგაზეთის დანიშნულებასა და კომპოზიციაზე. მაგალითად, 1928 წლის 8 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილია „რადიოგაზეთის მიმოხილვა“, სადაც ყურადღება გამახვილებულია მის სპეციფიკაზე:

„რადიოგაზეთის გამოშვებას მრავალი მიზეზი ამართლებს, მათ შორის მთავარი ისაა, რომ მისი მოსმენა ხელმისაწვდომია როგორც წერა-კითხვის მცოდნეთათვის, ისე უცოდინართათვის. ამ მხრივ ის განსაკუთრებით დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ჩამორჩენილ კუთხეებს, როგორიცაა სვანეთი, ხევსურეთი და სხვ. რადიოგაზეთს არ ჰყავს ხელმომწერნი, არა აქვს განსაკუთრებული ტირაჟი, მისი მსმენელთა რიცხვი განუსაზღვრელი და მრავალფეროვანია. გარდა ამისა, საქართველოს პირობებში გაზეთმა ანგარიში უნდა გაუწიოს მრავალფეროვან ეკონომიკურ, სოციალურ, ეთნოგრაფიულ, კულტურულ, გეოგრაფიულ თავისებურებებსაც. სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს მასალის შერჩევა და დამუშავება“.

თითოეულ რადიოგაზეთს ჰყავდა თავისი ადრესატი, მიზნობრივი აუდიტორია და ასე ყალიბდებოდა რადიომსმენელებთან ურთიერთობის სამაუწყებლო ფორმები. რადიოგადაცემებისადმი მოსახლეობის მზარდი ინტერესი ხელისუფლებას ერთგვარ სტიმულს აძლევდა, უფრო ინტენსიურად განეხორციელებინა გარდაქმნები რადიოს სტრუქტურულ და ორგანიზაციულ სფეროში.

სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წლის 13 ივლისის დადგენილებით „რადიომაუწყებლობის რეორგანიზაციის შესახებ“ გაუქმდა სააქციო საზოგადოება „რადიოპერედაჩა“, რომელმაც თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანა რადიოსაქმის განვითარებაში და სსრკ-ის ტერიტორიაზე რადიომაუწყებლობის ყველა საქმის ორგანიზაცია და მართვა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს დაევალა (ეს უპირველესად იმით იყო განპირობებული, რომ მაუწყებლობის განვითარება უშუალოდ უკავშირდებოდა ქვეყნის რადიოფიკაციას). ამ კომისარიატში ჩამოყალიბდა რადიოსამმართველო – ცენტრალური ორგანო, რომელიც წყვეტდა რადიომაუწყებლობის ყველა საკითხს. საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ კომიტეტებს კი კონტროლი უნდა გაეწიათ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების საქმიანობისათვის რადიომაუწყებლობის დარგში და უზრუნველეყოთ მათი გამოცდილი სამეურნეო კადრებით დაკომპლექტება. შესაბამისად, 1928 წლის 22 დეკემბერს ამიერკავკასიის სახკომსაბჭომ მიიღო

დადგენილება ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატთან ამიერკავკასიის რადიოს ცენტრალური საბჭოს შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარედაც ალ. სტურუა დაინიშნა. ანალოგიური რადიოსაბჭოები შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციის თითოეულ რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოშიც.

ამიერკავკასიის რადიოსაბჭომ დიდი ყურადღება დაუთმო ადგილობრივი რადიომაუწყებლობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმების ჩამოყალიბებას და განსაკუთრებით რადიოგაზეთების თემატიკას. ამ მიზნით 1929 წელს რადიოგაზეთები გაერთიანდა და შეიქმნა ერთიანი „რადიოგაზეთის“ რედაქცია. დაიწყო საგაზეთო მასალების ეთერში კითხვიდან რადიოსთვის დამახასიათებელ ფორმებსა და ჟანრებზე გადასვლა.

1929 წლის ბოლოს მოსკოვის სამაუწყებლო ცენტრმა დაიწყო მაუწყებლობა საბჭოთა კავშირის ქალაქებზე და, მათ შორის, თბილისზეც, რითაც საფუძველი ჩაეყარა საკავშირო რადიომაუწყებლობას. ამავე წლიდან საქართველოშიც გაუმჯობესდა რადიოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რადიოსპეციალისტების ჯგუფმა გ. ფლეიშერის ხელმძღვანელობით (ზ. თოფურია, ვ. კაშპროვსკი, ლ. ხმიადაშვილი, დ. ხმიადაშვილი) რეკონსტრუქცია ჩაუტარა თბილისში არსებულ სამაუწყებლო სადგურს, რომელიც მთელი დღის განმავლობაში უკვე რადიოპროგრამების გადაცემაზე მუშაობდა. შეიქმნა სამაუწყებლო კვირეული ბადეც და სხვადასხვა ტიპის გადაცემებმა მუდმივი ადგილი დაიმკვიდრა რადიოპროგრამებში. მათი დიფერენციაციის შედეგად კი გამოიკვეთა ინფორმაციული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური (იგივე ანალიტიკური) და მხატვრული მაუწყებლობის ნიშნები.

ოპერატიული ინფორმაციის ძალა საბჭოთა რადიომ იმთავითვე ეფექტურად გამოიყენა მასებზე ზემოქმედების მიზნით და ინფორმაციულ ფუნქციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიანიჭა. ინფორმაციული ხასიათისა იყო ტრანსლაციები მოვლენის ადგილიდან (ჟურნალისტური კომენტარის გარეშე), რომელსაც მრავალათასიანი მსმენელისათვის ოპერატიულად უნდა მიეწოდებინა ესა თუ ის მოვლენა მიმდინარეობის პროცესში და შეექმნა დასწრების ეფექტი.

სწორედ 30-იან წლებში ჩაისახა აღლუმებისა და დემონსტრაციების რადიოტრანსლაციები, რომლებშიც პირველად გამოიკვეთა რადიოს ისეთი გამოსახვითი საშუალება, როგორიცაა ხმაური – მოვლენის აკუსტიკური ფონი. ხშირად გამოიყენებოდა ეგრეთ წო-

დებული მიტინგის ფორმა და, საერთოდ, მაშინდელი ცხოვრების ყველა სფეროში დიდი გასაქანი პოვა „მიტინგობამ“, რამდენადაც იგი გამოხატავდა მასობრივ ორგანიზებულობას კონკრეტული მოვლენის მიმართ. მართალია, ხშირად მას ხელოვნური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ იმ პირობებში კარგად მოერგო ახალი ცხოვრების პოლიტიკურ ენთუზიაზმს.

თავდაპირველად მიტინგების პირდაპირი ტრანსლაციები გადაიცემოდა ყოველგვარი ჟურნალისტური ჩარევის გარეშე. თანდათანობით რადიომ თავად იკისრა ორგანიზატორული ფუნქცია და ამით რადიომიტინგის ფორმა დაამკვიდრა. მას მოჰყვა რადიოგადაძახილები, რადიორეიდები, რადიოდათვალიერებები და ა.შ. ეს გადაცემები იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მათში პირველად გამოიკვეთა რადიოჟურნალისტის პიროვნებაც, რომელიც თავადვე გახდა გადაცემის აქტიური მონაწილე, სასცენარო გეგმის ავტორი და იმ ორგანიზაციულ მუშაობას, რომელიც ეთერში გასვლამდე ბევრად ადრე იწყებოდა, სწორედ რადიოჟურნალისტი ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, რადიომიტინგის ფორმა აუდიტორიასთან ურთიერთობის შესანიშნავი საშუალებაც აღმოჩნდა, რომელიც თავისთავად შეიცავდა საუბარს, პოლემიკას, აზრთა ურთიერთგაზიარებას, ე. ი. ყოველივე იმას, რასაც მასობრივი მუშაობა ერქვა. იმ პერიოდში რადიომიტინგების მიზანი იყო საზოგადოებრივი აზრის შექმნა, მასების მობილიზაცია ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. 1928 წლის 1 აპრილს მოეწყო პირველი რადიომიტინგი, რომელიც მიეძღვნა „საგლეხო სესხის მნიშვნელობას“. „მიტინგს დაესწრნენ გლეხები, მუშები და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. მომხსენებელმა – კოოპერატიული ორგანიზაციის წარმომადგენელმა კ. ბაქრაძემ ილაპარაკა საგლეხო სესხის მნიშვნელობაზე. ამავე საკითხზე ილაპარაკა საქართველოს ფინსახკომის წარმომადგენელმა ნ. მარგველაშვილმა. გლეხებმა მისცეს მრავალი შეკითხვა. შემდეგ გამოვიდნენ გლეხები და გლეხთა ცენტრალური სახლის წარმომადგენლები. ბოლოს გაიმართა კონცერტი“.[1]

დაახლოებით ასეთი იყო ტიპური სქემა რადიომიტინგებისა, რომელიც 30-იან წლებში ყალიბდებოდა. მოხსენებებიც და კამათში გამომსვლელთა ტექსტებიც წინასწარ მზადდებოდა, მოწმდებოდა მათი პოლიტიკური გამართულობა და ისე გადაიცემოდა ეთერში.

[1] გლეხთა მიტინგი რადიოსტუდიაში, გაზ. „კომუნისტი“, 1928, 3.04.

რამდენადაც მაშინ ფირზე ჩაწერისა და დამონტაჟების ტექნიკური საშუალება არ არსებობდა, ადვილი წარმოსადგენია, როგორი ენერგია და უნარი დასჭირდებოდა ჟურნალისტს ასეთი მასობრივი გადაცემების ორგანიზაციისათვის. რადიომიტინგებისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ საწარმო-დაწესებულებათა მშრომელები თავადვე თხოულობდნენ რადიომიტინგების მოწყობასა და მათში მონაწილეობას.

ქართული პრესა ხშირად აქვეყნებდა ანონსებს რადიომიტინგების შესახებ. მაგალითად, 1929 წლის 29 ოქტომბერს გაზეთი „კომუნისტი“ მსმენელებს აცნობებდა, რომ „რადიოცენტრი აწყობს რადიომიტინგს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმების შესახებ ქარხანა „თემქაში“. მიტინგში მონაწილეობენ „თემქის“ მუშები. ისინი აღნიშნავენ შეჯიბრების როგორც ნაკლს, ისე მიღწევებს და საქმიან წინადადებებს წამოაყენებენ. ამას წინათ მოეწყო რადიომიტინგი კალინინის სახ. ლითონის ქარხნის მუშებისა, რამაც ნაყოფიერი შედეგი მოგვცა. დღეს მათ „თემქის“ მუშები უპასუხებენ. რადიომიტინგი სოციალისტური შეჯიბრების საუკეთესო ფორმაა. ქოხსამკითხველოებმა და ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა მოაწყონ რადიოგადაცემების მოსმენა კოლექტიურად, საღამოს 7 სთ-დან“.

შედარებით ხელოვნური ელფერი დაკრავდა რადიოგადაძახილებს, რომლებიც რადიომიტინგებისაგან განსხვავდებოდა მეტი მასშტაბურობითა და მონაწილეთა სიმრავლით. ხშირად ეწყობოდა რადიოგადაძახილები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, საქართველოს მოწინავე რაიონებსა და კოლმეურნეობებს შორის. მაგალითად: „რადიოგადაძახილი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ ამიერკავკასიაში“, „ამიერკავკასიის მსხვილ საწარმოთა და ახალ მშენებლობათა საუკეთესო დამკვრელების გამოძახება“, „უმაღლეს და ტექნიკურ სასწავლებლებში საშემოდგომო მიღების მოსამზადებელი კამპანიის მიმდინარეობის შესახებ“, „დამკვრელთა რადიოგამოძახება“, „დაზოგვის ერთთვიურის შესახებ რადიოგადაძახილი“ და ა.შ. რადიომიტინგი, რადიოგადაძახილი, რადიოდათვალიერება, რადიორეიდი გადაიცემოდა სოციალისტური შეჯიბრების პროპაგანდისათვის, ამა თუ იმ კამპანიის ჩატარების მიზნით, ღირსსახსოვარი დღეების აღსანიშნავად და სხვა.

1929-33 წლებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამამ, საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოღებამ, მნიშვნელოვნად გაზარდა რადიოს როლი მასების კომუ-

ნისტური განათლების საქმეში. 1928 წლის ბოლოს მოსკოვის მუშურ-გლეხური რადიოუნივერსიტეტის ანალოგიით საქართველოშიც შეიქმნა „დაუსწრებელი რადიოუნივერსიტეტი“, რომელსაც ფართო მასებისათვის უნდა მიეწოდებინა „თეორიული ცოდნა სამეურნეო-კულტურულ, პროფკავშირულ, კოოპერაციულ თუ საბჭოთა მშენებლობის დარგში... ამრიგად, უღარიბეს გლეხებს და სოფლის ახალგაზრდობას, მუშებს და სხვებს საშუალება ეძლევათ უფასოდ და დაუსწრებლად მიიღონ შესაფერისი ცოდნა რადიომაუწყებლობის საშუალებით“.[1] რადიოცენტრთან შექმნილმა სპეციალურმა განყოფილებამ შეიმუშავა რადიოუნივერსიტეტის პროგრამა ორი ფაკულტეტისთვის (სასოფლო-სამეურნეო და კოოპერაციული). მოწვეული ლექტორები ლექციებს კითხულობდნენ მასებისათვის გასაგები და პოპულარული ენით. დაუსწრებელი რადიოუნივერსიტეტი, რომელსაც მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავდა, ძირითადად წარმოადგენდა უმაღლეს დაუსწრებელ პარტიულ სკოლას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა პარტიული და კომკავშირული აქტივის კვალიფიკაციის ამაღლებასა და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესწავლა-შეთვისებაში. თითოეული მსმენელი, რომელიც შეასრულებდა საკონტროლო სამუშაოებსა და ჩათვლებისათვის საჭირო დავალებებს, ღებულობდა უნივერსიტეტის დამთავრების მოწმობას.

როდესაც კომპარტიამ კოლექტივიზაციისაკენ აიღო კურსი, რადიო აქტიურად ამოუდგა მხარში პრესას საკოლმეურნეო მშენებლობისა და ეგრეთ წოდებული კულტურული რევოლუციის პროპაგანდაში. „ჩვენი მიზანია გავაძლიეროთ კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა, ყოველდღე და ყოველ საათს ვესაუბროთ კოლმეურნეებს, ღარიბ და საშუალო გლეხობას მათ წინაშე დასახულ ამოცანებზე. ქალაქის სოფელთან დაკავშირების საუკეთესო იარაღია რადიო“, – წერდა 1931 წ. 17 მაისს გაზეთი „კომუნისტი“. გარდა „გლეხთა რადიოგაზეთისა“, სოფლის კოლექტივიზაციას, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორების სადგურების ჩამოყალიბებასა და სოფლად კულტურულ გარდაქმნებს ეძღვნებოდა სპეციალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული გადაცემები რუბრიკით „გლეხის საათი“. ასევე გადაიცემოდა კვირაში ერთხელ „უკანასკნელი ცნობები გლეხებისათვის“, „პოპულარული კონცერტი გლეხებისათვის“

[1] „რადიო-უნივერსიტეტი“, გაზ. „კომუნისტი“, 1929, 12.10.

და ა.შ. საკოლმეურნეო გადაცემებისთვის ყოველდღე განკუთვნილი იყო საღამოს საათები და განსაკუთრებით საგრძნობი იყო ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემების სიჭარბე, მაგ., „შრომა ქართულ პოეზიაში“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“, „აღმოსავლური მუსიკის კონცერტი“, „არსენა ჯორჯიაშვილი“, „დასავლეთ ევროპის რევოლუციური პოეზია“ და სხვ.

საკოლმეურნეო ცხოვრებასთან ერთად რადიოს მხედველობიდან არ გამორჩენია სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიც, განსაკუთრებით მრეწველობის საკითხები, რამდენადაც 30-იან წლებში ხელისუფლებამ პრიორიტეტი ინდუსტრიალიზაციას მიანიჭა და დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა გააჩაღა რესპუბლიკის მასშტაბით. 1933 წელს მწყობრში ჩადგა სტალინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური „რიონჰესი“, ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა ბათუმში და სხვა სამრეწველო ობიექტები. მათ შესახებ სისტემატურად გადაიცემოდა ინფორმაცია და, ასევე, თითოეულ მათგანს სპეციალური გადაცემებიც მიეძღვნა. მაგრამ, მიუხედავად ხელისუფლების დიდი ძალისხმევისა, ქვეყნის რადიოფიკაცია მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რაც საქართველოს რადიომაუწყებლობის წინსვლასაც მნიშვნელოვნად აფერხებდა. ეს საკითხი საგანგებო მსჯელობის საგანიც გახდა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოწვეულ სპეციალურ თათბირზე 1929-30 წლის რადიოფიკაციის გეგმა ჩაშლილად გამოცხადდა. „რადიოცენტრი მუშაობს „კუს“ ტემპით, ცეკავშირი კი მუშაობს მხოლოდ ქაღალდზე, პროფკავშირები კი დგანან განზე და მტკიცედ იცავენ ნეიტრალიტეტს, ადგილზე კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა არც კი იციან, ვინ აწარმოებს რადიოფიკაციას. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ საქართველოში მთელი რადიოდადგმულობის 80% არ მუშაობს“,[1] – აღნიშნავდა პრესა.

როგორც ჩანს, ეს საერთო-საკავშირო პრობლემა იყო – რადიოსაქმით მრავალი საბჭოთა უწყება იყო დაკავებული და მას კონკრეტული „პატრონი“ არ ჰყავდა. ამიტომ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის სტრუქტურაში არსებულ რადიოსამმართველოს ფუნქციები გაუფართოვდა და 1931 წელს ეწოდა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან არსებული რადიომაუწყებლობის საკავშირო კომიტეტი, ხოლო 1932 წელს ამ კომისარიატის რეორგანი-

[1] „რადიოფიკაციის გეგმა ჩაშლილია“, გაზ. „კომუნისტი“, 1930, 10.09.

ზაციის გამო – საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატთან არსებული რადიომაუწყებლობის საკავშირო კომიტეტი.

შესაბამისად, 1932 წლის 8 იანვარს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ ხელი მოაწერა დადგენილებას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის მოწყობის შესახებ, რომელიც დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: „თავმჯდომარე – იბრაჰიმ თაღიევი, თავმჯდომარის მოადგილე – ალექსანდრე სტურუა, საქართველოს სსრ კომიტეტიდან – პიმენ ხობუა, აზერბაიჯანიდან – ნ. გორდიენკო, სომხეთიდან – კ. კარაგულიანი“.[1]

ამიერკავკასიის რადიოკომიტეტის საარქივო მასალების მონაცემებით, 1932 წლის ივნისში რადიოში ფუნქციონირებდა შემდეგი სექტორები: 1. სოცკულტურისა და პროპაგანდისტული სექტორი (ი. გაბუნია, გ. მარინაშვილი, გ. ნადირაძე, გ. ცხადაძე). 2. მხატვრული (ი. ბახტაძე, კ. ფეოდოსიშვილი, გ. ტოროშელიძე, ი. ნაზარიანი, ლ. ლუკაშევა). 3. საბავშვო (ო. გველესიანი, გ. მანჯგალაძე, რ. არაქელოვი, ფ. ოვიანი). 4. რადიოგაზეთების რედაქცია (ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე: ვ. დევაძე, ი. ჯავახიშვილი, ვ. ძნელაძე, ვ. ეგნატაშვილი, ი. იოსელიანი, ვ. ბეგიაშვილი, ი. წულუკიძე, ფ. პეჩალინი, მ. ავანესოვი, მ. კორმუნოვი, ვ. არტრიანი და თ. ჰუსეინოვი). 5. კომკავშირული (დ. ბლიაუ, ლ. ანოიანი, ა. გოცირიძე). 6. ფიზკულტურული მაუწყებლობა (ა. წერეთელი, ვ. სამსონიძე).[2]

1932 წლის ოქტომბერში დაიწყო თბილისის რადიოსადგურის ახალი მძლავრი გადამცემის ექსპლოატაცია, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა გადაცემების გავრცელების არე და ხარისხი.

1933 წელს საქართველოში ამუშავდა სტალინის სახელობის 35-კილოვატიანი რადიოსადგური, რომელიც აღჭურვილი იყო უახლესი კონსტრუქციის აპარატურით. აღსანიშნავია, რომ იგი ააგეს ადგილობრივმა სპეციალისტებმა თბილისის რადიოცენტრის სახელოსნოში, რომელიც შემდგომ რადიოქარხნად გადაკეთდა. ამ წელს მოხდა საბჭოთა რადიომაუწყებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია – რადიომაუწყებლობის საკავშირო კომიტეტი გამოვიდა სსრკ კავშირგაბმულობის კომისარიატის დაქვემდებარებიდან

[1] ამ/კ სფსრ კანონები და განკარგულებები, 1932 წ., № 2.

[2] ამ/კავკასიის რადიოკომიტეტი, ფ. 1979, აღ. 1, საქ. 4, გვ. 2.

და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სტრუქტურად, როგორც სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან (შემდგომ მინისტრთა საბჭოსთან) არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის საკავშირო კომიტეტი.

შესაბამისად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთელ ტერიტორიაზე, რადიომაუწყებლობის ერთიანი ხელმძღვანელობის მიზნით, შეიქმნა ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ალექსანდრე სტურუა, ხოლო მოადგილედ პარტიული მუშაკი ივლიანე გაბუნია. რადიოს პასუხისმგებელი მდივნობა და შეთავსებით საგეგმო-ფინანსური ჯგუფის ხელმძღვანელობა დაეკისრა ოთარ აროშიძეს. პარალელურად, ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ხელმძღვანელობებს დაევალათ, მათ ტერიტორიებზე უმოკლეს ვადაში შეექმნათ რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის რესპუბლიკური კომიტეტები. 1933 წლის 8 სექტემბერს მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის რესპუბლიკური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ივლიანე გაბუნია. მოადგილედ – ტერენტი შარიქაძე.[1]

ანალოგიური კომიტეტები ჩამოყალიბდა სომხეთსა და აზერბაიჯანში. ფაქტობრივად, ამიერკავკასიის რადიოკომიტეტი განაგებდა ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების რადიომაუწყებლობათა ფუნქციონირებას და, საერთოდ, მთელ რადიოსაქმეს. ახალ ხელმძღვანელობას დროულად უნდა უზრუნველეყო ადგილობრივი რადიოკომიტეტების ორგანიზაციული და სტრუქტურული რეფორმები, განესაზღვრა რადიომაუწყებლობის მუშაობის ძირითადი მიმართულებები. პრაქტიკამ უჩვენა, რომ რადიოგაზეთის შესაძლებლობანი ოპერატიული ინფორმაციის სფეროში საკმაოდ შეზღუდული იყო, ერთი მხრივ, მისი პერიოდულობით (უკეთეს შემთხვევაში, დღეში ერთი გამოშვება), ხოლო, მეორე მხრივ, ინფორმაციის მოპოვების, გადამუშავებისა და გავრცელების საგაზეთო მეთოდების გადმოტანით, რაც დროის დიდ დანაკარგებს იწვევდა. წინა დღის მოვლენის მეორე დღეს გაშუქება, რაც გაზეთისთვის ოპერატიულად ითვლებოდა, რადიოსთვის ნამდვილად არ იყო საკმარისი. ამიტომ 1932 წლის აგვისტოში რადიოგაზეთები გაუქმდა და

[1] ამ/კავკასიის რადიოკომიტეტი, ფ. 1979, აღ. 2, საქ. 1, გვ. 4.

ოპერატიული ინფორმაციის გავრცელება დაეკისრა „უკანასკნელ ცნობათა“ გამოშვებებს (იგულისხმებოდა, რომ იგი უკანასკნელ მომენტში მიღებულ ცნობებს გადასცემდა). შესაბამისი რედაქცია საკავშირო რადიოში შეიქმნა 1932 წლის 1 სექტემბერს და თავიდან მას ცენტრალური ინფორმაციის რედაქცია ერქვა; პირველ ხანებში იგი ყოველდღიურად მხოლოდ 4 გამოშვებას იძლეოდა. 1932 წლის დეკემბერში, საკავშირო რადიოკომიტეტის მსგავსად, საქართველოშიც შეწყდა რადიოგაზეთების გამოშვება და მის ბაზაზე შეიქმნა „უკანასკნელ ცნობათა და პოლიტიკური ინფორმაციის რედაქცია“, რომელსაც მალე „უკანასკნელი ცნობების“ რედაქცია ეწოდა.

საინფორმაციო გამოშვების ფორმა (ოპერატიული ცნობების ერთად თავმოყრა და ერთსა და იმავე დროს გადაცემა) მეტად ორგანული აღმოჩნდა რადიომაუწყებლობისათვის და დღემდე საყოველთაოდაა გავრცელებული მსოფლიო პრაქტიკაში; თვითონ სახელწოდება „უკანასკნელი ცნობები“ კი იმდენად ხანგამძლე გამოდგა, რომ ექვსი ათეული წლის მანძილზე შემორჩა საქართველოს რადიოს პროგრამას. ასევე, საკავშირო რადიოკომიტეტის ანალოგიით, ამ რედაქციის სტრუქტურაში ჩამოყალიბდა ე.წ. „აქტუალური გადაცემების“ ჯგუფი, რომელიც პირდაპირ რეპორტაჟებსა და ტრანსლაციებს აწყობდა მოვლენათა ადგილებიდან.

საქართველოში პირველი „აქტუალური რადიოგადაცემა“ მოეწყო საგარეჯოდან 1932 წელს. მისი უშუალო მონაწილე, ვეტერანი ჟურნალისტი ვანო ჯავახიშვილი, რომელიც 1929-1938 წლებში მუშაობდა რადიოკომიტეტში, ასე იგონებდა ამ მოვლენას: „პირველი აქტუალური გადაცემა საგარეჯოს კოლმეურნეობიდან გადავეცით. ვიყავით ე. ბახტაძე, მ. მაჭავარიანი, მ. ვოზნესენსკი და მე. ვალაპარაკეთ გლეხები. სოფლის ატმოსფერო რომ შეგვექმნა, მიკროფონი წყაროსთან მივიტანეთ ჩუხჩუხის გადასაცემად. ასევე გადავეცით მამლის ყივილი. გადაცემა ჩვენ არ მოგვისმენია, მაგრამ, როგორც გვითხრეს, ძალიან ემოციური იყო. საერთოდ, აქტუალურ გადაცემებს „რკინის სცენარს“ ვეძახდით, რადგან იგი წინასწარ იწერებოდა და გადაიცემოდა მოქმედების ადგილიდან. ე. ი. წინასწარ გამზადებული სცენარის მიხედვით უნდა განვითარებულიყო მოვლენა. მახსოვს, 1932 წელს გადავეცით აქტუალური გადაცემა პატრიოტულ თემაზე და ცხენოსანთა დივიზია გავატარეთ მიკროფონის წინ, ცხენების ფეხის ხმა რომ გასულიყო ეთერში. მაშინ ყველაფერი პირდაპირ გადაიცემოდა. როცა გადაცემის მოსაწყობად მივდიოდით, მთე-

ლი აპარატურა თან მიგვქონდა და მიგვყავდა ორი ტექნიკოსი. ამავე წელს ვახტანგ ძამაშვილის ხელმძღვანელობით მოვამზადეთ რადიორეპორტაჟი „მარგანეცის გზა“, რომელსაც სამი ბრიგადა გადმოსცემდა სამი ადგილიდან – ჭიათურიდან, ფოთიდან და შორაპნიდან პირდაპირ ეთერში. ძალიან გაგვიჭირდა მაღაროებში შესვლა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ მიკროფონის შეტანა რამდენიმე კილომეტრზე და გადავეცით, თუ როგორ ხდებოდა მარგანეცის მოპოვება“.[1]

„აქტუალური გადაცემები“ უფრო ხშირად ისმოდა ეთერში ხმის ჩამწერი აპარატის – შორინოფონის პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ (იგი 1932-1934 წლებში შექმნა ლენინგრადელმა გამომგონებელმა ალექსანდრე შორინმა).

„უკანასკნელი ცნობები“, პირველ რიგში, პროპაგანდას უწევდა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული კურსის განხორციელებას, რომელიც 1933-1939 წლებში განისაზღვრებოდა მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების, კულტურული რევოლუციისა და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანებით. საინფორმაციო გამოშვებები გადაიცემოდა დღეში სამჯერ – დილით, საღამოს და ღამით ქართულ და რუსულ ენებზე, დღეში ერთხელ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. განსაკუთრებით დიდი დატვირთვა ჰქონდა რადიოს პოლიტიკური მოვლენების გაშუქების დროს, კერძოდ, საარჩევნო კამპანიების, საკავშირო და ადგილობრივი საბჭოების ყრილობისათვის მზადების დღეებში. ამ მიზნით სისტემატურად ეწყობოდა გასვლები საქართველოს რაიონებში და გადაიცემოდა ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკების, მოწინავე მუშების, კოლმეურნეების და სხვა პროფესიის ადამიანების გამოსვლები მიკროფონთან.

„უკანასკნელ ცნობებში“ ჩამოყალიბდა და დაიხვეწა ისეთი რადიოჟანრები, როგორიცაა ინფორმაციული შენიშვნა, ანგარიში, მიკროფონთან გამოსვლა, რეპორტაჟი (ნაკლებად ინტერვიუ), გამოჩნდა რადიოჟურნალისტთა პროფესიული კადრებიც, რომლებიც ძირითადად პრესიდან მოვიდნენ და აითვისეს რადიოჟურნალისტის უნარ-ჩვევები.

იმ დროისთვის დამახასიათებელ ენთუზიაზმს კარგად მოერგო რადიოფორმა „მიკროფონთან გამოსვლა“, რომელსაც თავიდანვე გამოცდილების გაზიარების ფუნქცია დაეკისრა და ადამიანების თვითგამოხატვის საშუალებად ითვლებოდა. მიკროფონთან უმეტე-

[1] ი. ჯავახიშვილი, „განთიადი“, გაზ. „თბილისი“, 1977, 11.02.

სად გამოდიოდნენ მუშები, გლეხები, პარტიული მუშაკები, ნაკლებად მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი. მათ ახასიათებდა ამაღლებული, პათეტიკური ტონი და ოპტიმისტური განწყობა, რასაც დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა აუდიტორიაზე.

1935 წელს საკავშირო რადიომ ქვეყანას ამცნო დონეცკელი მეშახტის ალექსეი სტახანოვის „შრომითი გმირობის" შესახებ და მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. საქართველოს რადიომაც ოპერატიულად შემოიღო ციკლი „სტახანოველთა ტრიბუნა", სადაც სისტემატურად იწვევდნენ შრომის მოწინავეებს, რომლებიც პათეტიკურად საუბრობდნენ თავიანთ წარმატებებზე. ეს იყო გამოცდილების გაზიარების ტრიბუნაც, რომლის პათოსიც მისაბაძი უნდა გამხდარიყო სხვა მშრომელებისთვისაც. სწორედ რადიოთი გააცნო მსმენელებს სტახანოველმა ფეიქარმა ეთერი მაზანაშვილმა ის ბარათი, რომელიც ალექსეი სტახანოვისაგან მიიღო.[1]

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემათა კომიტეტის (როგორც მას მოიხსენიებდნენ ოფიციალურ დოკუმენტებში) „უკანასკნელი ცნობების" რედაქციაში 1934 წლის 27 ივნისის მონაცემებით მუშაობდნენ: 1. გიორგი სურგულაძე – პასუხისმგებელი რედაქტორი (მასვე ევალებოდა წითელარმიელთა გადაცემების ხელმძღვანელობა), 2. ვანო ჯავახიშვილი – ქართულ გადაცემათა პოლიტიკური რედაქტორი, 3. ივანე იოსელიანი – ქართულ გადაცემათა ლიტერატურული რედაქტორი, 4. ემილ ფარსადანოვი – რუსულ გადაცემათა რედაქტორი, 5. ვართან არტრიანი – სომხურ გადაცემათა რედაქტორი (შეთავსებით), 6. მამედ ისკანდაროვი – აზერბაიჯანულ გადაცემათა რედაქტორი (შეთავსებით), 7. ლეო გაბუნია – ორგანიზატორულ-მასობრივი მუშაობის ინსტრუქტორი.[2] მასობრივი მუშაობის ორგანიზატორებს ევალებოდათ რადიოგადაცემების კოლექტიური მოსმენების მოწყობა, მუშებისა და კოლმეურნეების მიკროფონთან გამოსვლების ორგანიზება, რაიონებში და საწარმო-დაწესებულებებში გასვლა რადიოს პოპულარიზაციის მიზნით.

„უკანასკნელი ცნობების" გარდა, რადიოს საინფორმაციო მაუწყებლობაში 1936 წლიდან დამკვიდრდა „თბილისის ახალი ამბები",

---

[1] გ. ენუქიძე, სახელოვანი თარიღი, „საბჭოთა ხელოვნება", 1977, № 4, გვ. 7.

[2] ამ/კავკასიის რადიოკომიტეტი, ფ. 1979. აღ. 1, საქ. 4, გვ. 3.

რომელიც გამოსასვლელი დღეების გარდა, გადაიცემოდა ყოველ-დღე ქართულ და რუსულ ენებზე და დედაქალაქის საჭირბოროტო პრობლემებს ეხებოდა.

30-იანი წლების შუახანებში საბჭოთა უნიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ განაპირობა მასმედიის ცენტრალიზაცია მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და საკავშირო რადიოკომიტეტმა სრული კონტროლი დაამყარა ადგილობრივ რადიოკომიტეტებზე. 1935 წლის შემოდგომაზე, „ამიერკავკასიაში რესპუბლიკური რადიოკომიტეტების გაძლიერების მიზნით“, გაუქმდა ამიერკავკასიის სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი და შეიქმნა საბჭოთა კავშირის ამიერკავკასიის ფედერაციის სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის რწმუნებულთა სამმართველო. შესაბამისად, ალ. სტურუაც ამიერიდან იწოდებოდა როგორც საკავშირო რადიოკომიტეტის რწმუნებული ამიერკავკასიაში. მის მოადგილედ დაინიშნა ნ. ბარტიშევსკი, თანაშემწედ საგეგმო-საფინანსო საკითხებში – ო. არუშიძე, უფროს ეკონომისტად – თ. ლოლაძე. ფაქტობრივად, საქართველოს რადიოკომიტეტს, და ასევე, ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების რადიოკომიტეტებს ორი ზემდგომი ინსტანცია კურირებდა: საკავშირო რადიოკომიტეტი და ამიერკავკასიის რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის რწმუნებულთა სამმართველო, ხოლო ამ უწყებებს – თავად ხელისუფლებისა და კომპარტიის უმაღლესი ორგანოები. ამავე წელს საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა პარტიული მუშაკი არტემ კვირიკაძე, ხოლო მის მოადგილედ – ყოფილი თავმჯდომარე ივლიანე გაბუნია. ეს ცვლილება, სავარაუდოდ, უფრო პოლიტიკური ხასიათისა იყო და მოახლოებული რეპრესიების წინ რადიოგადაცემებზე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან კონტროლის გამკაცრებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, რადიოპროგრამებშიც იმატა პროპაგანდისტულმა გადაცემებმა, რომლებიც კომუნისტური იდეოლოგიის პოზიციებიდან განუმარტავდა მსმენელებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, ეკონომიკისა და კულტურის საკითხებს. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენებოდა ლექციებისა და საუბრების ფორმა, რომელთა ავტორები პარტიული მუშაკები, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელები, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები და მეცნიერები იყვნენ. ასევე, რადიო ფართოდ იყენებდა ცენ-

ტრალური და რესპუბლიკური პრესის მასალებს. საკმარისია თვალი გადავავლოთ პროპაგანდისტულ გადაცემათა სათაურებს და მათი მიზანმიმართულებაც თვალსაჩინო გახდება: „კომუნიზმის მშენებლობის უდიდესი მესაჭე“, „შრომა კომუნისტურ საზოგადოებაში“, „სსრკ მიღწევათა მოკლე მიმოხილვა“, „ლენინი რელიგიის შესახებ“, „ლენინური „ისკრა“ და მისი გავრცელება საქართველოში“ და ა.შ. რადიოს პროპაგანდისტული მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1936 წლიდან სსრკ კონსტიტუციის პროექტის განხილვისა და მიღების პერიოდში. გადაიცემოდა ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები, პასუხები მშრომელთა შეკითხვებზე და ა.შ.

გაიზარდა რადიოპროგრამებში საგანმანათლებლო გადაცემების წილიც. რადიოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიქმნა ახალი სექტორი „თვითგანვითარების დასახმარებლად“, რომელსაც მსმენელებში უნდა გაეღვიძებინა ცოდნის შეძენისა და გაღრმავების სურვილი და დამოუკიდებელი სწავლის ინტერესიც აღეძრა. უმეტესად გამოიყენებოდა როგორც ცენტრალური პრესიდან თარგმნილი, ისე რესპუბლიკური ბეჭდური ორგანოებიდან ამოკრეფილი მასალები. აქვე შედიოდა საუბრები მეცნიერებისა და ტექნიკის შესახებ. მაგალითად, „დედამიწის წარმოშობა“, „რა აღმოაჩინა დარვინმა“, „მიწისძვრების მეცნიერული წინასწარმეტყველება“, „აკადემიკოსი პავლოვი“, „ფრიდრიხ ენგელსი“, „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“ და სხვა. სექტორის პირველი „ორგანიზატორ-ხელმძღვანელი“ იყო აკაკი ძიძიგური.

1936 წლიდან, საკავშირო რადიოს მსგავსად, საქართველოს რადიოკომიტეტმა წამოიწყო სპეციალური ციკლი დიასახლისებისათვის – „აქტიური დიასახლისი“, რომლის მიზანიც იყო ფართოდ ჩაება საბჭოთა ქალები სოციალიზმის მშენებლობაში (იგი გრძელდებოდა ომის პერიოდში და შემდგომშიც). მზადდებოდა გადაცემები იმ ადამიანებზე, რომლებიც კარგად ათავსებდნენ ოჯახურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. ყურადღება დაეთმო მრავალშვილიანობის პრობლემას, რომელიც, როგორც ჩანს, მაშინაც მწვავე ეროვნული საკითხი იყო. გადაიცემოდა ექიმის რჩევები დედათა დასახმარებლად, ბავშვების მოვლასა და აღზრდაზე და ა.შ. ქალებისთვის სპეციალურად შემოიღეს ციკლები ლიტერატურაზე და საქართველოს ისტორიაზე.

1937 წლის ბოლოს საკავშირო რადიომ დაიწყო ლექციების გადაცემა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ისტორიის პროპაგანდის

მიზნით და ყველა რესპუბლიკურ რადიოკომიტეტს დაევალა ანალოგიური გადაცემების უზრუნველყოფა. ეს განპირობებული იყო „საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოცემით, რომელიც დიდი ხნის მანძილზე (ომამდე და ომის შემდგომაც) საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიური აღზრდის საფუძველს და საყოველთაო პოლიტსწავლების ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. წიგნი სასწრაფოდ ითარგმნა ქართულ ენაზე და 1938 წლიდან საქართველოს რადიოს ეთერში დამკვიდრდა გადაცემათა ციკლი „საკავშირო კპ(ბ) ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად“ ქართულ და რუსულ ენებზე. გარდა ლექციებისა, გადაიცემოდა ახსნა-განმარტებითი საუბრები: მაგალითად, „როგორ ვსწავლობ მე ისტორიის მოკლე კურსს“, „ისტორიის მოკლე კურსის მნიშვნელობა“ და ა.შ.

30-იანი წლების შუახანებში გაუმჯობესდა რადიოგადაცემების ხარისხიც. 1935 წლის 26 ივლისს საქ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებაში „რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის შესახებ საქართველოში“ საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „ორდენოსან საბჭოთა საქართველოს უნდა ჰქონდეს სანიმუშოდ მოწყობილი რადიოგადაცემა, რადიოგადამცემი და რადიომიმღები ქსელები – აი, მთავარი ამოცანა“.[1] ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1936 წლის 17 მარტს, გაზეთი „კომუნისტი“ აღნიშნავდა: „ტფილისის რადიოკვანძი ერთ-ერთი მძლავრი კვანძია საქართველოში. ჩვენ მილიონობით მსმენელი გვყავს, გვისმენენ პოლარული არქტიკიდან, ხულოს რაიონის შორეული სოფლიდან, ვლადივასტოკიდან ლენინგრადამდე“. რადიოში გამოჩნდნენ „დამკვრელი“ კორესპონდენტებიც. რადიოკომიტეტის ხელმძღვანელობა სანიმუშო გადაცემების ავტორებს მადლობებითა და პრემიებით აჯილდოებდა. მაგალითად, 1935 წლის სექტემბერში ფრუნზეს სახელობის ქართულმა სამთო დივიზიამ მოაწყო ლაშქრობა მყინვარწვერზე, სადაც უნდა დაედგათ „მსოფლიოში პირველი დიადი სოციალისტური სამშობლოს ყველა სასახელო საქმეთა შემოქმედის და სულის ჩამდგმელის ამხ. სტალინის ბიუსტი. საქ. რადიოკომიტეტს წილად ხვდა გაეწია კულტურული მომსახურება მოლაშქრე მებრძოლებისთვის რადიოგადაცემის სპეციალური მოწყობით. ეს დავალება წარმატებით შეასრულეს ლიტრედაქტორმა ს. ყარაგიშვილმა და გამომშვები ჯგუფის ხელმძღვანელმა ნ. ტომაშჩუკმა, რომლებმაც დასმული ამოცანის შესრულებაში გვიჩვენეს

[1] რადიოფრონტი, 1935 წ., № 23, გვ. 4.

ბოლშევიკური ნებისყოფის ნამდვილი ნიმუშები და საუკეთესო რადიოგადაცემა მოაწყვეს“.[1] ან კიდევ, „დაჯილდოვდეს ოქტომბრის 17 წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულების ასი პროცენტით ხარისხობრივად შესრულებისათვის და დამკვრელური მუშაობის წარმოებისთვის კომიტეტის თანამშრომელი ფარსადანოვი ემილი“[2] და ა.შ. უმთავრესად, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად გამოკვეთილი რადიოგადაცემები იმსახურებდა ხელმძღვანელობის მოწონებას. და, პირიქით, საყვედურებით და სამსახურიდან გათავისუფლებით ისჯებოდნენ ის თანამშრომლები, რომლებიც სათანადო „იდეურ სიფრთხილეს“ ვერ იჩენდნენ. მაგალითად, 1935 წლის 28 თებერვლის ბრძანებით, „უკანასკნელი ცნობების“ ლიტრედაქტორებს ე. ფარსადანოვსა და ი. იოსელიანს „გადაცემის „მეტალურგები სტალინთან, მოლოტოვთან და ორჯონიკიძესთან“ ბიულეტენში სტალინის სიტყვის გამოტოვებისთვის, რაც მიეწერება კლასიკური სიფხიზლის მიძინებას, გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური შრომის სიაში შეტანით“,[3] ამავე დროს ყველა რადიომუშაკს მიეცა გაფრთხილება „კლასიკური სიფხიზლის გამახვილებისათვის“.

1936 წლის 1 ივლისს გაუქმდა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის რწმუნებულთა სამმართველო, და შესაბამისად, რწმუნებულის თანამდებობაც. ამჯერად, ალ. სტურუამ საქართველოს რადიოკომიტეტის თავმჯდომარე არტემ კვირიკაძე შეცვალა. რამდენიმე თვეში ავადმყოფობის გამო ისიც გათავისუფლდა ამ თანამდებობიდან და მის ადგილზე გიორგი მიროტაძე დაინიშნა, რომლის თავმჯდომარეობაც ხანმოკლე გამოდგა. ერთი წლის შემდეგ მას რადიოკომიტეტში „მუშაობის ჩაშლა“ დაბრალდა და ცნობილი რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა. 1937 წლის აგვისტოდან საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტს სათავეში ჩაუდგა შალვა ცაგარეიშვილი.

ამ პერიოდისთვის რადიოში ფუნქციონირებდა შემდეგი სექტორები (ხან მათ რედაქციებსაც უწოდებდნენ): პოლიტმაუწყებლობის სექტორი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამავე დროს თავმჯდომა-

---

[1] ამ/კავკასიის რადიოკომიტეტი, ფ. 1979, აღ. 2, საქ. 4.

[2] იქვე, საქ. 7, გვ. 25.

[3] იქვე, გვ. 18.

რის ერთ-ერთი მოადგილე ა. ლევიტი; აგიტაცია-პროპაგანდის სექტორი – პასუხისმგებელი რედაქტორი გ. მანჯგალაძე, რედაქტორები: ლ. გაბუნია, ა. ჭყონია და მ. ვოზნესენსკი; ლიტერატურულ-დრამატული სექტორი – პმ/გ რედაქტორი ა. გაბესკირია, რედაქტორები: გ. ნადირაძე, ა. კარამიანი; საბავშვო სექტორი – პმ/გ რედაქტორი ა. ცერცვაძე, რედაქტორები: ა. ძიძიგური, ე. ჩოდრიშვილი, ხ. ალიევა; მუსიკალური სექტორი – პმ/გ რედაქტორი ალ. ბუკია, რედაქტორები: რ. შავერდიანი, ს. ნიქაბაძე, ი. მოლჩანოვი; „უკანასკნელი ცნობების" რედაქცია – პმ/გ რედაქტორი შ. ტაბატაძე, ლიტერატორები: გ. გიორგაძე და ნ. ტყემალაძე; სომხურენოვან „უკანასკნელ ცნობებს" ხელმძღვანელობდა მ. ასლანიანი, ხოლო აზერბაიჯანულს – მ. მურადოვი. არსებობდა სხვა საშტატო ერთეულებიც: არასტუდიური ჩანაწერების ორგანიზატორი – ლ. გაბუნია, კორესპონდენტი – მ. ჭეიშვილი, რეპორტიორი – ვ. ფირანიშვილი, „მასოვიკ-ორგანიზატორი", მემონტაჟე, ხმის ოპერატორი, რადიოფონიკი და სხვ., ასევე რადიოფიკაციის სექტორი – უფროსი კ. კონტრიკაძე და ძირეული მაუწყებლობის სექტორი პ. ჯავახაძის ხელმძღვანელობით (ეს სექტორი კურირებდა რეგიონებში ადგილობრივი რადიოკვანძების მუშაობას).[1]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გამომშვები სექტორი, რომელიც რადიოს დიქტორებს აერთიანებდა. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი დიქტორის პროფესიას, რომელიც რადიოს დაარსების დღიდანვე მისი აუცილებელი ატრიბუტი გახდა. ზეპირი სიტყვის მასობრივი გავრცელების შესაძლებლობამ განაპირობა მიკროფონთან წამკითხველის ახალი პროფესიის წარმოშობა. რადიოპროგრამების დიდ ნაწილს დიქტორები ახმოვანებდნენ. ამ თანამდებობაზე 30-იანი წლების შუახანებამდე რადიოკომიტეტში ძირითადად სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები მუშაობდნენ, რომლებმაც გამოცდილება პრაქტიკულ საქმიანობაში შეიძინეს და დაეუფლნენ ახალ პროფესიას. ა. ბოიარსკი, ვ. ჯაფარიძე, ალ. ცერცვაძე, ც. ამირეჯიბი, აკ. ბოხუა, ნ. ტომაშჩუკი, ნ. ტიმოშჩენკო, ლ. სოლნცევი და ტ. შლეტერი, შეიძლება ითქვას, რომ პირველი დიქტორები იყვნენ. უმრავლესობამ 1936 წლამდე იმუშავა, გარდა ა. ბოიარსკისა, რომელიც 1938 წელს დაინიშნა უფროს დიქტორად, ხოლო 1945 წლიდან სხვა თანამდებობაზე გადავიდა. 1933 წლიდან საქართველოს რადიოკომიტეტში შეიქმნა დიქტორთა სატარიფო-საკვალიფიკაციო კომისია, რომე-

[1] ამ/კავკასიის რადიოკომიტეტი, ფ. 1979, აღ. 1, საქ. 17, გვ. 24.

ლიც დამსახურების მიხედვით ანიჭებდა დიქტორებს IV, III, II, I და უმაღლეს კატეგორიებს. სწორედ კონკურსის საფუძველზე რადიოს ქართული გადაცემების დიქტორებად მიიღეს ქეთო ლანდია, თამარ ლეჟავა, ქეთევან კერესელიძე, თამარ გათენაშვილი, ალექსანდრე ცერცვაძე, რუსული გადაცემების დიქტორად – ეკატერინე ფლიასტერი, აზერბაიჯანული გადაცემების – ალი-ზადე-ჰასანი. 1934 წლიდან დაიწყეს რადიოში მუშაობა აზერბაიჯანულ-რუსულ გადაცემათა დიქტორად ლუსია აბრამიანმა და სომხური გადაცემების – ემა ანმეგიკიანმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რადიოკომიტეტი ყოველწლიურად მიავლენდა დიქტორებს მოსკოვში, საკავშირო რადიოკომიტეტის დიქტორთა გადასამზადებელ ერთთვიან კურსებზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ეს ტრადიცია საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდებოდა.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რადიოკომიტეტის თანამშრომლები რადიომეტყველებას და მხატვრული კითხვის ხელოვნების დაუფლებას, ამას გაზეთ „კომუნისტის“ 1936 წლის 17 მარტის ნომერში დაბეჭდილი გ. ნადირაძის, ნ. შესტკოვისა და პ. კობახიძის წერილიც გვიჩვენებს სათაურით „ლიტერატურა მიკროფონთან“. მასში გაანალიზებულია რადიოკომიტეტის მუშაობა და საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „რედაქციაში უკვე ერკვევიან რადიოს სპეციფიკაში და იციან, რომ მათ არსებითად ორი ამოცანა აქვთ: სააქტიორო და საავტორო – ორივე მეტად მნიშვნელოვანია. რადიოს აქვს თავისი სამეტყველო კანონი, ყველას როდი შეუძლია მიკროფონთან კითხვა. ჩვენი მსახიობები ჯერ კიდევ ვერ იყენებენ თავიანთ მხატვრულ შესაძლებლობებს მიკროფონთან, რადგან მიკროფონი ჯერ კიდევ ბევრისთვის „საიდუმლო აპარატია“. გვყავს ასეთებიც: უ. ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, აკ. ხორავა, ვ. გოძიაშვილი, აკ. ვასაძე და სხვები. ისინი ძალიან უყვართ მსმენელებს“.

1938 წლიდან დაიწყო რადიოკომიტეტში დიქტორის თანამდებობებზე მსახიობების მიწვევაც, რომლებსაც მეტყველების უფრო მაღალი კულტურა გააჩნდათ და მიკროფონთან მუშაობის ხელოვნებასაც იოლად ითვისებდნენ. ასეთი დიქტორები იყვნენ აკ. ხორავას სახელობის დრამატული სტუდიის კურსდამთავრებული დავით სპირანდი და კინომსახიობთა სასწავლებლის ყოფილი სტუდენტი დავით ძიგუა. საქართველოს რადიოში უკვე ორმოციან წლებში ჩამოყალიბდა დიქტორთა პროფესიული სკოლა, რომელმაც ბევრი ნიჭიე-

რი დიქტორი დააოსტატა და დიდი როლიც შეასრულა რადიოს პოპულარიზაციაში.

30-იანი წლების შუახანებში რესპუბლიკურ პრესას რადიომაუწყებლობის სპეციალური ბეჭდური ორგანოც შეემატა, რაც მიანიშნებდა, რომ რადიო უკვე ჩამოყალიბებული იყო მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელ საშუალებად, ჟურნალისტიკის ახალ სახეობად და მას სერიოზული იდეოლოგიური, ორგანიზატორული და კულტურული ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. რადიოს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით უსმენდნენ სხვადასხვა პროფესიის, ეროვნებისა თუ ასაკის ადამიანები და მათ მეტი ინფორმაცია სჭირდებოდათ რადიოს შესახებ.

მართალია, რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის საკითხებზე რადიოს დაარსების დღიდანვე წერდნენ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები და რადიოპროგრამებიც იბეჭდებოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და აუცილებელი გახდა საკუთარი, ე.წ. რადიოპრესის შექმნა. პირველი ასეთი ორგანო 1935 წლის 15 თებერვალს გამოვიდა და ეწოდებოდა „რადიოგაზეთი“, „საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემის კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რადიოს ხელშემწყობი კომიტეტის ორგანო“ (ერთხანს კომკავშირს რადიოს შეფობაც ევალებოდა და ამიტომ ცხადდებოდა იგი გაზეთის თანაგამომცემლად). მალე კომკავშირი დასახელებიდან ამოვარდა და ერთადერთ გამომცემლად დარჩა რადიოკომიტეტი. გაზეთს რედაქტორობდა რადიოკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ივლიანე გაბუნია. მეორე და შემდეგი ნომრები შეცვლილი სახელწოდებით გამოვიდა „რადიოპროგრამები“, „რადიომსმენელთა დამხმარე“, თუმცა დარჩა იმავე სახით და იმავე რედაქტორით. ეს მცირე ფორმატის გაზეთი ილუსტრირებული იყო, გამოდიოდა თვეში სამჯერ და მის ფუნქციას შეადგენდა მსმენელებისათვის „ამხ. სტალინის სახელობის რადიოსადგურის გადაცემათა პროგრამების“ გაცნობა, მათი ორიენტაცია სათანადო გადაცემებზე, რომლებიც რუბრიკების საშუალებით დალაგებული იყო თემატიკისა და აუდიტორიის გათვალისწინებით: „დაუსწრებელი რადიო პარტ-სწავლება“, „საკოლმეურნეო გადაცემები“, „მუსიკალური გადაცემები“, „საბავშვო გადაცემები“ და სხვ.

გარდა ამისა, პირველ გვერდზე რუბრიკით „მოისმინეთ“ იბეჭდებოდა მნიშვნელოვანი გადაცემების მოკლე ანოტაციები, რუბრი-

კები: „ყოველდღე“, „გამოსასვლელი დღეების გარდა“, „გამოსასვლელ დღეებში“. გარკვეული ადგილი ეთმობოდა რადიომსმენელთა გამოხმაურებებსაც რუბრიკით „რადიომსმენელები რადიოგადაცემების შესახებ“. გაზეთის ფურცლებზე რადიოს პროპაგანდას უწევდნენ ცნობილი ქართველი მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. მაგალითად, შალვა დადიანი წერილში სათაურით „რადიოსათვის“ განსაკუთრებულად მიანიშნებდა რადიოს აღმზრდელობით დანიშნულებაზე, მის როლზე სიტყვაკაზმული მწერლობის პოპულარიზაციაში და თანადგომასაც ჰპირდებოდა: „ჩემის მხრით, მზად ვარ, რაც კი ხელიდან გამომივა, თუ დაგჭირდებით, ვემსახურო რადიოს, რომლის მნიშვნელობაც სოციალისტური მშენებლობის საქმეში მეტად დიდია და საჭირო“.[1] ამავე სათაურით მომდევნო ნომერში დაიბეჭდა სანდრო შანშიაშვილის წერილიც, სადაც იგი საკუთარ გრძნობებს რადიოს მიმართ შემდეგი სიტყვებით გამოხატავდა: „მიყვარს რადიო და აღტაცებული ვარ. ჩემი სურვილია საქართველოს რადიომ მეტი ყურადღება მიაქციოს სხვადასხვა კუთხის ხალხურ შემოქმედებას, როგორც სიმღერებს, ისე კაზმულ სიტყვიერებას“.[2]

„რადიოპროგრამები“ პოლიტიკური ხასიათის წერილებსაც ბეჭდავდა – ძირითადად რადიოკომიტეტის ხელმძღვანელთა გამოხმაურებებს ხელისუფლების მიერ მიღებულ დადგენილებებზე რადიოს დარგში და სხვა ხასიათის მასალებს.

1935-36 წლებში „რადიოპროგრამების“ პარალელურად კიდევ ერთი გაზეთი გამოდიოდა „რადიოფრონტის“ სახელწოდებით (ეს სათაური საკავშირო რადიოკომიტეტის ორკვირეული ჟურნალის ანალოგიით დაერქვა). მასაც ი. გაბუნია რედაქტორობდა და რადიოპროგრამებისა და ანოტაციების გარდა, სხვა საინტერესო ინფორმაციებსაც ბეჭდავდა რადიოს შესახებ. თუმცა ძნელი ასახსნელია, თუ რატომ გამოსცემდა ერთი და იგივე ორგანიზაცია ერთდროულად ორ ერთნაირ გაზეთს. 1935 წელს გამოსვლას იწყებს რადიოკომიტეტის კიდევ ერთი ყოველთვიური ორგანო (პატარა ალბომის სახით) „საბავშვო რადიოგადაცემების პროგრამა“, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ვახტანგ ძამაშვილი. როგორც სათაური მიგვანიშნებს, იგი ბეჭდავდა საბავშვო მაუწყებლობის რადიოპროგრამებს და რეკლამას უწევდა საბავშვო გადაცემებს. გამოდიოდა

---

[1] „რადიოგაზეთი“, 1935 წ., № 1, გვ. 1.

[2] რადიოპროგრამები, „რადიომსმენელის დამხმარე“, 1935 წ., № 2, გვ. 4.

ქართულ და რუსულ ენებზე, სავარაუდოდ, ერთი წლის განმავლობაში. რადიოპრესის 1935-36 წლების სხვა ნიმუშები ჯერჯერობით მიუკვლეველია და, საფიქრებელია, რომ 40-იან წლებამდე არც გამოდიოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1939 წლის 26 ნოემბერს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით ერთჯერად გამოცემას „რადიობიულეტენს". იგი ოთხგვერდიანია და მასში დაბეჭდილია მასალები ადგილობრივი რადიოკვანძების მუშაობაზე არჩევნების შესახვედრად და რადიოგადაცემების ცხრილები. 1940 წლიდან „რადიოპროგრამები" კვლავ იწყებს გამოსვლას გაზეთის სახით, მაგრამ 1941 წლის ივნისში ისევ წყდება ომის დაწყებასთან დაკავშირებით. რადიოპრესის ეს პირველი ნიმუშები მეტად საინტერესო მასალას შეიცავს საქართველოს რადიოს ისტორიის ომამდელ პერიოდზე და გვეხმარება ქართული საბჭოთა რადიოჟურნალისტიკის განვითარების ძირითადი პროცესების გარკვევაში.

1936 წელს რადიოს მუშაობის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პრაქტიკაში პროფესორ შორინის მიერ დამზადებულმა ხმის ჩამწერი და აღმდგენი აპარატის „შორინოფონის" დანერგვამ. 1936 წელს მოეწყო პირველი საცდელი გადაცემა – შორინოფონით ჩაიწერა ნაწყვეტები ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი" თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდიის ახალგაზრდა მომღერლების შესრულებით, 22 მარტს კი ჩაიწერა საქართველოს რადიოფესტივალზე გამოსულ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი.

შორინოფონს ფართოდ იყენებდნენ სტუდიისგარე ჩანაწერებისათვის, ძირითადად აქტუალური გადაცემების მოსამზადებლად. ასეთ ჩანაწერებზე განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული, რამდენადაც კომიტეტში მხოლოდ რამდენიმე შორინოფონი არსებობდა, მოთხოვნილება კი დიდი იყო. თანამშრომლები საგანგებოდაც კი იყვნენ გაფრთხილებული, რომ „არასტუდიური გადაცემების მომზადება მხოლოდ კომიტეტის ხელმძღვანელობასთან გეგმისა და თემის შეთანხმების შემდეგაა ნებადართული".[1] სულ მალე კი საქართველოს რადიოკომიტეტმა საკმაო რაოდენობის შორინოფონის კომპლექტი მიიღო და შექმნა „ხმოვანების ჩამწერი ლაბორატორია", რომელიც დაექვემდებარა რადიოკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ივ. გაბუნიას, ტექნიკურ ნაწილს ხელმძღვანელობდა ს. კას-

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 3, გვ. 6.

რაძე. შეიქმნა აგრეთვე ე.წ. მექანიკური გადაცემების სექტორი, რომელსაც ევალებოდა პროგრამისთვის შორინოჩანაწერებისა და ტონფილმების მომზადება (ტონფილმს უწოდებდნენ კინოფირზე ჩაწერილ მუსიკალურ და ხმოვან ფონოგრამას, რომელიც განკუთვნილი იყო რადიოქსელში გადასაცემად და ფართოდ გამოიყენებოდა პრაქტიკაში მაგნიტური ჩაწერის დანერგვამდე). სექტორს ხელმძღვანელობდა ინჟინერი ოთარ ქუთათელაძე.

რადიომუშაკები ცდილობდნენ ყოველ მნიშვნელოვან მოვლენასა თუ ღონისძიებას „აქტუალური გადაცემებით“ გამოხმაურებოდნენ და უფრო ემოციური და რადიოგენური პროდუქცია მიეწოდებინათ მსმენელებისათვის. „აქტუალურ გადაცემებს“ ჯერ კიდევ არ უწოდებდნენ რეპორტაჟებს, მაგრამ მათში უკვე გამოკვეთილი იყო რადიორეპორტაჟისათვის დამახასიათებელი ნიშნები: დინამიკური თხრობა, „დასწრების ეფექტის“ შექმნა, ჟურნალისტის პიროვნების თვითწარმოჩენა და ა.შ. ასე მაგალითად, 1936 წელს სსრკ უმაღლესი ჯილდოები გადაეცათ საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებს, მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს. 30 მარტს მოსკოვში მყოფი დელეგაცია თბილისში დაბრუნდა და რადიოც ოპერატიულად „აქტუალური გადაცემით“ გამოეხმაურა ამ მოვლენას. რადიოპრესა ასე აღწერდა ამ პროცესს: „30 მარტს ღამის 11 საათზე მიკროფონს დაასეირნებდნენ ტფილისის სადგურის ბაქანზე. – ამხანაგებო, მატარებელი, რომელსაც მოჰყავს დელეგაცია, უკვე გამოჩნდა, – აცხადებენ რადიოში და მსმენელი ისე გრძნობს თავს, თითქოს ისინიც ესწრებიან წარჩინებულ ადამიანებთან შეხვედრას. სადგურზე მოძრაობა, ზარის რეკვა, მატარებლის შემოსვლა და ორთქლმავლის საყვირი – ყველაფერი ეს გარკვევით ისმის რადიომიმღებში. დაიწყო მიტინგი და მიკროფონმა გადასცა ამხ. ნიორაძის და პილოტი ქალის რუსუდან ჟორდანიას სიტყვები. მოზღვავებული ხალხის ვაშა ისმის რადიოში. 30 მარტის რადიოგადაცემა ტექნიკურადაც საუკეთესო იყო“.[1] ასეთივე რადიორეპორტაჟები მომზადდა ხაშურის რკინიგზის სადგურიდან, სტახანოველთა ბინებიდან, ქუთაისიდან, საგარეჯოს, გურჯაანის რაიონებიდან.

რადიო შეძლებისდაგვარად ცდილობდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში ჰყოლოდა მსმენელი და რუბრიკით „საერთაშორისო ცხოვრება“ კვირაში სამჯერ გადასცემდა ჯეროვნად

[1] აქტუალური გადაცემა ტფილისის სადგურიდან, „რადიოფრონტი“, 1936 წ., 1.

ცენზურაგავლილ ინფორმაციებს უცხოეთის შესახებ, უმეტესად კი – ცენტრალური და რესპუბლიკური პრესიდან ამოღებულ მასალებს. ამ პერიოდში მეტი ყურადღება დაეთმო ფაშიზმის მხილებას (ანტიფაშისტური პროპაგანდა დაიწყო ჯერ კიდევ 1934 წლიდან – ლაიპციგის ცნობილი პროცესისა და შემდგომ ესპანეთის სამოქალაქო ომის გაშუქებით, მაგრამ ამ პერიოდში უფრო გაძლიერდა). გაჩაღდა თავდაცვისა და სამხედრო მომზადების ფართო პროპაგანდა (როგორც ჩანს, საზოგადოებრივი აზრის მომზადება მომავალი ომისთვის). 1939 წლიდან გამოჩნდა პროგრამებში ახალი რუბრიკა „ქიმიის ისტორიიდან“, რომელშიც საუბარი იყო ატომის აგებულებაზე და მისი გამოყენების შესაძლებლობაზე, ასევე ქიმიის როლზე ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

ამავე წლიდან დაიწყო რადიოში რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვებისა და კვირაში 4-ჯერ ცენტრალური გაზეთების – „პრავდისა“ და „იზვესტიის“ მოწინავე სტატიების თარგმანების გადაცემა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, საქართველოს რადიო 30-იან წლებში მაუწყებლობდა 6 ენაზე, მათ შორის დროდადრო აფხაზურ და ოსურ ენებზეც. ჟურნალ „ტექნიკა და შრომაში“ 1938 წლის 4-5 ნომერში გამოქვეყნებული ცხრილის მიხედვით, ენობრივი თვალსაზრისით, რადიოგადაცემების პროცენტული ბალანსი შემდეგნაირია: გადაცემებს ქართულ ენაზე უკავია 60%, რუსულენოვანს (მოსკოვიდან ტრანსლაციების გარეშე) – 20%, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანს – 10-10%. თუ მოსკოვის რადიოკომიტეტის ტრანსლაციებსაც გავითვალისწინებთ, რომელიც ყოველდღე შეადგენდა დაახლოებით 3 საათს, ცხადია, რომ საქართველოს რადიოში რუსულენოვანი გადაცემების წილი საკმაოდ მაღალი იყო. ზოგიერთი ტრანსლირებული გადაცემა ითარგმნებოდა ქართულადაც და ორ ენაზე გადაიცემოდა ერთსა და იმავე დღეს. ამ პრაქტიკას ხელოვნური ხასიათი ჰქონდა და უფრო პოლიტიკური მოსაზრებით იყო განპირობებული.

30-იანი წლების შუახანებში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური რადიომაუწყებლობა, რომელიც წარმატებით ასრულებდა იდეოლოგიურ და ინფორმაციულ ფუნქციებს, სოციალისტური სინამდვილის მძლავრი აგიტატორი და პროპაგანდისტი იყო. ამასთანავე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და რადიოაპარატურის გაუმჯობესებამ ბიძგი მისცა რადიოჟანრებისა და რადიოფორმების სტრუქტურული და გამომსახველობითი შესაძლებლობების განვითარებას, ხოლო წინასწარ დაფიქსირების საშუალებამ გაა-

ფართოვა ხმოვანი დოკუმენტალისტიკის საზღვრები და მაშინდელი საზოგადოებრივი რეალობის ერთგვარ მემატიანედ მოგვევლინა.

რაც შეეხება მხატვრულ მაუწყებლობას, ამ პერიოდში უკვე გამოკვეთილია მისი სამი ძირითადი მიმართულება: ლიტერატურული, დრამატული და მუსიკალური გადაცემები. თუმცა ლიტერატურულ-დრამატული მაუწყებელობა 1927-1930 წლებში ჯერ კიდევ საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა: მ. გორკის ნაწერების მხატვრული კითხვა, ლ. ტოლსტოის დაბადების 100 წლისთავი, ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები, ნაწყვეტები ჯონ რიდის წიგნიდან „ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო". რევოლუციური პიესა „ანზორის" ტრანსლაცია, მხატვრული პროგრამა გლეხებისათვის, კონცერტებისა და ოპერების ტრანსლაციები და სხვა უსისტემოდ გადაიცემოდა ეთერში. ჯერ კიდევ არ ჩანდნენ ქართველი მწერლები მიკროფონთან.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ" მიღების შემდეგ. მასში აღნიშნული იყო, რომ „ამჟამად, როცა პროლეტარული ლიტერატურისა და ხელოვნების კადრები უკვე აღიზარდნენ, ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან და კოლმეურნეობებიდან დაწინაურდნენ ახალი მწერლები და მხატვრები, არსებული პროლეტარული სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა ჩარჩოები უკვე ვიწრო ხდება და აფერხებს მხატვრული შემოქმედების სერიოზულ გაშლას".[1] აქედან გამომდინარე, გაუქმდა მწერალთა სხვადასხვა დაჯგუფებები და ყველა მწერალი საერთო მწერალთა კავშირში გაერთიანდა. ამ დადგენილებით ბოლო მოეღო პროლეტარ მწერალთა გაბატონებულ მდგომარეობას და ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს მიკროფონთან გამოსვლის საშუალება მიეცათ.

რადიოს შემდგომ მუშაობაზე დადებითი გავლენა იქონია 1934 წლის 8 აპრილს მოსკოვში ჩატარებულმა საკავშირო შემოქმედებითმა თათბირმა მხატვრული მაუწყებლობის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მხატვრული ფორმების განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1934 წლის 17 აგვისტოს საბჭოთა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა, რომლის შემდეგაც ბოლო მოეღო პროლეტარ მწერალთა ლაშქრობას კლასი-

[1] პარტიული და საბჭოთა ბეჭდური სიტყვის შესახებ, 1956 წ., გვ. 580.

კოსთა წინააღმდეგ და ეთერშიც გაისმა „კლასიკური მემკვიდრეობის“ ციკლის გადაცემები. რადიო კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი პოპულარიზატორი გახდა. იგი განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნავდა ქართველი მწერლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან თარიღებს და ყოველ ლიტერატურულ მოვლენას აქტიურად ეხმიანებოდა.

1935 წლის 17 ოქტომბერს ვაჟა-ფშაველას ნეშტი დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს. 11 ოქტომბერს რადიომ გადასცა ვაჟასადმი მიძღვნილი ორგანყოფილებიანი შემოქმედებითი საღამოს რადიორეპორტაჟი; „პირველ განყოფილებაში ვაჟას შემოქმედებაზე ისაუბრა კარლო კალაძემ, გადაიცა შიო მღვიმელის მოგონება მასზე. II განყოფილებაში პოეტებმა ვ. გაფრინდაშვილმა, ალ. გომიაშვილმა, გ. კაჭახიძემ და ი. ბურჭულაძემ წაიკითხეს ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები. ფანდურზე შესრულდა ვაჟას ზოგიერთი სიმღერა. აღსანიშნავია, რომ რადიომ გადასცა ახალ-ახალი მასალები, რომლებიც რამდენიმე დღის შემდეგ დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში“.[1]

რადიომ მასშტაბურად აღნიშნა აკაკი წერეთლის დაბადების 95 და გარდაცვალების 20 წლისთავი. გადაიცა მოხსენებები აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მისი საუკეთესო ლექსები და ნაწყვეტები მოთხრობებიდან, ლიტერატურული მონტაჟი „ნათელა“. 15 თებერვალს კი პირველად გაისმა ეთერში აკაკის ხმა – ჩაწერილი 1914 წელს გრამოფონის ფირფიტაზე – რამდენიმე ლექსი და „სიტყვა ახალგაზრდობას“.

„ეს ფირფიტა დიდ იშვიათობას წარმოადგენს და მისი გადაცემა დიდად საინტერესო იქნება ჩვენი მსმენელებისათვის, რომლებიც გაეცნობიან აკაკის ხმას და მის მანერას ლექსის დეკლამაციისას“,[2] – აღინიშნებოდა პრესაში. აკაკის ხმის ეს ჩანაწერი დღეს საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდის“ კუთვნილებაა.

დიდი სამზადისი გააჩაღა რადიომ ილია ჭავჭავაძის 100 წლის იუბილის დღეებში და მთელი საიუბილეო კვირის განმავლობაში არ შეწყვეტილა ეთერში ილიას ნაწარმოებების კითხვა. გადაიცა ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „განდეგილი“, დისპუტი „ჩატეხილი ხიდის შესახებ“ და სხვ.

---

[1] ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი საღამო რადიოში, „რადიოფრონტი“, 1935 წ. 21 ნოემბერი.

[2] აკაკი წერეთლის იუბილე, „რადიოგაზეთი“, 1935 წ. 15 თებერვალი.

რადიო ხშირად უთმობდა ეთერს ვ. ბარნოვის, ნ. ლორთქიფანიძის, ე. ნინოშვილისა და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებებს. მსმენელების დიდი მოწონებით სარგებლობდა ლიტერატურული ციკლები: „საუბარი ძველ ქართულ მწერლობაზე“, „ქართული პოეზიის საღამო“, „ქართული პროზის საღამო“, „ლიტერატურული კრიტიკის საღამო“, ასევე ცალკეული მწერლებისადმი მიძღვნილი გადაცემები. ინფორმაციული ხასიათისა იყო ხუთწუთიანი „ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი“, რომელიც მოკლედ ასახავდა საბჭოთა მწერლების ბიოგრაფიების მნიშვნელოვან მომენტებს.

მხატვრულ მაუწყებლობაში რადიოგენურობით გამოირჩეოდა გადაცემათა ციკლი „მწერალი მიკროფონთან“, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველი მწერლების პოპულარიზაციას ფართო მასებში. 1933-1937 წლებში საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი პროლეტარი თუ არაპროლეტარი შემოქმედი, მიკროფონთან რომ არ გამოსულიყო. ამ დროისათვის უკვე ბევრს მოესწრო ახალ ცხოვრებასთან შეგუებაც და საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციასა და საკოლმეურნეო გარდაქმნებზე ნაწარმოებების შექმნაც. მსმენელები ამჯერად ეთერითაც ეცნობოდნენ მათ შემოქმედებას. მაგალითად, როგორც რადიოგადაცემების ანონსები იუწყება: „1938 წლის 26 ოქტომბერს საკ. ალკკ 20 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყობა პოეტების გამოსვლა მიკროფონთან. კომკავშირისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ გ. ტაბიძე, ი. მოსაშვილი, ირ. აბაშიძე, ა. მაშაშვილი, კ. ბობოხიძე, ს. თავაძე“. ასევე წინასწარ იტყობინებოდნენ, რომ „ლიტ-დრამ სექტორმა დაამუშავა სადღესასწაულო წინადღეების რადიოგადაცემის პროგრამა ერთი დეკადისთვის. მიკროფონთან გამოვლენ მწერლები მ. ჯავახიშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია“; „ორდენოსანი პოეტი პ. იაშვილი წაიკითხავს ახალ ლექსებს“, „გ. ტაბიძე მიკროფონთან“ და ა.შ. რა თქმა უნდა, მიკროფონთან წასაკითხი მასალა წინასწარ იყო შერჩეული და მათში ჭარბობდა ახალი ცხოვრების ამსახველი თემები, სამოქალაქო ლირიკა და სოციალიზმის იდეალიზაცია. ამიტომ ყოველგვარ გადახრას „სოციალისტური რეალიზმისაგან“ რადიო კრიტიკული გადაცემებით ხვდებოდა. ეთერი ხშირად ეთმობოდა ლიტერატურულ დისპუტებს. მაგალითად, გადაიცა დისპუტები კ. ლორთქიფანიძის, დ. შენგელაიას, ალ. ქუთათელისა და ს. ჩიქოვანის შემოქმედების ირგვლივ. ასევე რადიოს მხედველობიდან არ გამორჩენია იმ პერიოდში ორგანიზებული პოლემიკა „ფორმალიზმის“ შესახებ.

რადიოში პირველად გაისმა კრიტიკული სიტყვები კ. გამსახურდიას მისამართით გადაცემაში „მთვარის მოტაცების შესახებ“, რომელიც მიმართული იყო ე.წ. „ლიტერატურშჩინის“ წინააღმდეგ. გადაიცა „ნ. მიწიშვილის შემოქმედების საღამო. კრიტიკული განხილვა და მწერლის შემოქმედების ნიმუშები“.

1937 წელს რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით რადიოს ლიტერატურულ-დრამატულმა სექტორმა უდიდესი საქმე გააკეთა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისათვის და სათავე დაუდო ეთერში პოემის მხატვრულ კითხვას. „მართალია, საქართველოში არ მოიპოვება ადამიანი, რომლისთვისაც უცხო იყოს შოთა რუსთაველის სახელი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მრავლადაა ისეთებიც, ვისაც წაკითხული არა აქვს „ვეფხისტყაოსანი“... ტექსტის შესწავლა ჩვენგან მოითხოვს სწორ შესატყვისს, ინტონაციას, მელოდიკას, რიტმის პოვნას. მხატვრულმა მეტყველებამ სიცოცხლე უნდა შესძინოს შოთას სტრიქონებს. უნდა ითქვას, რომ პოემას ჯერ კიდევ არ ჰყავს ნამდვილი საესტრადო წამკითხველი“,[1] – აღინიშნებოდა პრესაში. მალე გამოჩნდნენ „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო წამკითხველები: ვ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე, ა. ხორავა, უ. ჩხეიძე, თ. წულუკიძე, ა. იმედაშვილი და სხვები. 30-იან წლებში სწრაფად განვითარდა მხატვრული კითხვის ხელოვნება. ბევრი კარგი სიტყვის ოსტატი წარმოაჩინა რადიომ, დამკვიდრდა რუბრიკა „მსახიობი მიკროფონთან“, რომელმაც მსახიობთა მეტყველების კულტურის ამაღლებასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

რადიო დიდ ადგილს უთმობდა რუსულ კლასიკურ მწერლობასა და დასავლეთ ევროპის რევოლუციურ ლიტერატურას. განსაკუთრებული ყურადღება კი მიმართული იყო სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკების ლიტერატურული ცხოვრების პოპულარიზაციაზე. მათი პროპაგანდა, სოციალისტური ამოცანებიდან გამომდინარე, მასების ესთეტიკურ, კულტურულ და ინტერნაციონალურ აღზრდას ემსახურებოდა. სწორედ ამ მოტივით რადიომ ფართომასშტაბიანი გადაცემა მიუძღვნა მწერალ ნიკოლოზ ოსტროვსკის. ეს იყო ერთგვარი პოლიტიკური დაკვეთაც. 1935 წლის შემოდგომაზე საქ. რადიოკომიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია ფართოდ გამოეხმაურა საკ. ალკკ ცეკას დადგენილებას ნ. ოსტროვსკის ნაწარმოების „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ შესწავლის შესახებ და მოაწყო ნაწარმოების

[1] ვეფხისტყაოსანი რადიოთი, „რადიოგაზეთი“, 1935 წ. 15 თებერვალი.

მხატვრული კითხვა. მოგვიანებით კი, როცა მწერალი ლენინის ორდენით დააჯილდოეს, საქართველოს რადიომ მას სპეციალური გადაცემა მიუძღვნა და ამის შესახებ თავად მწერალსაც დეპეშით აცნობა სოჭში, სადაც იგი ისვენებდა. საინტერესოა ნ. ოსტროვსკის მეუღლის, რაია ოსტროვსკაიას მოგონებაც ამ ამბავთან დაკავშირებით: „როცა ჩვენი ქვეყნის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა ნ. ოსტროვსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ, ერთ დღეს წერილი მივიღეთ საქართველოდან, გვწერდნენ ამხანაგები საქ. რადიოკომიტეტიდან. ისინი ნიკოლოზს სთხოვდნენ დაესახელებინა საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები. ამ გამოხმაურებამ ძალიან ააღელვა ოსტროვსკი. მან შეასრულა თხოვნა და გავგზავნეთ წერილი თბილისში. 1 თვის შემდეგ მას გადასცეს ლენინის ორდენი. ესეც სოჭში მოხდა და სწორედ ამ დღეებში საქ. რადიომ გადასცა რადიოკონცერტი ნ. ოსტროვსკის თხოვნით, ყველანი კოლექტიურად ვისმენდით მას ნიკოლოზის ოთახში“.[1]

რადიოსაღამო შემდეგნაირად გაჟღერდა ეთერში: „დასაწყისში რადიოკომიტეტის და კომკავშირელ შემოქმედებით მუშაკთა სახელით მწერალს მიესალმა ამხ. ვანო ჯავახიშვილი. რადიოკომიტეტის რეჟისორმა პიერ კობახიძემ ქართულად წაიკითხა ნაწყვეტი რომანიდან „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ხოლო ახალგაზრდა კომკავშირელმა პოეტმა კონსტანტინე ჭანტურიშვილმა წაიკითხა საკუთარი ლექსი. დომბისტთა ანსამბლმა დაუკრა მწერლის საყვარელი „ბუდიონელთა მარში“, ასევე გადაიცა სხვა მუსიკალური ნაწარმოებები“.[2]

1964 წელს ეს გადაცემა რადიოჟურნალისტებმა აღადგინეს პირვანდელი სახით და გადასცეს მწერლის იუბილესთან დაკავშირებით. ამჟამად იგი რადიოს აუდიოფონდში ინახება.

მხატვრული მაუწყებლობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თეატრალურ გადაცემებს. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჯერ კიდევ 1926 წელს კონსერვატორია, ოპერისა და დრამის თეატრები, საკონცერტო დარბაზები სატრანსლაციო ხაზებით რადიოსტუდიასთან შეაერთეს, რამაც შესაძლებელი გახადა პირდაპირი ტრანსლაციების ორგანიზება. 30-იან წლებში თითქმის ყველა თეატრალური თუ საოპერო სპექტაკლის ტრანსლაცია გადაიცა რა-

---

[1] პ. შამათავა, რადიო, მწერალი, მუსიკა, გაზ. „თბილისი“, 1977, 6.05.

[2] ორდენოსანი მწერლის საღამო რადიოთი, „რადიოფრონტი“, 1935 წ. 31 დეკემბერი.

დიოთი. თანდათანობით თეატრალურმა სპექტაკლებმა რადიოს სტუდიებშიც გადაინაცვლა და ასე წარმოიშვა რუბრიკა „თეატრი მიკროფონთან“. ამგვარი სპექტაკლები გარკვეულ ადაპტაციას განიცდიდა – ემყარებოდა რადიოს გამოსახვითი შესაძლებლობების გამოყენებას. მაგალითად, სპექტაკლს უძღვებოდა წამყვანი, რომლის ფუნქციასაც დიქტორი ასრულებდა. იგი მსმენელს აცნობდა მოქმედების გარემოს, გმირების ჩაცმულობას და ა.შ. რაც წმინდა სანახაობითი ხასიათისა იყო და თეატრალური დიალოგებით ვერ გადმოიცემოდა. როგორც ღვაწლმოსილი დიქტორი ქ. ლანდია მოგონებებში წერდა: „სპექტაკლების ნაწყვეტებისა და ზოგჯერ მთელი წარმოდგენის გათამაშება სტუდიაშივე ხდებოდა. მახსოვს, კ. მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი გადაცემის შემდეგ მსახიობებმა წარმოადგინეს „ურიელ აკოსტა“ და მიუხედავად იმისა, რომ რადიოსპექტაკლი უგრიმოდ და უკოსტიუმებოდ მიდიოდა, დეკორაციების გარეშე, ვფიქრობ, რომ ასეთი მშვენიერი, ამაღლებული და შთაგონებული სპექტაკლი ბევრი არ ყოფილა არც მანამდე და არც მას შემდეგ“.[1]

დაიწყო რადიოთეატრის პირველი ფორმების ჩამოყალიბება – ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებთა რადიოდადგმები, რომლებსაც „მონტაჟს“ ანდა „რადიოპიესას“ უწოდებდნენ და თეატრალური და, საოპერო სპექტაკლების მსგავსად, რადიოსტუდიიდან პირდაპირ გადაიცემოდა ეთერში. დიდი რეზონანსი გამოიწვია უკრაინელი მწერლის ა. კორნეიჩუკის პიესის „ესკადრის დაღუპვის“ რადიოდადგმამ, რომელიც რევოლუციურ თემატიკას ასახავდა და უფრო იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე ესთეტიკური. პიესა საკავშირო ჯილდოთი აღინიშნა და სსრკ-ის დიდ ქალაქებში წარმატებით იდგმებოდა. 1935 წელს ამის გამოც შეიტანა საქართველოს რადიომ იგი თავის რეპერტუარში. მასზე მუშაობის პროცესზე თავად რედაქციის თანამშრომლები ასე გვიამბობენ: „პიესა ისე შევამოკლეთ, რომ 50-55 წუთში ჩატეულიყო, ისე დამღლელი იქნებოდა. დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ მუსიკალურ გაფორმებას. კარგი იქნებოდა სპეციალური მუსიკის შეკვეთა, მაგრამ ამისათვის სახსრები არ გაგვაჩნდა. მიუხედავად ამისა, კომპოზიტორმა შალვა თაქთაქიშვილმა შესანიშნავად გადაწყვიტა მუსიკალური გაფორმების ამოცანა თანამედროვე საბჭოთა მუსიკისა და კლასიკური მუსიკის ნიმუშების

[1] ქ. ლანდია, მართალი სიტყვა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1977, 12.02.

გამოყენებით, ასევე მეზღვაურთა სიმღერით. მოწვეულები იყვნენ გრიბოედოვის თეატრის მსახიობები“.[1]

რადიოდადგმა „ესკადრის დაღუპვა“ გადაიცემოდა ქართულ და რუსულ ენებზე. მას კვალდაკვალ მოჰყვა სხვა რადიოდადგმებიც – შექსპირის „ოტელო“, „მაკბეტი“, „ჭირვეულის მორჯულება“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და სხვები. ლიტერატურულ-დრამატული რედაქცია ხშირად თავად მსახიობებსაც კი უკვეთავდა პიესების მონტაჟების მომზადებას და ისინი ავტორებიც იყვნენ და მონაწილეებიც. მაგ., საქ. რადიოკომიტეტის დაკვეთით რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ალ. იმედაშვილმა მოამზადა შექსპირის „ჰამლეტის“ მონტაჟი რადიოსთვის. „ჰამლეტი“ შეასრულა უშანგი ჩხეიძემ. ასევე მონაწილეობდნენ ალ. იმედაშვილი, ვ. ანჯაფარიძე, პ. კობახიძე.

1936 წლის 17 მარტს გაზეთი „კომუნისტი“ იტყობინებოდა, რომ მიმდინარეობს მონუმენტური დადგმის „სტალინისა და ხაშიმის“ სამზადისი, „სადაც გადმოცემული იქნება აფხაზი გლეხის ხაშიმი სმირბასა და სტალინის შეხვედრის ამბავი. ტექსტის დაწერა დაევალა პაოლო იაშვილსა და კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. დაარსებულია „სტალინისა და ხაშიმის“ სპეციალური რედაქცია და იგი გადაიცემა თბილისში და მოსკოვშიც“. ხოლო „რადიოფრონტის“ 1935 წლის 7 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია თავად პ. იაშვილისა და კ. ლორთქიფანიძის ერთგვარი „ლიტერატურული ანგარიში“, სადაც ისინი აღნიშნავენ: „საქართველოს რადიოკომიტეტის დავალებით ჩვენ შევუდექით რადიოპოემის წერას, სადაც ასახული იქნება ეპიზოდები ამხანაგ სტალინის ცხოვრებიდან, უმთავრესად 1901-1903 წლამდე. პოემის მასალად ავიღეთ ამხანაგ ლავრენტი ბერიას ცნობილი მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ და ამხ. ნ. ლაკობას რედაქციით გამოსული წიგნი „სტალინი და ხაშიმი“, სადაც შესანიშნავად არის მოცემული იმ ხანებში ამხანაგ სტალინის მუშაობა ამიერკავკასიაში, კერძოდ, ბათუმში. ამ წიგნში მოცემულია სტალინისა და ხაშიმის ურთიერთობის ამბავი და ძველი ბოლშევიკებისა და მუშების მოგონებანი“. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს გადაცემა აღარ განხორციელებულა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მისმა ერთ-ერთმა ავტორმა თავი მოიკლა.

მხატვრული და, საერთოდ, მთელი რადიომაუწყებლობის უმ-

[1] ნ. შესტოვი, „ესკადრის დაღუპვა“ მიკროფონთან, „რადიოგაზეთი“, 1935 წ. 15 თებერვალი.

ნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენდა მუსიკალური გადაცემები, რომლის მთავარი დანიშნულება რადიოს დაარსების დღიდანვე მსმენელის ესთეტიკური აღზრდა და კულტურული დასვენებისთვის ხელის შეწყობა იყო. „თითოეული რადიომუშაკის სადღეისო ამოცანაა: სტახანოვური მონდომებით იბრძოლოს იმისთვის, რომ ორდენოსან საქართველოში ყველა მშრომელის ოჯახში რადიო ლაპარაკობდეს და მღეროდეს ადამიანის გასაგები ხმით“.[1] ამ მიზნით რადიოკომიტეტის ხელმძღვანელობა ცდილობდა თანამშრომლებად ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლების, დირიჟორებისა და კომპოზიტორების მოზიდვას.

ამ დროისათვის რადიოკომიტეტს ჰყავდა საკუთარი მუსიკალური კოლექტივები. როგორც 1935 წლის 31 ოქტომბრის „რადიოპროგრამები“ (რადიომსმენელთა დამხმარე) იტყობინებოდა: „საქართველოს რადიოკომიტეტმა ჩამოაყალიბა დიდი სიმფონიური ორკესტრი, რომელიც იმუშავებს შემოდგომა-ზამთრის სეზონში. ორკესტრი შედგება 45 კაცისგან. დირიჟორად მოწვეულნი არიან ევგენი მიქელაძე და შალვა თაქთაქიშვილი“. ევგენი მიქელაძე რამდენიმე თვეში სამსახურიდან გაათავისუფლეს. 1936 წლიდან მხატვრული განყოფილებისა და სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელობა დაეკისრა ა. გველესიანს. ხოლო მეორე დირიჟორად მოწვეულ იქნა შალვა აზმაიფარაშვილი.

1935 წლის 1 ივნისიდან „საკოლმეურნეო, წითელარმიელთა და ახალგაზრდობის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციის“ რედაქტორად მუშაობდა ანდრია ბალანჩივაძე, რომელმაც მალე დატოვა სამსახური და მისი ადგილი დაიკავა რევაზ გაბიჩვაძემ. 1936 წელს ძირეული სექტორის მუსიკალური გადაცემების უფროსი კონსულტანტ-ინსტრუქტორი იყო კოტე ფოცხვერაშვილი.

1935 წლიდან რადიოკომიტეტში მუშაობდა მომღერალთა გუნდი, რომელიც „შედგებოდა 23 საუკეთესო ტფილისელი მომღერლისაგან. მათ უმრავლესობას დამთავრებული აქვს ტფილისის კონსერვატორია. ლოტბარად მოწვეულია კომპოზიტორი შალვა თაქთაქიშვილი“.[2] ასევე რადიოკომიტეტში არსებობდა აღმოსავლური ტრიო (ხელმძღ. კარაპეტიანი), ვოკალური კვარტეტი (ხელმძღ. მ. კოკელიძე), მეჩონგურე ქალთა ანსამბლი (ხელმძღ. ა. მეგრელიძე), რომლე-

[1] სამუსიკო კულტურა რადიოთი, „რადიოფრონტი“, 1936, № 1.

[2] ამ/კავკასიის რადიოკომიტეტი, ფ. 1978, აღ. 2, საქ. 4, გვ. 95.

ბიც გასვლით კონცერტებს მართავდნენ საქართველოს რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში.

მუსიკალური რედაქციის საქმიანობა იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა რადიოკომიტეტის თითქმის ყველა რედაქციის მუშაობას. ლიტერატურული რადიოკომპოზიციების, რადიოდადგმების, საბავშვო გადაცემების მომზადების დროს მუსიკალურ გაფორმებას პირველხარისხოვანი როლი ენიჭებოდა. რედაქციებს საკუთარი „მუზრედაქტორები“ ჰყავდათ. მაგალითად, 1934 წელს საბავშვო და ახალგაზრდული გადაცემების მუსიკალურ რედაქტორად მუშაობდა ალექსანდრე ბუკია, ლიტ-დრამატულ რედაქციაში კი შეთავსებით – შალვა თაქთაქიშვილი.

მუსიკალურ გადაცემებს დიფერენცირებული ხასიათი ჰქონდა, ეთერში სისტემატურად გადაიცემოდა ოპერისა და სიმფონიური მუსიკის ტრანსლაციები, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხალხური მუსიკის პროპაგანდას. 1935 წლის 29 სექტემბრის საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემის კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით, რადიოს საშუალებით ხალხური მუსიკის ღრმა შესწავლისა და მსმენელთა მასაში მისი ფართო პოპულარიზაციის მიზნით, მუსიკალურ რედაქციასთან შეიქმნა ფოლკლორის სექცია, რომლის ხელმძღვანელობაც დაევალა გ. ჩხიკვაძეს.

ამიერკავკასიის ხალხთა ოლიმპიადის დღეებში რადიომ დიდი მუშაობა გასწია ხალხური მუსიკის პოპულარიზაციისათვის. გადაიცა საუბრები ქართული მუსიკალური თუ ლიტერატურული ფოლკლორის შესახებ: „ლენინი და ოქტომბერი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“, „საბავშვო ფოლკლორი“, „საკოლმეურნეო სიმღერები“, „ფაბრიკებისა და ქარხნების სიმღერები“, „სოციალური პროტესტის სიმღერები და ზღაპრები“, „დედაკაცის ხვედრი საბჭოთა ფოლკლორში“, „შრომა ხალხურ შემოქმედებაში“ და სხვ. ფართოდ გაშუქდა 1936 წლის 22 მარტს თბილისში გამართული პირველი რადიოფესტივალი „საქართველოს ყველა კუთხიდან შერჩეული საუკეთესო შემსრულებლებით, სიმღერებითა და ხალხური შემოქმედების ნიმუშებით“.

30-იანი წლების შუახანებიდან გაუმჯობესდა მაუწყებლობა ბავშვებისათვის, დასრულდა საბავშვო გადაცემათა პროგრამების დიფერენციაციის პროცესი თემატიკისა და ასაკის მიხედვით, გამოიკვეთა გადაცემების დიდაქტიკური ხასიათი, შემუშავდა რუბრიკა-

ციის სისტემა და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ 30-იან წლებში საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საბავშვო მაუწყებლობა და თავისი მიზნობრივი სტაბილური აუდიტორიაც შეიძინა. 1932-1933 წლებში საბავშვო მაუწყებლობას ხელმძღვანელობდა ა. გველესიანი, 1934 წლიდან – ვახტანგ ძამაშვილი, 1937 წლიდან საბავშვო სექტორის გამგე იყო ალიო ადამია, ლიტრედაქტორი – ელიზბარ პოლუმორდვინოვი. საინტერესოა ამონაწერი ერთი ბრძანებიდან, რომელიც 1934 წლით თარიღდება: „საბავშვო გადაცემათა სექტორთან არსებული ლიტერატურული წრის ხელმძღვანელად და ბავშვთათვის შემოქმედების კონსულტანტად დაინიშნოს ამხ. ლეო ქიაჩელი ორი კვირის საგამოცდო ვადით“.[1] თუმცა მას შემდეგ ლეო ქიაჩელი რადიოს თანამშრომლად აღარ ჩანს, მხოლოდ მწერლის სტატუსით სტუმრობს მას.

1935 წლიდან გადაცემები გათვალისწინებული იყო ძირითადად ოთხი ასაკის ბავშვებისათვის: სკოლამდელი (6-7 წლის), ოქტომბრელთათვის (1-3 კლასი), საშუალო ასაკისათვის (4-6 კლასი), უფროსი ასაკისათვის (8-10 კლასი).

რუსულ ენაზე გადაცემები მზადდებოდა ოქტომბრელთათვის, საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის. აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თვეში სამჯერ რადიო საშუალო ასაკის ბავშვებისთვის იუწყებოდა.

საბავშვო თემატიკა სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა: მხატვრულ-ლიტერატურული, რომელსაც გადაცემების 50% ეკავა, სასწავლო – 25% და საზოგადოებრივ-პოლიტიკური – ასევე 25%. 1934 წლის აპრილის დადგენილებამ რადიოს მხატვრული ფორმების განვითარებაზე საბავშვო მხატვრულ გადაცემებზეც იქონია გავლენა. გაუმჯობესდა მათი ხარისხი, მრავალფეროვანი გახდა მხატვრული ფორმები. ლიტერატურულ გადაცემებში გათვალისწინებული იყო ქართველი, საბჭოთა და დასავლეთ ევროპის მწერლების საბავშვო ნაწარმოებთა გარჩევა-გაცნობა. შემოიღეს გადაცემათა ციკლი „წიგნის თარო“, სადაც გაერთიანებული იყო კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, მაგალითად, სერვანტესის „დონ-კიხოტი“, ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“, რასპეს „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ და სხვები. ბევრი საბავშვო რუსული ნაწარმოები კომიტეტის საბავშვო სექტორის თანამშრომლების მი-

[1] ამ/კავკასიის რადიოკომიტეტი, ფ. 1979, აღ. 2, საქ. 1, გვ. 3.

ერ ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. მაგალითად, ს. მარშაკის „ხანძარი“, „სულელი წრუწუნა“, „პატარა ბუდიონელები“, ა. ჩუკოვსკის „არევ-დარევა“ და გადაიცემოდა ეთერში. შემეცნებითი დანიშნულება ჰქონდა ციკლებს: „გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება“, „გამოჩენილი მწერლების ცხოვრება და შემოქმედება“, „კომპოზიტორის პორტრეტი“ (მაგ., „მოცარტის პორტრეტი“, „დ. არაყიშვილის პორტრეტი“ და ა.შ.). ასევე, მოზარდების თვალსაწიერის გაფართოებას ხელს უწყობდა რადიოკომპოზიციები შემეცნებით თემებზე: „ჯორდანო ბრუნო“, „გასეირნება პირამიდებისკენ“, „26 კომისარი“ და სხვა.

ამ პერიოდში საკავშირო რადიოს საბავშვო რედაქციას ოთხი რადიოჟურნალი გააჩნდა, საქართველოს რადიოს კი სამი – „ნორჩი ნატურალისტი“ და „ოქტომბრელთათვის“ ქართულად და „ნორჩი სნაიპერი“ სომხურ ენაზე. ყოველ მეორე დღეს გადაიცემოდა პიონერული ინფორმაციები, რაც საფუძვლად დაედო შემდგომში „პიონერთა დაფიონს“ და მოსწავლეებს აცნობდა რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციების საქმიანობას (თვითონ „პიონერთა დაფიონი“ რუსული „პიონერსკაია ზორკას“ ანალოგიით შეიქმნა).

სასწავლო გადაცემები პირველ რიგში აერთიანებდა ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა სპეციალურ მეცნიერებათა თემატიკას, ასევე, დიდი ადგილი ეთმობოდა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

ბავშვებისათვის გადაიცემოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის გადაცემებიც, უმეტესად მსახიობთა კითხვით და მუსიკის თანხლებით, რომ მოსასმენად უფრო საინტერესო და რადიოგენური ყოფილიყო. გადაიცემოდა ხუთწუთიანი პოლიტინფორმაციები, ტრანსლაციები „დამკვრელი“ პიონერების ბინებიდან, ძველი ბოლშევიკების მოგონებები, საუბრები სოციალიზმის მშენებლობებზე, ასევე ლექციები იკითხებოდა ისეთ თემებზე, როგორიცაა: „ბავშვთა მდგომარეობა ცარიზმის დროს“, „კომკავშირის ზრუნვა საბჭოთა ბავშვებზე“, „საბჭოური სკოლის ცხოვრება“, „მოზარდთა მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში“ და ა.შ. საბავშვო მაუწყებლობა ხშირად იყენებდა „აქტუალური გადაცემების“ ციკლსაც. ასეთი გადაცემები მოეწყო თბილისის ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკიდან, ქვიშხეთის ბანაკიდან და სხვ.

თვალსაჩინოებისათვის თვალი გადავავლოთ 1935 წლის მაისის პირველი კვირის პროგრამას, რომელიც ნაწილობრივ მაინც გვაცნობს საბავშვო რედაქციის მუშაობის სპეციფიკას და მის ჟანრობ-

რივ მრავალფეროვნებაზეც მიუთითებს:

„ოქტომბრელთათვის – „საპირველმაისო ზღაპრები“, „არაჩვეულებრივი ორკესტრი“ – რადიოპიესა გერმანელი პიონერების არალეგალური მუშაობიდან, „დამკვრელი პიონერები მიკროფონთან“, „პიონერებისა და მოსწავლეების თვითმოქმედება“, „ნორჩი მუსიკოსები და პოეტები მიკროფონთან“. სკოლის ასაკამდე ბავშვებისათვის „როგორ თამაშობენ ცხოველები“. „ქართული ხალხური სიმღერები“, შ. თაქთაქიშვილის საბავშვო ოპერის „განთიადის“ მონტაჟი და სხვ.

როგორც საბავშვო „რადიოპროგრამებში“ მოთავსებული ნორჩ მკითხველთა ბარათებიდან ჩანს, პატარა მსმენელები სიამოვნებით უსხდნენ რადიორეპროდუქტორებს და მოუთმენლად ელოდნენ გადაცემების დაწყებას.

30-იანი წლების მეორე ნახევარი საქართველოში და, საერთოდ, მთელ საბჭოთა კავშირში, გამოირჩეოდა დიდი პოლიტიკური მოვლენებითა და მწვავე, დაძაბული სიტუაციებით. საკმარისია გავიხსენოთ 1937 წლის მასობრივი რეპრესიები, „ხალხის მტრების“ ტოტალური „გამოაშკარავება“ და დევნა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რადიოს ძირითად ფუნქციას „მიღწევათა“ პროპაგანდა წარმოადგენდა, ამან, ცხადია, მაინც იმოქმედა მის საქმიანობაზე. ეს განსაკუთრებით მხატვრულ მაუწყებლობას დაეტყო. როგორც ცხადდებოდა, „ბრძოლა მაღალი ხარისხისათვის ნიშნავს ბრძოლას პოლიტიკური ხარისხის ამაღლებისათვის, გადაცემათა გეგმიანობისათვის. ყველაზე მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ იდეოლოგიას“.[1]

1935 წლის 19 დეკემბერს საკავშირო რადიოთი გადაიცა მწერალ კ. მიხაილოვის, „პირწავარდნილი კონტრევოლუციონერის“ გამოსვლა, რომელიც ამხილა საკ. კპ(ბ) ცკ ორგანომ „პრავდამ“ სარეცენზიო წერილში „მტერი მიკროფონთან“. „ეს სიგნალი სახელმძღვანელო უნდა გახდეს ჩვენთვის. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ყოველი რადიომუშაკი. გადაცემის პოლიტიკური სიწმინდე, ბოლშევიკური სიფხიზლე უნდა დავიცვათ. საჭიროა ყოველი სიტყვის ჯეროვნად შემოწმება და აწონ-დაწონვა. აი, რას მოვითხოვთ რადიომუშაკებისაგან“,[2] – მკაცრად იყო მითითებული პრესაში. აქედან გამომდინარე,

---

[1] ბოლშევიკური სიფხიზლე მიკროფონთან, „რადიოგაზეთი“, 1935 წ. 15 თებერვალი.

[2] იქვე.

რადიოკომიტეტის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ გაატარა რამდენიმე ღონისძიება. საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემის კომიტეტის თავმჯდომარის 1935 წლის 3 მარტის ბრძანებით შეიქმნა კომისია „კომიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების იდეოლოგიურად გასასინჯად და შესამოწმებლად“, ხოლო 1937 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ „ლიტერატურული გადაცემებისათვის გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ დაბეჭდილი ლექსები, საჭირო შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია ლიტერატურულ-დრამატული და საბავშვო გადაცემების სექტორებმა სპეციალურად დაუკვეთონ ავტორებს აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე ორიგინალური ლექსები“. გატარდა სხვა მსგავსი ღონისძიებებიც.

1937 წლის გაზაფხულიდან რადიოში აღარ ისმოდა ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა ხმები. მრავალი წლის მანძილზე მათი ნაწარმოებები გაქრა ეთერიდან, რამაც თავისი დაღი დაასვა ომისშემდგომ მხატვრულ რადიომაუწყებლობას. რეპრესიებს შეეწირა რადიოს ბევრი თანამშრომელი, მათ შორის კალე (კალისტრატე) ფეოდოსიშვილიც, რომელიც 1932 წლიდან მუშაობდა რადიოკომიტეტში და ცნობილი იყო, როგორც პროლეტარი მწერალი. მას ეკუთვნის უზნეობით სახელგანთქმული სტრიქონები „მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, რევოლუციამ თუ კი მიბრძანა!“. პარადოქსია მაგრამ „კალე ფეოდოსიშვილი, როგორც ხალხის მტერი, გაანადგურა იმ რევოლუციამ და პარტიამ, რომლისთვისაც დედას ახრჩობდა და მამას კლავდა“.[1]

მეორე მსოფლიო ომის მიჯნაზე კიდევ უფრო გაძლიერდა კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და განსაკუთრებით რადიომაუწყებლობაზე. მას ზედამხედველობდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება, რომლის ნებართვის გარეშე არც ერთი რადიომასალა არ გადაიცემოდა ეთერში. რადიო გადაიქცა საბჭოური ცხოვრების დითირამბებისა და ხოტბა-დიდების ორგანოდ, რომელიც გულმოდგინედ ჩქმალავდა არსებულ ტრაგიკულ სინამდვილეს და ცდილობდა ადამიანთა ცნობიერება გაეჯერებინა „იდეალური“ სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულების ილუზიებით.

„საუცხოო მხიარულ ქვეყანას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში

[1] ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990, გვ. 56.

შექმნილი ახალი საზოგადოება, სადაც არ არის ექსპლუატაცია, არ არის ექსპლუატირებული კლასები და სადაც ქრება კლასთა შორის განსხვავება. ყოველივე ამას აღტაცებაში მოჰყავს მთელი ქვეყნის პატიოსანი ადამიანები. სსრკ-ში მშრომელებისთვის ნამდვილი ბედნიერება და მხიარული ცხოვრებაა; ხოლო სახელმწიფოს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, შეიძლება სრული უფლებით ვუწოდოთ მზის სახელმწიფო".[1] ასეთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ყველა ის მასალა, რომელიც რეპრესიების დროს გადაიცემოდა ეთერში და სამწუხაროდ, ასეთი პროპაგანდა ხშირად მიზანსაც აღწევდა.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ომისწინა პერიოდში საქართველოს რადიოს მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობაზეც. როგორც ცნობილია, 1936 წლიდან იგი განთავსებული იყო რუსთაველის პროსპექტზე, კავშირგაბმულობის სახლის შენობაში და ოთხ სპეციალიზებულ სტუდიას მოიცავდა. პირველი სტუდია მოცულობით 690 კვ. მეტრს შეადგენდა და განკუთვნილი იყო ძირითადად ისეთი მუსიკალური გადაცემებისათვის, რომელშიც 50-60-მდე შემსრულებელი მონაწილეობდა. მას დიდ სიმფონიურ სტუდიასაც უწოდებდნენ. მე-2 სტუდიას (300 კვ.მ) ეძახდნენ მცირე სიმფონიურ ანუ ვოკალურ სტუდიას, საიდანაც წარმოებდა უმეტესად ხალხური სიმღერებისა და მცირე ანსამბლების გადაცემები. მე-3 სტუდია (87 კვ.მ) სიტყვიერი მასალის – ლექციების, საუბრებისა და „უკანასკნელი ცნობების" გადასაცემად იყო განკუთვნილი. მე-4 სტუდია (100 კვ.მ) მექანიკურ გადაცემებს ეთმობოდა. გარდა გრამჩანაწერებისა, ტონფილმებისა და შორინოგრამების გადაცემებისა, მას იყენებდნენ ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟების გადასაცემად. ყველა სტუდია აღჭურვილი იყო იმ დროისთვის მაღალხარისხოვანი ზონრიანი და კონდესატორული მიკროფონებით.

რადიოში არსებობდა ტონფილმის მდიდარი ფონდი – ოპერების, სიმფონიების და მხატვრული ლიტერატურული ჩანაწერების სახით. ასევე მექანიკური გადაცემების პოპულარული ფორმა იყო გრამჩანაწერები. საქართველოს რადიოს „გრამპარკი" გამოირჩეოდა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი როგორც საბჭოთა, ისე „იმპორტული ფირფიტებით". გადაცემის მესამე ტექნიკური ფორმა იყო შორინოგრამა – ხმის მექანიკური ჩანაწერი, რომელიც სიტყვიერი მასალის გადასაცემად გამოიყენებოდა. საქრადიოკომიტეტის განკარ-

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 16. გვ. 8

გულებაში იყო აგრეთვე ე.წ. სატრანსლაციო პუნქტები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, სახელმწიფო კონსერვატორია, თეატრები, ესტრადა, კლუბები და ა.შ. ასევე საჭიროების შემთხვევაში მაუწყებლობას შეეძლო ესარგებლა საქალაქთაშორისო და თბილისის ავტომატური სატელეფონო ქსელით. ზემოჩამოთვლილ სამაუწყებლო ობიექტებს აერთიანებდა რადიოსამაუწყებლო კვანძი, სადაც ხდებოდა ყველა სახის კომუტაცია რვ-7 რადიოსადგურის ხაზზე.[1]

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 30-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველო უკვე მთლიანად არის რადიოფიცირებული. მხედველობაში გვაქვს სადენებიანი რადიომაუწყებლობა, რომელიც დაცულია გარეშე ხელისშემშლელი პირობებისაგან და სატრანსლაციო ხაზებით მიეწოდება მასობრივ აუდიტორიას. მაუწყებლობის ეს ტექნიკური ფორმა ასეთი მასშტაბით საბჭოთა კავშირის გარდა არ გამოიყენებოდა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში და განპირობებული იყო კომუნისტური ხელმძღვანელობის იდეოლოგიური და პოლიტიკური მოსაზრებებით: შეექმნათ ცენტრალიზებული ოპერატიული ინფორმაციისა და პროპაგანდის საიმედო საშუალება, რომლის მოსმენა შესაძლებელი იქნებოდა იაფი მიმღები მოწყობილობის – რეპროდუქტორის მეშვეობით (მოსახლეობის მასობრივი სიღატაკის გათვალისწინებით), არ დაეშვათ ალტერნატიული რადიოინფორმაციის გავრცელება (განსაკუთრებით უცხოეთიდან) და ჰქონოდათ მისი გამოყენების საშუალება ექსტრემალურ სიტუაციებში და სამოქალაქო თავდაცვის მიზნებისათვის, რაც მასშტაბურად განხორციელდა კიდეც მეორე მსოფლიო ომის დროს.

[1] კ. კონტრიკაძე, რადიომაუწყებლობის ბაზა საქართველოში, ჟურნ. „ტექნიკა“, 1941, № 2, გვ. 35.

თავი II

საქართველოს რადიო მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ წლებში (1941-1956)

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობას დაწყების დღიდანვე ფართოდ აშუქებდა საქართველოს რადიო, მაგრამ 1941 წლის მეორე ნახევრიდან მან ძირითადი ადგილი დაიკავა ყოველდღიურ პროგრამაში. 1941 წლის 22 ივნისს, 12 საათზე საკავშირო რადიომ გადმოსცა საბჭოთა მთავრობის განცხადება სსრკ-ზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შესახებ და გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია. ომის დაწყებამ ნაწილობრივ განტვირთა ქვეყანაში რეპრესიებით გამოწვეული დაძაბულობა და ახალი ამოცანების წინაშე დააყენა საქართველოს რადიოკომიტეტი. მოხდა გარკვეული საკადრო ცვლილებებიც – 1941 წლის ივნისიდან კომიტეტის თავმჯდომარე შალვა ცაგარეიშვილი შეცვალა იოსებ რუხაძემ.

1941 წლის 26 დეკემბრის საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში „რადიომაუწყებლობის მუშაობის შესახებ“ კონკრეტულადაა მითითებული, რომ საქართველოს რადიოკომიტეტმა სასწრაფოდ გარდაქმნას მუშაობა ახალი პირობების შესაბამისად და მთავარი ყურადღება დაუთმოს სამხედრო თემატიკას, გააფართოოს გადაცემების კოლექტიური მოსმენები, „რომელიც პროპაგანდისა და რადიოს ორგანიზაციული მუშაობის ძირითადი ფორმაა“ და იზრუნოს რესპუბლიკის რიგ რაიონებში ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამ მითითების უმოკლეს ვადაში შესრულება რადიოს ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად დაევალა საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულს საქართველოში ი. მონიავას და, ასევე, ყველა რაიონის, ქალაქისა თუ ოლქის პარტიულ ორგანოებს, რომლებიც კურირებდნენ ადგილებზე რადიოს მუშაობას. ეთერში ნათქვამი ყოველი სიტყვა კონტროლს ექვემდებარებოდა და ამაზე მრავალი სამთავრობო თუ პარტიული დოკუმენტიც მეტყველებს. მაგალითად, 1942 წლის 16 ივნისს საქარ-

თველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში „ფრონტისათვის რადიოგადაცემების ორგანიზაციის შესახებ“ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „რადიო პარტიის იდეოლოგიური ბრძოლის ბასრი იარაღია“ და იქვეა მიწერილი ფრონტისათვის განკუთვნილი რადიოგადაცემების ზუსტი გეგმა და მონაწილეები (საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ბაქრაძის, აკადემიკოსების ი. ბერიტაშვილისა და ს. ჯანაშიას, პოეტ ს. ჩიქოვანის, საქართველოს სახალხო არტისტის ა. ხორავას, ასევე მუშათა კლასის, გლეხობისა და არმიის მოწინავე წარმომადგენლების გამოსვლები მიკროფონთან და ა.შ.).

უპირველეს ყოვლისა, ცვლილებები დაიგეგმა ინფორმაციულ მაუწყებლობაში, რომელიც ფრონტზე და ზურგში მიმდინარე მოვლენების ოპერატიული საინფორმაციო წყარო უნდა გამხდარიყო. თუმცა, თავდაპირველად მაინც ვერ მოხერხდა სათანადო მუშაობის გაშლა, რაც გამოწვეული იყო კვალიფიციური შემოქმედებითი კადრების ნაკლებობითა და ორიგინალური მასალების სიმცირით. ამასთან, ოფიციალური ცნობების, საერთაშორისო ინფორმაციებისა და სხვა მასალათა მიღების მხრივ საქართველოს რადიოკომიტეტი მთლიანად დამოკიდებული იყო საქდესზე, რომელიც აღნიშნულ მასალებს დიდი დაგვიანებით იძლეოდა და მათი მყისვე გადაცემა ვერ ხერხდებოდა. უარყოფითი როლი შეასრულა აგრეთვე რადიოკომიტეტის კოლექტივში ჩატარებულმა რეპრესიებმაც. როგორც იმ წლების საანგარიშო მოხსენებაშია აღნიშნული: „გარდატეხა რადიოკომიტეტის მუშაობაში 1942 წლის გაზაფხულიდან დაიწყო, როცა ცენტრალური აპარატი განწმენდილ იქნა მტრული ელემენტებისაგან და იგი შეივსო ახალი მუშაკებით“.[1] შეიცვალა ახალდანიშნული ხელმძღვანელიც – იოსებ რუხაძე და მის ნაცვლად საქართველოს რადიოკომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ცნობილი კინორეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლეო ესაკია, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული რადიომაუწყებლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება: 1943 წლამდე საქართველოს რადიო მუშაობას იწყებდა დილის 7 საათზე მოსკოვიდან „უკანასკნელი ცნობების“ ტრანსლაციით, მხოლოდ 7 საათსა და 30 წუთზე გადაიცემოდა „უკანასკნელი ცნობების“ პირველი გამოშვება ქართულ ენაზე. 1943 წლის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა შეიცვალა

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 59, გვ. 34.

და ყოველდღიური მაუწყებლობა უკვე დილის 6 საათსა და 30 წუთზე იწყებოდა „უკანასკნელი ცნობების“ ქართული გამოშვებით და „საქართველოს მშრომელებს, ვიდრე ისინი შეუდგებიან მუშაობას, საშუალება ეძლევათ პირველად მშობლიურ ენაზე მოისმინონ იმ დღის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები (საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა, კორესპონდენციები სამამულო ომის ფრონტიდან, უმაღლესი საბჭოთა ბრძანებულებები, უცხოეთის ამბები)“.[1] ამ ფაქტს ეროვნული ჟღერადობაც ჰქონდა და ამავე დროს საგრძნობლად გაიზარდა რადიოაუდიტორიაც, რომელიც რუსული ენის არმცოდნე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობით შეივსო.

საგულისხმო იყო მეორე ღონისძიებაც: რადგან საქართველოს რადიოკომიტეტი საქდესის მასალებს დროულად ვერ იღებდა, ამიტომ, სწორედ ომის დროს დამკვიდრდა საკავშირო რადიოს ოპერატიული ინფორმაციების ჩაწერა შორინოფონზე, „რასაც დაუყოვნებლივ შიფრავს სტენოგრაფისტი, რუსული ტექსტი სასწრაფოდ ითარგმნება და სათანადო გასინჯვის შემდეგ გადაიცემა ქართულ ენაზე. მთელი ეს პროცესი გრძელდება 15 წუთიდან 30 წუთამდე. ეს იმ დროს, როცა საქდესიდან ტექსტის მიღების შემთხვევაში უნდა გვეცადა 8-9 საათი ან კიდევ მეტი. ყოველივე ამის შემდეგ, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ცნობები, განკარგულებანი და სხვა მასალები უაღრესად მოკლე დროში ქართულ ენაზე ხდება ყველასათვის ცნობილი“.[2] ამავე წესით მიეწოდებოდა მსმენელებს გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია და ცენტრალური გაზეთების მიმოხილვები. ასევე, შორინიფონზე იწერებოდა და ითარგმნებოდა საკავშირო რადიოთი გადაცემული ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გამოსვლების ტექსტებიც, რომელთა ნაწილი არ იბეჭდებოდა ცენტრალურ პრესაში. ამით საქართველოს რადიოკომიტეტმა დიდი დახმარება გაუწია რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და პროპაგანდის სხვა ორგანოებსაც. მოსკოვიდან მიღებული მასალების ნაწილს, რომელსაც იგი არ იყენებდა, რესპუბლიკურ პრესას აწვდიდა, სადაც ქვეყნდებოდა რუბრიკით: „მიღებულია საქართველოს რადიოკომიტეტის საშუალებით“.

ომის დაწყების წინ რადიოს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასაც მიექცა ყურადღება და, 1940 წლის მონაცემებით, იგი მოიცავდა: გა-

---

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 59, გვ. 35.

[2] იქვე.

დამცემ რადიოსადგურს რვ-7-ს, ოთხ სტუდიას, სააპარატოს (გამაძლიერებელი, ჩამწერი, გამშვები), მიმღებ პუნქტსა და ტექნიკური კონტროლის პუნქტს. წინა წლებთან შედარებით მიმღები ცენტრი ბევრად უკეთესად უზრუნველყოფდა ტრანსლაციებს მოსკოვიდან. გაფართოვდა რადიოსატრანსლაციო ქსელები და აიგო ახალი რადიოკვანძები. რესპუბლიკის მასშტაბით სულ მუშაობდა 34 რადიოკვანძი.

1941 წლის 21 იანვარს საქართველოს რადიოკომიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით აიკრძალა ადგილებზე რადიოთი საერთაშორისო და სამხედრო მიმოხილვების, აგრეთვე თეორიული საუბრების გადაცემა, გარდა საქრადიოკომიტეტის მიერ გაგზავნილი მასალებისა. ადგილობრივი რადიოგადაცემების რწმუნებულებს კი დაევალათ „ადგილობრივი გადაცემები ააგონ მხოლოდ ადგილობრივ მასალაზე და მოაწყონ იმ ლექციებისა და მოხსენებების კოლექტიური მოსმენა, რომელსაც გადმოსცემს სტალინის სახელობის რადიოსადგური რვ-7“.[1]

ამავე წელს საკავშირო რადიოკომიტეტის მითითებით გაერთიანდა პროპაგანდა-აგიტაციისა და „უკანასკნელი ცნობების“ რედაქციები და მას პოლიტიკური მაუწყებლობის რედაქცია ეწოდა. აქ თავს იყრიდა ყველა პოლიტიკური მასალა და მაუწყებლობის საერთო ხანგრძლივობა შეადგენდა დღეში 3 საათსა და 45 წუთს. პოლიტმაუწყებლობის რედაქცია, გარდა უკანასკნელი ცნობებისა, მოიცავდა: პოლიტსაუბარს (კვირაში ორჯერ), სოფლის მეურნეობის გადაცემებს (კვირაში ხუთჯერ), „პრავდის“ მოწინავე სტატიის თარგმანს, გადაცემებს ახალგაზრდობისათვის (კვირაში 4-ჯერ). მაუწყებლობა მიმდინარეობდა ოთხ – ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.[2]

პოლიტმაუწყებლობის გაერთიანებული რედაქციის განყოფილების გამგის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დაინიშნა ს. ნათელაშვილი, პარტისტორიისა და სსრკ ხალხთა ისტორიის საკითხებში პასუხისმგებელ რედაქტორად – კ. მავზარაშვილი, სოფლის მეურნეობის საკითხების რედაქტორად – ა. კეკელია, ეკონომიკის – ი. ნატროშვილი, მოხსენებებისა და გამოსვლების ორგანიზატორად კი – ე. მებუკე.

„უკანასკნელი ცნობები“ იყო საქართველოს მოსახლეობისათ-

---

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 59, გვ. 35.

[2] იქვე, საქ. 42, გვ. 72.

ვის ყველაზე ოპერატიული ინფორმაციის წყარო და გადაიცემოდა ქართულ და რუსულ ენებზე დღეში 6-ჯერ, ხოლო 1944 წლიდან – 7-ჯერ. გარდა ინფორმაციებისა ომის მიმდინარეობის შესახებ, გადაიცემოდა ანგარიშები და რეპორტაჟები სხვადასხვა საწარმოო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ჩატარებული შეკრებებიდან თუ მიტინგებიდან, მშრომელების გამოსვლები მიკროფონთან საბჭოთა მონაპოვარის დაცვის მოწოდებებით, ასევე მასალები სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე, წითელარმიელთა ოჯახების დახმარებაზე და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ომის პერიოდში რადიო უამრავ წერილს იღებდა მსმენელებისაგან. მათ შორის შეკითხვებს, გამოხმაურებებსა და მადლობის ბარათებს.

1943 წლის გაზაფხულზე გადაიცა გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია ფედუკინსკის სკოლის პატრიოტულ ინიციატივაზე, რომელიც ფრონტზე წასულთა შვილებზე ზრუნვაში გამოიხატებოდა. „უკანასკნელი ცნობების“ რედაქციაში მეორე დღესვე მოვიდა რამდენიმე ბარათი და შეკითხვა. მათზე საპასუხოდ რადიომ მიკროფონთან მიიწვია საქართველოს განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მ. ბურჭულაძე, რომელმაც მოუწოდა რესპუბლიკის მშრომელებს გამოხმაურებოდნენ ამ ინიციატივას და დარაზმულიყვნენ წითელარმიელთა ოჯახების დასახმარებლად. უნდა ითქვას, რომ ასეთი ბარათები ხშირად თავად რედაქციის ორგანიზებული იყო და ქმნიდა ილუზიას, რომ მშრომელები ენთუზიაზმით ეხმიანებიან „საერთო-სახალხო“ ინიციატივებს, თუმცა, რეალურადაც მუშურ-გლეხური მასა, ამ მხრივ, მართლაც, აქტიურობით გამოირჩეოდა.

ომის პირველი დღეებიდანვე სსრკ-ის ყველა მოქალაქეს (იმ პირთა გამოკლებით, ვისაც ამის სპეციალური ნებართვა ჰქონდა) აეკრძალა სახლში ნებისმიერი რადიომიმღების გამოყენება, გარდა სადენებიანი მაუწყებლობის რეპროდუქტორისა. ყველას თავისი რადიომიმღები სახელმწიფოსთვის უნდა ჩაებარებინა შესანახად და ამ მიზნით მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ორგანიზებულ იქნა რადიოაპარატების გიგანტური საწყობები (ამოღებულ იქნა დაახლოებით 1,3 მილიონი რადიომიმღები, რომლებიც პატრონებს მხოლოს 1945-1946 წლებში დაუბრუნეს). ვინც თავის საშინაო რადიოტექნიკას არ ჩააბარებდა, დაუყოვნებლივ დაპატიმრება ემუქრებოდა. მთელი ამ აქციის მიზანი იყო მოესპოთ რიგითი მოქალაქისათვის საბჭოთა რადიოსაგან განსხვავებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა (სხვათა შორის, ასეთივე წესი მოქმედებდა ომის დროს

ფაშისტურ გერმანიაშიც). ცხადია, რომ ინფორმაციის გავრცელების ასეთ პირობებში სრული მონოპოლია ეძლეოდა საბჭოთა რადიომაუწყებლობას, რომელიც თავად ცენზურასა და დამსჯელი ორგანოების კონტროლს ექვემდებარებოდა და შეეძლო ფაქტების თავის შეხედულებისამებრ შერჩევა და მათი ტენდენციური კომენტირება.

ყველა ფაქტი თუ მოვლენა განიხილებოდა იმის შესაბამისად, თუ რამდენად შეესაბამებოდა იგი გენერალურ პროპაგანდისტულ ამოცანას, ომისდროინდელ ძირითად ლოზუნგებს: „ჩვენი საქმე სამართლიანია! მტერი განადგურებული იქნება! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“, „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ გამორიცხული იყო იმის თქმა, რომ გერმანელები ზოგჯერ ჩვენზე უკეთ იბრძვიან, რომ ზოგიერთი მათი იარაღი ჩვენსას სჯობს და ა.შ. როგორც ცნობილია, ფრონტის ამბებს რადიოს ძირითადად აწოდებდა ომის წლებში სპეციალურად ორგანიზებული „სოვინფორმბიურო“ (მისი ცნობები საომარ მოქმედებათა შესახებ ყოველდღიურად რამდენჯერმე გადაიცემოდა საქართველოს რადიოთი), რომელიც, როგორც წესი, ხშირად ალამაზებდა მათ, ზოგჯერ კი უხეშადაც ამახინჯებდა (განსაკუთრებით ომის პირველ თვეებში).

ომის დროს რადიოპროგრამებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პროპაგანდისტული გადაცემების რიცხვი, რომლის მიზანიც იყო მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის უძლეველობის იდეის, კომპარტიის ავანგარდული როლის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და საბჭოთა ქვეყნის მტრების მიმართ სიძულვილის ფართო პროპაგანდა, ქვეყნის ხელმძღვანელობისა და მხედართმთავრის მიერ გატარებული სამხედრო პოლიტიკისადმი საერთო-სახალხო მხარდაჭერის გაძლიერება. ამ მიზნით, ძირითადად გამოიყენებოდა საკავშირო რადიოსა და ცენტრალური თუ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი მასალები. მაგალითად, „საბჭოთა ხალხი იცავს დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს“, „საბჭოთა ზურგი ძლიერია“, „სტალინური წინასწარმეტყველების ძალა“, „ჩვენი გმირული ძლევამოსილი არმია“, „გერმანიის ფაშიზმის განადგურება გარდაუვალია“ და ა.შ. თანდათანობით იმატა ორიგინალურმა გადაცემებმაც, რომელთა ავტორებიც იყვნენ ცნობილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, რომელთა სიტყვას შეეძლო გავლენა მოეხდინა რადიომსმენელთა აუდიტორიაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. რადიოს ყურადღების გარეშე არც ინტელიგენცია დაუტოვებია და სპეციალუ-

რი რუბრიკით „ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია“ მიკროფონთან იწვევდა საზოგადოებისათვის ცნობილ ადამიანებს, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს: ს. ჯანაშიას, ნ. კეცხოველს, ალ. თვალჭრელიძეს, ნ. მუსხელიშვილს, ვ. კუპრაძეს, ი. ბერიტაშვილსა და სხვებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოს რადიო სამხედრო მომზადებას, საჰაერო და ქიმიური თავდაცვის საკითხებს („როგორ გავანადგუროთ მტრის ტანკი“, „როგორ ვებრძოლოთ მტრის პარაშუტისტებს“, „როგორ ჩავაქროთ ცეცხლგამჩენი ყუმბარა“, „როგორ მოვიქცეთ განგაშის დროს“ და სხვა).

1943 წლიდან, როცა დაძაბულობა ფრონტზე შენელდა და ომის მსვლელობაში გარდატეხა მოხდა, რადიომ უფრო ფართო ადგილი დაუთმო ზურგის მშრომელებს და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების საქმიანობის გაშუქებას. თითქმის არ დარჩენილა საქართველოში რაიონი თუ სოფელი, რომლის შესახებაც ინფორმაციები თუ სხვა ჟანრის მასალები არ გადაცემულიყო ეთერში. მიკროფონთან გამოდიოდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები – აგრონომები, ეკონომისტები, ზოოვეტერინარები. გაუმჯობესდა სატელეფონო კომუნიკაციები, რამაც უფრო გააადვილა რაიონებთან დაკავშირება და მნიშვნელოვანი ცნობების დროულად მიღება-გადაცემა.

სისტემატურად შუქდებოდა ომის პერიოდის ფინანსურ-პოლიტიკური კამპანია, მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის რეალიზაციის პრობლემები, წარმოების რაციონალიზაციის, შიდა რესურსების მობილიზაციის, ეკონომიის რეჟიმის, სოციალისტური შეჯიბრების საკითხები ციკლებში: „საყოველთაო სოცშეჯიბრების მონაწილეთა ტრიბუნა“, „მოწინავე საწარმოები მიკროფონთან“, „საყოველთაო ყურადღება და დახმარება ფრონტულ ოჯახებს“, „ჩვენი ტრანსპორტი და მრეწველობა“. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამიერკავკასიის რკინიგზას, რომელმაც ომის დროს დიდი მუშაობა გასწია სახალხო მეურნეობისა და ფრონტის მომსახურებისათვის. ყოველ ოთხშაბათს, რუბრიკით „ტექნიკური პროპაგანდა“ გადაიცემოდა ლექცია-კონსულტაციები და სპეციალური საუბრები რკინიგზის მუშაკთათვის. ხშირად გადაიცემოდა რეპორტაჟები (ოქმებში ტრანსლაციებადაა მოხსენებული) მნიშვნელოვანი სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო ობიექტებიდან, მაგალითად, ქუთაისიდან თემაზე „ორდენოსანი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი“,

გორიდან – „დიდი სტალინის სამშობლო“, ავჭალის შამპანურის ქარხნიდან – „მივცეთ მაღალხარისხოვანი შამპანური მშრომელებს“, ლილოს დასახლებიდან – „ძველი და ახალი დიდი ლილო“ და სხვ.

მართალია, მეორე მსოფლიო ომის დროს რადიო ოპერატიული ინფორმირების ძირითადი წყარო იყო, მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად სრულფასოვან და ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდა იგი მსმენელებს, რადგან რადიოგადაცემათა შინაარსობრივ მხარეს ზედამხედველობდა და აკონტროლებდა საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება. ომის შუახანებამდე ომისა და ფრონტის მოვლენების ამსახველი ორიგინალური მასალები ნაკლებად გადაიცემოდა, ძირითადად საკავშირო რადიოკომიტეტისა და პრესიდან ამოკრეფილ მასალებს იყენებდნენ. ამ დანაკლისს ერთგვარად ავსებდა ისტორიული თემატიკა, რომელიც პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისა და ეროვნული გრძნობებით მანიპულირების ეფექტური საშუალება იყო. რუბრიკით „ჩვენი გმირი წინაპრები“ გადაიცემოდა საუბრები საქართველოს თავდადებულ მამულიშვილებზე, მათი ცხოვრების გმირულ ეპიზოდებზე, მაგალითად, „დავით აღმაშენებელი და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“, „ვახტანგ გორგასალი“, „თამარ მეფე“, „გიორგი სააკაძე“, „ერეკლე მეორე“ და სხვ. მის პარალელურად გამოჩნდა რუბრიკა „სსრკ-ის გმირული წარსული“, რომელიც, უმთავრესად, რუსეთის ისტორიას წარმოაჩენდა და მხოლოდ მცირე დოზით სხვა რესპუბლიკების წარსულს: მაგალითად, „რუსი ხალხი პირველ სამამულო ომში“, „ბოროდინოს ბრძოლა“, „მინინი და პოჟარსკი“, „პარტიზანული მოძრაობის როლი 1812 წ. სამამულო ომში“ და ა.შ.

ომის დროს განსაკუთრებით გაიზარდა საერთაშორისო თემებისადმი ინტერესი. ხშირად გადაიცემოდა პოლიტიკური პამფლეტები – უმეტესად თარგმნილი მასალები. მათ შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა მ. ზოშჩენკოს, ვ. კატაევის და განსაკუთრებით, ი. ერენბურგის სტატიები – „წყეული ბერლინი“, „გასეირნება ფრიცლანდიაში“, „ამის თავდები ჩვენი ხალხია“ და სხვ. „ბავშვების მკვლელებს ადგილი არა აქვთ დედამიწაზე, ყველაფერი უნდა გამოაშკარავდეს და ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ჩვენ უნდა ამოვთხაროთ ყველა ჯალათი და რადგან ჩვენ ძალიან ვაფასებთ ადამიანებს, გვსურს მისი ყველა მტერი დაისაჯოს“ – ავტორის პათეტიკური და მამხილებელი ტონი, შეურიგებელი, ბასრი სატირა, ადამიანების საბრძოლო შემართებასა და პატრიოტულ განწყობას ამაღლებ-

და. ი. ერენბურგის სტატიებს თითქმის ყოველთვის დიქტორი დავით ძიგუა კითხულობდა. მისი ხმის ტემბრი და კითხვის დამაჯერებელი ტონი მსმენელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს თარგმნილი მასალების მძიმე ენა, ღვარჭნილი ქართული და გაუმართავი წინადადებები. მიკროფონთან ჯერ არ ჩანდნენ ქართველი პამფლეტისტები და სატირიკოსები. რამდენჯერმე რადიოგადაცემებში გაიელვა გერმანე შუბითიძის პამფლეტმა საერთაშორისო თემაზე, მაგრამ იგი პოლიტიკური სიმახვილითა და სიმძაფრით არ გამოირჩეოდა.

თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, თემატურად გადაცემების რაოდენობა 1942 წლის საანგარიშო მოხსენებების მიხედვით შემდეგნაირია: „სამამულო ომის ფრონტის ამბები“ – 508 გადაცემა, „საბჭოთა ზურგი“ – 51 გადაცემა, მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნა – 61 გადაცემა, „პარტიზანული ბრძოლა“ – 14 გადაცემა. ავტორების მიხედვით: ქართველი ავტორები – 226 გადაცემა, რუსი ავტორები – 282 გადაცემა, მოძმე რესპუბლიკების (რუსულის გარეშე) – 17 გადაცემა.[1] როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, რუსულენოვანი გადაცემების სიჭარბე თვალში საცემია, რაც გამოწვეული იყო ჩვენს რესპუბლიკაში თავად რუსი და, საერთოდ, არაქართველი მსმენელების რაოდენობის ზრდითაც. ამ დროს საქართველოში იმყოფებოდნენ გამოსაჯანმრთელებლად წითელი არმიის მეომრები და ევაკუირებული მწერლები და მსახიობები.

1942 წლის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა რადიოპროგრამებში საქართველოს რადიოკომიტეტის ჟურნალისტების ორიგინალური გადაცემების წილი, რაც ფრონტთან მათი დაკავშირების შედეგი იყო. რადიოს ბევრი კორესპონდენტი თავად გახდა ომის მხილველი, რასაც დიდად შეუწყო ხელი 1942 წლის საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოსა და წითელი არმიის მთავარი პოლიტსამმართველოს მიერ მიღებულმა დადგენილებამ „სამხედრო კორესპონდენტების მუშაობის შესახებ“. მან საშუალება მისცა პრესისა და რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელობას ფრონტზე გაეგზავნათ საკუთარი კორესპონდენტები, რომლებიც ჩაირიცხებოდნენ წითელი არმიის კადრებში და მასალებს მიაწვდიდნენ შესაბამის საინფორმაციო საშუალებებს. სამხედრო კორესპონდენტებს დაევალათ ეჩვენებინათ „ფრონტის

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 34, გვ. 8.

ადამიანები, წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები, რომლებიც კარგად ფლობენ სამხედრო ტექნიკას და ბრძოლის წარმოების ტაქტიკას, მათი ინიციატივა, ხერხიანობა მტერთან ბრძოლაში, მათი სიძულვილი გერმანელი ფაშისტებისადმი, მათი სიმედგრე, თავგანწირვა და დისციპლინა სარდლობის ბრძანების შესრულებაში".[1]

რუბრიკით „მშობლიური კავკასიისათვის ბრძოლა" სისტემატურად იყო ეთერში რადიოს სპეციალური კორესპონდენტებისა და არმიაში მომუშავე ავტორების მასალები, მათ შორის, უფროსი ლეიტენანტების ნ. კაკუშაძის და გ. გვრიტიშვილის, ლეიტენანტ ნ. ტყემალაძის და სხვათა გადაცემები.

კვირაში სამჯერ გადაიცემოდა ნარკვევები სახელოვან ქართველ მეომრებზე, სსრკ გმირების საფრონტო ცხოვრების ეპიზოდებზე. მათ შორის იყვნენ ჭ. ბენდელიანი, ნ. ადამია, ალ. პირმისაშვილი, მ. გახოკიძე და სხვები. ახალი რუბრიკით „სამამულო ომში ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები" გადაიცა ნარკვევები და საუბრები: „ქართველის ქუჩა კრემენჩუგში", „ქართველები სტალინგრადის დამცველები", „კაპიტანი ბუხაიძე", „ქართველი გვარდიელები", „ძმები გულვარდაშვილები" და სხვა.

ამავე დროს ეწყობოდა სამამულო ომის მონაწილე ქართველი მეომრების „ცოცხალი გამოსვლები" მიკროფონთან. სტუდიაში მოიწვიეს სტალინგრადის დაცვის მონაწილე ჯარისკაცები და ოფიცრები, გენერალ-მაიორ ნიკოლოზ თავართქილაძის გვარდიელები, ნოვოროსიისკის, ანაპისა და ტამანის ნახევარკუნძულისათვის ბრძოლის მონაწილეები.

1943 წლის ბოლოს რადიოპროგრამებში გამოჩნდა ახალი ციკლი „საყოველთაო დახმარება განთავისუფლებულ რაიონებს", სადაც მივლინებაში გაგზავნილი რადიოჟურნალისტები აშუქებდნენ, თუ როგორ ეხმარებიან საქართველოს მშრომელები გერმანელებისაგან ახალგანთავისუფლებულ რაიონებს მეურნეობის აღდგენაში. მაგალითად, „ჩვენ მივდივართ მოძმე საბჭოთა უკრაინაში", „ძმური დახმარების ჰექტარები", „რით ვეხმარებით ჩრდილო კავკასიის და ყუბანის კოლმეურნეებს" და სხვ.

ომის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მხატვრულ მაუწყებლობას, რომლის საქმიანობა მტკიცედ დაუკავშირდა ქვეყნის თავდაცვის ამოცანებს. გარდაიქმნა რედაქციების მუშაობა და

[1] პარტიული და საბჭოთა ბეჭდური სიტყვის შესახებ, 1956 წ., გვ. 674.

როგორც რადიოკომიტეტის იმდროინდელ საანგარიშო მოხსენებებშია აღნიშნული, „ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემებს აქვს აგიტპროპაგანდისტული და მიზანსწრაფული ხასიათი მაშინაც კი, როცა კლასიკოსებს მივმართავთ. ამაღლდა გადაცემის ხარისხი, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მთელი წლის მანძილზე ხელმძღვანელ ორგანოებთან გაგზავნილი მასალებიდან მხოლოდ 5-6 შემთხვევა იყო, რომ ხელი არ მოაწერეს“.[1] აქ იგულისხმება კონტროლი, რომელსაც ახორციელებდა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ლიტერატურულ გადაცემებზეც.

ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემებში მთავარი ყურადღება დაეთმო ფრონტისა და ზურგის ცხოვრების გაშუქებას, სამამულო ომის გმირების პორტრეტების ჩვენებას. მომრავლდა პოლიტიკური ფელეტონები, მიმოხილვები და კომპოზიციები, მწერალთა გამოსვლები. ის, ვინც 1937 წლის რეპრესიებს გადაურჩა და ახლა ომის საშინელებამ წარსული დაავიწყებინა, ომახიანად გამოდიოდა მიკროფონთან. ეთერში გაისმოდა სტალინური პრემიის ლაურეატებისა და ორდენოსანი მწერლების ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის, შ. დადიანის, ა. მაშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ი. გრიშაშვილისა და სხვათა ხმები. ქართულმა საზოგადოებამ პირველად რადიოთი მოისმინა ალექსანდრე აბაშელის „ცამ დაიქუხა გუშინ“, გიორგი ქუჩიშვილის „პოეტი – ჯარისკაცი“, გიორგი ლეონიძის „აიმართენით, ვაჟკაცნო!“, სიმონ ჩიქოვანის „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, ჭაბუკი პოეტის ხუტა ბერულავას „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ!“ და სხვ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა იმსჯელა მწერლებისა და მათი ორგანიზაციის საქმიანობის ომის შესაფერისად გარდაქმნის თაობაზე და გამოხატა მზადყოფნა – ქართველმა მწერლებმა სამოქმედო პროგრამად გაიხადონ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. სტალინის 3 ივლისის გამოსვლა რადიოთი და ყველაფერი გააკეთონ მტრის გასანადგურებლად. ჩამოყალიბდა სააგიტაციო-საპროპაგანდო ბიურო ს. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით. ბიურო აგზავნიდა მწერლებს ჯარის ნაწილებში, სამობილიზაციო პუნქტებში, სამხედრო ჰოსპიტლებში, კოლმეურნეობებში თუ ფაბრიკა-ქარხნებში, აწყობდა ანტიფაშისტურ ლიტერატურულ საღამოებს, რომელთა ტრანსლაციები გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში. ასევე, თითქმის ყოველდღე ისმოდა რა-

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 38, გვ. 30.

დიოში ქართველ მწერალთა როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური ნაწარმოებები. სწორედ რადიო აღმოჩნდა ის ტრიბუნა, საიდანაც იმ მძიმე დღეებში საქართველოს მოსახლეობა ისმენდა ქართველი მწერლების ოპტიმისტური განწყობითა და პატრიოტული შემართებით გაჯერებულ მხატვრულ სიტყვას. მაგალითად, 1942 წლის 16 იანვარს გადაიცა ლიტერატურული ახალგაზრდობის ანტიფაშისტური საღამოს რადიოტრანსლაცია, რომელიც გაიხსნა გერონტი ქიქოძის მოხსენებით „სამამულო ომი და საბჭოთა ახალგაზრდობა“. შემდეგ იოსებ ნონეშვილმა წაიკითხა ლექსი „ქართლის დიდება დავიცვათ“. ასევე მხატვრული ნაწარმოებები წაიკითხეს ლადო ავალიანმა, რევაზ მარგიანმა, მარიკა ბარათაშვილმა, მაყვალა მრევლიშვილმა, გიორგი კალანდაძემ, ლადო ასათიანმა და სხვებმა.

თავდაპირველად, 1942 წლამდე, ქართველ მწერლებს არ ჰქონდათ საშუალება უშუალოდ ეხილათ და შეესწავლათ ფრონტი, ამიტომ მათი ნაწარმოებები ჯერ კიდევ კანტი-კუნტად გადაიცემოდა ეთერში, მდგომარეობა საგრძნობლად შეცვალა 1942 წლის 11 დეკემბრის საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულმა დადგენილებამ „ლიტერატურული მხატვრული პროდუქციის ხარისხის ამაღლების შესახებ“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქართველი მწერლები ღრმად ვერ ასახავენ ომის სინამდვილეს, რადგან არ იცნობენ ფრონტისა და ზურგის ცხოვრებას. საჭიროა მათი ხშირი შეხვედრები არმიისა და ფრონტის მშრომელებთანო. ამას მოჰყვა მწერლების გასვლითი ბრიგადები ჩრდილო კავკასიის ფრონტზე, სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში. რადიომ სასწრაფოდ დაამყარა კავშირი ფრონტელ ავტორებთან და სისტემატურად ღებულობდა მასალებს კ. ლორთქიფანიძის, პ. აბრამიას, ს. თავაძის, გ. ქუჩიშვილის, დ. შენგელაიასა და სხვებისაგან. ასე დაიბადა „საფრონტო ნარკვევების ციკლი“, სადაც ნაჩვენები იყო ქართველ მეომართა თავგანწირვა და შემართებული ბრძოლა მტრის წინააღმდეგ.

ომის დროს გამოჩნდნენ რადიოში ახალგაზრდა მწერლებიც: ი. ნონეშვილმა მიკროფონთან წაიკითხა ახალი ლექსი „ზოია კოსმოდემიანსკაია“, გადაიცა მ. გელოვანის, ალ. საჯაიას, რ. მარგიანის ლექსები, ლ. ასათიანის ახალი პოემა „ბასიანის ბრძოლა“. ამის შესახებ 1941 წლის სექტემბერში ნიკა აგიაშვილისადმი გაგზავნილ წერილში ლადო ასათიანი აღნიშნავდა: „დავწერე რამდენიმე ლექსი: „გულბაათ ჭავჭავაძე“, „ქართველი ოქროსმაძიებლების სიმღერა“, „ირმების შეთქმულება“, „სუმბული“ და ერთიც 300 სტრიქონიანი ისტორიული

პოემა თუ ბალადა „ბასიანის ბრძოლა“, თამარ მეფის დროიდან... ეს ნაწარმოები გასულ კვირას თავიდან ბოლომდე მიკროფონთან წავიკითხე და მოვახსენე საქართველოს“.[1]

უფრო ადრე, 1941 წელის 15 მარტს სტალინური პრემიები მიენიჭათ ლ. ქიაჩელს რომანისათვის „გვადი ბიგვა“ და გ. ლეონიძეს პოემისათვის „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“. რადიო პირველი გამოეხმაურა ამ მოვლენას და მიკროფონთან მიიწვია ლაურეატები. მოეწყო მათი ნაწარმოებების მხატვრული კითხვა. ლიტერატურული რედაქცია თავის ანგარიშში თავმომწონედ აღნიშნავდა, რომ „არცერთი თანამედროვე პოეტი, მწერალი და დრამატურგი არ დარჩენილა, რომ მისი შემოქმედება არ გაეცნო მსმენელს ამა თუ იმ ფორმით (გამოსვლა, მონტაჟი, კომპოზიცია, ნაწყვეტები)“.[2]

1942 წლის სექტემბერში საქართველოს მწერალთა დელეგაცია ესტუმრა ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩეგემისა და ბაქსანის ხეობებში 392-ე ქართველ მსროლელთა დივიზიას, სადაც სოფელ ფსიხოდში, ძმათა სასაფლაოს ნახვისას დაწერა ირაკლი აბაშიძემ ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელიც მალევე დაიბეჭდა ამ დივიზიის გაზეთში „წინ გამარჯვებისაკენ“. აქვე დაიწერა სიმონ ჩიქოვანის ლექსიც „საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ კანკავა“. თბილისში დაბრუნებისთანავე პოეტები რადიოკომიტეტში მიიწვიეს, სადაც მათ ისაუბრეს მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე და წაიკითხეს იქ დაწერილი ლექსები. ასევე, რადიომსმენელებმა მოისმინეს 1943 წელს ტამანის ნახევარკუნძულზე უცნობი ქართველი მეომრის ლევანის საფლავის ნახვისას გიორგი ლეონიძის მიერ დაწერილი ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მწერალი, რომელიც აქტიურად ეხმიანებოდა საომარ თემატიკას, გარდა ჟურნალ-გაზეთებისა, სისტემატურად მონაწილეობდა რადიოგადაცემებშიც. თავიანთ პროფესიულ მოვალეობას არ ივიწყებდნენ ის მწერლები და ჟურნალისტები, რომლებიც ფრონტზე იარაღით ხელში იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად და რადიოში ხშირად გადაიცემოდა პ. აბრამიას, ნ. კაკუშაძის, კ. ლორთქიფანიძის, რ. მარგიანისა და სხვათა მიერ მოწოდებული მხატვრული თუ პუბლიცისტური მასალები. ფრონტზე დაიღუპნენ რადიომუშაკები ალ. ცერცვაძე და გ. ზედელაშვილი.

---

[1] ლ. ასათიანი, რჩეული, თბ., 1986, გვ. 145.

[2] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 34, გვ. 2.

1942-1945 წლებში რადიომ ფართო ადგილი დაუთმო საქართველოში ევაკუირებულ რუს მწერლებსა და მსახიობებს, მოუწყო შემოქმედებითი საღამოები ი. ანდრონიკოვს, ვ. ვერესაევს, ი. ნოვიკოვს, ა. ანტონოვსკაიას, პ. პავლენკოს, ვ. გოლცევსა და სხვებს. ასევე, რუსული თეატრის საღამოებს აწყობდნენ სამხატვრო თეატრის მსახიობები ვ. კაჩალოვი, ი. კოზლოვსკი, კ. ნემიროვიჩ-დანჩენკო. როგორც დოკუმენტები გვამცნობენ, „1942 წელს ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების ხაზით განხორციელდა 945 გადაცემა. აქედან 599 ქართულ ენაზე, 346 რუსულ ენაზე. მათგან 401 იყო ორიგინალური, 544 – თარგმნილი“.[1]

აღსანიშნავია ომის დროს რადიოკომიტეტში მთარგმნელთა ნაყოფიერი მუშაობა. ნ. ლორთქიფანიძის, ი. ზურაბიშვილის, ა. ჭუმბაძის, კ. ჭიჭინაძის, რ. გვეტაძის მიწვევამ რადიოში ბევრად გააუმჯობესა გადაცემების ხარისხი. ხშირად მათ მიერ თარგმნილ მასალებს იყენებდნენ რესპუბლიკური გაზეთებიც.

მუსიკალური გადაცემების თემატიკაც ომის ვითარებით განისაზღვრა. ეთერში ისმოდა პატრიოტული, ჰეროიკული, პათეტიკური მუსიკა. 1943 წლის მაისში საქართველოს რადიოს სიმფონიურმა ორკესტრმა გაუკის დირიჟორობით შეასრულა შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია, რომელიც ლენინგრადის გმირობისა და მამაცობის სიმბოლოდ გაისმა საქართველოს ეთერში. ასევე გადაიცა რადიოთი სიმღერები ჭიჭიკო ბენდელიანზე, ალექსანდრე წურწუმიაზე და კაპიტან ბუხაიძეზე.

ომის პერიოდში შემცირდა საბავშვო გადაცემები. თვეში 14 გადაცემა ქართულენოვანი იყო, 6 – რუსული, ხოლო მუსიკალურ ხელოვნებას 10 გადაცემა ეძღვნებოდა. ფართოდ შუქდებოდა პიონერული ცხოვრება – დისციპლინისა და მოვალეობის საკითხები. სამხედრო საქმეში გათვითცნობიერების მიზნით სპეციალურად ბავშვებისთვის გადაიცემოდა საუბრები: „თოფი“, „ტანკების შესახებ“, „ქიმია და ომი“ და ა.შ. ასევე, ლიტერატურულ გადაცემებშიც ჭარბობდა საომარი თემატიკა. მაგალითად, გრ. აბაშიძის „ნორჩი რკინიგზელი“ და „ნორჩი პიონერის ფიცი“, ვ. ქუჩიშვილის „განგაში“, ი. გრიშაშვილის „ევაკუირებული ბავშვები“ და სხვ.

საბავშვო გადაცემებს 1941 წელს ხელმძღვანელობდა ე. მღებრიშვილი, პასუხისმგებელ რედაქტორებად მუშაობდნენ თ. მოდება-

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 34, გვ. 5.

ძე და გ. მანჯგალაძე, რეჟისორად 1940 წელს – დ. ცხაკაია, 1941 წლიდან კი – დ. ხომერიკი. მათ ემატებოდა აგრეთვე ე.წ. „მასობრივად მომუშავე“ ვ. ფირანიშვილი.

ომის დროს საქართველოს რადიოს გამომშვები სექტორიც ახალი თანამშრომლებით შეივსო. 1942 წელს რადიოკომიტეტის დიქტორი ხდება ეროსი მანჯგალაძე, რომელიც იმ დროს თეატრალური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი იყო. 1947-1948 წლებში იგი სტალინირის თეატრის მსახიობია, შემდეგ კვლავ რადიოკომიტეტში აგრძელებს მუშაობას უმაღლესი კატეგორიის დიქტორის თანამდებობაზე და პარალელურად მუშაობს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მსახიობად. ეროსი მანჯგალაძე იყო არა მხოლოდ შესანიშნავი დიქტორი, არამედ ბრწყინვალე სპორტული კომენტატორიც, რომელიც რეპორტაჟის გაძღოლის მანერით და ტემპერამენტიანი თხრობით მსმენელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

1943 წლიდან რადიოში მუშაობა დაიწყო შემდგომში საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, უმაღლესი კატეგორიის დიქტორმა ელენე ტაბლიაშვილმა, რომელიც 57 წლის განმავლობაში ეთერში სისტემატურად კითხულობდა უკანასკნელ ცნობებს, საუბრებს, მხატვრულ-ლიტერატურულ გადაცემებს, ლექსებს, მოთხრობებს, მონაწილეობდა საბავშვო და ახალგაზრდულ გადაცემებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის დიქტორთა მთელი პლეადის აღზრდაშიც. ასევე, 1943-1948 წლებში რადიოს დიქტორად მუშაობდა ლია ჭანიშვილი, ხოლო 1945-1946 წლებში – მარგარიტა ჩახავა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოდან საკავშირო რადიო ახორციელებდა მაუწყებლობას იტალიასა და ბალკანეთის ქვეყნებზე. მას ხელმძღვანელობდა პ. კოვანოვი, რომელიც შემდგომ მუშაობდა საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად. რადიოში მოქმედებდა სპეციალური ბრიგადა, რომლის შემადგენლობა ინტერნაციონალური იყო: იტალიელები დ. კუდრიაცი და მ. პილანო, ბულგარელები დ. კალინკოვა და დ. ნიკოლაევი, უნგრელები ვ. კოვაჩი და მ. ბოვარი, იუგოსლაველი ი. ზბაროვიჩი, რუმინელი ი. სპირუ. მასალები გადაიცემოდა 10 ენაზე და ზოგიერთი მათგანი ეძღვნებოდა საქართველოსაც. ასევე, თბილისიდან ხორციელდებოდა მაუწყებლობა ჩრდილოეთ კავკასიის დროებით ოკუპირებული რაიონებისთვისაც.

ამრიგად, 1941-1945 წლებში საქართველოს რადიო კავკასიის

მთელ რეგიონში ინფორმაციისა და პროპაგანდის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. იგი დროულად ეხმიანებოდა ომისა და ზურგის ამბებს, აანალიზებდა მიმდინარე მოვლენებს, საერთაშორისო მდგომარეობას და მტერზე გამარჯვებაში თავისი წვლილი საქართველოს რადიოს ჟურნალისტებსაც მიუძღვით.

ომისშემდგომ ათწლეულში საქართველოში რადიომაუწყებლობის განვითარება მჭიდროდ დაუკავშირდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო გეგმებს.

1946 წლის 12-19 მარტს სსრკ უმაღლესი საბჭოს მე-11 მოწვევის სესიაზე მიღებული დადგენილების თანახმად, სსრკ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები გარდაიქმნა მინისტრთა საბჭოებად, ხოლო სახალხო კომისარიატები – სამინისტროებად. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტს ეწოდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი, რომელიც წარმოადგენდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივ ორგანოს და ექვემდებარებოდა როგორც საქართველოს მინისტრთა საბჭოს, ასევე აღნიშნულ კომიტეტს.

საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დებულების მიხედვით ევალებოდა: „საქართველოს სსრ მოსახლეობისათვის პოლიტიკური მაუწყებლობის ორგანიზაცია, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყოველმხრივი გაშუქება, სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ფართო პროპაგანდა, სსრკ ხალხებისა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მიღწეული წარმატებების პოპულარიზაცია, ასევე რადიომსმენელების ინფორმირება საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ; სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების, მეცნიერული ცოდნის, სსრკ ხალხთა შემოქმედების, კლასიკური ლიტერატურის, მუსიკისა და დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებების ფართო პროპაგანდა“.[1] აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს რადიომაუწყებლობის ორგანი-

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 10, გვ. 85.

ზაციულ და შემოქმედებით სტრუქტურაში, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა რადიოსადგურებისა და რადიოაპარატურის რიცხვი, დღის წესრიგში დადგა სოფლის სრული რადიოფიკაციის საკითხი და რადიო პროფესიული კადრებით შეივსო.

1949 წლის 6 ივლისს სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის ერთიანი კომიტეტი (რომელიც 1933 წლიდან არსებობდა) გარდაიქმნა საკავშირო მნიშვნელობის ორ სტრუქტურად – სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიოინფორმაციის კომიტეტად და რადიომაუწყებლობის კომიტეტად. პირველს დაევალა შიდა მაუწყებლობა, მეორეს კი – მაუწყებლობა საზღვარგარეთის ქვეყნებზე. ეს რეფორმა, როგორც ჩანს, განაპირობა უცხოეთზე მაუწყებლობის გაზრდილმა მნიშვნელობამ ომისა და ომისშემდგომ წლებში (მკვეთრად გაფართოვდა მისი მოცულობა, სამაუწყებლო ენების რიცხვი და მაუწყებლობის ზონები). შესაბამისი ცვლილება მოხდა რესპუბლიკების დონეზეც. საქართველოს რადიოს, რომელსაც უცხოეთზე მაუწყებლობა არ გააჩნდა, უბრალოდ სახელი შეეცვალა და ეწოდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოინფორმაციის კომიტეტი, მის თავმჯდომარედ დაინიშნა ალექსანდრე კვაჭაძე. 1952 წლის ივლისში ა. კვაჭაძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან იმ მოტივით, რომ „ვერ უზრუნველყო კომიტეტის ხელმძღვანელობა, დაუშვა ფინანსური დარღვევები, დისციპლინისა და ჰონორარის უკონტროლობა“, ასევე გაათავისუფლეს მისი მოადგილე ამირან გაბესკირია და სხვა თანამშრომლებიც. რადიოკომიტეტის ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა ანტონ კელენჯერიძე, მოადგილედ – ალექსანდრე ფარულავა.

1953 წლის მარტში ცენტრალური დაწესებულებებისა და უწყებების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ამ ორი კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველო და რადიომაუწყებლობის მთავარი სამმართველო და ორივე შევიდა ახალ ჩამოყალიბებული სსრკ კულტურის სამინისტროს შემადგენლობაში. შესაბამისად, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოინფორმაციის კომიტეტი გახდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველო, ხოლო მისი თავმჯდომარე ა. კელენჯერიძე – სამმართველოს უფროსი. ასეთმა ცვლილებამ დიდი პოლემიკა გამოიწვია საკავშირო პრესაში და არაერთი საწინააღმდეგო მოსაზრებაც გამო-

ითქვა. ამას ისიც დაემატა, რომ ომისშემდგომ წლებში გამოჩნდა ხალხის ფართო მასებზე ზემოქმედების უფრო ეფექტური საშუალება ტელევიზიის სახით, რომელმაც გარკვეულწილად შეცვალა თავად რადიომაუწყებლობის საქმიანობა და იგი ახალი ამოცანების წინაშე დააყენა.

ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წლის მონაცემებით, საქართველოში არსებობდა 81 რადიოკვანძი და 60 ათასზე მეტი სატრანსლაციო წერტილი, სოფლად რადიოფიცირებული იყო 370-მდე სასოფლო საბჭო, 300-მდე კოლმეურნეობა და 31 მტს (მანქანა-ტრაქტორების სადგური).[1] 1951 წლისათვის კი საქართველოში რესპუბლიკური მაუწყებლობა წარმოებდა ორი მძლავრი რადიოსადგურიდან – 1571 და 59, 52 მეტრ ტალღებზე. ამ დროისათვის სულ მოქმედებდა 259 რადიოკვანძი. უფრო გაფართოვდა და სტაბილური გახდა რადიოაუდიტორია და, რაც მთავარია, წარმატებით გაგრძელდა ჟურნალისტიკის ახალი ფორმებისა და ხერხების შემოქმედებითი ძიება.

40-50-იან წლებში საქართველოში ჯერ კიდევ ომამდე ჩამოყალიბებული რადიომაუწყებლობის დიფერენცირებული სისტემა კიდევ უფრო განმტკიცდა. იგი მოიცავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მხატვრულ პროგრამებს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობა აერთიანებდა „უკანასკნელი ცნობების“, პროპაგანდის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის რედაქციებს. მათი თანამშრომლები ამზადებდნენ გადაცემებს ახალგაზრდობისთვისაც, რომლის ცალკე რედაქცია მოგვიანებით შეიქმნა.

1950 წლის ივნისის მონაცემებით საქართველოს რადიოში ფუნქციონირებდა შემდეგი რედაქციები: საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების რედაქცია, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო არ. ქადაგიშვილი, უფროსი რედაქტორი გრ. იმედაძე, რედაქტორი ალ. მარგველაშვილი; „უკანასკნელი ცნობების“ რედაქცია – პასუხისმგებელი რედაქტორი შ. ჯიქია; რუსულენოვანი გადაცემის უფროსი რედაქტორი პ. ბედენაშვილი, რედაქტორები: ალ. გაბუნია და დ. გეგენავა, ლიტერატურული რედაქტორი გ. სოსელია.

მხატვრულ მაუწყებლობაში შედიოდა: ლიტერატურულ-დრამატული მაუწყებლობის რედაქცია – პასუხისმგებელი რედაქტორი ნ. სირბილაძე, ლიტერატურული რედაქტორი მ. სუხიაშვილი, ბიბლიოთეკარი ა. ბადრიევა; მუსიკალური მაუწყებლობის რედაქცია –

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1946, 07.05.

სიმფონიური გადაცემების პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ქართველიშვილი, უფროსი რედაქტორი გ. კაცელაშვილი, ნოტების ბიბლიოთეკის უფროსი ლ. ლუკაშევა; საბავშვო მაუწყებლობის რედაქცია – პასუხისმგებელი რედაქტორი აკ. ძიძიგური, უფროსი რედაქტორი ლ. ბუაჩიძე, რედაქტორი მ. ვოზნესენსკი.

გამომშვები სექტორის გამგე იყო ო. ანთელავა, უფროსი გამომშვები – მ. ურუშაძე. ტექნიკურ ნაწილს ხელმძღვანელობდა ო. ქუთათელაძე.

რადიოკორესპონდენტებად მუშაობდნენ: ნ. ტყემალაძე, მ. ჭეიშვილი, ე. დომორაცკი. ა. ფარადაშვილი, ერ. გოგიავა და სხვ.

მუსიკალური კოლექტივების მხატვრული ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ალ. ბუკია, სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი – შ. აზმაიფარაშვილი, დირიჟორი – ალ. ნასიძე, კაპელის მხატვრული ხელმძღვანელი გ. ხახანაშვილი, მხატვრული ხელმძღვანელი ავქ. მეგრელიძე, ქორმეისტერი ვლ. ბაბილუა.

1952-1957 წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მაუწყებლობას ხელმძღვანელობდა ვახტანგ ძამაშვილი, მხატვრულ-დრამატულს კი – აკაკი ძიძიგური (1956 წელს იგი შეცვალა ივლიტა მესხიშვილმა).

გარდა ამისა, რადიოს ჰყავდა პროგრამების დირექცია, დიქტორთა ჯგუფი, საკუთარ კორესპონდენტთა ფართო ქსელი და მაუწყებლობის მექანიკური სექტორი, სადაც შედიოდა სააპარატო (მას ხელმძღვანელობდა უფროსი ტექნიკოს-ოპერატორი ლ. ქიშმიშევი), მიკროფონების, ტონფილმებისა და გრამფირფიტების სამსახურები.

ომისშემდგომ საბჭოთა კავშირში არსებობდა ადგილობრივი მაუწყებლობის 82 კომიტეტი – რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო. თითოეული მათგანი მაუწყებლობდა მშობლიურ ენაზე. ამავე დროს განსაზღვრული დრო ეთმობოდა რუსულენოვან გადაცემებს და, ასევე, ცენტრიდან დაგეგმილი რადიობადის მიხედვით, ადგილობრივი რადიოქსელები საკავშირო რადიოკომიტეტის გადაცემებსაც იღებდნენ. 1951 წლის მონაცემებით, საქართველოს რესპუბლიკური მაუწყებლობის მოცულობა ყოველდღიურად შეადგენდა 8 საათსა და 50 წუთს. ხოლო მოსკოვიდან ტრანსლაციასთან ერთად 17 საათსა და 40 წუთს. დაახლოებით იგივე მდგომარეობა იყო ყველა რესპუბლიკაში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ასეთი ცენტრალიზებული სისტემა იმ ძირითად ბერკეტს წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარ-

ტია ახორციელებდა თავის პოლიტიკას – ერთიანი საბჭოთა ერის ცნობიერების ჩამოყალიბების სანუკვარ პროგრამას.

ამ მხრივ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა რადიოს ინფორმაციული მაუწყებლობა, რომელიც სხვადასხვა გადაცემებს მოიცავდა: უკანასკნელი ცნობები; ცენტრალური (საკავშირო) და რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა; სსრკ-ის ახალი ამბები; თბილისის ახალი ამბები; საერთაშორისო მიმოხილვა.

რადიოპროგრამებში ცენტრალური ადგილი „უკანასკნელ ცნობებს" ეკავა, რომელიც განკუთვნილი იყო „ყველასათვის", ნებისმიერი სოციალური ჯგუფისა თუ ფენის, პროფესიისა თუ ასაკის ადამიანისთვის. აქ თავს იყრიდა ინფორმაცია მიმდინარე ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ფაქტსა თუ მოვლენაზე – პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა თუ განათლების შესახებ. იგი შეუზღუდავი იყო თემატურად და გეოგრაფიულად და მრავალფეროვანი პუბლიცისტური ხერხების გამოყენების საშუალებასაც იძლეოდა.

„უკანასკნელი ცნობები" გადაიცემოდა დღეში 6-ჯერ და, წესისამებრ, მოიცავდა ინფორმაციებს საკავშირო, რესპუბლიკური და საერთაშორისო ცხოვრების შესახებ. ქალაქის სატრანსლაციო ქსელით კი დღეში ერთხელ გადაიცემოდა „თბილისის ახალი ამბები".

საჭირო მასალებს რადიოკომიტეტის საინფორმაციო სამსახური სხვადასხვა წყაროდან იღებდა: სსრკ დეპეშათა სააგენტოდან, საქართველოს დეპეშათა სააგენტოდან, საკავშირო თუ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებიდან და საკუთარი კორესპონდენტებისგან, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჰყავდა.

1949 წლის მონაცემებით, „უკანასკნელი ცნობების" რედაქციაში მუშაობდა 2 შტატის და 8 უშტატო თანამშრომელი, ასევე 37 ადამიანისაგან შემდგარი ავტორთა აქტივი, რომელიც ყოველდღიურად რედაქციას აწვდიდა საშუალოდ 20-ზე მეტ ინფორმაციას. ყოველ გამოშვებაში გადაიცემოდა 5-7 ცნობა რესპუბლიკის ცხოვრებაზე, 3-4 საკავშირო ინფორმაცია და 6-7 მნიშვნელოვანი ცნობა საერთაშორისო თემაზე.[1] სხვადასხვა წლებში „უკანასკნელი ცნობების" რედაქციაში მოღვაწეობდნენ: გურამ მღებრიშვილი, კორა წერეთელი, ნიკოლოზ აბზიანიძე და სხვები.

რადიოში მოქმედებდა 1933 წლიდან დამკვიდრებული მასალათა განლაგების პრინციპი პოლიტიკური აქტუალობის მიხედვით. გა-

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 106, გვ. 12.

მოშვება იხსნებოდა საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების, გადაწყვეტილებების, სახელმწიფო მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტყობინებით. შემდეგ გადაიცემოდა მასალები შრომითი კოლექტივების საქმიანობაზე, სახელმწიფო გეგმების ვადაზე ადრე შესრულებაზე, სტახანოვურ მოძრაობაზე, სოციალისტურ შეჯიბრებაზე და ა.შ. დასასრულს მსმენელს აცნობდნენ ხელოვნების, კულტურის, სპორტისა და საყოფაცხოვრებო საკითხებს, ასევე ამინდის პროგნოზს. რედაქცია ხშირად მიმართავდა მასალათა განლაგების ე.წ. გეოგრაფიულ პრინციპსაც, პირველ რიგში გადაიცემოდა საკავშირო მასშტაბით მომხდარი ახალი ამბები, შემდეგ ინფორმაციები რესპუბლიკის ცხოვრებაზე და ბოლოს საზღვარგარეთის შესახებ.

შედარებით ნაკლებად, მაგრამ სადღესასწაულო დღეებში ან შრომითი და საარჩევნო კამპანიების პერიოდში რადიო იყენებდა მასალათა განლაგების თემატურ პრინციპსაც, სადაც მასალები ერთი თემის მიხედვით ჯგუფდებოდა.

იმთავითვე განისაზღვრა „უკანასკნელი ცნობების“ ინფორმაციათა ხანგრძლივობაც. ყოველი მასალა სამ წუთზე მეტი არ უნდა ყოფილიყო და, რაც შეიძლება, სხარტად და ლაკონიურად უნდა გადმოეცა ახალი ამბავი, თუმცა ეს პრინციპი ხშირად ირღვეოდა სხვადასხვა მიზეზთა გამო.

30-იანი წლებიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება ტრადიცია, რომლის მიხედვითაც „უკანასკნელი ცნობების“ გამოშვებებს უძღვებოდა ორი დიქტორი – ქალი და მამაკაცი.

ომის შემდგომ რადიოში გაგრძელდა დიქტორთა ახალი კადრებით შევსება. 1948-49 წლებში შტატიან დიქტორად მიიღეს რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი მედეა ჩახავა, რომელსაც ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას იწვევდნენ რადიოს საბავშვო გადაცემებში მონაწილეობისათვის. ამავე წლებში მოღვაწეობდნენ რადიოს დიქტორებად უშანგი ზარეკიძე, გიორგი ცაბაძე, ბეჟან ჯაფარიძე, მიხეილ ლოპატკინი. 1951 წელს რადიოკომიტეტის თავმჯდომარემ ანტონ კელენჯერიძემ რადიოს დიქტორებად მიიწვია თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები მერი მიქელაძე და მერაბ თაბუკაშვილი, 1952 წლიდან დიქტორის თანამდებობაზე მიიღეს ვახტანგ ჯახუტაშვილი და რევაზ თავართქილაძე, პროფესიით მსახიობები.

რადიოკომიტეტის ომისშემდგომ მასალებში განსაკუთრებით

იგრძნობოდა მშვიდობიანი ცხოვრების მაჯისცემა. თუ ომის დამთავრების პირველ ხანებში რადიოში ხშირად ისმოდა შემდეგი სათაურები: „სწრაფად მოვირჩინოთ ომისგან მიყენებული ჭრილობები“, „საწარმოო სწავლება პროფკავშირებში“, „დემობილიზებული მეომრები მშვიდობიან შრომით ვახტზე“, „წითელი ჯვარი“ და სხვ. შემდგომში ბევრი საკითხი აქტუალური აღარ იყო და მთელი ყურადღება დაეთმო კომუნისტური მშენებლობების, სტახანოვური მოძრაობის, შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრებების ჩვენებას.

ყოველ გამოშვებაში გადაიცემოდა ინფორმაციები კომუნისტთა ავანგარდულ როლზე, პარტორგანიზაციების მონაწილეობაზე ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაში, პოლიტგანათლების ქსელში სწავლების მიმდინარეობაზე და ა.შ. მთავარი იყო წარმოჩენილიყო პარტიის წარმმართველი და ხელმძღვანელი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საარქივო მონაცემებით, 1949 წლის პირველ ნახევარში „პარტიულ საკითხზე გადაიცა 200-ზე მეტი მასალა“.[1] აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასალები ფორმითა და შინაარსით ტყუპისცალებივით ჰგავდა ერთმანეთს და მხოლოდ პერსონაჟები იცვლებოდნენ.

ყოველივე ზემოთქმული „უკანასკნელი ცნობების“ რედაქციის მუშაობის ერთ მხარეს წარმოადგენდა, შინაარსობრივად კი მისი მოვალეობა იყო საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური და პოლიტიკური პოზიციებიდან გაეშუქებინა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები.

1946 წ. 8 ივნისს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულმა დადგენილებამ „სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების შესახებ“ რადიოს ფართო ორგანიზატორული მუშაობის ამოცანა დააკისრა და ინფორმაციულ გამოშვებებში გამორჩეული ადგილი დაეთმო სამრეწველო თემატიკას: ხუთწლიანი გეგმების შესრულებისათვის მობილიზაციას, მშრომელთა გამოხმაურებებს ზეგეგმითი დაგროვების ინიციატივაზე, ეკონომიის რეჟიმზე, მუშაობის რენტაბელობაზე და ა.შ. ყოველდღე გადაიცემოდა ოპერატიული ინფორმაციები ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, გორის საფეიქრო კომბინატის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობების შესახებ. რადიო

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 106, გვ. 14.

ძირითადად წარმატებებს აცნობდა მსმენელებს – გარდამავალი წითელი დროშის მოპოვებას, საპატიო ჯილდოების მიღებას, ინტენსიურ შრომით პროცესებს, „ახალი ცხოვრებით აღფრთოვანებული ადამიანების“ საქმიანობას. სამაგიეროდ, ნაკლებად შუქდებოდა ნეგატიური მხარეები, ჩრდილში რჩებოდა მშრომელთა მატერიალური ცხოვრების პირობები, ყოფა-ცხოვრების, კეთილმოწყობის, დასვენებისა და გართობის საკითხები. მთავარი ამოცანა იყო შექმნილიყო იმის ილუზია, რომ საქართველოს მშრომელთა ფართო მასები დიდი გატაცებით აშენებენ ახალ ცხოვრებას, რომ ისინი ყოველ ახალ წამოწყებას, სსრკ-ის სხვადასხვა რესპუბლიკების მშრომელთა თაოსნობებს გულმხურვალედ ეხმაურებიან და მათ გამოცდილებას აღტაცებით იზიარებენ. მ. ჩუტკიხის, ა. შეხნოვის, ო. აგაფონოვას, ლ. კოროლენკოვის, მ. როჟნევისა და სხვათა სახელები ყოველდღე ისმოდა ეთერში. ძირითადად გამოყენებული იყო ჟურნალ-გაზეთებისა და საკავშირო რადიოკომიტეტიდან მიღებული მასალები.

50-იან წლებში განსაკუთრებით ბევრი მასალა გადაიცემოდა რადიოთი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, რომელიც მასების ორგანიზების ერთ-ერთ ქმედით საშუალებად ითვლებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მთელი არსებობის მანძილზე.

საბჭოთა კავშირში არ დარჩენილა არც ერთი შრომითი კოლექტივი, სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე რომ არ გამხდარიყო. „უკანასკნელი ცნობების“ ყოველ გამოშვებაში თითო მასალა მაინც ეძღვნებოდა სოცშეჯიბრებასა და მოწინავე გამოცდილების გაზიარებას. გამოჩნდა ახალი რუბრიკები და ციკლები: „მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა“, „წინასაარჩევნო და წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულნი“, „საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება“, „სოცშეჯიბრების დღიური“ და სხვ., რომლებიც შეიცავდნენ ინფორმაციებს ფაბრიკა-ქარხნებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, ახალი მშენებლობებიდან და ა.შ. ამ მასალების გაცნობისას, რომელთა ნაწილი საარქივო ფონდებშია დაცული, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ პროცესებს თავად ადგილზე არ ჰქონდა ისეთი ფართო ხასიათი, როგორც პრესასა თუ რადიოში. ციფრობრივი მონაცემებით გადატვირთული ასეთი ინფორმაციები დიდად ვერ დაინტერესებდა მსმენელებს. თუ როგორ და რა ფორმებით ახერხებდნენ რადიომუშაკები თემატურად მრავალფეროვანი მასალის მიტანას აუდიტორიამდე, ამაზე რადიოკომიტეტის საარქივო მასალები მიგვანიშნებს.

გადავხედოთ 1951 წლის 20 ივნისის 23.30 საათის „უკანასკნელი ცნობების“ გამოშვებას:

ინფორმაციული შენიშვნა: ჟდანოვის სახ. ქარხანა „აზოვსტალის“ მიერ კომუნიზმის უდიდესი მშენებლობის შეკვეთების შესრულება; ყაზახეთის მშრომელების დახმარება სტალინურ მშენებლობებს; სამტრედიის მტს-ის კომკავშირელთა გმირობა.

ანგარიში: „ტყის მეგობრის საზოგადოების“ რესპუბლიკური ყრილობის მუშაობის დაწყება; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სტალინის შრომას „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“.

მიკროფონთან გამოსვლა: აფხაზეთის ტყის სამმართველოს ვაჭრობის უფროსი ვ. თათარაშვილი. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გორის სახელმწიფო თეატრის გასტროლების გახსნასთან დაკავშირებით მისი მთავარი რეჟისორის ვ. ყუშიტაშვილის გამოსვლა.

რეპორტაჟი: ჩაის კრეფის მიმდინარეობა დასავლეთ საქართველოში, შეკრება ხაშურის კვანძში რკინიგზელთა დღის აღსანიშნავად.

სპორტული ინფორმაციები, საერთაშორისო ამბები.

როგორც ამ გამოშვებიდან ჩანს, „უკანასკნელ ცნობებში“ ძირითადად გამოიყენებოდა ისეთი რადიოჟანრები, როგორიცაა ინფორმაციული შენიშვნა, ანგარიში, რეპორტაჟი, მიკროფონთან გამოსვლა.

ოპერატიულობით გამოირჩეოდა ინფორმაციული შენიშვნა – მაუწყებლობის ყველაზე ქმედითი ჟანრი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იყო „უკანასკნელი ცნობების“ რომელიმე გამოშვება და ყოველი ახალი ამბავი ამ ჟანრით ეუწყებოდა მსმენელს. ზოგჯერ მთელი საინფორმაციო გამოშვება მხოლოდ ინფორმაციული შენიშვნებისგან შედგებოდა და დიქტორების ხმათა მონაცვლეობა თუ ქმნიდა რადიოგენურობის ეფექტს.

განსხვავებით ინფორმაციული შენიშვნისაგან, „მიკროფონთან გამოსვლა“, რომელიც 30-იან წლებში ჩამოყალიბდა და რომელსაც 40-50-იანი წლების რადიოჟურნალისტები „ცოცხალ გამოსვლას“ უწოდებდნენ (სპეციალურ ლიტერატურაში იგი „რადიოგამოსვლის“ სახელითაა ცნობილი), რადიოსთვის მეტად ორგანული და ქმედითი ფორმა გამოდგა. მასში გამოვლინდა რადიოს მასობრიობისა და ხალხურობის პრინციპი, რომელსაც მაშინდელი ხელისუფლება სე-

რიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა. „მიკროფონთან ცოცხალი გამოსვლა“ აძლიერებდა საბჭოური ცხოვრების აგიტაციის ძალას, ფაქტის სარწმუნოობას, რამდენადაც მსმენელს საშუალებას აძლევდა ინფორმაცია პირდაპირი წყაროდან მიეღო, რასაც თან ახლდა გამომსვლელის ინდივიდუალური თვისებების წარმოჩენაც. გარდა ამისა, იგი ადვილად მოსამზადებელიც იყო და მხოლოდ ერთი გამოსახვითი საშუალებით – ზეპირი სიტყვით ხდებოდა ფაქტის შეტყობინება. სამაგიეროდ, ფაქტის განზოგადების საშუალებას იძლეოდა იმ პირის მეშვეობით, ვინც მისი უშუალო მონაწილე და მხილველი იყო.

ამ ჟანრს „უკანასკნელი ცნობების“ თითქმის ყველა გამოშვებაში მიმართავდნენ გამოცდილების გაზიარების, სოციალისტური შეჯიბრების პროპაგანდის მიზნით, სოფლისა თუ ქალაქის მოწინავე ადამიანების შრომითი საქმიანობის წარმოსაჩენად და ა.შ. ფაქტობრივად, „მიკროფონთან გამოსვლა“ საბჭოურ პერიოდში უფრო თავის ქების ტრიბუნა იყო, სადაც გამომსვლელები პათეტიკურად საუბრობდნენ თავიანთ შრომით წარმატებებზე და გაუთავებლად ისმოდა ეთერში: „ჩვენ პირობას ვდებთ“, „ჩვენ ვიბრძვით მაღალი მოსავლისათვის“, „ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს დიდი ბელადის სიტყვები“ და ა.შ. როგორც საანგარიშო მოხსენებებშია მითითებული: „შინაური ცხოვრების გაშუქებისას რედაქციის წინაშე იდგა ამოცანა დღეში 2-3-ჯერ მაინც გამოშვებაში გამოეყენებინა გამოსვლები მუშების, მოსამსახურეების, ხელოვნების მოღვაწეებისა. 1950 წლის I ნახევარში გადაიცა სულ 320 ცოცხალი გამოსვლა მიკროფონთან“.[1]

რადიომ „ცოცხალი გამოსვლებით მიკროფონთან“ დიდი როლი შეასრულა სხვადასხვა შრომითი კოლექტივების ინიციატივებისა და თაოსნობების გავრცელებაში. პირველად სწორედ „უკანასკნელი ცნობების“ გამოშვებაში გაისმა საქართველოში ალ. ჩუტკიხის მეთოდის პიონერის, ფაბრიკა „საბჭოთა აჭარის“ ოსტატის თანაშემწის ო. ახალკაცის თაოსნობის შესახებ, რომელმაც თავადვე უამბო მსმენელებს თავისი მეთოდისა და მიღწევების შესახებ. ასევე რადიომ გაუწია პროპაგანდა თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მექანიკოსის ი. ნიკოლაიშვილის ინიციატივას.

1950 წლის შემოდგომაზე, საქართველოს ალპინისტთა ჯგუფმა დალაშქრა მაზერი-უშბა-შხელდის მწვერვალები. ასეთი ტრავერსი

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. I, საქ. 138, გვ. 63.

მასშტაბითა და სირთულის მხრივ პირველი იყო საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში. რადიომ მაშინვე შეაფასა ამ ფაქტის მნიშვნელობა და ჩამოსვლისთანავე მიკროფონთან მიიწვია ჯგუფის ხელმძღვანელი. მსმენელისათვის ამ ფორმით მიწოდებული მასალა უფრო დამაჯერებელი და, ამავე დროს, რადიოგენურიც იყო.

საერთოდ, რადიოჟანრი „მიკროფონთან გამოსვლა“ მასებთან დაკავშირების ერთ-ერთი შესანიშნავი საშუალება გამოდგა, რომელმაც გასაქანი მისცა ახალი საზოგადოების მშენებელ ადამიანებს, გამოსულიყვნენ მიკროფონთან მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე და მათშიც გაეღვიძებინათ ის ენთუზიაზმი, რომელსაც დაჟინებით მოითხოვდა მაშინდელი პროპაგანდა. აქვე თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ ატმოსფეროსაც, რომელიც მხოლოდ დადებითისა და „საამური ცხოვრების“ ჩვენების ტენდენციით გამოიხატებოდა, ცხადია, რომ ამგვარ გადაცემებში არავინ მსჯელობდა მწავავე პრობლემებსა და საჭირბოროტო საკითხებზე, გამომსვლელთა ტექსტებიც წინასწარ მზადდებოდა, მკაცრად მოწმდებოდა და ისე მიეწოდებოდა მსმენელს. ასეთი მასალებით რადიო ქმნიდა საბჭოთა ქვეყნის მშენებელი ადამიანის სახეს, რომელიც მისაბაძი და სამაგალითო იქნებოდა ფართო მუშურ- გლეხური მასისათვის.

ზემოთ ხსენებული რადიოჟანრების პრიორიტეტი სხვა ინფორმაციულ ჟანრებთან შედარებით ტექნიკის სიმწირითაც იყო განპირობებული. მხოლოდ მოგვიანებით, ჯერ შორინოფონის, შემდეგ კი მაგნიტოფონის პრაქტიკაში დანერგვამ რადიოჟურნალისტების შრომა ბევრად შეამსუბუქა და შესაძლებლობა მისცა მათ, წინასწარ ფირზე ჩაეწერათ ესა თუ ის მნიშვნელოვანი მოვლენა, შემდეგ რედაქციაში დაემუშავებინათ და ისე გადაეცათ ეთერში.

ეს მეთოდი, მიუხედავად დროისა და სივრცის არათანადროულობისა, ხშირად გამოიყენებოდა ომისშემდგომ რადიოში და ასევე გამოიყენება დღესაც. ასეთი რადიორეპორტაჟები გადაიცემოდა რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნებიდან, ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურიდან, სამგორის სარწყავი არხის მშენებლობიდან და სხვ. მაგალითად, „1949 წელს სამგორის სარწყავ მშენებლობაზე ნახევარი წლის მანძილზე გადაიცა 9 რეპორტაჟი და 200 ინფორმაციული შენიშვნა“.[1] ასევე აღსანიშნავია მეტეხის ხიდის გახსნასთან დაკავშირებული რადიორეპორტა-

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. I, საქ. 174, გვ. 236.

ჟი, რომელიც ხიდის გახსნიდან ორი საათის შემდეგ გადაიცა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ომის შემდგომ რადიოკომიტეტში მხოლოდ 2 მაგნიტოფონი არსებობდა, აქედან ერთი ემსახურებოდა „უკანასკნელი ცნობების“ რედაქციას.

რადიორეპორტაჟებს ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვა მნიშვნელოვანი თავყრილობებისა და მასობრივი ღონისძიებების დროს. მომზადდა რეპორტაჟები ილია ჭავჭავაძის, ალ. წულუკიძის, ს. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმების გახსნასთან დაკავშირებით. რეპორტაჟი ძირითადი ჟანრი იყო საარჩევნო კამპანიის დროს. რედაქციის თანამშრომლებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ და ევალებოდათ რადიორეპორტაჟების მოწყობა იმ საარჩევნო უბნებიდან, სადაც კენჭს იყრიდნენ სტალინი, ბერია, მოლოტოვი, მალენკოვი და სხვა პარტიული ხელმძღვანელი მუშაკები.

ამრიგად, რადიორეპორტაჟი, რომელიც 30-იან წლებში გამოჩნდა საქართველოს რადიოში „აქტუალური გადაცემების“ სახით, 40-50-წლებში ჩამოყალიბდა რადიოს საინფორმაციო მაუწყებლობის ერთ-ერთ ძირითად ჟანრად. მას იყენებდნენ პროპაგანდისტულ და მხატვრულ მაუწყებლობაშიც. განსაკუთრებით პოპულარული გახდა სპორტული რეპორტაჟები, კერძოდ კი, ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟები, რომლებსაც 60-იან წლებამდე ხშირად „ტრანსლაციებად“ აცხადებდნენ. პირველ რეპორტაჟს ფეხბურთის სტადიონიდან 1945 წელს უძღვებოდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პიერ კობახიძე, შემდეგ მას მხარში ამოუდგა ვლადიმერ გაბელია. მაგრამ, შეიძლება ითქვას, ეს ჟანრი ხელოვნების დონეზე აიყვანა ლეგენდარულმა რადიოკომენტატორმა და ქართული თეატრის დიდმა მოღვაწემ ეროსი მანჯგალაძემ. მის დებიუტად ითვლება რეპორტაჟი საბჭოთა კავშირის თასზე ფინალური მატჩიდან თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის, რომელიც 1946 წლის გვიან შემოდგომაზე გაიმართა მოსკოვში.

ინფორმაციული მაუწყებლობა ერთ-ერთ მთავარ ადგილს უთმობდა სსრკ საგარეო პოლიტიკის გაშუქებას და ფართოდ იყენებდა „საერთაშორისო მიმოხილვის“ ფორმას. ამ რუბრიკით გადაიცემოდა ინფორმაციული შენიშვნებიც და, ასევე, თანდათანობით გამოიკვეთა კომენტარის ნიშნებიც. მეტი ყურადღება მიექცა თემის მოტივირებას და მის არგუმენტაციას, ავტორის თვალსაზრისისა და მისი პოზიციის გამოხატვას, თუმცა ეს პოზიცია წინასწარ იყო განსაზღვრული და ცალმხრივად წარმოაჩენდა ამა თუ იმ საერთაშორისო

მოვლენას. ასეთი მიმოხილვების მიზანი იყო კონტრპროპაგანდა, სოციალისტური წყობილების უპირატესობის ჩვენება კაპიტალისტური ცხოვრების წესთან შედარებით და ამ უკანასკნელის უარყოფითი მხარეების გაზვიადება. ძირითადად მუქ ფერებში იხატებოდა ბურჟუაზიული სამყარო და ხშირ შემთხვევაში რადიო დეზინფორმაციის წყაროც იყო. იქმნებოდა ეგრეთ წოდებული „მტრის ხატი“ დასავლეთის სახელმწიფოების სახით. ეთერი დაუნდობელი იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზად იყო ქცეული. 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან „სოციალისტური ბანაკი“ თანდათან „რკინის ფარდით“ გამოეყო დანარჩენ სამყაროს.

„ჩვენ კარგად ვიცით, რომ იმპერიალისტები აჩაღებენ სისხლიან ომს. მათ სურთ ხანძარი დაანთონ მთელ მსოფლიოში, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მათი ხრიკებისა და მუქარისა. არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს საბჭოთა ხალხის წინსვლა კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ“.[1] „კაპიტალისტური გადმონაშთი ეს არის კერძომესაკუთრული შეხედულება, ეგოიზმი, შოვინიზმი, რასული სიძულვილი, რელიგიური ცრურწმენა და რწმენა“,[2] – ასეთი პათოსი წითელი ხაზივით გასდევდა არა მარტო „საერთაშორისო მიმოხილვის“ მასალებს, არამედ ზოგადად რადიოგადაცემებს. ზოგიერთი გადაცემის ტონი ჟურნალისტური ეთიკის ნორმებსაც სცილდებოდა და ეთერიდან შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ისმოდა: „მახინჯი ჩერჩილი“, „ყვითელი გველები“, „სისხლისმსმელი კაპიტალისტები“ და ა.შ. ყოველივე ამის საპირისპიროდ რადიო ხოტბა-დიდებას არ იშურებდა სოციალისტური სისტემისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ და ცდილობდა, რაც შეიძლება „ვარდისფრად“ წარმოესახა იქ მიმდინარე მოვლენები.

1950 წლიდან საინფორმაციო მაუწყებლობის მუშაობა გაუმჯობესდა და როგორც საანგარიშო მოხსენებებშია აღნიშნული, „გარდაიქმნა „უკანასკნელი ცნობების“ ინფორმაციის მიწოდების ფორმა. რედაქციამ გადაუხვია არსებულ ტრადიციას, შემოფარგლულიყო მხოლოდ სსრკ დეპეშათა სააგენტოს მასალებით და თბილისსა და მოსკოვს შორის რეგულარული ავიაკავშირის დამყარების წყალობით შესაძლებელი გახდა ცენტრალური გაზეთების გამოსვლის დღესვე ან მეორე დილით, „პრავდისა“ და „იზვესტიის“ მიღებისთა-

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978. აღ. I, საქ. 189, გვ. 39.

[2] იქვე, საქ. 108, გვ. 10.

ნავე, საინტერესო ინფორმაციის ამორჩევა, რომელიც არ იყო სსრკ დეპეშათა სააგენტოს მიერ მიწოდებულ მასალებში, ოპერატიულად ეთარგმნა და გადაეცა".[1] ასევე, რადიო საერთაშორისო ამბების წყაროდ იყენებდა სხვა ცენტრალური გაზეთების – „ტრუდის", „კომსომოლსკაია პრავდასა" და „ლიტერატურნაია გაზეტას" მასალებს, რამაც უცხოეთის ინფორმაცია უფრო მრავალფეროვანი გახადა და რადიოაუდიტორიაც გააფართოვა. მსმენელი რადიოს საშუალებით უფრო ადრე იღებდა ინფორმაციას, ვიდრე გაზეთიდან.

1950 წლიდან საერთაშორისო მიმოხილვები გადაიცემოდა ყოველდღე. იგი იწყებოდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების – ჩინეთისა და კორეის ამბებით, მას მოჰყვებოდა აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ცხოვრების ამსახველი ინფორმაციები და ბოლოს გადაიცემოდა კრიტიკული მასალები კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობის შესახებ. როგორც რადიოკომიტეტის საანგარიშო მოხსენებებშია აღნიშნული: „1951 წლის I ნახევარში კომიტეტმა გამოიყენა 14.000 ინფორმაცია, მათ შორის 400-ზე მეტი საერთაშორისო თემაზე".[2] თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რადიოს ჯერ კიდევ არ ჰყავდა პროფესიონალი საერთაშორისო მიმომხილველები.

სამწუხაროდ, „უკანასკნელ ცნობებში" მაინცდამაინც ვერ დამკვიდრდა ისეთი რადიოგენური ჟანრი, როგორიც ინტერვიუა. მას ხშირად მიმართავდნენ ჟურნალისტები სხვადასხვა გადაცემებში, როგორც რადიოჟანრების შემადგენელ ელემენტს, მაგალითად, რადიორეპორტაჟში, რადიონარკვევში თუ რადიოკორესპონდენციაში, მაგრამ როგორც დამოუკიდებელ რადიოჟანრს, იშვიათად იყენებდნენ.

საინფორმაციო მაუწყებლობა ვერ დაიკვეხნიდა გეოგრაფიული და ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაც. ინფორმაციები მოკლებული იყო ოპერატიულობას და ლაკონიურობას, ასევე ნაკლებად შუქდებოდა მაღალმთიანი რაიონების ცხოვრება. „შტატის კორესპონდენტები ჰონორარის გამო აკეთებენ მასალებს და სხვას არ ავალებენ. ამიტომ ხშირად უყურადღებოდ რჩებათ რესპუბლიკის მნიშვნელოვანი მოვლენები, ნაკლებად იზიდავენ საბჭოთა, პროფკავშირულ, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებს",[3] – აღინიშნებოდა სა-

---

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978. აღ. I, საქ. 105, გვ. 33.

[2] იქვე.

[3] იქვე, საქ. 174, გვ. 245.

რედაქციო ოქმებში. ასევე ხაზგასმით იყო მითითებული, რომ „უკანასკნელ ცნობებში“ განსაკუთრებული ადგილი ეთმობა წარმოებას, მაგრამ მეორე მხარე კი დავიწყებულია: თითქმის არ გადაიცემა მასალები ყოფა-ცხოვრებაზე, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მათ კულტურულ აღზრდაზე. ძალიან იშვიათია მასალები საზოგადოებრივ კვებაზე, ვაჭრობაზე, კულტურულ დასვენებაზე. ასევე კარგად შუქდება სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომა, მაგრამ კოლმეურნეთა ცხოვრება – ნაკლებად“.[1] აქვე რადიოს კომუნისტური პროპაგანდის არაეფექტურ წარმართვაშიც ადანაშაულებდნენ, რომ „ნაკლებად შუქდება კომუნისტური მშენებლობები საბჭოთა კავშირის ცხოვრებაზე. გასული წლის დეკემბრისა და ამა წლის იანვარში გადაიცა მხოლოდ 20 ინფორმაცია. ძალიან ცოტა მასალაა კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰესების მშენებლობაზე. არის ზოგჯერ ისეთი გამოშვება, სადაც სიტყვა არ არის სსრკ ცხოვრებაზე. ზოგჯერ მეორეხარისხოვანი მასალა გადაიცემა პირველ რიგში“,[2] – ასეთი საყვედურები ზემდგომი ინსტანციებისადმი მაამებლობით იყო გამოწვეული და ხშირად სინამდვილეს არც შეეფერებოდა. თუ სამაუწყებლო ბადეს გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ საკავშირო რადიოს გადაცემებსა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენების ამსახველ მასალებს საქართველოს რადიოში უფრო მეტი ადგილი ეკავა, ვიდრე შინაურ ცხოვრებას.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ 1946 წლის მარტის თვიდან მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ყველა რესპუბლიკასა თუ ავტონომიურ წარმონაქმნში ტრანსლირდებოდა საკავშირო რადიოს ყოველკვირეული ნახევარსაათიანი საინფორმაციო პროგრამა „კვირის ახალი ამბები“. ცენტრალური რადიოგადაცემების ჩართვას ადგილობრივ პროგრამებში იძულებითი ხასიათი ჰქონდა და განპირობებული იყო არა იმდენად საჭიროებით, რამდენადაც პოლიტიკური მიზნებითა და დანიშნულებით.

საინფორმაციო სამსახურს ევალებოდა აგრეთვე ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, რომელიც მხოლოდ დაბეჭდილი მასალების მშრალი ჩამონათვალი იყო.

სისტემატურად გადაიცემოდა „თბილისის ახალი ამბები“ ქალაქის სატრანსლაციო ქსელით. ძირითადად ეს იყო ინფორმაციები ქა-

---

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978. აღ. I, საქ. 186, გვ. 153.

[2] იქვე.

ლაქის პარტიულ, კომკავშირულ, კულტურულ, საგანმანათლებლო, სავაჭრო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიღწევა-ნაკლოვანებებზე. ხანდახან გამოერეოდა მამხილებელი, კრიტიკული მასალებიც, უმეტესად საყოფაცხოვრებო თემებზე. ხშირად, „თბილისის ახალ ამბებში“ წამოჭრილი საკითხები ფართო გამოხმაურების საგანიც გამხდარა და მათი წყალობით არაერთი ყოფითი პრობლემა მოგვარებულა.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, საინფორმაციო გამოშვებები რადიომაუწყებლობის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო და მასში დიდი ყურადღება ენიჭებოდა სოციალურ და პოლიტიკურ ინფორმაციას, რომელსაც იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნდა და მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, საქართველოს რადიო ვერ იქნებოდა სრულუფლებიანი განმგებელი ინფორმაციისა და თავის მთავარ დანიშნულებას – ინფორმაციულ ფუნქციას ნაწილობრივ თუ ასრულებდა. ქართველი მსმენელი ვერ იღებდა ობიექტურ და სრულფასოვან ინფორმაციას ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებზე. ყველა ფაქტი და მოვლენა, რომელიც ხელისუფლებისთვის არასასურველი იყო, საინფორმაციო საშუალებებისთვის არც არსებობდა. ასე მაგალითად, რადიოს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს 1956 წლის მარტში სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკის საწინააღმდეგოდ თბილისში ახალგაზრდობის მასობრივ გამოსვლებზე (რაც არსებითად ეროვნული თავმოყვარეობის დაცვა უფრო იყო), რომელიც სამხედრო ძალების გამოყენებით ჩაახშეს და საკმაო მსხვერპლიც მოჰყვა. ხოლო იმისთვის, რომ საბჭოთა მსმენელს არ ჰქონოდა რაიმე ალტერნატიულ ინფორმაციაში განსხვავებული აზრის გაცნობის საშუალება, მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სისტემატურად ახშობდნენ „რადიოსადგურ თავისუფლების“, „ამერიკის ხმის“, „გერმანული ტალღისა“ და ბევრი სხვა უცხოური რადიოსადგურის გადაცემებს (რაც, ალბათ, არანაკლებ სახსრებს მოითხოვდა, ვიდრე თვითონ მათი მომზადება).

საქართველოს რადიომაუწყებლობის ხერხემალს წარმოადგენდა პროპაგანდისტული მაუწყებლობა, რომლის დანიშნულება იყო მიეჩქმალა წინააღმდეგობებით აღსავსე საბჭოთა სინამდვილის რეალური არსი და შეექმნა საზოგადოებრივი აზრი მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის უძლეველობის შესახებ. ასეთ მასალებს სოციალურ-აღ-

მზრდელობითი ფუნქცია ეკისრებოდა და ადამიანის ცნობიერების სიღრმისეულ ფენებზე ზემოქმედებისათვის იყო გამიზნული. რადიო მეთოდურად ახორციელებდა კომპარტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ კურსს, სხვადასხვა ჟურნალისტური ფორმებით კლასობრივი პოზიციებიდან განმარტავდა მას და ცდილობდა ამ თვალსაზრისის ჭეშმარიტებაში მსმენელის დარწმუნებას, რასაც ნაწილობრივ აღწევდა კიდეც.

„ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის მიდის არა მარტო ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, არამედ იდეოლოგიის ფრონტზეც. კაპიტალისტები ცდილობენ მოახვიონ მსოფლიოს თავიანთი მგლური იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებულია სხვა ხალხების დამონებასა და დაკაბალებაზე. ასეთ პირობებში დიდი ძალაა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა, ჩვენი მოწინავე იდეოლოგიის პროპაგანდა. სწორედ ასეთი მძლავრი საშუალება არის უმანძილო და უქაღალდო გაზეთი. საქართველოს რადიოკომიტეტი განუხრელად ახორციელებს ამ ამოცანის შესრულებას“[1] – ასეთი სულისკვეთებით იყო შთაგონებული რადიოს პროპაგანდისტული მაუწყებლობის მთელი საქმიანობა.

საქართველოს რადიომაუწყებლობის პროპაგანდის რედაქცია, ერთი მხრივ, ფართოდ აშუქებდა სოციალისტური მშენებლობის თეორიულ საკითხებს, რასაც სოციალურ-აღმზრდელობითი დანიშნულება ჰქონდა, და, მეორე მხრივ, ახალი ხუთწლიანი გეგმების შედეგების ჩვენებით, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაციით ხელს უწყობდა პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციას.

ამასთან, თუ ომამდელ პერიოდში რადიოს საგანმანათლებლო დანიშნულება ძირითადად მუშურ-გლეხური აუდიტორიის განვითარებას ისახავდა მიზნად, ომის შემდგომ საზოგადოების განათლების დონე შედარებით ამაღლდა და იგი სხვადასხვა ასაკისა და ჯგუფის ადამიანების ინტერესებს დაუკავშირდა. უპირველეს ყოვლისა, რადიოს ფუნქცია განისაზღვრებოდა მთავრობისა და პარტიის მიერ დასახული ამოცანების ფართო ახსნა-განმარტებით, რის საფუძველსაც მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება წარმოადგენდა. ამიტომ ყურადღება გამახვილებული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებთა პოპულარიზაციაზე. წლების განმავლობაში ეთერ-

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. I, საქ. 106, გვ. 1.

ში ჟღერდა გადაცემათა ციკლი „მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად“, სადაც ლექციებისა თუ საუბრების ფორმით შუქდებოდა თემები სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრებზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის კანონზომიერებებზე და ა.შ. კვირაში ერთხელ დაგეგმილი იყო ციკლები „ისტმატის და დიამატის შემსწავლელთა დასახმარებლად“ და „პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად“. ეთერში სისტემატურად ისმოდა თეორიული ხასიათის გადაცემები: „სსრკ სახელმწიფო წყობა“, „დარჩება თუ არა სახელმწიფო კომუნიზმის დროს“, „შრომა კომუნისტურ საზოგადოებაში“ და ა.შ. ამის პარალელურად, რა თქმა უნდა, რადიოპროგრამების მუდმივი თემები იყო მოწინავე საამქროების, უბნების, მუშათა და კომკავშირული ბრიგადების გამოცდილების ჩვენება, მათი თავდაუზოგავი ბრძოლა გეგმების შესრულებისათვის, მოწინავე ტექნიკისა და ეკონომიკის მიღწევების დანერგვა საწარმოებში და სხვ.

რადიოს პროპაგანდისტული მაუწყებლობის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა პარტიისა და მთავრობის დადგენილებებისა და სხვა დოკუმენტების გავრცელება ფართო მასებში: ყოველი ახალი სამთავრობო დადგენილება თუ ყრილობის მასალები, სხდომის ანგარიშები და ოქმები ოპერატიულად ითარგმნებოდა და გადაიცემოდა ქართულ ენაზე. ეთერი გადატვირთული იყო უამრავი მასალით პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული თუ სხვა ორგანიზაციების სხვადასხვა ღონისძიებათა შესახებ. პრაქტიკაში დაინერგა ამ დოკუმენტების განმარტება, მათი მნიშვნელობის პროპაგანდა კოლექტიური გამოხმაურებების ფორმით, სადაც აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო მშრომელების მოწონება და აღფრთოვანება.

რადიო სისტემატურად უკვეთავდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების პარტიული კომიტეტების მდივნებს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეებს, მინისტრებსა და სხვა თანამდებობის პირებს მასალებს, სადაც გაშუქებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა და მათი როლი სოციალისტურ მშენებლობაში. თითქმის ყველა რაიონის ხელმძღვანელი გამოდიოდა მიკროფონთან ასეთი საუბრით.

დიდი ყურადღება ექცეოდა ადგილობრივი რადიოკვანძების მუშაობას, რეგიონული რადიომაუწყებლობის განვითარებას. „ძირეული გადაცემები“, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ეწყობოდა არა მარ-

ტო დიდ ქალაქებში, არამედ რაიონულ ცენტრებშიც. რადიოკომიტეტში უკვე 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან არსებობდა ძირეულ გადაცემათა სექტორი, ხოლო 40-იანი წლებიდან ერთხანს კომიტეტის თავმჯდომარეს სპეციალური მოადგილეც კი ჰყავდა ადგილობრივი მაუწყებლობის დარგში (1943-1952 წლებში ეს თანამდებობა ვახტანგ ძამაშვილს ეკავა).

განსაკუთრებით მობილიზებული იყო რადიო არჩევნების პერიოდში და სპეციალურ გეგმას ადგენდა მის გასაშუქებლად. ყოველი არჩევნების დროს მეორდებოდა ციკლები: „დეპუტატი ხალხის მსახურია“, „კონსულტაციები ამომრჩევლებს“, „ამომრჩეველთა დასახმარებლად“. 1950 წლიდან დამკვიდრდა ახალი ციკლი „ამომრჩეველთა წერილები თავიანთ კანდიდატებზე“. საარჩევნო კამპანიის წინ დიდი მუშაობა ჩაღდებოდა ბურჟუაზიულ სამყაროს წინააღმდეგ და ფართო ასპარეზი ეძლეოდა ისეთ მასალებს, სადაც გაკრიტიკებული იყო კაპიტალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საარჩევნო სისტემები. გადაიცემოდა საუბრები სათაურებით: „როგორ ირჩევენ აშშ-ში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს“, „ვის ემსახურებიან აშშ-ში დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები“, „თურქეთის გლეხობის დაბეჩავებული მდგომარეობა“ და სხვა. ხოლო, მათ საპირისპიროდ, გადაიცემოდა: „საბჭოთა სახელმწიფო – ახალი უმაღლესი ტიპის სახელმწიფო“, „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში“, „საბჭოთა მოქალაქეების ძირითადი უფლება-მოვალეობანი“ და სხვ. ინფორმაციის ყველაზე მასობრივი საშუალება ყველაფერს აკეთებდა, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო დემოკრატიულ ქვეყნად წარმოესახა.

საქართველოს რადიო დიდ ადგილს უთმობდა მოწინავე გამოცდილებისა და აგრონომიულ მეცნიერებათა მიღწევების პროპაგანდას, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმატებების გაშუქებას. აქ გამოიყენებოდა უმეტესად ადგილობრივი მასალა და „საკავშირო რადიოკომიტეტის გადაცემების წილი მასში მხოლოდ 20%-ს შეადგენდა. ეს გადაცემები მზადდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის განყოფილებასთან მჭიდრო კავშირში“.[1] ეთერში სისტემატურად განიხილებოდა სააგიტაციო მუშაობა სოფლად, საკოლმე-

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. I, საქ. 138, გვ. 72.

ურნეო მშენებლობები, სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულება, აგროტექნიკის დანერგვა, მიჩურინული სწავლება და სხვ. დიდი სასოფლო-სამეურნეო კამპანიების დროს, „უკანასკნელი ცნობების“ გამოშვებებში გადაიცემოდა ინფორმაციები წარმატებების შესახებ და ხშირად მთელი საინფორმაციო გამოშვება ეძღვნებოდა ამა თუ იმ რაიონისა თუ რომელიმე დარგის მუშაკთა მიღწევებს. ხუთ დღეში ერთხელ გადაიცემოდა ინფორმაციები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ, რომლებიც შედგენილი იყო „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული ცნობების მიხედვით და ასევე საქდესიდან მიღებული მასალების საფუძველზე“.[1] სხვათა შორის, ხშირად საქდესიდან მოწოდებული ინფორმაციები უფრო მაღალი პროფესიული დონით გამოირჩეოდა, ვიდრე თვით რედაქციის მიერ მომზადებული მასალები.

1950 წლის ბოლოს, სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულმა დადგენილებებმა, რომლებმაც განსაზღვრეს სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი განვითარების პროგრამა, სერიოზული ამოცანები დააკისრა რადიომაუწყებლობას და განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის რედაქციას. რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფის, ჩაისა და მეცხოველეობის წარმოების გეგმების პროპაგანდამ ძირითადი ადგილი დაიკავა რადიოპროგრამებში. სოფლის მეურნეობის რედაქციამ მუშაობაში აქტიურად ჩააბა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სხვადასხვა რაიონების სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტები, მტს-ის მუშაკები. სისტემატურად გადაიცემოდა მასალები რუბრიკებით: „აგრონომის რჩევა-დარიგებანი“, „ზოოტექნიკოსის რჩევანი“, რომლებიც, ჩვეულებრივ, წინ უსწრებდა მორიგი კამპანიების დაწყებას სოფლად. ეს იყო თეორიული ხასიათის მასალები, უფრო სწორად, სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის განკუთვნილი კონსულტაციები. ამაზე სათაურებიც მეტყველებს: „სათესლე კარტოფილის შენახვა ზამთარში“, „როგორ მოვუაროთ ნათესებს“, „სასუქის გამოყენების და შენახვის წესი“, „როგორ მოვუაროთ ბატკანს დაბადების პირველ დღეებში“ და ა.შ.

ამავე წლიდან სოფლის მეურნეობის რედაქციამ დაიწყო გადაცემათა ციკლი „მსოფლიოს რუკასთან“, სადაც გადაიცემოდა საუბრები სხვადასხვა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების პერ-

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. I, საქ. 105, გვ. 138.

სპექტივებზე. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, კერძოდ, კორეისა და ჩინეთის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა, მათი მშრომელების ცხოვრების გაშუქება. ამ მასალებს საკავშირო რადიოკომიტეტი გზავნიდა.

სოფლის მეურნეობის საკითხების პარალელურად გაუმჯობესდა მრეწველობისა და ტრანსპორტის საკითხების გაშუქება. ჯერ კიდევ 1946 წლის რადიოკომიტეტის რეცენზიაში აღნიშნული იყო, რომ „მრეწველობის საკითხებზე კომიტეტი ვერ აკმაყოფილებს მსმენელთა მოთხოვნებს, არც კი არსებობს ისეთი განყოფილება, როგორიცაა „სამრეწველო თემები“ ან „მრეწველობის მუშაკთათვის“, როგორც ჩანს, კომიტეტის პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას ვერ უთმობს მშრომელთა, სპეციალისტთა მობილიზაციაში იმ ამოცანების გადაჭრას, რაც დგას რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე“.[1] 1951 წლის სექტემბერში შეიქმნა მრეწველობისა და ტრანსპორტის რედაქცია და რადიოპროგრამებში მრეწველობისა და ტრანსპორტის თემატიკას სისტემური ხასიათი მიეცა.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკების შრომით წარმატებებს სისტემატურ პოპულარიზაციას უწევდა გადაცემათა ციკლები „მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა“ და „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, სადაც მუდმივად გამოდიოდნენ მიკროფონთან დამკვრელური შრომის მოწინავენი და აუდიტორიას პათეტიკური და „ამაღლებული“ ტექსტით უზიარებდნენ, თუ რა მეთოდებითა და ხერხებით აღწევდნენ წარმატებებს. ეთერში ისმოდა: „როგორ მივაღწიე სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანას – სოციალისტური შრომის გმირის ძუკუ როგავას გამოსვლა“, „ჩემი გამოცდილება შაქრის ჭარხლის აღებაში – მერგოლურ მარია მარადაშვილის გამოსვლა“, „მეაბრეშუმე ლოლა კობახიძის საუბარი თანამოსაქმე მეაბრეშუმე ქალებთან“ და ა.შ. „1949 წლის II ნახევარში მიკროფონთან გამოცდილების გაზიარებით გამოვიდა 5 სოციალისტური შრომის გმირი და 116 მტს-ის დირექტორი და საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე“,[2] – აღინიშნებოდა საანგარიშო მოხსენებაში. ასეთ გამოსვლებში უშუალობა და გულწრფელობა ნაკლებად იგრძნობოდა და უფრო ხშირად, მაღალფარდოვანი, მშრომელი ადამიანისათვის შეუფერებელი მეტყველებით ხასიათდებოდა.

---

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. I, საქ. 186, გვ. 144.

[2] იქვე, საქ. 102, გვ. 73.

ყოველდღე 30 წუთი ეთმობოდა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდას. გარდა თარგმნილი მასალებისა, გადაიცემოდა რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერების, კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებისა და თანამშრომლების რადიოსაუბრები. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ანტირელიგიურ პროპაგანდას.

საქართველოს რადიო ფართოდ იყენებდა სამეცნიერო-პოპულარული ბროშურებიდან, ასევე საკავშირო თუ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილ მასალებს და მათი მონტაჟის საფუძველზე ამზადებდა ეგრეთ წოდებულ „კომპილაციებს“, რომლებშიც დასახელებული იყო წყაროებიც. ცალკეულ მასალაში უმეტესად ერთი წყარო გამოიყენებოდა. მაგალითად: „გაკეთებულია კ.ფ. ფილიმონოვის ბროშურიდან“, ან „გაკეთებულია „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიედან“ და ა.შ. ასეთი კომპილაციები გადაიცემოდა 1945-1949 წლებში და მათში, ჩვეულებრივ, იწერებოდა ჰონორარი, როგორც ორიგინალურ გადაცემაში. ამ ფორმას ყველა რედაქცია იყენებდა, მაგრამ ყველაზე ინტენსიურად სოფლის მეურნეობისა. თანდათანობით გამოჩნდა უკვე კომენტირებული კომპილაციები, რომელშიც მასალები მიზნობრივად იყო შერჩეული საქართველოში არსებული პრობლემატიკის გათვალისწინებით და გამოკვეთილი იყო ავტორის პოზიციაც. ამ ტიპის მასალებს მხოლოდ რადიოჟურნალისტები ამზადებდნენ (ა. ქადაგიშვილი, ე. გოგიავა, ა. კეკელიძე და სხვები). ამ კომპილაციების საფუძველზე ჩამოყალიბდა რადიომიმოხილვის ჟანრი და 50-იანი წლებიდან ტერმინი „კომპილაცია“ გაქრა პროგრამებიდან.

40-იანი წლების შუახანებიდან რადიოპროგრამებში დამკვიდრდა კორესპონდენცია, რომელშიც მთავარი იყო ფაქტებისა თუ მოვლენების ავტორისეული ანალიზი. რუბრიკით „კორესპონდენტის ნაამბობი“ სოფლის მეურნეობის რედაქცია ძირითადად რადიოკორესპონდენციის ჟანრს მიმართავდა და მისი მოცულობა არ აღემატებოდა 4-5 წუთს: „გეგუთელი ახალგაზრდა კოლმეურნეები“, „სოფელი კაზრეთი ძველად და ახლა“, „ახალგაზრდა მეავტომობილეები“, „უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში“ და ა.შ. მსგავსი სათაურებით გადატვირთული იყო რადიოეთერი.

მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო მოვლენების გასაშუქებლად ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა რადიორეპორტაჟი, რომელიც თავდაპირველად, განსაკუთრებით ომამდელ პერიოდში ტრანსლაციები უფრო იყო და რადიოჟურნალისტის რო-

ლიც ნაკლებად ჩანდა. ომის შემდგომ, მაგნიტოფონის პრაქტიკაში დანერგვისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესების შემდეგ, რეპორტაჟი-ტრანსლაციები გასცდა ლოკალურ ფარგლებს და მისი მოქმედების არეალი გახდა არა მხოლოდ სპექტაკლებივით მოწყობილი საზეიმო ღონისძიებები, არამედ თავად კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, საწარმოო-დაწესებულება თუ მთელი სოფელი და რაიონიც. აქ რადიოჟურნალისტებსაც შემოქმედებითი უნარის გამოვლენის მეტი შესაძლებლობა მიეცათ, მოვლენათა უშუალო მხილველები და თანამონაწილეები თავადვე უძღვებოდნენ რადიორეპორტაჟებს და პირდაპირ ეთერში მათ პროფესიულ ოსტატობაზე ბევრად იყო დამოკიდებული „დასწრების ეფექტის“ შექმნა და მსმენელების შესაბამისი რეაქციის გამოწვევა. რადიორეპორტაჟების ქრონომეტრაჟი ხშირად ერთ საათსაც კი აჭარბებდა. ამ მხრივ აღსანიშნავია რადიორეპორტაჟი „განახლებული მესხეთი სსრკ საბჭოთა არჩევნების წინ“, „რუსთავის ჩირაღდნები“, „ძველი და ახალი სოფელი“ (სოფელ ნატანების მაგალითზე) და სხვ.

რადიორეპორტაჟის სტრუქტურა ძირითადად ერთ შაბლონს ემორჩილებოდა. უპირველეს ყოვლისა, მასში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მონაწილეთა სოციალური და კლასობრივი მდგომარეობა. მისი მონაწილე უნდა ყოფილიყო გლეხი და მუშა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე თუ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, კლუბის გამგე, კომკავშირული თუ პარტიული მუშაკები და, ბოლოს, „დამაგვირგვინებელი“ – რაიკომის მდივნის შემაჯამებელი აზრი, რომელიც აუცილებლად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სამადლობელი სიტყვებით უნდა დასრულებულიყო. ასეთი იყო რადიორეპორტაჟის სავალდებულო სქემა და ხშირად მას თან ახლდა სიმღერები ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივების შესრულებით, რასაც საერთო განწყობილება კიდევ უფრო უნდა აემაღლებინა.

რადიორეპორტაჟში ფართოდ გამოიყენებოდა დიალოგი მოვლენის უშუალო მონაწილეებთან, რაც მეტ სანდოობასა და ემოციურ მუხტს მატებდა გადაცემას. საილუსტრაციოდ გამოდგება რადიორეპორტაჟი „მიკროფონით ლაგოდეხის რაიონის მშრომელებთან“ (ავტ. ე. გოგიავა. გადაიცა 1955 წლის 27 ნოემბერს).[1] ჟურნალისტი კახური „მრავალჟამიერის“ ფონზე მიუყვება „მარაოსებრ გადაშ-

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 294ᵃ, გვ. 1.

ლილ ალაზნის ველს“ და ტკბება კახეთის მშვენიერი ბუნებით. „თურმე აქ ყოფილა ცნობილი გელათის სახელის მოზიარე სოფელი, მე კი ეს არ ვიცოდი“, – წამოიძახებს გაოცებული ჟურნალისტი და შემდეგ „წესისამებრ“ იწყებს საუბარს გელათელი გლეხის დუხჭირ ცხოვრებაზე რევოლუციამდელ პერიოდში და რომელსაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეღირსა ბედნიერება. ჟურნალისტი ესაუბრება გლეხებს, პარტიულ მუშაკებს, კომკავშირლებს, რაიკომის მდივანს და გვიხატავს გელათელი მშრომელების ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ დღეს. რეპორტაჟში ჩართულია ხალხური ლექსები და სიმღერები.

ომის შემდგომ რადიოგადაცემების ესთეტიკურ სამოსელზე ზრუნვამ დიდად შეუწყო ხელი მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრების ჩამოყალიბებას და, კერძოდ, რადიონარკვევისა და რადიოკომპოზიციის დამკვიდრებას, რომელსაც დიდი წარმატებით მიმართავდნენ ომამდელი პერიოდის როგორც მხატვრული, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური რედაქციები. საერთოდ, რადიონარკვევის გამოჩენამ საინტერესო გახადა რადიო, განტვირთა მძიმე საუბრებისა და თეორიული საგაზეთო სტატიებისგან, უფრო მხატვრული და ემოციური ელფერი მიანიჭა პოლიტიკურ მაუწყებლობასაც. თავდაპირველად, რადიონარკვევის სახელწოდებით გადაიცემოდა რადიორეპორტაჟიც და რადიომონტაჟიც, მაგრამ 50-იან წლებში საკავშირო რადიოკომიტეტმა და, შესაბამისად, რესპუბლიკურმა რადიოებმაც სერიოზული ყურადღება მიაქციეს ჟანრობრივ თავისებურებებს, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაც გამოჩნდა ჟურნალისტიკის დარგში და რადიოჟანრების სპეციფიკაც ჩამოყალიბდა.

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა პორტრეტულმა რადიონარკვევმა, რომელიც ინტენსიურად გამოიყენებოდა ე.წ. ახალი ადამიანის – საბჭოთა ცხოვრების მშენებელი ადამიანის წარმოსაჩენად და მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოს რადიოს პროგრამაში. 50-იანი წლების რადიონარკვევების შესწავლა სრულ წარმოდგენას გვაძლევს ამ პერიოდის სტერეოტიპების შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა, იძერწებოდა ახალი ადამიანი, ახალი დროის გმირი და როგორ ყალიბდებოდა საბჭოური მითები. საბჭოთა რადიონარკვევის გმირი აუცილებლად შრომით ფერხულში უნდა ყოფილიყო ჩაბმული – იგი ან დაზგასთან უნდა მდგარიყო, ან მშენებლობაზე, ან მინდორში მუხლჩაუხრელად ეშრომა. ამ მხრივ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ნარკვევის გმირი თითქმის ერთმანეთს ჰგავდა და ასე იქმნე-

ბოდა „შრომით გაუმაძღარი ადამიანის ტიპი“, რომელსაც პირადული არაფერი გააჩნდა და მხოლოდ სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები, კომუნისტური იდეები ასულდგმულებდა. ასეთი ადამიანების ჩვენება ზოგიერთ ნარკვევში რეალობის საზღვრებს იმდენად სცილდებოდა, რომ კომიკურ ელფერს იძენდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია რადიონარკვევი „მთავრობის წევრი“ (ავტორი ე. გოგიავა, გადაიცა 1946 წ. 8 მარტს): „ჩვენში სიტყვა ჩაი და მისი სახელი ერთად წარმოითქმის. თითქოს ჩაის ბუჩქი და იგი ერთ დღეს დაიბადა, ისე განუყოფელია ერთმანეთისაგან ჩაის ბუჩქის დავაჟკაცება და ადამიანის ზრდა. შეიძლება მისნობად მივიჩნიოთ ჩაის ბუჩქისა და ადამიანის მეგობრობა, მაგრამ უცხოეთიდან გადმონერგილმა ჩაის ბუჩქმა და ზუგდიდელმა ქსენია სარსანიამ ისე შეიცნეს და შეიყვარეს ერთმანეთი, რომ მათი დამოკიდებულება უახლოეს ნათესაურ ურთიერთობას მოგვაგონებს“.[1] ჩაის ბუჩქზე შეყვარებულმა ქსენია სარსანიამ კი, როგორც ნარკვევიდან ჩანს, საოცარი რამ შეძლო, სოცშეჯიბრებაში გამოწვეულ „ლუბა შენგელიასთან შეჯიბრებისას მან 8 კგ. ჩაის ფოთლის ნორმის ნაცვლად მოკრიფა 60 კგ. ჩაის ფოთოლი“, ხოლო „1940 წლის ერთ დღეს იმდენი ჩაი მოკრიფა, რომ მისი დღიური შრომის ნაყოფი ვერ დაძრა სამტონიანმა ავტომანქანამ“. საერთოდ, ფაქტების ასეთი ჰიპერბოლიზაცია ობიექტურ სინამდვილეს ამახინჯებდა და გმირის გაიდეალებული სახე ყალბად და სასაცილოდაც კი წარმოჩინდებოდა, მაგრამ ეს დღესაა ღიმილის გამომწვევი, მაშინდელ საზოგადოებაში კი, როგორც ჩანს, სასურველ შედეგსაც აღწევდა და დიდი მოწონებითაც სარგებლობდა.

კიდევ ერთი ნიმუში ასეთი რადიონარკვევისა, „ორდენოსანი მუშა ქალი ელენე ბერიძე“ (ავტორი ვ. სირბილაძე, გადაიცა 1947 წლის 7 მარტს): „კმაყოფილი ელენე შესვენების შემდეგ მომღიმარი აგრძელებს მუშაობას. იღებს პაპიროსებს ყუთიდან და კოლოფში აწყობს. თვალს ვერ მოასწრებთ მისი თითების მოძრაობას. მერე განა შეცდება ელენე. ყოველთვის 25 ცალ პაპიროსს ამოიღებს ყუთიდან და გაავსებს კოლოფს. მისთვის სულერთია, რა ხარისხის იქნება პაპიროსი, „ნიავი“ თუ „ლელო“, „რეკორდი“ თუ „სპორტი“. იგი გამალებით აწყობს პაპიროსს ყუთში და ფიქრობს, რომ წარმატებით შეხვდეს საბჭოთა ხელისუფლების 25 წლისთავს, ორდენიც მიიღოს და ახლა თავდადებით უნდა იბრძოლოს, რომ კვლავ წარმატებით

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 50, გვ. 90.

შეხვდეს 8 მარტს“.[1] აი, ასეთი „შემოქმედებითი“ ხერხებით ხდებოდა პიროვნების პორტრეტის შექმნა. იმ პერიოდის რადიონარკვევების კომპოზიციაც თითქმის ერთგვაროვანი იყო. როგორც წესი, იწყებოდა იმ საამქროსა თუ კოლმეურნეობისკენ მიმავალი გზის აღწერით, სადაც გმირი მოქმედებდა. ზოგჯერ ავტორს იმდენად იტაცებდა გარემოს აღწერა, რომ გმირის პორტრეტის მაგივრად, მაღალფარდოვანი წინადადებები და შიშველი ციფრები ისმოდა ეთერში.

რადიონარკვევში უფრო ხშირად გამოიყენებოდა კონტრასტის მეთოდი, რომელიც ძველისა და ახლის დაპირისპირებაში ვლინდებოდა, უსიხარულო წარსული, რევოლუციამდელი ეპოქა და ბედნიერი აწმყო და მომავალი – რევოლუციის მონაპოვარი. წარსულისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და თანამედროვეობის გაიდეალება ხშირად ნარკვევის გმირის მიერ იყო გადმოცემული მოგონებების სახით. მაგალითად, ა. კეკელიძის რადიონარკვევი „ჩვენს სოფელში“ (გადაიცა 1946 წ. 2 მარტს) მთლიანად კონტრასტებზეა აგებული: „მე ათი წლის ვიყავი, როცა მამაჩემმა მწყემსად დამაყენა თავად ამილახვართან. უმიწობამ აიძულა მამაჩემი ასე მოქცეულიყო. ჩვენს სოფელში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე 1 590 ჰა მიწა იყო. ეს ცოტა არ იყო, მაგრამ აქედან ძირითადი ნაწილი ეკუთვნოდა სამ თავადს. სოფელში წერა-კითხვის მცოდნენი თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, გლეხის შვილები სკოლაში ვერ დადიოდნენ, არ ჰქონდათ ფეხსაცმელი, წიგნები... ახლა კი სოფელში 4 საშუალო სკოლაა, ძველად სოფელში თუ ერთი უმაღლესდამთავრებული იყო, ახლა არიან პროფესორებიც, ექიმებიც, არქიტექტორებიც“.[2] გმირის ხასიათის გადმოსაცემად ეფექტურად მიაჩნდათ პარალელიზმებისა და ასოციაციების სიჭარბე, რომელიც კარგად ჩანს, მაგალითად, ვ. თორდუას რადიონარკვევში „მეორე ეშელონი“ (გადაიცა 1950 წ. 14 დეკემბერს). „მე ვნახე იგი რევოლვერულ დაზგასთან მუშაობის დროს. ბერიშვილის ეს რაღაც ენთუზიაზმით დახრა დაზგაზე მივიჩნიე ველიკიე ლუკისთან დაღუპული მეტყვიამფრქვევის კოლია სიმონოვის საქმის გაგრძელებად, როცა სიმონოვს ტყვიამ კომკავშირული ბილეთის გავლით გულში გაუარა, მის კომკავშირულ ბილეთზე ეწერა: „მოვკვდები, მაგრამ უკან არ დავიხევ“. ძნელი საქმე იყო უთუოდ, მაგრამ არც კომკავშირელ ბერიშვილს დაუხევია უკან, 23 ნოემბერს

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 50, გვ. 86.

[2] იქვე, გვ. 8.

შრომით ფრონტზე ათასი ცალი ჭანჭიკი ჩააბარა სამშობლოს“.[1]

რადიონარკვევში სოციალური მოვლენის გახსნისთვის ჟურნალისტები სხვადასხვა რადიოჟანრების ელემენტებსაც იყენებდნენ, ყველაზე მეტად კი ინტერვიუს, დიალოგის ფორმას, რაც მეტ დამაჯერებლობას მატებდა გადაცემას. მას ხშირად მიმართავდნენ გამოცდილების გაზიარებისა და შრომითი პროცესების აღწერის მიზნით. გარდა დიალოგური ეპიზოდისა, ხშირად მთელი რადიონარკვევი დიალოგის ფორმით იყო გააზრებული და უხვად იგრძნობოდა დიალექტებისა და კუთხური მეტყველების სიჭარბე. ასევე, რადიონარკვევების ერთ-ერთი სტრუქტურული ელემენტი იყო ავტორის „თვითწარმოჩენა“, რადიონარკვევში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობდა და ჟურნალისტს მეტი საშუალება ეძლეოდა უფრო თავისუფლად და უშუალოდ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება გმირისადმი. რაც შეეხება ფინალს, იგი ყოველთვის სადღეგრძელოსავით მთავრდებოდა და მსმენელში მხოლოდ მომავლის რწმენა და იმედიანი გუნება-განწყობა უნდა გამოეწვია. მაგ.: „გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს საყვარელ, ჩვენს მშობელ პარტიას, გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში“,[2] ან კიდევ: „მიღწევები, რომელიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ, ყველა მშრომელს აღაფრთოვანებს და ერთსულოვნად ვამბობთ: დიდხანს იცოცხლოს ჩვენმა მამამ და მასწავლებელმა მშობლიურმა სტალინმა. გაუმარჯოს მარქსის, ლენინის, სტალინის დიად დროშას მთელს მსოფლიოში“.[3]

მაგრამ, მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, რადიონარკვევის გამოჩენამ ბევრი რამ შეცვალა რადიოჟურნალისტიკაში და ხატოვანებისა და დოკუმენტურობის შერწყმის საშუალებით მსმენელი უფრო დააინტერესა და დაიახლოვა.

ომის შემდგომ რადიოში ძალიან პოპულარული გახდა რადიოკომპოზიცია, რომელსაც საფუძველი ლიტერატურულმა მონტაჟმა ჩაუყარა. იგი აერთიანებდა რადიოს ყველა გამოსახვით საშუალებას – სიტყვას, მუსიკას, ხმაურს და მონტაჟს. გამოიკვეთა ორი სახის რადიოკომპოზიცია: ლიტერატურულ-მუსიკალური, რომელიც მუსიკის, ლექსების, ზოგჯერ კი სხვა მხატვრული ტექსტის მონაცვლეობით ემოციური მოსასმენი იყო და მხატვრულ-დოკუმენტური რა-

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 152, გვ. 36.

[2] იქვე, საქ. 296, გვ. 44.

[3] იქვე, საქ. 11, გვ. 5.

დიოკომპოზიცია, რომელშიც დოკუმენტურ ტექსტს მხატვრული ელემენტებიც ემატებოდა.

დღეს ძნელი სათქმელია, როგორ ჟღერდა ისინი ეთერში, რადგან აუდიოჩანაწერები არ შემორჩენილა. რადიოკომპოზიციით შუქდებოდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიებები და კამპანიები, საზეიმო თარიღები და იუბილეები. მაგ.: „ხმა 16 რესპუბლიკიდან“, „სამხრეთ ოსეთი დღეს“, „ლენინგრადის დაარსების 250 წლისთავი“, „რუსთავის ჩირაღდნები“ და სხვ.

რადიოკომპოზიციას, როგორც წესი, ორი დიქტორი უძღვებოდა, ქალი და მამაკაცი, რომლებიც შენაცვლებით კითხულობდნენ დოკუმენტურ ტექსტსა და ლექსებს. მხატვრული ნაწილის წასაკითხად ხშირად იწვევდნენ მსახიობებსაც. ასეთი კომპოზიციების მომზადებაში რადიოს თითქმის მთელი შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალი მონაწილეობდა.

თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა მაუწყებლობის ისეთი ფორმა, როგორიც იყო რადიოჟურნალი. ჯერ კიდევ 30-იან წლებში რადიოგაზეთისა და შემდგომ რადიოჟურნალის გამოჩენა რადიოპროგრამებში ბეჭდური სიტყვის გავლენით იყო განპირობებული და სტრუქტურულადაც მისი ნიშნებით ხასიათდებოდა. ორივე წარმატებით იყენებდა მხატვრული გამოსახვის ხერხებსაც და მიმართავდა გამოსახვითი საშუალებების მრავალფეროვან არსენალს.

რადიოჟურნალში ძირითადად ინფორმაციული ჟანრები გამოიყენებოდა: ინფორმაციული შენიშვნა, ანგარიში, რეპორტაჟი, მიკროფონთან გამოსვლა და მიმოხილვა. იშვიათად – კორესპონდენცია, ინტერვიუ და ჩანახატი. რადიოჟურნალის სიუჟეტებს შორის კავშირი ხორციელდებოდა მუსიკალური ტიხარით ან გონგის ხმით. მუსიკა უფრო ილუსტრაციის ფუნქციას ასრულებდა და ემოციურ და ხალისიან ელფერს ანიჭებდა გადაცემას. რადიოჟურნალში ხშირად მიმართავდნენ ფირზე ჩაწერას, სტუდიაში იწვევდნენ მსახიობებს, მწერლებსა და მომღერლებს.

რადიოჟურნალს ამზადებდნენ როგორც მხატვრულ გადაცემათა, ისე პოლიტიკური რედაქციები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „რადიოჟურნალი სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის“, რომელიც მტკიცე განრიგით გამოირჩეოდა და გადაიცემოდა თვეში ერთხელ 30 წუთის ხანგრძლივობით. საილუსტრაციოდ, ჟანრობრივი თვალსაზრისით, განვიხილოთ ერთ-ერთი რადიოჟურნალი „სოფლის

მეურნეობის მუშაკთათვის“, რომელიც 1950 წლის 17 დეკემბერს გადაიცა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით.

რეპორტაჟი – „დილა სოფელ ბოდოგანში. კოლმეურნეები ხმას აძლევენ თავიანთ კანდიდატებს“. ჩანახატი – „რევოლუციამდელი და რევოლუციისშემდგომი მდგომარეობა სოფლად“ (გამოყენებული იყო კონტრასტების მეთოდი და ლირიკული ჩანართები). კორესპონდენცია – „საქართველოს გლეხობა ძმურ ოჯახში“. ქართველ, უკრაინელ და აზერბაიჯანელ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება. წიგნის მიმოხილვა – ვ. ბერაძის „მილიონერი კოლმეურნეობა“. ინფორმაციული შენიშვნები 1951 წლის კოლმეურნეთა კალენდრის პირველი გამოცემის შესახებ, კოლმეურნეთა შრომით წარმატებებზე და კულტურულ მშენებლობებზე სოფლად. სპორტის ამბები.[1]

სიუჟეტებს შორის ჩართული იყო სიმღერები შრომაზე, უკრაინული ხალხური სიმღერები, ლექსები ბერიასა და სტალინზე, ბედნიერ საბჭოეთზე და ა.შ. რადიოჟურნალი, გარდა სოფლის მეურნეობის საკითხებისა, გლეხებს იმ დროისათვის შესაფერ საგანმანათლებლო ინფორმაციასაც აწვდიდა და მათ თვალსაწიერსაც აფართოებდა, რაც სოფლის მოსახლეობაში გადაცემის პოპულარობას და რადიოაუდიტორიის მრავალრიცხოვნებასაც განაპირობებდა.

ომის შემდგომ მხატვრული მაუწყებლობის პროფილი განისაზღვრა 1946 წლის საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 აგვისტოს დადგენილებით „ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“, სადაც ამ ჟურნალების რედაქციების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იყო შეფასებული. „უიდეო და ბურჟუაზიული არისტოკრატიული ესთეტობისა და დეკადენტობის პოზიციებზე გაყინული ძველი სალონური პოეზიის ეპიგონებად“ იყვნენ გამოცხადებული შესანიშნავი მწერლები მიხეილ ზოშჩენკო და ანა ახმატოვა, რომლებსაც „არ სურთ თავიანთი ხალხის გვერდით იარონ და ზიანს აყენებენ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს“. დადგენილებაში ხაზგასმული იყო, „რომ ჩვენი ჟურნალები უნდა ხელმძღვანელობდნენ იმით, რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს – პოლიტიკით“.[2]

---

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 149, გვ. 102.

[2] პარტიული და საბჭოთა ბეჭდური სიტყვის შესახებ, გვ. 762.

ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, ვრცელდებოდა მასობრივი ინ-ფორმაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალებაზე და მათ შორის რადიომაუწყებლობაზეც. აქ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ლიტერატურას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული 1937 წლის რეპრესიებით მიყენებული დანაკლისი და ცოცხლად დარჩენი-ლი ბევრი თვალსაჩინო შემოქმედი კვლავ ჩრდილში იყო დარჩენილი, ახალმა დადგენილებამ, რომელიც სახელმძღვანელო მითითება გახ-და საქართველოს რადიოს მხატვრული გადაცემებისათვის, კიდევ უფრო გაართულა სიტყვაკაზმული მწერლობის მდგომარეობა რა-დიოში და ერთფეროვანი და დაშტამპული გახადა რადიოგადაცემები.

მართალია, რადიოკომიტეტის საანგარიშო მოხსენებებსა თუ ოქმებში საგანგებო გულმოდგინებით აღინიშნებოდა, რომ ამ დად-გენილებამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ლიტერატურულ-დრამატული და მუსიკალური რედაქციების მუშაობაზეო, მაგრამ სინამდვილეში პირიქით ხდებოდა. საქართველოს რადიოს მიკრო-ფონი მხოლოდ იმ მწერლებს ეთმობოდა, რომლებიც ქმნიდნენ არსე-ბული წყობილების სადიდებელ ჰიმნებს, აღფრთოვანებით უმღე-როდნენ სოციალისტური ქვეყნის ბელადებს, საბჭოთა ცხოვრების „სიკეთეს“, ბრძოლას გეგმების შესრულებისათვის, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმსა და საბჭოთა ხალხთა მეგობრობას. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მკაცრი საცენზურო პირო-ბებისა, იმ პერიოდში მაინც იქმნებოდა მაღალი ღირებულების ნა-წარმოებები და საქართველოს რადიოშიც, შეძლებისდაგვარად, მა-ინც ისმოდა ქართველი სასიქადულო მწერლების ხმა.

რადიოს ლიტერატურულ-დრამატული რედაქციის მუშაობა ორი კუთხით წარიმართებოდა. ერთი მხრივ, იგი მოგვევლინა რო-გორც ხელოვნების გამავრცელებელი და მხატვრული ლიტერატუ-რის პროპაგანდისტი – შუამავალი მსმენელსა და მწერალს შორის და მისი ფუნქცია გამოიხატებოდა ხელოვნების რეპროდუქციით, მე-ორე მხრივ, მან საფუძველი ჩაუყარა საკუთარ პროდუქციულ ფორ-მებს და შექმნა რადიოხელოვნება. მხედველობაში გვაქვს რადიოთე-ატრი, რომელიც თავისი გამოსახვითი სპეციფიკით – მხოლოდ ბგე-რადობის გამო – ხელოვნების დამოუკიდებელ სახეობად ჩამოყა-ლიბდა, აგრეთვე ნაწილობრივ ზეპირი ლიტერატურა და ზოგიერთი მუსიკალურ-ლიტერატურული ფორმა.

ომის შემდგომ მხატვრული მაუწყებლობის ყველა სახე აღდგა და განვითარდა, განახლდა ზოგი ტრადიციული ფორმა, შეიქმნა

ახალიც. გაიზარდა მხატვრული მაუწყებლობის მოცულობაც. 1951 წლის მონაცემებით, საშუალო დღეღამური მაუწყებლობიდან, რომელიც 8 საათსა და 15 წუთს მოიცავდა, ოთხი საათი ეკავა მხატვრულ გადაცემებს.[1] ფაქტობრივად, იგი შეადგენდა მთელი მაუწყებლობის თითქმის ნახევარს.

მხატვრული მაუწყებლობა აერთიანებდა ლიტერატურულ-დრამატულ და მუსიკალურ რედაქციებს. მუსიკალური გადაცემები ეთერში გადიოდა ყოველდღე 21.40 – 22.00 საათებში, აქედან კვირაში 2-ჯერ, სამშაბათსა და პარასკევს გადაიცემოდა მხატვრული პროგრამა რუსულ ენაზე საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც საშუალება ეძლეოდათ გაცნობოდნენ რუსულ ენაზე თარგმნილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს.

1952 წლის 20 იანვარს სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საკავშირო რადიოკომიტეტის ბრძანებაში „რადიოში საბჭოთა ლიტერატურისა და დრამატურგიის გაძლიერების შესახებ“ მკაცრად იყო მითითებული, რომ ლიტერატურულ-დრამატული მაუწყებლობის მთავარი ამოცანა – ეს არის მხატვრული ლიტერატურის საშუალებით პროპაგანდა გაუწიოს პარტიულ და საბჭოთა პოლიტიკას, საბჭოთა ცხოვრების წესს, საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური და იდეური ღირსებების წარმოჩენას“. აქედან გამომდინარე, რადიოს მხატვრული მაუწყებლობის მუშაობაც ეთერში საბჭოთა ლიტერატურის პროპაგანდის გაძლიერებით გამოიხატა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სამი ათეული წლის მანძილზე საკმაო ლიტერატურული მემკვიდრეობაც დაგროვებულიყო. ომის შემდგომ ელვის სისწრაფით იქმნებოდა სოციალისტური წყობილებისა და მისი სულისჩამდგმელების მადიდებელი ნაწარმოებები. სწორედ მათ ავტორებს ენიჭებოდათ უმაღლესი ჯილდოები და სტალინური პრემიის ლაურეატობაც. მათ ეხსნებოდათ გზა პრესასა და ეთერშიც. რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქცია რუბრიკით „სტალინური პრემიის ლაურეატები“ სისტემატურად უთმობდა ეთერს ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, გ. ლეონიძის, ალ. ჭეიშვილის, ს. შანშიაშვილის, ს. ჩიქოვანისა და სხვათა შემოქმედებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი შემოქმედის და მათ შორის გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩი-

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 177, გვ. 306.

ქოვანის და სხვათა რევოლუციამდელი შემოქმედება საერთოდ იგნორირებული იყო, თითქოსდა არც კი არსებულიყო. იკრძალებოდა სენტიმენტალური წიაღსვლები, სევდა-კაეშანი, პესიმიზმი. საქართველოს რადიო დაფდაფებისა და ვაშას ძახილის ტრიბუნად იყო გადაქცეული, რაც ბუნებრივია, თავის უარყოფით გავლენას ახდენდა მსმენელის ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზეც.

ასრულებდა რა თავის ესთეტიკურ ფუნქციას, რადიოს მხატვრულ გადაცემათა რედაქცია ოპერატიულად ეხმიანებოდა ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩენას, თუ იგი შეესაბამებოდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს. მრავალი გადაცემა მიეძღვნა სტალინური პრემიის ლაურეატს ალ. ჭეიშვილსა და მის რომანს „ლელოს“, რომელიც საკოლმეურნეო ცხოვრებას ასახავდა და აღფრთოვანებით უამბობდა მკითხველებს რესპუბლიკის მეჩაიეების წარმატებებზე. ასევე დიდი ხმაურით აღინიშნა ლეო ქიაჩელის რომანები „მთის კაცი“ და „გვადი ბიგვა“, გ. ლეონიძის „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“, ალ. ქუთათელის „პირისპირ“, კ. ლორთქიფანიძის „იმერეთი“ (შემდგომ რომ „კოლხეთის ცისკარი“ ეწოდა) და სხვ. განახლდა და უფრო დაიხვეწა რუბრიკა „ქართული კლასიკური მემკვიდრეობა“. პროგრამაში მუდმივი ადგილი ჰქონდა დამკვიდრებული რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას და წარმატებით გრძელდებოდა 30-იან წლებში დაწყებული ტრადიცია. ბევრი ახალგაზრდა მხატვრული კითხვის ოსტატი წარმოაჩინა რადიომ.

1948 წელს რადიომ ფართოდ აღნიშნა ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 100 წლისთავი. გადაიცა საუბრები მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რუბრიკით „მხატვრული კითხვა“ – ნაწყვეტები ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებიდან, მოთხრობების „ელბერდისა“ და „ციციას“ რადიოინსცენირებები, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებიდან „ქეთევან წამებულისა“ და „მოძღვარის“ ტრანსლაციები.

თითქმის ყოველდღე ისმოდა ეთერში ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები, მაგრამ გარკვეული შეზღუდვით. უხვად გადაიცემოდა ცარიზმის მამხილებელი თხზულებები, მაგრამ, სადაც თანამედროვეობისადმი ნეგატიური ქვეტექსტები იგულისხმებოდა, ან, უბრალოდ, ჩინოვნიკებს ასე ეჩვენებოდათ, ისინი რადიოპროგრამებში ადგილს ვერ პოულობდა. მაგალითად, ალ ყაზბეგის ნაწარმოებები მონტაჟდებოდა იმისდა მიხედვით, რომ „არ გაპარულიყო“ რუსების კიცხვა. ასეთი იყო ეგნატე ნინოშვილის, ილიას, აკაკის და სხვათა

ნაწარმოებებისადმი დამოკიდებულება. ფაქტობრივად, ქართული კლასიკური მემკვიდრეობა წარმოდგენილი იყო ცალმხრივად და ტენდენციურად. ძირითადი ყურადღება ექცეოდა ნაწარმოებთა სოციალურ მხარეს და იკრძალებოდა მკვეთრად გამოხატული ეროვნული სულისკვეთება, ნაციონალური განწყობა, რომელიც შოვინიზმთან იყო გაიგივებული.

რადიოპროგრამაში სავალდებულო იყო „მოძმე“ რესპუბლიკების ლიტერატურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია ინტერნაციონალიზმის უკიდურესი გაფეტიშებით. უმეტესად, ეს შეეხებოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიტერატურულ ცხოვრებას. ყურადღების ცენტრში კი, უპირველეს ყოვლისა, იდგა რუსული მწერლობა, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე, ანუ საბჭოთა მწერლობის პროპაგანდა. სისტემატურად გადაიცემოდა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ლ. ტოლსტოის, ვლ. მაიაკოვსკის, მ. გორკისა და სხვათა ნაწარმოებები. საერთოდ, უნდა აღინიშნოს ის უარყოფითი ტენდენცია, რომელიც ყოველგვარი რუსულის მიმართ გადაჭარბებულ ქედის მოხრაში ვლინდებოდა. გაიდეალებული ინტერნაციონალიზმის ხარჯზე ერთობ მკრთალად გამოიყურებოდა ქართული მწერლობის წარსულიცა და თანამედროვეობაც. პირდაპირ აღინიშნებოდა, რომ „ქართული ლიტერატურა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ძნელად იქცეოდა სავსებით ევროპის ლიტერატურად დიდი რუსი ხალხის ლიტერატურის დახმარების გარეშე“,[1] „დღეს საბჭოთა ლიტერატურა უფრო პოპულარულია, ვიდრე რომელიმე სხვა ლიტერატურა“.[2] არც ევროპულ ლიტერატურას „ერიდებოდნენ“ და საქვეყნოდ აცხადებდნენ „რუსულ ლიტერატურას მსოფლიო კულტურის მწვერვალად“ და რომ „სიმღერა როლანდზე“ უფერულია კიევის რუსეთში შექმნილ ბრწყინვალე პოემასთან შედარებით“ (საუბარია „იგორის ლაშქრობაზე“).[3]

ასეთი პომპეზური, შეიძლება ითქვას, ყოველგვარ ზომებს გადაჭარბებული შეფასებები არა მხოლოდ ომისშემდგომი მხატვრული მაუწყებლობისათვისაა ტიპური, არამედ იმდროინდელი ხელოვნების ყველა სფეროსათვის და იგი საბჭოთა სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკის მთავარი მიმართულება იყო. ყველაფერი, რაც

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 298, გვ. 17.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 10.

რუსულ და საბჭოთა კულტურას ეძღვნებოდა, სიამოვნებით გადაიცემოდა, მაშინ, როცა რედაქცია უარს ამბობდა, მაგალითად, პროგრამაში შეეტანა მასალა შესანიშნავ ქართველ მკვლევარზე ვახუშტი ბაგრატიონზე. საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცულია საინტერესო მასალა, რომელიც თვალნათლივ ცხადყოფს რედაქციის საკმაოდ მფრთხალ, უფრო სწორად, უპრინციპო დამოკიდებულებას ეროვნული ფასეულობებისადმი. რედაქციაში გ. ზარდალიშვილის ავტორობით შემოსულ მასალას „ვახუშტი ბაგრატიონი" რედაქტორის შემდეგი წარწერა „ამშვენებს": „ამხ. ვახტანგ, გ. ზარდალიშვილის სტატია „ვახუშტი ბაგრატიონი" მეცნიერული კვლევითი წერილია. ავტორი განიხილავს ვახუშტის მეცნიერულ მოღვაწეობას, რა ნაშრომები ჰქონდა, როდის და რამდენი ატლასი და რუკა შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ სტატია კარგი ენით არის დაწერილი, რამდენად არის მიზანშეწონილი რადიოთი მისი გადაცემა, რედაქციამ ვერ გადაწყვიტა. გთხოვთ დასკვნას" (კ. ეგუტია). იქვეა მთავარი რედაქტორის მინაწერიც: „დასკვნა – გეთანხმებით – 1956".[1] ამ ნიმუშიდანაც კარგად ჩანს ის შიშნარევი ატმოსფერო, რომელიც აიძულებდა რადიომუშაკებს საქართველოს ისტორიული წარსულისა და მისი მამულიშვილების ღვაწლისათვის ზოგჯერ ეჭვის თვალითაც კი შეეხედათ.

სამაგიეროდ, რადიო სიამაყით აცნობდა მსმენელს ვინმე ალ. სულაკაძეს, რუსული კულტურისა და ისტორიის მკვლევარს (ავტორი თ. ჩიქოვანი, 1956), რომელიც საქართველოდან გაჰყოლია ვახტანგ მეექვსეს და პეტერბურგში სამუდამოდ დარჩენილს მთელი თავისი ენერგია შეულევია რუსული მეცნიერებისთვის.[2]

ადამიანთა ცნობიერებაში მსოფლიოში „ყველაზე დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს" სტერეოტიპის შექმნას უწყობდა ხელს საზღვარგარეთის ლიტერატურული ცხოვრების ტენდენციური წარმოჩენაც. ციკლით „საზღვარგარეთის პროგრესული ლიტერატურა" გადაიცემოდა იმ მწერლების ნაწარმოებები, რომლებიც იდეოლოგიური თვალსაზრისით საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას ეხმიანებოდა და სადაც ნაჩვენები იყო საზღვარგარეთის ქვეყნების ღარიბი ფენების მძიმე სოციალური მდგომარეობა და პროტესტი კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ.

---

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 319, გვ. 18.

[2] იქვე, გვ. 42.

ასეთივე პრინციპით ირჩეოდა საზღვარგარეთის კლასიკის ნიმუშებიც – ა. დოდეს, უ. შექსპირის, ჯ. ლონდონის, გ. მოპასანისა და სხვათა ნაწარმოებები. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ბევრი ნიჭიერი და საქვეყნოდ აღიარებული უცხოელი ავტორის სახელიც კი უცნობი რჩებოდა ქართველი მსმენელისათვის.

1949 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია და თვეში ერთხელ შუქდებოდა აქ მიმდინარე ლიტერატურული პროცესები. მაგ., „მებრძოლი კორეის პოეზია“, „რუმინული პოეზია“, „ჩინელი პოეტები“ და ა.შ. საზღვარგარეთის ლიტერატურის შესახებ მასალები ძირითადად საკავშირო რადიოკომიტეტიდან იყო მოწოდებული, რომლებიც საქართველოს რადიოში ითარგმნებოდა.

რადიოს ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების მთავარი რედაქტორი 1945-50 წლებში იყო ნიკოლოზ ნიკოლაძე, შემდეგ ნიკოლოზ სირბილაძე, ხოლო 1952 წლიდან მწერალი შალვა ამისულაშვილი. ასევე სხვადასხვა დროს აქ მუშაობდნენ: გურამ ბუხნიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), მარგალიტა სუხიაშვილი (1949 წლიდან), ციალა ყიფიანი (1952 წლიდან), პასუხისმგებელ რედაქტორად ივლიტა მესხიშვილი (1953-1956 წლებში) და სხვები.

მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდა ხორციელდებოდა ციკლებისა და რუბრიკების საშუალებით, რომლებსაც პროგრამაში მუდმივი ადგილი ჰქონდა დათმობილი. მსმენელისთვის ლიტერატურული ნაწარმოების მიწოდების ერთ-ერთი პოპულარული ფორმა იყო „მხატვრული კითხვა“, რომელსაც მოგვიანებით „ლიტერატურული კითხვა“ ეწოდა. ეთერში მსახიობები კითხულობდნენ ნაწყვეტებს ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებებიდან. თუ ნაწარმოები განსაკუთრებული იდეოლოგიური მნიშვნელობისა იყო, იგი თავიდან ბოლომდე იკითხებოდა ეთერში გაგრძელებებით. მაგალითად, ასე გადაიცა იმ დროისათვის პროპაგანდისტული მუხტით გამორჩეული ალ. ჭეიშვილის რომანი „ლელო“, გ. ლეონიძის „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“, ასევე „ლიტერატურული კითხვით“ ჟღერდა ეთერში უკლებლივ ყველა სტალინური პრემიის ლაურეატის ნაწარმოები.

1949 წელს ეთერში გამოჩნდა რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, რომლის დანიშნულება იყო წარმოეჩინა რესპუბლიკაში მიმდინარე ლიტერატურული თუ კულტურული პროცესები. იგი მსმენელებს აწვდიდა მიმოხილვებს ახალი წიგნების, ახალი თეატრალური წარმოდგენების შესახებ, ანგარიშებს საგამოფენო დარ-

ბაზებიდან, ლიტერატურულ კალენდარს, სხვადასხვა ინფორმაციებს ლიტერატურული თუ თეატრალური მოვლენების შესახებ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ომის შემდგომ რადიომ ახალი რადიოფორმა შესთავაზა აუდიტორიას ე.წ. რადიოფილმის სახით. რადიოფილმს, როგორც დადგმით-დოკუმენტურ ჟანრს, ხშირად მიმართავდნენ ჯერ კიდეც 30-იან წლებში მოსკოველი და ლენინგრადელი რადიოჟურნალისტები. ქართველმა რადიომუშაკებმა კი იგი გამოიყენეს არა როგორც რადიოჟანრი, არამედ როგორც რადიოში კინოხელოვნების პოპულარიზაციის ერთ-ერთი საშუალება. „რადიოში საუკეთესო კინოფილმების გადაცემის საკითხი დიდხანს რჩებოდა გადაუწყვეტელი. ახლა რადიოს ინფორმაციის კომიტეტმა გამონახა კინოს ნაწარმოების პოპულარიზაციის შესაფერისი ხერხი. ქართულ და რუსულ ენებზე უკვე გადავეცით ფილმების „ქეთო და კოტე“, „ბედნიერი შეხვედრა“, „პოეტის აკვანი“ და სხვათა მონტაჟები“.[1] ფაქტობრივად ხდებოდა ფილმის „ჩვენება“ რადიოში და მას განმარტავდა დიქტორი. სისტემატურად გადაიცემოდა ყველა ის ფილმი, რომელსაც უჩვენებდნენ თბილისის კინოთეატრებში. რადიოფილმებად წოდებული ასეთი ტიპის გადაცემები რადიომონტაჟები იყო და არ გაიაზრებოდა მხატვრულ რადიოჟანრად.

1951 წლიდან მეტი ყურადღება მიექცა რადიოგადაცემათა პროფესიულ ხარისხს და ლიტერატურულ დამუშავებას. როგორც სარედაქციო მოხსენებებშია აღნიშნული, „ლიტერატურულ-დრამატული რედაქციის მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა როგორც თემატიკისა და აქტუალობის თვალსაზრისით, ისე ენობრივი და სტილისტური დახვეწის მხრივაც. ყურადღება მიექცა ენის სიწმინდის საკითხებს, დაიგეგმა გაზრდილიყო კლასიკოსების – ილიას, აკაკის, ი. გოგებაშვილის შემოქმედებებისადმი მიძღვნილი გადაცემების რაოდენობა, შემოღებულიყო თვეში ერთხელ მოწინავე ენათმეცნიერთა საუბრები სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებზე“[2] და ა.შ. ამავე წლიდან გამოჩნდა გადაცემათა ციკლი „ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა“, მაგრამ ამ გადაცემების ციკლური ხასიათი ხანმოკლე გამოდგა და დროდადრო თუ გაიელვებდა ეთერში. ამავე პერიოდში რადიოპროგრამები შეივსო ლიტერატურულ-კრიტიკული

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 141, გვ. 60.

[2] იქვე, საქ. 171, გვ. 217.

და ბიბლიოგრაფიული მასალებით. ისევე როგორც პრესაში, ეთერშიც გაისმა მკაცრი კრიტიკა იმ მწერლების მისამართით, რომლებმაც სოციალისტურ რეალიზმს გადაუხვიეს და თავიანთ შემოქმედებაში ვერ დაუთმეს ფართო ადგილი საბჭოთა პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს, კაპიტალიზმის დაუნდობელ კრიტიკას, თანამედროვე მუშისა და გლეხის როლის ჩვენებას ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში. გადაიცა კრიტიკული მიმოხილვები კ. გამსახურდიას ნაწარმოებების შესახებ, სადაც იგი „აიდეალებს ძველს და იყენებს არქაულ ფორმებს, დიდი ხნიდან ხმარებიდან გამოსულ სიტყვებს, რაც გაუგებარია მსმენელებისთვის“.[1] „მართალია, ქართული მწერლობა გახარებული ამტკიცებდა, ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ადგილი არ ჰქონია ზოშჩენკოსებურ პასკვილებს და ახმატოვასებურ დაცემულობისა და უიმედობის გამოხატულებასო, მაგრამ ეს არ კმაროდა. კომპარტიის ერთგულების საბუთად უთუოდ უნდა გამოეძებნათ მწერალთა შორის ისინი, ვისაც კაკალს დაამტვრევდნენ თავზე. ასეთებიც აღმოჩნდნენ კ. ნადირაძე, კ. გამსახურდია, კბილი გაკრეს გ. შატბერაშვილს, აკ. ბელიაშვილსა და სხვებს. სკკპ დაჟინებით მოითხოვდა, რომ სიტყვაკაზმული მწერლობა და ხელოვნება პარტიული და კლასობრივი ყოფილიყო“.[2] არა მარტო პარტიული თუ დარგობრივი პრესა აჭრელდა „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ტყვეობაში მყოფ მწერლებზე“ კრიტიკული მასალებით, არამედ რადიოშიც ფართოდ გამოეხმაურნენ ამ თემას. მის პარალელურად კი, კიდევ უფრო გააქტიურდა ისეთი ნაწარმოებების შექმნა და მერე მათი პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რომლებიც „ვარდისფრად“ წარმოსახავდნენ საბჭოთა წყობილებას.

რადიო აქტიურად ეხმიანებოდა საბჭოთა მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების აღმნიშვნელ უმნიშვნელო თარიღებსაც კი – მაგ., ყაზახი პოეტის ჯამბულის გარდაცვალების 3 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა, მ. გორკის გარდაცვალების 12 წლისთავი და სხვ. რადიომ ფართოდ გაუხსნა გზა ახალგაზრდა ავტორებსაც და ბევრი მათგანი პირველად რადიოს საშუალებით გაიცნო მკითხველმა. მათ შორის ხ. ბერულავას პოემა „რუსული გული“, დ. ბაქრაძის „გმირთა სისხლით“, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“ და სხვები.

---

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 174, გვ. 280.

[2] აკ. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990, გვ. 132.

რა თქმა უნდა, იმ ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ სოციალისტურ აღმშენებლობას და ლენინის ცნობილ თეზას ლიტერატურის პარტიულობის შესახებ, არც პრესა და არც რადიო წყალობდა და ბევრი საინტერესო შემოქმედი ჩრდილში რჩებოდა.

მხატვრული მაუწყებლობის სტრუქტურაში გაფართოვდა დრამატული გადაცემების წილი. ბუნებრივია, დრამატული რედაქციის საქმიანობაც იმ მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა, რომელსაც ექვემდებარებოდა თავად თეატრების მუშაობა. „საბჭოთა თეატრს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეასრულოს თავისი როლი მშრომელთა აღზრდის საქმეში, თუ იგი აქტიური პროპაგანდისტი იქნება საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკისა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს“.[1] რადიო ოპერატიულად აცნობდა მრავალრიცხოვან აუდიტორიას თეატრალური ხელოვნების ყველა ნაწარმოებს, რომელიც იდგმებოდა მაშინდელი თეატრების სცენებზე. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი თეატრალური წარმოდგენა, რომლის პირდაპირი ტრანსლაცია ეთერში არ გადაცემულიყო. ეს იყო რადიოს დრამატული რედაქციის მუშაობის ერთი მხარე, როცა იგი მოგვევლინა თეატრალური ხელოვნების პოპულარიზატორად და რომელმაც საშუალება მისცა თეატრის მოყვარულებს, „სახლში დასწრებოდნენ“ სპექტაკლებს. მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავდა „ოტელოსა“ თუ „ურიელ აკოსტას“, „თოფიანი კაცისა“ თუ „ნაპერწკლიდან“ რადიოტრანსლაციებს.

მეორე მხრივ, ომის შემდგომ თეატრალური რეპერტუარების გაზრდამ და რადიოს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებამ რადიოპროგრამები ახალი ფორმებით გაამდიდრა და სცენური ხელოვნების გადატანამ ფირზე პროფესიული საფუძველი შეუქმნა ეროვნული რადიოთეატრის ჩამოყალიბებას.

„თეატრი მიკროფონთან“, რადიოდადგმები, თეატრალური სპექტაკლების მონტაჟები, რადიოინსცენირებები – ეს ის ჟანრობრივი ფორმები იყო, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სპეციფიკური ხელოვნება – რადიოდრამატურგია და რადიოთეატრი. მართალია, რადიოთეატრი ჯერ კიდევ მოკლებული იყო ორიგინალურ რადიოპიესებს, მაგრამ თავის ძირითად დანიშნულებას – ახალი ხელოვნების საშუალებით ლიტერატურის წარმოჩენას – იგი ნამდვი-

[1] პარტიული და საბჭოთა ბეჭდური სიტყვის შესახებ, გვ. 769.

ლად ასრულებდა. სისტემატურად გადაიცემოდა მ. ჯავახიშვილის „ქალის ტვირთის“, აკაკის „ბაში-აჩუკის“, ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილის“, ივ. ფრანკოს „ერთი კონფისკაციის ისტორიიდან“, ა. ტვარდოვსკის „ვასილი ტიორკინის“ და სხვათა რადიოინსცენირებები.

თეატრალური ხელოვნების პროპაგანდაში დიდი წვლილი შეჰქონდათ ქართული სცენის შესანიშნავ წარმომადგენლებს: ვ. ანჯაფარიძეს, ა. ვასაძეს, ა. ხორავას, ვ. გოძიაშვილს, თ. ჭავჭავაძეს, პ. კობახიძეს და სხვებს. ბევრმა ახალგაზრდა მსახიობმაც მოსინჯა ძალები რადიოში თავისი უნარის გამოსამჟღავნებლად. რადიომ დიდი პოპულარიზაცია გაუწია მსახიობებს, მათ პიროვნულ თუ პროფესიულ ღირსებებს. სპეციალური რუბრიკით „ქართული სცენის ოსტატები“ გადაიცემოდა სხვადასხვა ჟანრის მასალები გამოჩენილი მსახიობების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია რადიოკომპოზიცია „ცეცილია წუწუნავა“ (ავტორი მ. ცხაკაია, გადაიცა 1954 წ. 30 იანვარს). გადაცემა აგებული იყო მსახიობის დღიურის ჩანაწერებზე, რომელსაც ცეცილია წუწუნავა თავადვე ახმოვანებდა და იხსენებდა პირველ ნაბიჯებს თეატრსა და კინოში, შეხვედრას კ. მარჯანიშვილთან, კურიოზულ ეპიზოდებს, რაც იუმორნარევ ელფერს ანიჭებდა გადაცემას. მასში ორიგინალურად იყო ჩართული მსახიობისა და გადაცემის ავტორის დიალოგი, რომელსაც ენაცვლებოდა ნაწყვეტები ც. წუწუნავას მიერ განხორციელებული სპექტაკლებიდან. რადიოკომპოზიცია გამოირჩეოდა რადიოგენურობით და ემოციურობით. ასეთივე გადაცემები მომზადდა ვ. ანჯაფარიძეზე, აკ. ვასაძეზე, აკ. ხორავაზე, ვ. გოძიაშვილზე, ალ. ჟორჟოლიანზე და სხვებზე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ომის შემდგომ რადიოს მუსიკალურ გადაცემათა რედაქციაშიც. მისი მუშაობა საკავშირო კპ(ბ) ცკ 1948 წ. თებერვლის დადგენილების „ვ. მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის“ შესახებ“ ნიშნით წარიმართა და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გააქტიურდა საბჭოთა თემატიკაზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებების პროპაგანდა. რედაქციის ოქმებში ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ „ამ დადგენილების შემდეგ შეიქმნა ოთხი ოპერა. სამი მათ შორის საბჭოთა თემატიკაზე“.[1]

ომის შემდგომ საქართველოს რადიოს პროგრამებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა და რუსული კლასიკური მუსიკის მო-

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 88, გვ. 25.

ცულობა. ამ მხრივ, „რედაქციას დიდ დახმარებას უწევდა საკავშირო რადიოკომიტეტი, რომელიც გზავნიდა მექანიკურ ჩანაწერებს და სამიკროფონო მასალებს“.[1] ასეთ დახმარებას საკავშირო რადიოკომიტეტიდან უფრო მითითებისა და დირექტივის ხასიათი ჰქონდა და, ფაქტობრივად, იგი განსაზღვრავდა საქართველოს რადიოპროგრამების შინაარსსა და მოცულობას, რასაც თვითნებურად ცვლიდა, თუ ამის საჭიროებას დაინახავდა. ამას მოწმობს რადიოკომიტეტის საანგარიშო მოხსენებებიც: „როცა მოსკოვი იძლევა მიზნობრივ გადაცემას, მაგალითად, მუსიკალურ-შემეცნებით ციკლებს ან ოპერის ტრანსლაციებს და ეს ხდება ჩვეულებრივ ხუთშაბათობით, იხსნება ყველა ადგილობრივი გადაცემა. პარასკევობით მოსკოვი იძლევა ბავშვებისათვის ახალი სიმღერის შესწავლას – ამ დროს ჩვენ ვცვლით ჩვენს გადაცემას ცენტრალური მაუწყებლობის ტრანსლაციით“.[2]

თუ გადავხედავთ 1948 წლის მეორე ნახევრის რადიოკომიტეტის საანგარიშო მონაცემებს, ამ ხნის მანძილზე მუსიკალური რედაქციით სულ გადაიცა „1130 კონცერტი, მათ შორის, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები: სიმფონიური მუსიკა – 97 გადაცემა, კამერული – 152, საოპერო – 62, ხალხური – 132, პოპულარული – 26. რუსი კლასიკოსების მუსიკალური ნაწარმოებები: სიმფონიური – 106, კამერული – 132, საოპერო – 57, ხალხური – 34, პოპულარული მუსიკა – 20. საბჭოთა კომპოზიტორების (ქართველების გარდა) სიმფონიური – 12, კამერული – 15, საოპერო – 3, მარშები – 59, ოპერეტა – 9“.[3]

1947-1956 წლებში რადიოს მუსიკალურ გადაცემათა სამხატვრო ხელმძღვანელი იყო კომპოზიტორი ალექსანდრე ბუკია, რომელიც ასევე ითავსებდა მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოვალეობასაც (იგი 1932 წელს მოვიდა მაშინდელ ამიერკავკასიის რადიოკომიტეტში და განვლო ყველა პროფესიული საფეხური რიგითი რედაქტორიდან სამხატვრო ხელმძღვანელამდე). რედაქციაში ამ პერიოდში მუშაობდნენ ბესო ქართველიშვილი, გულიკო კაცელაშვილი, დიმიტრი ვეჩერკოვსკი, გიორგი არაყიშვილი, ლუდი ბაბილუა, ნიკოლოზ ხვიტია და სხვები.

---

[1] საქ. უიცისა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 75, გვ. 21.

[2] იქვე, საქ. 106, გვ. 80.

[3] იქვე, საქ. 75, გვ. 22.

კვლავ წარმატებით ფუნქციონირებდა რადიოში სიმფონიური ორკესტრი შ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით, საგუნდო კაპელა გ. ხახანაშვილისა და ხალხური სიმღერების ანსამბლი ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით. რადიოს მხატვრული კოლექტივების დირექტორი იყო დ. ვეჩერკოვსკი, ქორმეისტერი კი ვლ. ბაბილუა. გრძელდებოდა ომამდელი ტრადიცია და რადიოს მუსიკალური ძალებით რეგულარულად ტარდებოდა გასვლითი კონცერტები საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში. ისინი გამოდიოდნენ მნიშვნელოვან საზეიმო ღონისძიებებზეც. 1947 წლის მეორე ნახევრიდან, საკავშირო რადიოკომიტეტის მითითებით, ხარჯების შემცირების საბაბით, საქართველოს რადიოკომიტეტში ჩატარდა მუსიკალური ანსამბლების შემოწმება, რომლის შედეგადაც გაანახევრეს შტატები, გაათავისუფლეს ბევრი სოლისტი და ახალგაზრდა მომღერლებით შეცვალეს.

გაფართოვდა ხალხური მუსიკის რეპერტუარი, რადიოპროგრამებში დამკვიდრდა რაიონული თვითმოქმედი კოლექტივების შესრულებით ხალხური სიმღერების გადაცემა, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფოლკლორის აღორძინებას და ხალხური სიმღერის ბევრი ნიჭიერი შემსრულებლის გამოვლენასაც.

1949 წლიდან ეთერში გამოჩნდა „მიზანდასახული გადაცემები განმარტებითურთ“, რომელსაც საგანმანათლებლო დანიშნულება ჰქონდა. იგი ვრცელ ინფორმაციას აწვდიდა მსმენელებს ნაწარმოებისა და მისი ავტორის შესახებ და ეხმარებოდა ნაწარმოების სწორად გაგებასა და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში. საილუსტრაციოდ კი, გადაცემის მსვლელობის დროს გამოყენებული იყო მუსიკალური ჩანართები. ასევე, შემეცნებითი ხასიათისა იყო 1952 წლიდან საკავშირო რადიოკომიტეტის მიბაძვით შექმნილი „კონცერტი-გამოცანები“, რომელიც მსმენელთა წერილების ორგანიზაციასაც გულისხმობდა.

რადიო ფართოდ უთმობდა ადგილს სხვადასხვა ჟანრის – კამერული, სიმფონიური, საოპერო, ხალხური – მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებს; შესაბამისად, არსებობდა რუბრიკები „ქართული კამერული მუსიკის კონცერტი“, „ქართული პოპულარული მუსიკის კონცერტი“, „კლასიკური მუსიკის კონცერტი“ და ა.შ. ციკლები: „ხალხური სიმღერის ოსტატები“, „მხატვრული თვითმოქმედება მიკროფონთან“. პრაქტიკაში დამკვიდრდა თემატური კონცერტე-

ბიც, მაგ., „დეკაბრისტები და რუსული მუსიკა“, „შრომის სიმღერები“, „გოეთე მუსიკაში“ „შექსპირი საოპერო და კამერულ მუსიკაში“ და სხვ.

50-იან წლებში დაიწყო მუსიკალური რადიოგადაცემების შექმნა ზ. ფალიაშვილზე, ვ. სარაჯიშვილზე, ნ. სულხანიშვილზე, ბეთჰოვენზე, მოცარტზე, გრიგზე, ბოროდინზე და სხვებზე. თუ როგორ შემოქმედებით ძიებებში იყვნენ რადიოს მუსიკალური რედაქციის თანამშრომლები, ამაზე რადიოკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის ა. კელენჯერიძის ერთ-ერთი მოგონებაც საკმარისია: „რადიოგადაცემაზე „ვანო სარაჯიშვილი“ მუშაობის დროს საჭირო გახდა დიდი მომღერლის ხმის სადარი შემსრულებლის პოვნა. ბევრი ძიების შემდეგ, მივადექით მაშინდელ სტუდენტს, თენგიზ ზაალიშვილს, რომლის ხმის ტემბრი ჩამოჰგავდა სარაჯიშვილისას. მასთან სამუშაოდ დავიქირავეთ ნინო ცერცვაძე, რომელსაც კარგად ახსოვდა ვანოს სიმღერის მანერა, კილო და გარკვეული მომზადების შემდეგ, გადაცემაც მოეწყო. აღფრთოვანებული მსმენელების წერილებს ბოლო არ უჩანდა“.[1]

ასევე მნიშვნელოვანი მომენტი იყო 1952 წლის შემოდგომაზე სკკპ მე-19 ყრილობისათვის სამზადისი, რომლისთვისაც დიდი მუშაობა გასწია რადიოკომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ. მათი დავალებით „რადიოს მუსიკალურ გადაცემათა რედაქციამ კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილს სპეციალურად შეუკვეთა კანტანტა ვარლამ ჟურულის ტექსტზე. ყრილობის წინა დღეს საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიურმა ორკესტრმა ჩაწერა ეს კანტანტა რადიოფირზე და გადაიცა ყრილობის გახსნის წინა დღეს, მეორე ეგზემპლარი გაიგზავნა მოსკოვში რედაქტორ დიმიტრი ვეჩერკოვსკის ხელით და იქ ყრილობის გახსნის დღეს კანტანტა საკავშირო რადიოშიც აჟღერდა“.[2]

რადიოს მუსიკალურ რედაქციასთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართველი კომპოზიტორები, რომლებსაც ხშირად უკვეთავდა რადიო მუსიკას და პირველი აცნობდა მსმენელებს. მაგალითად, პირველად შესრულდა რადიოში ს. ცინცაძის „საცეკვაო სუიტა“, ალ. მაჭავარიანის უვერტიურა „ხალხის რჩეული“, დ. შავერზაშვილის სიმფონიური პოემა „ქაჯეთი“, ი. ტუსკიას სუიტა „არსენა“ და

[1] ა. კელენჯერიძე, „ღირსსახსოვარი თარიღი“, გაზ. „თბილისი“, 1977, 12.02.
[2] იქვე.

სხვ. ბევრი ახალგაზრდა კომპოზიტორი თუ მომღერალი პირველად სწორედ რადიომ წარმოაჩინა და პოპულარული გახადა.

როგორც აღვნიშნეთ, რადიოს ლიტერატურულ-დრამატულმა რედაქციამ ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან ფართოდ მიიზიდა მწერლების, მსახიობების, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა მთელი პლეადა, რომლებიც პირდაპირ გადიოდნენ ეთერში, რადგან მაგნიტური ჩაწერა ჯერ კიდევ არ იყო პრაქტიკაში დანერგილი. მოგვიანებით, როცა რადიომაუწყებლობამ განიმტკიცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დღის წესრიგში დადგა უნიკალური ჩანაწერების დაცვისა და შენახვის საკითხი. ასე დაიბადა საქართველოს იშვიათ ჩანაწერთა ფონდი, რომელსაც ფიგურულად „ოქროს ფონდსაც“ უწოდებდნენ, იმდენად მნიშვნელოვანია მასში დაცული ჩანაწერების ღირებულება. იგი ქართველი ერის საგანძურს განეკუთვნება.

იშვიათ ჩანაწერთა ფონდის შექმნაზე ზრუნვა იწყება ორმოციანი წლების შუახანებიდან უშუალოდ მხატვრული მაუწყებლობის მაშინდელი ხელმძღვანელის აკაკი ძიძიგურისა და ლიტერატურული რედაქტორების ინიციატივით. პირველი ჩაწერა მაგნიტოფირზე რადიოსთვის განხორციელდა 1946 წელს უშანგი ჩხეიძის მონაწილეობით და მის ბინაში, რადგან ავადმყოფობის გამო მსახიობი გარეთ ვერ გამოდიოდა. იმ პერიოდში კომიტეტში 2 ახალი რადიოაპარატი „დნეპრი“ მიიღეს, ერთი მათგანი უ. ჩხეიძეს დაუდგეს ბინაში, მის დას, ნინო ჩხეიძეს ასწავლეს ჩაწერის ტექნიკა და 1946 წლის 14 მაისს ჩაწერეს პირველი საფონდო ფირი, შექსპირის „ჰამლეტი“. მას მოჰყვა სცენები გუცკოვის „ურიელ აკოსტადან“ (1947 წელი), შემდეგ დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალიდან“ და „დარისპანის გასაჭირიდან“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერიდან“. ამ ჩაწერისას მსახიობის ბინაში მივიდა სპექტაკლში მონაწილე მთელი დასი და თეატრალური კოსტიუმებით რადიოს მიკროფონთან გათამაშდა სცენა. ასევე, უ. ჩხეიძემ, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატმა, 1948 წელს ბრწყინვალედ ჩაწერა „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“, ვაჟას „ბახტრიონი“, „ხმლის ჩივილი“, „ბაკური“, ილიას „ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი“, „მუხრანული ბალადა“. 1951 წელს კი რადიოს იშვიათ ჩანაწერთა ფონდის კუთვნილება გახდა ს. ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ, 1953 წელს, ნ. ბარათაშვილის ორი ლექსი – „შემოღამება მთაწმიდაზედ“ და „ფიქრნი მტკვრის პირზედ“.

ასევე, რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის თანამშრომლების ძალისხმევით ფირზე იწერებოდა სპექტაკლები სცენის ოსტატების მონაწილეობით, ხდებოდა მათი რადიომონტაჟი, გადაიცემოდა ეთერში და ბოლოს, იშვიათ ჩანაწერთა ფონდში იდებდა ბინას. ამ მასალების თითქმის უცვლელი რედაქტორი იყო ციალა ყიფიანი.

რადიოს „ოქროს ფონდში“ ინახება პირველი სატრანსლაციო ჩანაწერიც. 1947 წელს კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში ჩატარდა ელისაბედ ჩერქეზიშვილის საიუბილეო საღამო, რომლის დასასრულს წარმოადგინეს ავქსენტი ცაგარელის კომედიის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ მესამე მოქმედება ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით. სწორედ ეს მესამე მოქმედება რადიოს მუშაკებმა ტრანსლაციით ჩაწერეს და შთამომავლობას შემოუნახეს. მას მოჰყვა სცენები „ხანუმადან“ და ზურაბ ანტონოვის პიესიდან „მზის დაბნელება საქართველოში“. ეს ჩანაწერები შესრულებულია 1948 წლამდე, როცა ე. ჩერქეზიშვილი გარდაიცვალა. დრამატულ ფონდს ბევრი შესანიშნავი ჩანაწერი ამშვენებს – გ. შავგულიძის, ვ. გოძიაშვილის, შ. ღამბაშიძის, ც. წუწუნავას, ა. ხორავას, ა. ვასაძისა და სხვათა ხმები, სცენები სპექტაკლებიდან, რადიოდადგმები. სწორედ ამ ფონდის თეატრალურმა ჩანაწერებმა მისცა საშუალება დრამატული რედაქციის თანამშრომლებს წლების შემდეგ შეექმნათ ორიგინალური რადიოდადგმა „ურიელ აკოსტა“, რომელიც პირველად განხორციელდა რადიოში კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა რამდენიმე თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელთა – უშანგი ჩხეიძის, პიერ კობახიძის და იაკობ ტრიპოლსკის მონაწილეობით, ხოლო ივდითის როლს უცვლელად თამაშობდა ვერიკო ანჯაფარიძე. 1957-58 წლებში რადიოს ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 30-იანი წლების სპექტაკლის „რღვევის“ და „ანზორის“ აღდგენა. მათში მთავარ როლს აკაკი ხორავა ასრულებდა.

„ოქროს ფონდი“ მდიდარია სხვა უნიკალური ჩანაწერებითაც. აქ ინახება დიდებული აკაკის ხმა, რომელიც 1914 წლით თარიღდება. ფაქტობრივად, ეს არის რადიოს „ოქროს ფონდის“ უძველესი ჩანაწერი. სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზების გამო, რადიოს ფონდში არ არის მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელისა და სხვათა ჩანაწერები, ხოლო, რაც შეეხება პაოლო იაშვილს, მისი ხმის ჩანაწერი, მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობაზე წარმოთქმული ლექსი „მაგიდა ჩემი პარნასი“, რომელიც 1934 წლით თარიღდება, მხოლოდ 80-იან წლებში აღმოჩნდა რადიოს „ოქროს ფონდში“

ცნობილი მოღვაწის ი. ანდრონიკოვის მეშვეობით. რადიოს ხშირი სტუმრები იყვნენ: გ. ლეონიძე, ს. შანშიაშვილი, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი და სხვა ცნობილი მწერლები, რომელთა მრავალი ნაწარმოები, პუბლიცისტური წერილები თუ მოგონებები მათივე კითხვით რადიოს იშვიათ ჩანაწერთა ფონდის კუთვნილებაა. სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად სტუმრობდა რადიოს გალაკტიონი და ყველა ის ჩანაწერი, რომელიც რადიოს ფონდშია დაცული, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ღონისძიებებიდან შეკრებილი მასალების საფუძველზე შეიქმნა. გარდა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისა, რადიოს იშვიათ ჩანაწერთა ფონდში ინახება ქართველ მეცნიერთა ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, შ. ნუცუბიძის, ი. ვეკუას და სხვათა უნიკალური ჩანაწერები. ასევე პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების გამოსვლები, რომლებსაც გარკვეული ისტორიული ღირებულება აქვთ.

ომის შემდგომ გაუმჯობესდა ახალგაზრდული და საბავშვო მაუწყებლობაც. აქ ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემები ახალგაზრდობისა და ბავშვებისათვის, ფაქტობრივად, მაუწყებლობის ორივე სფეროს მოიცავდა – საზოგადოებრივ - პოლიტიკურსა და მხატვრულ პროგრამებსაც, მაგრამ რამდენადაც იმ პერიოდში მთავარი იყო „კომუნიზმის მშენებელი“, პოლიტიკურად „მომზადებული“ თაობის აღზრდა, ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი გადაცემები უმეტესად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა იყო, ხოლო საბავშვო პროგრამებში, პირიქით, ჭარბობდა მხატვრული გადაცემები და მას კომიტეტის ყველა დოკუმენტში, მხატვრულ მაუწყებლობაში მოიხსენიებდნენ.

გადაცემები ახალგაზრდობისათვის დაგეგმილი იყო კვირაში სამჯერ. აქედან ოთხშაბათობით გადაიცემოდა ახალგაზრდული გაზეთების მიმოხილვა, ეწყობოდა ახალგაზრდული გადაცემების ტრანსლაცია მოსკოვიდან და ლიტერატურული გადაცემები სპეციალურად ახალგაზრდებისათვის. „1950 წლის მეორე ნახევრიდან გადაცემები ახალგაზრდობისათვის 2-ჯერ გაიზარდა. სამჯერ კვირაში გადაიცემა ნარკვევი, საუბარი, რეპორტაჟი, რესპუბლიკური გაზეთის მიმოხილვები. გადაცემები იწყება 19 საათზე და 14 წუთიანია“.[1] გადაცემის თემატიკაც მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: ახალგაზრდობის პოლიტიკურ-იდეური აღზრდა; კომკავშირის როლი სწავლასა და შრომაში; კოლმეურნე ახალგაზრდობის წარმატებანი;

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 138, გვ. 77.

საბჭოთა პატრიოტიზმის პროპაგანდა ახალგაზრდებს შორის; ახალგაზრდობა შრომით ვახტზე, მათი მონაწილეობა ხუთწლიანი გეგმების განხორციელებაში; უცხოელი ახალგაზრდების ცხოვრება; სტუდენტობისა და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა; მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების მიღწევათა პროპაგანდა.

გადაცემების ციკლებიც შესაბამისად ჯგუფდებოდა: „სოფლის მოწინავე ახალგაზრდობა“, „სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ახალგაზრდობა“, „წიგნი – ჩემი მეგობარი“, „გმირი ქალაქები – ომისშემდგომ ხუთწლედში“ (აქ გადაიცემოდა საუბრები ქალაქების – ოდესის, სევასტოპოლის, ლენინგრადის ისტორიაზე). 14 გადაცემა დაიგეგმა გადაცემათა ციკლისთვის „ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი – მოსკოვი“, აქედან მხოლოდ 4 მომზადდა.

ყოველი კვირის ხუთშაბათს გადაიცემოდა მასალები სოფლის ახალგაზრდობისათვის. უმეტესად აქ გამოიყენებოდა ნარკვევის ჟანრი. მაგ., გ. მიქელაძის „დები მეჩაიეების კომკავშირული ბრიგადა“. ე. ზედგინიძის „საქართველოს ბეღლებში – წითელწყაროელი ახალგაზრდები“, დ. ქუთათელაძის „ახალგაზრდა მეჩაიეს გმირული ოჯახი“ და სხვები.

1949 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით დაიწყო გადაცემათა ახალი ციკლი „კომუნისტური მორალი“, სადაც გადაიცემოდა შემდეგი სახის საუბრები: „სოციალიზმის დროს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება“, „მამაცობა და მოვალეობა“, „კომუნისტური მორალის ძირითადი პრინციპები“ და სხვა.

1951 წლიდან გაიზარდა „ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი გადაცემების ხანგრძლივობა, დაემატა ახალი ციკლები: „ახალგაზრდობა მშვიდობისათვის ბრძოლაში“, „შევისწავლოთ მშობლიური მხარე“, „ახალგაზრდა ოსტატები“ და სხვა. უკანასკნელი 1 წლის მანძილზე მიკროფონთან გამოვიდა 60-ზე მეტი ახალგაზრდა, რომლებმაც მსმენელებს უამბეს შრომით მიღწევებზე, წარმატებებზე“.[1] ახალგაზრდული გადაცემების ყურადღების ცენტრში განსაკუთრებულად იდგა კომკავშირის და კომპარტიის ახალგაზრდა წევრების საქმიანობა, მუშა კომკავშირელის, გლეხი კომკავშირელისა და სტუდენტი კომკავშირელის სახის იდეალურად წარმოჩენა. ხშირად გადაიცემოდა საუბრები „როგორ გავუფრთხილდეთ კომკავშირულ

[1] გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1951, № 56, გვ. 3.

ბილეთს“, რომ იგი სპეციალურ უჯრაში უნდა ინახებოდეს სუფთად და ა.შ. ასეთი „მიამიტური“ გადაცემები ხშირად ისმოდა ეთერში, არც კომკავშირელთა პათეტიკური გამოსვლები აკლდა რადიოს და, საერთოდ, დიდი ენერგია იხარჯებოდა იმის მტკიცებაზე, რომ საბჭოთა ახალგაზრდებზე ნიჭიერი და ზნეობრივი ახალგაზრდობა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის და ეს ყოველივე საბჭოთა წყობილების დამსახურებაა. საერთოდ, ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი რადიოგადაცემები დიდად ჩამორჩებოდა მაშინდელი ახალგაზრდების განვითარების დონეს, იმდენად პრიმიტიულად, ერთფეროვნად და ცალმხრივად აშუქებდა მრავალ პრობლემას. მასალათა უმრავლესობაც პრესიდან და საკავშირო რადიოდან იყო მიღებული და უხეიროდ თარგმნილი. ნაკლებად შუქდებოდა კულტურისა და ხელოვნების საკითხები.

უფრო პროფესიულ დონეზე იყო მაუწყებლობა ბავშვებისათვის. საბავშვო გადაცემები, როგორც ადრე აღვნიშნეთ, გათვალისწინებული იყო ოთხი ასაკის ჯგუფისთვის. სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ წერა-კითხვა, დაგეგმილი იყო პატარ-პატარა მოთხრობები, ზღაპრები, პოპულარული საუბრები, ინსცენირებები, რადიორეპორტაჟები საბავშვო ბაღებიდან.

მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა საშუალი და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი თემატიკა – სასკოლო და პიონერული ცხოვრება, მხატვრული აღზრდა, სამეცნიერო-პოპულარული გადაცემები. მათი გეგმა სასკოლო პროგრამების გათვალისწინებით დგებოდა და მისი მიზანი იყო დახმარებოდა მოზარდებს სკოლაში მიღებული ცოდნის გაფართოებაში. 1945 წლიდან მანამდე არსებული „პიონერული ინფორმაციები“ საკავშირო „პიონერსკაია ზორკას“ ანალოგიით ჩამოყალიბდა რიდიოგაზეთად, რომელსაც „პიონერთა დაფიონი“ ეწოდა. იგი გადაიცემოდა ყოველდღე 30 წუთის ხანგრძლივობით, ხოლო კვირაობით მზადდებოდა სპეციალური საკვირაო გამოშვება. კვირაში ორჯერ გადაიცემოდა „პიონერთა დაფიონი“ რუსულ ენაზე. რიგითი „პიონერთა დაფიონის“ ერთ-ერთი გამოშვება ასე გამოიყურება: **1951წ. 18 ოქტომბერი: „ნორჩი ლენინელის მიმოხილვა“, „ნორჩი კორესპონდენტის წერილი“, „სპორტისა და ტექნიკის ახალი ამბები“, „წიგნის სიახლეები“.**[1]

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 175, გვ. 2.

„პიონერთა დაფიონის“ საკვირაო გამოშვება უფრო საინტერესოდ მზადდებოდა და ხანგრძლივობით 60 წუთს აღწევდა. იგი მრავალსიუჟეტიანი იყო, მოიცავდა ინფორმაციულ შენიშვნებს, რადიორეპორტაჟებს, ანგარიშებს, მოსწავლეთა გამოსვლებს მიკროფონთან. დიდი ადგილი ეთმობოდა ბავშვთა შემოქმედებას, არდადეგებზე მათ დასვენებასა და გართობას, სპორტულ წვრთნას და ა.შ. მაგალითად, 31 იანვრის საკვირაო გამოშვება შემდეგი სიუჟეტებისაგან შედგებოდა:

„როგორ ვატარებთ ზამთრის არდადეგებს“, „რა მოგვიმზადეს თეატრებმა“, „ახალი საბავშვო სიმღერა“, „ნორჩი დეკლამატორების გამოსვლა მიკროფონთან“, „ჩვენი ნაძვის ხე“.[1]

საბავშვო გადაცემებში დიდი ყურადღება ექცეოდა სასკოლოაღმზდელობით მუშაობას და, საერთოდ, რადიოს აღმზდელობითი ფუნქცია ახალგაზრდულ და საბავშვო პროგრამებში ყველაზე უკეთ გამოვლინდა. რადიომ მთავარ მიზნად დაისახა ფართოდ გაეშუქებინა მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცება, სწავლის სტაბილური რეჟიმის შემუშავება, საბჭოთა პატრიოტიზმის განვითარება რევოლუციისა და სამამულო ომის ისტორიების მაგალითზე. ციკლებით „როგორ ავირჩიოთ პროფესია“ და „ვინ მინდა ვიყო“ სისტემატურად გამოდიოდნენ მიკროფონთან პედაგოგები, პიონერხელმძღვანელები, სახელმძღვანელოთა ავტორები, წარჩინებული მოსწავლეები. ამ გამოსვლებში ჭარბობდა რჩევა-დარიგებები, მენტორული ტონი და ასეთი გადაცემების კოლექტიური მოსმენა სკოლებში სავალდებულოდ ითვლებოდა. პოპულარობით სარგებლობდა ციკლები „იცნობდე შენს მხარეს“ და „გიყვარდეს და შეისწავლე შენი მშობლიური მხარე“. უმეტესად გადაიცემოდა საუბრები საქართველოს ისტორიაზე, ტურისტულ მარშრუტებზე, რესპუბლიკის ნაკრძალებზე... ფართო ადგილი ეთმობოდა მოძმე რესპუბლიკების მოსწავლეთა ცხოვრებას ციკლებით „სსრკ-ის რუკასთან“, „მეგობრების მილოცვები“, „საკავშირო ამბები“. რადიო პოპულარიზაციას უწევდა რუსული ენის შესწავლასა და ხშირად გაისმოდა ეთერში, რომ „რუსული ენა ლენინის ენაა“, „მასზე წერდა და მეტყველებდა ამხანაგი სტალინი“ და ა.შ.

მომავალი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს ემსახურებოდა გადაცემები „მეოთხე სტალინური ხუთწლედი“, „კო-

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 176, გვ. 1.

მუნიზმის ახალი მშენებლები“, „პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა პიონერულ ორგანიზაციებში“ და სხვ. თუმცა, ალბათ, სრულიად ზედმეტი იყო მოზარდებისათვის ისეთი გადაცემის მიწოდება, როგორიც იყო ,,ინდოეთის სოფლის მეურნეობა“ „ბირმის კავშირი“ და ა.შ. იმ პერიოდში იყვნენ ისეთი ავტორებიც, რომლებიც შესანიშნავად ხედავდნენ ბავშვებისათვის დაგეგმილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების აბსურდულობას და პროტესტსაც გამოხატავდნენ. მაგალითად, ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ „1953 წლის იანვრის თვის გეგმაში არ შესრულდა საუბარი – „სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები“, რადგან სპეციალისტებმა (,,გუგუშვილმა და სხვებმა“) უარი განაცხადეს – ბავშვებისათვის ამ საკითხებზე საუბარს ვერ დავწერთო.[1] ეს საუბარი, სხვა ავტორის მიერ მომზადებული, მაინც გადაიცა და, საერთოდ, მაშინდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბელადებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნააზრევის ცოდნა სავალდებულო იყო განურჩევლად ასაკისა.

ასეთი მასალების მიზანი იყო ჩაენერგა მოზარდებისათვის, რომ „ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები არიან“ და რომ მათი უპირველესი მოვალეობაა რევოლუციის იდეებისადმი ერთგულება და სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადება. ამიტომ პავლიკ მოროზოვის სახე მისაბაძი და სამაგალითო უნდა ყოფილიყო ყველასათვის. სისტემატურად გადაიცემოდა რადიოკომპოზიცია „პავლიკ მოროზოვი“. ასეთი სულისკვეთებით ზრდიდნენ მაშინდელ თაობას და საბავშვო გადაცემათა რედაქციაც ამ მხრივ ძალასა და ენერგიას არ იშურებდა; ამის ერთ-ერთი მაგალითია 1949 წლის 15 სექტემბერს გადაცემული საუბარი „გავიცნოთ მოწინავე სახლის გამოცდილება“: „სოციალიზმის ქვეყანაში, ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკის, პირადად ხალხის საყვარელი ბელადის და ახალი თაობის უდიდესი მეგობრის, დიდი სტალინის მზრუნველობით, პოეტის თქმისა არ იყოს, არავინ არ განიცდის ობლობისა ვაებას, არვინ სჩივის თავის უთვისტომობას... ჩვენი უმშობლოდ დარჩენილი ბავშვებისათვის თვით საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს, ამის მაგალითია უმშობლოდ დარჩენილი ბავშვებისათვის საბავშვო სახლების ფართოდ გაშლილი ქსელი“.[2] ამის პარალელუ-

[1] საქ. უიცსა, ფ. 1978, აღ. 1, საქ. 258, გვ. 19.

[2] იქვე, საქ. 109, გვ. 77.

რად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა ცხოვრების პირობების კრიტიკას. 1950 წლის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა ახალი ციკლი „მათთან“, სადაც პრესიდან ამოკრეფილ მასალებში საუბარი იყო უცხოელი ბავშვების უმწეო და ჩაგრულ მდგომარეობაზე. სისტემატურად გადაიცემოდა საუბრები ციკლით: „ბავშვთა ცხოვრება კაპიტალისტურ ქვეყნებში“, ასევე იმ მწერალთა საბავშვო ნაწარმოებები, სადაც გაკრიტიკებული იყო ბურჟუაზიული სისტემა.

საერთოდ, საბავშვო გადაცემათა რედაქცია ხაზს უსვამდა საბჭოთა ბავშვების ვითომდაც დიდ დაინტერესებას პოლიტიკით და მათ აქტიურობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხშირად გადაიცემოდა ეთერში პიონერული შეკრებები და არჩევნები რაზმებსა და რაზმეულებში ნორჩი რადიომსმენელების ინიციატივით. როგორც კომიტეტის ოქმებშია აღნიშნული, ყოველწლიურად ტარდებოდა რადიომსმენელთა კონფერენციები, რომლებიც წინასწარ მზადდებოდა, გამომსვლელთა ტექსტებიც წინასწარ იწერებოდა და ეს ღონისძიებები სპექტაკლებივით იდგმებოდა.

1950 წლიდან რადიოპროგრამებში გამოჩნდა ბევრი ახალი საბავშვო გადაცემა. მათ შორის „ცნობისმოყვარე ბავშვთა კლუბი“, „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“. მათში საუბარი იყო დ. მენდელეევის, ა. დობროლუბოვის, ი. გოგებაშვილის, პ. მელიქიშვილის და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად მომენტებზე. სისტემატურად გადაიცემოდა სამეცნიერო-პოპულარული ციკლები: „ნორჩი მიჩურინელი“, „შევისწავლოთ ტექნიკა“, „საუბრები ბუნების მოვლენებზე“, „ნორჩ ნატურალისტთა დასახმარებლად“, „ჩემი საყვარელი საგანი“ და სხვ. 1951 წლიდან მათ დაემატა „პიონერების აღზრდა“, „სკოლაში, ქუჩაში და სახლში“, „ჩვენი კედლის გაზეთი“, „ჩვენი უფროსი მეგობარი“, „ჩვენ ვიზრდებით შრომაში“ და ა.შ.

რადიოს ახალგაზრდულ და საბავშვო გადაცემათა რედაქციები ძირითადად იყენებდა იმავე რადიოჟანრებს, რასაც სხვა რედაქციები, ოღონდ ახალგაზრდულ გადაცემებში ჭარბობდა საუბრები და ნარკვევები, ხოლო საბავშვო გადაცემებში – უმეტესად რადიორეპორტაჟები, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები და სხვა. ბავშვთა იდეურ და მხატვრულ აღზრდაში დიდ როლს ასრულებდა რადიოსპექტაკლები და რადიოინსცენირებები. მაგალითად, სიამოვნებით ისმინებოდა „ბიძია თომას ქოხის“, „ოთარაანთ ქვრივის“, „განკარგულებისა“ და სხვათა რადიოინსცენირებები. მოწონებით

სარგებლობდა ლიტერატურული მონტაჟები – დ. კასრაძის მოთხრობის მიხედვით შექმნილი „პატარა სოსო“, ი.გოგებაშვილის „დედა ენა“, მ. მიქელაძის „ტანია“, შ. არაგვისპირელის „ჩემო შვინდავ“ და სხვები. ამ პერიოდში ფართოდ გაიშალა ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის“ კრიტიკა რადიოს საშუალებით და, გარდა მწერლებისა, სკოლის პედაგოგები და მოსწავლეებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ნაწარმოების განხილვაში.

საბავშვო რედაქცია დიდ ადგილს უთმობდა მუსიკალურ გადაცემებს. 1950 წლის მეორე ნახევარში რადიოში შეიქმნა 80 მოსწავლისაგან შემდგარი ანსამბლი, რომელსაც რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. წულუკიძე ხელმძღვანელობდა. რეპერტუარი ძირითადად საბავშვო სიმღერებისგან შედგებოდა, ასევე მიკროფონთან გამოდიოდნენ რადიოკომიტეტის სხვა მუსიკალური ანსამბლების სოლისტებიც საბავშვო რეპერტუარით და მუსიკალური სასწავლებლის თვითმოქმედი წრეები. მუსიკის პროპაგანდის მიზნით გადაიცემოდა ლექცია-კონცერტების სერიალი „კომპოზიტორთა პორტრეტები“, ასევე „მუსიკალური ლექსიკონი“ და „ჩვენი საბავშვო სპექტაკლების მუსიკა“, რომლებსაც შემეცნებითი დანიშნულება ჰქონდათ. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად რედაქცია წამოიწყებდა გადაცემათა ახალ ციკლს, მაგრამ ისევ მიავიწყდებოდა და, საერთოდ, ციკლების სიმრავლე და რუბრიკების არასტაბილურობა თითქმის ყველა რედაქციისათვის იყო დამახასიათებელი.

1950 წლის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა საინტერესო გადაცემა „ერთი ქუჩის ისტორია, რომელიც პ. მელიქიშვილის სახელს ატარებს“. საუბარი საინტერესო გამოდგა და მის კვალდაკვალ დაიბადა „ჩვენი ქალაქის ისტორია“, „ჩვენი სოფლის ისტორია“, „ჩვენი რაიონის ისტორია“, მაგრამ მალე ყველა ეს გადაცემა პროგრამიდან გაქრა და მას ციკლური ხასიათი აღარ მიეცა, არადა მოთხოვნილება დიდი იყო. საერთოდ, რადიოგადაცემებში იგრძნობოდა ის შეზღუდვები, რასაც ესა თუ ის რედაქცია განიცდიდა პოლიტიკური თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, თამამად უნდა ითქვას, რომ თუმცა ყოველთვის აშკარად ვერ ხერხდებოდა ეროვნული ფასეულობების პროპაგანდა, მაგრამ საქართველოს რადიოს საგანმანათლებლო საქმიანობა, მთელი მისი კულტურტრეგერული მოღვაწეობა – ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, ქართული კულტურის პოპულარიზაცია უთუოდ ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების გაღვივებას და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას.

თავი III

საქართველოს რადიოს მმართველობითი ფუნქციების გაფართოება და მაუწყებლობის სტრუქტურის განვითარება (1957-1984)

1. საქართველოს რადიო სახელმწიფო მართვის სტრუქტურაში

როგორც წინა თავში აღინიშნა, 1953 წელს რადიომაუწყებლობის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქცევამ დიდი კამათი გამოიწვია და ამის შესახებ საკავშირო პრესაშიც კი გაიმართა მსჯელობა. ეს ჩაითვალა რადიოს, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის, სტატუსის დაქვეითებად, მისი, როგორც საზოგადოების იდეოლოგიური მართვის ერთ-ერთი მძლავრი საშუალების შეუფასებლობად, რაც სავსებით დაადასტურა რამდენიმე წლის პრაქტიკამაც. ტოტალიტარულ სახელმწიფოს, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა პროპაგანდის ინსტრუმენტის ინფორმაციის უბრალო მიმწოდებლად და „კულტურტრეგერად“ გადაქცევა. ამიტომ, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 16 მაისის დადგენილებით, რადიო და ტელევიზია (რომელიც ამ დროს უკვე სწრაფად იწყებდა აღმასვლას და ვეღარ დარჩებოდა რადიოს სტრუქტურაში) გამოვიდა კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებიდან და სახელმწიფოში საკუთარი სტატუსი აღიდგინა – შეიქმნა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი. ეს კომიტეტი აღმასრულებელ ხელისუფლებას განეკუთვნებოდა, მისი თავმჯდომარე მთავრობის წევრად ითვლებოდა და შედიოდა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში.

რადიო-ტელევიზიის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კიდევ ერთი აღიარება იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივლისის დადგენილება, რომლის თანახმადაც მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიო-ტელევიზიის კომიტეტი გარდაიქმნა

მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტად. ამ ერთი სიტყვის – „არსებულის“ სახელწოდებიდან ამოგდება ნიშნავდა, რომ ელექტრონული მედია ოფიციალურად ერთვებოდა სახელმწიფო მართვის სისტემაში: იგი ხელისუფლებასთან „არსებული“ რაღაც სტრუქტურა კი აღარ იყო, არამედ ამ ხელისუფლების ნაწილი, შესაბამისი უფლებებითა და მოვალეობებით. ჟურნალისტები უბრალოდ „პარტიის დამხმარეები“ (Подручные партии) კი აღარ იყვნენ, როგორც ალერსით უწოდა მათ ნიკიტა ხრუშჩოვმა 1959 წელს ახალშექმნილი სსრკ ჟურნალისტთა კავშირის პირველ ყრილობაზე, არამედ ამ პარტიის ნების აღმასრულებელი სტრუქტურის წარმომადგენლები. რაც შეეხება კომიტეტის სახელწოდებაში „ტელევიზიის“ წინ გადმოტანას, ეს უბრალოდ წარმოადგენდა ტელევიზიის უპირატესობის დადასტურებას რადიოსთან შედარებით, რაც ამ პერიოდისთვის უკვე არავის ეჭვს აღარ იწვევდა.

როგორც ჩანს, ესეც არ მიიჩნიეს საკმარისად და 1977 წლის ბოლოსთვის საბჭოთა ტელერადიომაუწყებლობა მინისტრთა საბჭოსაც ჩამოსცილდა და გაფორმდა დამოუკიდებელ უწყებად – ეწოდა სსრკ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი (სსრკ-ის სახტელერადიო). ყველა ეს რეფორმა, რა თქმა უნდა, გატარდა საქართველოშიც.

ასეთი ცვლილებები ალბათ სავსებით ლოგიკური იყო, რადგან ვის გამგებლობაშიც არ უნდა ყოფილიყო ფორმალურად საბჭოთა ტელერადიომაუწყებლობა, მას, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ინფორმაციულ-პროპაგანდისტულ სისტემას, უშუალოდ ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა კომუნისტური პარტია (ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული ორგანოები) და იყენებდა მას საზოგადოების მართვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (მათ შორის, ცხადია, რადიომაუწყებლობაც) კომუნისტური იდეოლოგიის, კომუნისტური აღზრდის სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო, რისი მეშვეობითაც პარტია და ხელისუფლება მიზანმიმართულად მოქმედებდა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. ამდენად, რადიომაუწყებლობის მიზნები და ამოცანები განისაზღვრებოდა კომუნისტური იდეოლოგიის მიზნებითა და ამოცანებით – სხვადასხვა ფორმით ხელი შეეწყო კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის, ახალი ადამიანის ფორმირებისათვის, იდეოლოგიურად უზრუნველეყო სკკპ პროგრამის ცხოვრებაში გატარება, კომუნიზმის მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის შექმნა, აქტიურად ებრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ადამიანის ცნობიერებაში „წარსულის გადმონაშთების“ წინააღმდეგ.

საქართველოს რადიომაუწყებლობა 50-იანი წლების ბოლოს ტექნიკურ-ორგანიზაციული და პროფესიული თვალსაზრისით უკვე საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული – გააჩნია მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მთელ რესპუბლიკაზე ეწევა მაუწყებლობას. დიდი ხანია გარკვეულია მისი საზოგადოებრივი ფუნქციები, ათვისებულია რადიოს გამოსახვითი სპეციფიკა და პუბლიცისტური ჟანრების საეთერო მოდიფიკაციები, დადგენილია ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან, იგი საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების უწყებაა და ერთდროულად განიცდის როგორც მაუწყებლობის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ზეგავლენას, სახელმწიფო ინფორმაციული სტრუქტურის ყოველგვარ ცვლილებას. ზემოთ აღნიშნული რეფორმების შემდეგ, 1978 წელს, იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი – საქართველოს სახტელერადიო (ეს სახელწოდება შემორჩა მას საბჭოთა ხელისუფლების დასრულებამდე). 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე ცვლილება მოხდა ტელერადიოკომიტეტის ხელმძღვანელობაშიც – 1961 წლის სექტემბრიდან კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ანტონ კელენჯერიძე შეცვალა კარლო გარდაფხაძემ, უფრო ადრე კი, 1958 წლის იანვრიდან, თავმჯდომარის მოადგილე რადიოს დარგში გახდა პეტრე შამათავა (მან შეცვალა ა. ფარულავა, რომელიც გათავისუფლდა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო). პირველი 1976 წლის მარტამდე ხელმძღვანელობდა კომიტეტს, მეორე კი 1984 წლის ივლისამდე, მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს, კურირებდა საქართველოს რადიოს. ამავე პერიოდში თავმჯდომარის მოადგილეებად (ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ ნაწილში) მუშაობდნენ ჯერ რაფიელ ლიპარტელიანი და შემდგომ ოთარ კაკაბაძე.

1957-1984 წლები მეტად საინტერესო პერიოდია საქართველოს რადიოს ისტორიაში. ჯერ ერთი, ეს არის საქართველოში (და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში) რადიომაუწყებლობის განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც უკავშირდება ტელევიზიის დამკვიდრებას, რადიოს საეთერო მონოპოლიის გაუქმებასა და კონკურენციის პირობებში მაუწყებლობის ახალი ფორმების ძიებას. მართალია, ტელემა-

უწყებლობის საყოველთაოდ გავრცელებას ისეთი რადიკალური გავლენა არ მოუხდენია საქართველოს რადიოზე, როგორც საზღვარგარეთ, სადაც ცნობილი მრავალპროფილიანი უნივერსალური რადიოსადგურებიც კი სპეციალიზაციის გზას დაადგნენ და ფორმატულ პროგრამირებაზე გადავიდნენ, მაგრამ მან უთუოდ იქონია ზემოქმედება ციკლებისა და რუბრიკების მოწესრიგებაზე, მაუწყებლობის ძირითად მიმართულებათა დაზუსტებაზე, ფუნქციების გამოკვეთასა და პირდაპირი ეთერის უპირატესობათა აქტიურ გამოყენებაზე.

მეორე, ეს პერიოდი გამოირჩევა მნიშვნელოვანი ისტორიული ხასიათის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით: 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების პირველი ნახევრის ვოლუნტარიზმს საბჭოთა კავშირში დიდი ხნით ცვლის ე.წ. უძრაობის ეპოქა, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში 70-იანი წლების დასაწყისში სულ სხვა პროცესები იწყებს განვითარებას. ოთხი წლის მანძილზე, 1972-1976 წლებში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სამი დადგენილება მიიღო საქართველოს შესახებ: „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ (1972), „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (1974) და „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ“ (1976). 1972 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (ქვეყნის პირველი პირი) ვასილ მჟავანაძე შეცვალა ედუარდ შევარდნაძემ, რასაც მოჰყვა მთელი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების შეცვლა არა მხოლოდ რესპუბლიკის, არამედ რაიონების დონეზეც. ცოტა მოგვიანებით საკადრო ცვლილებები მოხდა ტელერადიოკომიტეტშიც: 1976 წლის მარტში კარლო გარდაფხაძე გადაყვანილ იქნა სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად და კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა გურამ ენუქიძე, ხოლო 1979 წელს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად (იდეოლოგიის დარგში) მისი გადაყვანის შემდეგ, იგი შეცვალა ნუგზარ ფოფხაძემ, რომელმაც 1986 წლის ივნისამდე იმუშავა.

ხელისუფლების ტოტალურ ცვლას საქართველოში თან მოჰყვა ახალი კურსი – თითქოსდა დაუნდობელი ბრძოლა ქვეყანაში არსებული ნეგატიური პროცესების: კორუფციის, პროტექციონიზმის, უკანონობის, ნარკომანიის და ა.შ. წინააღმდეგ. ცენტრალურ ხელისუფლებას ეს „ნაკლოვანებანი“ ადგილობრივ პრობლემებად მიაჩ-

ნდა და მათზე საუბარი საკავშირო ეთერში მიღებული არ იყო. რა თქმა უნდა, ერთ პატარა რესპუბლიკაში შეუძლებელი იყო იმ უარყოფითი თვისებების აღმოფხვრა, რაც მთელ საბჭოთა სისტემას ახასიათებდა (საქართველოს პარტიულ ელიტას მართლაც რომ ჰქონოდა ასეთი მიზანი) და ამ ბრძოლას არც შეიძლებოდა რაიმე არსებითი შედეგი მოჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში, ჯერ კიდევ ე.წ. გარდაქმნის დაწყებამდე, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში დამუშავდა საჯაროობის ბევრი ისეთი ფორმა და დაისვა ბევრი ისეთი მწვავე პრობლემა, რომლებიც ცენტრალურ ეთერში მხოლოდ 1987 წლიდან გამოჩნდა. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს აუდიტორიასთან კავშირისა და საზოგადოებრივი აზრის ორგანიზების სხვადასხვა ფორმა, აგრეთვე აშკარა საუბარი „აკრძალულ“ თემებზე – დანაშაულობათა ზრდაზე, ნარკომანიაზე, პროსტიტუციაზე და ა.შ. (საკმარისია ითქვას, რომ მთავლიტის ადგილობრივმა წარმომადგენელმა საკავშირო სტრუქტურაში უჩივლა კომიტეტის ხელმძღვანელობას ამ თემებზე ეთერში გადაცემების გაშვების გამო).

საქართველოს რადიო (იგი თავის სტრუქტურაში მოიცავდა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის რადიოკომიტეტებსაც, აგრეთვე ქუთაისის საქალაქო რადიოს), რომელიც ერთდროულად მიმართავდა უზარმაზარ აუდიტორიას, საყოველთაო აგიტატორისა და პროპაგანდისტის როლს ასრულებდა – სახელმწიფო მართვის ორგანოებიდან მსმენელებს გადასცემდა ინფორმაციას, განუმარტავდა მოცემულ ეტაპზე პარტიის პოლიტიკას, პროპაგანდას უწევდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მომხდარ ეკონომიკურ და კულტურულ გარდაქმნებს, ხელს უწყობდა მასების სოციალურ და პოლიტიკურ აქტივიზაციას. ამასთან, რადიომაუწყებლობის როლი მხოლოდ საზოგადოების ინფორმირებითა და პროპაგანდით როდი ამოიწურებოდა. აუდიტორიასთან კავშირის სხვადასხვა ფორმაზე დაყრდნობით იგი კონტროლს უწევდა პარტიული და სახელმწიფო დირექტივების ცხოვრებაში გატარებას, საწარმოო-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. მართვის სხვადასხვა სისტემაზე აქტიური ზემოქმედებით რადიო თავად ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივი მართვის აუცილებელ ორგანოდ.

სახელმწიფოებრივი ფუნქციებით იყო განპირობებული ხელისუფლების მუდმივი ზრუნვა რადიომაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური განვითარებისათვის. 1959 წელს მწყობრში ჩადგა ახალი

რადიოსადგურები სოხუმსა და ბათუმში; იმავე ხანებში ამოქმედდა სამხრეთ ოსეთის ოლქის რადიოკვანძიც. 1966 წელს საქართველოს ტელერადიოკომიტეტმა მიიღო სპეციალურად მისთვის აგებული და ახალი აპარატურით აღჭურვილი შენობა (ტელერადიოცენტრი) ყოფილი ლენინის, ამჟამად კოსტავას ქუჩაზე, საიდანაც დღემდე ეწევა მაუწყებლობას. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი ეს პერსპექტივაზე არ იყო გათვლილი და უკვე 70-იანი წლების მეორე ნახევარში საგრძნობი გახდა რადიომაუწყებლობის (ასევე ტელევიზიის) ტექნიკური ჩამორჩენილობა. ხმის ჩამწერი სტუდიების მოძველებულ ტექნიკაზე, სათანადო მიკროფონების მუდმივ უკმარისობაზე, უნგრული წარმოების მძიმე და მოუხერხებელ პორტატულ მაგნიტოფონებზე, ფირის მექანიკურ მონტაჟზე და ა.შ. რომ არაფერი ვთქვათ, გადამცემი რადიოსადგურების სიმძლავრით ჩვენი რესპუბლიკა ბოლო ადგილზე იყო საბჭოთა კავშირში და საქართველოს რადიოს ხმა ქვეყნის ბევრ რეგიონში არც ისმოდა (თანდათან ნადგურდებოდა ოდესღაც მთელ რესპუბლიკაში ორგანიზებული სადენებიანი მაუწყებლობაც – იგი ნაწილობრივ მხოლოდ დიდ ქალაქებში შემორჩა). 1978 წელს დადგა ახალი რადიოსადგურის აშენების საკითხი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა (ფინანსები ვერ გამოიძებნა).

60-იანი წლების დასაწყისში საქართველოს რადიოში ფუნქციონირებდა 4 მთავარი რედაქცია: 1. ინფორმაციის მთავარი რედაქცია, რომელიც ცალკე გამოიყო 1959 წელს და პირველი მთავარი რედაქტორი გახდა ნიკოლოზ აბზიანიძე (ტელევიზიაში მისი გადაყვანის შემდეგ, 1968 წლიდან, მთავარი რედაქტორი იყო გივი თევზაძე, 1978 წლიდან კი – დიმიტრი კიკვაძე, მორის მირცხულავა, გოჩა ხუნდაძე, რამინ ჭელიძე). 1968 წელს ამ რედაქციას ეწოდა „ინფორმაციისა და ეროვნულ ენებზე გადაცემათა მთავარი რედაქცია“, რადგან მის სტრუქტურაში „უკანასკნელი ცნობებისა“ და სპორტულ გადაცემათა რედაქციების გარდა შედიოდა აგრეთვე სომხურ გადაცემათა (უფროსი რედაქტორი მ. ასლანიანი, შემდეგ რ. ვართანიანი, ს. ხაჩატურიანი) და აზერბაიჯანულ გადაცემათა (უფროსი რედაქტორი მ. გიულმამედოვი, შემდეგ ქ. ქერიმოვი, ე. მაჰმუდოვი) რედაქციები, აგრეთვე რეკლამებისა და განცხადებების რედაქცია (უფროსი რედაქტორი ა. ჩხიკვაძე, შემდეგ – გ. გუგუნავა) და ადგილობრივი გადაცემების რედაქცია (რომლის უფროსი რედაქტორი 1961 წლიდან 1983 წლამდე, პენსიაში გასვლამდე, იყო ბენო მანთიძე, შემდეგ

– ეთერ ჩილაჩავა); 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი რედაქცია, რომელსაც 1957 წელს ჯერ კიდევ ძველი სახელწოდება – პოლიტიკური რადიომაუწყებლობის მთავარი რედაქცია – ერქვა და ვახტანგ ძამაშვილი ხელმძღვანელობდა. შემდეგ იგი ერთი წლით შეცვალა გივი დვალიშვილმა, მაგრამ 1959 წლიდან მთავარი რედაქტორი ისევ ვახტანგ ძამაშვილი გახდა; 3. საბავშვო და ახალგაზრდული გადაცემების მთავარი რედაქცია, რომელსაც თავიდან ახალგაზრდობის, საბავშვო და სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქცია ერქვა, რადგან სპორტულ პროგრამებსაც ამზადებდა (გარდა ამისა, 60-იანი წლების პირველ ნახევარში ამზადებდა აგრეთვე რუსულენოვან ყოველკვირეულ გადაცემას „საბჭოთა არმიის მეომრებისათვის“). თავიდანვე, 1962 წლიდან, მისი პირველი მთავარი რედაქტორი იყო და 1971 წლამდე ხელმძღვანელობდა ნოდარ ბეთანიშვილი; 4. მხატვრულ გადაცემათა მთავარი რედაქცია, რომლის მთავარი რედაქტორი 1959-1967 წლებში იყო გივი დვალიშვილი. მისი ტელევიზიაში გადაყვანის შემდეგ მთავარი რედაქცია ორად გაიყო – მხატვრულ გადაცემათა მთავარ რედაქციად (რომელსაც შემდეგ ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქცია ეწოდა – მთავარი რედაქტორი აკაკი კობერიძე, მოგვიანებით – სოსო სიგუა) და მუსიკალური გადაცემების მთავარ რედაქციად (მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ბუკია, შემდეგ გულიკო კაცელაშვილი, 1979 წლიდან კი – ლალი ვარდანაშვილი).

1965 წლის თებერვალში შეიქმნა რადიოს პროგრამებისა და გამოშვების მთავარი რედაქცია, რომელსაც 1971 წლის ივლისიდან პროგრამების დირექცია ეწოდა. მის პირველ მთავარ რედაქტორად დაინიშნა კოკი ეგუტია. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1968-1981 წლებში, მთავარი რედაქტორი იყო კაპიტონ რუსიძე, ხოლო მისი პენსიაში გასვლის შემდეგ კი, 1999 წლის შუა ხანებამდე, გარდაცვალებამდე, პროგრამების მთავარი დირექციის მთავარი დირექტორი იყო მედეა გეგეშიძე. პროგრამების მთავარი რედაქცია (დირექცია) მოიცავდა სამ ქვედანაყოფს: პროგრამების რედაქციას (უფროსი რედაქტორი მარიამ ბინიაშვილი), გამომშვებ რედაქციას (უფროსი რედაქტორი მაგუ ურუშაძე) და დიქტორთა ჯგუფს (ხელმძღვანელი ქეთევან ლანდია). 60-70-იან წლებში საქართველოს რადიოს დიქტორები იყვნენ: ეროსი მანჯგალაძე, მარიკა ჩახავა, ქეთევან კერესელიძე, ელენე ტაბლიაშვილი, თამარ ლეჟავა, მერი მიქელაძე, ციალა შუბლაძე, ლია ჭანიშვილი, რეზო ჩხაიძე, დავით სოკოლოვი, რეზო

თავართქილაძე, ლევან ყავლაშვილი, გიორგი ცაბაძე, თინა ელბაქიძე, თინა მგალობლიშვილი, იაგო დუმბაძე, მირანგულ ავსაჯანიშვილი, არსენ აბრამიშვილი, გივი ქოჩლაძე, ჯემალ ჯაველიძე, დალი ბაქრაძე, ლადო მსხილაძე, მიხეილ ლოპატკინი, ირინე რიზაევა, ელენე სარქისიანი, ალბერტ ასატუროვი, ალი-ზადე ჰასანოვი, ალემზარ რზაევა.

60-იანი წლების ბოლოს ცალკე ჩამოყალიბდა რუსულ გადაცემათა მთავარი რედაქცია (მთავარი რედაქტორი იური ხომერიკი, შემდეგ – ამირან გაბილაია). იგი მოიცავდა რუსული რესპუბლიკური ცნობების რედაქციას (უფროსი რედაქტორი ევგენი დომორაცკი, შემდეგ თამაზ კანდელაკი), საბჭოთა არმიის მეომრებისათვის გადაცემების რედაქციას (უფროსი რედაქტორი ალექსანდრე ნიკურაძე, შემდეგ – გივი ბაქრაძე, თემურ ნადირაშვილი) და გაცვლითი გადაცემების რედაქციას (უფროსი რედაქტორი ამირან გაბილაია, შემდეგ – ნუცა ერისთავი), რომელიც რუსულ ენაზე ამზადებდა გადაცემებს მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებისათვის და ასევე გაცვლის წესით ღებულობდა მათ გადაცემებს საქართველოს რადიოეთერისთვის.

1973 წელს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი რედაქცია დაიყო პროპაგანდისა და სახალხო მეურნეობის მთავარ რედაქციებად. პროპაგანდის მთავარ რედაქციაში (მთავარი რედაქტორი ვახტანგ ძამაშვილი, შემდეგ – გივი თევზაძე, დიმიტრი კიკვაძე, ვახტანგ დვალი) დარჩა მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების რედაქცია (უფროსი რედაქტორი გივი თევზაძე, შემდეგ – მიხეილ არაშიძე, ლამარა ესართია, მარიკა სილაგაძე, გულნაზ გელოვანი) და საბჭოთა მშენებლობის, სამართლისა და მორალის რედაქცია (უფროსი რედაქტორი დიმიტრი ლობჟანიძე). მის დაქვემდებარებაში გადავიდა აგრეთვე სომხური და აზერბაიჯანული გადაცემების რედაქციები (პირველი მათგანი ყოველდღიურად იუწყებოდა ერთი საათის, მეორე კი – ნახევარი საათის მოცულობით). 80-იან წლებში მათ დაემატა ქურთული გადაცემების რედაქცია (უფროსი რედაქტორი ქ. ანყოსი), 90-იან წლებში კი – ბერძნული გადაცემებისა (უფროსი რედაქტორი ლ. ზანგელიდი). ორივე კვირაში ერთხელ მაუწყებლობდა 15 წუთის მოცულობით. სახალხო მეურნეობის მთავარ რედაქციაში (მთავარი რედაქტორი მორის მირცხულავა) შევიდნენ: მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის რედაქცია (უფროსი რედაქტორი თენგიზ

გელაშვილი, შემდეგ – ლია კორძაია, ლამარა ესართია), სოფლის მეურნეობის რედაქცია (უფროსი რედაქტორი კონსტანტინე ჭანტურიშვილი, შემდეგ – შალვა გულუა, დილარ ჯვებენავა) და მეცნიერების და ტექნიკის (მოგვიანებით – მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის) რედაქცია (უფროსი რედაქტორები სხვადასხვა პერიოდში: თენგიზ გოქსაძე, სერგო გონჯილაშვილი, მარიკა ჩხარტიშვილი, ელდარ იბერი, გულნარა არობელიძე, ნანული ჭავჭანიძე). ასევე ცალ-ცალკე ჩამოყალიბდა საბავშვო და ახალგაზრდული გადაცემების მთავარი რედაქციები.

სამოციან წლებს უკავშირდება საქართველოს საგარეო რადიომაუწყებლობის აღმოცენებაც. ჯერ კიდევ 50-იანი წლების ბოლოს რადიოკომიტეტში ჩამოყალიბდა ე.წ. რესპუბლიკათშორისი გადაცემების რედაქცია, რომელიც გადაცემებს უცვლიდა მოკავშირე რესპუბლიკების რადიოკომიტეტებს და 60-იანი წლებიდან ასეც ეწოდა – „გაცვლითი გადაცემების რედაქცია“ (ხელმძღვანელი გ. მაისურაძე, შემდეგ გ. ცანავა). ამავე რედაქციაში მზადდებოდა ყოველკვირეული ერთსაათიანი პროგრამა „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის“ (ძირითადად თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქართველებისათვის), რომელიც მოსკოვის რადიოსადგურიდან გადაიცემოდა. 1963 წელს გაცვლით რედაქციას გამოეყო „სპეციალური გადაცემების რედაქცია“ (ანუ უცხოეთზე მაუწყებლობის რედაქცია), რომლის უფროსი რედაქტორი 1970 წლამდე, პენსიაში გასვლამდე იყო აკაკი ნიჟარაძე, შემდეგ – შამილ ჭიაბრიშვილი.

სამოციანი წლების ბოლოს შეიქმნა საზღვარგარეთის ქვეყნებზე მაუწყებლობის მთავარი რედაქცია, რომელიც მოგვიანებით ტელემაუწყებლობასაც მოიცავდა (მთავარი რედაქტორი როდამ ჩაჩანიძე, 1971-1976 წლებში – ნოდარ ბეთანიშვილი, შემდეგ დავით შალიკაშვილი). იგი აერთიანებდა ქართულ ენაზე გადაცემათა რედაქციას და ე.წ. სპეციალურ გადაცემათა რედაქციას. პირველი განაგრძობდა პროგრამის მომზადებას უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის – აცნობდა მათ საქართველოს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მდგომარეობას, მის წარმატებებს მსოფლიო არენაზე, რადიოეთერში ახვედრებდა გამოჩენილ ქართველ მწერლებს, მსახიობებს, კომპოზიტორებს და ა.შ. ფართო პროპაგანდას უწევდა ქართულ ლიტერატურას, თეატრსა და მუსიკას. პროგრამის პერიოდულობა თანდათან იზრდებოდა – 1968 წლიდან იგი კვირაში ორჯერ გადაიცემოდა, 1975 წლიდან კი – ჯერ სამ-

ჯერ, ხოლო შემდეგ ოთხჯერ (თანაც იმავე დღეს სამჯერ მეორდებოდა). გადაცემაზე მუშაობდნენ: შამილ ჭიაბრიშვილი, გულნაზ გელოვანი, ნანა ლომიძე და სხვ.

ყოველი გადაცემა იწყებოდა საინფორმაციო გამოშვებით „ახალი ამბები სამშობლოდან – საქართველოდან“. გარდა ამისა, თემატურ სიუჟეტებთან ერთად ეწყობოდა ქართულ-თურქული და ქართულ-სპარსული ენების გაკვეთილები, რომლებსაც ატარებდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ნოდარ ჯანაშია და ჯემშიდ გიუნაშვილი. ეს გაკვეთილები უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ეხმარებოდა ქართული ენის ცოდნის გაღრმავებაში. როგორც ერთ-ერთი რუბრიკის – „სხვა საქართველო სად არის“ – წამყვანი, ფერეიდნელი ქართველი რეზო მიქელაძე იხსენებდა, ფერეიდანში თურმე ზუსტად იცოდნენ ქართულენოვანი რადიოგადაცემის დაწყების დრო, იკრიბებოდნენ რომელიმე ოჯახში, უსმენდნენ რადიოს და დედაენაზე საუბრობდნენ. ეს რადიო იყო მაშინ საქართველოსთან მათი კავშირის ერთადერთი საშუალება.

რაც შეეხება სპეციალურ გადაცემათა რედაქციას (როგორც ზემოთ ითქვა, ეს სახელი ერქვა თავიდან უცხოეთზე მაუწყებლობის რედაქციას), იგი შეიქმნა 1968 წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით და დაევალა აშშ-ის რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულენოვანი გადაცემების აუდიოფირზე ჩაწერა, გაშიფვრა და მანქანაზე დაბეჭდვა. დაბეჭდილი ტექსტის ეგზემპლარები გასაცნობად ეგზავნებოდა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელებს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, ასევე „საქინფორმს“, „საკდესის“ საქართველოს განყოფილებას, ცენტრალური რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებს, ადგილზე ურიგდებოდათ ტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს. აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი რედაქციები სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტელერადიოკომიტეტებშიც იყო შექმნილი. ეს განპირობებული იყო მწვავე იდეოლოგიური დაპირისპირებით სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის, რომელმაც „ცივი ომის“ სახელწოდება მიიღო და განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა რადიოეთერში (აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა თავის დროზე მას „რადიოომიც“ კი უწოდა). ხელისუფლებას სჭირდებოდა ზუსტი ინფორმაცია, თუ რას გადმოსცემდნენ, რას

ეუბნებოდნენ საქართველოს მოსახლეობას ანტისაბჭოური რადიოსადგურები, პირველ რიგში, „ამერიკის ხმა“, რომ შემდეგ ამის გათვალისწინებით განხორციელებულიყო სათანადოდ გამიზნული კონტრპროპაგანდა (გაუგებარია მხოლოდ, რატომ არ შეისწავლებოდა ასევე რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართულენოვანი მაუწყებლობა, რომელიც თავისი ანტისაბჭოთა ხასიათით თუ არ აღემატებოდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა „ამერიკის ხმას“).

სპეციალურ გადაცემათა რედაქციის პირველი ხელმძღვანელი იყო ჯანო იაშვილი, შემდეგ იგი შეცვალა გიორგი ჩიქოვანმა, რომელიც მანამდე „უკანასკნელ ცნობათა“ მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა. „ამერიკის ხმის“ ქართულენოვან გადაცემას, ასე ვთქვათ, „იჭერდნენ“ და რედაქციას სპეციალური ხაზით აწვდიდნენ სართიჭალის რადიოსადგურიდან, საიდანაც ამავე დროს ხდებოდა მისი ჩახშობაც, როცა საუბარი იყო განსაკუთრებით არასასურველ პოლიტიკურ საკითხებზე, ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილ მრავალ ბოროტებაზე, მასობრივი მსმენელისათვის უცნობ ფაქტებსა და დეტალებზე. ასე რომ, ყველა ინფორმაცია წესიერად იმ ხალხსაც კი არ მიეწოდებდა, ვისაც მისი მოსმენა და გაშიფვრა ევალებოდა. ეს მდგომარეობა ე.წ. გარდაქმნის ეპოქამდე 1987 წლამდე გრძელდებოდა (უცხოური რადიოსადგურების ჩახშობა სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაიწყო 1949 წლიდან და ამ „საქმით“ დაკავებული იყო 1660 რადიოსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე აღემატებოდა ერთად აღებული საბჭოთა საშინაო და საგარეო რადიოსადგურების სიმძლავრეს).[1]

გარდა აღნიშნული რედაქციებისა, ტელერადიოკომიტეტში არსებობდა აგრეთვე მთარგმნელთა ჯგუფი, რომელიც გარკვეულ პერიოდში რედაქციადაც იწოდებოდა (უფროსი რედაქტორი გრიგოლ მსხილაძე, შემდეგ მარიამ ბინიაშვილი). ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ძირითადად მოსკოვიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან მიღებული რუსული ტექსტები. აქ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ნ. აღნიაშვილი, ა. ბურდილაძე, ა. შალამბერიძე, ი. გამყრელიძე, ზ. გიორგობიანი, მ. ჩხეიძე, ნ. მიქავა, გ. ბერძენიშვილი, ნ. გვერდწითელი, ნ. მიქაშავიძე, ლ. კალანდაძე და სხვ.

60-80-იან წლებში კვლავ ინტენსიურად ფუნქციონირებდა რადიოს კორესპონდენტთა ქსელი, რომელსაც სხვადასხვა პერიოდში

[1] Телерадиофир. История и современность, М., 2005, с. 168.

ხელმძღვანელობდნენ: ნიკოლოზ კიკვაძე, ნანული ჭავჭანიძე, გიორგი გოჩიტაშვილი, ლამარა ესართია, როინ თხილავა. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მუშაობდა ორ ათეულამდე ე.წ. ზონის კორესპონდენტი – რადიოჟურნალისტები: რევაზ ზაქარაია, ნიკოლოზ იარალოვი, ლენტო ისაკოვი, ლევან ხოსროშვილი, აბო ფერაძე, შალვა შენგელი, გივი ჯახუა და მრავალი სხვა, რომლებიც სისტემატურად იძლეოდნენ სათანადო მასალებს საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან.

რადიომაუწყებლობას ჰყავდა თავისი რეჟისორთა ჯგუფი (მთავარი რეჟისორი გურამ მაცხონაშვილი, შემდეგ – ვახტანგ მაღლაფერიძე, ზურაბ კანდელაკი), რომელიც მუშაობდა როგორც რადიოდადგმებზე, ისე პუბლიცისტურ გადაცემებზეც. სხვადასხვა დროს რადიოში მოღვაწეობდნენ: გივი საგინაშვილი, სერგო ჭელიძე, გიორგი ვასაძე, ვლადიმერ მოდებაძე, ლევან გურული, ციალა ქურდოვანიძე, ნელი რუსიშვილი, შალვა მჟავანაძე, გივი ვლადიმერაშვილი, ბადრი მიქაშავიძე, თათია ხაინდრავა, გიორგი გამსახურდია და სხვ.

გადაცემების პროფესიულად ჩაწერას უზრუნველყოფდნენ ხმის რეჟისორები: იაკობ ბობოხიძე, შალვა ნიჟარაძე, თამარ მდივანი, ლევან ქიშმიშევი, გივი ჯაფარიძე, ალიოშა წერეთელი, ლავრენტი ჭელიძე, ჯემალ პატეიშვილი, თემურ პირადაშვილი, იური ნუცუბიძე, რომეო ტერ-გრიგორიანი, ნანა სანდუხაძე, თამარ გოგლიძე და სხვ., ხმის ოპერატორები: ვალიკო ბერიაშვილი, ნიკოლოზ დათუნაიშვილი, გურამ მესხიშვილი, ნოდარ ნანიტაშვილი, გივი სიდამონიშვილი, მარინე დარბინიანი და სხვ.

რადიომაუწყებლობას ჰქონდა ფონოგრამების განყოფილება (გამგე რ. გოცირიძე, შემდეგ ა. ურუშაძე), რომელიც მოიცავდა აუდიოჩანაწერების უმდიდრეს ფონდს (როგორც მუსიკალურს, ისე ტექსტობრივს) და სამუშაო ფონოთეკას (გამგე ჯ. ნაჭყებია). მაუწყებლობის ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდა კომიტეტის ტელერადიოცენტრის შესაბამისი ქვედანაყოფები: რადიომაუწყებლობის სააპარატო-სასტუდიო კომპლექსი (უფროსი – ვლადიმერ თევდორაშვილი, შემდეგ ჰამლეტ ცაგარეიშვილი), რადიომაუწყებლობის (გადამცემი ტექნიკის) საამქრო (უფროსი – თენგიზ სალხინაშვილი), ხმის ჩამწერი საამქრო (უფროსი – არჯევან ჯაფარიძე, შემდეგ ა. კუბალსკი, ოთარ ქუთათელაძე, მირიან კაკულია, ჯუმბერ ხობელია), სტუდიის გარე რადიოგადაცემათა საამქრო (უფროსი – უშანგი კოტორაშვილი, შემდეგ – ომარ არეშიძე). აქ წლების მანძილზე მუშა-

ობდა რადიოტექნიკის ბევრი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი: მირიან მოსულიშვილი, გურამ მესხიშვილი, ნიკოლოზ კუზნეცოვი, ლევან კობერიძე და სხვ.

ასე გამოიყურებოდა საქართველოს რადიოს ორგანიზაციული სტრუქტურა 1960-70-იან წლებში.

60-იანი წლებიდან გარკვეული ცვლილება განიცადა მაუწყებლობის სტრუქტურამ. ჯერ კიდევ 1956 წელს შეიქმნა საქართველოს რადიოს მეორე პროგრამა, რომელიც მოიცავდა მხატვრულ-მუსიკალურ გადაცემებს და ეთერში ყოველდღიურად გადიოდა 2 საათის ხანგრძლივობით – 21 საათიდან 23 საათამდე. მისი წარმოშობა განპირობებული იყო საქართველოს რადიომაუწყებლობის კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციის გაძლიერებით და განსაკუთრებით კი – რადიოს უნიკალური შესაძლებლობებით მუსიკალური ხელოვნების გავრცელებასა და პროპაგანდაში. მუსიკასთან ერთად 60-იან წლებამდე ამ პროგრამაში განსაკუთრებით შესამჩნევია ლიტერატურულ მიმოხილვათა სიმრავლე: „ჟურნალ „ცისკრის“ მიმოხილვა“, „ჟურნალ „მნათობის“ მიმოხილვა“, „ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ მიმოხილვა“, „ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ მიმოხილვა“, „ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მიმოხილვა“, ციკლები: „ახალი წიგნები“ და „საზღვარგარეთის პროგრესული ლიტერატურა“. 1965 წლის თებერვლიდან II პროგრამას „თბილისი – 288“ ეწოდა (იგი 288 მ სიგრძის ტალღებით გადაიცემოდა) და ჯერ ნახევარი, შემდეგ კი ერთი საათით გაიზარდა. შესაბამისად, მას დაემატა „უკანასკნელი ცნობების“ ორი ხუთწუთიანი გამოშვება და საგანმანათლებლო ხასიათის ციკლები: „დიდები და პატარები“, „მერიდიანები და პარალელები“, „მსოფლიოს გარშემო“ და სხვ.

რადიოეთერში მუსიკის მზარდი პოპულარობით უნდა აიხსნას ყოველდღიური სპეციალური მუსიკალური პროგრამის მომზადება ულტრამოკლე ტალღებზე. საქართველოს რადიომაუწყებლობაში 1958 წლიდან ორი რადიოსადგური მუშაობდა ულტრამოკლე ტალღებზე, მაგრამ ისინი, გრძელი, საშუალო და მოკლეტალღოვანი რადიოსადგურების მსგავსად, პირველ პროგრამას გადასცემდნენ და ამის გამო მსმენელიც ნაკლები ჰყავდათ (მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში საქართველოში სტაბილურად მუშაობდა სადენებიანი რადიომაუწყებლობა, ე.წ. ხაზის რადიო). 1960 წლის ივლისიდან ახალი მუსიკალური პროგრამა (1-2 საათის მოცულობით) პირველად გავიდა ეთერში ულტრამოკლე ტალღებზე, ჯერ ქალაქის ქსელთან ერთად (I

პროგრამის შესვენების დროს), 1961 წლის მეორე ნახევრიდან კი – დამოუკიდებელი სახით (2, 5 – 3 საათის მოცულობით). 1963-1967 წლებში იგი ყოველდღიურად გადაიცემოდა 13-დან 17 საათამდე, 1968-1975 წლებში კი – 11 საათიდან და 30 წუთიდან 17-19 საათამდე და მოიცავდა ყველა ჟანრის მუსიკალურ გადაცემებს. 1976 წლიდან მას სხვა მხატვრული გადაცემებიც დაემატა და გადაიცემოდა 15-დან 17 საათამდე „მხატვრულ-მუსიკალური პროგრამის“ სახელწოდებით.

საქართველოში მუსიკალური რადიომაუწყებლობის განვითარების შემდგომი საფეხური იყო სტერეოფონური მაუწყებლობის დაწყება. 70-იანი წლებიდან ცალკეული მუსიკალური გადაცემები, რადიოდადგმები და სხვ. უკვე სტერეოფონურად იწერებოდა და გარკვეული ფონდიც გროვდებოდა. 1975 წლის ნოემბრიდან კი ეთერში გავიდა დამოუკიდებელი სტერეოფონური პროგრამა, რომელიც დილით და საღამოს გადაიცემოდა ულტრამოკლე ტალღებზე (საერთო ჯამში, 4-6 საათის მოცულობით). 1976-1990 წლებში ეს პროგრამა ულტრამოკლეტალღოვან „მხატვრულ-მუსიკალურ პროგრამასა“ და რადიოსადგურ „თბილისი – 288“-სთან ერთად (რომელსაც 1983 წლიდან რადიოსადგური „მთაწმინდა“ ეწოდა) შეადგენდა საქართველოს რადიოს საერთო მეორე პროგრამას.

პირველი და მეორე პროგრამა დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ ცხადდებოდა ეთერში და სათანადო რეკლამა-ანოტაციების თანხლებით იბეჭდებოდა ტელერადიოკომიტეტის ყოველკვირეულ ორგანოში – „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“. მან გამოსვლა დაიწყო 1957 წლის 17 ოქტომბრიდან ქართულ ენაზე, მცირე ფორმატის გაზეთის ნახევარი მოცულობით, რვა გვერდზე, სახელწოდებით „ლაპარაკობს თბილისი“ – რადიო და ტელეგადაცემათა პროგრამები, გამომცემელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი; პროგრამებთან ერთად იგი მოიცავდა ცალკეული გადაცემებისა და ფილმების ანოტაცია-რეკლამებს, შესაბამის ილუსტრაციებს და სხვ. 1960 წლის 1 იანვრიდან გამოდიოდა პარასკეობით, მცირე ფორმატის გაზეთის მოცულობით, ოთხ გვერდზე; 1967 წლის 24 მარტიდან ეწოდა „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“. 1980 წლის იანვრიდან გაზეთი რვაგვერდიანი გახდა და ქართულთან ერთად რუსულ ენაზეც ბეჭდავდა როგორც საქართველოს ტელერადიოპროგრამებს, ისე ცენტრალური ტელევიზიის I-II პროგრამებს, რეკლამა-ანოტაციებს, წერილებს, მიმოხილვებს და სხვ. გაზეთის პირველი

რედაქტორი იყო გივი დვალიშვილი, შემდეგ გაზეთს რედაქტორობ-დნენ: კარლო ფალიანი, ალექსანდრე მგელაძე, შოთა გიგაური, ალე-კო მითაიშვილი. სხვადასხვა პერიოდში გაზეთში მუშაობდნენ: ა. სო-ხაძე, ი. მშვენიერაძე, ც. მექვაბიშვილი, ე. ლაღიძე, ნ. ზარიძე, ლ. კენჭა-ძე, ლ. რუსაძე, ლ. აფხაზავა, დ. ფიცხელაური, ო. იაშაღაშვილი და სხვ.

საქართველოს რადიოს კვირის პროგრამებს სისტემატურად ბეჭდავდნენ აგრეთვე რესპუბლიკური გაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“. იშვიათი, განსაკუთრებული შემთხვევების გარ-და, დაბეჭდილი პროგრამა უცვლელად გადაიცემოდა ეთერში, რაც საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ, ერთი მხრივ, საქართვე-ლოს რადიოს სამაუწყებლო სტრუქტურის განვითარებას თითქმის 30 წლის მანძილზე, ხოლო, მეორე მხრივ, 1957-1984 წლებში მიმდი-ნარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ასახვას ქართულ რა-დიოჟურნალისტიკაში.

სამაუწყებლო ბადე (რადიოგადაცემების მეტ-ნაკლებად სტაბი-ლური განრიგი) საქართველოს რადიოში ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაინერგა და, ცხადია, რომ 60-იან წლებში იგი საკმაოდ მტკიცედ არის ჩამოყალიბებული. ყოველ რედაქციას კვირის პროგრამაში თა-ვისი მუდმივი დღე და საათები აქვს გამოყოფილი (მაგალითად, სამ-შაბათი, ოთხშაბათი და შაბათი ახალგაზრდობის დღეებია, პარასკე-ვი – სამეცნიერო-საგანმანათლებლო გადაცემების, 17.30 – 18.00-ის ფარგლებში ყოველდღიურადაა საბავშვო გადაცემა და ა.შ.). მტკი-ცედაა დაცული რუბრიკაციის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს ინ-ფორმაციის ტიპიზაციისა და რადიოსთვის დამახასიათებელი სერი-ულობის პრაქტიკულ განხორციელებას. გამოკვეთილია სამაუწყებ-ლო ბლოკების სისტემა და ა.შ. დროდადრო ბადე ქვეყნდება კიდეც პროგრამა-გაზეთში „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ (მაგალი-თად, 1962 წლის 12 ოქტომბერს დაიბეჭდა „საქართველოს რადიოს გადაცემების განრიგი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში 1962 წლის 15 ოქტომბრიდან“. ასევე იყო შემდგომ წლებშიც). ასე რომ, პროგ-რამა ძირითადად უნიფიცირებულია როგორც თემატიკის, ისე აუ-დიტორიის მიხედვით. მიუხედავად ამისა, 60-იანი წლების დასაწყის-ში ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი ზოგადი რუბრიკები, როგორიცაა: „გადაცემა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე“, „გადაცემა მრეწველობის თემაზე“ და ა.შ. ხშირია ცალკეული, ერთჯერადი გა-დაცემები, რაც მიუთითებს, რომ ყველა რედაქციას როდი აქვს გა-აზრებული და დასისტემებული თავისი მაუწყებლობა. ამას გარკვე-

ულწილად, განაპირობებს მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე „ოპერატიული რეაგირების“ აუცილებლობაც – თითქმის ყოველი დადგენილება თუ გადაწყვეტილება, რომელიც ამა თუ იმ პარტიულ-სახელმწიფოებრივ ღონისძიებას ეხება, მოითხოვს ახალი რადიო- და ტელეციკლების შემოღებას, აღნიშნული ღონისძიების ფართოდ გაშუქებას. არცთუ იშვიათად, მოვლენას რომ ოპერატიულად „გამოეხმაურონ“, რედაქციები უკვე არსებულ ციკლს ან რუბრიკას ახალ რუბრიკაში ათავსებენ და ახალი სახელწოდებით გადასცემენ (მაგალითად, „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყეტილებანი – ცხოვრებაში“, ციკლიდან – „სასურსათო პროგრამა მოქმედებაში“, საუბარი – „ქართული პურის აღორძინებისათვის“ – 1983. 13. 04). ასეთი „მისადაგება“ აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც წესი, საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტში სისტემატურად იგზავნება გასაცნობად რადიორედაქციების წლიური, კვარტალური და თვიური გეგმები და არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი, რომ საქართველოს რადიო არ ითვალისწინებს პარტიისა და ხელისუფლების მოთხოვნებს.

პროგრამის სწორ დაბალანსებას, მაუწყებლობის ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას აძნელებს აგრეთვე საკავშირო რადიოს გადაცემების სავალდებულო ჩართვა რესპუბლიკურ პროგრამაში. გარდა იმისა, რომ საქართველოს რადიოში სისტემატურად მზადდებოდა პუბლიცისტური, მხატვრული და საბავშვო გადაცემები რუსულ ენაზე (განსაკუთრებით 1960-1970 წლებში), მოსკოვიდან ტრანსლირებული გადაცემების მოცულობამ 1990 წლის ბოლოსთვის 7 საათს მიაღწია: რესპუბლიკურ რადიოპროგრამაში ერთვებოდა საკავშირო „უკანასკნელი ცნობების“ 5-6 გამოშვება, „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“, „პიონერსკაია ზორკა“, „ჩელოვეკ ი ზაკონ“, „ზემლია ი ლიუდი“, „ვრემია, სობიტია, ლიუდი“, „რადიოსტანცია „იუნოსტ“ და მრავალი სხვა. აღარაფერს ვიტყვით ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის თუ დიდი სამამულო ომის საიუბილეო თარიღებზე, საყრილობო გადაცემებზე და ა.შ.

თითქმის ყოველ საკავშირო რუბრიკას საქართველოს რადიოში ჰქონდა შესაბამისი ქართული რუბრიკა, ხშირად კი იგივე სახელწოდებაც: „ადამიანი და კანონი“, „რადიოსადგური „სიჭაბუკე“, „საერთაშორისო მიმოხილვა“, „პარტიული ცხოვრება“, „საბჭოები და ცხოვრება“, „ახალი წიგნები“ და ა.შ. ბევრი რუბრიკის მასალები ითარგმნებოდა და სისტემატურად გადაიცემოდა საქართველოს რადიოეთერში („მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“, „ლენინური

ალმანახი“, „დიდები და პატარები“ და სხვ.). თავის მხრივ, საქართველოს რადიოც იღებდა გარკვეულ მონაწილეობას საკავშირო რადიოპროგრამაში. გარდა იმისა, რომ საკავშირო ეთერში დროდადრო გადაიცემოდა ქართველი რადიოჟურნალისტების ნამუშევრები (უფრო ხშირად საიუბილეო და საზეიმო დღეებში, დიდ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით), ყოველწლიურად ეწყობოდა ე.წ. „მოძმე რესპუბლიკების რადიოფესტივალები“ – საკავშირო რადიოს პროგრამაში ერთი დღე ეთმობოდა ამა თუ იმ რესპუბლიკას, უფრო ზუსტად, დღის პროგრამაში 2-3 საათის საერთო მოცულობით ჩართული იყო რესპუბლიკური რადიოს მიერ მომზადებული გადაცემები. ჩვენი რესპუბლიკის პროგრამა უმეტეს შემთხვევაში 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების დღეს გადაიცემოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საკავშირო რადიოს თავისი კორესპონდენტებიც ჰყავდა საქართველოში. მათ ტელერადიოცენტრის შენობაში გამოყოფილი ჰქონდათ ხმის ჩამწერი სტუდია, სხვა ტექნიკური საშუალებანი და სისტემატურად აწვდიდნენ მასალებს საკავშირო რადიოს სხვადასხვა რედაქციებს, ძირითადად კი „უკანასკნელი ცნობების“ რედაქციას (60-70-იან წლებში კორესპონდენტებად მუშაობდნენ მარლენ ლობჟანიძე და მიხეილ ფიჩხაძე).

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ხარვეზებისა, საქართველოს რადიოს პირველი პროგრამა (მეორე პროგრამა, როგორც ვნახეთ, განსხვავებული, სპეციალიზებული ხასიათისაა) წარმოადგენდა პუბლიცისტური, მხატვრული და საგანმანათლებლო ინფორმაციის შემცველ მწყობრ, მიზანმიმართულ სისტემას, რომელსაც ზუსტად განსაზღვრული საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულება ევალებოდა. საბჭოთა საქართველოს რადიო მთელი თავისი არსებობის მანძილზე საერთო-საკავშირო ტელერადიომაუწყებლობის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა და, ცხადია, დამოუკიდებელი სამაუწყებლო პოლიტიკა არ გააჩნდა. მისი პოლიტიკა ემყარებოდა ზემოთ განხილულ მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებებს ჟურნალისტიკის როლსა და ადგილზე სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრუქტურაში, განისაზღვრებოდა პარტიული გადაწყვეტილებებითა და დადგენილებებით, რომლებიც საერთო იყო ყველა საბჭოთა საინფორმაციო საშუალებისათვის, უშუალოდ ექვემდებარებოდა პარტიული ორგანოების კონტროლსა და მითითებებს.

რა თქმა უნდა, ათეული წლების მანძილზე მაუწყებლობის სტრუქტურა არ შეიძლებოდა უცვლელი დარჩენილიყო – სოცია-

ლურ-პოლიტიკური პროცესების შესაბამისად იცვლებოდა თემატიკა, იხვეწებოდა ჟანრები და ფორმები, უფრო სრულად გამოიყენებოდა რადიოს სპეციფიკური შესაძლებლობანი. მაგრამ უცვლელი რჩებოდა ძალისმიერი პროგრამირების პრინციპი. რადიოპროგრამა გამოხატავდა კომუნიკატორის – საქართველოს რადიოს, როგორც სახელმწიფო ინფორმაციული ორგანოს – თვალსაზრისსა და ინტერესებს. რადიოში ნათქვამი სიტყვა აღიქმებოდა ოფიციოზის აზრის გამომხატველად, ხელისუფლების ნათქვამ სიტყვად. ნებისმიერი გადაცემის ხარისხი განისაზღვრებოდა არა აუდიტორიის ინტერესებისა და მოთხოვნილებების, მასზე ზემოქმედების ეფექტიანობის მიხედვით, არამედ უპირველესად ტექსტის „იდეურობით“ – არსებულ იდეოლოგიურ დოგმებთან შესაბამისობით.

ამგვარ პუბლიცისტიკას მსმენელი თითქოს არც სჭირდებოდა, იგი ძირითადად ზემდგომი ორგანოების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე იყო გათვალისწინებული. ძნელი წარმოსადგენია, რომ მასობრივი მსმენელი ჰყოლოდა „პრავდის“ მოწინავე სტატიას“, „მილიონთა ლენინურ უნივერსიტეტს“, „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს“, „სოციალისტური შეჯიბრების დღიურს“, „პარტიულ ცხოვრებას“ და მრავალ სხვა მსგავს გადაცემას, რომლებიც ათეული წლების მანძილზე მუდმივად იყო საქართველოს რადიოს პროგრამაში. საბჭოთა რადიოპროპაგანდა თავისი სწორხაზოვნების გამო არ შეიძლებოდა ეფექტიანი ყოფილიყო. იგი მხოლოდ გარდუვალობის შთაბეჭდილებას ქმნიდა (ისევე, როგორც საყოველთაო სავალდებულო პოლიტიკური სწავლება) და ტოტალურობისა და მონოპოლიურობის ხარჯზე თუ ახერხებდა რაიმე ზემოქმედებას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. რადიოპროპაგანდის ეს ძირითადი ნიშან-თვისება გამოიხატა საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპით – „რა რადიოსავით ლაპარაკობ“, აისახა ხელოვნების ნაწარმოებებში (საკმარისია გავიხსენოთ კინოფილმები: „გიორგობისთვე“, „ლაქა“, „აღდგომა“, სადაც დაძაბულ, დრამატულ სიტუაციებში რადიორეპროდუქტორი მექანიკურად დუდუნებს მიღწეულ წარმატებებსა და პარტიის მიერ დასახულ ახალ ამოცანებზე).

ამავე დროს, ერთგვარ პარადოქსად წარმოგვიდგება ის მდგომარეობა, რომ ყველა პარტიული დადგენილება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ მოითხოვს აუდიტორიის შესწავლას და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებას. 60-იან წლებში მეტად პოპულარუ-

ლია რადიომსმენელთა დასწრებული თუ დაუსწრებელი კონფერენციები (80-იან წლებში იგი შეიცვალა რადიო-ტელევიზიის დღეებით – სხვადასხვა რეგიონში რედაქციების გასვლით). დიდი მნიშვნელობა ენიჭება რადიომსმენელების ფოსტას, რომელიც ხშირად გადაცემის ხარისხიანობის ძირითად კრიტერიუმად არის მიჩნეული (თუმცა წერილების უმრავლესობა მუსიკალურ დაკვეთებს შეეხება, ანდა, იშვიათად, საჩივარს წარმოადგენს). აქედან გამომდინარე, წერილები უპირატესად გამოიყენება მუსიკალურ ციკლებში („კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით“, „საღამო მშვიდობისა“, „სტუდენტური დისკოთეკა“ და ა.შ.) და კრიტიკულ გადაცემებში („რედაქციაში წერილი მოვიდა“, „როცა რედაქციაში წერილი მოდის“ და სხვ.).

შედარებით გვიან დაიწყო ტელერადიოკომიტეტში საზოგადოებრივი აზრის შესწავლისთვის სოციოლოგიური მეთოდების გამოყენება. მხოლოდ 1978 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა – სოციოლოგიური კვლევისა და მეცნიერული პროგრამირების მთავარი რედაქცია (სამეცნიერო ცენტრი). მართალია, რამდენიმე წლით ადრე კომიტეტში ორკაციანი სამეცნიერო-მეთოდური განყოფილებაც არსებობდა, მაგრამ მას სერიოზულ გამოკვლევებზე ხელი არ მიუწვდებოდა. სამეცნიერო ცენტრს კი, სადაც საკმაო ძალებმა მოიყარა თავი, ევალებოდა „ტელე- და რადიოაუდიტორიის სისტემატური და გეგმაზომიერი შესწავლა, მისი ინტერესების, მოთხოვნილებების, ეროვნული და ფსიქოლოგიური თავისებურებების გამოკვლევა და პროგრამირების მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავება“. ცენტრი ძირითადად ტელევიზიის პრობლემებით იყო დაკავებული და რადიოაუდიტორიას ლოკალურად სწავლობდა რეგიონებში რადიო-ტელევიზიის დღეების მოწყობისას.

ყოველივე ზემოთქმული საქართველოს რადიოს ფუნქციონირების პრინციპებისა და მეთოდების შესახებ უპირატესად პუბლიცისტურ მაუწყებლობას შეეხება. კულტურულ-საგანმანათლებლო მაუწყებლობა – ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების პროპაგანდა – რა თქმა უნდა, ასევე ექვემდებარებოდა ხელისუფლების კონტროლს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითონ კულტურა ეროვნული ფენომენია (თუმცა ითვლებოდა, რომ საბჭოთა ერების კულტურა მხოლოდ ფორმით იყო ეროვნული, შინაარსით კი – სოციალისტური), მისი გავრცელება ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას, რადიომსმენელების პატრიოტულ აღზრდას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი თავისი არსებო-

ბის მანძილზე საქართველოს რადიომ უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული კულტურის დაცვასა და განვითარებაში, ქართველი რადიომსმენელებისათვის სხვადასხვა ერის კულტურის (ძირითადად მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოებების) გაცნობაში, ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტური ღირებულებების გავრცელებასა და დამკვიდრებაში.

რადიოს განვითარების ახალ ეტაპზე ნათლად გამოჩნდა, რომ მისი სპეციფიკა უცვლელი არ არის. ეთერში ზეპირი საუბრის პირდაპირმა გადაცემამ და დოკუმენტური მაგნიტური ჩანაწერის ფართოდ გამოყენებამ საბოლოოდ ჩამოაცილა რადიოპუბლიცისტიკა საგაზეთო ჟურნალისტიკის გავლენას. ტელევიზიის დამკვიდრებამ კი აიძულა რადიო ისევ სპეციფიკის გაღრმავებაზე ეზრუნა, რაც გამოიხატა როგორც ახალი ფორმების ძიებით, ისე, უფრო მეტად, აუდიტორიის სხვადასხვა ჯგუფის შესაბამისად გადაცემების დიფერენციაციითა და ფუნქციების დაკონკრეტებით.

საზოგადოების განსხვავებული ჯგუფების მოთხოვნილებათა გათვალისწინება ყოველთვის ითვლებოდა რადიომაუწყებლობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად, მაგრამ ამ პერიოდში მან უმაღლეს დონეს მიაღწია და რადიოს სპეციფიკურ თვისებად იქცა. ეს პროცესი 60-იანი წლებიდან აშკარად გამოიკვეთა საზღვარგარეთის ქვეყნების რადიომაუწყებლობაში სხვადასხვა ფორმატის რადიოსადგურების მასობრივი წარმოშობით.

საქართველოში (და, საერთოდ, მთელ კავშირში) რადიოარხების ამგვარი, მისამართის მიხედვით დიფერენციაცია, ნაკლებად საგრძნობი იყო, რაც, უპირველესად, საბჭოთა რადიომაუწყებლობის მკაცრი ცენტრალიზაციით იყო განპირობებული და ძირითადად წარიმართა პროგრამის (არხის) შიგნით რუბრიკაციის გაფართოების ხარჯზე. ცალკე რადიოსადგურები მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილისათვის არ შექმნილა. არც საქართველოს რადიოს II პროგრამას ჰყოლია საკუთარი აუდიტორია 40 წლის მანძილზე.

ტელევიზიასთან კონკურენციამ, მაუწყებლობის მაქსიმალურ დიფერენციაციასთან ერთად, გამოიწვია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი – ფუნქციების გადანაწილება მათ შორის, რაც ასევე მკვეთრად გამოჩნდა საზღვარგარეთის მაუწყებლობაში: რადიო დასპეციალდა ახალი ამბებისა და მუსიკის გადაცემაში. „ახალი ამბები პლუს მუსიკა“ უცხოეთის რადიოსადგურების უმრავლესობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქცა.

საბჭოთა რადიომაუწყებლობაში არც ამ პროცესს ჰქონია გამოკვეთილი ხასიათი. საკავშირო რადიოში იგი ამოიწურა 1964 წელს ახალი, სადღეღამისო საინფორმაციო-მუსიკალური არხის „მაიაკის“ (იმავე მეორე პროგრამის) შექმნით. საქართველოში კი მსგავსი ფუნქციური სპეციალიზაციის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს გაცილებით გვიან, 80-იან წლებში, ვრცელი საინფორმაციო-მუსიკალური ბლოკის, რადიოსადგურ „მაცნესა“ და საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამების – „პიკის საათისა“ და „დილის ტალღის“ წარმოშობა.

2. მაუწყებლობის ძირითადი მიმართულებანი

ინფორმაციული მაუწყებლობა. ახალ ამბებს, ოპერატიულ საინფორმაციო გამოშვებებს რადიომაუწყებლობაში ყოველთვის წამყვანი ადგილი ეჭირა და, შესაბამისად, ინფორმაციის მთავარი რედაქცია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა საქართველოს რადიოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში. ბევრმა ჟურნალისტმა აქ გაიარა პროფესიული მომზადების სკოლა და იგი რიცხობრივადაც აღემატებოდა სხვა რედაქციებს. 50-იანი წლების ბოლოდან და 60-იანი წლებიდან აქ მუშაობდნენ გ. მაისურაძე, ა. მარგველაშვილი, ზ. მახარაძე, გ. მღებრიშვილი, ა. ბუზუკაშვილი, მ. ბალახაძე, მ. ბინიაშვილი, ა. გეგეჭკორი, გ. თევზაძე, თ. კობალაძე, დ. კიკვაძე, კ. ფალიანი და სხვ. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან და 70-იან წლებში მათი ნაწილი სხვა რედაქციებში გადავიდა, მაგრამ ინფორმაციულ მაუწყებლობაში მოვიდნენ: გ. ქვრივიშვილი, ვ. დვალი, მ. ადამია, შ. ადომლიშვილი, გ. გელოვანი, რ. ავაზაშვილი, დ. ასკურავა, გ. გოჩიტაშვილი, ი. ბურჭულაძე, ლ. გორდაძე, ვ. სამადაძე და სხვ.

1957-1984 წლებში საქართველოს რადიოში საინფორმაციო გამოშვებებს ისევ „უკანასკნელი ცნობები“ ეწოდებოდა, თუმცა მათი პერიოდულობა, ქრონომეტრაჟი და ეთერში გასვლის დრო გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. ყოველდღიურად, ჩვეულებრივ, 6-7 გამოშვება გადაიცემოდა: პირველი, 10-წუთიანი გამოშვება ადრიან დილით, პროგრამის გახსნისთანავე, 6 საათსა და 5 წუთზე გადიოდა ეთერში, ბოლო, 5-წუთიანი გამოშვება კი ასრულებდა დღის პროგრამას 23 საათსა და 55 წუთზე. ეს პირველ პროგრამაზე, მეორე პროგრამით კი ყოველდღიურად გადაიცემოდა „უკანასკნელი ცნობების“ კიდევ ორი 5-წუთიანი გამოშვება. გარდა ამისა, მზადდებოდა

„უკანასკნელი ცნობების“ რუსულენოვანი გამოშვება სახელწოდებით – „რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე“, რომელიც 1980 წლამდე, კვირადღის გარდა, ყოველდღიურად გადაიცემოდა 18 საათსა და 30 წუთზე 15 წუთის მოცულობით. 1980-1986 წლებში, პარასკევს „პიკის საათის“ ჩასმის გამო, მან გადმოინაცვლა 19 საათსა და 30 წუთზე (მხოლოდ ამ დღეს), მაგრამ 1986 წლის მეორე ნახევრიდან კვლავ დაუბრუნდა ჩვეულ ადგილს. ამ გამოშვებას ამზადებდა ცალკე ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ევგენი დომორაცკი, კორა წერეთელი, მიხეილ ფიჩხაძე, თამაზ კანდელაკი, მზია კუტივაძე, ლიუდმილა პრაგა და სხვ.

მრავალწლიანი პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა საინფორმაციო გამოშვების აგების სამი ძირითადი პრონციპი: 1. ინფორმაციაში ასახული მოვლენის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინება (მასალების განლაგება აქტუალურობის მიხედვით); 2. თემატური ერთიანობის დაცვა (ერთ თემაზე ინფორმაციები ერთად უნდა დაჯგუფდეს, მაგალითად, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა ნიშნით); 3. მასალების გეოგრაფიული განაწილება (თუ ინფორმაციები დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობისაა, თანამიმდევრულად უნდა განლაგდეს რეგიონული, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ამბები).

„უკანასკნელი ცნობებისა“ და „რესპუბლიკური ცნობების“ გამოშვებები 1957-1984 წლებში დღის მანძილზე ქვემოთ მოყვანილი განრიგით გადაიცემოდა (იხ. ცხრილი).

„უკანასკნელი ცნობები“ ოპერატიულად ასახავდა რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების აქტუალურ მოვლენებს (რა თქმა უნდა, საკავშირო და საერთაშორისო ინფორმაციასთან ერთად), მაგრამ მათი ინფორმაციული დატვირთვა დღის მანძილზე, ცხადია, ერთნაირი არ იყო. დილით, როგორც წესი, გადაიცემოდა წინა დღის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, 11 საათიდან თანდათან იწყებოდა მიმდინარე დღის მოვლენების გაშუქება, რაც უფრო სრულად აისახებოდა 17-18 და 19.30-20 საათის 10-15-წუთიან გამოშვებებში. დღის შეჯამება ხდებოდა ყველაზე ვრცელ, 20-წუთიან გამოშვებაში 22 საათსა და 30 წუთზე. ინფორმაციებს, როგორც წესი, დიქტორების წყვილი – ქალი და მამაკაცი – კითხულობდა. გამოშვება ხშირად შეიცავდა დოკუმენტურ ჩანაწერებს: მოკლე გამოსვლებს, ინტერვიუებს, რეპორტაჟებს, კომენტარებს.

1957-1958 — 06.05, 10.30,		18.00 (რუს)		19.00 (კვირის გარდა),	23.00
1959 — 06.05, 10.30, 14.05,		18.00	18.30 (რუს.),	19.00 (კვირის გარდა),	23.00
1960 — 06.05, 10.30, 14.05,		18.00	18.30 (რუს.),	19.00 (კვირის გარდა),	23.00
1961 — 06.05, 10.30, 13.30,		18.00	18.30 (რუს.),	19.00 (კვირის გარდა),	23.00
1962 — 06.05, 09.45, 13.30,		18.00	18.30 (რუს.),	19.00 (კვირის გარდა),	23.00
1963-1964 — 06.05, 11.00,	17.00	18.00	18.30 (რუს.),	20.00 (კვირის გარდა),	22.30, 23.50
1965-1967 — 06.05, 11.00,	17.00	18.00	18.30 (რუს.),	20.00 (კვირის გარდა),	22.30, 23.55
1968 — 06.05, 11.00,	17.00	18.00	18.30 (რუს.),	19.30 (კვირის გარდა),	22.30, 23.55
1969-1970 — 06.05, 11.30,	17.00 (კვირის გარდა)	18.00	18.30 (რუს.),	19.30 (კვირის გარდა),	22.30, 23.55
1971-1977 — 06.05, 11.30, 12.10 (ოთხშ. და შაბათ-კვირის გარდა),	17.00 (კვირის გარდა)	18.00	18.30 (რუს.),	19.30 (შაბ.-კვირ. გარდა),	22.30, 23.50
1978-1981 — 06.05, 11.30, 12.10 (შაბათ-კვირის გარდა),	17.00	18.00 (შაბ. გარდა)	18.30 (რუს.),	19.30,	22.30, 23.55
1982 — 06.05, 11.30, 12.10 (შაბათ-კვირის გარდა),	17.00	18.00 (პარასკ. შაბ. გარდა)	18.30 (რუს.),	19.30,	22.30, 23.55
1982-1984 — 06.05, 11.00, 12.10 (ოთხშ. და შაბათ-კვირის გარდა),	17.00	18.00 (პარასკ. გარდა)	18.30 (რუს.),	19.00 (კვირას),	
				19.30 (ოთხშაბათისა და შაბათ-კვირის გარდა),	22.30, 23.55

ზოგიერთი გამოშვება თემატური ხასიათისა იყო. ასე მაგალითად, 1960-1970 წლებში კვირადღეს, 17 საათზე „უკანასკნელი ცნობების“ ნაცვლად გადაიცემოდა 10-15-წუთიანი „საერთაშორისო მიმოხილვა“, 1970 წლის ნოემბრის ბოლოდან იგი შეიცვალა 10-წუთიანი „მსოფლიოს ერთი კვირის ამბებით“ (1978-1982 წლებში მან გადაინაცვლა შაბათ დღეს, 18 საათზე). ასევე თემატური ხასიათი ჰქონდა საინფორმაციო გამოშვებას სასოფლო-სასურსათო წარმოებაზე, რომელიც 1984 წლის აპრილიდან 10 წუთის ხანგრძლივობით, ყოველდღიურად გადაიცემოდა „უკანასკნელი ცნობების“ 19 საათსა და 30 წუთის გამოშვების მაგივრად სახელწოდებით – „აგროსამრეწველო კომპლექსი: სადღეისო საზრუნავი“.

„უკანასკნელი ცნობები“ რუბრიკების სისტემაზე იყო აგებული, რაც მას საშუალებას აძლევდა სერიულად, ხანგრძლივი დროის მანძილზე გაეშუქებინა ესა თუ ის თემა და ამავე დროს ოპერატიულად გამოხმაურებოდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენას (ახალი რუბრიკის შემოტანით). ასე მაგალითად, 1960 წლის 29 ივლისს გაზეთი „ლაპარაკობს თბილისი“ იუწყებოდა: „რას ვაკეთებთ ტექნიკური პროგრესისათვის“ – ასეთი რუბრიკა შემოიღო საქართველოს რადიოს „უკანასკნელ ცნობათა“ რედაქციამ. ყოველდღე, 19 საათის გამოშვებაში მიკროფონთან გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა ხელმძღვანელები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, რაციონალიზატორები. ისინი ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ იბრძვიან საწარმოო კოლექტივები წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებათა განსახორციელებლად. „უკანასკნელი ცნობების“ 19 საათის გამოშვებაში გაჩნდა კიდევ ერთი ახალი რუბრიკა – „ლაპარაკობენ კომუნისტური შრომის ადამიანები“. მიკროფონთან გამოდიან ის ადამიანები, ვინც დღეს უკეთ შრომობს, ვიდრე გუშინ. კომუნისტური შრომის ადამიანები სამშობლოს, ხალხს აძლევენ პირობას, რომ წარმატებით შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ხოლო იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ეს ვალდებულებანი, გიამბობთ „უკანასკნელი ცნობების“ ახალი რუბრიკა „იცნობდეთ, ისინი კომუნისტური შრომის ადამიანები არიან“.

„უკანასკნელი ცნობების“ რედაქცია ასევე ოპერატიულად გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის თებერვლის პლენუმს, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მა-

შინდელი პირველი მდივნის ნ. ხრუშჩოვის მოხსენება – „წარმოების ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებაა“ და მიიღო დადგენილება ეკონომიკის შემდგომი განვითარების, კვების პროდუქტებზე ხალხის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ. 21 თებერვლიდან ეთერში გამოჩნდა რუბრიკა „ავამოქმედოთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის რეზერვები“.[1]

არ ყოფილა კომპარტიის არც ერთი ყრილობა, პლენუმი, საიუბილეო თარიღი, პოლიტიკური ღონისძიება (საკავშირო თუ რესპუბლიკური), შვიდწლედი თუ ხუთწლედი, სასურსათო პროგრამის თუ ხარისხის ამაღლების კამპანია, რომ მას სპეციალური რუბრიკით არ გამოხმაურებოდეს „უკანასკნელი ცნობების“ რედაქცია. ჩამოყალიბდა რუბრიკების ტიპური სახელწოდებები: „... ყრილობის თუ პლენუმის შესახვედრად“, „... ყრილობის თუ პლენუმის გადაწყვეტილებანი – ცხოვრებაში“, „ლენინის იუბილეს თუ სამამულო ომის წლისთავის შესახვედრად“, „ხარისხი – უპირველესი საზრუნავი“, „ეკონომიკური რეფორმა მოქმედებს“ და ა.შ.

პერიოდულად მზადდებოდა თემატური გამოშვებები სხვადასხვა კამპანიასთან დაკავშირებით. მაგალითად, 1980 წელს 8 ოქტომბრიდან სამი კვირის მანძილზე – ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს – 19 საათსა და 30 წუთზე „უკანასკნელი ცნობების“ ადგილი ეჭირა ათწუთიან სპეციალურ საინფორმაციო გამოშვებას „რთველი-80“, ხოლო 1984 წლის 17 სექტემბრიდან ორი კვირის განმავლობაში „უკანასკნელი ცნობების“ 17 საათის გამოშვებას ყოველდღიურად ცვლიდა სპეციალური საინფორმაციო პროგრამა „რთველშია საქართველოს სტუდენტობა“ (15 წუთი). ასევე, 1982 წლის ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე 19 საათსა და 30 წუთის „უკანასკნელ ცნობებს“ ყოველდღიურად ენაცვლებოდა ათწუთიანი საინფორმაციო გამოშვება „ქართული ჩაის პრესტიჟისათვის“ (სექტემბრიდან – „ქართული ჩაის ღირსებისათვის“). ასეთი მიმდინარე თემებისთვის ხშირად იცვლებოდა „უკანასკნელი ცნობების“ გამოშვება ხუთშაბათობით, 18 საათზე. მაგალითად, ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ამ დროში 1969 წლის 24 აპრილიდან ერთი წლის განმავლობაში გადაიცემოდა ხუთწუთიანი საინფორმაციო რადიობიულეტენი – „ამიერკავკასიის რესპუბლიკები ვ. ი. ლენინის იუბი-

[1] გაზ. „ლაპარაკობს თბილისი“, 1961, 21.02, № 8.

ლეს შესახვედრად“. 1976 წელს, იანვარ-თებერვალში ამავე დროში ჩაჯდა ყოველკვირეული ხუთწუთიანი საინფორმაციო გამოშვება – „ამიერკავკასიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში“ (იგი ეძღვნებოდა სკკპ 25-ე ყრილობას, რომელიც 24 თებერვალს გაიხსნა).

დროდადრო რესპუბლიკურ ეთერში ცალკე საინფორმაციო გამოშვების სახით გამოჩნდებოდა ხოლმე ავტონომიური რეგიონების ახალი ამბებიც, რომლებსაც ადგილობრივი რადიოკომიტეტები ამზადებდნენ. მაგალითად, 1960 წელს, ოთხშაბათობით, 11 საათზე მონაცვლეობით გადაიცემოდა 15-წუთიანი პროგრამები: „ლაპარაკობს სოხუმი!“ „ლაპარაკობს ბათუმი!“, „ლაპარაკობს სტალინირი!“ (1962 წლიდან – ცხინვალი). 1961-1962 წლებში მან გადაინაცვლა ხუთშაბათს, 11 საათზე, 1963 წელს კი – 12 საათზე. 1964 წლიდან ეს გამოშვებები შეწყდა და განახლდა მხოლოდ 15 წლის შემდეგ: 1978 წლის ივნისიდან 1987 წლის ბოლომდე, ხუთშაბათობით, 18 საათზე, მორიგეობით გადაიცემოდა „აფხაზეთის ახალი ამბები“, „აჭარის ახალი ამბები“, „სამხრეთ ოსეთის ახალი ამბები“ (10 წუთის მოცულობით). 1988 წელს ამ გადაცემებმა პარასკეობით, 18 საათზე გადაინაცვლა სახელწოდებით – „რადიოგადაძახილი: ხაზზეა სოხუმი (ბათუმი, ცხინვალი)“ – თბილისში ფირზე ჩაწერილი გადაცემები კი აღარ იგზავნებოდა, არამედ პირდაპირ რესპუბლიკურ ეთერში ერთვებოდნენ ადგილობრივი რადიოსტუდიები.

1978-1980 წლებში თვეში ერთხელ, ხუთშაბათს, 18 საათზე (ეს დრო დანარჩენ სამ ხუთშაბათს, როგორც აღვნიშნეთ, ავტონომიურ რეგიონებს ეთმობოდა), გადაიცემოდა „თბილისის ახალი ამბები“ (10 წუთი). მაგრამ ასეთი პერიოდულობა დედაქალაქის სიახლეებისთვის ნამდვილად არ იყო საკმარისი და 1981-1982 წლებში მან ყოველკვირეული პროგრამის სახე მიიღო – გადაიცემოდა ყოველ ოთხშაბათს, 18 საათზე, 10 წუთის მოცულობით.

ასეთი სახით წარმოგვიდგება საქართველოს რადიოს საინფორმაციო გამოშვებები 1957-1984 წლებში. თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე მათი ტრადიციული ფორმა და კომპოზიციური სტრუქტურა არსებითად არ შეცვლილა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეთერში მონოპოლიის დაკარგვამ და ინფორმაციის ახალ, აუდიოვიზუალურ საშუალებასთან მძლავრმა კონკურენციამ აიძულა რადიო აქტიურად ეზრუნა თავისი აუდიტორიის შენარჩუნებისათვის, რაც უპირველესად საკუთარი სპეციფიკური ფორმების ძიებით გამოიხატა და განაპირობა ეთერში ინფორმაციულ-მუსიკალური პროგრამე-

ბის დამკვიდრება. მას საფუძვლად დაედო „ჯერ ერთი, რადიოს დიდი უპირატესობა ოპერატიული ინფორმაციისა და მუსიკის გავრცელების მხრივ (ისინი ემყარება რადიოს ორ ძირითად სპეციფიკურ თვისებას – ტრანსლაციურობას, რაც ოპერატიულობის საფუძველია და აკუსტიკურობას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მუსიკის ბგერით ბუნებას) და, მეორე, აუდიოინფორმაციის აღქმის თავისებურება – ინფორმაციის უწყვეტი მიწოდება გარკვეული დროის შემდეგ ადუნებს მსმენელის ყურადღებას, მუსიკის ჩართვა კი განმუხტავს ამ მდგომარეობას და განაწყობს მას შემდგომი ინფორმაციის მოსასმენად“.[1] ამას გარკვეულად შეუწყო ხელი აგრეთვე რადიოჟურნალების რადიოპროგრამებად გარდაქმნის ტენდენციამ, ისეთი კრებითი ფორმების დამკვიდრებამ, სადაც ცალკეული მასალები წამყვანის, ჟურნალისტის პიროვნებით არის გაერთიანებული და აუცილებლად ითვალისწინებს იმპროვიზაციის, აუდიტორიისადმი პირდაპირი მიმართვის მომენტებს.

ტრადიციული საინფორმაციო გამოშვების ნახევრად ოფიციალური ტონისაგან განსხვავებით საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამისათვის დამახასიათებელია ზეპირი სიტყვის სპეციფიკის გათვალისწინება, თხრობის სასაუბრო სტილი, ტექსტებისა და მუსიკალური ნომრების ლაკონიურობა. რაც მთავარია, ასეთ ფორმებში მაქსიმალურად გამოიყენება პირდაპირი ეთერის უპირატესობანი. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, საინფორმაციო გამოშვებები ყოველთვის პირდაპირ მაუწყებლობას მიეკუთვნებოდა და „ცოცხლად“ გადაიცემოდა ეთერში (რა თქმა უნდა, მათში ჩართული დოკუმენტური ჩანაწერების გამოკლებით), მაგრამ მოკლებული იყო ყოველგვარ იმპროვიზაციას – გულდასმით რედაქტირებულ ტექსტებს დიქტორები უცვლელად კითხულობდნენ ეთერში (მათ არც შეეძლოთ რაიმეს შეცვლა, კიდეც რომ მოენდომებინათ). საინფორმაციო--მუსიკალური პროგრამის წამყვანი ჟურნალისტი კი პირდაპირ ეთერში ტელეფონით მოიპოვებს სხვადასხვა ცნობას, ესაუბრება სტუდიაში მოსულ სტუმარს, ეკამათება ან ეთანხმება თავის პარტნიორს და ა.შ. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ პროგრამაში თავიდანვე ცხადდება სათანადო ტელეფონის ნომრები და მსმენელს საშუალება ეძლევა უშუალოდ გადაცემის პროცესში დაუკავშირდეს წამყვანებს, მიაწოდოს თავისი აზრი, თხოვნა თუ კრიტიკული შენიშვნა.

---

[1] იბერი ე. რადიოჟურნალისტიკა, თბილისი, 2003, გვ. 113.

საქართველოს რადიოში პირველი საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა იყო „ნაშუადღევს“, რომელიც 1979 წლის 31 აგვისტოდან 16 ნოემბრის ჩათვლით ყოველ პარასკევს გადაიცემოდა საღამოს 18 საათზე, სანამ ამ დროს „პიკის საათი“ დაიკავებდა. იგი სპეციალურად შეიქმნა იმ მიზნით, რომ მსმენელი „წაერთმია“ „ამერიკის ხმის“ ქართული პროგრამისათვის, რომელიც ამ დროს გამოდიოდა ეთერში – ამიტომ იყო ნებადართული მასში საზღვარგარეთის პოპულარული მოდური საესტრადო მუსიკის ჩართვა, რისი უფლებაც სხვა პროგრამებს არ ჰქონდათ. „ნაშუადღევის“ გადაცემა განახლდა 1981 წლის 15 აპრილიდან, ოთხშაბათობით, მისი სახელწოდებისათვის უფრო შესაფერის დროს – 12 საათსა და 10 წუთზე, 50 წუთის მოცულობით. 1982 წელს მისი ხანგრძლივობა ერთ საათამდე გაიზარდა (12-დან 13 საათამდე), მაგრამ 1983 წლიდან 1986 წლის 15 აპრილამდე ისევ 50 წუთი გახდა და კვლავ 12.10-ზე გადაიცემოდა. 15 აპრილიდან წლის ბოლომდე „ნაშუადღევს“ სამშაბათობით გადაიცემოდა 12 საათსა და 15 წუთზე, მაგრამ შემდეგ წელს აღარ გაგრძელებულა, რადგან ამ დროისათვის „პიკის საათი“ ყოველ სამუშაო დღეს უკვე ორჯერ გადიოდა ეთერში.

„პიკის საათში“ პრაქტიკული განხორციელება პოვა საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამის ყველა ნიშან-თვისებამ, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. მის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით რადიოჟურნალისტებს ვ. ნანიტაშვილსა და გ. ლეჟავას, მოგვიანებით კი – ნ. ჯაფარიძეს, დ. შონავას, შ. გეგეჭკორს და სხვ. საქართველოს რადიოს კვირის დაბეჭდილ პროგრამაში „პიკის საათი“ პირველად გამოჩნდა 1979 წლის 23 ნოემბერს, პარასკევს, 18 საათზე, ერთი საათის მოცულობით და ყოველთვის ამ დროს გადაიცემოდა წლის ბოლომდე. 1980 წლის 13 ოქტომბრიდან მას კიდევ დაემატა ერთი გამოშვება ორშაბათობით, 8 საათსა და 15 წუთზე, რომელმაც 1983 წლიდან 1986 წლის ივლისის ჩათვლით 7 საათსა და 40 წუთზე გადაინაცვლა.

„პიკის საათის“ იდენტური იყო საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „დილის ტალღა“, იმ განსხვავებით, რომ ინფორმაციის კი არა, მუსიკალური პროგრამების მთავარ რედაქციაში მზადდებოდა (ავტორი და წამყვანი – გელა ლეჟავა). იგი 1982 წლის 27 მარტიდან ყოველ პარასკევს გადიოდა 7 საათსა და 30 წუთზე, 30 წუთის მოცულობით. 1987 წლიდან მასაც „პიკის საათი“ დაერქვა და ჩაერთო ამ პროგრამის ხუთდღიან სისტემაში.

მეტად საგულისხმოა საქართველოს რადიოს პროგრამაში ინ-

ფორმაციულ-მუსიკალური (თუ ინფორმაციულ-მხატვრული) ბლოკების შექმნის პრაქტიკა. პირველი ასეთი ცდა ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში იყო: 1971 წლის 13 აგვისტოდან მათთვის, ვისაც 12-დან 13 საათამდე შესვენება ჰქონდა (ძირითადად ფაბრიკა-ქარხნების მუშებისათვის), საქართველოს რადიომ პარასკეობით შემოიღო გადაცემათა ბლოკი (ანუ „რკალი“, როგორც მაშინ უწოდებდნენ). მასში შედიოდა საწარმოო ტანვარჯიში, „უკანასკნელ ცნობათა“ გამოშვება, კომენტარი საერთაშორისო თემაზე, გამოჩენილი პოეტების ლექსები, ნაწყვეტები სპექტაკლებიდან, პასუხი რადიომსმენელთა შეკითხვებზე და, რა თქმა უნდა, მუსიკა. რადიომსმენელებს სთხოვდნენ თავად შეერჩიათ მუსიკალური, ლიტერატურული თუ დრამატული ნაწარმოებები (ცხადია, მცირე ზომისა ან ნაწყვეტის სახით), გამოეგზავნათ შეკითხვები და წინადადებები.[1] „მათთვის, ვისაც ახლა შესვენება აქვს“ 1980 წლის ბოლომდე გადაიცემოდა და ყოველ პარასკევს როგორც ეთერში, ისე გაზეთში დაბეჭდილ პროგრამაში ცხადდებოდა კონცერტის შემდგენელი პიროვნების ვინაობა (როგორც წესი – „მოწინავე“ მუშის, კოლმეურნის თუ ინტელიგენტის).

სხვა გადაცემებიდან, რომლებსაც 1957-1984 წლებში ამზადებდა ინფორმაციის მთავარი რედაქცია, აღსანიშნავია ქართული და რუსული რესპუბლიკური გაზეთების ყოველდღიური მიმოხილვა (გარდა ორშაბათისა) 9.30-10.00-ის ფარგლებში. 1979-1984 წლებში მას დაემატა გაზეთი „პრავდის“ ასევე ყოველდღიური (გარდა კვირადღისა) მიმოხილვა ქართულ ენაზე (11.10, 20 ან 30 წუთზე) – რუსულად იგი თავიდანვე იყო ჩართული საქართველოს რადიოს პირველ პროგრამაში მოსკოვიდან ტრანსლაციის სახით. ასევე, თავიდანვე (1939 წლიდან) გადაიცემოდა და კვლავ გრძელდებოდა რადიომსმენელებისათვის ქართულად თარგმნილი „პრავდის“ მოწინავე სტატიის მიწოდება (გარდა შაბათ-კვირისა) – იგულისხმებოდა, რომ იგი ყოველდღიურად იძლეოდა დროის შესაბამის დირექტივებს. ყოველდღიურად გადაიცემოდა განცხადებებიც და ცნობა ამინდის შესახებ. ინფორმაციის მთავარი რედაქციის ფუნქციას შეადგენდა აგრეთვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ საზეიმო ღონისძიებების ტრანსლაციების ორგანიზაცია და პირდაპირი რეპორტაჟების მოწყობა.

ინფორმაციულ მაუწყებლობაში ფართო ადგილი ეჭირა სპორ-

[1] გაზ. „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“, 1971, 13.08, № 33.

ტულ გადაცემებს – როგორც სპორტის ახალ ამბებს, ისე მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებათა ტრანსლაციებს („უკანასკნელი ცნობების“ რედაქციაში სპორტული კორესპონდენტის სპეციალური შტატიც იყო გამოყოფილი. აქ წლების მანძილზე მუშაობდნენ ჯერ ნოდარ გიორგობიანი, შემდეგ კი – თამილა კახიძე). ყოველდღიურად დილის 7 საათსა და 10 წუთზე ეთერში იყო „დილის ვარჯიში“. მას რიგრიგობით უძღვებოდნენ ტანმოვარჯიშეები – გრიგოლ მამარდაშვილი და მორეტა ზვიადაძე, რომლებსაც პირდაპირ ეთერში აკომპანირებას უწევდა კომპოზიტორი ლილი იაშვილი. „დილის ვარჯიში“ 1992 წლამდე იყო ეთერში (დროგამოშვებით ამ ვარჯიშის საილუსტრაციო სქემაც იბეჭდებოდა კომიტეტის გაზეთში „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“).

გარდა ამისა, ყოველკვირეულად გადაიცემოდა რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ (თავდაპირველად ერქვა „ყურადღება, სტარტზე!“), რომელსაც სპორტული რედაქცია ამზადებდა. ეს რედაქცია 1967 წელს შეიქმნა (მანამდე, როგორც ადრე აღინიშნა, სპორტული ჟურნალი ახალგაზრდობის რედაქციაში მზადდებოდა). მისი პირველი უფროსი რედაქტორი იყო გივი სამსონაძე, შემდეგ კი სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ: თამაზ გაბელია, გიორგი გიგაური, არჩილ გოგელია, ნოდარ გიორგობიანი, თამილა კახიძე. რედაქცია ჯერ რადიოს პროგრამების დირექციას ექვემდებარებოდა, შემდეგ კი შევიდა ტელევიზიისა და რადიოს სპორტული პროგრამების გაერთიანებულ მთავარ რედაქციაში. აქ წლების მანძილზე მუშაობდა შტატიან და შტატგარეშე ავტორთა მაღალპროფესიული კოლექტივი – ჟურნალისტები: ნოდარ ჯაფარიძე, ნოდარ გუგუშვილი, თენგიზ გიორგაძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, ნარგიზა მესხი, ტატო ლასხიშვილი და სხვ. ოპერატიულ მასალებთან ერთად მომზადდა და რადიოს აუდიოფონდში ინახება რადიოფილმები: „ჩვენი ნონა“, „ჩემი ფალავანი“, „მაია“, „იყო პირველი და იყო ნანა ალექსანდრია“, ციკლი „საუკუნის საუკეთესო სპორტსმენები“.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობა. ინფორმაციული პროგრამებისაგან განსხვავებით, რომელთა ძირითადი დანიშნულება ფაქტებისა და მოვლენების ოპერატიული აღნუსხვაა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები თემატურ-ანალიტიკური ხასიათისაა – ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაცია-განზოგადებას წარმოადგენს და მსმენელების ცნობიერებაში შეხედულებათა სისტემის ჩამოყალიბებას ემსახურება. ამასთან, ისიც უნდა აღინიშ-

ნოს, რომ თავიდან საქართველოს რადიოში ეს ცნება საკმაოდ ფართოდ იყო გაგებული და აერთიანებდა თითქმის მთელ დოკუმენტურ მაუწყებლობას ინფორმაციული და საბავშვო-ახალგაზრდული გადაცემების გამოკლებით. 60-იან წლებში, მაგალითად, საქართველოს რადიოს ოთხ მთავარ რედაქციას შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი რედაქცია ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო და მთელი მაუწყებლობის ყველაზე დიდ წილს მოიცავდა (მისი თემატიკის სფეროში ეკონომიკის, სოციალური სფეროსა და მეცნიერების საკითხებიც შედიოდა). 70-იანი წლებიდან, როცა ცალკე გამოიყო სახალხო მეურნეობის მთავარი რედაქცია (მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სამეცნიერო-ტექნიკური გადაცემების რედაქციებით), მას პროპაგანდის მთავარი რედაქცია ეწოდა და უკვე უშუალოდ შემოიფარგლა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკით, ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობა თავისი აქტუალობისა და გამოკვეთილი პროპაგანდისტული ხასიათის გამო ყოველთვის და ყველაზე მეტად განიცდიდა არსებული პოლიტიკური სისტემის ზეგავლენას. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების რედაქციისა და საბჭოთა მორალისა და სამართლის რედაქციის საქმიანობას (აქ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: გივი თევზაძე, მარიკა ჩხარტიშვილი, ვახტანგ დვალი, მიხეილ არაშიძე, ნანული ჭავჭანიძე, თინა სულიაშვილი, რეზო ჩხარტიშვილი, ჯუმბერ ბაქრაძე, ხვთისავარ არჩემაშვილი, ლეილა ერაძე, ლამარა ესართია, გულნაზ გელოვანი, მარიკა სილაგაძე, დიმიტრი ლობჟანიძე, ლილი მაისურაძე და სხვ.)

ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბდა და მტკიცედ დამკვიდრდა პოლიტიკური მაუწყებლობის ძირითადი მიმართულებანი და მუშაობის ორიენტირები. უაღრესად პოლიტიზებულ საბჭოთა საზოგადოებაში მის ერთ-ერთ უპირველეს ფუნქციას შეადგენდა პოლიტიკური მოვლენებისა და ღონისძიებების ოპერატიული ასახვა და პროპაგანდა. ეს ღონისძიებები განსაზღვრავდა ყველა იმ თემასა და მიმართულებას, რომელიც მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, საბჭოთა ცხოვრების წესის დამკვიდრებას ემსახურებოდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობის ძირითადი თემა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები (რა თქმა უნდა, შუქდებოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის

ყრილობებიც, მაგრამ გაცილებით მცირე მასშტაბით). მთელი იდეოლოგიური და პროპაგანდისტული საქმიანობა განისაზღვრებოდა პარტიის ერთი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე – ჯერ მზადება ყრილობის შესახვედრად, მერე მისი გადაწყვეტილებების პროპაგანდა, მერე მზადება შემდგომი ყრილობის შესახვედრად და ასე დაუსრულებლად. 1957-1984 წლებში სკკპ ექვსი ყრილობა გაიმართა და რადიოპროგრამაში მათი ასახვა საშუალებას გვაძლევს ნათლად დავინახოთ ამ პროცესის დამახასიათებელი ნიშნები, ჟურნალისტთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მეთოდები.

ყოველი ყრილობისათვის მზადება იწყებოდა თითქმის ერთი წლით ადრე, ყრილობის მოახლოებასთან ერთად კი იზრდებოდა შესაბამისი ციკლებისა და რუბრიკების რაოდენობა და პერიოდულობა. ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბდა მათი ტიპური სახელწოდებანიც: „პარტიული ყრილობის შესახვედრად“, „ყრილობიდან ყრილობამდე“, „რით ვხვდებით ყრილობას“, „საყრილობო ვახტზე“, „წინასაყრილობო ტრიბუნა“, „პატაკი ყრილობას“, „შრომითი საჩუქრები ყრილობას“, „ვასრულებთ პარტიული ყრილობისთვის ნაკისრ ვალდებულებებს“, „შეხვედრა ყრილობის დელეგატთან“, „დიალოგი ყრილობის დელეგატთან“, „მოგითხრობთ ყრილობის დელეგატებზე“ და ა.შ. ზოგჯერ ყრილობის შესახვედრად სპეციალური თემატური რადიოდღეებიც ეწყობოდა. ასე მაგალითად, 1966 წლის 27 მარტს, სკკპ 23-ე ყრილობის გახსნამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს რადიომ მოაწყო რადიოდღე – „კომუნისტები ყოველთვის წინა ხაზზე“. იგი რადიომსმენელებს აცნობდა „ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან ადამიანებს – კომუნისტებს, რომლებიც ყოველთვის მოწინავეთა რიგებში არიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მეცნიერების სხვადასხვა უბანზე“.

ყრილობის შემდგომი პერიოდისათვის ტიპურია რუბრიკები: „ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები“, „დელეგატი დაბრუნდა საწარმოში“, „ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“, „ყრილობაზე ითქვა“, „ყრილობაზე ითქვა, რა კეთდება?“ და სხვ. იწყებოდა ყრილობის მასალების სწავლება (მიკროფონთან გამოდიოდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები).

საყრილობო გადაცემების მეთოდიკით საკმაოდ ფართოდ შუქდებოდა სკკპ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების პლენუმებიც. ტრადიციული ციკლებია: „პლენუმის შესახვედრად“, „რით ვხვდებით პლენუმს“, „ლაპარაკობენ პლენუმის მონაწი-

ლენი“, „პლენუმის საპასუხოდ“, „პლენუმის გადაწყვეტილებანი – ცხოვრებაში“ და ა.შ. (აუცილებელია, რომ რუბრიკის სახელწოდებაში იყოს „ყრილობა“ და „პლენუმი“, რათა რომელიმე ზემდგომ ორგანოს ეჭვი არ შეეპაროს ამ თემების გვერდის ავლაში).

საქართველოს რადიო სისტემატურად ეხმაურებოდა აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების არჩევნებს. არჩევნების წინა პერიოდში „თეორიის სპეციალისტები“ მსმენელებს უხსნიდნენ საბჭოთა საარჩევნო სისტემის ჭეშმარიტად დემოკრატიულ ხასიათს. მაგრამ საარჩევნო კამპანიის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ნარკვევები დეპუტატობის კანდიდატებზე. ყოველი არჩევნების წინ, 1-2 თვით ადრე, საქართველოს რადიოს პროგრამაში, როგორც წესი, გამოჩნდებოდა ხოლმე რუბრიკა – „დეპუტატობის კანდიდატები“, რომელიც პორტრეტულ ნარკვევებს მოიცავდა. ეს ნარკვევები მეტ-ნაკლები ხარისხისა იყო და გვაცნობდა კანდიდატების პიროვნულ და მოქალაქეობრივ თვისებებს, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი მათ პლატფორმაზე თუ მომავალი საქმიანობის პროგრამაზე. თუმცა ასეთი პროგრამა დეპუტატობის არც ერთ კანდიდატს არ გააჩნდა და არც სჭირდებოდა – მის ერთადერთ ფუნქციას სხდომაზე თანხმობის ნიშნად ხელის აწევა წარმოადგენდა.

ყურადღების გარეშე არ რჩებოდა არც სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები. საქართველოს რადიომ ფართო ადგილი დაუთმო 1977 წელს სსრკ ახალი კონსტიტუციის განხილვის კამპანიას. პროგრამაში გაჩნდა ახალი რუბრიკები: „ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი“, „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია“, „განვიხილავთ ახალი კონსტიტუციის პროექტს“. 1978 წლიდან დაიწყო საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, სადაც აქტიურად გამოიყენეს წინა წლის გამოცდილება, ზოგიერთი რუბრიკის სახელწოდებაც კი იგივე დარჩა: „რესპუბლიკის ძირითადი კანონი“, „განვიხილავთ ახალი კონსტიტუციის პროექტს“, „განიხილავენ, იწონებენ, მხარს უჭერენ“, მაგრამ ეთერში ერთი სიტყვაც არ თქმულა ამ კონსტიტუციის პროექტიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღების შესახებ, რომელმაც 14 აპრილს ახალგაზრდობის ცნობილი საპროტესტო აქცია გამოიწვია.

პოლიტიკური მოვლენებისა და ღონისძიებების პროპაგანდას მჭიდროდ უკავშირდება მმართველი ორგანოების დადგენილებებზე ოპერატიული რეაგირების პრაქტიკა. რა თქმა უნდა, გადაცემების

უმრავლესობა ყრილობებისა თუ პლენუმების შესახებ უპირველესად მათ გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს შეეხებოდა, მაგრამ ამასთან ერთად სავალდებულო პროპაგანდას ექვემდებარებოდა საკავშირო თუ რესპუბლიკური ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს უამრავი დადგენილება – საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებით დაწყებული და წიგნით ვაჭრობის გაუმჯობესებით დამთავრებული. ზოგიერთი დადგენილების შესახებ სპეციალური გეგმებიც კი დგებოდა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამის განყოფილებაში მტკიცდებოდა. განსაკუთრებით გაიზარდა ასეთი დადგენილებების რიცხვი 1972 წლის შემდეგ, როცა ხელისუფლების სათავეში პარტიული ხელმძღვანელობის უფრო ახალგაზრდა და ენერგიული თაობა მოვიდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობის ასევე მნიშვნელოვან ფუნქციას შეადგენდა საზეიმო დღეებისა და პოლიტიკური თარიღების აღნიშვნა. საბჭოთა სინამდვილეში იმდენი საზეიმო თუ საიუბილეო თარიღი და პოლიტიკური თუ პროფესიული დღესასწაული იყო, რომ ფაქტობრივად მათი საშუალებით შეიძლებოდა პროგრამის შევსება და საჭირო აღარ იყო სხვა თემების მოძებნა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთელი წლის განმავლობაში თითქმის ყოველი კვირადღე რომელიმე პროფესიის აღნიშვნას ჰქონდა დათმობილი (მასწავლებლის დღე, გეოლოგის დღე, მეშახტის დღე, მეტალურგის დღე, ქიმიკოსის დღე, ტყის მუშაკის დღე, მებადურის დღე, ენერგეტიკოსის დღე და ასე დაუსრულებლად). ცხადია, რომ ამ დღეებისთვის შესაბამისი გადაცემებიც მზადდებოდა (რა თქმა უნდა, მიღწევებზე და გაკვრით ცალკეულ ნაკლოვანებებზე) და გადაიცემოდა კონცერტიც დარგის მუშაკების დაკვეთით. საერთოდ კი, თითქმის ყოველი წლის პროგრამას რომელიმე პოლიტიკური მოვლენა ან საიუბილეო თარიღი განსაზღვრავდა, მაგალითად, 1969-1970 წლებს – ლენინის დაბადების 100 წლისთავი, 1971 წელს – საქართველოს გასაბჭოების 50 წლისთავი, 1972 წელს – საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი. 1975 წელს – სამამულო ომში გამარჯვების 50 წლისთავი და სკკპ 25-ე ყრილობისთვის მზადება და ა.შ.

მათ შორის, რა თქმა უნდა, მთავარი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მრგვალი თარიღების სათანადოდ აღნიშვნა. პარტიულ ყრილობებთან ერთად რევოლუციის თემას ყოველთვის წამყვანი ადგილი ეჭირა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მაუწყებლობაში. მას უკავშირდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში

მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნების, სოციალიზმის უპირატესობათა წარმოჩენა, საბჭოთა ცხოვრების წესისა და კომუნისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდა (აქვე გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა არა მარტო პროპაგანდის მთავარი რედაქცია, რომელიც, რა თქმა უნდა, წამყვან როლს ასრულებდა, არამედ ყველა რედაქცია, მათ შორის მხატვრული რედაქციებიც). გამორჩეულად აღინიშნა საქართველოს რადიოში ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი. 1967 წლის დასაწყისიდანვე ინტენსიურად ჩაერთო პროგრამაში რუბრიკები: „დიდი ოქტომბრის იუბილეს შესახვედრად“, „დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად“, „ღირსეული შეხვედრა დიად ოქტომბერს“. თითქმის ყოველდღიურად იყო ეთერში რუბრიკა „სახელოვანი 50 წელი“. 1967 წლის ოქტომბერში მოეწყო ტრადიციული თემატური რადიოდღეები საქართველოს ეკონომიკაზე, მეცნიერებაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე – საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიღწეულ წარმატებებზე. აპრილ-სექტემბერში გაიმართა აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების რადიოდღეები. იმავე მეთოდიკით წარიმართა მუშაობა 1977 და 1987 წლებში, მხოლოდ რუბრიკებში უკვე 60 და 70 წლისთავი იყო აღნიშნული.

ოქტომბრის თემას მჭიდროდ უკავშირდებოდა ლენინის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა და, საერთოდ, ლენინური თემა საბჭოთა რადიოპროპაგანდაში. იგი მუდმივადაა რადიოპროგრამაში (მაგ., ციკლები: „დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის“ – 1960წ., „მარად უკვდავი“ – 1966წ., „ლენინური ალმანახი“ – 1967-1972 წლები), მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ აღინიშნა ლენინის დაბადების 100 წლისთავი. 1969 წლიდან დაიწყო ციკლები: „მათ ნახეს ლენინი“, „დიადი ცხოვრების წლები“ (მოსკოვიდან ჯერ ტრანსლირდებოდა რუსულად, მერე კი ითარგმნებოდა და გადაიცემოდა ქართულად), „დიადი იუბილეს შესახვედრად“ და მრავალი სხვა. ნაკლები პომპეზურობით, მაგრამ ფართოდ აღინიშნა ლენინის დაბადების 110 წლისთავი 1980 წელს.

დიდი ენთუზიაზმით აღინიშნებოდა 25 თებერვალი (საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიის დღე), როგორც საქართველოს განთავისუფლების დღე – ეროვნული დღესასწაული. მაგალითად, 40 წლისთავის აღსანიშნავად უკვე 1960 წლიდან შეიქმნა რუბრიკა „საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის“. ამავე პერიოდში ყალიბდებოდა საბჭოთა ხელისუფლების

წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მიერ მიღწეული წარმატებების ჩვენების იდეაც. 1960-1961 წლებში მომზადდა ციკლი „ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები“ (ორ ათეულამდე გადაცემა). თითოეულ გადაცემას თან ახლდა კონცერტი მოცემული რაიონის მშრომელთა თხოვნით.

განსაკუთრებით ფართოდ აღინიშნა საქართველოს გასაბჭოების 50 წლისთავი. 1970 წელს შეიქმნა რუბრიკა „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“ და ტელერადიოციკლი „დიადი წლების ქრონიკა“. გაზეთი „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ იუწყებოდა, რომ „იგი მოიცავს 50 გადაცემას. საიუბილეო გადაცემებში აისახება განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი დიადი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. 1921 წლის 25 თებერვლიდან მოკიდებული, ნაჩვენები იქნება ყოველი წლის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები. გადაცემათა მომზადებაში მონაწილეობენ საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის გამოჩენილი მკვლევრები. შექმნილია საზოგადოებრივი სარედაქციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: ი. კაჭარავა, გ. ფირცხალავა, ნ. მახარაძე, ვ. მერკვილაძე, ა. სურგულაძე და სხვები“.[1] რაც შეეხება ფორმას, ეს ციკლი ჟანრული მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა – იგი მიკროფონთან გამოსვლებისა და საუბრების სერიალს წარმოადგენდა (15-20 წუთის მოცულობით).

ქართული რადიოჟურნალისტიკის განვითარების თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი იყო მეორე საიუბილეო ტელერადიოციკლი სახელწოდებით „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“. ეს იყო ნახევარსაათიანი პუბლიცისტურ-მხატვრული რადიოკომპოზიციები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მაუწყებლობის ამ ფორმის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში. თითოეული მათგანი ეძღვნებოდა რესპუბლიკის ერთი რომელიმე რაიონის 50-წლიან ისტორიასა და თანამედროვეობას (ასეთ ფართო და პანორამულ ასახვას ვერც ერთი სხვა ფორმა თუ ჟანრი ვერ შეძლებდა), შეიცავდა დიდძალ დოკუმენტურ მასალას – გამოსვლებს, ინტერვიუებსა და რეპორტაჟულ კადრებს – მხატვრულ ჩანახატებს, მუსიკას. ციკლმა საქართველოს ყველა რაიონი მოიცვა, იგი ორი წელი გრძელდებოდა – 1969 წლის მაისიდან 1971 წლის მაისამდე (ყოველ გადაცემას თან

[1] გაზ. „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“, 1970, 11.09, № 37.

მოჰყვებოდა ნახევარსაათიანი კონცერტი რაიონის მშრომელთა თხოვნით). მაისის დასაწყისში ამ ციკლს მოჰყვა სამხრეთ ოსეთის რადიოდღე (4. 05), აჭარის რადიოდღე (6. 05) და აფხაზეთის რადიოდღე (8. 05). 13 მაისს საკავშირო რადიოში მოეწყო საქართველოს რადიოდღე, 14-15 მაისს კი თბილისში გაიმართა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმი (სათანადო ტრანსლაციით რადიოეთერში).

საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავისათვის ასევე ორი წლით ადრე (1979 წელს) დაიწყო მსგავსი ხასიათის ტელე-რადიოციკლის მომზადება სახელწოდებით „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!“, მაგრამ მას თავისი წინამორბედივით სისტემატური ხასიათი არ ჰქონია და რაიონების მხოლოდ ერთი ნაწილი მოიცვა (უფრო სრული სახით იყო იგი წარმოდგენილი ტელეეკრანზე).

დიდი ადგილი დაეთმო საქართველოს რადიოს პროგრამაში საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს, რომელიც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ტოტალური პროპაგანდის კიდევ ერთ საშუალებად იქცა. 1972 წლის იანვრიდან გამოჩნდა რუბრიკები: „სსრკ – 50“ (თითქმის ყოველდღიურად), „ერთა ძმობა მიგვიძღვის დროშად“, „ერთიან ძმურ ოჯახში“, „ვრცელია ჩემი ქვეყანა“ და ა.შ. მაისიდან წლის ბოლომდე მოეწყო 12 მოკავშირე რესპუბლიკის რადიოდღეები. 60 წლისთავისათვის გამოჩნდა ტრადიციული რუბრიკა „სსრკ – 60“. 70 წლისთავის აღნიშვნა საბჭოთა კავშირს აღარ ეწერა – იგი დაიშალა და ყველა ზემოთ აღნიშნული თარიღი და იუბილე სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას.

სისტემატურად აღინიშნებოდა დიდ სამამულო ომში გამარჯვების წლისთავები. ტრადიციად იქცა რუბრიკა „დიადი გამარჯვების 25 (30, 35, 40) წლისთავისათვის“, რომელიც შესაბამის პერიოდებში თითქმის ყოველდღიურად გადაიცემოდა ეთერში და მოიცავდა როგორც პუბლიცისტურ მასალებს, ისე მხატვრულ ნაწარმოებებს – ლექსებს, მოთხრობებს, სპექტაკლებს, კონცერტებს. მზადდებოდა აგრეთვე სხვა ციკლებიც და რუბრიკებიც, მაგალითად, ციკლი „გმირული ფურცლები“ (1965 წლის მარტ-აპრილში 20 გადაცემა), ყოველთვიური ციკლი „დაუვიწყარ დღეთა ქრონიკა“ (1984 წლის მეორე ნახევრიდან 1985 წლის მაისამდე – 30 წთ.) და სხვ.

ნამდვილ პროპაგანდისტულ მარათონს წარმოადგენდა საქართველოს რადიოში რუსეთ-საქართველოს ისტორიული ხელშეკრულების – გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღნიშვნა. იგი

1980 წელს დაიწყო და სამ წელიწადს გაგრძელდა. უამრავი გადაცემა მომზადდა რუბრიკებით: „საუკუნო ძმობა“, „რუსეთთან საქართველოს შეერთების 200 წლისთავისათვის“, განსაკუთრებით კი – „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის“. 1983 წელს სიტყვა „ტრაქტატი“ ყოველდღიურად ალბათ ასჯერ მაინც ისმოდა ეთერში. საქართველოს ხელისუფლება თავგამოდებით ცდილობდა მეტროპოლიისადმი თავისი სიყვარულისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების დამტკიცებას.

სხვა საიუბილეო გადაცემებიდან აღსანიშნავია საბჭოთა არმიის 50 წლისთავის (1968), რუსეთის პირველი რევოლუციის 70 წლისთავის (1975), კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი (1983) და ა.შ. მიძღვნილი გადაცემები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობის ეს მიმართულებები ერთი შეხედვით თითქოს მიმდინარე მომენტების ასახვას ითვალისწინებს, მაგრამ არსებითად თითოეული მათგანი ფუნდამენტური სოციალისტური ღირებულებების პროპაგანდასა და დამკვიდრებას ემსახურება. ხოლო ამასთან ერთად არსებობს ამ ღირებულებათა პროპაგანდის ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა. მასების პოლიტიკური განათლება, მათში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩანერგვა საბჭოთა სახელმწიფოში ყოველთვის ითვლებოდა იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად. ორგანიზებული იყო სავალდებულო პოლიტგანათლების სისტემა, რომელიც მოიცავდა ქვეყნის თითქმის მთელ ზრდასრულ მოსახლეობას – ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, უწყებათა და დაწესებულებათა მოსამსახურეებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. ცხადია, რომ ამ მიზნით აქტიურად გამოიყენებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს რადიოს პროპაგანდის მთავარი რედაქციის სტრუქტურაში არსებობდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების რედაქცია (შემდეგ განყოფილება), რომელიც ძირითადად ამ სფეროში მუშაობდა (თუმცა დროდადრო სხვა რედაქციების პროგრამებშიც გამოჩნდებოდა ხოლმე მსგავსი გადაცემები).

პროპაგანდის მიმართულება, რა თქმა უნდა, განისაზღვრებოდა პარტიული დადგენილებებით, მორიგი ყრილობის მასალებით, ცენ-

ტრალური კომიტეტის დირექტივებით. 60-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა სინამდვილისადმი ვოლუნტარისტული დამოკიდებულება სახელმწიფო რანგში იყო აყვანილი და პარტია საქვეყნოდ აცხადებდა, რომ „საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა კომუნიზმში იცხოვრებდა“, მთავარი ყურადღება კომუნიზმის სხვადასხვა საკითხის განხილვასა და პოპულარიზაციას ეთმობოდა. მაგალითად, ეთერში იყო ამგვარი ხასიათის გადაცემები: „კომუნიზმი ხელშესახები სინამდვილეა“ (1961, 23. 08), „კომუნიზმი და მეცნიერება“ (1961, 6. 09), ციკლები: „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი“ (1961), „კომუნიზმის ფორპოსტები“ (1963), „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები“ (1964, 1965). თეორიულ გამოსვლებსა და საუბრებს ემატებოდა ნარკვევების ციკლები კომუნიზმის კონკრეტულ წარმომადგენელთა შესახებ: „კომუნიზმის მშენებლები“ (ლიტერატურის რედაქცია, 1961-1962), „კომუნიზმის შუქურები“ (ახალგაზრდობის რედაქცია, 1961) და ა.შ.

70-იანი წლებიდან თეორიული პროპაგანდის მთავარი თემაა განვითარებული სოციალიზმის საკითხები, საბჭოთა კავშირის საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაქცევა და ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება. განვითარებული სოციალიზმის – სოციალისტური მშენებლობის ამ ბოლო ფაზის შესაბამისად იცვლება სკკპ პროგრამა, იქმნება სსრკ ახალი კონსტიტუცია (თუმცა „განვითარებული სოციალიზმიც“ ისეთივე ქიმერა იყო, როგორც 60-იანი წლების კომუნიზმი). მიკროფონთან სისტემატურად გამოდიან ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, სკკპ ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმის თეორიის სპეციალისტები. ამგვარი გამოსვლების ტიპური მაგალითია საუბარი – „საბჭოთა სახელმწიფო ნამდვილი დემოკრატიის განსახიერებაა“ (1975, 9. 01). მარქსისტულ-ლენინური თეორიის სისტემატურ პროპაგანდას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ იგი გარკვეულწილად ცენტრალიზებულიც იყო: 1964 წლიდან 1988 წლის ჩათვლით ყოველკვირეულად (ცალკეულ წლებში კი – კვირაში ორჯერ), ერთსა და იმავე დღეებსა და საათებში ეთერში იყო 20-წუთიანი რუბრიკა „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“. იგი ჯერ მოსკოვიდან ტრანსლირდებოდა რესპუბლიკურ პროგრამაში რუსულ ენაზე, შემდეგ კი ითარგმნებოდა და ქართულ ენაზე გადაიცემოდა. სახელწოდება „უნივერსიტეტი“ მთლიანად ვერ გამოხატავს რუბრიკის ხასიათს. მას პროპაგანდისტული დანიშნულება უფრო აქვს, ვიდრე საგანმანათლებ-

ლო და არსებითად ეკისრება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, რადიომსმენელებში კომუნისტური რწმენის ჩანერგვის ფუნქცია (ამიტომ განვიხილავთ მას არა საგანმანათლებლო, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების სისტემაში). ამის საილუსტრაციოდ მისი თემატიკისთვის თვალის გადავლებაც კმარა.

მილიონთა ლენინური უნივერსიტეტის მეცადინეობის თემატიკა 1969 წლის პირველ კვარტალში:

I. დაწყებითი რგოლის მსმენელთათვის. ციკლი – „მარად უკვდავი“.

II. საშუალო რგოლის მსმენელთათვის. ციკლი „ფილოსოფია“, ციკლი „სკკპ ისტორია“.

III. უმაღლესი რგოლის მსმენელთათვის. ციკლი – „მეცნიერული კომუნიზმის განვითარების ლენინური ეტაპი“, ციკლი – „ლენინის თხზულებების შემსწავლელთა დასახმარებლად“ („რა ვაკეთოთ“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, „სახელმწიფო და რევოლუცია“).

მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. 1972-1973 სასწავლო წელი. გადაცემათა პროგრამა 1972 წლის 31 დეკემბრამდე:

ციკლი – „სკკპ ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე“.

ციკლი – „ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი“.

საუბრების ციკლი სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაზე.

ციკლი – „კომუნისტური მორალი და ახალი ადამიანის ფორმირება“.

ციკლი – „იდეოლოგიური ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე“.

ციკლი – „ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები“ (მრეწველობის მუშაკთათვის).

ციკლი – „ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები“ (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის).

მილიონთა ლენინური უნივერსიტეტის ციკლები ახალ სასწავლო წელს 1973 წლის ოქტომბრიდან:

– „მშრომელთა კომუნისტური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“.

– „ლენინური თეორიული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“.

– „სკკპ საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობის თეორიული და პოლიტიკური პრობლემები“.

– „იდეოლოგიური ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე“.

– „სკკპ მიმდინარე დოკუმენტები და მასალები“.

პოლიტიკური მიზნები, იდეოლოგიური ბრძოლის ამოცანები განსაზღვრავდა საქართველოს რადიოს პროგრამაში საერთაშორისო ცხოვრების გაშუქების ხასიათსაც, გადაცემებს საგარეო პოლიტიკის შესახებ. ეს შეეხებოდა როგორც წმინდა კონტრპროპაგანდისტულ ციკლებს (მაგ.: „ამერიკის უგვირგვინო მეფეები“ – 1966, „იმპერიალიზმის დანაშაულობათა შავი წიგნი“ – 1966-1970, „იმპერიალიზმი უნიღბოდ“ – 1970 და სხვ.), ისე ნებისმიერი საერთაშორისო მოვლენის შეფასებას, რომელიც კლასობრივ, პარტიულ პოზიციას ემყარებოდა. კაპიტალისტური სამყაროს კრიტიკა, სოციალიზმის უპირატესობათა მტკიცებასთან ერთად, რადიომაუწყებლობის პროპაგანდისტული საქმიანობის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა. ამიტომ საერთაშორისო ამბების ყოველკვირეული საინფორმაციო გამოშვების გარდა საქართველოს რადიოში თითქმის ყოველთვის იყო სხვა პუბლიცისტური ციკლებიც: 1964-1965 წლებში ყოველკვირეული რუბრიკა – „საუბარი საერთაშორისო თემაზე“ (10-15 წუთი), 1971-1986 წლებში – „კომენტარი საერთაშორისო თემაზე“ (ორშაბათს, სამშაბათს და ხუთშაბათს 12 საათსა და 40 წუთზე, ხუთი წუთის მოცულობით; 1982-1984 წლებში მას ენაცვლებოდა ყოველკვირეული 10-წუთიანი რუბრიკა – „ყველა მერიდიანზე – ფაქტები, მოვლენები, კომენტარი“). შემდეგ გადაცემის ფორმა რამდენადმე შეიცვალა – 1984 წელს გამოჩნდა რუბრიკა „მრგვალ მაგიდასთან: რადიომსმენელებს უპასუხებენ საერთაშორისო მიმომხილველები“.

საშინაო პოლიტიკის სფეროში საქართველოს რადიო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პარტიული ორგანოების საქმიანობას. ათეული წლების მანძილზე შექმნილი სტერეოტიპებით პარტია იყო ყველა გამარჯვების ორგანიზატორი, მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი, მისი კეთილდღეობისათვის მებრძოლი (ტიპური რუბრიკა – „პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია“). მიკროფონი სისტემატურად ეთმობოდა ყველა რანგის პარტიულ ხელმძღვანელებს – პირველადი ორგანიზაციის პარტბიუროს მდივნიდან დაწყებული – რესპუბლიკური მასშტაბის ფუნქციონერამდე. მაგრამ 60-იან წლებში პარტიული თემა სხვადასხვა ციკლებში იყო გაფანტული: „დღეს ჩვენს მიკროფონთან“ – ყოველკვირეული ციკლი, რომელშიც პარტიულ ხელმძღვანელებთან ერთად სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, აგიტატორები და პროპაგანდისტებიც მონაწილეობდნენ (1961 წ.), „საწარმოთა პარტორგანიზაციის მდივნები მოგვითხრობენ“ (1961 წ.),

„პარტიული კომიტეტი – დიდი საწარმოს მესაჭე“ (1962 წ.) და სხვ. მხოლოდ 1969 წელს შეიქმნა ყოველკვირეული რუბრიკა „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“, რომელიც ყოველ ხუთშაბათს, 15 წუთის მოცულობით გადაიცემოდა, 1974 წლის ივლისიდან მას „პარტიული ცხოვრება“ ეწოდა. იგი განიხილავდა პარტიული ცხოვრების ყველა საკითხს და გამოსვლების გარდა შეიცავდა სხვა ჟანრებსაც – რეპორტაჟს, ინტერვიუს, კორესპონდენციას. გარდა ამისა, ცალკე შუქდებოდა ზოგიერთი კამპანიური პარტიული ღონისძიების მიმდინარეობა. მაგალითად, 1977 წლიდან ყოველ შემოდგომაზე, პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების პერიოდში, ეთერში გამოდიოდა რუბრიკები: „პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე“ და „პარტიულ კონფერენციებზე“, ხოლო 1984 წლიდან, როცა საქართველოს პარტორგანიზაციებში წესად შემოიღეს კომუნისტის პირადი ანგარიშების მოსმენა, გაჩნდა რუბრიკა – „ანგარიშს აბარებს კომუნისტი“.

პროპაგანდის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა თვითონ კომუნისტის სახის შექმნა, მისი ტიპური თვისებების – ცხოვრებისეული რწმენის, იდეალების, ზნეობრივი პრინციპების წარმოჩენა. ამ მიზანს ემსახურებოდა რუბრიკა „მოგითხრობთ კომუნისტებზე“ (1968-1976 წლები, 15 წუთი), რომელსაც 1978 წელს შეენაცვლა ციკლი „კომუნისტის სიტყვა და საქმე“, 1980-1984 წლებში კი რუბრიკას „კომუნისტები“ ეწოდა. იგი ძირითადად მოიცავდა ნარკვევებს, ზოგჯერ ჩანახატებს, უფრო იშვიათად ინტერვიუსა და კორესპონდენციას, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ტრაფარეტული, სქემატური ხასიათისა იყო (კომუნისტი – თავის საქმეში მოწინავე, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით, კარგი მეოჯახე და ა.შ.).

პარტიული ხელისუფლებისაგან განსხვავებით საბჭოთა ორგანოების საქმიანობა იშვიათად აისახებოდა ეთერში. როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ არჩევნებისწინა პერიოდში გამოჩნდებოდა ხოლმე ციკლი „დეპუტატობის კანდიდატები“, თვითონ სტრუქტურების მუშაობა კი ყურადღების გარეშე რჩებოდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება 1957-1984 წლებში იყო სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პროპაგანდა. ინტერნაციონალიზმი ზოგადკაცობრიული ღირებულებაა, მაგრამ იგი საბჭოთა ცხოვრების წესის უპირველეს პრინციპად ითვლებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საფუძვლად ედო საბჭოთა კავშირის „ურღვევ ერთობას“. ხალხთა

ერთიანობის იდეის განმტკიცება, ძველი რომიდან დაწყებული, ყოველი იმპერიის ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. ბრიტანეთის იმპერიის ეპოქაში თვითონ დემოკრატიულ და რესპექტაბელურ ბი-ბი-სი-საც კი თავისი მაუწყებლობის პრინციპად ჰქონდა „იმპერიის საქმეთა გაშუქება და მისი ერთიანობის უცვლელად ხაზგასმა“.

რა თქმა უნდა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი სხვა ხალხებთან მეგობრობასაც გულისხმობდა (მით უმეტეს, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან – 1960 წლიდან 1985 წლამდე საქართველოს რადიოში სპეციალური რუბრიკაც არსებობდა სახელწოდებით „მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში“), მაგრამ მთავარი იყო საბჭოთა რესპუბლიკების განუყოფელი კავშირი, რაც ერთიან ეკონომიკასა და პარტიულ-პოლიტიკურ სტრუქტურასთან ერთად საერთო იდეოლოგიასაც უნდა განემტკიცებინა. ამიტომ ინტერნაციონალიზმის თემას საქართველოს რადიოში ყოველი რედაქცია თავისებურად ასახავდა. პროპაგანდის მთავარი რედაქცია ძირითადად ამზადებდა თეორიულ გამოსვლებს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სხვადასხვა საკითხზე, მის დიდ როლზე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, აგრეთვე ციკლებს – „დიადი მეგობრობის ფურცლები“ (1967) და „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში“, რომელიც 1961 წლიდან 1984 წლის ბოლომდე გადაიცემოდა სხვადასხვა პერიოდულობით.

მაგრამ რადიომაუწყებლობისათვის ყველაზე ორგანული აღმოჩნდა და მის სპეციფიკურ ფორმად იქცა გადაცემების გაცვლა მოკავშირე რესპუბლიკათა რადიოსტუდიებს შორის და სხვადასხვა რესპუბლიკის რადიოდღეების მოწყობა. როგორც აღვნიშნეთ, რესპუბლიკათა რადიოსტრუქტურებში შემავალი ე.წ. გაცვლითი რედაქციები ამ გადაცემებს რუსულ ენაზე ამზადებდნენ და ფირზე ჩაწერილს უგზავნიდნენ ერთმანეთს ან საკავშირო რადიოკომიტეტს. ხშირად კი მხოლოდ ტექსტები იგზავნებოდა, რომ გადაეთარგმნათ და ისე ჩაესვათ ადგილობრივ პროგრამაში. ზოგჯერ სხვადასხვა რესპუბლიკებიდან მიღებული მასალებით სპეციალური ინტერნაციონალური დღეებიც კი ეწყობოდა.

გადავხედოთ ერთ-ერთი ინტერნაციონალური დღის მაგალითს საქართველოს რადიოში, რომლის პროგრამა გაზეთ „ლაპარაკობს თბილისის“ 1961 წლის 29-ე ნომერშია მოცემული.

I პროგრამა, 1961 წ., 23 ივლისი, შაბათი.

(ყოველდღიური მუდმივი გადაცემების გამოკლებით).

06.45. გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის – „მათზედაც შექმნიან ლეგენდებს“ (ესტონეთის რადიოს გადაცემა).

08.30 საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები.

09.20 რადიონარკვევი „ცხოვრება ერთი ქალისა“ (თურქმენეთის რადიოს გადაცემა).

10.15 რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“.

10.45 დვარიონასის საზეიმო უვერტიურა.

11.00 საუბარი „სომხეთის მარკით“ (სომხეთის რადიოს გადაცემა).

11.15 ო. თევდორაძე „ქართული სუიტა“.

11.40 ერთ საბჭოთა მეუნეობაში (ტაჯიკეთის რადიოს გადაცემა).

12.15 ს. კაპი. მეოთხე სიმფონიის მეორე ნაწილი.

12.45 ჩეჩნურ-ინგუშური მუსიკა.

13.20 სინისალო. საბავშვო სუიტა. ასრულებს კარელიის რადიოს ორკესტრი.

13.40 უზბეკური სიმღერები.

13.50 საუბარი „ავტომატების შემქმნელნი“ (უკრაინის რადიოს გადაცემა).

17.20 გადაცემა მოსწავლეთათვის. – „როგორ შეიქმნა პიონერული სიმღერა“ (ესტონეთის რადიოს გადაცემა).

17.45 ერთი უდიდესთაგანი (აზერბაიჯანის რადიოს გადაცემა).

18.05 მუსიკა ქართული კინოფილმებიდან.

18.45 ლატვიური მუსიკა.

19.15 ქართული ხალხური სიმღერები.

19.45 ნარკვევი – „ყამირელები“ (ყაზახეთის რადიოს გადაცემა).

20.20 მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

21.00 „ყაზბეგის კალთებზე“ (ჩრდილოეთ ოსეთის რადიოს გადაცემა).

21.30 საესტრადო მუსიკის კონცერტი.

ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ფუნქცია ეკისრებოდა რადიოჟურნალს „საბჭოთა არმიის მეომრებისათვის“. იგი რუსულ ენაზე მზადდებოდა და ძირითადად ასახავდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ცხოვრებას, მათ სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებას, სპორტულ და შემოქმედებით მიღწევებს. ზოგჯერ ამას ემატებოდა სიუჟეტები ქართველ წვევამდელებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეში მსახურობდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, რადიოჟურნალი თავიდან ახალგაზრდული გადაცემების რედაქციაში მზადდებოდა და მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ თანამშრომლები. იგი ეთერში პირველად 1958 წლის ბოლოს გამოჩნდა და თავდაპირველად ერქვა „გადაცემა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის“. 1967 წელს კი ცალკე ჩამოყალიბდა შესაბამისი რედაქციაც, რომლის უფროს რედაქტორად დაინიშნა სანდრო ნიკურაძე, მასთან ერთად და შემდგომ პერიოდში ამ რედაქციაში მუშაობდნენ: ვიქტორ ყუფარაძე, გივი ქობულაშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი, გივი ბაქრაძე, თემურ ნადირაშვილი, ირინა ჩუპრინინა და სხვ.

რადიოჟურნალი „საბჭოთა არმიის მეომრებისათვის“ 30 წლის მანძილზე (1969-1989) მართლაც სამხედრო სიზუსტით ყოველკვირეულად გადაიცემოდა ჯერ კვირადღეს, შემდეგ კი შაბათობით, ერთსა და იმავე დროს, 35-45 წუთის მოცულობით.

განსხვავებულ და საბჭოთა რადიომაუწყებლობაში ერთგვარ უნიკალურ ფორმას წარმოადგენდა რადიოჟურნალი „თბილისი, ბაქო, ერევანი“, რომელსაც რუსულ ენაზე რიგრიგობით ამზადებდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რადიოსტუდიები და რომელიმე დედაქალაქიდან ერთდროულად გადაიცემოდა სამივე რესპუბლიკის ეთერში. რადიოჟურნალი 1961 წლის აპრილიდან სისტემატურად გამოდიოდა თვეში სამჯერ ოთხშაბათობით, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს – 20 საათსა და 30 წუთზე, ნახევარი საათის მოცულობით და ასახავდა ამიერკავკასიის ერთ-ერთი რესპუბლიკის ცხოვრებას, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სიახლეებს, პროპაგანდას უწევდა ერების დაახლოებასა და ურთიერთგაგებას.

ხშირად ეწყობოდა მოკავშირე რესპუბლიკების რადიოდღეები, განსაკუთრებით საზეიმო მოვლენებთან დაკავშირებით – ყრილობების წინ, ოქტომბრის რევოლუციის ან ფაშიზმზე გამარჯვების საიუ-

ბილეო თარიღების წინა პერიოდში და ა.შ. გარდა იმისა, რომ 1960-1990 წლებში საკავშირო რადიოში ყოველწლიურად იმართებოდა მოკავშირე რესპუბლიკების რადიოფესტივალი (ყოველ რესპუბლიკას თითო დღე ეთმობოდა, რა თქმა უნდა, პროგრამის ძირითად გადაცემებთან ერთად), ხშირად რესპუბლიკები თვითონ აწყობდნენ ერთმანეთის რადიოდღეებს. ასე მაგალითად, 1961 წლის 13 სექტემბერს მოეწყო საქართველოს რადიოდღე უზბეკეთის რადიოში: „უზბეკეთის მშრომელებმა ამ დღეს რადიოთი მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის გამოსვლა, საქართველოს რადიოს მიერ მომზადებული გადაცემა – „შენ, მშობლიურო პარტიავ!“, მუსიკალური გადაცემა „ქართველი კომპოზიტორი სულხან ცინცაძე“, გადაცემა „ასეთი ხარ შენ, თბილისო!“, ნარკვევი „ახალი რუსთავის ადამიანები“, ლიტერატურული გადაცემა „უზბეკი პოეტები საქართველოს შესახებ“, გადაცემა „იოსებ ნონეშვილის პოეზია“ და „საქართველო – მზისა და ბედნიერების ქვეყანა“, რადიოდადგმა „რუსთავის ჩირაღდნები“.[1]

თავის მხრივ, საქართველოს რადიოში 1963 წელს მოეწყო უზბეკეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის რადიოდღეები, 1967 წელს – აზერბაიჯანის, ბელორუსიის, თურქმენეთის, ლიტვის, ტაჯიკეთის, სომხეთისა და ყაზახეთის დღეები. 1972 წელს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა თორმეტი მოკავშირე რესპუბლიკის რადიოდღე. 1980 წელს გასაბჭოების 60 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო აზერბაიჯანის რადიოდღე (26.04) და სომხეთის რადიოდღე (29.11). ზოგჯერ ამ დღეებს კურიოზებიც ახლდა თან. მაგალითად, 1964 წელს სწორედ 26 მაისს მოეწყო აზერბაიჯანის რადიოდღე რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის 150 წლისთავთან დაკავშირებით და 1965 წელს, ასევე 26 მაისს – ყაზახეთის რადიოდღე. არავის გახსენებია, რომ ეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე იყო (ანდა შესაძლოა სპეციალურადაც დაამთხვიეს, როგორც ოფიციალური თვალსაზრისით არაფრის მთქმელ თარიღს).

დაბოლოს, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობა მოიცავდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან სფეროს – სამართლისა და მორალის საკითხებს. იგი ორ მიმართულებას გულისხმობდა: პირველი, სამართლებრივი ცოდნის გავრცელებასა და სოციალისტური მორა-

[1] გაზ. „ლაპარაკობს თბილისი“, 1961, 29.09.

ლური ღირებულებების პროპაგანდას და, მეორე, კრიტიკულ გადაცემებს – ბრძოლას უკანონობისა და „საბჭოთა საზოგადოებისათვის შეუსაბამო“ სხვა მოვლენების წინააღმდეგ. პირველი მიმართულებისა იყო ნაწილობრივ რადიოჟურნალი „ადამიანი და კანონი“ (სამართლებრივი ცოდნის პოპულარიზაციის თვალსაზრისით), რომელიც ყოველთვიურად გადაიცემოდა 1969-1989 წლებში 30 წუთის მოცულობით, 1990 წლის მეორე ნახევრიდან კი ყოველკვირეული გახდა; ციკლები: „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი“ (1961) და „ტრადიცია და თანამედროვეობა“ (1983); გადაცემები: „ადამიანს ზრდის კოლექტივი“ (1963, 6.08), „ახალი ადამიანი კოლექტივში ყალიბდება“ (1963, 28.08), „მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური კანონები“ (1973, 16.02) და სხვ. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით 1978 წლის 21 თებერვალს მოეწყო თემატური რადიოდღე „საბჭოთა მოქალაქის უფლებები და მოვალეობანი – ცხოვრებაში“ (8 გადაცემა).

კრიტიკული გადაცემებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სატირულ-იუმორისტული რადიოჟურნალი „შოლტი“, რომელსაც სატირისა და იუმორის რედაქცია ამზადებდა. იგი 1962-1987 წლებში ყოველთვიურად გადაიცემოდა ეთერში ნახევარი საათის მოცულობით და ამხელდა დანაშაულისა და უკანონობის კონკრეტულ ფაქტებს. ეს თემები ნაწილობრივ რადიოჟურნალ „ადამიანსა და კანონშიც“ შუქდებოდა.

ამ ორ რადიოჟურნალთან არის დაკავშირებული საქართველოს რადიოში ფელეტონის, როგორც ჟანრის დამკვიდრება. დამოუკიდებელი სახით იგი მხოლოდ სამჯერ გამოჩნდა ეთერში 1962 წელს – ორჯერ ფელეტონის („დაუდევარნი“ – 16.04, „უდარდელი მშენებლები“ – 9.08) და ერთხელ რადიოფელეტონის („დამნაშავის ძებნაში“ – 21.04) სახელწოდებით, ყველა სხვა შემთხვევაში ჩართული იყო „შოლტში“ (1962-1987) ან „ადამიანსა და კანონში“ (1962-1989). რაც შეეხება ჟანრის სხვადასხვა სახელწოდებას, რადიოფელეტონს უწოდებდნენ ისეთ ფელეტონს, რომელშიც დოკუმენტური ჩანაწერები იყო გამოყენებული და, ამდენად, რადიოს სპეციფიკა უფრო მეტად გათვალისწინებული. რადიოს უხვი შესაძლებლობების მიუხედავად, ასეთი ფელეტონები პროგრამაში ნაკლებია, რაც ალბათ ამგვარი ჩანაწერების მოპოვების გარკვეული რისკით აიხსნება და ძირითადად გადაიცემა საგაზეთო ხასიათის ფელეტონები, რომლებსაც დიქტორი ან მსახიობი კითხულობს.

სხვა გადაცემებიდან აღსანიშნავია: „ბოლომდე აღმოვფხვრათ კერძომესაკუთრული და სოციალიზმისათვის სხვა უცხო ტენდენციები“ (1974, 13.02), „მუქთახორობა დანაშაულის წყაროა“ (1974, 20.02), „ვიბრძოლოთ პროტექციონიზმის წინააღმდეგ“ (1974, 30.07), „აღმოვფხვრათ მავნე გადმონაშთები“ (1976, 11.05), „უკუვაგდოთ დრომოჭმული ტრადიციები“ (1976, 5.06) და სხვ.

საწარმოო-ეკონომიკური პროპაგანდა. საბჭოთა ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, რაც მას პრინციპულად განასხვავებდა დემოკრატიული მასმედიისაგან, იყო აქტიური მონაწილეობა ეკონომიკის, წარმოების მართვაში. ერთი მხრივ, ეს ნიშნავდა წარმოებაზე საჯარო კონტროლს, მისი მართვის კიდევ ერთ ინსტრუმენტს სახელმწიფოს ხელში, მეორე მხრივ კი მუდმივ ზემოქმედებას მასების ეკონომიკური ცნობიერების ფორმირებაზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. სახელმწიფო სოციალისტურ ეკონომიკას, რომელსაც განვითარების შინაგანი იმპულსები არ გააჩნდა, მხოლოდ „გარედან“ ზემოქმედებით შეეძლო ფუნქციონირება. ამით იყო გამოწვეული უამრავი პარტიული დადგენილება წარმოების ეფექტიანობის გაზრდაზე, სხვადასხვა თაოსნობისა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, გაუთავებელი ეკონომიკური რეფორმები და ექსპერიმენტები. ამიტომ იბეჭდებოდა გაზეთებში და ყოველდღე ისმოდა ტელე- და რადიოეთერში ხუთწლედი და შვიდწლედი, სასურსათო პროგრამა და ხარისხის პრობლემა, გეგმა და შემხვედრი გეგმა, ვალდებულება და შრომითი ვახტი. ამას ეკონომიკური ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფა ერქვა. საქართველოს რადიო, რა თქმა უნდა, გამონაკლისი ვერ იქნებოდა (1975 წელს მას ასეთი რუბრიკაც კი ჰქონდა – „გეგმებსა და ვალდებულებს – იდეოლოგიური უზრუნველყოფა“).

ეკონომიკა, წარმოების საკითხები 1960-1984 წლებში სისტემატურად შუქდებოდა როგორც „უკანასკნელი ცნობების“ გამოშვებებში, ისე სპეციალური დარგობრივი რედაქციების გადაცემებში – ძირითადად ამ სფეროს მოიცავდა სოფლის მეურნეობის რედაქცია, მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის რედაქცია და ნაწილობრივ სამეცნიერო-ტექნიკური და ახალგაზრდობის რედაქციები. სოფლის მეურნეობის რედაქციაში 1957-1984 წლებში ჟურნალისტთა რამდენიმე თაობა მოღვაწეობდა (კონსტანტინე ჭანტურიშვილი, შალვა შაველაშვილი, მიხეილ კოპალეიშვილი, თამარ აბელიშვილი, შალვა გულუა, დილარ ჯვებენავა, დალი მორგოშია, ოთარ მეო-

ტიშვილი და სხვ.). თუმცა მაუწყებლობის ტრადიციული რუბრიკები ამ პერიოდში ნაკლებად იცვლებოდა. 1957-1972 წლებში ეთერში ყოველ დილით, გარდა კვირადღისა, უცვლელად იყო 10-წუთიანი „გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის“ (1973 წლიდან მას „სოფლის დილა“ ეწოდა) და ყველა თემა და ჟანრი ამ საერთო რუბრიკაში იყო მოქცეული. ერთადერთი გამონაკლისი იყო რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი“, რომელიც 1960-1962 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა 30 წუთის ხანგრძლივობით, 1963-1976 წლებში კი – ყოველთვიურად.

თემატური მრავალფეროვნებითა და, შესაბამისად, რუბრიკების სიმრავლით უფრო გამოირჩეოდა მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის რედაქცია (აქ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: თენგიზ გელაშვილი, ხვთისავარ არჩემაშვილი, როლანდ ავაზაშვილი, ლია კორძაია, გივი ცქიტიშვილი, ლამარა ესართია, ნანა სანიკიძე, მარიკა სილაგაძე და სხვ.).

საწარმოო-ეკონომიკური პროპაგანდის დანიშნულება პირველ რიგში განისაზღვრებოდა ე.წ. ქმედითობით, ანუ მისი უშუალო ჩარევით საწარმოო პროცესების მართვაში და სხვა პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში, რაც ჟურნალისტიკის უშუალო-ორგანიზატორულ ფუნქციად ითვლებოდა. რადიო სისტემატურად იძლეოდა ინფორმაციას რესპუბლიკის ეკონომიკის მდგომარეობის, წამყვანი საწარმოების მუშაობის შესახებ (მაგ.: „ხუთწლედის მშენებარე ობიექტებზე“ – 1978-1984, „ხუთწლედს დამკვრელური შრომა“ – 1973-1984, „სასურსათო პროგრამა – მოქმედებაში“ – 1981-1984 და სხვ.), ხოლო საჭიროების შემთხვევაში არც კრიტიკულ გამოსვლებს ერიდებოდა. რა თქმა უნდა, ვერავითარი ჟურნალისტიკა ვერ იხსნიდა საბჭოთა ეკონომიკას პერმანენტული კრიზისისაგან, მაგრამ ცალკეული საკითხების მოგვარება უთუოდ ქმნიდა იდეოლოგიური ზემოქმედების ეფექტიანობის შთაბეჭდილებას. საქართველოს რადიოში ამ მიზნით თითქმის 80-იან წლებამდე გამოიყენებოდა ის ტრადიციული ფორმები, რომლებიც ჯერ კიდევ 30-იანი წლების საბჭოთა პრესას ახასიათებდა – კორესპონდენტთა საგუშაგოებისა და რეიდების პრაქტიკა. 1962-1963 წლებში ინტენსიურად მზადდებოდა რუბრიკები: „ჩვენი საგუშაგოები გვატყობინებენ“ და „კორესპონდენტთა საგუშაგოები გვატყობინებენ“ (მაგალითად, ენგურჰესის მშენებლობაზე შეფერხებათა შესახებ – 1963, 21.01). „რეიდის მასალების“ სახელწოდებით ხშირად გადაიცემოდა კრიტიკული ინფორ-

მაცია მშენებლობისა და ტრანსპორტის, აგრეთვე მომსახურების სფეროს შესახებ: „ამას თქვენ გსაყვედურობენ, მშენებლებო!“ (1962, 26.05), „დავაჩქაროთ სასკოლო მშენებლობა“ (1975, 19.08), „აღმოვფხვრათ ვაგონების მოცდენა“ (1975, 15.09; 1976, 13.12), „გავაუმჯობესოთ მგზავრთა მომსახურება რკინიგზის ტრანსპორტზე (1975, 13.05), „გავაუმჯობესოთ მგზავრთა ავტოტრანსპორტით მომსახურება“ (1975, 16.09), „საყოფაცხოვრებო მომსახურება – მოთხოვნების დონეზე“ (1972, 21.02) და ა.შ. ამას ემატებოდა სხვა კრიტიკული ციკლები: „გადაუცემელი წერილების კვალდაკვალ“ (1963), „რატომ ჩამორჩა საწარმო“ (1976), „კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს – მეტი ყურადღება“ (1978). ერთგვარ სოციალური კონტროლის ფუნქციას ასრულებდა რუბრიკა „ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ“, რომელიც 1962 წლიდან 1987 წლის ბოლომდე მუდმივად იყო ეთერში. 1978 წლიდან მას უფრო ზუსტი სახელი ეწოდა – „ჩვენი კრიტიკული გადაცემების კვალდაკვალ“, რადგან კრიტიკული გადაცემების შედეგებზე იძლეოდა ინფორმაციას.

რადიოს ორგანიზატორული მუშაობის მეორე მიმართულება იყო მოწინავე გამოცდილების გავრცელება, მისი სისტემატური პროპაგანდა და პრაქტიკული დანერგვისათვის ხელის შეწყობა. ამ მიზანს ემსახურებოდა რუბრიკები: „რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ტრიბუნა“ (1960, 1961), „მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა“ (1964, 1965), „ნოვატორის ტრიბუნა“ (1968-1976), „ისწავლე მეურნეობის გაძღოლა“ (1967, 1968) და, განსაკუთრებით, „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, რომელიც 1963-1975 წლებში ყოველთვიურად, ზოგჯერ კი უფრო ხშირად გადაიცემოდა ეთერში. ბრიგადული იჯარის უპირატესობებს უწევდა პროპაგანდას გადაცემების ციკლი – „ბრიგადა, ეფექტიანობა, პრობლემები“ (1982-1988). ერთი შეხედვით, ყველა ეს „ტრიბუნა“ და „სკოლა“ თითქოს საგანმანათლებლო ფუნქციებს ასრულებდა, მაგრამ ყოველთვის წარმოების მართვისა და ორგანიზაციის კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას ემსახურებოდა და გამოკვეთილი პუბლიცისტური დანიშნულებაც გააჩნდა – სისტემატურად წარმოაჩენდა წარმოების ორგანიზატორებს, დარგის პროფესიონალებს, კომუნისტური შრომის დამკვრელებს და ა.შ. მოწინავე გამოცდილებასთან ერთად ინტერნაციონალიზმის პროპაგანდასაც ეწეოდა რუბრიკა „მეგობრები გვიზიარებენ გამოცდილებას“ (1982-1984), რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებიდან გამოგზავნილ მასალებს ემყარებოდა.

საერთოდ, ნებსით თუ უნებლიეთ (უფრო, ალბათ, შეგნებულად) წარმოების სფეროშიც ხაზგასმით აღინიშნებოდა რესპუბლიკათა ერთიანობის აუცილებლობა და მეტროპოლიის წამყვანი როლი – ყოველთვის მისი წარმომადგენლები იყვნენ მიბაძვის ობიექტი. საკმარისია დავასახელოთ ზოგიერთი გადაცემა: „გაგანოველი მეშახტე“ (1960, 6.01), „შჩეკინოელთა მაგალითისამებრ“ (1970, სამი გადაცემა), „შჩეკინოელთა მეთოდი მოქმედებაში“ (1977-1978, სამი გადაცემა), „მხარი გავუსწოროთ ვიტებსკელებს“ (1973, 25. 06), „ქართველი ზლობინელები“ (1973, 26.10), „ზლობინის მიმდევრებს – ყოველდღიური დახმარება“ (1975, 17.11). „ფართოდ დავნერგოთ ორიოლელ მშენებელთა გამოცდილება“ (1975, 6.05, 1976, 3.05), „სვერდლოვსკელთა გამოცდილება მოქმედებს“ (1975, ორი გადაცემა) და ა.შ. არიან ქართველი გაგანოველები და ზლობინელები (ისევე, როგორც ადრე იყვნენ ქართველი სტახანოველები, ქართველი მატროსოვი და ოსტროვსკი), მაგრამ არავის გაუგონია რუსი ლომიძე, მამედოვი ან ხაჩიკიანი.

წარმოების ინტენსიფიკაციისადმი ხელის შეწყობით განისაზღვრებოდა მეცნიერული მიღწევების, მისი პრაქტიკაში დანერგვის პროპაგანდის მნიშვნელობაც. ათეული წლების მანძილზე მზადდებოდა რუბრიკები: „მეცნიერება – სახალხო მეურნეობას“, „მეცნიერება – წარმოებას“, „მეცნიერება – სოფლის მეურნეობას“, 70-იან წლებში მათ დაემატა „არცერთი დაუნერგავი თემა“, ხოლო 80-იან წლებში – „მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია“. ასევე, მუდმივად იყო ლაპარაკი რეზერვების გამოყენებაზე: „ყველა რეზერვი ხუთწლედის სამსახურში“ (1972-1975), „ყველა რეზერვი წინასაყრილობო ვალდებულებათა შესრულებას“ (1976), „წინსვლის რეზერვები“ (1978, 1979) და სხვ. რაღა უნდა ითქვას სოციალისტურ შეჯიბრებაზე, რომელიც ოფიციალურ იდეოლოგიას საბჭოთა ეკონომიკის ყველაზე მძლავრ მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა და თითქოს ფართო გასაქანს აძლევდა „მასების შემოქმედებით ინიციატივას“. ამ თემაზე საქართველოს რადიოში პერიოდულად იქმნებოდა სხვადასხვა ციკლები და რუბრიკები: „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“ (1961-1963), „საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება“ (1967), „სოცშეჯიბრება თანამედროვე ეტაპზე“ (1983) და ა.შ.

საწარმოო-ეკონომიკური პროპაგანდის მუდმივი თემა იყო პროდუქციის ხარისხის ამაღლება. 60-იან წლებში იგი აისახებოდა რუბრიკებში: „ვაშენოთ სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად“ (1961-

1967), „საბჭოთა პროდუქცია საუკეთესო უნდა იყოს“ (1964-1965, თვეში ორჯერ) და სხვ. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მას 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა საბჭოთა კავშირში ხარისხის ხუთწლედი გამოცხადდა. შეიქმნა ახალი რუბრიკები: „ხარისხი წარმოების სარკეა“ (1975-1978), „ხარისხის ხუთწლედს – მუშური გარანტია“ (1977-1979), „ხარისხის მართვის სისტემა – მოქმედებაში“ (1977), „პროდუქციის ხარისხი – მთავარი საზრუნავი“ (1979) და ა.შ. თუმცა ხარისხის ხუთწლედს, სამწუხაროდ, არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

რადიომაუწყებლობაში ასევე მუდმივი თემა იყო ეკონომიკის სისტემისა და მისი მართვის გაუმჯობესების საკითხები. საბჭოთა კავშირში ყოველ ხუთ წელიწადში მაინც ახალი ეკონომიკური რეფორმა ტარდებოდა (ძირითადად კოსმეტიკური ხასიათის) და ეთერში ჩნდებოდა შესაბამისი რადიორუბრიკებიც: „ახალი ეკონომიკური რეფორმა მოქმედებს“ (1966-1969), „ეკონომიკური რეფორმის საკითხები“ (1969-1972), „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“ (1980-1987), „სამეურნეო მექანიზმი – პრობლემები, ამოცანები“ (1982-1985). მაგრამ არც ერთი ზემოთ ხსენებული რეფორმა არ ცვლიდა სოციალისტური წარმოების არსს და ამ პროპაგანდას რეალური შედეგი ვერც მოჰყვებოდა.

ლიტერატურულ-დრამატული მაუწყებლობა. ჩვეულებრივად, მხატვრულ რადიომაუწყებლობას ორ ნაწილად ჰყოფენ. ლიტერატურულ-დრამატულ და მუსიკალურ მაუწყებლობად. პირველი მათგანი საქართველოს რადიოში ლიტერატურას – უმთავრესად ეროვნულ ლიტერატურას ეყრდნობოდა. მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართული ლიტერატურა ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა ეროვნული ცნობიერების დაცვასა და განვითარებაში და ეს ფუნქცია მან რადიოშიც შეინარჩუნა. ასე რომ, პროპაგანდისტულ-ორგანიზაციულ საქმიანობასა და კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებასთან ერთად საქართველოს რადიო მსმენელთა პატრიოტულ აღზრდასაც ემსახურებოდა, უპირველესად, ქართული ლიტერატურის როგორც კლასიკის, ისე თანამედროვეობის საუკეთესო ნიმუშების წარმოჩენით. ქართული ლიტერატურა შეადგენდა 1957-1984 წლებში ლიტერატურული პროგრამების უდიდეს ნაწილს, თუმცა ლიტერატურის რედაქცია არც სხვა ხალხების შემოქმედებას უვლიდა გვერდს და სისტემატურად აცნობდა მას მსმენელებს თარგმანების სახით.

ტრადიციულად, ლიტერატურული გადაცემების რედაქცია ყოველთვის მაღალკვალიფიციური კადრებით იყო დაკომპლექტებული. აქ თავს იყრიდნენ ქართული მწერლობის წარმომადგენლები და პროფესიონალი ჟურნალისტები, რომელთა ნამუშევრები დღემდე დაცულია საქართველოს რადიოს აუდიოფონდში: პოლიო აბრამია, შალვა ამისულაშვილი, ვარლამ ჟურული, მოსე ქარჩავა, მოგვიანებით: გურამ ბუხნიკაშვილი, ციალა ყიფიანი, აკაკი კობერიძე, თინა კობალაძე, ლამარა კიკილაშვილი, ნაზი ელიაშვილი, ჯუმბერ ბაქრაძე, კაპიტონ რუსიშვილი, სოსო პაიჭაძე, ელდარ კერძევაძე, ვიტალი მიქიაშვილი, ნანა ტალახაძე, მაია წერეთელი, მზია ჩხეტიანი, ზაზა დარასელი, სოსო სიგუა, მიხეილ კოპალეიშვილი, თამაზ ხმალაძე, ზინა მჭედლური, ნანა ამირანაშვილი, რუსუდან სულაკაური და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურამ რადიოში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციაც განიცადა, რადგან ეთერში იგი, ლიტერატურის თანამედროვე „წერილობითი ენისაგან“ განსხვავებით, გრაფიკული კი არა, ბგერითი ნიშნებით გადმოიცემა. ბეჭდური სიტყვა ზეპირი სიტყვით შეიცვალა და ახალი ესთეტიკური თვისებები შეიძინა – ლიტერატურულ ტექსტს დაემატა წამკითხველის ოსტატობა, გაერთიანდა ორი ხელოვნება – მწერლისა და დეკლამატორისა. ლიტერატურა რადიოში წარმოუდგენელია წამკითხველის ხელოვნების გარეშე (ეს მისი არსებობის ფორმაა), ამიტომ რამდენადმე ხელოვნური იყო რუბრიკა – „მხატვრული კითხვის ოსტატები“, რომელიც 1963-1984 წლებში ჯერ სისტემატურად, შემდეგ კი თანდათან იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე პროგრამაში და ბოლოს, სავსებით ლოგიკურად, გაუქმდა კიდეც. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველა ლიტერატურული ნაწარმოები ერთნაირად არ გამოდგება ხმამაღლა წასაკითხად. პოეზიის პოპულარობა რადიოეთერში, მაგალითად, უპირველესად იმითაა განპირობებული, რომ ლექსი თავიდანვე მოსასმენად არის განკუთვნილი (სხვანაირად აზრი არ ექნებოდა მის მელოდიკას, რიტმიკასა და ევფონიას). შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ლექსს (თარგმანიც ხომ ქართული პოეტური ხელოვნების ნაწილია) არ ჰყოლია რადიოსთანა ქომაგი და დამფასებელი. ათეული წლების მანძილზე ეთერში ყოველდღიურად ჟღერდა ეროვნული თუ თარგმნილი პოეზიის ნიმუშები – სხვადასხვა რუბრიკით, სხვადასხვა ფორმით, ავტორებისა თუ მსახიობების კითხვით. 1957-1984 წლებში სისტემატურად (ხშირად კი ყოველ კვირას) გადაიცემოდა რუბრიკა „პოეტი მიკროფონთან“ (ან „პოეტი სტუდიაში“, როგორც, მაგალი-

თად, 1978 წელს). პარალელურად 1970 წლის დეკემბრიდან ეთერში დამკვიდრდა ხუთწუთიანი რუბრიკა „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, რომელიც კვირაში სამჯერ, ერთსა და იმავე დროს, რადიომსმენელებს აცნობდა ქართული და საზღვარგარეთული პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებებს (იგი საუკუნის ბოლომდე იყო საქართველოს რადიოს პროგრამაში). დამატებით ცალკე რუბრიკები იყო შემოღებული ქართული კლასიკური პოეზიის პროპაგანდისათვის: „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (1958), „ქართული პოეზიის ანთოლოგიიდან“ (1964) და „ქართული პოეზიის საგანძური“ (1968-1974). 1966 წელს, რუსთაველის 800 წლისთავისათვის, ცნობილი ქართველი მსახიობების: ვ. ანჯაფარიძის, თ. ჭავჭავაძის, ე. მანჯგალაძის, ო. მეღვინეთუხუცესის, გ. საღარაძის, ტ. საყვარელიძის, თ. ხაინდრავას, გ. სიხარულიძისა და სხვათა კითხვით მთლიანად ჩაიწერა „ვეფხისტყაოსანი“ და გადაიცა რუბრიკით – „რუსთაველის საიუბილეოდ“.

გარდა ამისა, დროდადრო მზადდებოდა რადიოალმანახი „პოეზია“ (1971-1973), ციკლები: „პოეტური რვეული“ (1974-1978) და „ცეცხლის ყვავილები“ (ლექსები ომზე – 1982). მაისში ან ივნისში სისტემატურად აღინიშნებოდა პოეზიის დღე (მაგალითად, 1960 წლის 5 ივნისს ამ რუბრიკით 35 წუთი დაეთმო ი. გრიშაშვილსა და გ. ლეონიძეს). ხშირად რუბრიკების გარეშეც გადაიცემოდა თვალსაჩინო ქართველი პოეტების ლექსები (მაგალითად, „იოსებ გრიშაშვილის ლექსები“, „გიორგი ლეონიძის ლექსები“, „სიმონ ჩიქოვანის ლექსები“, „ირაკლი აბაშიძის ლექსები“ და ა.შ.).

დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული ხალხური პოეზიის წარმოჩენას. ფოლკლორის კლასიკურ ნიმუშებთან ერთად საქართველოს რადიო მსმენელებს აცნობდა ხალხური შემოქმედების ახალმოძიებულ ნიმუშებსაც. მაგალითად, 1960 წლის თებერვალში გამოცხადებულ კონკურში „ხალხის საუნჯე“, მუსიკოს-შემსრულებლებთან, მოცეკვავეებთან, მხატვარ-მოქანდაკეებთან ერთად მოწვეული იყვნენ სახალხო მთქმელებიც.[1] მოგვიანებით ხალხური ლექსებისათვის შეიქმნა სპეციალური რუბრიკებიც: „ჩემო ნათქვამო სიტყვაო!“ (1977, ყოველკვირეული) და „ლექსო, ნუ დაიკარგები!“ (1980 წლიდან).

ეს მოკლე მიმოხილვაც ნათლად გვიჩვენებს საქართველოს რადიოს დიდ მონდომებას ქართული ლექსის პოპულარიზაციისათვის.

---

[1] გაზ. „ლაპარაკობს თბილისი“, 1963, 8.02, გვ. 3.

რაც შეეხება საზღვარგარეთის პოეზიას, პროგრამაში თავის ადგილს პოულობდა მსოფლიოს გამოჩენილ პოეტთა – როგორც კლასიკოსთა, ისე თანამედროვეთა საუკეთესო ნაწარმოებების თარგმანები, მაგრამ გაცილებით ფართოდ იყო წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზია. თანაც უმრავლეს შემთხვევაში ისეთი ლექსები იყო შერჩეული, რომლებიც შეესაბამებოდა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, უმღეროდა ხალხთა ლენინურ მეგობრობას, მშობლიურ პარტიას, ერთიან სამშობლოს – საბჭოთა კავშირს. ეს ადვილი შესამჩნევია თვითონ გადაცემებისა და რუბრიკების სახელწოდებათა მიხედვითაც: „არაბი პოეტების ლექსები ლენინზე“ (1958), „ხალხთა საყვარელი – მოძმე რესპუბლიკების პოეტთა ლექსები ლენინზე“ (1959), „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“ (1975-1986), „ვრცელია ჩემი ქვეყანა“ (1979), „მეგობრობა გზად და ხიდად“ (1979-1984), „კავშირი გულთა შორის“ (1984). თუმცა იყო შედარებით ნეიტრალური რუბრიკებიც: „მოძმე ხალხთა პოეზია“ (1964), „საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზია“ (1968) და ა.შ. 1957-1965 წლებში პოეტური ნაწარმოებები რუსულ ენაზეც ჟღერდა საქართველოს რადიოში – თითქმის ყოველთვიურად გადაიცემოდა როგორც რუსული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის ნიმუშები, ისე რუსულ ენაზე თარგმნილი ქართველ პოეტთა ლექსებიც (ამ პერიოდში პროზაული ნაწარმოებები და დადგმებიც იყო ეთერში რუსულ ენაზე).

ასევე დიდი ტრადიციები ჰქონდა საქართველოს რადიოში პროზაული ნაწარმოებების კითხვას. პირველ რიგში ეთერი ეთმობოდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს. ცალკეული ნაწარმოებების გარდა მზადდებოდა სპეციალური ციკლები: „ქართული კლასიკური მწერლობა“ (1967), „ქართული პროზა“ (1968), „ქართული კლასიკა“ (1970). ცალკე რუბრიკებით გადაიცემოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღიარებული ნაწარმოებები: „ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუნჯე“ (1967, ყოველკვირეული), „ქართული საბჭოთა ლიტერატურის საგანძური“ (1970-1972). თანამედროვე ქართულ ლიტერატურას აცნობდა რადიომსმენელებს რუბრიკები: „თანამედროვე ქართული რომანი“ (1973-1975), „თანამედროვე ქართული მოთხრობა“ (1983-1984).

შედარებით ნაკლებად გადაიცემოდა უცხოეთის პროზა. მხოლოდ ცალკეული ნაწარმოებები იკითხებოდა ზოგჯერ ზემოთ აღნიშნული რუბრიკით „მხატვრული კითხვის ოსტატები“ და რამდენი-

მე გადაცემა მომზადდა ციკლით „საზღვარგარეთის პროგრესული ლიტერატურა“ (1958, 1959, 1970). მოკავშირე რესპუბლიკების პროზა გადაიცემოდა საერთო ციკლებით „საბჭოთა მწერლების ახალი ნაწარმოებები“ (1969-1970) და „საბჭოთა ხალხების ლიტერატურა“ (1970).

ამ რუბრიკების უმრავლესობა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეიცვალა ზოგადი ხასიათის რუბრიკით – „ლიტერატურული კითხვა“. იგი სათავეს იღებს 1974 წლიდან, როცა საქართველოს რადიოში კონკრეტული რუბრიკის გარეშე, ყოველკვირეულად, თანმიმდევრობით და გაგრძელებებით დაიწყო სხვადასხვა ნაწარმოებების კითხვა (თავიდან პროზისაც და პოეზიისაც). იანვრიდან ივლისამდე გადაიცემოდა „ვეფხისტყაოსანი“, შემდეგ მას მოჰყვა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“, რომელიც 1975 წლის თებერვლის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. მარტიდან დაიწყო დავით გურამიშვილის „დავითიანის“ კითხვა, აგვისტოს ბოლოდან კი – „ოთარაანთ ქვრივისა“ და ა.შ. 1976 წლის აგვისტოდან ამგვარ გადაცემებს საერთო სახელი – „ლიტერატურული კითხვა“ ეწოდა და სისტემატურ რუბრიკად იქცა. კითხვა ეწყობოდა ყოველკვირეულად – ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს, 14 საათზე, 20 წუთის ხანგრძლივობით და 2000 წლის ბოლომდე გრძელდებოდა საქართველოს რადიოში. იგი მოიცავდა მხოლოდ პროზას – როგორც ქართულ, ისე თარგმნილ ნაწარმოებებს. პირველ ხანებში ამ რუბრიკით წაიკითხეს მნიშვნელოვანი ნაწილები ისეთი ნაწარმოებებისა, როგორიცაა: კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და „მთის კაცი“, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“, ს. კლდიაშვილის „ფერფლი“, კ. პაუსტოვსკის „კოლხიდა“, დ. შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ „ლიტერატურული კითხვის“ რუბრიკით ზოგჯერ პუბლიცისტური და საგანმანათლებლო ხასიათის ნაწარმოებებიც იკითხებოდა.

საქართველოს რადიოს ლიტერატურის პროპაგანდასთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკაში მხატვრული კითხვის სკოლისა და მხატვრული კითხვის ოსტატების მთელი პლეადის ჩამოყალიბებაში. მისი მეშვეობით ქართულმა საზოგადოებრიობამ სცენის გარდა ეთერითაც, დეკლამაციის ხელოვნებითაც გაიცნო თეატრის მრავალი კორიფე და ნიჭიერი წარმომადგენელი – ალ. იმედაშვილი, უ. ჩხეიძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშ-

ვილი, ს. ზაქარიაძე, თ. ჭავჭავაძე, ე. მანჯგალაძე, გ. საღარაძე, ო. მეღვინეთუხუცესი, ტ. საყვარელიძე, თ. ხაინდრავა, გ. სიხარულიძე და სხვ. არც თეატრს, არც ესტრადას მიახლოებითი ეფექტითაც კი არ შეეძლო ამის გაკეთება.

გარდა ამისა, საქართველოს რადიოში ტრადიციად იყო ქცეული ქართველი მწერლების მიკროფონთან გამოყვანა საკუთარი ნაწარმოებების წასაკითხად. მსგავსად ზემოთ განხილული რუბრიკისა „პოეტი მიკროფონთან“, 1957-1984 წლებში (სხვადასხვა დროს მეტნაკლები პერიოდულობით) ეთერში სისტემატურად იყო რუბრიკა „მწერალი მიკროფონთან“, ხოლო 1964-1965 წლებში რუბრიკა – „მწერლები კითხულობენ თავიანთ ნაწარმოებებს“. თავისი დიქციით და შესრულების ხარისხით მწერალი შეიძლება ჩამოუვარდებოდეს მსახიობ-დეკლამატორს, მაგრამ მის გამოსვლას თავისი უპირატესობაც აქვს. ტექსტის ნიუანსების ცოდნით იგი ზოგჯერ აღემატება კიდეც პროფესიონალის კითხვას, ჩანაწერის დოკუმენტურ ღირებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ (მაგალითად, კ. გამსახურდიას მიერ წაკითხული „ზარები გრიგალში“, რომელიც 1974 წლის 23 ივლისს გადაიცა, ღირებულია არა იმდენად მხატვრული კითხვის თვალსაზრისით, რამდენადაც იმით, რომ მას ავტორი კითხულობს, მის ხმასა და განწყობას ინახავს).

დოკუმენტური ხასიათის იყო აგრეთვე ციკლი „ზეპირი მემუარები“ – მიკროფონთან გამოდიოდნენ მხცოვანი მწერლები, კრიტიკოსები, მეცნიერები, რომლებიც იხსენებდნენ გარდასულ წლებსა და ადამიანებს, გამოჩენილ პირთა ცხოვრების ამბებს (მაგ., ი. აბაშიძის გამოსვლა 1981 წლის 6 იანვარს, ნ. კეცხოველის – 1981 წლის 5 ივნისს, პროფ. ს. ხუციშვილის მოგონება ვახტანგ კოტეტიშვილზე 1988 წლის 4 სექტემბერს და ა.შ.). ზოგჯერ საინტერესო მოგონებებს უზიარებდნენ რადიომსმენელებს ცნობილ მწერალთა შვილები თუ შვილიშვილები. დასანანია მხოლოდ, რომ 1981 წლიდან, რაც ეს რუბრიკა გამოჩნდა, ყოველწლიურად 2-3 გადაცემაზე მეტი არ მზადდებოდა, 1989 წლის შემდეგ კი საერთოდ აღარ გამოჩენილა ეთერში (ვინ იცის, რამდენი ფაქტი, მოვლენა თუ დოკუმენტი საჭიროებს გამომზეურებას, რამდენი პიროვნება – გახსენებას).

დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოს რადიო ახალგაზრდა მწერლების წარმოჩენას და ხშირად უთმობდა მათ მიკროფონს. ამ მიზნით შემოღებული იყო რუბრიკები: „ახალგაზრდა მწერლები სტუდიაში“, „ახალგაზრდა მწერლები მიკროფონთან“ (1963,

ყოველთვიურად), „მიკროფონთან ახალგაზრდა ავტორები“ (1965), „ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა“ (1969), „ახალი სახელები, ახალი ავტორები“ (1977-1978) და სხვ. 80-იანი წლებიდან სპეციალურ რუბრიკებს ახალგაზრდობისათვის ლიტერატურული რედაქცია აღარ ამზადებდა – ამ თემამ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ჟურნალში და სხვა ციკლებში გადაინაცვლა (სამაგიეროდ, ახალგაზრდობის რედაქციამ შემოიღო რუბრიკა „შეხვედრა ახალგაზრდა შემოქმედებთან“, სადაც სხვებთან ერთად მწერლებსაც ეთმობოდა ადგილი).

ლიტერატურული მაუწყებლობის (და, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მუსიკალური და დრამატული მაუწყებლობის) განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მაგნიტური ჩაწერის შემოღებამ და გადაცემების ფიქსაციის შესაძლებლობამ. საქმე მარტო ის კი არაა, რომ მან რადიოესთეტიკაში დროის ტრანსფორმაცია განაპირობა და საფუძველი დაუდო ახალი დოკუმენტური თუ მხატვრული ჟანრებისა და ფორმების წარმოშობას, არამედ ისიც, რომ შესაძლებელი გახადა რადიოს ფონდის შექმნა, მხატვრული თუ დოკუმენტური ნაწარმოებების ფირზე ჩაწერა, შენახვა და მრავალგზის გამოყენება. ამგვარი „ბიბლიოთეკის“ – ფონოთეკის შექმნის საჭიროება ყოველთვის იდგა რადიოს წინაშე, მაგრამ უდიდეს ტექნიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. 40-იანი წლების მეორე ნახევრამდე მხოლოდ კინოს ხმისჩამწერი ტექნიკის დახმარებით გაჭირვებით ხერხდებოდა ცალკეული გადაცემების, ე.წ. ტონფილმების ჩაწერა. არადა, მხატვრული ნაწარმოები (არც რადიოში და არც საერთოდ) მხოლოდ ერთჯერადი „მოხმარებისათვის“ არაა განკუთვნილი. კულტურა ვერ იარსებებდა, რომ მისი ფასეულობების შენახვა და შემდგომი თაობებისათვის გადაცემა არ ხდებოდეს. რადიო მართლაც მხოლოდ ეთერულ და ეფემერულ ფენომენად დარჩებოდა, რომ მისი შექმნილი ნაწარმოებები უკანასკნელი ბგერის გაქრობასთან ერთად ქრებოდეს. დღეს საქართველოს რადიოს პროგრამების უდიდესი ნაწილი (პირველ რიგში მუსიკა, თეატრი, ლიტერატურა) იმ ჩანაწერებს ემყარება, რომლებიც ათეული წლების მანძილზე არის შექმნილი და ფონდში შენახული. ეს ფონდი უბრალო საცავი როდია – იგი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია და მის გარეშე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურა, ქართული ისტორია ბევრად ღარიბი და უფერული იქნებოდა (ტყუილად როდი უწოდებენ მას ხატოვნად „ოქროს ფონდს“).

რადიოს ფონდის არსებობამ ახალი მიმართულების შექმნაც კი განაპირობა ლიტერატურულ მაუწყებლობაში. გარდა იმისა, რომ გადაცემებს: „ლიტერატურული კითხვა“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“ „მწერალი მიკროფონთან“ და სხვ. ხშირად თან ახლავს ინფორმაცია მათი ჩაწერის დროისა და ადგილის შესახებ, საქართველოს რადიოში ჩამოყალიბდა მთელი რიგი რუბრიკები, რომლებიც უშუალოდ ფონდთანაა დაკავშირებული და ამით იწვევს რადიომსმენელთა ინტერესს. 60-იან წლებში ისინი დროდადრო თუ გამოჩნდებოდა ეთერში საიუბილეო თარიღების, რადიოს დღის ან განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებით, მაგ.: „ჩვენი უნიკალური ჩანაწერები“ (1963-1964), „დაუვიწყარი ხმები“ (1965 წლის 22 თებერვალს ამ რუბრიკით გადაიცა გ. ტაბიძის ჩანაწერი, 1 მარტს – შ. დადიანის, 1968 წელს – სხვა ქართველი მწერლებისა და ა.შ.). ზოგჯერ ცალკე გადაიცემოდა ზოგიერთი საფონდო ჩანაწერი, მაგალითად, „თომას მანის ხმა ჩვენი იშვიათი ჩანაწერების ფონდში“ (1966, 22.01), „ა. ყაზბეგის შემოქმედება ჩვენს ჩანაწერებში“ (1967, 20.01), „ბრეხტი ჩვენს ჩანაწერებში (1967, 10.02) და ა.შ. 1970 წლიდან ამას სისტემატური ხასიათი მიეცა – შეიქმნა რუბრიკა „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“, რომელიც ეთერში იყო ყოველ შაბათს 20 საათსა და 30 წუთზე ნახევარი საათის ხანგრძლივობით. ამ რუბრიკით (იგი 1987 წლის ბოლომდე არსებობდა) პირველი და მესამე შაბათი მუსიკალურ გადაცემებს ჰქონდა დათმობილი, მეორე – ლიტერატურულს და მეოთხე – დადგმებს. ამავე დროს 1978 წლიდან მზადდებოდა რუბრიკა „ახალი ლიტერატურული ჩანაწერები“ (წელიწადში 5-7 გადაცემა). როგორც ჩანს, ლიტერატურისთვის არც ეს აღმოჩნდა საკმარისი და 1984 წლიდან შეიქმნა ცალკე ლიტერატურული რუბრიკა „რადიოს ფონდიდან“, რომელიც ყოველთვიურად 2-3-ჯერ გადაიცემოდა და მოიცავდა როგორც მხატვრულ, ისე ლიტერატურულ-კრიტიკულ და საგანმანათლებლო გადაცემებსაც (მაგალითად, 1984 წლის 5,6 ივნისს გადაიცა პროფ. გ. კიკნაძის გამოსვლა „ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ტენდენციები“).

რადიოს ფონდის შექმნაში პრიორიტეტი ეკუთვნის ლიტერატურულ და მუსიკალურ რედაქციებს (რაც ბუნებრივიც იყო მაუწყებლობის სპეციფიკის გამო), მხოლოდ მოგვიანებით აუბეს მათ მხარი სხვა რედაქციებმა. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვით ამ საქმეში რედაქტორებსა და რადიოჟურნალისტებს თ. კობალაძესა და ლ. კიკილაშვილს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საფონდო ჩანაწერების მნიშვნელობა მარტო მათი მრავალგზის გამოყენებით არ

ამოიწურებოდა. ბევრ შემთხვევაში მხატვრული თუ დოკუმენტური ჩანაწერები თავისი ესთეტიკური და ისტორიული ღირებულების გამო უნიკალურ მასალას იძლეოდა ახალი რადიონაწარმოებების შესაქმნელად. ამის საუკეთესო მაგალითია ლ. კიკილაშვილის საავტორო პროგრამა „რაც დავიწყებით არ იბინდება“ (1973-1975), რომელსაც 1976 წლიდან „გაუხუნარ ფერთა ექო“ ეწოდა.

რადიო მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე ოპერატიული არხია და, ცხადია, უყურადღებოდ ვერ დატოვებდა მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს (ახალი წიგნებისა და ჟურნალების გამოსვლას, სხვადასხვა კონკურსებს და ა.შ.), მაგალითად: „რაზე მუშაობენ ჩვენი მწერლები“ (1963), „ქართველი მწერლების ახალი ნაწარმოებები“ (1969), „ახალი ქართული რომანები“ (1979-1982), „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“ (1974-1984). 1957-1984 წლებში მეტ-ნაკლები პერიოდულობით სისტემატურად მზადდებოდა რუბრიკა „ახალი წიგნები“ (ახალგამოსული ნაწარმოებების ნაწყვეტების კითხვა), ხოლო 1977-1984 წლებში – „ახალი თარგმანები“. 1979-1980 წლებში რუბრიკით „ჟურნალ „ცისკრის“ ახალი ნომრის მიღებამდე“ ყოველთვიურად გადაიცემოდა ამ ჟურნალის ყველაზე მნიშვნელოვანი მასალები. 60-80-იან წლებში პერიოდულად იყო ეთერში ჯერ რუბრიკა „ლენინურ პრემიაზე წარდგენილი ნაწარმოებები“ (მაგალითად, 1962 წლის 18 იანვარს გადაიცა ნაწყვეტი ა. ქუთათელის რომანიდან „პირისპირ“, ხოლო 27 იანვრს დ. შენგელაიას მოთხრობა „განძი“), ხოლო შემდეგ – „ლენინური პრემიის ლაურეატები“ (ისევ ნაწარმოებების კითხვა). ასევე, 1965 წლიდან გაჩნდა რუბრიკები: „რუსთველის პრემიაზე წარდგენილი ნაწარმოებები“, „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“, „რუსთაველის პრემიის ლაურეატები“. 80-იანი წლებიდან მათ დაემატა „წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე“ და „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის ახალი ლაურეატები“ (მაგ., მ. კახიძის ლექსების კითხვა 1984 წლის 1 თებერვალს) და ა.შ.

სხვა რედაქციებთან ერთად ლიტერატურული რედაქციაც, რა თქმა უნდა, ოპერატიულად ეხმარებოდა სხვადასხვა საზეიმო თარიღებსა თუ პოლიტიკურ ღონისძიებებს. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ 1958 წლის გადაცემები მიძღვნილი სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი, ინდონეზიის სახალხო დღესასწაულისადმი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების დღისადმი, გდრ-ის მეცხრე წლისთავისადმი, კომკავშირის 40 წლისთავი-

სადმი, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი და ა.შ. ფართოდ აღინიშნა თბილისის 1500 წლისთავი და კიდევ უფრო ფართოდ – ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში. 5-დან 27 მარტის ჩათვლით მას მიეძღვნა გადაცემები: „რით წარსდგებიან ქართველი მხატვრები დეკადაზე“, „სადეკადო სპექტაკლები“, „დეკადის მონაწილე მწერლები მიკროფონთან“, „დეკადის მონაწილე მწერლები“, „ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის წინ“, „ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა“ და ა.შ.

პარტიის ყრილობების, ოქტომბრის რევოლუციისა თუ სამამულო ომის საიუბილეო კამპანიების პერიოდში ლიტერატურული რედაქცია ინტენსიურად მონაწილეობდა საერთო-საკომიტეტო რუბრიკებში: „ყრილობის შესახვედრად“, „დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ“, „დიადი გამარჯვების ამა და ამ წლისთავისათვის“ და ა.შ. უპირატესად სათანადოდ შერჩეული მხატვრული ნაწარმოებებით – თემატურად შესაბამისი ლექსებისა და მოთხრობების კითხვით. საპირველმაისოდ და საშვიდნოემბროდ სისტემატურად მზადდებოდა პათეტიკური ლიტერატურულ-მუსიკალური რადიოკომპოზიციები, გადაიცემოდა ლექსები სამშობლოზე, პარტიაზე, მშვიდობაზე და სხვ. ზაფხულობით ლიტერატურულ პროგრამებს ხშირად წინ უძღოდა რუბრიკა „შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის“, თითქოს ისინი სპეციალურად იყო განკუთვნილი საზაფხულო არდადეგებზე სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სტუდენტებისათვის და ა.შ.

განსაკუთრებით ფართოდ აღინიშნებოდა საქართველოს რადიოში ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა საიუბილეო თარიღები, რაც მას ქართული კულტურის თვითმყოფადობისა და ეროვნულობის აქტიური პროპაგანდის საშუალებას აძლევდა. ეს ტრადიცია სათავეს იღებს ჯერ კიდევ 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა რადიომ ინტენსიურად დაიწყო მზადება რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად (იგი საზეიმოდ აღინიშნა მთელ საბჭოთა კავშირში 1937 წელს) და დაიწყო ეთერში „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა უ. ჩხეიძის, ალ. იმედაშვილის, ა. ხორავას, ვ. ანჯაფარიძის და სხვათა მონაწილეობით. მაშინ გამოცხადდა, რომ საქართველოს რადიოს მიზანია შექმნას „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის კულტურა,[1] ეს დაპირება მან პირნათლად შეასრულა. ათეული წლების მანძილზე რუსთაველი ლიტერატურული მაუწყებლობის მუდმივი თემა იყო. „ვეფხისტყაო-

[1] „რადიოგაზეთი“, 1935, 15.02, № 1.

სანი“ სისტემატურად გადაიცემოდა ეთერში მხატვრული კითხვის ოსტატთა ახალი და ახალი თაობების შესრულებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1966 წელს, რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეოდ „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად ჩაიწერა და გადაიცა ეთერში. მარტო ამითაც კი შეიძლება შეფასდეს საქართველოს რადიოს დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. მაგრამ რუსთაველის 800 წლისთავი რადიოში მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვით არ შემოფარგლულა. მომზადდა უამრავი გადაცემა, რომლებიც შეეხებოდა რუსთაველის როლს ქართული ერის სულიერ განვითარებაში, ქართული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. გადაიცა ათეულობით წერილი „ვეფხისტყაოსანზე“ – ილიასა და აკაკის პოლემიკით დაწყებული და რუსთველოლოგთა თანამედროვე გამოკვლევებით დამთავრებული, აგრეთვე რუსთველისადმი მიძღვნილი ლექსები, მოთხრობები, სხვა მხატვრული ნაწარმოებები. წელიწად-ნახევრის განმავლობაში – 1965 წლის აპრილიდან 1966 წლის ოქტომბრამდე – ყოველ შაბათს, 22 საათზე, 30 წუთი დათმობილი ჰქონდა რუბრიკას – „რუსთაველის საიუბილეოდ“. 1966 წლის მეორე ნახევრიდან ამ რუბრიკამ პარასკევს, 22 საათზეც დაიკავა ნახევარი საათი. თვითონ საიუბილეო კვირა კი ასე გამოიყურებოდა:

26.09-28.09 – საიუბილეო დღიური.

26.09-27.09 – სსრკ და საქართველოს მწერალთა კავშირების გაერთიანებული პლენუმების ტრანსლაცია შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან.

27.09 – ლექსები რუსთაველზე.

28.09 – ნაწყვეტები დ. არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

29.09 – შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნა. რეპორტაჟი ახალციხიდან.

30.09 – საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზიდან.

30.09 – საიუბილეო კონცერტის ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.

01.10 – მუსიკის საათი ბავშვებისათვის. „შოთა რუსთაველი მუსიკაში“.

01.10 – ბავშვებისათვის. „სიბრძნის წიგნი“.

01.10 – ოდა რუსთაველზე. ტრანსლაცია თბილისის სპორტის სასახლიდან.

არც სხვა ქართველ მწერალთა საიუბილეო თარიღები რჩებოდა ყურადღების გარეშე. 1959 წელს აღინიშნა ეგნატე ნინოშვილის 100 და სულხან-საბა ორბელიანის 300 წლისთავი. 1968 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის 150 წლისთავისათვის ოცზე მეტი გადაცემა მომზადდა (11 სექტემბერს მოეწყო საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია). სპეციალური რუბრიკები დაეთმო ა. წერეთლის 120, 125, განსაკუთრებით კი – 150 წლისთავს. 1974 წელს 30 სექტემბერი – 6 ოქტომბრის კვირა მიეძღვნა ა. ყაზბეგის 125 წლის იუბილეს. ფართოდ აღინიშნა ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 და 120 წლისთავები. 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში მარტო ბოლო დეკადაში 17 გადაცემა იყო ეთერში.

16.07 – რადიოდადგმა „ალუდა ქეთელაური“.

17.07 – ლიტერატურული გადაცემა – „მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე“.

– ს. ყუბანეიშვილის საუბარი – „ვაჟა-ფშაველას ცხოვრება“.

18.07 – საუბარი – „ვაჟა-ფშაველა და ხალხური ზეპირსიტყვიერება“.

19.07 – ლიტერატურული გადაცემა „მოგონებანი „ვაჟა--ფშაველაზე“.

– შ. მშველიძე. სიმფონიური პოემა „ზვიადაური“.

20.07 – გადაცემა ციკლიდან – „თეატრი მიკროფონთან“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“.

21.07 – ვაჟა-ფშაველას ლირიკა.

22.07 – ვაჟა-ფშაველას მოთხრობები.

23.07 – საუბარი – „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“.

– რადიოდადგმა „გველის მჭამელი“.

24.07 – ლიტერატურული გადაცემა – „მხატვრული მეტყველების დიდოსტატი“.

– შ. მშველიძე. სიმფონიური პოემა „მინდია“.

25.07 – კონცერტი-საუბარი „ვაჟა და მუსიკა“.

26.07 – ლიტერატურული გადაცემა – „ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ლექსები“.

– ქართული ხალხური სიმღერები ვაჟა-ფშაველას ტექსტებზე.

– საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან.

ეროვნულ პრობლემატიკას უკავშირდებოდა ლიტერატურული რედაქციის სხვა საიუბილეო გადაცემებიც, მაგალითად, „დედა-ენის“ 100 წლისთავი 1976 წელს.

ლიტერატურული მაუწყებლობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა პუბლიცისტიკა. ქართული მწერლობა არასდროს განდგომია რეალურ სინამდვილეს – იგი ყოველთვის ეხმაურებოდა მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, აქტიურად განიხილავდა ერისა და ქვეყნის ყველაზე მწვავე პრობლემებს და მან ეს ფუნქცია რადიოშიც შეინარჩუნა. 1957-1984 წლებში ლიტერატურულ-პუბლიცისტური მაუწყებლობა ძირითადად ორ მიმართულებას მოიცავდა: პირველი, ოპერატიულად ასახავდა რესპუბლიკის ლიტერატურულ ცხოვრებას და, მეორე, სისტემატურად ეხმაურებოდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. უპირველესად ამ ფუნქციებით იყო განპირობებული 1957-1984 წლებში სხვადასხვა პუბლიცისტურ-მხატვრული რადიოჟურნალების არსებობა. 1957-1964 წლებში ეს იყო რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, რომელიც თვეში ორჯერ გადაიცემოდა 45-60 წუთის ხანგრძლივობით და მხატვრული ნაწარმოებების გარდა შეიცავდა ლიტერატურული მოვლენების ამსახველ რეპორტაჟებს, ინტერვიუებს, მწერალთა გამოსვლებს და სხვ. (ამასთან, ხელოვნების სხვა დარგებსაც – კინოს, თეატრს, მხატვრობას და ა.შ. არ ტოვებდა უყურადღებოდ). მასში ყველაზე გამოკვეთილად იგრძნობოდა ლიტერატურული მაუწყებლობის პოლიტიკური მიმართულება – ლიტერატურის პარტიულობისა და სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება. 1967 წელს ეთერში გამოჩნდა „ლიტერატურული ალმანახი“, რომელიც თავიდან ორ თვეში ერთხელ მზადდებოდა, ხოლო 1968 წელს ყოველთვიური გახდა. რამდენიმეჯერ გადაიცა პროგრამის ფორმის „ლიტერატურისა და ხელოვნების სიახლენი“ (1965) და „ლიტერატურის სიახლენი“ (1971). ამავე დროს, 1964-1968 წლებში მზადდებოდა რადიოკლუბის ტიპის „ლიტერატურული საღამოები“ (ზოგჯერ ყოველთვიურად, ზოგჯერ ნაკლები პერიოდულობით), რომელიც გარკვეულწილად პუბლიცისტიკასაც შეიცავდა (ამ პერიოდში საკავშირო რადიოშიც იყო მსგავსი რუბრიკა – „ლიტერატურნიე ვეჩერა“). 1974-1978 წლებში „ლიტერატურისა და ხელოვნების“ გამოშვება ისევ განახლდა, მაგრამ ამჯერად მას რადიოჟურნალის მაგივრად რადიოალმანახი ეწოდებოდა და თვეში ერთხელ გადაიცემოდა. ამის შემდეგ 10 წლის მანძილზე ლიტერატურული რადიოჟურნალი პროგრამაში აღარ გამოჩენილა – პუბლიცისტიკამ სხვა რუბრიკებში გადაინაცვლა.

თავისი ციკლები ჰქონდა გამოყოფილი უშუალოდ სამწერლო

პუბლიცისტიკას: „ლაპარაკობენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები“ (1963), „ლიტერატურული დიალოგები“ (1974-1978) და, რაც მთავარია, რუბრიკა –“მწერალი და ცხოვრება“, რომელიც 20 წლის მანძილზე (1968-1987) მეტ-ნაკლები პერიოდულობით, მაგრამ სისტემატურად გადაიცემოდა ეთერში. ეს იყო პუბლიცისტური გამოსვლები ყველაზე მწვავე პრობლემებზე, ნარკვევები და სხვა დოკუმენტური ნაწარმოებები ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, რომლებსაც მიკროფონთან თვითონ მწერლები კითხულობდნენ (მაგალითად, მწერალ ა. აბშილავას დოკუმენტური წიგნი ე.წ. „ფოთის ექსპერიმენტზე“ – „მოვდივარ ფაზისიდან“ სანამ გამოქვეყნდებოდა, ჯერ რადიოში იქნა წაკითხული 1984 წელს და 11 გადაცემა მოიცვა).

ლიტერატურული პუბლიცისტიკის კიდევ ერთი გამოკვეთილი მიმართულება იყო ნარკვევები თვითონ მწერლებზე და ხელოვნების სხვა დარგის მოღვაწეებზე – მხატვრებზე, რეჟისორებზე, მსახიობებზე და ა.შ. ისინი თავმოყრილი იყო სხვადასხვა რუბრიკაში: „ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები“ (1958), „ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი“, „ლიტერატურული პორტრეტები“ (მაგ., გ. ნატროშვილი – 1963, 14.07, გ. ლეონიძე – 1969, 27.12), „მოძმე რესპუბლიკების მწერალთა პორტრეტები“ (1969, რვა გადაცემა), „საბჭოთა მწერლების ლიტერატურული პორტრეტები“ (1971-1974). მაგრამ ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს რუბრიკას „შემოქმედებითი პორტრეტები“, რომელიც 1957-1984 წლებში სისტემატურად იყო საქართველოს რადიოს ეთერში. სხვადასხვა დროს ამ რუბრიკის პერსონაჟები იყვნენ: ს. ქობულაძე (1964, 7.02), ე. ამაშუკელი (1967, 17.04), ა. ხორავა (1969. 21.12), მ. თუმანიშვილი (1970, 29.04), გ. აბაშიძე (1972, 6.07), ლ. ქიაჩელი (1974, 19.02), ლ. გუდიაშვილი (1976, 25. 03), ა. ვასაძე (1989, 6. 08) და მრავალი სხვა – ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. გადაცემების ხარისხსა და პოპულარობას კი ბევრად განაპირობებდა მხატვრული კითხვა, დოკუმენტური საუბრის, ლექსის, სიმღერის, მუსიკის, კინო და თეატრალური ფრაგმენტების, საფონდო ჩანაწერების ინტენსიური გამოყენება.

გარკვეული პუბლიცისტური დატვირთვა ჰქონდა აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკულ გადაცემებსაც. მაგალითად, ციკლი „ზნეობრიობა და ქართული მწერლობა“ შემეცნებითი დანიშნულების გარდა აღმზრდელობით ფუნქციასაც ასრულებდა – აქტიურად ეხმაურებოდა თანამედროვეობის მორალურ-ეთიკურ პრობლემებს. ამ

ციკლით 1981-1984 წლებში 25 გადაცემა მომზადდა (აღსანიშნავია პროფ. რ. ბარამიძის გამოსვლების სერია – „ზნეობრიობა „ვეფხისტყაოსანში“ და კრიტიკოს გ. ასათიანის ესეი – „სათავეებთან“, რომელმაც 10 გადაცემა მოიცვა). ასევე დიდი პატრიოტულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ ციკლებს: „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (პროფ. ლ. მენაბდის საავტორო გადაცემა 1984-1986 წლებში, 15 გადაცემა).

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის რედაქცია იშვიათად, მაგრამ მაინც ამზადებდა ხელოვნების სხვა დარგებისადმი მიძღვნილ ციკლებსაც: „ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება 40 წლის მანძილზე“ (1961), „ქართული საბჭოთა ფილმი 40 წლის მანძილზე“ (1961), „კინოს სამყაროში“ (1967), „ქართული საბჭოთა ხელოვნება“ (1967) და სხვ.

ლიტერატურული მაუწყებლობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობას 1957-1984 წლებში წარმოადგენდა სატირულ-იუმორისტული გადაცემები, რომლებსაც ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების მთავარი რედაქციის ამავე სახელწოდების რედაქცია ამზადებდა (კარლო ფალიანი, ლია ძიძიგური, დიმიტრი ლობჟანიძე). იგი მოიცავდა იუმორისტულ ლექსებსა და მოთხრობებს, ლიტერატურულ ფელეტონებს, სკეტჩებსა და ნაწყვეტებს კომედიებიდან, კურიოზებსა და სასაცილო შემთხვევებს ცნობილ ადამიანთა ცხოვრებიდან და ა.შ. თვითონ გადაცემების ფორმა და პერიოდულობა წლების განმავლობაში საგრძნობლად იცვლებოდა. 60-იანი წლების პირველ ნახევარში ისინი გაერთიანებული იყო რუბრიკაში „სატირა და იუმორი“ (1958-1963, 30-40 წთ.) და „მხიარული შეხვედრების კლუბი“ (1965, 30 წთ.). თუ პირველი ძირითადად ცალკეული ნაწარმოებებით შემოიფარგლებოდა, მეორე – კრებითი ხასიათის, გარკვეულწილად იმპროვიზაციული პროგრამა იყო (მოწვეულ სტუმრებთან დიალოგსაც გულისხმობდა) და იმ დროისთვის ერთგვარ სიახლესაც წარმოადგენდა (სამწუხაროდ, მისი მხოლოდ რამდენიმე გამოშვება მომზადდა). 1963 წლის 15 ივლისიდან პირველად გავიდა ეთერში იუმორისტული პროგრამა „მხიარულ ტალღაზე“. ეს იყო ნახევარსაათიანი, ჟურნალის ტიპის გადაცემა, რომელიც ჯერ ყოველკვირეულად (შაბათობით), შემდეგ კი თვეში 2-3-ჯერ გადაიცემოდა და მოიცავდა როგორც მხატვრულ, ისე დოკუმენტურ მასალებს (შეხვედრები იუმორისტ მწერლებთან, კომიკოს მსახიობებთან, პაროდისტებთან და ა.შ.). ზოგჯერ მთელი გამოშვება ერთ რომელიმე

თემას ან რომელიმე ავტორს ეძღვნებოდა. 1968-1984 წლებში პარალელურად მზადდებოდა რუბრიკა „სატირის მახვილით“ (30 წუთი), რომელიც თვეში ერთხელ ენაცვლებოდა „მხიარულ ტალღას“. იგი უფრო მწვავე ხასიათისა იყო, დაუნდობლად ებრძოდა სოციალისტური საზოგადოების „ცალკეულ ნაკლოვანებებს“ (თუმცა კონკრეტულ მისამართებს არ შეიცავდა), ამხელდა კაპიტალისტური სამყაროს „მგლურ კანონებს“ (ძირითადად რუსულიდან თარგმნილი პამფლეტებისა და სხვა მასალების საშუალებით).

სატირისა და იუმორის რედაქციას უკავშირდება რადიოთი კინოფილმის გადაცემის პრაქტიკის აღდგენაც. როგორც მეორე თავში აღინიშნა, 50-იანი წლების დასაწყისში სისტემატურად გადაიცემოდა ყველა იმ ფილმის ფონოგრამა, რომლებსაც თბილისის კინოთეატრებში უჩვენებდნენ. აუცილებელ დამატებით ინფორმაციას დიქტორი იძლეოდა (ამგვარ გადაცემას „რადიოფილმს“ უწოდებდნენ). ამავე ტიპის იყო რუბრიკა „კინოფილმი უეკრანოდ“, რომელიც 8 წლის მანძილზე – 1982-1989 წლებში გადაიცემოდა (წლიურად 3-4). მიუხედავად იმისა, რომ იგი უთუოდ დააინტერესებდა აუდიტორიის გარკვეულ ნაწილს (თუნდაც უსინათლოებს ან დედაქალაქს დაშორებული რეგიონების მოსახლეობას), ეს არ იყო სწორი მიმართულება – კინო აუდიოვიზუალური ხელოვნებაა და მისი ხმა ცალკე, გამოსახულების გარეშე მოსასმენად არაა განკუთვნილი.

ლიტერატურასთან ერთად რადიომაუწყებლობაში ფართო ასპარეზი პოვა თეატრალურმა ხელოვნებამ, თუმცა ლიტერატურის მსგავსად მანაც განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია. ერთი მხრივ, იგი უფრო შეესაბამება რადიოს სპეციფიკას, რადგან ზეპირ სიტყვას, ხმაურსა და მუსიკას იყენებს, მაგრამ ამასთან ერთად თეატრი ისეთ ვიზუალურ ელემენტებსაც შეიცავს, როგორიცაა დეკორაცია, მსახიობთა ფიზიკური მოქმედება, მიზანსცენები და ა.შ., რომელთა რეპროდუქცია რადიოს არ შეუძლია და იძულებულია ისინი სიტყვიერი ფორმით გამოხატოს. ამითაა განპირობებული როგორც თეატრალური ტრანსლაციების დროს, ისე სტუდიაში დადგმულ სპექტაკლებში წამყვანის არსებობა, რომელიც რადიომსმენელებს განუმარტავს ყველაფერს, რაც მოქმედ პირთა მეტყველებით, ხმაურით ან მუსიკით არ გადმოიცემა.

საქართველოს რადიოში დრამატულ გადაცემათა რედაქცია ცალკე სტრუქტურად 60-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. თუმცა, როგორც წინა თავებში აღინიშნა, ის ლიტერატურულ მა-

უწყებლობასთან ერთად 50-იანი წლებიდან იღებს სათავეს. სხვადასხვა პერიოდში ამ რედაქციაში მუშაობდნენ: სულიკო გაწერელია, ლამარა კიკილაშვილი, ნაზი ელიაშვილი, შოვინა ქაცარავა, მანანა თევზაძე, ნინო იაშვილი.

ისტორიულად დრამატული მაუწყებლობის პირველი ფორმა იყო თეატრალური სპექტაკლის ტრანსლაცია, თავიდან იგი პირდაპირ ერთვებოდა რადიოპროგრამაში ანდა პირდაპირ გადაიცემოდა სტუდიიდან ადაპტირებული სახით, შემდგომ კი, როცა ჩაწერის შესაძლებლობა შეიქმნა, სპექტაკლების გადაცემას უფრო ორგანიზებული და სისტემატიზებული სახე მიეცა. სპექტაკლის ჩანაწერი, რომელსაც თან დიქტორის განმარტებითი ტექსტიც ერთვოდა, 60-იან წლებამდე ცხადდებოდა როგორც სპექტაკლის რადიომონტაჟი. რუბრიკა „თეატრი მიკროფონთან“ (იგი მოიცავდა როგორც დრამატული, ისე საოპერო სპექტაკლების პირდაპირ ტრანსლაციებს ან სატრანსლაციო ჩანაწერებს) 1957-1970 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა ორშაბათობით ან სამშაბათობით. 1971 წლიდან მისთვის გამოიყო მუდმივი დრო – ორშაბათი, 20 საათი და 30 წუთი, ხოლო 1983-1990 წლებში შაბათი და კვირაც დაემატა. ამ რუბრიკით გადაიცემოდა როგორც რესპუბლიკური, ისე რაიონული თეატრების გამორჩეული სპექტაკლებიც, რომლებიც ახლა საქართველოს რადიოს ფონდშია თავმოყრილი და დიდ მხატვრულ მემკვიდრეობასთან ერთად უნიკალურ მასალას წარმოადგენს ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას მეორე რუბრიკის – „სცენის ოსტატების“ შესახებ. 1960-1970 წლებში ისიც არასისტემატურად და სხვადასხვა პერიოდულობით გადაიცემოდა ეთერში, ამასთან ხან რომელიმე მსახიობის პორტრეტს წარმოადგენდა (მაგალითად, გადაცემა გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობ ი. რუსინოვზე – 1960, 20. 04), ხან კიდევ სცენას სპექტაკლიდან ყოველგვარი კომენტარის გარეშე. 1971 წლიდან იგი სისტემატურად გადაიცემოდა ყოველ ხუთშაბათს, 12 საათსა და 25 წუთზე, 10 წუთის მოცულობით და წარმოადგენდა სცენას სპექტაკლიდან ამა თუ იმ გამოჩენილი მსახიობის მონაწილეობით. თეატრალურ ხელოვნებას ეთმობოდა აგრეთვე რუბრიკა „სცენები სპექტაკლებიდან“, რომელიც სხვადასხვა პერიოდულობითა და ქრონომეტრაჟით, მაგრამ სისტემატურად გადაიცემოდა 1957-1984 წლებში და 1978 წლის ყოველთვიური ციკლი „თქვენი თხოვნით“, რომელიც ლიტერატურულ გადაცემებთან ერ-

თად ზოგჯერ თეატრალურ სპექტაკლებსა და რადიოდადგმებსაც მოიცავდა.

თვითონ თეატრალური ცხოვრების მიმდინარეობას, მისი პრობლემების განხილვას 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე რადიომაუწყებლობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. საქართველოს გასაბჭოების 40 წლისთავისათვის, 1961 წელს მოეწყო რამდენიმე გადაცემა ციკლით „ქართული საბჭოთა თეატრი 40 წლის მანძილზე“ და 1967 წელს, საქართველოს გასაბჭოების წლისთავისათვის ასევე რამდენიმე გადაცემა ციკლით „ქართული საბჭოთა თეატრი“ (ცალკეული მასალები პერიოდულად გადაიცემოდა აგრეთვე რადიოჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“).

რადიომაუწყებლობაში თეატრალური ხელოვნების მეორე მიმართულებაა რადიოთეატრი. როგორც ადრე აღინიშნა, საქართველოს რადიოში პირველი რადიოსპექტაკლები უკვე 30-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა და თეატრალურ და საოპერო სპექტაკლებთან ერთად პირდაპირ გადაიცემოდა ეთერში. მაშინ იგი მძლავრად განიცდიდა დეკლამაციური ხელოვნების ზეგავლენას და უფრო ლიტერატურული თეატრის ესთეტიკისაკენ იხრებოდა. შემდგომ რადიოს სპეციფიკის ათვისებისა და მისი გამოსახვითი საშუალებების დაუფლებასთან ერთად რადიოთეატრმაც თანდათან შეიცნო თავისი შესაძლებლობანი. ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა რადიოტექნიკის განვითარებამ, კერძოდ, მაგნიტური ჩაწერის დამკვიდრებამ, რამაც მრავალარხიანი ფიქსაციისა და შემდეგ არსებულ მასალაზე მუშაობის საშუალება შექმნა.

60-იანი წლებისათვის, შეიძლება ითქვას, რადიოსპექტაკლის ბუნება ძირითადად უკვე გააზრებულია – ეს უკვე აღარ არის ტექსტის უბრალო დიალოგიზაცია ან სანახაობის ფონოგრამა, არამედ დამოუკიდებელი ესთეტიკური სტრუქტურა, რომელიც მაქსიმალურად იყენებს რადიოს ყველა გამოსახვით საშუალებას – ზეპირ სიტყვას, ხმაურს, მუსიკას, მონტაჟს, დროის ტრანსფორმაციიდან გამომდინარე ყველა შესაძლებლობას. ქართული რადიოთეატრის ჩამოყალიბება რეჟისორთა რამდენიმე თაობის დამსახურებაა. 1957-1984 წლებში, სხვადასხვა პერიოდში, რადიოში მოღვაწეობდნენ: გივი საგინაშვილი, დავით ძიგუა, სერგო ჭელიძე, ჯემალ ანჯაფარიძე, გიორგი ვასაძე, ლევან გურული, შალვა მჟავანაძე, ციალა ქურდოვანიძე, ნელი რუსიშვილი, გიორგი გამსახურდია, ვლადიმერ მოდებაძე, თათია ხაინდრავა, ბადრი მიქაშავიძე, თამაზ მესხი და სხვ. განსა-

კუთრებით დიდი წვლილი მიუძღვით რადიოს მთავარ რეჟისორებს: გ. მაცხონაშვილს, ვ. მაღლაფერიძეს, ზ. კანდელაკს. მათი ნამუშევრები ღირსეულად ფასდებოდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, 1960 წლის 13 მაისს გაზეთი „ლაპარაკობს თბილისი!“ იუწყებოდა, რომ „რადიოს ლიტერატურულ-დრამატულმა რედაქციამ რ. ჩაჩანიძის მოთხრობის „სიმღერა ოქროსფერ მტრედებზე“ რადიოდადგმა საკონკურსოდ გაგზავნა საკავშირო რადიოკომიტეტში. ახლახან გამოირკვა კონკურსის შედეგები. რადიოდადგმა დაჯილდოვდა მეორე ხარისხის დიპლომით. ეს შემოქმედებითი გამარჯვება შედეგია მსახიობებისა და რეჟისორის, რედაქციის მუშაკების კარგი მუშაობისა. დადგმის რეჟისორია გ. მაცხონაშვილი, მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები: კოვალიოვა, სიომინა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე და სხვ.“ ასევე მაღალი შეფასება მიეცა 1962 წელს მოკავშირე რესპუბლიკების რადიოფესტივალზე ნ. დუმბაძის მოთხრობის „მე ვხედავ მზეს“ რადიოდადგმას, რომელიც 17 დეკემბერს გადაიცა საკავშირო ეთერში (ინსცენირების ავტორები: გ. დვალიშვილი, რ. ურუშაძე, რეჟისორი გ. მაცხონაშვილი). რუსულ ენაზე მომზადებული ქართული რადიოსპექტაკლები 70-იან და 80-იან წლებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამგვარ ფესტივალებზე.

რადიოში სპექტაკლების დასადგმელად არაერთხელ მოუწვევიათ ქართული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეებიც, მაგალითად, აკაკი ვასაძე (ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღები“), არჩილ ჩხარტიშვილი (უიარაღოს „მამელუკი“, ალ. მორეკის „ბეთჰოვენი“), რობერტ სტურუა და თეიმურაზ აბაშიძე (ონორე დე ბალზაკის „მამა გორიო“), მიხეილ თუმანიშვილი (დავით კლდიაშვილის „მსხვერპლი“), თემურ ჩხეიძე (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“), აგრეთვე: დოდო ანთაძე, ანზორ ქუთათელაძე, მერაბ ჯალიაშვილი, ალეკო ნინუა, თენგიზ გოშაძე და სხვ.

ქართული რადიოთეატრი არასოდეს ყოფილა განებივრებული ორიგინალური რადიოპიესებით (პირველი სერიოზული ცდები ამ სფეროში 80-იანი წლებიდან იწყება და მხოლოდ 90-იან წლებში აღწევს გარკვეულ პროფესიულ დონეს). იმ დადგმებიდან, რომლებიც 1960-1984 წლებში მომზადდა, აბსოლუტური უმრავლესობა თეატრალურ პირებსა და ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებთა ინსცენირებებს ემყარებოდა. პირველ რიგში საქართველოს რადიომ მიზნად დაისახა ახალი ხელოვნების საშუალებით ქართული ლიტერატურის

წარმოჩენა. ეთერში აჟღერდა ქართული კლასიკის საუკეთესო ნიმუშები: ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და „გოგოთურ და აფშინა“, ა. ყაზბეგის „მოძღვარი“, „ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“ და სხვ. დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ე. ნინოშვილის, ნ. ლორთქიფანიძის და სხვათა ნაწარმოებების ინსცენირებები. განსაკუთრებით ფართო ადგილი დაეთმო უახლეს ქართულ ლიტერატურას: მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, გ. ლეონიძის ინსცენირებული მოთხრობები, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და „ჰაკი აძბა“, დ. შენგელაიას „განძი“, ლ. გოთუას „უგზო ქარავანი“ და „კრწანისის სევდა“, ა. ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“, ვ. ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“, ნ. დუმბაძის „ნუ გააღვიძებ!“, გ. დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და მრავალი სხვა. საქართველოს რადიო არც საბჭოთა ლიტერატურას და საზღვარგარეთის ლიტერატურას ტოვებდა უყურადღებოდ. მომზადდა რადიოსპექტაკლები ცნობილი ნაწარმოებების მიხედვით: მ. გორკის „მაკარ ჩუდრა“, ნ. პოგოდინის „მესამე პათეტიკური“, კ. პაუსტოვსკის „ოქროს ვარდი“, კ. სიმონოვის „დღეები და ღამეები“, ჩ. აიტმატოვის „თეთრი ხომალდი“ და სხვ. აგრეთვე ევრიპიდეს „მედეა“, ო. ბალზაკის „პოლკოვნიკი შაბერი“, ბ. ბრეხტის „გალილეო გალილეი“, ე. ვოინიჩის „კრაზანა“, ე. ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ და ა.შ.

ჩვეულებრივად, 1960-1984 წლებში საქართველოს რადიოს კვირის პროგრამაში ყოველთვის იყო ერთი რადიოსპექტაკლი მაინც. ამავე დროს რადიოში დამკვიდრდა რადიოდადგმების ფესტივალების მოწყობის ტრადიციაც (მაგალითად, 1962 წლის აპრილ-მაისში და 1980 წლის ნოემბრიდან 1981 წლის თებერვლის ჩათვლით – საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავისათვის). ასე რომ, რადიოთეატრი საქართველოს რადიომაუწყებლობის აუცილებელ ელემენტად ჩამოყალიბდა.

მუსიკალური მაუწყებლობა. მუსიკა თავისი ბგერადობის გამო ყველა ხელოვნებაზე მეტად შეესაბამება რადიოს სპეციფიკას და რადიომაუწყებლობა მთელ მსოფლიოში მისი ყველაზე მასობრივი გამავრცელებელი და პროპაგანდისტია.

მუსიკალურ გადაცემებს ყოველთვის წამყვანი ადგილი ეკავა საქართველოს რადიოს პროგრამაშიც. რადიოაუდიტორიის მუსიკით

დაინტერესებამ განაპირობა თავის დროზე მეორე პროგრამისა და ულტრამოკლეტალღოვანი მაუწყებლობის ჩამოყალიბება, სტერეო-მაუწყებლობის დაწყება, მუსიკალურ-ინფორმაციული პროგრამების წარმოშობა. ყოველდღიურად დროის უმეტესი ნაწილი ეთერში მუსიკას ეკავა და, შესაბამისად, მუსიკალური გადაცემების რედაქციაც სხვებთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო. თავიდან იგი მხატვრული გადაცემების მთავარი რედაქციის სტრუქტურაში შედიოდა, 1967 წლიდან კი ცალკე მთავარ რედაქციად ჩამოყალიბდა (მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ბუკია, 1968 წლიდან – გულნარა კაცელაშვილი, 1979 წლიდან – ლალი ვარდანაშვილი). 1957-1984 წლებში, სხვადასხვა პერიოდში, აქ მუშაობდნენ: კ. როსებაშვილი, გ. გვარჯალაძე, გ. არაყიშვილი, დ. ვეჩერკოვსკი, მ. გუგეშაშვილი, ნ. ხვიტია, გ. თხელიძე, ი. გამყრელიძე, მ. ფერაძე, ლ. მიქაბერიძე, ლ. სეხნიაშვილი, მ. ფიჩხაძე, მ. კორძაია, პ. ხურციძე, ე. გრიგოლია, ე. ჯაფარიძე, ჯ. ყიფიანი, ნ. წილოსანი, ლ. წკეპლაძე, ვ. ნანიტაშვილი, ჯ. სეფიაშვილი. ა. ბელიავსკი, ლ. გაბუნია, ლ. კარანაძე, ნ. ბახტაძე, ნ. გარსევანიშვილი, გ. ხვედელიძე, მ. ჩიჯავაძე, ლ. სეთურიძე, მ. შაოშვილი და სხვ. გარდა ამისა, რადიოში მოღვაწეობდა ბევრი თვალსაჩინო მუსიკოსი – სხვადასხვა ორკესტრისა და ანსამბლის დირიჟორი თუ სამხატვრო ხელმძღვანელი: ლილე კილაძე, გივი აზმაიფარაშვილი, ვადიმ შუბლაძე, სპარტაკ კორკოტაშვილი, კირილე ვაშაკიძე, ომარ კელაპტრიშვილი, ნიკო ნადირაშვილი, მამია ხატელიშვილი, თემურ ქევხიშვილი, გიორგი უშიკიშვილი, ოთარ საფარიშვილი, საშა რაქვიაშვილი, გივი გაჩეჩილაძე, თამაზ ყურაშვილი, გოგი კალანდაძე და სხვ.

მუსიკა ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა აუდიტორიასთან რადიოს ურთიერთკავშირის განმტკიცებაში. ყველაზე მეტ წერილს საქართველოს რადიომაუწყებლობაში მუსიკალური პროგრამების რედაქცია იღებდა და, როგორც წესი, რადიომსმენელთა ფოსტის უდიდესი ნაწილი სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოების გადაცემის თხოვნას შეიცავდა. ამითაა განპირობებული, რომ დაარსებიდან დღემდე საქართველოს რადიოს პროგრამაში ყოველთვის იყო კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 1961-1965 წლებში მას ეწოდებოდა „კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით“ და გადაიცემოდა ყოველ პარასკევს, 30 წუთის მოცულობით. 1966 წელს კონცერტს ეწოდა „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ და, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, 1984 წლის ბოლომდე ყოველკვირეულად იყო პროგრამა-

ში (50 წთ.). გარდა ამისა, 1963-1984 წლებში ყოველ კვირა დღეს, 18 საათისა და 10 წუთიდან 19 საათამდე (1978 წლიდან კი 19 საათიდან) ეთერში იყო კიდევ ერთი „კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით“ (პერიოდულად – „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“).

მაგრამ „დაკვეთილი“ კონცერტების ორგანიზაცია ყოველთვის მხოლოდ რადიომსმენელთა ინტერესებითა და მოთხოვნილებებით როდი იყო გამოწვეული. მას გარკვეული პოლიტიკური ფუნქციაც ეკისრებოდა და ხშირად ერთგვარი „ჯილდოს“ ფორმაც კი ჰქონდა – ამა თუ იმ ადამიანებისადმი თუ სოციალური ჯგუფისადმი პატივისცემას გამოხატავდა. მაგალითად, „კონცერტი კომუნისტური შრომის ბრიგადების, მოწინავე ქარხნების, ფაბრიკებისა და საწარმოების მუშაკთა დაკვეთით“ (1960, 13. 07), „კონცერტი საქართველოს ძველი ბოლშევიკების დაკვეთით“ (1962, 25. 02), „კონცერტი თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის რადიომსმენელთა კვირეულის მონაწილეთა დაკვეთით“ (1962, 4. 03), „კონცერტი ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მყოფი ქართველი მეცხვარეების დაკვეთით“ (1962, 28. 06) და სხვ. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, 1961-1971 წლებში საიუბილეო ციკლის „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ ყოველ გადაცემას ცალკეულ რაიონზე თან ახლდა კონცერტი ამ რაიონის მშრომელთა თხოვნით; ასევე, ყოველი პროფესიული დღის აღსანიშნავად სპეციალურ გადაცემასთან ერთად ეთერში იყო კონცერტი ამ პროფესიის მუშაკთა თხოვნით. მუსიკალური გადაცემების რედაქცია კონცერტებით ეხმაურებოდა აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სამეურნეო კამპანიას: „კონცერტი პარტიის ... ყრილობის დელეგატების თხოვნით“, „კონცერტი შრომითი სემესტრის მონაწილეებისათვის“, კონცერტი „თქვენთვის, მევენახეებო!“ (1980, ოქტომბერი), კონცერტი „თქვენთვის, სტუდენტური რთველის მონაწილენო!“ (1984, ოქტომბერი) და სხვ.

ეს კონცერტები შერეული ხასიათისა იყო და აუდიტორიის გათვალისწინებით უმრავლეს შემთხვევაში ესტრადას, მსუბუქ მუსიკას, ხალხურ სიმღერებს მოიცავდა. საერთოდ კი, საქართველოს რადიოს მუსიკალური მაუწყებლობა 1957-1984 წლებში უაღრესად მრავალფეროვანი და დიფერენცირებული იყო. ამას, ერთი მხრივ, განაპირობებდა აუდიტორიის სხვადასხვა ნაწილის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განსხვავებული გემოვნება, ინტერესები და მოთხოვნილებანი, რომელსაც მუსიკალური პროგრამების რედაქცია სისტემატურად სწავლობდა წერილების საშუალებით (იშვიათად, სოციო-

ლოგიური გამოკვლევების მეშვეობით), აგრეთვე რადიომსმენელების დასწრებული თუ დაუსწრებელი კონფერენციების მოწყობით. მაგალითად, 1960 წლის 25 მარტს გაზეთი „ლაპარაკობს თბილისი!“ იუწყებოდა, რომ „1960 წლის 31 მარტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი აწყობს რადიომსმენელთა საქალაქო კონფერენციას თემაზე – „მუსიკალური გადაცემები“. კონფერენცია ჩატარდება ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში (გრიბოედოვის ქ. 8). დასასრულს გაიმართება კონცერტი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამგვარ კონცერტებს რადიომსმენელებთან სხვადასხვა შეხვედრებზე ხშირად მართავდნენ რადიო-ტელევიზიის სამხატვრო კოლექტივები. 1957-1984 წლებში ტელე-რადიოკომიტეტს მუდმივად ჰყავდა თავისი სიმფონიური ორკესტრი, საესტრადო ორკესტრი, ფოლკლორული ანსამბლი, სხვადასხვა პერიოდებში კი ბავშვთა გუნდი, ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ვაჟთა ვოკალური კვარტეტი, სიმფონიური კვარტეტი, ანსამბლი „ლაშარი“ და სხვ., რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მუსიკალური გადაცემების მომზადებაშიც. რადიოაუდიტორიის მოთხოვნილებათა შესწავლა პერიოდულად ხდებოდა აგრეთვე ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დღეების მიმდინარეობისას, რომლებიც 1980-1984 წლებში ხშირად ეწყობოდა საწარმოო თუ სხვა ორგანიზაციებში და რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში. მუსიკალური მაუწყებლობის მრავალგვაროვან ხასიათს ბევრად განსაზღვრავდა აგრეთვე თვითონ მუსიკალური ჟანრებისა და ფორმების მრავალფეროვნება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რადიოში თავიდანვე ჩამოყალიბდა მუსიკალური მაუწყებლობის სამი ძირითადი მიმართულება: კლასიკური მუსიკის, საესტრადო და მსუბუქი მუსიკისა და ხალხური მუსიკის (თვითონ მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის სტრუქტურაც ამის მიხედვით იყო ორგანიზებული).

კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები ცალკე იშვიათად თუ გამოჩნდებოდა პროგრამაში, ისინი გაერთიანებული იყო სხვადასხვა რუბრიკაში, რაც რედაქციას თემებისა და ფორმების ტიპიზაციის საშუალებას აძლევდა და ხელს უწყობდა მუდმივი აუდიტორიის ჩამოყალიბებას. ზოგიერთი რუბრიკა ათეული წლების განმავლობაში გადაიცემოდა ეთერში, მაგ.: „ხელოვნების ოსტატთა კონცერტი“ (ან „მსოფლიოს, საბჭოთა თუ საქართველოს ხელოვნების ოსტატთა

კონცერტი“), „პოპულარული სიმფონიური მუსიკა“, „პოპულარული საოპერო მუსიკის კონცერტი“, „საბალეტო მუსიკა“, „კამერული მუსიკა“ და ა.შ. ზოგიერთი რუბრიკა ჟანრის, ავტორის ანდა შემსრულებლების მიხედვით იყო დიფერენცირებული: „ქართველი საბჭოთა კომპოზიტორები“ (1960), „საბჭოთა მუსიკა“ (1961), „გამოჩენილი საბჭოთა მომღერლები“ (1965), „საბჭოთა მუსიკის საათი“ (1968, ყოველკვირეული), „იტალიური ოპერა“ (1964) და სხვ. ეწყობოდა მრავალი საოპერო და სიმფონიური კონცერტის ტრანსლაცია ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან და სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზიდან. 1970-1984 წლებში თვეში ორჯერ, შაბათ დღეს, რუბრიკა „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ (30 წთ.) მუსიკას ეთმობოდა. 1975-1991 წლებში ხშირად იყო ეთერში რუბრიკა „ჩვენი ახალი ჩანაწერები“ (როგორც ეროვნული, ისე საზღვარგარეთული მუსიკის). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ყოველკვირეული სერიული გადაცემები: 1963 წლიდან ყოველ პარასკევს, 1969 წლიდან კი ყოველ კვირას, 1984 წლის ბოლომდე გადაიცემოდა რუბრიკა „მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის“, ხოლო 1973-1991 წლებში – „ახალგაზრდების შემოქმედება“ (ყოველ პარასკევს, 20-25 წუთი). ორივე მათგანი კლასიკურ მუსიკას უწევდა პროპაგანდას. 1973-1981 წლებში, ყოველ კვირა დღეს, ერთი საათი ეთმობოდა რუბრიკას „გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები“ (კონცერტი).

კლასიკური მუსიკის პროპაგანდის ერთ-ერთი მიმართულება იყო მუსიკალური გადაცემები კომენტარის თანხლებით, სადაც ტექსტი საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებდა, ხელს უწყობდა მუსიკალური ნაწარმოების გაგებასა და აღქმას, კომპოზიტორის თუ შემსრულებლის შემოქმედების გაცნობას და ა.შ. განსაკუთრებით მოსახერხებელი გამოდგა ამ მიზნით კონცერტი-საუბრის ფორმა – მაგალითად, კონცერტი-საუბარი „დირიჟორი ე. მიქელაძე“ (1959, 23.06), კონცერტი-საუბარი „ფრანგული მუსიკა“ (1960, 12.05), კონცერტი-საუბარი „ქართული მუსიკა ყრილობიდან ყრილობამდე“ (1966, 28.03), ციკლები: „სიმფონიური მუსიკა და მისი საკრავები“ (1966-1967, კომპოზიტორ შ. მშველიძის საავტორო გადაცემა), „საბჭოთა მუსიკის მატიანე“ (1967), „ქართული მუსიკა დღეს“ (1971) და სხვ. 1968-1975 წლებში თითქმის ყოველკვირეულად (შაბათობით) ეთერში იყო რუბრიკა გამოჩენილ კომპოზიტორთა და მუსიკოს-შემსრულებელთა შესახებ „მოგონებები, წერილები, სტატიები“ (1 საათამდე). უფრო ადრე ამ ტიპის იყო რადიოკომპოზიცია „ჯილის მო-

გონებების მასალები“ (1966, სამი გადაცემა). რადიომსმენელების დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის კონსერვატორიის პროფესორ ნოდარ ანდღულაძის საავტორო ციკლმა „მსოფლიოს საოპერო სცენის ვარსკვლავები“, რომელიც 1984 წლიდან ყოველკვირეულად გადაიცემოდა ნახევარი საათის მოცულობით. 60-იანი წლების პირველ ნახევარში პოპულარული იყო საგანმანათლებლო-გასართობი ციკლები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად კლასიკურ მუსიკასაც მოიცავდა: „იცით თუ არა, თქვენ? (1961), „მუსიკალური რადიოვიქტორინა“ (1963-1965, 1969, 1970), „მუსიკალური კროსვორდი“ (1964, 1965), „მუსიკალური ლექსიკონი“ (1964), „კონცერტი-გამოცანა“ („მოდი, გავიხსენოთ!“ – 1973).

რადიომაუწყებლობაში განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მხატვრულ და დოკუმენტურ ტექსტებთან მუსიკალური ფორმების გაერთიანება. ეს პროცესი საქართველოს რადიოში უკვე შეიმჩნევა 60-იანი წლების დასაწყისიდან. მუსიკოსებზე შექმნილი მხატვრული თუ დოკუმენტური გადაცემები გამდიდრებულია შესაბამისი მუსიკალური ნაწარმოებებით, რაც მკვეთრად ზრდის მათ ემოციურ ზემოქმედებას და უფრო სრულად გვიჩვენებს გმირის სახეს (სრულიად ცხადია, რომ კომპოზიტორსა და მომღერალზე რადიოთი მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლება მისი ბგერადობის გამო, ვიდრე თუნდაც უკეთესი საგაზეთო თუ საჟურნალო ნარკვევიდან). ამასთან, აქ მუსიკა იმდენად გამოსახვით საშუალებას არ წარმოადგენს, რამდენადაც ესთეტიკური ზემოქმედების დამოუკიდებელი ფუნქცია გააჩნია, თუმცა ერთიანი გადაცემის განუყოფელი ელემენტია. მუსიკას ასეთ შერეულ ფორმებში იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ იგი ჟანრის სახელწოდებაზეც კი არის დამატებული და ხაზს უსვამს ნაწარმოებში ორი ელემენტის – ზეპირი სიტყვისა და მუსიკის თანაარსებობას. ამის მაგალითებია: მუსიკალური ნოველები: „სვანეთის მთების გამოძახილი“ (1959. 9.04), „სიჭაბუკის წლები“ (1961, 6.03), „ვიოლინო“ (1964, 28.01), „შოპენის დაბრუნება“ (1979, 8.08), მუსიკალური მოთხრობები: „ერთი ღამის გენია“ (1964, 18.02), „რუსული სიმფონია“ (1966, 12.01), „შოპენის ცხოვრებიდან“ (1968, 8.04); მუსიკალური რადიონარკვევები: „ნიკო შარაბიძე“ (1968. 12.04), „ელისო ვირსალაძე“ (1979, 17.05), „მღერის მედეა ნამორაძე“ (1986, 13.03); „მუსიკალური პორტრეტები“ (ამ ციკლით, მაგალითად, 1961 წელს 12 გადაცემა მომზადდა პ. ამირანაშვილის, ზ. ანჯაფარიძის, ნ. ანდღულაძის, თ. მუშკუდიანისა და სხვა გამოჩენილი ქართველი მომ-

ღერლების შესახებ); კონცერტი-ნარკვევი „პროფესორ ა. თულაშვილის კლასი“ (1967, 11.12), კონცერტი-ინტერვიუები: „შეხვედრა შ. მშველიძესთან“ (1982. 10.08), „პეტრე თომაძე“ (1985, 18.04); ამგვარი ფორმის იყო აგრეთვე კომპოზიტორ ჯ. სეფიაშვილის საავტორო რუბრიკა „შეხვედრები მიკროფონთან“ (1981-1986 წ. ყოველ პარასკევს, 25 წთ, სადაც იგი ნებისმიერი პროფესიის ადამიანებს იწვევდა და ინტერვიუს პროცესში თან მის საყვარელ მუსიკალურ ნაწარმოებებს ასმენინებდა).

საქართველოს რადიოს პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სხვადასხვა მუსიკალური კონკურსებისა და ფესტივალების გაშუქებას, რომლებიც ძირითადად კლასიკურ მუსიკას ეძღვნებოდა. საკმარისია დავასახელოთ „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული (1958, 11-13.05), „ამიერკავკასიის მუსიკალური შემოდგომა“ (1963, 29-31. 10), „ჩაიკოვსკის მუსიკის კვირეული“ (1964, 3-9.05), „ამიერკავკასიის გაზაფხული“ (1975, 22. 05-1.06), „ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი“ (სისტემატურად) და სხვ. საერთოდ, მუსიკალური ცხოვრება ყოველთვის იყო საქართველოს რადიოს ყურადღების ცენტრში და სისტემატურად აისახებოდა სხვადასხვა ფორმით. მათ შორის ყველაზე გავრცელებული იყო „კონცერტი-მიმოხილვები“. 1960-1984 წლებში მეტ-ნაკლები პერიოდულობით გადაიცემოდა რადიომიმოხილვა (ასე ეწოდებოდა) „თბილისის საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში“, რომელიც მრავალ მუსიკალურ ნომერსაც შეიცავდა. მიმოხილვის ფორმისა იყო რადიოჟურნალი „ჩანგიც“, რომელიც 1963-1968 და 1980-1984 წლებში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სისტემატურად გადაიცემოდა ეთერში ერთი საათის მოცულობით და ძირითადად მიმოიხილავდა თვის მუსიკალური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს (თუმცა ზოგიერთ სხვა მასალასაც შეიცავდა). 1977-1979 წლებში „ჩანგს“ ცვლიდა იმავე ხასიათის თვის მუსიკალური მიმოხილვები: „მუსიკალური იანვარი“, „მუსიკალური თებერვალი“, „მუსიკალური მარტი“ და ა.შ. მათგან რამდენადმე განსხვავდებოდა კონცერტი-მიმოხილვები, რომლებიც თვითონ რადიომაუწყებლობის მუსიკალურ გადაცემებს უწევდა რეკლამას, მაგალითად, კონცერტი-მიმოხილვა „თქვენთვის, ესტრადის მოყვარულებო!“ და განსაკუთრებით კი – ანონსი-მიმოხილვის ფორმის „მუსიკალური რადიოაფიშა“. იგი 1963-1984 წლებში ყოველ კვირადღეს გადაიცემოდა 15-25 წუთის მოცულობით და მსმენელებს აცნობდა საქართველოს რადიოს შემდეგი

კვირის მუსიკალურ პროგრამას.

მუსიკალურ პროპაგანდას უკავშირდებოდა აგრეთვე ისეთი ციკლების მომზადება, როგორიცაა: „ლენინური პრემიის ლაურეატობის კანდიდატები“, „ლენინურ პრემიაზე წარდგენილი ნაწარმოებები“, „ლენინური პრემიის ლაურეატები“, „რუსთაველის პრემიის ლაურეატები“, „სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი ნაწარმოებები“ და ა.შ. (ყველა მათგანი ძირითადად მუსიკალური ნაწარმოების გადაცემას წარმოადგენდა). 1970 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ფართოდ გაშუქდა ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი (საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია მოეწყო 14 ოქტომბერს). აღარ გავაგრძელებთ იმაზე საუბარს, რომ სხვადასხვა საიუბილეო, საზეიმო თუ დიდი პოლიტიკური ღონისძიებების დღეებში სათანადო კონცერტებიც მზადდებოდა.

მუსიკალური მაუწყებლობის პოპულარულ მიმართულებას (განსაკუთრებით – ახალგაზრდობისათვის) წარმოადგენდა საესტრადო და მსუბუქი მუსიკის კონცერტები. 1960-1990 წლებში საქართველოს რადიოს მუდმივი რუბრიკები იყო: „საესტრადო კონცერტი“, „ნაცნობი მელოდიები“, „მსუბუქი მუსიკა“, „საოპერეტო მუსიკა“, „მუსიკა კინოფილმებიდან“ და ა.შ. ზოგიერთი რუბრიკა თითქმის ყოველდღიურად გადაიცემოდა. მაგალითად, „დილის კონცერტი“ მთელი ოცი წლის მანძილზე (1969-1989), ხუთშაბათისა და კვირადღის გარდა, ყოველდღე იყო ეთერში 7 საათსა და 30 წუთზე (30 წთ.), ხოლო 1979-1988 წლებში 18.10-დან 19.00-მდე, პარასკევისა და კვირის გარდა, ყოველდღე გადაიცემოდა საესტრადო კონცერტი – „მელოდია, რიტმი, განწყობილება“. 1981-1984 წლებში კვირაში ოთხი დღე ეკავა რუბრიკას „მელოდიიდან მელოდიამდე“. ყოველ-კვირეულად იყო რუბრიკები: კონცერტი „შაბათ საღამოს“ (1962-1967, 21 საათზე, 50 წუთი), „ესტრადა გუშინ, ესტრადა დღეს“ (1971, 1972, 30 წთ., კვირადღეობით), „მუსიკალური მოზაიკა“ (1980-1983, ჯერ შაბათს, შემდეგ – კვირას, 30 წთ.) და სხვ.

ასევე მუდმივად იყო 1960-1984 წლებში საქართველოს რადიოს პროგრამაში რუბრიკები, რომლებიც ხალხურ მუსიკას მოიცავდა: „ქართული ხალხური მუსიკა“, „ქართული ხალხური სიმღერები“, „ქართული სუფრული სიმღერები“, „ქართული ხალხური სატრფიალო სიმღერები“, „ქალაქური ჰანგები“ და სხვ. რადიოში ქართული ხალხური სიმღერების პროპაგანდა მჭიდროდ უკავშირდებოდა რეს-პუბლიკაში მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას (ხალხური

მუსიკისა და სიმღერების დიდი ნაწილი, რომელიც ეთერში გადაიცემოდა, თვითმოქმედი ანსამბლების მიერ იყო შესრულებული). რადიომაუწყებლობა ამ სფეროში დიდ ორგანიზაციულ მუშაობასაც ეწეოდა – აწყობდა სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებს საუკეთესო თვითმოქმედი ანსამბლებისა და მუსიკოს-შემსრულებელთა გამოსავლენად (გავიხსენოთ თუნდაც ზემოთ აღნიშნული კონკურსი „ხალხის საუნჯე“, რომელიც 1963 წლის თებერვალში გაიმართა). 60-იანი წლების პირველ ნახევარში თვითმოქმედება ხაზგასმით აღინიშნებოდა სპეციალურ რუბრიკებშიც (იგი შეესაბამებოდა გავრცელებულ ლოზუნგს, რომ „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს“): „ჩვენი თვითმოქმედება“ (1963-1966, ყოველკვირეულად, 30 წთ.), „თვითმოქმედი ანსამბლებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი“, „მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა კონცერტი“ (1964, 1965 – ორივე სხვადასხვა დროს სხვადასხვა პერიოდულობით). მოგვიანებით ხალხური შემოქმედებისათვის პროგრამაში მუდმივი დროც გამოიყო. 1968 წელს ყოველ ორშაბათ საღამოს გადაიცემოდა ნახევარსაათიანი კონცერტი „ჩემი სამშობლოს სიმღერები“, ხოლო 1977-1984 წლებში, ორშაბათისა და ოთხშაბათის გამოკლებით, დილით 6 საათსა და 35 წუთზე ეთერში იყო რუბრიკა „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“ (25 წთ.).

საქართველოს რადიო სისტემატურად გადასცემდა აგრეთვე სხვა ხალხების შემოქმედების ნიმუშებსაც. გარდა იმისა, რომ პროგრამაში ხშირად იყო აფხაზური და ოსური სიმღერები, აგრეთვე ცალკეული გადაცემები საზღვარგარეთის ხალხთა მუსიკაზე (მაგალითად, „ლათინური ამერიკის ხალხთა სიმღერები“ და „აფრიკის მელოდიები“ 1968 წელს), 1957-1984 წლებში მუდმივად გადაიცემოდა რუბრიკები: „მსოფლიოს ხალხთა მუსიკა“ და „მსოფლიოს ხალხთა სიმღერები“, ხოლო სხვადასხვა პერიოდში: „სიმღერით მსოფლიოს გარშემო“ (1961-1964) და „მუსიკალური გლობუსი“ (1968, ყოველკვირეული). ცალკე უნდა გამოიყოს „კონცერტი აზერბაიჯანისა და სომხეთის მსმენელთათვის“ (1960), რომელსაც გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა – სოციალისტური ინტერნაციონალიზმის თემას ეხმაურებოდა. ამ ციკლის საფუძველზე შეიქმნა რუბრიკა „მეგობრობის კონცერტი“, რომელიც 1969-1984 წლებში ყოველ კვირადღეს, 15 საათზე რიგრიგობით გადაიცემოდა თბილისიდან, ბაქოდან და ერევნიდან სამივე რესპუბლიკის მსმენელებისათვის 30 წუთის მოცულობით (იგი, რა თქმა უნდა, ხალხური სიმღერების გარ-

და კლასიკური და მსუბუქი მუსიკის ნაწარმოებებსაც მოიცავდა).

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს რადიოში ინტენსიურად მიმდინარეობდა მუსიკალური ფონდის კომპიუტერიზაციის სამუშაოები, რისთვისაც მუსიკალური გადაცემების რედაქციაში სპეციალური ჯგუფი იყო შექმნილი. სამწუხაროდ, უკვე დამუშავებული დიდძალი მასალა განადგურდა 1991 წელს სამოქალაქო დაპირისპირებისა და ეროვნული გვარდიის ამბოხებული ნაწილების მიერ რადიო-ტელევიზიის შენობის დაკავების პერიოდში და ამ სამუშაოების განახლება მხოლოდ 15 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

საგანმანათლებლო მაუწყებლობა. საგანმანათლებლო ფუნქცია გარკვეულწილად პუბლიცისტურ, ლიტერატურულ და მუსიკალურ პროგრამებსაც ახასიათებს (ჩვენ ეს ზემოთ აღვნიშნეთ კიდეც), რომ არაფერი ვთქვათ საბავშვო მაუწყებლობაზე, სადაც იგი ცალკე, გამოკვეთილ მიმართულებას ქმნის. მაგრამ რადიომაუწყებლობის სისტემაში არის გადაცემები, რომელთა უშუალო დანიშნულება განათლების, ცოდნის გავრცელებაა (რადიო თავისი უნივერსალობის წყალობით პუბლიცისტიკასა და ხელოვნებასთან ერთად მეცნიერების – ცოდნის პოპულარიზაციის არხიცაა).

ერთ-ერთი ასეთი გადაცემა იყო „კულტურის რადიოუნივერსიტეტი“ (მოგვიანებით – რუბრიკა „კულტურის რადიოუნივერსიტეტის მსმენელთათვის“), რომელიც საკავშირო რადიოს ამავე სახელწოდების რუბრიკის ანალოგიით შეიქმნა და 1960-1963 წლებში გადაიცემოდა კვირაში 2-3-ჯერ, 1964-1965 წლებში – 2-ჯერ, 1966-1967 წლებში კი – ყოველ კვირადღეს, 15-20 წუთის მოცულობით. შემდეგ ეს რუბრიკა აღარ გამოჩენილა, რაც სავსებით ლოგიკური გახლდათ, რადგან „კულტურის რადიოუნივერსიტეტი“ რადიოს რელიქტური ფორმა იყო და მაუწყებლობის ინტენსიური დიფერენციაციის პირობებში თავისი ფუნქცია დაკარგა. იგი ინფორმაციული გამოშვებების გარდა მაუწყებლობის თითქმის ყველა სახეობას მოიცავდა და თემატურად განუსაზღვრელი იყო: გადაცემები სამყაროს აგებულებაზე, ატომურ ენერგიაზე, კომუნიზმის პრინციპებზე, პოლიტიკურ პრობლემებზე, მედიცინის სიახლეებზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე, ხელოვნების სხვა დარგებზე და ა.შ. (ამ პრინციპით შეიძლებოდა მთელ რადიომაუწყებლობასაც „კულტურის რადიოუნივერსიტეტი“ დარქმეოდა). აქედან გამომდინარე, მას რამდენიმე რედაქცია ამზადებდა (მეცნიერებისა და ტექნიკის, საზოგადოებრივ-

პოლიტიკური, ლიტერატურული, მუსიკალური და ა.შ.), რაც ხშირად რუბრიკაშიც ცხადდებოდა, მაგ.: „ლიტერატურული გადაცემა კულტურის რადიოუნივერსიტეტის მსმენელთათვის“ (1962), „მუსიკალური რადიოუნივერსიტეტი“ („როგორ მოვუსმინოთ მუსიკას“ – 1963, 1. 10.) და ა.შ. 1961 წლის 29 სექტემბერს გაზეთი „ლაპარაკობს თბილისი“ რადიომსმენელებს ამცნობდა: „ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან განვაგრძობთ გადაცემებს კულტურის რადიოუნივერსიტეტის მსმენელთათვის. ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციას სწავლების მეორე წელს განზრახული აქვს მოამზადოს გადაცემები შემდეგი ციკლების მიხედვით: „ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება“, „საბჭოთა კავშირის ხალხების ლიტერატურა და ხელოვნება“, „მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა და ხელოვნება“, „საზღვარგარეთის ლიტერატურა და ხელოვნება მე-19 საუკუნის ბოლომდე“... ლექციებსა და საუბრებს მოამზადებენ ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის საუკეთესო სპეციალისტები – გადაცემებს წაიყვანენ ჩვენი თეატრების საუკეთესო მსახიობები. გამოვიყენებთ ჩანაწერების ფონდს, ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან სცენის ოსტატთა მონაწილეობით“.

ამგვარ გადაცემებს როგორც ლიტერატურული, ისე სხვა რედაქციებიც „უნივერსიტეტის“ შემდეგაც ამზადებდნენ საკუთარი პროგრამით. მუსიკალურ საგანმანათლებლო გადაცემებზე ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რაც შეეხება ლიტერატურულ რედაქციას, მისი გადაცემების დიდი ნაწილი ესთეტიკურთან ერთად საგანმანათლებლო ფუნქციასაც ასრულებდა, ხოლო ზოგიერთი ციკლი თუ რუბრიკა უშუალოდ ამ მიზნით იყო შექმნილი, მაგალითად, პროფესორ ივანე გიგინეიშვილის საავტორო ციკლი „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის“ (1979-1986), ციკლები: „უკეთ ვასწავლოთ მოზარდებს მშობლიური ლიტერატურა“ (1986), „რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“ (1974, 8.07), მწერალ ვ. ჭელიძის საავტორო ციკლი „საქართველოს ისტორია – გმირები და მოვლენები“ (1983-1984, თვეში ორჯერ, 20-25 წთ.), „უნიკალური ქართული ძეგლები“ (1961), „რა განძი გვქონია“ (1980-1984, წლიურად 1-2 გადაცემა) და სხვ.

თანდათანობით საგანმანათლებლო მაუწყებლობამ რადიოში ასეთი სახე მიიღო: თითქმის ყველა რედაქციაში შეიქმნა თითო-ორი-ლა ციკლი, სადაც ინფორმაციის შემეცნებითი ღირებულება უტოლდებოდა მხატვრულს თუ პუბლიცისტურს (პუბლიცისტურ-საგანმა-

ნათლებლო და მხატვრულ-საგანმანათლებლო გადაცემები, მაგალითად, ზემოთ განხილული „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“, „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, „ზნეობრიობა და ქართული მწერლობა“, „სიმფონიური მუსიკა და მისი საკრავები“, „შენი სახელმძღვანელოს მიღმა“, ახალგაზრდული შემეცნებით-გასართობი პროგრამა „შაბათ დილით“ და სხვ.). ამასთან ერთად, 1961 წელს ჩამოყალიბებულმა მეცნიერებისა და ტექნიკის რედაქციამ თავის თავზე აიღო წმინდა სამეცნიერო პროპაგანდა – საქართველოს მეცნიერების სიახლეებისა და პრობლემების გაშუქება; პოპულარული ცოდნის გავრცელება პედაგოგიკის, მედიცინის, ეკოლოგიის საკითხებზე; რადიომსმენელთა შეკითხვებზე პასუხის გაცემა; სასწავლო გადაცემების ორგანიზაცია და ა.შ.

ორივე მიმართულებას ახასიათებდა გარკვეული პუბლიცისტურობა, რაც რადიომაუწყებლობის, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალების, ბუნებით იყო განპირობებული. რადიოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, რომელიც 30 წელი იყო ეთერში (1960-1990, ყოველთვიური, 30 წთ.), ძირითადად სამეცნიერო პუბლიცისტიკას წარმოადგენდა – განიხილავდა საქართველოს მეცნიერების ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, მეცნიერულ მიღწევათა წარმოებაში დანერგვის საკითხებს, ეწეოდა ახალი, პერსპექტიული მიმართულებების პროპაგანდას და ა.შ. პუბლიცისტური ელფერი დაკრავდა ერთი შეხედვით წმინდა შემეცნებით გადაცემებსაც: „სიახლენი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე“ (1960), „მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში“ (1961), „მეცნიერება და ტექნიკა ყველასათვის“ (1968), „მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი“ (1974, 1975), „მეცნიერების სამყაროში“ (1982) და სხვ. 10 წელი გადაიცემოდა ეთერში (1966-1976) ყოველთვიური შემეცნებითი რადიოჟურნალი „თქვენთვის, ცნობისმოყვარეებო!“ (30 წთ.). მეტად გავრცელებული ფორმა იყო თვითონ მეცნიერთა გამოსვლები: „მეცნიერი მიკროფონთან“, „მეცნიერები მრგვალ მაგიდასთან“, „შეხვედრა მეცნიერთან“. ამ მხრივ საინტერესო იყო გადაცემა „მეცნიერები მუშათა კლუბში“, რომელიც წარმოადგენდა თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მუშათა კლუბში გამართული საღამოს ჩანაწერს – საქართველოს წამყვანი მეცნიერები პასუხობდნენ მუშების მიერ დასმულ შეკითხვებს მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე (1968, 27. 02).

საერთოდ, რადიომსმენელთა შეკითხვებზე პასუხის გაცემა

(მათ შორის, მეცნიერების საკითხებზეც) მეტად პოპულარული იყო 60-80-იანი წლების საქართველოს რადიომაუწყებლობაში. 1960-1963 წლებში, თითქმის ყოველ პარასკევს, 21 საათზე გადაიცემოდა „პასუხი რადიომსმენელთა შეკითხვებზე“ 15 წუთის მოცულობით (მეცნიერების სიახლეებზე, სოფლის მეურნეობის პრაქტიკულ საკითხებზე, მედიცინაზე და ა.შ.). 1971-1973 წლებში კვირაში სამჯერ, 12 საათსა და 55 წუთზე ეთერში იყო ხუთწუთიანი რუბრიკა „ვუპასუხებთ რადიომსმენელებს“, 1980-1984 წლებში კი – რუბრიკა „გვეკითხებიან – ვუპასუხებთ“ (სხვადასხვა პერიოდულობით). დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე რუბრიკები: „რადიომსმენელებს უპასუხებენ მეცნიერები“ (მაგ., „რა არის სიზმარი!“ – მიკროფონთან აკად. რ. ნათაძე, 1977, 17. 01) და „მეცნიერება: პასუხი რადიომსმენელთა შეკითხვებზე“ (1987).

რადიოს სოციალურ-აღმზრდელობითი ფუნქციიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო მაუწყებლობაში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა პედაგოგიკური ცოდნის პროპაგანდას. 1957-1960 წლებში დროდადრო, ხოლო 1961-1966 წლებში ყოველკვირეულად იყო ეთერში რუბრიკა „გადაცემა მშობლებისათვის“, რომელიც ბავშვთა აღზრდის კონკრეტულ საკითხებს მოიცავდა (აგრეთვე პრაქტიკულ რჩევებს იძლეოდა მათი ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისითაც). აღზრდას, მშობლებისა და შვილების ურთიერთობას, სხვა ოჯახურ პრობლემებს ეძღვნებოდა ყოველკვირეული ციკლი „მათთვის, ვინც შინ დარჩა“ (1964). ჯერ მეორე პროგრამით, 1965 წლიდან კი – პირველი პროგრამით ეთერში გამოჩნდა რუბრიკა „დიდები და პატარები“. ეს იყო პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო გადაცემების სერია, რომელიც ძირითადად საკავშირო რადიოდან მოწოდებული მასალების თარგმანს წარმოადგენდა (თუმცა მასში ადგილობრივი ავტორებიც მონაწილეობდნენ) და კონკრეტულ, ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით აცნობდა რადიომსმენელებს ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობის მეთოდებს, მოზარდების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. რუბრიკა 20 წელზე მეტხანს არსებობდა და მეტ-ნაკლები სისტემატურობით ყოველ კვირას გადაიცემოდა. პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო ხასიათისა იყო აგრეთვე ციკლი „აღვუზარდოთ მამულსა შვილი“, რომელსაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები (საშუალო და უმაღლესი სკოლის პედაგოგები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და სხვ.) ამზადებდნენ (1981-1984).

ასევე, ყოველთვის იყო საქართველოს რადიოში გადაცემები ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკულ საკითხებზე, რაც ამ სფეროსადმი აუდიტორიის მუდმივი ინტერესით აიხსნება. 1957-1984 წლებში სამედიცინო რჩევებით მიკროფონთან სისტემატურად გამოდიოდნენ პრაქტიკოსი ექიმებიც და სამედიცინო მეცნიერების წარმომადგენლებიც. გარდა ამისა, 1964 წლიდან ეთერში იყო რადიოჟურნალი „ჯანმრთელობის ენციკლოპედია“ (1968 წლიდან – „ჯანმრთელობა“), რომელიც თვეში ერთხელ გადაიცემოდა 30 წუთის მოცულობით. რადიოჟურნალი ჯანმრთელობის დაცვის თითქმის ყველა საკითხს მოიცავდა, აგრეთვე იძლეოდა მდიდარ ინფორმაციას მედიცინის სიახლეებზე, ახალ სამედიცინო დაწესებულებებზე, განიხილავდა საქართველოში სამედიცინო მომსახურების პრობლემებს და ა.შ. 1982-1984 წლებში მზადდებოდა კიდევ ერთი სამედიცინო ციკლი „ჯანმრთელი რომ ვიყოთ“ (15 წთ.).

ნაკლები ინტენსიურობით, მაგრამ დროდადრო საქართველოს რადიოში ეკოლოგიის საკითხებზეც მზადდებოდა გადაცემები. 1963 წელს რამდენიმეჯერ გამოჩნდა ციკლი „ადამიანი და ბუნება“ (15 წთ.), 1964-1970 წლებში – რადიოჟურნალი „ბუნების კარი“ (30 წთ.). 1968 წელს თითო-ოროლა გადაცემა ციკლებით: „ჩვენი მთები და ველები“, „ჩვენი მწვანე მეგობრები“, „ჩვენი მწვანე საუნჯე“. 1971-1972 წლებში გადაიცემოდა ციკლი საქართველოს ნაკრძალებზე და სხვ.

დაბოლოს, ცალკე უნდა გამოიყოს საგანმანათლებლო მაუწყებლობის სპეციფიკური მიმართულება – სასწავლო გადაცემები. მართალია, 60-80-იანი წლების საქართველოს რადიოში მას ისეთი მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა, როგორც ადრინდელ პერიოდებში (ძირითადად სასწავლო ტელემაუწყებლობის განვითარების გამო), მაგრამ ამ ტიპის ზოგიერთი გადაცემა მაინც მზადდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მას, მიუხედავად წმინდა სასწავლო ხასიათისა, პუბლიცისტური დანიშნულებაც ჰქონდა – საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ფუნქციაც ეკისრებოდა, მაგალითად, სკკპ 22-ე ყრილობაზე პარტიის ახალი პროგრამის მიღებასთან დაკავშირებით 1961 წლის 11 დეკემბრიდან საქართველოს რადიომ შემოიღო ახალი ციკლი – „სკკპ პროგრამის ლექტორიუმი“, რომელსაც საგანმანათლებლო დანიშნულებასთან ერთად დიდი პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მნიშვნელობაც ენიჭებოდა.

ასეთივე ორმაგი ფუნქცია ეკისრებოდა სასწავლო ციკლს „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები“ (1964) და 1973-1974 წლებში

მორიგ ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით შექმნილ ციკლს „ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები“, რომელიც კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისთვის იყო განკუთვნილი (იგი ციკლ „ეკონომიკური რეფორმის საკითხების“ გაგრძელებას წარმოადგენდა).

პრინციპულად განსხვავებულია და წმინდა სასწავლო ფუნქცია აქვს რადიოში ენის გაკვეთილებს. თავისი სპეციფიკის გამო რადიოს ტელევიზიაზე ნაკლებად არ შეუძლია ენის სწავლება და შემთხვევითი არაა, რომ თითქმის ყველა ცნობილი რადიოსადგური ეწევა ამ საქმიანობას (ბი-ბი-სი, ენ-ეიჩ-კეი, „ფრანს-ინტერნასიონალი“, „ამერიკის ხმა“ და ა.შ.), განსაკუთრებით უცხოური აუდიტორიისათვის. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და სახელმწიფო ენის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა რადიოს ერთ-ერთ საპატიო ამოცანად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, 70-იანი წლების ბოლომდე ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. ეს დაგვიანება იმით შეიძლება აიხსნას, რომ ხელისუფლებას ეშინოდა ერთ-ერთ სახელმწიფო ენის (თუნდაც ფორმალურად) – ქართული ენის აშკარა პროპაგანდისა და ამიტომ არც მეორე სახელმწიფო ენის – რუსული ენის წარმოჩენისთვის იყო განწყობილი. მხოლოდ 1978 წლიდან იქნა შემოღებული ყოველკვირეული 20-წუთიანი ციკლი „რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად“, თუმცა ამგვარი პერიოდულობა ენის შესწავლისათვის, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო.

რადიოს სპეციფიკის გამოყენების კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს რადიოში სიმღერის სწავლების ორგანიზება. 1958 წელს, მაგალითად სექტემბერ-ოქტომბერში 4-ჯერ იყო ეთერში 10-წუთიანი რუბრიკა „თბილისზე მუსიკის შესწავლა“ (იგულისხმებოდა რეზო ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“). უფრო სერიოზულად იყო გააზრებული ციკლი „ქართული ხალხური სიმღერების გაკვეთილი“ (35 წთ.), რომელიც 1984-1987 წლებში (არდადეგების გამოკლებით) ყოველკვირეულად მზადდებოდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ პრიორიტეტი რადიოს არ ეკუთვნოდა – ანალოგიური ციკლი ჯერ საქართველოს ტელევიზიაში შეიქმნა და რადიოში შემდეგ დამკვიდრდა.

საბავშვო და ახალგაზრდული მაუწყებლობა. მაუწყებლობის ეს სახეები სპეციალიზებულ გადაცემებს მოიცავს, რადგან გათვალისწინებულია რადიომსმენელების განსაზღვრული ნაწილისთვის – საბავშვო და ახალგაზრდული აუდიტორიისათვის. თანაც ორივე

მათგანი, როგორც იტყვიან, წარმოადგენს „სტუდიას სტუდიაში“ – მრავალფუნქციური და მრავალთემიანია.

რა თქმა უნდა, 1958-1984 წლებში საქართველოს რადიოში სხვა სპეციალიზებული გადაცემებიც მზადდებოდა, მაგრამ მცირე რაოდენობით. შეიძლება მხოლოდ დავასახელოთ 10-წუთიანი „გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის“ (შემდეგ „სოფლის დილა“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს იყო ეთერში) და რადიოჟურნალები: „ჩვენი სოფელი“ (ყოველთვიური, 30 წუთი, 1960-1976 წლებში), „საბჭოთა არმიის მეომრებისათვის“ (ყოველკვირეული, 35-45 წუთი, 1960-1989 წლებში), „რადიოჟურნალი ქალებისათვის“ (ყოველთვიური, 30 წუთი, 1960-1963 წლებში).

საბავშვო მაუწყებლობა მრავალმხრივ არის სპეციფიკური: ჯერ ერთი, იგი გამოირჩევა გამოკვეთილი აღმზრდელობითი ხასიათით, დიდაქტიკური მიზანმიმართულებით; მეორე, მოიცავს მეტად განსხვავებულ აუდიტორიას – საბავშვო ბაღიდან დაწყებული საშუალო სკოლის ჩათვლით; და, მესამე, თავის თავში აერთიანებს მაუწყებლობის სამივე სახეობას – პუბლიცისტურ, მხატვრულ და საგანმანათლებლო გადაცემებს. მათი საზოგადოებრივი დანიშნულება იმდენად თვალსაჩინოა, რომ საბავშვო მაუწყებლობამ თავიდანვე გამოკვეთილი ხასიათი მიიღო, სანამ ცალკე რედაქციად ჩამოყალიბდებოდა. 60-იანი წლების დასაწყისიდან, როგორც აღვნიშნეთ, იგი ახალგაზრდობის რედაქციასთან ერთად ერთ მთავარ რედაქციაში იყო გაერთიანებული, ხოლო 1973 წელს დამოუკიდებელი მთავარი რედაქცია გახდა. 60-80-იან წლებში აქ ბევრი პროფესიონალი ჟურნალისტი მოღვაწეობდა: გოგი ნადარეიშვილი, როდამ ჩაჩანიძე, ეკა მიქაბერიძე, ლამარა ბოკერია, დალი ღვინიანიძე, მიხეილ კოპალეიშვილი, ანზორ ხომერიკი, ემა ბუგიანაშვილი, ნუნუ გაბუნია (მუს. რედაქტორი), თემურ მეტრეველი, ლალა გორდაძე, მაია ბიბილეიშვილი, მზია ჩხეტიანი, ჯულიეტა ლომთაძე, ანზორ გელაშვილი, ლილი ჭანიშვილი, დოდო იაშვილი და სხვ.

მოზარდის ჩამოყალიბება მეტად რთული პროცესია და ამ პროცესში რადიომაუწყებლობას გარკვეული როლი ეკისრებოდა. მისი საქმიანობა კი 60 წლის მანძილზე განისაზღვრებოდა კომუნისტური აღზრდის საერთო პრინციპებით. ბავშვის სოციალიზაციის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ ფორმებს გამოკვეთილი პოლიტიზებული ხასიათი ჰქონდა და სამ ასაკობრივ ჯგუფს მოიცავდა: ოქტომბრელების (სკოლამდელი ასაკის ბავშვები და დაწყებითი კლასების

მოსწავლეები), პიონერების (საშუალო კლასების მოსწავლეები) და კომკავშირლებისა (უფროსკლასელები). შესაბამისად იყო დიფერენცირებული საბავშვო მაუწყებლობაც, ამ ჯგუფებზე ინფორმაციულ-ანალიტიკური და მხატვრულ-შემეცნებითი ზემოქმედება.

მოზარდი თაობის სოციალიზაციის პროცესში ყველაზე აქტიურ როლს ასრულებდა პუბლიცისტური გადაცემები, რომლებიც, ცხადია, ასაკობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით მზადდებოდა. რუბრიკით „ყველაზე პატარებისათვის“ 1957-1964 წლებში, ყოველკვირეულად ეთერში იყო გადაცემა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და უმცროსკლასელთათვის, 1965-1984 წლებში კი მას „რადიოსადგური „ციცინათელა“ ეწოდებოდა (ქრონომეტრაჟი 20 წთ.). იგი შერეული ხასიათისა იყო და ლექსებსა და სიმღერებთან ერთად რეპორტაჟებსა და ბავშვების საუბრის ჩანაწერებსაც შეიცავდა. 1960 წელს მზადდებოდა აგრეთვე რუბრიკა „გადაცემა უმცროსკლასელთათვის“ და 1981-1982 წლებში – „იზარდე, მწვანე ჯეჯილო!“

უფრო მეტი იყო პუბლიცისტური გადაცემები პიონერული ასაკის ბავშვებისათვის. 1957-1964 წლებში კვირაში ოთხჯერ, 1965-1988 წლებში კი კვირაში სამჯერ გადაიცემოდა ნახევარსაათიანი რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“ (აქედან ერთი საკვირაო გამოშვება იყო, ერთი კი რუსულ ენაზე მზადდებოდა). რადიოგაზეთი რუბრიკების სისტემაზე იყო აგებული და ნორჩ მსმენელებს მოუთხრობდა თანატოლების სწავლასა და კლასგარეშე საქმიანობაზე, პიონერულ ცხოვრებაზე, შემოქმედებითი წრეების მუშაობაზე, სპორტულ წარმატებებზე და ა.შ., ეხმაურებოდა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. გადაიცემოდა რეპორტაჟები, ინტერვიუები, კორესპონდენციები, თვითონ ბავშვების გამოსვლები. მაგრამ არცთუ იშვიათად ამ გამოსვლების ტექსტებს უფროსები წერდნენ (ეს ადვილი შესამჩნევია რადიოგაზეთების ტექსტების გაცნობისას) და შემდეგ ბავშვებს მიკროფონთან აკითხებდნენ, რაც მათ ხელოვნურობისა და სიყალბის ელფერს აძლევდა. იგივე შეიძლება ითქვას რადიოგაზეთის წამყვანი ნორჩი დიქტორების შესახებაც, რომლებიც ხშირად ბავშვებისათვის შეუფერებელი ინტონაციით კითხულობდნენ უფროსების მიერ დაწერილ პათეტიკურ ტექსტებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საბავშვო მაუწყებლობაში სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. გარდა რადიოგაზეთის ცალკეული სიუჟეტისა, ამ თემას ეძღვნებოდა ციკლები: „გმირი ბავშვები“ (1969), „მოგითხრობთ გმირ პიონერებზე“ (1972), „კიდევაც

დაიზრდებიან“ (1976, 1977), რომლებიც ბავშვებს შთააგონებდა სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს (რა თქმა უნდა, მთელი საბჭოთა კავშირის), მისთვის თავდადების გრძნობას. სხვა პუბლიცისტური გადაცემებიდან აღსანიშნავია საბავშვო ციკლები: „თქვენთვის, ალისფერყელსახვევიანებო!“ (1965), „გესაუბრებათ თქვენი მასწავლებელი“ (1966-1967), რადიოკომპოზიცია „მიიღე, მამულო, ჩვენი პატაკი!“ (პიონერთა დღესთან დაკავშირებით – 1982, 19.05) და სხვ. თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე (1957-1985) ყოველკვირეულად გადაიცემოდა რესპუბლიკური პიონერული გაზეთის 10-წუთიანი მიმოხილვა – „გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე“, რომელიც ბავშვებს აცნობდა ყველაზე საინტერესო მასალებს და ა.შ.

თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა უფროსკლასელთათვის განკუთვნილი პუბლიცისტური გადაცემები – ამ ასაკში ხომ პოლიტიკის, ზნეობის, მსოფლმხედველობის, ცხოვრებისეული კრედოს ნებისმიერ საკითხზე შეიძლება ლაპარაკი. რუბრიკებით: „გადაცემა მოსწავლეთათვის“ (1957-1971) და „გადაცემა უფროსკლასელთათვის“ (1968) მიკროფონთან გამოდიოდნენ მწერლები, მეცნიერები, რესპუბლიკის ცნობილი ადამიანები, რომლებიც საყმაწვილო აუდიტორიას უხსნიდნენ მარადიული სულიერი და სოციალური ღირებულებების მნიშვნელობას, ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობის პრინციპებს (აღსანიშნავია პროფ. შ. ამონაშვილის პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო ხასიათის გამოსვლები სხვადასხვა ცხოვრებისეულ პრობლემებზე 70-80-იან წლებში). ხშირად იყო საუბარი ეკონომიკური ცხოვრების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე. გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა მომავალ ცხოვრებას, მათ პროფესიულ ორიენტაციას ეძღვნებოდა ციკლი „თქვენი ცხოვრების გზაჯვარედინზე“ (1967).

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური იდეალების პროპაგანდას. სპეციალური რუბრიკით – „კომკავშირელი აქტივისტები“ (მოგვიანებით – „ლაპარაკობენ კომკავშირელი აქტივისტები“) სისტემატურად შუქდებოდა სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის ცხოვრება (ისევე, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელ რადიომაუწყებლობას – საბავშვო და ახალგაზრდულ მაუწყებლობას კურირებას უწევდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი). 1974 წელს ჩამოყალიბდა „კომკავშირული რადიოკლუბი“

(25-30 წთ.). საერთოდ, კლუბის ფორმა საკმაოდ პოპულარული იყო საბავშვო რადიომაუწყებლობაში. 1970 წელს არსებობდა „მოსწავლეთა რადიოკლუბი „ფიქრები ხმამაღლა“ (თუმცა ფიქრები ალბათ ყველაზე ნაკლებად შეესაბამება კლუბის ფორმას, რომელიც დიალოგსა და დისკუსიას გულისხმობს). უფრო სისტემატური ხასიათისა იყო „მოსწავლეთა სადისკუსიო კლუბი „მივდივარ 21-ე საუკუნეში“ (1978, 1979) და „სადისკუსიო რადიოკლუბი „ჩვენი ცხოვრების ანბანი“ (1980, 1981). როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, კლუბებში განიხილებოდა როგორც თანამედროვეობის აქტუალური საკითხები, ისე მომავლის პრობლემებიც.

პუბლიცისტური აქტუალობით გამოირჩეოდა აგრეთვე „რადიოსადგური „სიყმაწვილის თანამგზავრი“. ეს იყო ნახევარსაათიანი რადიოპროგრამა, რომელიც ყოველთვიურად გადაიცემოდა 1977-1988 წლებში და განიხილავდა მოზარდებისათვის ყველაზე საინტერესო საკითხებს (შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთგვარი შუალედური გადაცემა საბავშვო „საქართველოს პიონერსა“ და ახალგაზრდულ „რადიოსადგურ „სიჭაბუკეს“ შორის). მოზარდი თაობის მისწრაფებები და იდეალები მჭიდროდ უკავშირდებოდა უფროსების გამოცდილებას, ოფიციალურად აღიარებულ ღირებულებებსა და წარმოდგენებს (ამის ტიპური გამოხატულება იყო, მაგალითად, რადიონარკვევების ციკლი „კომუნისტებისგან ვიღებთ მაგალითს“ – 1976). ადამიანის მოქალაქეობრივ დანიშნულებას, პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე ეძღვნებოდა ციკლი „შენი ადგილი ცხოვრებაში“ (1978), წინაპართა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების გაგრძელებას ასახავდა რუბრიკა „თაობათა გადაძახილი“ (1978-1981) და ა.შ.

ცალკე უნდა გამოიყოს რუბრიკა „ყველას საფიქრალი და საზრუნავი“ (მოგვიანებით – „მოზარდი – ყველას საფიქრალი და საზრუნავი“), რომელიც სხვადასხვა პერიოდულობით (ზოგჯერ ყოველთვიურად, ზოგჯერ ორ თვეში ერთხელ) გადაიცემოდა 1982-1984 წლებში. ეს იყო მწერლისა და ჟურნალისტის დ. გრიგოლაშვილის საავტორო გადაცემების სერიალი, რომელიც ეძღვნებოდა მეტად აქტუალურ პრობლემას – მოზარდთა დამნაშავეობას. რა უბიძგებს მოზარდს დანაშაულის ჩადენისაკენ? რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ ამის თავიდან ასაცილებლად? როგორ დავიცვათ მოზარდი თაობა დამნაშავეთა სამყაროს გავლენისაგან? ეს და ბევრი სხვა საკითხი დაწვრილებით იყო გაანალიზებული ამ გადაცემაში. ჩანდა,

რომ ავტორი კარგად იცნობდა ბავშვთა რესპუბლიკური შრომა-გასწორების კოლონიის ცხოვრებას და ფართოდ იყენებდა თავის გადაცემებში დოკუმენტურ ჩანაწერებს – მოზარდების გულახდილ საუბარს, ინტერვიუებს, რეპორტაჟულ კადრებს. რუბრიკა თითქმის 10 წელი არსებობდა და აუდიტორიის აქტიურ გამოხმაურებას იწვევდა (ამას ამტკიცებს თუნდაც რადიომსმენელთა წერილები, რომლებიც ხშირად გამოიყენებოდა გადაცემების მომზადებისას).

ამასთან ერთად, საბავშვო მაუწყებლობა, რა თქმა უნდა, იზოლირებული ვერ იქნებოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისაგან და თავისებურად ასახავდა მათ. ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოვლენის გაშუქება გამოიყენებოდა საბჭოთა ცხოვრების წესის, სოციალისტურ ღირებულებათა პროპაგანდისათვის, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის. უფროსების ხუთწლედებისა და შვიდწლედების მსგავსად ბავშვებისთვის არსებობდა ლენინური ორწლედი (1969) და „პიონერული ხუთწლედი“ (1983-1985). ბავშვებისთვის გასაგები ფორმით მზადდებოდა გადაცემები სხვადასხვა საიუბილეო თარიღებსა თუ პოლიტიკურ მოვლენებზე. მაგალითად, შვიდწლედის (რომელმაც ხრუშჩოვის დროინდელ ვოლუნტარიზმის პერიოდში ერთხელ ტრადიციული ხუთწლედი შეცვალა) ამოცანებს აცნობდა ბავშვებს გადაცემები – „მოგზაურობა შვიდწლედში“ და „რაზმი – შვიდწლედის თანამგზავრი“ (1959), დიდ სამამულო ომში გამარჯვების 25 წლისთავს მიეძღვნა ციკლი „გმირულ დღეთა გამოძახილი“ (1970), ხოლო 40 წლისთავს – რუბრიკა „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის“ (1984-1985). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებისთვის სპეციალურად მომზადდა გადაცემების ციკლი – „უფროსკლასელებს – პარტიის XXIV ყრილობის შესახებ“ (1971). ფართოდ აღინიშნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი. მთელი 1972 წლის განმავლობაში ეთერში იყო რუბრიკა „ვრცელია ჩემი ქვეყანა“, რომელიც ყოველთვიურად მოუთხრობდა ბავშვებს სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის შესახებ, საბჭოთა კავშირის ხალხების ინტერნაციონალურ მეგობრობაზე და ა.შ. 70-იანი წლებიდან დაწყებული მოზარდებს სისტემატურად აცნობდნენ მორიგი ხუთწლედის ამოცანებს, მის მიმდინარეობასა და შედეგებს. ამას ემსახურებოდა რუბრიკები: „მოთხრობები მე-9 ხუთწლედზე“ (1972-1973), „დრო, ხუთწლედი, შენ“ (1975), „მეათე ხუთწლედის მერიდიანები“ (1976), „მერიდიანი – მე-11 ხუთწლედი“ (1981-1985).

როცა მე-10 ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედად გამოცხადდა, მოსწავლეებისთვისაც მომზადდა რამდენიმე გადაცემა ციკლით – „ხარისხი და ეფექტიანობა“ (1975), ხოლო 1977 წელს, საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით – ციკლი „შენი, ჩემი, ჩვენი კონსტიტუცია“. ასევე, 1982-1983 წლებში მოსწავლეთათვის ყოველთვიურად მზადდებოდა გადაცემები საერთო რუბრიკით – „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის“, რომელიც ბავშვებს მოუთხრობდა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიულ მეგობრობაზე, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გამარჯვებაზე და ა.შ.

საბავშვო მაუწყებლობის დიდი ნაწილი ეჭირა მხატვრულ მაუწყებლობას – ლიტერატურულ, დრამატულ, მუსიკალურ გადაცემებს. საბავშვო აუდიტორიის აღზრდას უპირველესად მხატვრული საშუალებებით ტრადიციულად იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ, როგორც წინა თავებში აღინიშნა, 50-იანი წლების ბოლომდე (სანამ საბავშვო და ახალგაზრდული რედაქციები ცალკე მთავარ რედაქციად გაერთიანდებოდა) საბავშვო გადაცემების რედაქცია მხატვრული პროგრამების რედაქციის შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს რადიო, უწინარეს ყოვლისა, მწერლობის სიყვარულს ასწავლიდა ბავშვებს, სისტემატურად აცნობდა მოზარდთა აუდიტორიას მშობლიური ლიტერატურისა თუ საზღვარგარეთული საბავშვო კლასიკის საუკეთესო ნიმუშებს. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის სხვადასხვა ფორმა იყო შერჩეული. პატარებისთვის, რა თქმა უნდა, ეს იყო ზღაპარი, რომელსაც მიკროფონთან კითხულობდნენ საქართველოს თეატრების ცნობილი მსახიობები (მაგალითად, ე. მანჯგალაძე და მ. ჩახავა). 1957-1960 წლებში ზღაპრები უსისტემოდ იყო პროგრამაში გაფანტული, მაგრამ 1961 წლის მაისიდან რუბრიკით – „ყველაზე პატარებისათვის“ გამოჩნდა ციკლი „ქართული ხალხური ზღაპრები“, რომელიც კვირაში რამდენიმეჯერ გადაიცემოდა (ბავშვების დასაინტერესებლად ზღაპრების სათაურები ერთი კვირით ადრეც კი ცხადდებოდა გაზეთში დაბეჭდილ პროგრამაში). 1962 წლის 1 ნოემბრიდან კი შეიქმნა რუბრიკა „ძილისპირული“, რომელიც საუკუნის ბოლომდე, ყოველ საღამოს (კვირა-ორშაბათის გამოკლებით) გადაიცემოდა 21 საათზე, 10-15 წუთის მოცულობით და პატარების დიდ ინტერესს იწვევდა. იგი მოიცავდა როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ზღაპრებს, აგრეთვე პატარებისათვის შესაფერ ლიტერატურულ ნა-

წარმოებებს და უთუოდ დიდ როლს ასრულებდა საბავშვო აუდიტორიის ესთეტიკურ აღზრდაში, მისი ზნეობრივი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში.

ხალხურ შემოქმედებას (ძირითადად ქართულ ხალხურ პოეზიას) ეძღვნებოდა აგრეთვე უფროსკლასელებისთვის განკუთვნილი ციკლი „ჩვენი ერის საუნჯე“ (1969). მაგრამ საშუალო და უფროსი კლასის მოსწავლეებისათვის ლიტერატურის პროპაგანდის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო მხატვრული ნაწარმოებების კითხვა. გარდა ცალკეული ციკლებისა, როგორიცაა: „ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის“ (1957-1962), „მწერალი მიკროფონთან“ (1958), „ქართველი მწერლები – ბავშვებს“ (1963), „ახალი წიგნები“ (1987) და სხვ., 1957-1984 წლებში სისტემატურად იყო ეთერში რუბრიკა „წიგნის თარო“ (15-20 წთ.). ამ რუბრიკით ბავშვები ეცნობოდნენ ქართული და უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს მხატვრული კითხვის ოსტატების შესრულებით.

რა თქმა უნდა, ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვითაც იყო შერჩეული და საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდას ემსახურებოდა, მაგრამ საბავშვო რედაქციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამასთან ერთად იგი მწერლობის კლასიკურ ნიმუშებსაც აცნობდა ბავშვებს და უნერგავდა ჭეშმარიტი ლიტერატურის სიყვარულს. ასე მაგალითად, 1970-1976 წლებში სისტემატურად გადაიცემოდა ნაწყვეტები მ. პრილეჟაევას წიგნიდან „ლენინის ცხოვრება“ და პარალელურად ნ. კეცხოველის მოთხრობების ციკლები: „ცხრათვალა მზის ქვეშ“ (1967-1976) და „მეცხრე მთაც გადავიარე“ (1975, 1980, 1983), რომლებიც საქართველოს ბუნებასა და ისტორიას აცნობდა ბავშვებს და მამულის სიყვარულს შთააგონებდა. სხვადასხვა წლებში ძალიან გავრცელებული ფორმა იყო აგრეთვე თემატურად გაერთიანებული ლიტერატურული ნაწარმოებების (ძირითადად ლექსების) გადაცემა წელიწადის დროების მიხედვით: „გაზაფხულდა, გაზაფხულდა!“, „არდადეგები, არდადეგები!“ (ზამთრის თუ ზაფხულის), „გამარჯობა, ზაფხულო!“, „ნახვამდის, ზაფხულო!“, „ზამთარია, ზამთარი!“ და ა.შ.

საბავშვო მხატვრული მაუწყებლობა მოიცავდა თვითონ ბავშვების ლიტერატურულ შემოქმედებასაც. ეთერში არცთუ იშვიათად იკითხებოდა ნორჩ ლიტერატორთა ლექსები, ჩანახატები, პატარა მოთხრობები. 1959-1969 წლებში ბავშვთა შემოქმედებას ასახავდა სპეციალური რადიოჟურნალი „ნაკადული“ (30 წთ. – პირველ ორ

წელს იგი ყოველთვიურად გადაიცემოდა, შემდეგ კი სხვადასხვა პერიოდულობით). მოგვიანებით ეს ფუნქცია რადიოგაზეთმა „საქართველოს პიონერმა“ და „რადიოსადგურმა „სიყმაწვილის თანამგზავრმა“ შეითავსეს.

განსაკუთრებით პოპულარული იყო საბავშვო აუდიტორიაში დრამატული გადაცემები – როგორც ჩანს, „წარმოსახვის თეატრის“ ესთეტიკური შესაძლებლობა ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ბავშვების ფანტაზიის უნარსა და წარმოდგენების სიმდიდრეს. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ თეატრალური ტრანსლაციების გარდა, საქართველოს რადიოში დიდი ტრადიციები ჰქონდა საბავშვო რადიოთეატრს. პირველი რადიოდადგმები ჯერ კიდევ 30-იან წლებში პირდაპირ გადაიცემოდა ეთერში, მაგნიტური ჩაწერის დამკვიდრების შემდეგ კი საბავშვო რედაქციის ფონდში ათეულობით რადიოსპექტაკლი დაგროვდა და პერიოდული გადაცემების გარდა ხშირად რადიოდადგმების ფესტივალებიც ეწყობოდა. წლების მანძილზე ახარებდა პატარების სხვადასხვა თაობას რადიოდადგმები: „ნაცარქექია“, „ტყის კომედია“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „ბაბაჯანას ქოშები“, „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“, „ბურატინოს თავგადასავალი“ და ა.შ. ორიგინალური რადიოპიესების ნაკლებობას ანაზღაურებდა ქართული და უცხოური საბავშვო ნაწარმოებების ინსცენირებები: „მამელუკი“, „სათაფლია“, „სფინქსების ქვეყანაში“, „ბიძია თომას ქოხი“, „რობინზონ კრუზო“, „ოლივერ ტვისტი“, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და მრავალი სხვა. ცხადია, დრამატული ფორმები აქტიურად გამოიყენებოდა კომუნისტური აღზრდის მიზნითაც, განსაკუთრებით მოზარდი თაობისათვის „მისაბაძი გმირების“ წარმოსაჩენად. თუ რა იდეალებს სთავაზობდნენ ბავშვებს, ადვილი წარმოსადგენია თვითონ რადიოდადგმების სახელწოდებათა მიხედვითაც: „ემელიანე პუგაჩოვი“, „ილიჩის ღიმილი“, „შჩორსი“, „ფრუნზე“, „პავლიკ მოროზოვი“, „პავლე კორჩაგინი“, „მისი სახელი არის ზოია“, „ულიანა გრომოვა“, „ლიუბოვ შევცოვა“ და ა.შ. (თითქოს ქართველი ბავშვებისთვის ნაკლებად მიზანშეწონილი იქნებოდა „დიმიტრი თავდადებული“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „თევდორე მღვდელი“, „არსენა ოძელაშვილი“, „მაია წყნეთელი“ და სხვა მრავალი გმირისა და მამულიშვილის გაცნობა).

საბავშვო დრამატული მაუწყებლობის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს რადიოდადგმების მნიშვნელოვანი ნაწილის საგანმანათლებლო ხასიათი. რადიოდადგმების ფორმა მეტად ეფექტური

გამოდგა ბავშვებისათვის ცოდნის მისაწოდებლად მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, რუბრიკა „გვეკითხებიან – ვუპასუხებთ“, რომელიც 1957-1987 წლებში სხვადასხვა პერიოდულობით გადაიცემოდა ეთერში, საგანმანათლებლო დანიშნულების ლიტერატურულ გადაცემებსა და დადგმებს შეიცავდა, ხოლო რუბრიკა „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში“ (1964-1984) მთლიანად რადიოდადგმებს ემყარებოდა. რადიოდადგმების სერიალს წარმოადგენდა აგრეთვე 1967-1971 წლების ციკლი „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ (დარვინი, მიჩურინი, სხვადასხვა ეპოქის რევოლუციონერები და ა.შ.). ზოგჯერ ამ თემაზე ცალკე რადიოდადგმებიც მზადდებოდა, მაგალითად, რადიოდადგმა „კიური“ (1974, 11. 03).

საბავშვო მხატვრული მაუწყებლობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას შეადგენდა მუსიკალური გადაცემები. 1957-1970 წლებში ყოველ ოთხშაბათს, 1971 წლიდან კი – ყოველ სამშაბათს, ეთერში იყო მოსწავლეთათვის განკუთვნილი 25-წუთიანი კონცერტი (სხვადასხვა წლებში სხვადასხვა სახელწოდებით: „კონცერტი ნორჩ რადიომსმენელთა თხოვნით“, „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, „კონცერტი ბავშვების თხოვნით“, „კონცერტი მოსწავლეთა თხოვნით“, „კონცერტი მოსწავლეთათვის“). მასში ფართოდ იყო წარმოდგენილი თვითონ ბავშვების მხატვრული თვითმოქმედებაც. საბავშვო ანსამბლები თუ ცალკეული მუსიკოს-შემსრულებლები ხშირად გამოდიოდნენ აგრეთვე რუბრიკით „კონცერტი მოსწავლეთათვის“, რომელიც პერიოდულად გადაიცემოდა 1957-1984 წლებში. კლასიკური და თანამედროვე სერიოზული მუსიკის პროპაგანდას ეთმობოდა რუბრიკა „მუსიკის საათი ბავშვებისათვის“, რომელიც 1964-1984 წლებში ყოველ შაბათს გადაიცემოდა ეთერში 35-45 წუთის მოცულობით. იგი მოიცავდა კონცერტ-საუბრებს, საბავშვო ოპერებსა და სხვა მუსიკალურ ნაწარმოებებს სათანადო საგანმანათლებლო ხასიათის კომენტარებით. „მუსიკის საათის“ ზოგიერთი რუბრიკა ზოგჯერ ცალკე ციკლის სახითაც გადაიცემოდა (მაგალითად, „მუსიკალური რადიოკლუბი“ 1969 წელს).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგანმანათლებლო დანიშნულება ნაწილობრივ საბავშვო პუბლიცისტურ და მხატვრულ მაუწყებლობასაც ახასიათებს (ეს საბავშვო მაუწყებლობის სპეციფიკური ნიშანთვისებაა დიდაქტიკურობასთან ერთად), მაგრამ გადაცემების ერთი ნაწილი უშუალოდ ამ ფუნქციას ასრულებს. საბავშვო საგანმანათლებლო მაუწყებლობის მიზანია, ხელი შეუწყოს მოზარდი თა-

ობის ცოდნით დაინტერესებას, მიაწოდოს პოპულარული ინფორმაცია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, გაუფართოოს გონებრივი ჰორიზონტი, გაუღვივოს დამოუკიდებელი მუშაობისაკენ მისწრაფება და ა.შ. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია – 1957-1984 წლებში იგი ორ ათეულზე მეტ ციკლსა და რუბრიკას მოიცავდა. პირველ რიგში ეს იყო მეცნიერებისა და ტექნიკის საინტერესო ფაქტები, ინფორმაცია მეცნიერულ სიახლეებზე, სხვადასხვა პროფესიაზე. პერიოდულად მზადდებოდა გადაცემები: „მოგზაურობა საოცრებათა ბიბლიოთეკაში“ (1958), „საოცრებათა სამყაროში“ (1964, 25. 07), „ვისაუბროთ პროფესიაზე“ (1964, 15. 05), „შენი სახელმძღვანელოს მიღმა“ (1976, 14. 05), „მშვენიერების სამყაროში“ (1989, 18. 05), ციკლები: „მეცნიერების გზაჯვარედინზე“ (1972), „მეცნიერებათა ლაბორატორიებში“ (1976) და სხვ.

სისტემატურად მზადდებოდა საგანმანათლებლო ლიტერატურული გადაცემები. 1970-1984 წლებში ეთერში იყო რუბრიკა „შენი ბავშვობის თანამგზავრი“ (ზოგჯერ – „შენი ბავშვობის მეგობარი“), რომელიც მოზარდებს აცნობდა საბავშვო მწერლებსა და მათ შემოქმედებას (წელიწადში 2-3 გადაცემა). ლიტერატურას ეძღვნებოდა აგრეთვე რუბრიკა „მწერალი, რომელსაც უნდა იცნობდეთ“ (1984).

რედაქცია ითვალისწინებდა ბავშვების განსაკუთრებულ სიყვარულს გეოგრაფიისა და ისტორიისადმი, ინტერესს ეგზოტიკური ქვეყნების, ცნობილი მოგზაურების, ისტორიული გმირების მიმართ. 1957-1971 წლებში ყოველთვიურად გადაიცემოდა მიმოხილვა „ჟურნალ „ვოკრუგ სვეტას“ ფურცლებზე“ (ბავშვებს უკითხავდნენ ქართულად თარგმნილი ჟურნალის ყველაზე საინტერესო მასალებს). სხვადასხვა დროს მზადდებოდა ციკლები: „ვიმოგზაუროთ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში (1961), „საბჭოთა სამშობლოს მატიანე“ (1977), „მოვიაროთ ჩვენი მხარე“ (1983) და ა.შ.

ხშირად იყო გადაცემები გამოჩენილ ადამიანებზე: მაგალითად, „ფრიტიოფ ნანსენის ცხოვრება“ (1961, 3. 08), „მისი სახელი ყველამ უნდა იცოდეს“ (მწერალსა და პედაგოგ იანუშ კორჩაკზე – 1973, 30. 11), „მხედარი, რომელიც წინ მიჰქრის“ (მწერალ არკადი გაიდარზე – 1973, 31. 01). უფროსკლასელებისთვის მზადდებოდა ციკლები: „რევოლუციის მომღერლები“ (1967) და „ამაგდარი პედაგოგები“ (1968).

ახალგაზრდული მაუწყებლობა. საქართველოს რადიოში ახალ-

გაზრდული მაუწყებლობა ორგანიზაციულ სტრუქტურად – ცალკე რედაქციად – 1958 წელს ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარ რედაქციაში. რედაქციის პირველი ხელმძღვანელი – პასუხისმგებელი რედაქტორი (1962 წლიდან მას უფროსი რედაქტორი ეწოდა) იყო კარლო გოგსაძე. 1960 წელს მისი ადგილი დაიკავა ნოდარ ბეთანიშვილმა, რომელიც მანამდე ამავე რედაქციის რედაქტორი იყო. 1962 წელს, როცა ახალგაზრდობის რედაქცია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი რედაქციიდან გამოვიდა და საბავშვო რედაქციასთან ერთად დამოუკიდებელ მთავარ რედაქციად გაფორმდა (ეწოდა ახალგაზრდობის, საბავშვო და სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქცია), ნოდარ ბეთანიშვილი მის პირველ მთავარ რედაქტორად დაინიშნა, ხოლო ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციის უფროსი რედაქტორი გახდა გიორგი მაჭავარიანი (იგი 1961 წლიდან ამ რედაქციის რედაქტორი იყო). 1966 წელს იგი შეცვალა მედეა გეგეშიძემ, რომელიც 1962 წლიდან მუშაობდა ახალგაზრდობის რედაქციაში (მედეა გეგეშიძემ თითქმის ორი ათეული წელი იმუშავა ახალგაზრდულ მაუწყებლობაში და დიდი ღვაწლი დასდო მის განვითარებას. 1974-1977 წლებში იგი იყო ტელევიზიისა და რადიოს ახალგაზრდული გადაცემების გაერთიანებული მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი, შემდეგ კი 1980 წლის ბოლომდე ცალკე გამოყოფილ რადიოს ახალგაზრდული გადაცემების მთავარ რედაქციას ხელმძღვანელობდა. მისი რადიოს პროგრამების მთავარი დირექციის მთავარ დირექტორად გადაყვანის შემდეგ მთავარი რედაქტორები იყვნენ: ლაურა კუტუბიძე, პაატა ნაცვლიშვილი, მაია გვრიტიშვილი). 1974 წლიდან მედეა გეგეშიძე უფროსი რედაქტორის პოსტზე შეცვალა ზინა დიაკონიძემ, შემდეგ უფროსი რედაქტორები იყვნენ: ილია კევლიშვილი, ნინო ჟღენტი, ამირან სინაურიძე, მზია ბაქრაძე. სხვადასხვა დროს ამ რედაქციაში ბევრი პროფესიონალი ჩამოყალიბდა: ანზორ ჯუღელი, თამაზ გაბელია, გულნარა არობელიძე, ანზორ გელაშვილი, ნატო რობაქიძე, ზაალ ტაბაღუა, თამარ ოქრუაშვილი, ილია მხეიძე, ქეთევან მაღრაძე, ქეთევან ონიკაშვილი, ნინო კვარაცხელია და სხვ.

თავიდან მაუწყებლობის სისტემა რამდენადმე დაუხვეწავი იყო და პირველი გადაცემები თუ ციკლები გამოკვეთილი მიზანმიმართულებით არ გამოირჩეოდა: „ახალგაზრდა (?) კომკავშირელის მორალის ძირითადი პრინციპები“ (1960, 21.04), „ახალგაზრდობის საკავშირო რადიოდღე“ (1960, 26.06), „გადაცემა ახალგაზრდობისათ-

ვის“ (1960-1962), „სტუმრად ჩვენს სტუდიაში“ (1960), „სამამულო ომის ექო“ (1965) და ა.შ. გარდა ამისა, 1967 წლამდე ახალგაზრდობის რედაქცია ამზადებდა რეპორტაჟებს სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებიდან, 1958 წლიდან ყოველკვირეულ ნახევარსაათიან სპორტულ რადიოჟურნალს „ყურადღება, სტარტზე!“ (რომელსაც 1961 წლიდან რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ ეწოდა) და, ასევე, 1958 წლიდან ნახევარსაათიან ყოველკვირეულ რადიოჟურნალს „საბჭოთა არმიის მეომრებისათვის“ რუსულ ენაზე (1967 წლიდან ორივე მათგანი ცალკე რედაქციებად ჩამოყალიბდა).

თანდათან გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდული მაუწყებლობა – ეს არის მაუწყებლობა ახალგაზრდული აუდიტორიისათვის, ახალგაზრდობის ცხოვრებისა და პრობლემების ასახვა და მისი მთავარი ამოცანაა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა. ამისდა მიხედვით ჩამოყალიბდა შესაბამისი ციკლები და რუბრიკები, გამოიყო სამაუწყებლო დღეები და საათები: სამშაბათი, ოთხშაბათი (მოგვიანებით ხუთშაბათი) და შაბათი. სამშაბათობით 1958 წლიდან ეთერში იყო 30-40-წუთიანი „რადიოჟურნალი ახალგაზრდობისათვის“ (1962 წლიდან მას რადიოგაზეთი ეწოდა, როგორც ჩანს, ოპერატიულობისა და აქტუალობის ხაზგასმისათვის), 1977 წლიდან კი მის ბაზაზე შეიქმნა „რადიოსადგური „სიჭაბუკე“ (სავარაუდოა, საკავშირო რადიოს „რადიოსტანცია „იუნოსტის“ მიბაძვით), 45 წუთის მოცულობით. ოთხშაბათობით, 1958-1959 წლებში 15 წუთი ეკავა რუბრიკას „მათ სახელებს უნდა იცნობდეთ“, რომელსაც 1961-1975 წლებში „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“ ეწოდა (ზოგჯერ მას სხვა ციკლიც ენაცვლებოდა, მაგალითად, „ჩვენი სახელოვანი თაობა“ (1971), „გაიცანით!“ (1978) და სხვ. გადაცემების უმრავლესობას ახალგაზრდობაზე დაწერილი ნარკვევები შეადგენდა. 1972 წელს ამ რუბრიკას ერთხანს „რადიოსადგური „ჰორიზონტიც“ ერქვა. შაბათობით 1960-1982 წლებში 15-30 წუთი გამოყოფილი ჰქონდა რუბრიკას – „გადაცემა ახალგაზრდობისათვის“, რომელიც ათამდე სხვადასხვა ციკლს აერთიანებდა. 1983 წელს ოთხშაბათის გადაცემა გაუქმდა და მისი ადგილი დაიკავა რუბრიკამ „ახალგაზრდული სტუდია“, რომელიც ხუთშაბათობით გადაიცემოდა. 1984 წელს მას დაემატა კიდევ ერთი რუბრიკა – „სტუდენტური ორბიტა“, რომელიც გადაიცემოდა პარასკეობით, დილის საათებში, 30 წუთის მოცულობით.

ძირითადი სქემა ასეთი იყო: ახალგაზრდული პროგრამა „რადიოსადგური „სიჭაბუკე“ ოპერატიულად ეხმაურებოდა ახალგაზრდო-

ბის ცხოვრების სხვადასხვა პრობლემას, მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მიკროფონს უთმობდა ახალგაზრდა სპეციალისტებს თუ კომკავშირელ აქტივისტებს, მოიცავდა პუბლიცისტურ გამოსვლებს, რეპორტაჟებს, ინტერვიუებს და ა.შ. მას დიქტორებთან ერთად ხშირად ჟურნალისტებიც უძღვებოდნენ; „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“ აუდიტორიას აცნობდა ახალგაზრდა თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს. აქ წამყვანი ჟანრები იყო ნარკვევი და ჩანახატი, ზოგჯერ – ინტერვიუ ან კორესპონდენცია; „სტუდენტური ორბიტა“ სპეციალიზებული პროგრამა იყო და, ცხადია, სტუდენტურ ცხოვრებას ასახავდა; რუბრიკები: „ახალგაზრდული სტუდია“ და „გადაცემა ახალგაზრდობისათვის“, თავის მხრივ, მრავალ სხვა ციკლსა და რუბრიკას შეიცავდა (მათ ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ). თუმცა ცხოვრების დინამიკის გამო ამ რუბრიკებს სხვადასხვა დროს ხშირად ემატებოდა ოპერატიული გადაცემები და ციკლები.

როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, ახალგაზრდული მაუწყებლობა (საბავშვოს მსგავსად) პუბლიცისტურთან ერთად მოიცავს მხატვრულ და საგანმანათლებლო გადაცემებსაც. მაგრამ მათი წილი ძალიან მცირეა, რადგან ახალგაზრდულ აუდიტორიას ამ ტიპის ნებისმიერ გადაცემაზე მიუწვდება ხელი (სპეციალურად მისთვის მომზადება საჭირო არაა). ასე რომ, სოციალურ-აღმზრდელობით ფუნქციას აქ ძირითადად პუბლიცისტიკა ასრულებს. რადგან ახალგაზრდა პიროვნების აღზრდა უპირველესად მის მოქალაქედ ჩამოყალიბებას გულისხმობს, ახალგაზრდობის რედაქცია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა თაობაში იმ თვისებების ფორმირებას, რაც საბჭოთა მოქალაქისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი: მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა და კომუნისტური შეგნებულობა, საბჭოთა სამშობლოს სიყვარული – პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, კოლექტივიზმი, საზოგადოებრივი აქტიურობა და ა.შ. ამავე დროს, როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, ოფიციალურ პროპაგანდასთან ერთად, საქართველოს რადიომაუწყებლობის სპეციფიკური ნიშანთვისება იყო მძლავრი ეროვნულ-პატრიოტული ნაკადის არსებობა, ქართული კულტურის, ქართული ცნობიერების დაცვა-განვითარებისათვის ზრუნვა. ამის დასტურად ბევრი ახალგაზრდული პროგრამაც გამოდგებოდა, პირველ რიგში კი რადიომსმენელებისათვის კარგად ცნობილი ციკლი – „სასიქადულო მამულიშვილები“.

საინტერესოა თვითონ ციკლის წარმოშობის ისტორიაც: 1968 წელს საზეიმოდ უნდა აღნიშნულიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი. ამ თარიღისათვის მზადება ახალგაზრდობის რედაქციამ ადრიდანვე დაიწყო და 1966 წლის 9 დეკემბერს ეთერში გავიდა ციკლი „სასიქადულო მამულიშვილები“ (30 წთ.), რომელიც უნივერსიტეტის დამაარსებლებსა და სხვა თვალსაჩინო მეცნიერებს ეძღვნებოდა. მსგავსი ციკლი – „ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები“ – ადრეც (1963-1968) არსებობდა საქართველოს რადიოში, მაგრამ ახალი გადაცემა მისგან პრინციპულად განსხვავდებოდა თავისი მიზანმიმართულებით. მისთვის მთავარი იყო პიროვნების არა იმდენად მეცნიერული თუ პოლიტიკური დამსახურება, რამდენადაც მამულისადმი სამსახური, პატრიოტიზმი, სამშობლოსათვის თავდადება, რაც მაგალითად უნდა გამოსდგომოდა მომავალ თაობებს. ამიტომ იყო შერჩეული სწორედ თბილისის უნივერსიტეტის – ქართული კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების ყველაზე მძლავრი ცენტრის იუბილე, ამიტომ გაიხსნა ციკლი ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი გადაცემით. მას შემდეგ მოჰყვა ისეთი სახელები, როგორიცაა: ა. რაზმაძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ვ. კოტეტიშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, ა. ჯავახიშვილი, ა. ჯანელიძე და მრავალი სხვა. ბევრი მათგანი მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და რედაქციის დიდი დამსახურებაა, რომ მათი ხმები სამუდამოდ შემორჩა საქართველოს რადიოს აუდიოფონდს და ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიის კუთვნილებად იქცა. ისიც სავსებით ბუნებრივი იყო, რომ უნივერსიტეტის საიუბილეო დღეების დამთავრების შემდეგ ციკლი არ შემწყდარა და არსებობა განაგრძო (კიდევ 10 წელი, 1978 წლის ბოლომდე იყო ეთერში). იგი არც მხოლოდ უნივერსიტეტის მეცნიერებით შემოფარგლულა და სხვა ბევრი ქართული მამულიშვილიც გააცნო რადიომსმენელებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნარკვევების პერსონაჟთა გალერეა მეტისმეტად მრავალფეროვანი აღმოჩნდა (ამას თავად რუბრიკის სახელწოდებაც განაპირობებდა). მაგალითად, 1980 წელს მოეწყო გადაცემები მეფე ერეკლეზეც (22.03), საქართველოს კომკავშირის დამაარსებელ ბორის ძნელაძეზეც (17.05) და გენერალ კონსტანტინე ლესელიძეზეც (15.10).

მამულისადმი სამსახურის, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის იდეას უწევდა პროპაგანდას ახალგაზრდული ციკლი „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?“, რომელიც 1970-1984 წლებში სხვა-

დასხვა პერიოდულობით გადაიცემოდა (15 წთ.). მიკროფონთან გამოდიოდნენ მწერლები, მეცნიერები, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც ახალგაზრდებს ესაუბრებოდნენ, თუ რას მოიცავს სამშობლოს ცნება, რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული და რით გამოიხატება იგი. როგორ უნდა იცხოვროს ნამდვილმა პატრიოტმა და ა.შ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს იყო არა „ჭკუის დარიგება", არამედ გულწრფელი საუბარი აუდიტორიასთან, ხმამაღლა ფიქრები ცხოვრების აზრისა და ადამიანის ვალდებულებაზე (ამას გვარწმუნებს როგორც ფონდში დაცული გამოსვლათა ჩანაწერები, ისე ცალკეულ გადაცემათა ტექსტები).

დროდადრო ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდაზე ცალკეული გადაცემებიც გამოჩნდებოდა ხოლმე (მაგალითად, აკად. ნ. კეცხოველის გამოსვლა „ფიქრები ჩვენს ახალგაზრდობაზე" – 1974, 15.01), მაგრამ ძირითადად ახალგაზრდული მაუწყებლობა ციკლებისა და რუბრიკების სისტემაზე იყო აგებული და ეს თემაც სერიოზულად მუშავდებოდა. სამშობლოს სიყვარულის კონკრეტულ გამოხატულებას, ზნეობრივ პასუხისმგებლობას საკუთარი სოფლის, ქალაქის, რაიონის წინაშე, ახალგაზრდობის ცხოვრებას რეგიონებში ეძღვნებოდა ციკლები: „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ" (1974-1975) (მას გარკვეულწილად უკავშირდებოდა აგრეთვე მეორე ციკლიც – „ახალგაზრდობა სოფლის სიამაყეა!" – 1975, 1978) და „გვესმას მშობლისა" (1976, 1977). ორივე ციკლი თითქოს სოფლიდან ახალგაზრდობის ინტენსიური მიგრაციის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ საკმაოდ ზედაპირულად. ძირითადი მიზეზი – სოფლად ახალგაზრდობის დაუსაქმებლობა და კოლმეურნეობაში სავალდებულო შრომა დაბალი ანაზღაურების პირობებში – პრაქტიკულად გადაუწყვეტელი იყო და მარტო პატრიოტული მოწოდებები ვერაფერს შეცვლიდა.

ასევე მოწოდების დონეზე რჩებოდა გადაცემები, რომლებიც საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდას, ახალგაზრდობის კომუნისტურ პრინციპებზე აღზრდას ეთმობოდა (მაგალითად, გადაცემა „ჩვენი ცხოვრების წესი" – 1977, 16. 03, ციკლი „როგორ იბადება გმირობა" – 1977-1979, რადიოალმანახი „ერთგულება" – 1972-1974 და სხვ.). 1973 წლიდან, როცა რესპუბლიკაში აქტიური ბრძოლა გაჩაღდა „სოციალისტური კანონიერების აღდგენისათვის", განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალგაზრდობის დამნაშავეობის

პრობლემასაც – აშკარად დაიწყო საუბარი ისეთ თემებზე, რომლებიც ადრე ნაკლებად ფიგურირებდა რადიომაუწყებლობაში (ბანდიტიზმი, ნარკომანია, პროსტიტუცია და ა.შ.). შეიქმნა ახალი ციკლები: „ახალგაზრდობა და კანონი“ (1973-1975), რომელიც სამართლებრივ პროპაგანდასთან ერთად ახალგაზრდობის დამნაშავეობის პრობლემებსაც განიხილავდა და „სად დავუშვით შეცდომა?“ (რომელიც ამ სფეროში სკოლის, კომკავშირის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებდა – 1979-1982).

ახალგაზრდული მაუწყებლობის მეორე ძირითადი მიმართულება იყო ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა. პროფესიული ორიენტაციის საკითხი, როგორც წესი, სეზონურად წამოიჭრებოდა ხოლმე. ზაფხულის თვეებში ახალსკოლადამთავრებულთათვის ტრადიციულად გამოჩნდებოდა ციკლი „დიდი გზის დასაწყისი“. უფრო სისტემატური ხასიათი ჰქონდა რუბრიკას „როცა ახალგაზრდა გზას ირჩევს“, რომელიც 1970-1984 წლებში სხვადასხვა პერიოდულობით გადაიცემოდა ეთერში. ახალგაზრდის სწორ გზაზე დაყენება, მისი პროფესიონალად ჩამოყალიბება ნებისმიერი საზოგადოების საზრუნავია, მაგრამ საბჭოთა პროპაგანდა ამ სფეროში მეტად ცალმხრივი და ხელოვნური იყო. მთელი მუშაობა წარიმართებოდა მუშური პროფესიების წარმოსაჩენად – ახალგაზრდებს ტოტალურად მოუწოდებდნენ პროფტექნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად. არც ერთი გადაცემა არ ეხებოდა ექიმის, იურისტის, ეკონომისტის, ინჟინრის, აგრონომის და ა.შ. პროფესიას (როგორც ჩანს, ითვლებოდა, რომ ამას პროპაგანდა არ სჭირდებოდა). ამგვარ პროპაგანდას არც შეიძლებოდა რაიმე ეფექტი ჰქონოდა (ყოველ შემთხვევაში ჩვენს რესპუბლიკაში მაინც), რადგან იგი ახალგაზრდობის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს არ შეესაბამებოდა.

ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდა მუშების ცხოვრებას, მათი საქმისადმი თავდადების ჩვენებას, კომუნისტური დამკვრელებისა და კომუნისტური შრომის ბრიგადების საქმიანობას: „ჩემი ქარხანა – ჩემი სიამაყეა“ (1971), „ჩემი საწარმო – ჩემი ოჯახი“ (1974), „კომკავშირული ორწლედი მოქმედებს“ (1975), „ჩემი ხუთწლედი“ (1976) და ა.შ. იქმნებოდა ნარკვევების სერიები მოწინავე მუშებზე, „მუშათა დინასტიებზე“, მუშური ცხოვრების რომანტიკაზე და ა.შ. ყოველ ზაფხულს ახალგაზრდული მაუწყებლობის დიდი ნაწილი ეთმობოდა სტუდენტური შრომითი რაზმების

საქმიანობას. ეთერში სისტემატურად იყო ციკლები: „სტუდენტური ზაფხულის მისამართები“ (1974, 1975, 1979), „მესამე შრომითი სემესტრი“ (1975-1981), „მესამე შრომითი სემესტრის მისამართები“ (1982-1984). სტუდენტური ზაფხულის თემა არც ამით ამოიწურებოდა – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შრომითი რაზმების მონაწილეთათვის ყოველდღიურად გადაიცემოდა მუსიკალური და ლიტერატურული პროგრამები, სპექტაკლები და სხვ.

შედარებით ნაკლები, მაგრამ გარკვეული ადგილი ეჭირა საქართველოს რადიოს ახალგაზრდულ მაუწყებლობაში ქალ-ვაჟის ურთიერთობის, სიყვარულის, ოჯახის თემას. ქალიშვილებისა და ჭაბუკების მომზადებას მომავალი ოჯახის შესაქმნელად, პიროვნული პასუხისმგებლობის გამომუშავებას მეუღლეთა დამოკიდებულებაში, ახალგაზრდა მშობლების მოვალეობას და ა.შ. ეძღვნებოდა ციკლები: „ახალგაზრდა ოჯახის კლუბი“ („ადგილის დედა“) (1980-1981), „ოჯახი და სიყვარული“ (1983-1985). მიკროფონთან გამოდიოდნენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, პედაგოგები, ექიმები, თვითონ ახალგაზრდა ოჯახების წარმომადგენლები, რომლებიც საუბრობდნენ ოჯახური ურთიერთობის სხვადასხვა პრობლემაზე, ოჯახური ცხოვრების ორგანიზაციულ, ფინანსურ თუ ზნეობრივ საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შვილების აღზრდის პრობლემას (ციკლი „სამშობლო – კარგი შვილია“ – 1980), მრავალშვილიანი ოჯახების პროპაგანდას (ციკლები: „ჩვენი იმედი და მომავალი“ – 1980-1984 და „მრავალი შვილი ერის ძლიერებაა“ – 1984) და სხვ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამასთან ერთად, ახალგაზრდობის რედაქცია პოლიტიკურ კონიუნქტურასაც უწევდა ანგარიშს და ფართოდ უთმობდა ეთერს კომკავშირული ცხოვრების გაშუქებას, კომუნისტური იდეალებისადმი საბჭოთა ახალგაზრდობის ერთგულების ჩვენებას. ყოველწლიურად დიდი პათოსით აღინიშნებოდა საბჭოთა ახალგაზრდობის დღე (26 ივნისი) და კომკავშირის დაბადების დღე (29 ოქტომბერი). 1971-1984 წლებში ყოველი ლენინური შაბათობისას (აპრილის თვეში, ლენინის დაბადების დღესთან დაკავშირებით) ეწყობოდა რეპორტაჟები სხვადასხვა ობიექტებიდან და იქმნებოდა „ლენინური შაბათობის მატიანე“, რომელიც ფონდში ინახებოდა „მომავალი თაობებისათვის“, იმართებოდა ახალგაზრდული პროგრამების რადიოფესტივალები, მზადდებოდა რადიოლექტორიუმები (მაგალითად, ციკლი „ჩვენი რადიოლექტორიუმი – ლენინური გაკვეთილები ახალგაზრდობას“ – 1969). განსაკუთრებული ზარ-ზეი-

მით აღინიშნებოდა კომკავშირის საიუბილეო თარიღები, იქმნებოდა სპეციალური ციკლები და რუბრიკები: „კომკავშირის სახელოვანი მატიანე“ და „კომკავშირის გმირული მატიანის ფურცლები“ (1967). „ქრონიკები კომკავშირის ისტორიიდან“ (1968), „ასე დაიწყო“ (1978). საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა ციკლი „სახელოვანი გზა“ (1971), ხოლო 60 წლისთავთან დაკავშირებით 1980 წლის 22 მაისს 12 საათზე გაიმართა „რადიომიტინგი“ (30-იანი წლების ფორმა), რომელიც 50 წუთს გაგრძელდა ეთერში საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მონაწილეობით. ასევე, სპეციალური ციკლები მზადდებოდა საკავშირო ალკკ თუ საქართველოს კომკავშირის ყრილობების შესახვედრად და მიმდინარეობის გასაშუქებლად (მაგალითად, „ვუპატაკებთ ყრილობას“, „ყრილობის დღიური“, „ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები“ – 1974, „საქართველოს კომკავშირის 32-ე ყრილობის შესახვედრად“ – 1982 და ა.შ.).

ახალგაზრდული მაუწყებლობა ყოველთვის გამოირჩეოდა სხვებისაგან აუდიტორიასთან კონტაქტის აქტიური ფორმების გამოყენებით. ყურადღების გარეშე არ რჩებოდა რადიომსმენელის არც ერთი საინტერესო წერილი, არც ერთი გამოხმაურება. ხშირად წერილი გადაცემის თემის, პუბლიცისტური იდეის საფუძველი ხდებოდა. ასე ჩამოყალიბდა რუბრიკები: „რედაქციაში წერილი მოვიდა“ (1976, 1981, 1982, 1984), „როცა რედაქციაში წერილი მოდის“ (1977-1979), „მისამართი გვიკარნახა თქვენმა წერილებმა“ (1979-1980), რომლებიც რადიომსმენელთა ფოსტას ემყარებოდა და ჟურნალისტური გამოძიების თუ გამოკვლევის ფორმა ჰქონდა. ამ გადაცემებში წამოჭრილი პრობლემები ზოგჯერ ისეთ საზოგადოებრივ რეზონანსს იღებდა, რომ ახალი ციკლებისა და რუბრიკების წარმოშობასაც განაპირობებდა. მაგალითად, რადიომსმენელების ინტენსიური მონაწილეობით შეიქმნა ციკლი „საუბარს განაგრძობს რადიომსმენელი“ (1978-1981) და „ასე ფიქრობენ რადიომსმენელები“ (1982).

რადიომსმენელთა წერილები აქტიურად გამოიყენებოდა ახალგაზრდული მხატვრული პროგრამების მოსამზადებლადაც. ამის საუკეთესო მაგალითია ჟურნალისტ ი. კევლიშვილის საავტორო გადაცემა „საღამო მშვიდობისა“ – მუსიკალური პროგრამა ახალგაზრდობისათვის. იგი 18 წლის მანძილზე (1972-1989) ყოველ შაბათს გადაიცემოდა ეთერში 22 საათზე, ნახევარი საათის მოცულობით და, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე პოპულარულ სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ ემთხვეოდა, მაინც მოიპოვა

თავისი მუდმივი აუდიტორია (რასაც რადიომსმენელთა მდიდარი ფოსტაც ადასტურებდა – საქართველოს რადიოში არც ერთ პროგრამას არ მოსდიოდა ამდენი წერილი). გადაცემა, ერთი შეხედვით, მარტივი ფორმისა იყო – ერთმანეთს ენაცვლებოდა მუსიკალური ნომრები და რადიომსმენელთა წერილები. მაგრამ ეს იყო არა კონცერტი დაკვეთით, რომელსაც ტრადიციულად ამზადებდა მუსიკალური რედაქცია რადიომსმენელთა წერილების მიხედვით, არამედ მუსიკასთან ერთად წამყვანის გულახდილი საუბარი წერილების ავტორებთან, მათი აზრებისა და შეხედულებების წარმოჩენა, ზოგჯერ კორექტული პოლემიკაც და ა.შ. ასეთივე ეფექტი ჰქონდა ი. კევლიშვილის მეორე პროგრამას „სტუდენტური დისკოთეკა“, რომელიც 1982 წლიდან ყოველ კვირადღეს, ასევე 22 საათზე გადაიცემოდა ნახევარი საათის მოცულობით და იმავე ფორმისა იყო, როგორც „საღამო მშვიდობისა“ (წამყვანი, რადიომსმენელთა წერილები, მუსიკალური ნომრები).

ფაქტობრივად, ამ გადაცემებში ჟურნალისტმა პირველად შეითავსა დიჯეის ფუნქციები, რაც საქართველოს რადიოში გამოკვეთილად მხოლოდ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა და, როგორც ჩანს, ახალგაზრდული აუდიტორია სწორედ ასეთ პროგრამებს ელოდა. დასამალი არაა, რომ, მიუხედავად პროფესიული ხარისხისა, იმდროინდელი მაუწყებლობა ნაკლებად ითვალისწინებდა არაოფიციალური ახალგაზრდული სუბკულტურის განვითარების ტენდენციებს და მას მიზნობრივი აუდიტორიის ძალიან მცირე ნაწილი თუ უსმენდა. ახალგაზრდა მსმენელს აინტერესებდა მოდური მუსიკა, სურდა პირდაპირი და თავისუფალი კონტაქტი სტუდიაში მყოფ კომუნიკატორთან, რაც იმ პერიოდში „რეკომენდებული არ იყო“. ზემოთ აღნიშნული გადაცემები კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერების სახით გადიოდა ეთერში, ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნილებებს.

ახალგაზრდულ მაუწყებლობაში აუდიტორიასთან კონტაქტის გავრცელებული ფორმა იყო აგრეთვე სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზაცია, რომელიც ასევე ხელს უწყობდა რადიომსმენელების კომუნიკაციურ აქტივიზაციას. ეს ფორმა ინტენსიურად გამოიყენებოდა მხატვრული პროგრამების მომზადებისათვის. 1975 წელს რამდენიმეჯერ გამოჩნდა ციკლი „შეხვედრები ახალგაზრდულ ტალღაზე“. 1976 წელს კი შეიქმნა რუბრიკა „შეხვედრები თქვენი თხოვნით“. როგორც გაზეთი „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ იუწყებოდა,

„საქართველოს რადიოს ახალგაზრდული გადაცემების რედაქციაში წერილი მოვიდა. თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. მღებრიშვილი თავისი ბრიგადის სახელით რედაქციას სთხოვდა მოეწყო შეხვედრა გ. ტაბიძის პრემიის ლაურეატ მ. ფოცხიშვილთან... რედაქციამ მოწინავე ბრიგადის მეთაურის ბარათი მ. ფოცხიშვილს გააცნო. პოეტი სიამოვნებით დაეთანხმა. 15 დეკემბერს, 21 საათსა და 15 წუთზე გთავაზობთ გადაცემას „შეხვედრები თქვენი თხოვნით“.[1]

როგორც ვხედავთ, რედაქციამ ამ ფაქტს გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭა – ახალგაზრდა მუშები პოეტს შეახვედრა, აჩვენა, რომ ხელოვნების სიყვარული არც მუშათა კლასის წარმომადგენლებისთვის არის უცხო (გაზეთის რეკლამაც ამისთვის იყო საჭირო). არც ისაა გამორიცხული, რომ თვითონ წერილის ორგანიზაციაც რედაქციაში მოხდა. მაგრამ ამგვარი შეხვედრების ფორმა იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ გადაცემა რუბრიკად იქცა და 10 წლის განმავლობაში გადაიცემოდა ეთერში. ეს იყო მხატვრულ-პუბლიცისტური პროგრამა, სადაც ლიტერატურის, მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლები არა მარტო თავის ხელოვნებას აცნობდნენ ახალგაზრდულ აუდიტორიას, არამედ ესაუბრებოდნენ კიდეც მათთვის საინტერესო საკითხებზე, პასუხობდნენ შეკითხვებს და ა.შ. დაახლოებით ამ ფორმისა იყო აგრეთვე ციკლი „შეხვედრები ახალგაზრდა შემოქმედებთან“, რომელიც 1981-1984 წლებში გადაიცემოდა „ახალგაზრდული სტუდიის“ რუბრიკით.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ საქართველოს რადიოს 1957-1984 წლების მაუწყებლობის განხილვა სრული არ იქნება, თუ მოკლედ მაინც არ ითქვა ამ პერიოდში რადიოჟანრებისა და ფორმების განვითარების შესახებ.

პირველ რიგში შესამჩნევია, რომ რადიოს ერთ-ერთ ძირითად ჟანრად კვლავ რჩება მიკროფონთან გამოსვლა (1960-1963 წლებში ყოველკვირეული რუბრიკაც კი არსებობდა – „დღეს ჩვენს მიკროფონთან“, რომელიც რესპუბლიკის ცნობილ ადამიანებს ეთმობოდა). საქართველოს რადიო „სახალხო ტრიბუნად“ თვლიდა თავს და ეს მრავალი რუბრიკის სახელწოდებაშიც აღინიშნებოდა, მაგალითად: „რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ტრიბუნა“ (1960-1961), „მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა“ (1963-1975), „ნოვატორის ტრი-

[1] გაზ. „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“, 1976, 10.XII, № 50.

ბუნა“ (1968-1976), „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“ (1962-1974), „წინასაყრილობო ტრიბუნა“ (1985), „პარტიული კონფერენციის ტრიბუნა“ (1988) და „კომპოზიტორთა ტრიბუნაც“ კი (1961 წელს 7 გადაცემა).

თავისი ტრანსლაციური ბუნებისა და, აქედან გამომდინარე, იმპროვიზაციულობის გამო რადიო მეტად ორგანული გარემო აღმოჩნდა ზეპირი დიალოგური ჟანრებისათვის – ინტერვიუსა და საუბრისათვის. ინტერვიუ მტკიცედ დამკვიდრდა ყველა რადიოგაზეთსა და ჟურნალში, თუმცა დამოუკიდებელი სახით ფართო გავრცელება ვერ პოვა. ცალკე გადაცემებად უფრო გამოიკვეთა საუბრის ჟანრი – დიალოგი, როგორც ორ პიროვნებას შორის, ისე მრგვალი მაგიდის გარშემო.

საგაზეთო გამოცდილებასთან ერთად რადიოს ტრანსლაციური პრაქტიკა დაედო საფუძვლად ერთ-ერთი აქტუალური პუბლიცისტური ჟანრის – რადიორეპორტაჟის დამკვიდრებას, რეპორტაჟული ჟურნალისტიკის ინტენსიურ განვითარებას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა პროგრამებსა თუ კომბინირებულ გადაცემებში ძირითადად ე.წ. მონტაჟური, ანუ წინასწარ ჩაწერილი და დამონტაჟებული რეპორტაჟები გამოიყენებოდა, პირდაპირი რეპორტაჟები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე თითქმის არ ეწყობოდა (მისი განვითარება უკავშირდება 80-იანი წლებიდან „პიკის საათისა“ და „დილის ტალღის“ წარმოშობას, რომლებმაც სათავე დაუდეს ინფორმაციულ პროგრამებში პირდაპირი ჩართვების პრაქტიკას). სამაგიეროდ კლასიკურ ფორმად ჩამოყალიბდა პირდაპირი სპორტული რეპორტაჟი, განსაკუთრებით ფეხბურთის მატჩებისა, რომლებსაც პოპულარული სპორტული კომენტატორები ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე უძღვებოდნენ. საოჯახო რეპროდუქტორებიც რომ არ ჩავთვალოთ, ეროსი მანჯგალაძის პირდაპირი რადიორეპორტაჟები უამრავ ხალხს უყრიდა თავს ქალაქის ქუჩებსა და პარკებში განლაგებულ ხმამაღლამოლაპარაკეებთან. მისი ომახიანი ხმა, ტემპერამენტული თხრობა, ემოციების ფოიერვერკი თითქმის ხელოვნების ნაწარმოებად აქცევდა ყოველ რეპორტაჟს. სამწუხაროდ, 1975 წლის ოქტომბრის შემდეგ, როცა 50 წლის შესრულდა, ეროსი მანჯგალაძემ თავი დაანება რადიოკომენტატორობას და მთელი დარჩენილი ცხოვრება მხოლოდ თეატრალურ მოღვაწეობას მიუძღვნა.

მეტად საყურადღებოა საქართველოს რადიოში (და, როგორც ჩანს, საერთოდ, საბჭოთა რადიომაუწყებლობაში) საპირველმაისო

და საშვიდნოემბრო დემონსტრაციების რეპორტაჟების პრაქტიკა. საქმე ისაა, რომ ამ რეპორტაჟების ტექსტები, ჟანრის კანონების საწინააღმდეგოდ, წინდაწინ იწერებოდა, გულდასმით მოწმდებოდა და შემდეგ პირდაპირ ეთერში იკითხებოდა დემონსტრაციის მიმდინარეობის დროს. დასწრებისა და პირდაპირი მაუწყებლობის ეფექტს ქმნიდა საზეიმო კოლონებისა და დამსწრე ხალხის ხმაური, ტაში, შეძახილები, მუსიკა და სხვ. ტექსტებს, როგორც წესი, საზეიმო ხმით კითხულობდნენ რადიოს წამყვანი დიქტორები, მასში ასახული იყო დემონსტრაციაში მონაწილე ამა თუ იმ რაიონის წარმატებები გეგმების შესრულებაში, ჩართული იყო ასევე წინასწარ მომზადებული დოკუმენტური ჩანაწერები (მოწინავე მშრომელების, ინტელიგენციის წარმომადგენელთა გამოსვლები და ინტერვიუები), აგრეთვე ლექსები სამშობლოზე, პარტიაზე, მშვიდობაზე და ა.შ. ამრიგად, წინასწარ დადგმული „დოკუმენტური სპექტაკლი“ პირდაპირ რადიორეპორტაჟად და სინამდვილის უშუალო ასახვად საღდებოდა.

ხმის ჩაწერისა და მონტაჟის დანერგვამ, დროის ტრანსფორმაციის შესაძლებლობამ განაპირობა რადიომაუწყებლობაში სინთეზური ხასიათის ჟანრებისა და ფორმების, კერძოდ, რადიოკორესპონდენციის, რადიონარკვევისა და რადიოკომპოზიციის წარმოშობა და განვითარება. კორესპონდენცია და ნარკვევი თავიდანვე გადაიცემოდა რადიოეთერში, მაგრამ მხოლოდ ტექსტუალური სახით. რადიოსპეციფიკის ერთადერთ გამოვლინებად შეიძლებოდა მხოლოდ ის ჩაგვეთვალა, რომ ხდებოდა მათი პერსონიფიკაცია – მიკროფონთან ამ ტექსტებს თავად ავტორები კითხულობდნენ. ეს ფორმა 60-80-იან წლებში საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოს რადიოში „კორესპონდენტის ნაამბობისა“ და „ჟურნალისტის ნაამბობის“ სახით (რუბრიკით „მწერალი და ცხოვრება“ მიკროფონთან თავის ნარკვევებს კითხულობდნენ აგრეთვე მწერლებიც). მაგრამ ასეთ ნარკვევებს სულ უფრო ხშირად ცვლიდა რადიონარკვევი, რომელიც იყენებდა რადიოს ყველა გამოსახვით საშუალებას და, ავტორის ტექსტის გარდა, შეიცავდა პერსონაჟების საუბარის ჩანაწერებს, სიცილს, ხმაურს, მუსიკას, სიმღერას, საყოფაცხოვრებო ხასიათის ბგერით დოკუმენტებს და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ 1957-1984 წლებში ნარკვევი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჟანრია საქართველოს რადიოში. განსაკუთრებით ბევრია პორტრეტული ნარკვევი, რომელიც აქტიურად ეწევა საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდას ეპოქისათვის დამა-

ხასიათებელი ტიპური გმირების – ე.წ. „მისაბაძი გმირების“ ჩვენებით (შემთხვევით არაა, რომ ერთ-ერთ რუბრიკას, რომელიც 1963-1965 წლებში თითქმის ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში, ასეთი სახელწოდება ჰქონდა – „ადამიანები, რომელთა მაგალითი მისაბაძია“). პირველ რიგში ესენი არიან ე.წ. მოწინავე მშრომელები, რომლებსაც ეთმობა რუბრიკები: „კომუნიზმის მშენებლები“ (1960-1961), „კომუნიზმის შუქურები“ (1961), „მოწინავე გამოცდილების შუქურები“ (1961-1962), „ჩვენი დროის გმირები“ (1960-1965), „ჩვენი დღეების გმირები“ (1961-1963), „შვიდწლედის გმირები“ (1964-1965), „ხუთწლედის გმირები“ (1966), „მუშა შემქმნელი და განმგებელი“ (1982-1984), „შეჯიბრებაში გამარჯვებულნი“ (1978-1987) და ა.შ. უმრავლეს შემთხვევაში დასახელებული რუბრიკებით მომზადებული ნარკვევები პათეტიკური, ლოზუნგური ხასიათისაა და გმირის სახე პლაკატითაა შეცვლილი. ამას ადვილად მიხვდებით ნარკვევის სათაურითაც კი: „მწვანე მეგობრის მესაიდუმლე“ (1960, 30.01), „მწვანე ოქროს დედობილი“ (1961, 10.05), „დამკვრელური შრომის ფერხულში“ (1972, 14.01), „ორსანტიელი მესიმინდეები იწყებენ ლაშქრობას“ (1975, 03.04) და ა.შ.

პორტრეტული ნარკვევების ნამდვილი ბუმი დაიწყო 1979 წლის მეორე ნახევრიდან, როცა შეიქმნა საერთო ტელე- და რადიორუბრიკა „ჩვენი ლაშქარი“ (ეს ფრაზა საქ. კომპარტიის პირველ მდივანს ეკუთვნოდა). შვიდი წლის მანძილზე ამ რუბრიკით ყოველკვირეულად რამდენიმე ნარკვევი გადაიცემოდა (სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა თუ პროფესიის წარმომადგენლებზე).

ცალკე უნდა გამოიყოს ნარკვევები ძველ რევოლუციონერებზე, ცნობილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებზე, რომლებიც ასევე საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდას ემსახურებოდა: „შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება“ (1964), „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“ (1967-1981), „ისინი ჩვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ“ (1967-1980), „საქართველოს კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწეები“ (1970) (ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ს. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ზ. ჩოდრიშვილი და სხვ.) და ა.შ.

ნაკლები განვითარება პოვა საქართველოს რადიოში ე.წ. პრობლემურმა ნარკვევმა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, 1960-1990 წლებში რადიონარკვევის სახელწოდებით უამრავი პრობლემური გადაცემა მომზადდა, მაგრამ ტექსტების შერჩევითი გაცნობაც გვარწმუნებს, რომ მათი უდიდესი უმრავლესობა სტატიის ან კორესპონ-

დენციის ჟანრს უფრო განეკუთვნება – მთლიანად მოკლებულია მხატვრულ ელემენტებს. რა მხატვრულობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ნარკვევს ჰქვია: „მძიმეწონოსანი მემანქანეები აჯამებენ შეჯიბრების შედეგებს“ (1961, 14.08), „მოდით, ნუ შევალამაზებთ ფაქტებს“ (1962, 13.03), „ნოვატორის მიჯნა გადავაქციოთ მთელი კოლექტივის მიჯნად“ (1963, 10.09), „ყრილობიდან ყრილობამდე“ (1975, 10.01), „პრობლემები, რომლებიც გადაჭრას მოითხოვს“ (1983, 22.11) და ა.შ.

ზოგჯერ რადიონარკვევები გადაიცემოდა რადიონოველის ანდა რადიომოთხრობის სახელწოდებით, თუმცა მათი სტრუქტურები არაფრით განსხვავდებოდა ნარკვევისაგან. მაგალითად, რადიონოველები – „ზღვის ქარი“ (რადიოს დღესთან დაკავშირებით 1961, 7.05) და „როცა ღამეები ქრებიან“ (1963, 26.01); რადიომოთხრობები: „შუქი სოფელში“ (1967, 20.04), „მარადიული ყინვარების სამეფოში“ (იგი ასახავდა მყინვარწვერის კალთაზე მდებარე მეტეოსადგურის მუშაკთა ცხოვრებას, 1966, 29. 08), „ფოლადთან ნაწრთობი“ (მეტალურგ ო. ლომიძეზე, 1975, 10.01); დოკუმენტური რადიომოთხრობები: „პლატონ შუშანია“ (1967, 14.01), „სულით ძლიერი“ (ძველ რევოლუციონერ ს. ქავთარაძეზე, 1968, 18.02), „იგი იცავდა ლენინგრადს“ (გენერალ გ. ჯინჭარაძეზე, 1969, 27.01) და სხვ. ეს არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ 70-იან წლებამდე რადიოჟანრების თეორიაში საკმაოდ დიდი გაუგებრობა იყო და პრაქტიკოსები მექანიკურად ცდილობდნენ ყველა პუბლიცისტური თუ მხატვრული ჟანრის „გარადიოებას“.

ასევე, 60-იანი წლების ბოლოდან 80-იანი წლების შუა რიცხვებამდე გადაიცემოდა საქართველოს რადიოში ე.წ. რადიოფილმები, რომლებიც ან რადიოკომპოზიციები იყო, ანდა უმრავლეს შემთხვევაში რადიონარკვევები: მაგალითად, „შენ მეტალურგი ხარ“ (1976, 22.12), „ქალაქი, წლები, ადამიანები“ (ჭიათურაზე, 1979, 12.08), „სეინერები გადიან ზღვაში“ (1979, 11.01), „სვანეთის მთებში“ (1980, 5.06), „სიმაღლე“ (ხუთნაწილიანი რადიოფილმი, ანუ ხუთი პრობლემური ნარკვევი ფოთის ექსპერიმენტზე, 1982, 15-19. 09), „ტყიბულელი მეშახტეები“ (1985, 25.06) და სხვ. მათ ერთადერთ სპეციფიკას წარმოადგენდა ის, რომ ძირითადად დოკუმენტურ ჩანაწერებზე იყო აგებული და ავტორის ტექსტი მინიმუმამდე იყო შემცირებული, რაც სულაც არ განაპირობებდა ახალი, განსხვავებული ესთეტიკური სტრუქტურის შექმნას.

მუსიკის განსაკუთრებულმა როლმა რადიომაუწყებლობაში ბევრად განაპირობა რთული, კომბინირებული და კრებითი ხასიათის სტრუქტურების წარმოშობა და განვითარება. იგი იწყება ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციებით – ერთი თემით გაერთიანებული ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებების მონტაჟით, სადაც მუსიკა ხელს უწყობს ამაღლებული განწყობილების შექმნას, ტექსტის „ემოციონალიზაციას“. ამგვარი კომპოზიციები, როგორც წესი, საზეიმო დღეებს, საიუბილეო თარიღებს, დიდ პოლიტიკურ მოვლენებს ეძღვნებოდა და უმეტესად პათეტიკური ხასიათისა იყო, მაგ.: „პარტიის შუქი გზას გვინათებს“ (1961, 13.04), „აი, რად გვიყვარს ჩვენი პარტია“ (პარტიული ყრილობებისა და პლენუმების წინ), „ჩვენი ლენინი“ (1961, 21.04), „კომუნიზმი ჩვენი დროშაა“ (1962, 31.01), „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო!“ (1983, 30.10) და ა.შ. შემდგომში მუსიკა, როგორც დამოუკიდებელი ელემენტი, გამოიყენებოდა მხატვრულ-დოკუმენტურ კომპოზიციებში, პუბლიცისტურ ჟურნალებსა და პროგრამებში.

რადიოჟურნალი ათეული წლების მანძილზე ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო საქართველოს რადიომაუწყებლობაში. ამას განაპირობებდა როგორც მისი კრებითი ხასიათი (მცირე ზომის ნაწარმოებების ერთად თავმოყრის ეფექტიანობა) და პერიოდულობა, ისე, არანაკლებად, ინფორმაციის ტიპიზაციის შესაძლებლობა დარგის, თემის, მიმართულების თუ მისამართის მიხედვით, რაც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა რადიოპროგრამის რუბრიკაციის პრინციპს. რადიომაუწყებლობის თითოეულ რედაქციას თუ განყოფილებას, რომლებიც დარგობრივ-თემატური პრინციპით იყო ორგანიზებული, თავისი ჟურნალები გააჩნდა პროგრამაში: „კულტურა და ყოფაცხოვრება“, „ფიზკულტურა და სპორტი“, „ჩვენი სოფელი“, „მეცნიერება და ტექნიკა“, „ჯანმრთელობა“, „ბუნების კარი“, „ადამიანი და კანონი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“ და ა.შ.

თავიდან ეს ჟურნალები ჩაკეტილ სტრუქტურებს წარმოადგენდა. ცალკეული მასალები – ე.წ. სიუჟეტები – ბეჭდური ორგანოების მსგავსად ერთმანეთისგან მკვეთრად იყო გამიჯნული („კრიტიკული გვერდი“, „ლიტარატურული გვერდი“, „მუსიკალური გვერდი“, „იუმორისტული გვერდი“ და ა.შ.) და დიქტორის ანონიმური ტექსტით გაერთიანებული. მსგავსება იქამდე მიდიოდა, რომ, მაგალითად, 1967 წელს ჟურნალ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ თითოეული გამოშვების ნომერიც კი ცხადდებოდა. ზოგიერთ ჟურნალს, რომე-

ლიც ნაკლები პერიოდულობისა იყო, ასევე ბეჭდური ფორმების გავლენით, „ალმანახი“ ერქვა (მაგ., ალმანახი „პოეზია“ – 1971-1973, რადიოალმანახები: „ლიტერატურული აჭარა“ – 1971 და „ერთგულება“ – 1972-1975). პარალელურად, შეიმჩნევა ამ ფორმების რადიოს სპეციფიკისადმი მისადაგების რამდენიმე ცდაც, რაც მათ სახელწოდებებშიც გამოიხატა. მაგალითად, ყველაზე პატარებისათვის განკუთვნილ ყოველკვირეულ გადაცემას „რადიოსადგური „ციცინათელა“ ერქვა (1960-1980), მოზარდების ყოველთვიურ პროგრამას – „რადიოსადგური „სიყმაწვილის თანამგზავრი“ (1977-1988), ხოლო ახალგაზრდულ პროგრამას – „რადიოსადგური „სიჭაბუკე“ (1977-1989). „რადიოსადგურებს“ დიქტორებთან ერთად ხშირად წამყვანები – ჟურნალისტებიც უძღვებოდნენ, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა მათ სტრუქტურებზე და განასხვავებდა სხვა რადიოჟურნალებისაგან.

რადიოჟურნალებში წამყვანის დამკვიდრება, დიქტორის შეცვლა ჟურნალისტის პიროვნებით, რადიოს სპეციფიკის ათვისების ისტორიული პროცესი იყო. ჟურნალისტი მოექცა გადაცემის კომპოზიციური სტრუქტურის ცენტრში. იგი იმპროვიზაციულად აერთიანებდა სხვადასხვა მასალას, განაპირობებდა მათ საერთო მიმართულებას და არსებითად განსაზღვრავდა გადაცემის საერთო ფორმასა და ხასიათს. ამ პროცესში გარკვეული როლი შეასრულა იმ გამოცდილებამ, რომელიც დაგროვდა უფრო ადრე, პერსონალური ციკლების მომზადებისას (მხედველობაში გვაქვს მ. ჩხარტიშვილის, ლ. კიკილაშვილის, მ. გეგეშიძის, ა. გელაშვილის, ი. კევლიშვილის და სხვ. ნამუშევრები 60-70-იან წლებში). ჟურნალისტის პიროვნებით გაერთიანებულ და გარკვეულწილად იმპროვიზებულ ასეთ რადიოჟურნალებს რადიოპროგრამები დაერქვა. ეს გადაცემები უკვე ზეპირ საუბარზე, ზეპირ ურთიერთობაზეა აგებული, მაგრამ აუდიტორიასთან პირდაპირ კონტაქტს მოკლებულია – წინასწარ არის ჩაწერილი და სათანადოდ დამონტაჟებული. „ღია“ ეთერი – რადიომსმენელების უშუალოდ ჩართვა გადაცემაში – მხოლოდ 90-იანი წლებიდან მკვიდრდება საქართველოს რადიოს პრაქტიკაში.

თავი IV

საქართველოს რადიო დემოკრატიული გარდაქმნებისა და ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (1985-1991)

საქართველოს რადიოს ისტორიაში 1985-1991 წლები ყველაზე მოკლე მონაკვეთია სხვებთან შედარებით, მაგრამ იგი იმდენად მნიშვნელოვანი და თვისებრივად განსხვავებული იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ცალკე პერიოდად გამოყოფა.

ჯერ ერთი, ამ პერიოდში მოხდა ის რადიკალური ცვლილებები საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში (მრავალპარტიულობისა და იდეოლოგიური პლურალიზმის აღიარება, ცენზურაზე უარის თქმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმება და სხვ.), რომელიც „გარდაქმნის“ სახელითაა ცნობილი. ეს იყო სკკპ-ისა და სსრკ-ის ხელმძღვანელობის პოლიტიკა, რომელიც 1980-იანი წლების მეორე ნახევარში გამოცხადდა და 1991 წლის აგვისტომდე გრძელდებოდა. მის ობიექტურ შინაარსს საბჭოთა ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიისა და კულტურის ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან და ღირებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის ცდა შეადგენდა; ხორციელდებოდა უკიდურესი არათანმიმდევრობით და წინააღმდეგობრივ ძალისხმევათა შედეგად სკკპ-ის კრახისა და სსრკ-ის დაშლის წინაპირობების შექმნა.

მეორე, ეს იყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობის გამორჩეული პერიოდი, რომელიც 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვებითა და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა. მართალია, ეს იყო წმინდა დეკლარაციული აქტი – ფაქტობრივად საქართველო კვლავ რჩებოდა ერთიანი სსრ კავშირის პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილად (სადაც ყველა საბჭოთა სტრუქტურა განაგრძობდა ფუნქციონირებას), მაგრამ მისი ისტორიული როლი ერის ცნობიერების ჩამოყალიბებაში მეტად

ღირებულია: საქართველო იყო პირველი, ვინც ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკაზე გაცილებით ადრე ღიად აცნობა მთელ მსოფლიოს თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და კავშირიდან გასვლის მოთხოვნა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს რადიოსათვის, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებისათვის, გარდაქმნის პერიოდი ისეთი სიახლე არ ყოფილა, როგორც სხვა რესპუბლიკებში. როგორც წინა თავში აღინიშნა, ახლებური აზროვნება ქართულ მედიაში ჯერ კიდევ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყებს განვითარებას და გარდაქმნის დასაწყისისათვის, შეიძლება ითქვას, თავის პიკს აღწევს. განსაკუთრებით აქტიურია ტელევიზია (საკმარისია გავიხსენოთ, რომ შეშინებული „მთავლიტის“ წარმომადგენელი – ცენზორი მოსკოვს აცნობებდა კომიტეტის ხელმძღვანელობის „არაკანონიერ“ მოქმედებებზე). რადიოს ეს პროცესი შედარებით მოგვიანებით შეეხო. პირველი არსებითი ცვლილებები სამაუწყებლო პოლიტიკაში დაუკავშირდა საქართველოს რადიოს ხელმძღვანელობაში ახალი კადრების ჩართვას და გარკვეული დროის მანძილზე მის ერთგვარ დეცენტრალიზაციას. 1977 წელს ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მუშაკი არმაზ სანებლიძე, რომელსაც დაევალა როგორც ტელევიზიის, ისე რადიოს საინფორმაციო სამსახურების საერთო ხელმძღვანელობა. 1983 წელს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ელდარ იბერი, რომელსაც ტელერედაქციებთან ერთად რადიოს საბავშვო და ახალგაზრდული გადაცემების მთავარი რედაქციების კურირებაც დაეკისრა, ხოლო 1984 წლის მეორე ნახევრიდან (პეტრე შამათავას სხვა თანამდებობაზე გადასვლის შემდეგ) იგი მთელი რადიოს ხელმძღვანელიც გახდა საინფორმაციო სამსახურის გამოკლებით (ელდარ იბერმა განვლო ყველა პროფესიული ეტაპი უმცროსი რედაქტორიდან რადიოს ხელმძღვანელამდე; იგი 15 წელი მუშაობდა რადიო-ტელევიზიაში, შემდეგ სამი წელი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელი და სამეცნიერო ხარისხის დაცვის შემდეგ დაუბრუნდა თავის კოლექტივს).

მაგრამ ამ პერიოდში დემოკრატიზაციის პროცესი თანაბრად როდი მიმდინარეობდა. როგორ პარადოქსადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, საქართველოს რადიო-ტელევიზიაში 70-იანი წლების მეორე ნახევარში დაწყებული გარდაქმნები ერთგვარად დამუხრუჭდა მთელ

საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის წლებში (მხედველობაში გვაქვს 1986-1988 წლები). 1985 წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა და მისი ადგილი დაიკავა ჯუმბერ პატიაშვილმა, რასაც ტრადიციულად მოჰყვა თითქმის მთელი ხელმძღვანელი კადრების გამოცვლაც. შეიცვალა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარეც – 1986 წელს ნუგზარ ფოფხაძის ნაცვლად (რომელიც ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს) თავმჯდომარედ დაინიშნა მისი პირველი მოადგილე არმაზ სანებლიძე. 1987 წელს ასევე შეიცვალა თავმჯდომარის მოადგილე რადიოს დარგში, საქართველოს რადიოს ახალი ხელმძღვანელი გახდა რამინ ჭელიძე.

რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ ვერ აუღო ალღო მიმდინარე პროცესებს. ერთი მხრივ, დრო მოითხოვდა დემოკრატიული რეფორმების გატარებას, წარსულის დოგმებზე უარის თქმას. მეორე მხრივ, დემოკრატიზაციის პროცესმა ხელ-ფეხი გაუხსნა ეროვნულ მოძრაობას – გახშირდა მიტინგები, დემონსტრაციები, საპროტესტო გამოსვლები, რასაც ხელისუფლებამ ისევ ძველი ნაცადი ხერხით – დემოკრატიის შეზღუდვითა და მასმედიაზე კონტროლის გამკაცრებით უპასუხა. რადიო- და ტელეეთერში დავიწყებას მიეცა საჯაროობის ბევრი ისეთი ფორმა, რომელიც წინა წლებში აუდიტორიის დიდ ინტერესს იწვევდა, შემცირდა გადაცემების სიმწვავე და კრიტიკული პათოსი. სამაგიეროდ, უცვლელი დარჩა მაუწყებლობის ძირითადი მიმართულებანი: კომუნისტური და საბჭოური ღირებულებების პროპაგანდა, პარტიულ და სხვა სადირექტივო დადგენილებებზე სწრაფი რეაგირება, საზეიმო თარიღებისა და პოლიტიკური ღონისძიებების ფართოდ გაშუქება და სხვა (რასაც ტრადიციული ციკლებისა და რუბრიკების შენარჩუნებაც ადასტურებს).

მიუხედავად ამისა, დროს თავისი მოაქვს და ზოგიერთი დადებითი ძვრა მაინც შეინიშნება. გაიზარდა ეროვნული მაუწყებლობა – საქართველოს რადიოს პირველ რესპუბლიკურ პროგრამაში შემცირდა საკავშირო რადიოს მთელი რიგი პროგრამების სავალდებულო ჩართვა, რომელთა ხანგრძლივობა 80-იანი წლებში ყოველდღიურად 7 საათს აღწევდა. ამგვარი პრაქტიკა მით უფრო ხელოვნური და იძულებითი ჩანდა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქები უზრუნველყოფილი იყო სამპროგრამიანი სატრანსლაციო ქსელით

(სადენებიანი მაუწყებლობით) და მოსახლეობის უმრავლესობას შეეძლო დამოუკიდებლად ესმინა I და II საკავშირო პროგრამებისათვის არა მარტო რადიომიმღებებით, არამედ რეპროდუქტორებითაც.

1985-1989 წლებში გრძელდებოდა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დღეების მოწყობა საწარმოებსა თუ სხვა ორგანიზაციებში, რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში, სადაც პარალელურად ხდებოდა რადიოაუდიტორიის მოთხოვნილებების შესწავლა. ასევე ორჯერ, 1988 წლის ნოემბერში და 1989 წლის იანვარში, გაზეთში „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ გამოჩნდა ანკეტა „ისმის თქვენთან რადიოს ხმა?“, რომელიც რადიოფიცირების პრობლემის გარდა სხვა საკითხებსაც აყენებდა – მსმენელებს სთხოვდა აზრი გამოეთქვათ რადიოს პროგრამაზე, სხვადასხვა ციკლებსა და რუბრიკებზე.

საერთოდ კი ამ პერიოდში, ე.წ. გარდაქმნის წლებში, საგრძნობლად შეიცვალა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ფორმები. თუ ადრე მთავარი ყურადღება ექცეოდა სოციოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებას (საანკეტო გამოკითხვას და ა.შ.), ახლა უპირატესობა მიენიჭა საბჭოთა ჟურნალისტიკის ნაცად ფორმას – „მშრომელთა წერილების“ ანალიზს. 1987 წლის მეორე ნახევარში საქართველოს რადიოში სისტემატურ ხასიათს იძენს წერილების მიმოხილვა. კვირაში ორჯერ მიკროფონთან გამოდიოდა კომიტეტის წერილების განყოფილების გამგე (მიხეილ მჭედლიძე) და მიმოიხილავდა რადიომსმენელების ფოსტას. ამავე წლიდან ეთერშია ყოველკვირეული რუბრიკა „წერილები გარდაქმნაზე“, რომელსაც 1989 წელს „რადიომსმენელთა ფოსტა“ ეწოდა. დემოკრატიზაციის პროცესის გამოხატულება იყო აგრეთვე რუბრიკა „ჩვენ და მსმენელები“ – 1987 წლის მეორე ნახევარში ყოველ კვირას მსმენელებს თავისებურ ანგარიშს აბარებდნენ რადიოს მთავარი რედაქტორები, მათი მოადგილეები, განყოფილების გამგეები, სთხოვდნენ შენიშვნებისა და წინადადებების მიწოდებას. ამას 1988 წლიდან მოჰყვა ყოველთვიური ციკლი – „მსმენელი გვთხოვს, გვირჩევს, გვესაუბრება“, რომელიც 1990 წლის ბოლომდე გაგრძელდა. ასე რომ, თუ 20-25 წლის მანძილზე აუდიტორიის აზრის შესწავლა ძირითადად კომუნიკატორის პოზიციის დასაბუთებას ემსახურებოდა, გარდაქმნის წლებში უფრო ამ აუდიტორიის მოთხოვნილებების გათვალისწინებას მიექცა ყურადღება.

1988 წლიდან ხელისუფლებამ რამდენადმე შეარბილა სულიერი ცხოვრების სფეროში პარტიულ-სახელმწიფოებრივი მართვის ფორ-

მები და ერთგვარად შეცვალა კიდეც ტაქტიკა – შეეცადა თავი წარმოეჩინა ეროვნული ინტერესების დამცველად. ამას მოჰყვა მთავრობის დადგენილებანი საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, რაც ფართოდ აისახა საქართველოს რადიოს გადაცემებში. მაგრამ პარალელურად არ შემწყდარა კომუნისტური ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი მანიპულატორული მეთოდების გამოყენება, განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით. კონფრონტაცია ხელისუფლებასა და ეროვნულ მოძრაობას შორის თანდათან გაძლიერდა, რასაც მოჰყვა 1989 წლის 9 აპრილს სამხედრო ძალებით მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგის დარბევა და ადამიანთა მსხვერპლი.

ამან საბოლოოდ მოუღო ბოლო საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს ხალხის ფართო მასებში. ტრადიციულად შეიცვალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც – ჯუმბერ პატიაშვილი გადააყენეს და საქ.კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახდა გივი გუმბარიძე, რომელსაც მანამდე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა. შეიცვალა ტელერადიოკომიტეტის ხელმძღვანელიც – თავმჯდომარე გახდა არჩილ გოგელია.

რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა და მმართველი კომუნისტური პარტია იძულებული გახდა უფრო ლოიალური პოლიტიკა გაეტარებინა. პოლიტიკური ძალების ასეთმა გაწონასწორებამ გავლენა იქონია მასობრივი ინფორმაციის ორგანოების საქმიანობაზეც. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობაში შესაძლებელი გახდა დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავება. მოხდა რელიგიური და ეროვნული პროპაგანდის ლეგალიზაცია. შეიქმნა პრინციპულად ახალი ციკლები და რუბრიკები, გამოჩნდა ადრე აკრძალული თემები, გმირები და ავტორები. ამ პერიოდში შეწყდა უცხოეთის რადიოსადგურების ჩახშობაც და საქართველოს მოსახლეობას მიეცა მათი თავისუფალი მოსმენის საშუალება, მაგრამ ე.წ. სპეციალური გადაცემების რედაქცია არ გაუქმებულა – იგი ისევ განაგრძობდა „ამერიკის ხმის“ ქართული გადაცემების ჩაწერას და გაშიფრული ტექსტების ტრადიციული სქემით გავრცელებას.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში გამართულ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნული მიმართულების პარტიების ერთმა ჯგუფმა „მრგვალი მაგიდის“ სახელწოდებით, ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მიიღო და ხელისუფლებას დაეუფლა. მისი ლიდერი ზვიად გამსახურდია ჯერ საქართველოს უზენაესი

საბჭოს თავმჯდომარე გახდა, შემდეგ კი – საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის გაჩენის პირველი დღიდან ყოველი ხელისუფლების ლიდერი ცდილობდა მის ხელმძღვანელად თავისი ერთგული პირი დაენიშნა და უშუალოდ თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა. ამჯერადაც ასე მოხდა. ტელერადიოკომიტეტს ეწოდა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტი, მის თავმჯდომარედ დაინიშნა თემურ კვანტალიანი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ რადიოს დარგში – ლადო კოკაია, რომელიც მანამდე ინფორმაციის მთავარი რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა.

საქართველოს რადიოს წინაშე ეროვნული და დემოკრატიული განვითარების თითქოსდა ახალი პერსპექტივა გამოჩნდა. მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ რადიო-ტელევიზიის მიმართ იმავე პოლიტიკის გატარება დაიწყო, რაც წინა, კომუნისტურ ხელისუფლებას ახასიათებდა. ეს ბევრად განაპირობა უმწვავესმა დაპირისპირებამ ეროვნული მოძრაობის მეორე ფრთასთან (ე.წ. ეროვნულ კონგრესთან), რომელიც არჩევნებში არ მონაწილეობდა და „მრგვალ მაგიდას“ ოპოზიციაში ჩაუდგა. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის აგვისტოში მიიღო დემოკრატიული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, ხელისუფლებამ თვითონვე დაარღვია ეს კანონი, უწინარეს ყოვლისა, ტელერადიომაუწყებლობასთან მიმართებით და ყოველი ღონე იხმარა მისი მონოპოლიზაციისათვის. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელმა, რომელსაც არც სათანადო პროფესიონალიზმი გააჩნდა და არც მართვის გამოცდილება და ვერ გამონახა კოლექტივთან საერთო ენა (საკმარისია ითქვას, რომ ერთბაშად სამუშაოდან დაითხოვეს საპენსიო ასაკს მიღწეული ყველა თანამშრომელი – დაახლოებით 300 კაცი). ყოველივე ამან ახალი ხელისუფლების მიმართ მტრულად განაწყო რადიო-ტელევიზიის მუშაკთა დიდი ნაწილი და პრეზიდენტი იძულებული გახდა პირადად მისულიყო დეპარტამენტში კოლექტივთან შესახვედრად და მდგომარეობის განსამუხტავად.

პირველი ეროვნული ხელისუფლების ხანმოკლე პერიოდში რადიო (და განსაკუთრებით ტელევიზია) მუდმივად იყო პოლიტიკური თუ სამოქალაქო დაპირისპირების ობიექტი, რაც მნიშვნელოვანწი-

ლად იმანაც განაპირობა, რომ იმ პერიოდში საეთერო პროპაგანდის სხვა, ალტერნატიული არხი არ არსებობდა. უპირველესად ტელერადიომაუწყებლობის საშუალებით დაუპირისპირდა ხელისუფლება ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს („ეროვნულ კონგრესში“ გაერთიანებულ პარტიებს) და მისდამი კრიტიკულად განწყობილ ელიტარულ ინტელიგენციას. შიდა თუ გარე რეაქციული ძალების მხარდაჭერით კონფრონტაცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1991 წლის სექტემბრის მეორე ნახევრიდან, ოპოზიციური მიტინგის პროვოკაციული დარბევის შემდეგ. ტელერადიომაუწყებლობის კოლექტივი გაიფიცა. ტელერადიოცენტრის შენობა ეროვნული გვარდიის ამბოხებულმა ნაწილმა დაიკავა და ხელისუფლება იძულებული გახდა მაუწყებლობა პარლამენტის შენობიდან, სახელდახელოდ მოწყობილი სტუდიიდან განეგრძო. ორ თვეზე მეტხანს საქართველოს რადიოს რამდენიმე ჟურნალისტი და დიქტორი იქიდან გადმოსცემდა ისევ და ისევ კონფრონტაციის ხელშემწყობ ინფორმაციებს, რასაც ემატებოდა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის უპასუხისმგებლო გამოსვლებიც. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების მიერ ორგანიზებულმა ტელერადიომაუწყებლობამ ბევრი ვერაფერი გააკეთა მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად და ვერ დასძლია მისი ინდიფერენტული დამოკიდებულება დედაქალაქში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის მიმართ, რამაც ხელი შეუწყო კანონიერი ხელისუფლების დამხობას.

მიუხედავად მოვლენების განვითარების ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ამ პერიოდს უკავშირდება მთელი რიგი დადებითი ცვლილებებიც საქართველოს რადიოს ცხოვრებაში. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს რადიო ფაქტობრივად სუვენერული ქვეყნის საინფორმაციო საშუალებად იქცა – პირველი რესპუბლიკური პროგრამა მთლიანად განთავისუფლდა საკავშირო რადიოს გადაცემების სავალდებულო ტრანსლაციისაგან. რადგან საბჭოთა (არსებითად, რუსული) მასმედია უბინძურეს ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდა ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ და დამახინჯებულად წარმოუდგენდა მთელ მსოფლიოს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ნათელი გახდა საზღვარგარეთული აუდიტორიისათვის ალტერნატიული ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა (ასეთ პირობებში მხოლოდ „გადაცემა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის“, ცხადია, საკმარისი ვეღარ იქნებოდა). პირადად პრეზიდენტისა და სა-

ქართველის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნოდარ გაბაშვილის დიდი მონდომებით 1991 წელს საფუძველი ჩაეყარა უცხოეთზე ინგლისურენოვან მაუწყებლობას (ყოველდღიურად ნახევარი საათის მოცულობით). იგი საზღვარგარეთის მსმენელებს აცნობდა საქართველოში არსებულ მდგომარეობას, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ ხელი შეეწყო ქვეყნის საერთაშორისო თანამეგობრობაში დამკვიდრებისათვის, პროპაგანდას უწევდა ქართულ კულტურასა და ხელოვნებას.

1991 წლის ბოლოს საქართველოში მოეწყო სახელმწიფო და დამოუკიდებელი ტელერადიომაუწყებლობის ურთიერთობის ძირითადი პრინციპების დადგენის პირველი მცდელობა – გამოქვეყნდა „საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიო კორპორაციის დებულებისა“ და „საქართველოს ტელე-რადიო კორპორაციის მიერ დაფუძნებული კომპანიის წესდების“ პროექტები.[1] როგორც აღვნიშნეთ, ეს მეტად დაძაბული პერიოდი იყო ჩვენს ქვეყანაში, რასაც არ შეიძლებოდა, გავლენა არ მოეხდინა წარმოდგენილი პროექტების ხასიათზე – მათში აშკარად იგრძნობა ხელისუფლების მცდელობა როგორც სახელმწიფო, ისე დამოუკიდებელ ტელერადიომაუწყებლობაზე რაც შეიძლება მეტი კონტროლის დაწესებისათვის. პროექტების მიხედვით, საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტის ტელერადიოკორპორაციად გადაკეთების ერთ - ერთი ძირითადი მიზანი იყო დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანიების დაფუძნება, მათი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. ასეთი ნაბიჯი მხოლოდ მისასალმებელი იქნებოდა, რომ დამოუკიდებელი კომპანიები არ მოქცეულიყო სახელმწიფო სტრუქტურაში – კორპორაციაში, რომელიც ინარჩუნებდა სახელმწიფო დეპარტამენტის სტატუსს და, აქედან გამომდინარე, არ დაქვემდებარებოდა მთავრობას, ანუ არ დაკისრებოდა სახელმწიფო მაუწყებლობის ფუნქციები (პროექტის ავტორების გაგებით – „ხელისუფლების ინტერესების დაცვა“).

უფრო ნათლად რომ ვთქვად, სახელმწიფო ტელერადიოდეპარტამენტი გარდაიქმნებოდა სახელმწიფო კორპორაციად, რათა თავის სისტემაში სახელმწიფო რგოლებთან ერთად შეექმნა ვითომ დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანიები, რომლებიც ფაქტობრივად მის კონტროლს დაექვემდებარებოდა და ამით საერთოდ გამოირიცხებოდა ყოველგვარი, მართლაც დამოუკიდებელი და ალტერნა-

[1] გაზ. „რესპუბლიკა“, 1991, 12.12, გვ. 6.

ტიული მაუწყებლობის შექმნის შესაძლებლობა.

ასეთ პირობებში იმის განცხადებას, რომ კორპორაცია უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კომპანიების დოტაციურ დაფინანსებასა და სახელმწიფო დაკვეთებს, „ხელს უწყობს მათ დამოუკიდებელ საქმიანობას, სრულ შემოქმედებით თავისუფლებას“, მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა – ძნელი დასაჯერებელია, რომ სახელმწიფო კორპორაცია დოტაციებითა და დაკვეთებით უზრუნველყოფდა იმ კომპანიას, რომელიც ხელისუფლებისადმი კრიტიკულ პოზიციას დაიკავებდა, რაც სულ მოკლე ხანში ასეთი „ურჩი წევრის“ გაკოტრებასა და გაუქმებას გამოიწვევდა. არც ისაა გამორიცხული, რომ მთელი ეს „კომპანიობანა“ რადიო-ტელევიზიის გაფიცული მუშაკების დასაშოშმინებლად და თავიდან მოსაშორებლად იყო მოგონილი – თავისთავად ცხადია, რომ თუ კორპორაციას ექნებოდა „დამოუკიდებელი“ კომპანიები, ყველა კრიტიკულად მოაზროვნე იქ უნდა წასულიყო და წმინდა „სამთავრობო“ ნაწილში მხოლოდ პოლიტიკურად ერთგული კადრები დარჩენილიყო. სახელმწიფო და დამოუკიდებელი მაუწყებლობის ამგვარი სიმბიოზი მსოფლიო პრაქტიკამ არ იცის და ამ პროექტებს არც ეწერა განხორციელება – ათიოდე დღეში დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო და ხელისუფლების დამხობამდე ერთი თვეც აღარ იყო დარჩენილი, შემდეგ კი ისინი არავის გახსენებია.

პირველი ეროვნული ხელისუფლების ხანმოკლე მმართველობის პერიოდში საქართველოს რადიოში სხვა ორგანიზაციული ცვლილებებიც მოხდა: პროპაგანდის მთავარ რედაქციას ეწოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი რედაქცია (სახელწოდების ამგვარი შეცვლა საკავშირო რადიოში ჯერ კიდევ 1987 წელს განხორციელდა). მთავარ რედაქტორად დროებით ისევ ვახტანგ დვალი დარჩა, მაგრამ 1991 წელს რადიო-ტელევიზიის საპენსიო ასაკის სხვა თანამშრომლებთან ერთად ისიც დაითხოვეს სამუშაოდან და მთავარ რედაქტორად დაინიშნა ზეზვა ზვიადაური, ხოლო რედაქციას საშინაო პოლიტიკის მთავარი რედაქცია ეწოდა. ამავე წელს გაერთიანდა საბავშვო და ახალგაზრდული გადაცემების მთავარი რედაქციები და მთავარ რედაქტორად დაინიშნა ილია მხეიძე. ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი დიმიტრი კიკვაძე შეცვალა გიორგი ჩოკოშვილმა.

1985-1991 წლებში საინფორმაციო გამოშვებათა განრიგი ასე გამოიყურებოდა:

1985 – 6.05, 11.00, 12.10 (ოთხშაბათისა და შაბათ-კვირის გარდა), 17.00, 18.00 (პარასკევის გარდა), 18.30 (რუსულ ენაზე, კვირა დღის გარდა), 19.00 (კვირას), 19.30 (ოთხშაბათისა და შაბათ-კვირის გარდა), 22.30, 23.55.

1986-1990 – 6.05, 11.00, 14.15, 17.00, 18.30 (რუსულ ენაზე, კვირადღის გარდა), 19.30, 22.30, 23.55.

1991 – 6.05, 11.00 (შაბათის გარდა), 12.00 (ოთხშაბათისა და შაბათ-კვირის გარდა), 13.45 (შაბათს), 14.15 (შაბათ-კვირის გარდა), 17.00 (სამშაბათისა და ხუთშაბათის გარდა), 17.45 (რუსულ ენაზე, პარასკევს), 18.30 (რუსულ ენაზე, პარასკევისა და შაბათ-კვირის გარდა), 20.30 (შაბათს), 21.30 (ოთხშაბათისა და პარასკევს), 23.00, 23.55.

როგორც ვხედავთ, 1991 წელს გაუგებარი მიზეზების გამო, საინფორმაციო გამოშვებათა განრიგი შეიცვალა: განსხვავებულია არა მარტო შაბათ-კვირა, სამუშაო დღეებშიც საინფორმაციო გამოშვებები ერთსა და იმავე დროს აღარ გადაიცემა, რასაც არ შეიძლება არ გამოეწვია რადიომსმენელების დაბნეულობა და აუდიტორიის შემცირება. აღსანიშნავია ისიც, რომ 1991 წლიდან ოპერატიული ინფორმაციის ბიულეტენს „უკანასკნელ ცნობებს“ აღარ უწოდებდნენ (როგორც მას თითქმის 60 წლის მანძილზე ერქვა) და იგი ეთერში გადიოდა უბრალოდ „საინფორმაციო გამოშვების“ სახელწოდებით. ამით, რა თქმა უნდა, მისი ფუნქცია და სტრუქტურა არ შეცვლილა: ოპერატიულად აისახებოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები; საბჭოთა სახელმწიფოს ბოლო წლების პრობლემები; დაპირისპირება ჯერ ხელისუფლებასა და ეროვნულ მოძრაობას, შემდეგ კი ეროვნულ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის; 1990 წლის საპარლამენტო და 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; ქართულ-ოსური კონფლიქტის საწყისი პერიოდი და ა.შ. საინფორმაციო გამოშვებებს ტრადიციულად უძღვებოდნენ დიქტორები (1985-1991 წლებში მათ რიგებს შეემატნენ: თამაზ ჭყონია, გენადი ხაფავა, მერაბ შარიქაძე, ლალი ზანგურაშვილი, ხათუნა ბაქრაძე, ნუცა ერისთავი, ევგენი ვადაქარია).

ისევ განაგრძობდა არსებობას ზოგიერთი ტრადიციული ფორმა, მაგალითად, თემატური საინფორმაციო გამოშვება. 1986 წლის მეორე ნახევარში მანამდე არსებული „მსოფლიოს ერთი კვირის ამბების“ 10-წუთიან გამოშვებას შეენაცვლა „დეპეშები საზღვარგარეთიდან“, რომელიც შემდეგ II პროგრამაზე გადავიდა. მოგვიანებით

ამავე სახელწოდებით 19 საათის გამოშვება დაეთმო უცხოეთის ახალ ამბებს. ასევე, „უკანასკნელი ცნობების“ 19 საათისა და 30 წუთის გამოშვების მაგივრად 1987 წლის ივნისამდე ყოველდღიურად კვლავ გადაიცემოდა „აგროსამრეწველო კომპლექსი: სადღეისო საზრუნავი“, რომელიც აშუქებდა ამ პერიოდში აქტუალური ე.წ. სასურსათო პროგრამის საკითხებს და ჩვენს რესპუბლიკაში ექსპერიმენტული აგროსამრეწველო გაერთიანებების საქმიანობას. შაბათ-კვირის გარდა ყოველდღიურად იყო ეთერში (19.15, 10 წუთი) „რადიოპატრული“, რომელიც რადიომსმენელებს აცნობდა რესპუბლიკაში არსებულ კრიმინალურ სიტუაციას (ავტორი და წამყვანი კობა კობაიძე). სპორტის ახალ ამბებს წარმოადგენდა რუბრიკა „5 წუთი სპორტის მოყვარულთათვის“, რომელიც კვირაში ოთხჯერ გადაიცემოდა, თუმცა სპორტულ ინფორმაციას ავრცელებდნენ აგრეთვე ჩვეულებრივი საინფორმაციო გამოშვებები და საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამები (აქვე აღვნიშნავთ, რომ სპორტულ რადიოჟურნალს, რომელსაც 1985-1988 წლებში „ფიზკულტურა და სპორტი“ ერქვა, 1989 წლიდან ეწოდა „უტევანი“, როგორც ჩანს, უფრო ეროვნული სახელი). 1991 წლიდან პრაქტიკაში ახალ დონეზე აღდგა 30-იანი წლების ფორმა „რადიოგადაძახილი“ – ასე ერქვა რუბრიკას, რომელიც ფეხბურთის რამდენიმე მატჩის ერთდროულ რეპორტაჟებსა და კომენტატორების ურთიერთშენაცვლებას ემყარებოდა.

1985-1991 წლებში შემდგომი განვითარება პოვა საინფორმაციო-მუსიკალურმა პროგრამებმა. 1987 წლიდან „პიკის საათი“ უკვე ორჯერ გადიოდა ეთერში ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა – დილით, 7 საათზე, ერთი საათის და ნაშუადღევს, 12 საათსა და 15 წუთზე, 45 წუთის ხანგრძლივობით (სამაგიეროდ გაუქმდა საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „ნაშუადღევს“). ამ პერიოდში მისი აქტიური ავტორები იყვნენ: ვახტანგ ნანიტაშვილი, ნანა ჯაფარიძე, დოდო შონავა, ოთარ შაორშაძე, ზაზა ქინქლაძე (მოგვიანებით – ნატო ონიანი, ქეთინო სადღობელაშვილი, შალვა გეგეჭკორი).

1987 წლის ივნისში „რუსული რესპუბლიკური ცნობების“ რედაქციაში შეიქმნა „პიკის საათის“ იდენტური საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „ექვსიდან შვიდამდე“, რომელიც ყოველ შაბათს გადიოდა ეთერში 18-დან 19 საათამდე და რესპუბლიკის ცხოვრების ყოველკვირეულ მიმოხილვას იძლეოდა მუსიკალური ნომრების თანხლებით (თამაზ კანდელაკი, მაია როიტბაკი-დედაბრიშვილი, თამარ სოგორაშვილი). 1988 წლიდან მას დაემატა კიდევ ერთი საინ-

ფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „თბილისი და თბილისელები“, რომელიც ასევე გადაიცემოდა ყოველ შაბათს 8 საათსა და 15 წუთზე, 30 წუთის მოცულობით (მან შეცვალა მანამდე არსებული „თბილისის ახალი ამბები“).

საინფორმაციო-მუსიკალური ხასიათის უფრო გავრცობილი ბლოკი – „რადიოსადგური „მაცნე“ (როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, მას ინფორმაციული სადგურის პრეტენზია ჰქონდა) პროგრამაში ჩაერთო 1987 წლის სექტემბრიდან, სამშაბათობით 17-დან 20 საათამდე. 1988 წელს პარასკეობით, ამავე საათებში, მას დაემატა კიდევ ერთი გამოშვება, რომელმაც 1989 წლის ივლისიდან 1991 წლის ბოლომდე ხუთშაბათს გადაინაცვლა(ისევ იმ დროში). „მაცნეს“ სტრუქტურაზე საკმაო წარმოდგენას იძლევა მოკლე ანოტაცია, რომელიც ხშირად ერთვოდა მას ეთერში გამოცხადებისას და გაზეთში დაბეჭდილ პროგრამაშიც. მაგალითად, 1989 წლის 9 იანვარს (სამშაბათი) „მაცნეში“ იყო: უკანასკნელი ცნობები; განვიხილავთ ქართული ენის სახელმწიფო პროექტს; ეკონომიკა; თვითდაფინანსება; თვითანაზღაურება; ციკლი „პოზიცია“; სოფლის საზრუნავი; სოციალური სფეროს პრობლემები; რუბრიკა „გარდაქმნის გამოცდილების მისამართები“; ეკოლოგია; დემოგრაფია; კულტურა, ხელოვნება; საერთაშორისო მიმოხილვა; სპორტის ამბები; მუსიკა. ეს რუბრიკები მეტ-ნაკლები სისრულით გვხვდება „მაცნეს“ სხვა გამოშვებებშიც. პარასკევს, 12 ივნისს მათ დაემატა, მაგალითად: გადაცემა მოსწავლეთათვის „გილოცავთ“ – ცენტრალური სამუსიკო ათწლედი 50 წლისაა; რადიოგადაძახილი – ხაზზეა სოხუმი და ა.შ.

1990-1991 წლებში მუდმივად იყო „მაცნეს“ ეთერში რუბრიკა „კრიმინალური ქრონიკა“. დიდი ყურადღება ექცეოდა სამართლის, მორალის, რელიგიის, ეკოლოგიის საკითხებს და ა.შ. სტუდიაში ხშირად იწვევდნენ პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს. პროგრამა პირდაპირ ეთერში გადიოდა და მასში ხშირად იყო ჩართული რეპორტაჟები მოვლენათა ადგილებიდან, მსმენელები აქტიურად მინაწილეობდნენ გადაცემაში სატელეფონო კავშირის მეშვეობით. „მაცნეში“ დიდი დრო ჰქონდა დათმობილი რეკლამას, რომელიც რამდენიმეჯერ გადაიცემოდა. მთელი ბლოკი დატვირთული იყო ქართული და უცხოური მუსიკით.

რადიოსადგური „მაცნე“ თავიდან ინფორმაციის მთავარ რედაქციაში მზადდებოდა, მაგრამ 1991 წელს მას მონაცვლეობით ამზადებდნენ რადიოს სხვადასხვა რედაქციის თანამშრომლები, ვისაც

პირდაპირ ეთერში მუშაობის პრაქტიკა ჰქონდა. რუბრიკების კომ-პაქტური ხასიათი და მუსიკის სიუხვე გვარწმუნებს, რომ რადიო-სადგური „მაცნე“ ფაქტობრივად პირველი პროგრამის ფარგლებში საინფორმაციო-მუსიკალური სადგურის ჩამოყალიბების ცდა იყო და მან საბოლოო განხორციელება პოვა 1995 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს რადიოს II პროგრამის ბაზაზე (თუ მის ნაცვლად) „რადიო-2 – ქართული რადიოს“ დაარსებით.

ტრადიციულად გრძელდებოდა 1985-1990 წლებში ქართული და რუსული რესპუბლიკური გაზეთების ყოველდღიური მიმოხილვა, გარდა ორშაბათისა (1991 წელს მას დაერქვა „რესპუბლიკური ყო-ველდღიური პრესის მიმოხილვა“) და აგრეთვე 1985 წელს „პრავდის“ მიმოხილვა (ქართულ ენაზე). ასევე, 1987 წლის ბოლომდე, გარდა შა-ბათ-კვირისა, მსმენელებს მიეწოდებოდა ქართულად თარგმნილი „პრავდის“ მოწინავე სტატია.

1991 წელს პრესის თავისებურ მიმოხილვას წარმოადგენდა აგ-რეთვე პროგრამა „პარალელი – ფაქტი, პრესა, კომენტარი“, რომე-ლიც ყოველკვირეულად გადაიცემოდა 45-60 წუთის ხანგრძლივი-ბით. პროგრამის წამყვანი ჯუმბერ ბაქრაძე (რადიოს პროგრამების მთავარი დირექციის მთავარი დირექტორის მოადგილე) მსმენელებს აცნობდა საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებს, ამასთან, ყურადღებას ამახვილებდა იმ თემაზე, რომელიც მოცემუ-ლი კვირის განმავლობაში ყველაზე აქტიურად შუქდებოდა პრესაში. ხშირად იყო საუბარი მსოფლიოს ზესახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, მათ დამოკიდებულე-ბაზე საქართველოს მიმართ და ა.შ.

გარდაქმნის პროცესების გავლენა, ცხადია, ყველაზე მეტად სა-ზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს შეეხო. ტრადიციულად და-იწყო გარდაქმნის თემის ტოტალურად წარმოჩენა. სიტყვა „გარდაქ-მნა“ მუდმივად ისმოდა ეთერში და ფიგურირებდა უამრავი რუბრი-კის სახელწოდებაში: „მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრა-მა“ (1986), „რით დავიწყეთ გარდაქმნა“ (რუბრიკა, რომელიც რაიკო-მის მდივნებს ეკავათ და ფაქტობრივად მათ ანგარიშებს წარმოად-გენდა – 1986-1987), „გარდაქმნას – იდეოლოგიური უზრუნველყო-ფა“, „გარდაქმნა დროის მოთხოვნაა“, „წერილები გარდაქმნაზე“, „გარდაქმნის კურსი“, „გარდაქმნა და კადრები“, „გარდაქმნის წახნა-გები“ (ყველა 1987 წელს), „გარდაქმნას – მუშური გარანტია“ და სხვა. ყველა ეს „გარდაქმნა“ არსებითად ფორმალური იყო. რა გარ-

დაქმნაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა იდეოლოგიური პლურალიზმი გაიაზრებოდა როგორც „სოციალისტური პლურალიზმი“ და ასეთი ყოველკვირეული რუბრიკაც კი არსებობდა – „გარდაქმნის ლენინური გაკვეთილები“ (1988).

მაგრამ ყველაზე მთავარი იყო ის, რომ გარდაქმნის პროცესებს თან მოჰყვა ეთერის დემოკრატიზაცია და გამოჩნდა ახალი თემები და პრობლემები, რომლებზეც საქართველოს რადიოს მანამდე ხელი არ მიუწვდებოდა. 1989 წლის სექტემბრიდან შეიქმნა ყოველკვირეული მწვავე პუბლიცისტური პროგრამა „პირველი სტუდია“, სადაც პერიოდულად განიხილებოდა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემები, პარტიის ეროვნული პლატფორმა, ეროვნული განვითარების კონცეფცია, რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, ეროვნული სკოლის კონცეფცია და სხვ. 1990 წლის აპრილიდან ჩამოყალიბდა ყოველკვირეული რუბრიკა „პოლიტოლოგის სტუდია“, სადაც გამოსვლის საშუალება მიეცათ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და გაერთიანების წარმომადგენლებს. 1990 წლის თებერვლიდან ყოველკვირეული რუბრიკით „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში“ (15 წთ.) მოსახლეობას მიეწოდებოდა ინფორმაცია მთავრობის საქმიანობის შესახებ. დროის ყველაზე მწვავე პრობლემები იყო დასმული გადაცემებში: „საქართველოს მოქალაქის სტატუსი“ (1988 წ., 12 გადაცემა), „საქართველოს სახელმწიფოებრიობის დღე“ (1989, 22.05), „ჩვენი ენა ქართული“ (1989, 3 გადაცემა), „სტუდია „დიალოგი“ (საქართველოს ისტორიის სწავლების სახელმწიფო პროგრამის პროექტი“ (1989, 3.04), „როგორ გვესმის დამოუკიდებლობა“ (1990, 9.05) და სხვ.

ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა ქვეყნის სათავეში პირველი ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ. აპრილის ბოლოს შეიქმნა ციკლი „დამოუკიდებელი საქართველოსათვის“, 24 აპრილს ამავე თემაზე მოეწყო პირველი (და უკანასკნელი) რადიოხიდი „თბილისი-ვაშინგტონი“ (60 წუთი); აპრილ-ივნისში ეთერში იყო სამი გადაცემა ციკლით „ქართული ემიგრაციის ხმები“ (გრიგოლ ურატაძის, ნამეტია ბერძენიშვილისა და მიხაკო წერეთლის აუდიოჩანაწერები), რომელსაც უძღვებოდა პროფ. გურამ შარაძე.

ყოველივე ამის პარალელურად, 1985-1990 წლებში გრძელდებოდა იმ თემების წარმოჩენა, რომელიც ტრადიციულად დამახასიათებელი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობისათვის. კვლავ იყო ეთერში რუბრიკები „კომუნისტი“ (ძირითადად, პორტრე-

ტული ნარკვევები) და „ანგარიშს აბარებს კომუნისტი“, რომელიც უკავშირდებოდა ამ პერიოდში პარტიულ კრებებზე კომუნისტების პირადი ანგარიშებით გამოსვლის კამპანიას. ისევ გრძელდებოდა ფსევდოდისკუსიები რუბრიკით „სტუდია „დიალოგი“ (1985, 1986). საიუბილეო გადაცემები მიეძღვნა ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 150 წლისთავს, სერგეი კიროვის დაბადების 100 წლისთავს და სერგო ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავს (1986). ადრინდელთან შედარებით უფრო თავშეკავებულად აღინიშნა 1990 წელს ლენინის 120 წლისთავი, თუმცა ლენინური თემა საბჭოთა ხელისუფლების დასრულებამდე მაინც რჩებოდა ეთერში.

1985 წლიდან აპრილის მეორე კვირას სისტემატურად აღინიშნებოდა „ხსოვნის დღე“ – ხელისუფლების აზრით, იგი აღდგომის მეორე დღეს მიცვალებულთა მოხსენიების ალტერნატივა უნდა გამხდარიყო და ერთგვარი ანტირელიგიური დანიშნულებაც ჰქონდა.

1989 წლიდან რუბრიკას „რადიომსმენელებს უპასუხებენ საერთაშორისო მიმომხილველები“ (რომელიც 1984 წლიდან ყოველკვირეულად გადაიცემოდა 25 წუთის მოცულობით) ფორმა შეეცვალა და ეწოდა „ქვეყნები და კონტინენტები“.

1985-1987 წლებში ტრადიციულად ყოველთვიურად გადაიცემოდა რადიოჟურნალი „შოლტი“, რომელსაც სატირისა და იუმორის რედაქცია ამზადებდა. საერთო ჯამში, იგი 25 წელი იყო ეთერში. გარდა ამისა, 1985-1986 წლებში დროდადრო გადაიცემოდა კრიტიკული რუბრიკები: „მომხვეჭელობა მუშათა სამსჯავროზე“, „ნეგატიური მოვლენები სოციალიზმის ანტიპოდია“ და სხვ. პერიოდულად ეწყობოდა რადიომსმენელთა შეხვედრები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან (მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშების შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან 1985 წლის 8 იანვარს და შეხვედრა რესპუბლიკის პროკურორთან იმავე წლის 8 თებერვალს).

1985-1989 წლებში კვლავ გრძელდებოდა ყოველთვიური ნახევარსაათიანი სამართლებრივი პროგრამის „ადამიანისა და კანონის“ გადაცემა, რომელიც 1969 წლიდან არსებობდა (წამყვანები – დიმიტრი ლობჟანიძე და ლილი მაისურაძე). 1990 წლიდან იგი ყოველკვირეული გახდა. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გარდაქმნა, პირველ ყოვლისა, სამოქალაქო, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას გულისხმობდა. პროგრამის მთავარი დანიშნულება იყო სამართლებრივი ნორმებისა და კანონპროექტების პროპა-

განდა, სამართალდარღვევების შემთხვევების გაშუქება. სტუდიაში მოწვეული სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები საუბრობდნენ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებში არსებულ კანონდარღვევებზე, რესპუბლიკაში მომხდარ დანაშაულთა შესახებ და ა.შ.

1990 წლის ბოლომდე კვლავ იყო ეთერში ყოველკვირეული რუსულენოვანი რადიოჟურნალი „თბილისი, ბაქო, ერევანი“, რომელსაც რიგრიგობით ამზადებდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რადიოსტუდიები და ერთდროულად გადაიცემოდა სამივე რესპუბლიკის მსმენელებისათვის. 1985-1990 წლებში ასევე გრძელდებოდა გადაცემა მეორე რუსულენოვანი ჟურნალისა „საბჭოთა არმიის მეომრებისათვის“. 1991 წლიდან არც ერთი აღარ იყო ეთერში, მაგრამ მათ შეენაცვლა ახალი რუსულენოვანი პროგრამები „სპექტრი“ და „ორბიტა“. ყოველკვირეული პროგრამა „სპექტრი“ გადაიცემოდა 1 საათის ხანგრძლივობით, ეხებოდა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მოვლენებს. პროგრამის მუდმივი რუბრიკა „პოლიტიკური დღიური“ მსმენელებს აწვდიდა ოპერატიულ პოლიტიკურ ინფორმაციას. გადაცემაში ხშირად კითხულობდნენ ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიადან“ ამოკრებილ მასალებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩვენი ქვეყნისა და რუსეთის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. პროგრამა მზადდებოდა გაცვლითი გადაცემების რედაქციაში.

45-წუთიანი „ორბიტა“ გადაიცემოდა თვეში ერთხელ. ფაქტობრივად იგი „თბილისი, ბაქო, ერევანის“ ახალ ვარიანტს წარმოადგენდა და ერთდროულად გადაიცემოდა სამივე რესპუბლიკაში (ავტორი და წამყვანი ნატაშა მდივანი). „ორბიტაში“ მიმოიხილავდნენ ერთი თვის მანძილზე საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს – სტუდიაში იწვევდნენ პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს, საერთაშორისო მიმომხილველებს, პოლიტოლოგებს და ა.შ. მან მხოლოდ 1991 წლის ბოლომდე იარსება და როცა საბოლოოდ გაფორმდა საბჭოთა კავშირის დაშლა, შეწყდა რესპუბლიკის რადიოსტუდიებს შორის პროგრამების გაცვლაც.

პროპაგანდის მთავარ თემებად კვლავ რჩებოდა სკკპ ყრილობა და სხვადასხვა საიუბილეო თარიღი თუ მიმდინარე პოლიტიკური ღონისძიება. მაგალითად, 1986 წლის 21-24 თებერვალს, სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად (იგი 28 თებერვალს გაიხსნა) მოეწყო თემატური რადიოდღეები: „ინდუსტრიული საქართველო“, „საქართვე-

ლოს აგრომრეწვი“, „საქართველოს მეცნიერება“, „საქართველოს კულტურა და ხელოვნება“. ისიც ნიშანდობლივია, რომ რადიოპროგრამირების ეს ძველი ფორმა უკანასკნელად 20 წლის წინ, 1966 წელს იყო ეთერში (მაშინ იგი სკკპ 23-ე ყრილობას ეძღვნებოდა). ასევე რელიქტურ ფორმას წარმოადგენდა რადიოკონფერენცია 1987 წლის 14-20 აპრილს, რომელზეც უკვე ჩატარებული სკკპ 27-ე ყრილობის მასალები განიხილებოდა (სულ შვიდი 25-წუთიანი გადაცემა). უფრო ადრე კიდევ ერთი თეორიული რადიოკონფერენცია მიეძღვნა გარდაქმნის პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესს – 1986 წლის 19-26 მაისის კვირაში ყოველდღიურად ეთერში იყო თითო 25-წუთიანი გადაცემა.

ჩვეული სტილით გაშუქდა XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია (1988წ.). შეიქმნა რუბრიკები: „XIX საკავშირო პარტკონფერენციის შესახვედრად“, „პარტკონფერენციის ტრიბუნა“, „საკავშირო XIX პარტკონფერენცია“, „XIX პარტკონფერენცია: პრობლემები, ამოცანები“, „პარტკონფერენცია და ჩვენ“, „პარტკონფერენციის კურსით“ და სხვ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით 1987 წლის იანვრიდან ყოველ კვირადღეს გადაიცემოდა რადიოკომპოზიციის ფორმის ნახევარსაათიანი ციკლი „შენ ახალი საქართველო გქვიანო“ (მოგვიანებით მას „მამული ჩემი“ ეწოდა). ადრინდელი მსგავსი ციკლებისაგან იგი მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ გეოგრაფიული კი არა, თემატური პრინციპით იყო აგებული – ასახავდა საბჭოთა საქართველოს წარმატებებს ეკონომიკის, სოციალური ცხოვრების, კულტურის სხვადასხვა სფეროში. ამავე თარიღს მიეძღვნა „მეგობრობის რადიოფესტივალი“ – გაიმართა უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რადიოდღეები (მოკავშირე რესპუბლიკების რადიოსტუდიებიდან მიღებული და ქართულად თარგმნილი მასალების მიხედვით).

ტრადიციულ რუბრიკად დარჩა „დეპუტატობის კანდიდატები“, რომელიც ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე რადიოს ეთერში უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე 1-2 თვით ადრე. ძირითადად ეს იყო ტრაფარეტული ნარკვევების სერია და მასში ყველაფერზე იყო საუბარი დეპუტატის პოზიციისა და პროგრამის გარდა (რაც მას არც სჭირდებოდა, რადგან პარლამენტი ერთპარტიულ საბჭოთა სახელმწიფოში ფორმალურ სტრუქტურას წარმოადგენდა). 1985

წელს, მაგალითად, ამ რუბრიკით იანვარში 14 და თებერვალში 13 ნარკვევი გადაიცა (თავად არჩევნები მარტში გაიმართა). გარდაქმნის წლებში მას დაემატა ორიოდე გადაცემა: „დეპუტატობის კანდიდატის პლატფორმა“ (1989, 6.03 – როგორც იქნა, პლატფორმაც ახსენეს), „დეპუტატთა ყრილობის შესახვედრად“ (1989, 15.03) და ციკლი „სახალხო დეპუტატის ტრიბუნა“ (1989). მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა მხოლოდ გარდაქმნის ბოლო წლებში, როცა ხელისუფლებამ დასაშვებად მიიჩნია არჩევნებზე ალტერნატიული კანდიდატების წამოყენება. 1990 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მოეწყო რამდენიმე გადაცემა საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ. 24 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით კი ეთერში იყო ყოველკვირეული 15-წუთიანი რუბრიკა „საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში“.

გარდაქმნის ბოლო პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობა უფრო ოპერატიული გახდა, უშუალოდ დაუკავშირდა მიმდინარე მოვლენებს. 1991 წელს ამგვარი გადაცემების მომზადების პირველი ცდა იყო ერთსაათიანი პროგრამა „დრო და მოვალეობა“. იგი გადაიცემოდა კვირაში ერთხელ და მონაცვლეობით უძღვებოდნენ ჟურნალისტები: გულნაზ გელოვანი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), მაგდა მკერვალი, ლია წიკლაური. პროგრამა მრავალთემიანი და მრავალჟანრიანი იყო – ასახავდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ცხოვრების სიახლეებს, საზღვარგარეთის ახალ ამბებს და ა.შ. დროდადრო მასში საუბრობდნენ რელიგიურ თემებზეც, სტუდიაში იწვევდნენ სასულიერო პირებს, აღნიშნავდნენ საეკლესიო დღესასწაულებს.

ცალკე უნდა გამოიყოს მხატვრულ-პუბლიცისტური რადიოარხი „თანაგრძნობა“, რომელიც 1989 წელს შეიქმნა „საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თხოვნითა და დაფინანსებით“. იგი პირველად 25 მარტს გავიდა ეთერში, მაგრამ მალე გასცდა უსინათლოთა აუდიტორიის საზღვრებს და ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. ამ ერთსაათიან პერსონალურ გადაცემას, რომელსაც შესანიშნავი რადიოჟურნალისტი მედეა გეგეშიძე ამზადებდა, სპეციალური მორალურ-ზნეობრივი პროგრამის პრეტენზია არა ჰქონია, მაგრამ თავისი არსით (შემთხვევით არ უწოდებიათ მისთვის „თანაგრძნობის არხი“) ადამიანების ურთიერთგაგების, მათი ზნეობის, რწმენის, კეთილი ცხოვრებისეული პრინციპების დამკვიდრებას ემსახურებოდა

(საკმარისია დავასახელოთ ზოგიერთი რუბრიკა: „მამები და შვილები“, „ჩვენ და ზნეობრიობა“, რადიოკლუბი „თვალსაზრისი“ და სხვა).

გარდაქმნის წლებში მაუწყებლობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად, რა თქმა უნდა, კვლავ რჩებოდა ეკონომიკის საკითხების გაშუქება. ამ სფეროს სახალხო მეურნეობის მთავარი რედაქცია, კერძოდ, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის რედაქციები განაგებდნენ (უფროსი რედაქტორები: დილარ ჯვებენავა და ლამარა ესართია). სოფლის მეურნეობის რედაქციის ტრადიციული რუბრიკა „სოფლის დილა“ 1985-1988 წლებში ყოველდღიურად (შაბათ-კვირის გამოკლებით) გადაიცემოდა ეთერში 10 წუთის ხანგრძლივობით და ეკონომიკის გარდა სოციალურ და კულტურის საკითხებსაც მოიცავდა. 1989 წლიდან იგი 20-წუთიან პროგრამად გადაკეთდა და იგივე პერიოდულობა შეინარჩუნა, 1991 წელს კი 30 წუთამდე გაიზარდა და დაერქვა „ლილე“ (რაც ალბათ უფრო ეროვნულ სახელად ჩათვალეს). პროგრამა „ლილეს“ უძღვებოდნენ ჟურნალისტები: დილარ ჯვებენავა, ზურაბ მახარაძე, გელა ზედელაშვილი, მეგი ჯანელიძე, ბარბარე ბენაშვილი.

აქტიურად მუშაობდა გარდაქმნის წლებში მრეწველობის რედაქცია, თუმცა ბევრი ტრადიციული რუბრიკა ისევ შემორჩა ეთერში: „სამეურნეო მექანიზმი – პრობლემები, ამოცანები“, „ხუთწლედს დამკვრელური შრომა“ (1985), „სასურსათო პროგრამა მოქმედებაში“ (1985, 1986); „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“, „განვიხილავთ სახელმწიფო საწარმოს კანონის პროექტს“, ჩვენი კრიტიკული გადაცემების კვალდაკვალ“ (1985-1987), „ხუთწლედის მშენებარე ობიექტებზე“, „მეგობრები გვიზიარებენ გამოცდილებას“, „ბრიგადა, ეფექტიანობა, პრობლემები“ (1985-1988); „ეკონომიკური მიმოხილვა“ (1985-1991).

თავიდან, როცა გარდაქმნის ეკონომიკური პოლიტიკა ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, დაინერგა ხარისხის სახელმწიფო მიღების სისტემა (საწარმოებში შეიქმნა სპეციალური საკონტროლო ჯგუფები, რომლებიც გამოშვებული პროდუქციის ხარისხს ამოწმებდნენ), რასაც ოპერატიულად მოჰყვა ისევ ახალი რადიორუბრიკები: „სახელმწიფო მიღება – ხარისხის გარანტია“ (1986-1988) და „ხარისხი და ეფექტიანობა“ (1986). შემდგომ, 1988 წელს, შეიქმნა ყოველკვირეული რუბრიკა „ეკონომიკა, პოზიცია, გარდაქმნა“ (1989 წლის მეორე ნახევრიდან – „ეკონომიკა, გარდაქმნის პრობლემები“), ხოლო 1990 წელს – ასევე ყოველკვირეული „ეკონომიკური გარდაქმნის

პრობლემები“, ციკლი „მთავარი მიმართულება – ეკონომიკური მართვის სრულყოფა“ და სხვ. (ძნელი სათქმელია, ახდენდა თუ არა რაიმე ზეგავლენას ასეთი ტოტალური ეკონომიკური პროპაგანდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე – ეს არავის გამოუკვლევია, მაგრამ საქართველოს რადიოს, როგორც კომუნიკატორის მონდომება, ნამდვილად არ იწვევს ეჭვს). შესაძლებელია, აუდიტორიის უფრო მეტი ინტერესი გამოეწვია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხის განხილვას, რის საშუალებაც დემოკრატიზაციის პროცესმა შექმნა: „როგორ გვესახება ეკონომიკური დამოუკიდებლობა“ (1989, 19. 07), „როგორი იქნება დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა“ (1990. 3. 05), „დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური საფუძვლები“ (1990. 20. 07), „საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის“ (1990, 12. 10) და სხვ.

1991 წელს ყოველკვირეული რუბრიკა „ეკონომიკა – გარდაქმნის პრობლემები“ პროგრამად ჩამოყალიბდა და ეწოდა „ეკონომიკა: თვალსაზრისი, პრობლემები“ (ავტორები: მარიკა სილაგაძე და ქეთევან თერგიაშვილი, უძღვებოდნენ: ირინე კეშელავა და ქეთევან თერგიაშვილი). მასში სისტემატურად იყო რუბრიკები: „საბაზრო ეკონომიკა და კადრები“, „საბაზრო ეკონომიკა და ადამიანის ფაქტორი“, „ხარისხი და ისევ ხარისხი“, „ბიზნესი და ბიზნესმენები“. პროგრამაში ჩართული იყო „სტუდია-დიალოგი“, სადაც მოწვეული სპეციალისტები მსჯელობდნენ ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე (ბიუჯეტის დეფიციტი, ბაზრის პრობლემები და ა.შ.). ყოველკვირეულად მზადდებოდა აგრეთვე 15-წუთიანი გადაცემები ეკონომიკურ თემაზე: „იქმნება საკუთარი ეკონომიკური სისტემა“, „საქართველოს ეკონომიკა და განვითარების ახალი მოდელი“, „პრივატიზაცია, ფინანსები და სამომავლო პროგნოზი“, „ეკონომიკური საქმიანობა სამრეწველო საქმიანობიდან იწყება“ და ა.შ.

ამავე წლის აპრილიდან პირველად გავიდა ეთერში ყოველკვირეული ნახევარსაათიანი კომერციული რადიოგაზეთი „ბუმერანგი“. იგი მზადდებოდა საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამების რედაქციაში, უძღვებოდნენ ჟურნალისტები: დოდო შონავა და ლალი ბზიაშვილი. „ბუმერანგში“ მოწვეული ქართველი და უცხოელი ეკონომისტები თუ ბიზნესმენები პირდაპირ ეთერში განიხილავდნენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, მსჯელობდნენ პრივატიზაციაზე, რომელიც საქართველოში მაშინ იწყებოდა და მსმენელთა დიდ ინტერესს იწვევდა – ისინი აქტიურად ერთვებოდნენ გადაცემის

მსვლელობაში. პროგრამის ხშირი სტუმრები იყვნენ მცირე ბიზნესის წარმომადგენლები – სხვადასხვა ახალდაარსებული ფირმების ხელმძღვანელები, რომლებიც საუბრობდნენ თავიანთ საქმიანობაზე და რეკლამას უწევდნენ საკუთარ ნაწარმს. საერთოდ, ქართული პროდუქციის რეკლამა „ბუმერანგის“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო და დიდი ადგილი ეკავა პროგრამაში, ცალკეულ პირებს საკმაოდ იაფად შეეძლოთ მისი მეშვეობით სათანადო ინფორმაციის გავრცელება.

1991 წელს ხშირად იყო ცალკეული გადაცემებიც ეკონომიკურ თემაზე: „ეკონომიკის აღორძინების გზები“ (30. 07), „საბაზრო ეკონომიკა და პრობლემები“ (20. 02), „იქმნება საკუთარი ეკონომიკური სისტემა“ (20. 03), „რეფორმა, კომპენსაცია, პრობლემები“ და სხვ.

საქართველოს რადიოს მხატვრული მაუწყებლობა 1985-1991 წლებში ტრადიციულად მოიცავდა ლიტერატურის, თეატრისა და მუსიკის ნაწარმოებებს, მათ შორის ორიგინალურსაც – რადიოსპექტაკლებს (აქვე განვიხილავთ აგრეთვე სამწერლობო პუბლიცისტიკასაც და ლიტერატურულ-კრიტიკულ გადაცემებს, რომლებსაც ასევე ამზადებდნენ ლიტერატურული გადაცემების განყოფილებაში).

ამ პერიოდში ლიტერატურული მაუწყებლობის ბადე არსებითად არ შეცვლილა – პროგრამაში დარჩა ბევრი მანამდე არსებული ციკლი და რუბრიკა, ცვლილებები უმთავრესად მათ თემატიკასა და შინაარსს შეეხო. კვლავ გადაიცემოდა რუბრიკები: „პოეტი მიკროფონთან“ (10 წუთი), და „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“ (5 წუთი), რომელიც კვირაში სამჯერ რადიომსმენელებს აცნობდა ქართული და უცხოური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს მხატვრული კითხვის ოსტატების შესრულებით. სხვადასხვა პერიოდულობით ეთერში იყო რუბრიკები: „მეგობრობა გზად და ხიდად“ (1985, 1986), „მოძმე რესპუბლიკების პოეზია“ (1988), „ლექსო, ნუ დაიკარგები!“ (ხალხური პოეზიის ნიმუშები, 1985-1991). 1990 წელს შეიქმნა „რადიოდიქტორთა ლიტერატურული სალონი“ – მათი შესრულებით მზადდებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური რადიოკომპოზიციები როგორც პოეტური, ისე პროზაული ნაწარმოებების მიხედვით. პროზაული ნაწარმოებები აგრეთვე გადაიცემოდა ტრადიციული რუბრიკით „ლიტერატურული კითხვა“ (კვირაში 3-4-ჯერ დღის საათებში, 20 წუთი). იგი მოიცავდა როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ და საგანმანათლებლო ხასიათის გადაცემებსაც. მაგალითად, 1989 წლის 9-12 იანვარს ოთხი გადაცემა დაეთმო თეიმურაზ მაღლაფერიძის მონოგრაფიას „არჩილ ჯორჯაძეს“. ასევე, პროზაული ნაწარმოებების

კითხვას ეთმობოდა რუბრიკები: „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“ (1985, 1986), „ახალი წიგნები“ (1985-1987), „ახალი ლიტერატურული ჩანაწერები“ (1985-1987), „ახალი თარგმანები“ (1985-1989), „მოძმე რესპუბლიკების პროზა“ (1989). 1988-1991 წლებში ქართული კლასიკური ლიტერატურისა და ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღიარებულ ნაწარმოებებს აერთიანებდა რუბრიკა „ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობა“. მეტ-ნაკლები პერიოდულობით ფუნქციონირებდა რუბრიკა „მწერალი მიკროფონთან“, ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ავტორისეული კითხვა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებებით. დავით აღმაშენებლის 900 წლისთავის საიუბილეო პერიოდში ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი ჯანსუღ ღვინჯილია ორ-ნახევარი თვის მანძილზე – 1988 წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან 1989 წლის თებერვლამდე – კითხულობდა მიკროფონთან თავის ვრცელ ესეის „სული აღმაშენებელი“ (მომზადდა დაახლოებით 40-მდე გადაცემა).

რა თქმა უნდა, რადიოში ასეთი ხანგრძლივი პატრიოტული სერიალის გამოჩენა ბევრად განაპირობა ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ – ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ. ეროვნულ თემას დაუკავშირდა საქართველოს რადიოში 1987 წლის იანვარ-თებერვალში აკაკი შანიძის 100 წლისთავის საზეიმო აღნიშვნა და განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემები. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ლიდერის იუბილემ ამ პერიოდში განსაკუთრებული ელფერი შეიძინა. ფართოდ გაშუქდა ი. ჭავჭავაძის მრავალმხრივი საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობა, მისი დიდი გავლენა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროზე, ეროვნული ცნობიერების აღორძინებასა და ჩამოყალიბებაზე. ჯერ კიდევ 2 წლით ადრე, 1985 წლის მარტიდან დაიწყო გადაცემების ციკლი „ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ“, ხოლო 1986 წლის იანვრიდან შეიქმნა რუბრიკა „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“. ამ რუბრიკით იუბილემდე 40-ზე მეტი გადაცემა მომზადდა (საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია ფილარმონიის დიდი დარბაზიდან 23 ოქტომბერს მოეწყო).

ინერციით კვლავ განაგრძობდა არსებობას 1988 წლის ბოლომდე რუბრიკა „სატირის მახვილით“. როგორც წინა თავში აღინიშნა, იგი ძირითადად რუსულიდან თარგმნილ პამფლეტებს მოიცავდა და „ამათრახებდა“ კაპიტალისტურ სინამდვილეს, მაგრამ „გარდაქ-

მნის“ 2 წლის განმავლობაში დამოკიდებულება ამ სინამდვილისადმი საგრძნობლად შერბილდა და რუბრიკაც გაუქმდა. სამაგიეროდ 1991 წლის ბოლომდე გაძლო იუმორისტულმა პროგრამამ „მხიარულ ტალღაზე“ (საერთო ჯამში მან 28 წელი იარსება). 1988 წელს მას დაემატა ახალი იუმორისტული პროგრამა „უღიმილოდ ნუ მოისმენთ“ – თითოეული მათგანი თვეში ერთხელ გადაიცემოდა 30 წუთის ხანგრძლივობით. „მხიარულ ტალღაზე“ მოიცავდა მხატვრულ და დოკუმენტურ მასალებს. სტუდიაში მოდიოდნენ იუმორისტი მწერლები და მსახიობები, რომლებიც კითხულობდნენ სასაცილო ლექსებსა და მოთხრობებს. ზოგჯერ მთელი პროგრამა ეძღვნებოდა რომელიმე ერთ თემას ან პიროვნებას. ამ დროს იგი გადიოდა სახელწოდებით – „გთხოვთ მობრძანდეთ“. პროგრამაში „უღიმილოდ ნუ მოისმენთ“ (ზოგჯერ მას ცვლიდა „შაბათ საღამოს“ ან „სატირა და იუმორი“) ჩართული იყო ხალისიანი ინტერვიუები და რეპორტაჟები. სტუდიაში მოწვეული ცნობილი ქართველი პაროდისტები, კომიკოსი-მსახიობები, სხვა შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები ყვებოდნენ ანეკდოტებს და სასაცილო ამბებს თავისი ცხოვრებიდან, კითხულობდნენ იუმორისტულ ნაწარმოებებს და ა.შ. პროგრამას ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: „პაროდიის პაროდია“, „მხიარული კალეიდოსკოპი – რამდენიმე წუთი ღიმილისათვის“ და სხვ.

1988 წლის 9 იანვარს პირველად გავიდა ეთერში ახალი საზოგადოებრივ-ლიტერატურული (როგორც აცხადებდნენ) პროგრამა „დროება“. იგი დროის გამოძახილი, დროის მოთხოვნა და, გარკვეული აზრით, დროის პროდუქტიც იყო. არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ რადიოპროგრამა იმეორებდა მე-19 საუკუნის ეროვნული მიმართულების ცნობილი გაზეთის სახელწოდებას. ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესმა აშკარად წარმოაჩინა სოციალისტური საზოგადოების მთელი უაზრობა და უპერსპექტივობა, ეროვნული მოძრაობა ძალას იკრებდა, საბჭოთა კავშირის დაშლამდე სამიოდე წელი იყო დარჩენილი და „დროებამ“ თავის მიზნად დაისახა ეროვნული ცნობიერების გაღვივება, საზოგადოებრივი მოვლენების ახსნა და შეფასება ახალი, დემოკრატიული პოზიციებიდან, რაც მან ძირითადად განახორციელა კიდეც. ქართული რადიოჟურნალისტიკის ისტორიაში „დროება“ დარჩება როგორც ყველაზე მებრძოლი პუბლიცისტურ-მხატვრული პროგრამა, რომელმაც თავისი თამამი გამოსვლებით (იგი ხშირად უთმობდა მიკროფონს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს) ხელი შეუწყო ეროვნულ გამოფ-

ხიზლებას და საქართველოში დემოკრატიული აზროვნების დამკვიდრებას. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ლიტერატურული რედაქციის მთელ კოლექტივს: ზურაბ კანდელაკს, თამაზ ხმალაძეს, მაია წერეთელს, ზინა მჭედლურს, ნანა ამირანაშვილს და სხვ. წელიწად-ნახევარი „დროება“ გადაიცემოდა ყოველ შაბათს, თორმეტ საათზე, 45 წუთის ხანგრძლივობით. 1989 წლის მეორე ნახევრიდან მან ერთი საათი დაიკავა პარასკევს, 18 საათზე და მეორდებოდა შაბათს, 10 საათზე, ითვლებოდა საქართველოს რადიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პროგრამად.

„დროების“ წარმატებას და ავტორიტეტს დიდად განაპირობებდა სამწერლო პუბლიცისტიკა. ტრადიციულად ქართველი მწერლები მეტ-ნაკლები პერიოდულობით, მაგრამ სისტემატურად ეხმაურებოდნენ ცხოვრების აქტუალურ მოვლენებს. გრძელდებოდა ციკლი „მწერალი და ცხოვრება“. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1991 წლის მაის-ივნისში ამ ციკლის 7 გადაცემა საერთო სახელწოდებით „მდუღარე მდინარე“ (მიკროფონთან მწერალი მერაბ ელიოზიშვილი). გარდაქმნის პროცესების განვითარებამ ახალი იმედები წარმოშვა და ბევრი მწერალი აქტიურად მონაწილეობდა არა მარტო „დროებაში“, არამედ ცალკეულ გადაცემებსაც ამზადებდა. აუდიტორიის დიდი ინტერესი გამოიწვია მწერლების პუბლიცისტურმა გამოსვლებმა: „ქართული მწერლობა და გარდაქმნის პრობლემები“ (სტუდიაში გურამ ფანჯიკიძე და ელიზბარ ჯაველიძე – 1987, 22.06), „გარდაქმნის პროცესი პერსპექტივაა“ (ჯანსუღ ღვინჯილია – 1988, 27.06), „მონოლოგი დიალოგიდან“ (ოთარ ჭილაძე – 1988, 6,13.03), „დიალოგი აკაკი ბაქრაძესთან“ (1988, 21.03), „დიალოგი მუხრან მაჭავარიანთან“ (1989, 12.04) და სხვ. საერთოდ, რუბრიკა „დიალოგი მწერალთან“, რომელიც 1988 წელს შეიქმნა, წარმატებული ნაბიჯი იყო ქართულ რადიოპუბლიცისტიკაში (შესაძლოა, ამანაც განაპირობა მოგვიანებით ლიტერატურულ-პუბლიცისტური რუბრიკის „ლიტერატურა და სხვა“ წარმოშობა, რომელიც ასევე სტუდიაში მოწვეულ პირთან ჟურნალისტის დიალოგს ემყარებოდა).

მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა ყოველკვირეული რუბრიკა „პუბლიცისტის სიტყვა“, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლების გამოსვლებს მოიცავდა. გამოსვლები სერიული ხასიათისა იყო და თითოეული რამდენიმე კვირას გრძელდებოდა. 1989 წელს, მაგალითად, ამ რუბრიკით გამოვიდნენ თამაზ ჭილაძე, ვანო ჩხიკვაძე, თედო ბექიშვილი, ჯანსუღ ღვინჯილია, მერაბ ელიოზიშ-

ვილი და სხვ. ასევე, უნდა აღინიშნოს ჯანსუღ ღვინჯილიას პუბლიცისტური სერიალი „უღმერთობის ხანა“ ციკლიდან „ქართველი კაცის სინამდვილე“, რომელიც 1991 წლის იანვარ-მაისში გადაიცა (5 გადაცემა).

1988-1991 წლებში ისევ განახლდა 1981-1984 წლების პოპულარული ციკლი „ზნეობრიობა და ქართული მწერლობა“. ეთერში გავიდა 16 გადაცემა, მათ შორის გადაცემა გ. ასათიანის წიგნიდან „სათავეებთან“ და ა. ბაქრაძის წერილები „ზნეობრივი გმირი“ და „პატიოსნება“. თუმცა ციკლი ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათისა იყო, მას დიდი პუბლიცისტური დატვირთვაც ჰქონდა. ასევე, მხოლოდ ლიტერატურული დანიშნულება არ ჰქონია პროფ. ლევან მენაბდის საავტორო ციკლს „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“, რომელიც 1984 წელს დაიწყო და 1985-1986 წლებშიც გრძელდებოდა.

მხატვრულ-პუბლიცისტურ მიმართულებას წარმოადგენდა აგრეთვე ნარკვევები თუ რადიოკომპოზიციები მწერლებსა და ხელოვნების სხვა დარგების მოღვაწეებზე, რაც საქართველოს რადიოში დიდი ხნიდან იღებს სათავეს და ამ წლებშიაც გრძელდებოდა. მაგალითად, 1989 წლის 6 აგვისტოს რუბრიკა „შემოქმედებითი პორტრეტები“ დაეთმო მსახიობ აკაკი ვასაძეს, 1991 წლის 24 ივნისს ციკლით „დაბრუნებული სახელები“ ნახევარსაათიანი გადაცემა მიეძღვნა მწერალ გრიგოლ რობაქიძეს. კვლავ გადაიცემოდა შესანიშნავი რადიოჟურნალისტის ლამარა კიკილაშვილის საავტორო ციკლი „გაუხუნარ ფერთა ექო“, რომელიც იშვიათი ჩანაწერების ფონდის უნიკალურ მასალებს ემყარებოდა და მართლაც გაუხუნარ და წარუვალ ღირებულებებზე ესაუბრებოდა რადიომსმენელებს. 1991 წელს ამ ციკლით გადაიცა: 26 ივნისს – პავლე ინგოროყვას ხმის ჩანაწერები, 11 ივლისს – გერონტი ქიქოძის ხმის ჩანაწერები, 28 აგვისტოს – ლევან გოთუას ხმის ჩანაწერები (ასე ცხადდებოდა ნაბეჭდ პროგრამაშიც).

დრამატულმა მაუწყებლობამ 1985-1991 წლებში წინა პერიოდში არსებული თითქმის ყველა რუბრიკა შეინარჩუნა. ყოველკვირეულად იყო ეთერში „თეატრი მიკროფონთან“ (დრამატული და საოპერო სპექტაკლების პირდაპირი ტრანსლაციები ან სატრანსლაციო ჩანაწერები), „სცენის ოსტატები“ (10 წთ.), „სცენები სპექტაკლებიდან“ (სხვადასხვა ქრონომეტრაჟით) და ა.შ. მაგრამ იგრძნობოდა ისეთი გადაცემის საჭიროება, რომელიც ქართული თეატრის თანამედროვე მდგომარეობას, მის პრობლემებს განიხილავდა. ამ მიზნით 1986 წელს შეიქმნა პროგრამა „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც

1990 წლის ბოლომდე თვეში ერთხელ გადაიცემოდა 1 საათის მოცულობით. პროგრამა შეიცავდა რეპორტაჟებს თეატრალური მოვლენების შესახებ, ინტერვიუებს თეატრის მოღვაწეებთან, თეატრმცოდნეების, რეჟისორების, მსახიობების გამოსვლებს, რეცენზიებს, ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან და ა.შ. (ავტორები: შოვინა ქაცარავა და მანანა თევზაძე). 1991 წლიდან პროგრამა 2-საათიანი გახდა – გაიზარდა გადაცემაში სპექტაკლის ჩანაწერების წილი. 1990 წელს ამავე მიზნით კინოხელოვნების შესახებ შეიქმნა ერთსაათიანი ყოველკვირეული პროგრამა „კინო სხვადასხვა რაკურსით“ (ავტორი ლ. ძიძიგური).

1985-1991 წლებში ინტენსიურად ვითარდებოდა ქართული რადიოთეატრი, იქმნებოდა ახალი რადიოსპექტაკლები და სისტემატურად ამდიდრებდა კვირის პროგრამას. გრძელდებოდა ძველი ტრადიცია და 1987 წლის იანვარ-ოქტომბერში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მოეწყო რადიოდადგმების ფესტივალი. ქართული რადიოთეატრი ხელოვნების თვითმყოფად და მაღალპროფესიულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს რადიოს მთავარი რეჟისორისა და მრავალი რადიოსპექტაკლის დამდგმელის ზურაბ კანდელაკის წარმატება. მისმა საავტორო რადიოსპექტაკლმა „ბევრი რამ არის ჰორაციო...“ 1991 წელს რადიოსპექტაკლების პირველ საკავშირო ფესტივალზე მოსკოვში მთავარი პრიზი დაიმსახურა.

დრამატული, საოპერო და რადიოსპექტაკლების პროგრამაში დამკვიდრება უკავშირდება რადიოს აუდიოფონდს, რომელიც აღნიშნულ პერიოდშიც საკმაოდ აქტიურად გამოიყენებოდა მაუწყებლობის გასამდიდრებლად. 1987 წლის ბოლომდე განაგრძობდა არსებობას რუბრიკა „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“, ასევე გრძელდებოდა რუბრიკები: „რადიოს ფონდიდან“ (ლიტერატურული ჩანაწერები) და „არქივის ფონდებიდან“ (ამ რუბრიკით, მაგალითად, 1988 წლის 24 ივლისს გადაიცა ივანე ჯავახიშვილის, ხოლო 16 სექტემბერს სიმონ ჩიქოვანის აუდიოჩანაწერები). „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ ყოველ შაბათს გადაიცემოდა ნახევარი საათის ხანგრძლივობით. აქედან ყოველთვიურად ორი შაბათი დადგმებსა და ლიტერატურულ ჩანაწერებს ეთმობოდა, დანარჩენი ორი კი – მუსიკას (აღარ გავაგრძელებთ იმაზე მსჯელობას, რომ პირდაპირი ტრანსლაციების გამოკლებით მთელი მუსიკალური მაუწყებლობა რადიოს აუდიოფონდში შენახულ ჩანაწერებზეა დამყარებული).

1985 წელს ყოველ კვირადღეს მომავალი კვირის მუსიკალურ პროგრამას ანონსის სახით აცნობდა რადიომსმენელებს მიმოხილვის ფორმის „მუსიკალური რადიოაფიშა“. გრძელდებოდა ტრადიციული რუბრიკები კლასიკური და თანამედროვე მუსიკის შესახებ: „გამოჩენილი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები“ (1985), „გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები“ (1985-1991), „მსოფლიოს მუსიკალური ხელოვნების საგანძურიდან“ (1985-1991), „ჩვენი ახალი ჩანაწერები“ (1985-1991, როგორც ქართული, ისე საზღვარგარეთული მუსიკის), პროფ. ნოდარ ანდღულაძის საავტორო პროგრამა „მსოფლიოს საოპერო სცენის ვარსკვლავები“ (1985, 1988-1991), „ახალგაზრდების შემოქმედება“ (1985-1991). 1990 წელს შეიქმნა რუბრიკები: „XX საუკუნის მუსიკის პანორამა“ და „მუსიკა და თანამედროვეობა“ (ავტორი – მარიკა ჩიჯავაძე). 1991 წელს კი პირველად გავიდა ეთერში ყოველკვირეული 1-საათიანი რუბრიკა „50 ოპერა“ და პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება – ფენომენები, ვირტუოზები“, რომელიც მსმენელებს აცნობდა გამოჩენილ პიანისტებს, მევიოლინეებს, დირიჟორებს და ა.შ. „იუნესკოს“ გადაწყვეტილებით 1991 წელი გამოცხადდა მოცარტის წლად (შესრულდა მისი დაბადების 235 და გარდაცვალების 200 წლისთავი). ამასთან დაკავშირებით მუსიკალური რედაქცია თვეში ორჯერ, კვირადღეობით, გადასცემდა რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდში დაცულ მოცარტის ნაწარმოებებს: ოპერებს, სიმფონიური, ინსტრუმენტული და კამერული მუსიკის კონცერტებს, საფორტეპიანო ნაწარმოებებს. რადიომ სრულად გააშუქა აგრეთვე ამ პერიოდში მოწყობილი ორი მუსიკალური ფესტივალი: „ბიჭვინთის ფესტივალი – „ღამის სერენადები“ (1988) და „თელავის მუსიკალური შემოდგომა“ – „ქება ვაზისა“ (1989).

გარდაქმნის პროცესი უფრო მეტად შეეხო საესტრადო და მსუბუქი მუსიკის პროგრამებს. ბევრი ფორმა თუ მიმართულება (ანდა შემსრულებელი), რომელიც მანამდე, რბილად რომ ვთქვათ, „რეკომენდებული არ იყო“, ფართოდ წარმოჩინდა ეთერში (დღეს შეიძლება სასაცილოა, მაგრამ 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე რადიოს ზოგიერთ ხელმძღვანელს „ბითლზი“ სალანძღავ სიტყვად მიაჩნდა, 1977 წელს კი თბილისში სტუმრად მყოფმა ერთმა მოსკოველმა აკადემიკოსმა, რომელმაც შემთხვევით სატელევიზიო გადაცემა „ესტრადა და თანამედროვეობა“ ნახა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აღშფოთებული წერილი გაგზავნა – საბჭოთა ახალგაზრდობას რყვნიანო – და ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარ რე-

დაქტორს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს).

საესტრადო მუსიკის რუბრიკების ერთი ნაწილი 1985-1991 წლებშიც განაგრძობდა არსებობას. 1989 წლის ბოლომდე – ოცი წელი იყო ეთერში „დილის კონცერტი“, რომელიც ხუთშაბათისა და კვირადღის გარდა ყოველდღე გადაიცემოდა 7 საათსა და 30 წუთზე. 13 წელი – 1991 წლის ბოლომდე, პარასკევისა და კვირის გარდა, 18.10-დან 19.00-მდე ყოველდღიურად იყო ეთერში „მელოდია, რიტმი, განწყობილება“. 1985-1987 წლებში კვირაში ოთხი დღე ეკავა რუბრიკას „მელოდიიდან მელოდიამდე“ (ბოლოს მას „ქართული ესტრადის მელოდიები“ ეწოდა). 1985-1990 წლებში მათ დაემატა ყოველკვირეული „მუსიკალური კინოკალეიდოსკოპი“, შემდეგ კი ღამის პროგრამები: 1990 წლის მაისიდან – „როკი ნაშუაღამევს“ (ყოველ კვირადღეს, 24 საათზე – წამყვანი დარეჯან გულიაშვილი) და დეკემბრიდან – „ჯაზის საათი“ (ყოველ პარასკევს, 24 საათზე – წამყვანი გელა ლეჟავა). 1991 წელს შეიქმნა კონცერტი-საუბრის ფორმის გადაცემა „თქვენი დისკოთეკისათვის“, რომელიც ყოველკვირეულად გადაიცემოდა 45 წუთის ხანგრძლივობით. იგი მოიცავდა საესტრადო და მსუბუქი მუსიკის ნაწარმოებებს. თითოეული გამოშვება ეძღვნებოდა რომელიმე მომღერალს ან მუსიკალურ ჯგუფს. წამყვანი დარეჯან გულიაშვილი აუდიტორიას მოუთხრობდა მათ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ასმენინებდა მათ მიერ შესრულებულ სიმღერებს და ა.შ. იგი უძღვებოდა აგრეთვე პროგრამას „როკი – სმოკი და...“, რომელსაც ენაცვლებოდა „კონცერტი ექვს საათზე“ (ერთგვარი წინამორბედი მუსიკალური გადაცემისა „ალო, გისმენთ 59 და 9“ – წამყვანები: მანანა ხვედელიძე, გიორგი თოფურია, ვახტანგ ბაბუნაშვილი, ნანა შალიკაშვილი, ჯიმშერ იაშვილი).

1985-1991 წლებში ასევე გრძელდებოდა ხალხური შემოქმედების ტრადიციული კონცერტების გადაცემა: „ქართული ხალხური მუსიკა“, „ქართული ხალხური სიმღერები“, „ქალაქური ჰანგები“, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა მუსიკა და სიმღერები და ა.შ. 1985-1989 წლებში ყოველ დილით გადაიცემოდა „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 1989 წელს კვირა დილით – „კონცერტი სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის“ (შერეული ხასიათის) და სხვ.

ასევე გრძელდებოდა 1990 წლის ბოლომდე კვირადღეობით „მეგობრობის კონცერტის“ რიგრიგობით გადაცემა თბილისიდან, ბაქოდან და ერევნიდან, „კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით“, რადიომიმოხილვა: „თბილისის საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებ-

ში“, რადიოჟურნალი „ჩანგი“, რომელიც მიმოიხილავდა განვლილი თვის მუსიკალური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს.

ბევრი ტრადიციული რუბრიკა შემორჩა 1985-1991 წლებში საგანმანათლებლო მაუწყებლობას. ასევე ტრადიციულად, საგანმანათლებლო მაუწყებლობა მჭიდროდ უკავშირდებოდა სამეცნიერო პუბლიცისტიკას – სამეცნიერო-პოპულარული ცოდნის გავრცელებასთან ერთად სისტემატური ყურადღება ექცეოდა მიმდინარე სამეცნიერო ცხოვრებას, მეცნიერების აქტუალური პრობლემების განხილვას, მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვას და ა.შ. ასეთი ორმაგი დანიშნულების თვალსაჩინო დადასტურება იყო ყოველთვიური ნახევარსაათიანი რადიოჟურნალი „მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში“, რომელსაც 1988 წლიდან „მეცნიერება და ტექნიკური პროგრესი“ ეწოდა. 1991 წლიდან იგი 20-წუთიანი გახდა და ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში – უხვად იძლეოდა ინფორმაციას საქართველოს მეცნიერთა მიღწევებზე, ახალ გამოგონებებზე, წარმოებაში მეცნიერულ სიახლეთა დანერგვაზე, სახალხო მეურნეობის კომპიუტერიზაციაზე, რესპუბლიკაში მცირე ჰესების მშენებლობაზე და სხვ. (ავტორები: მთავარი რედაქტორის მოადგილე ნანული ჭავჭანიძე და რედაქტორი ირინე კეშელავა). ასევე, 80-იანი წლების ბოლომდე გადაიცემოდა რუბრიკები: „მეცნიერი მიკროფონთან“, „შეხვედრა მეცნიერთან“, „მეცნიერები მრგვალ მაგიდასთან“, „მეცნიერების ჰორიზონტები“ და სხვ.

წინა წლებთან შედარებით უფრო აქტუალური გახდა ეკოლოგიის თემა. 1985 წელს განახლდა რუბრიკა „ადამიანი და გარემო“, რომელიც 1987-1991 წლებში თითქმის ყოველკვირეულად გადაიცემოდა 15-20 წუთის მოცულობით (წამყვანი ბარბარე ბენაშვილი). იგი, წმინდა საგანმანათლებლო ინფორმაციის გარდა, რეპორტაჟებს, კორესპონდენციებსა და ნარკვევებსაც შეიცავდა (მაგალითად, საქართველოს ნაკრძალებზე, ბუნების დაცვის მუშაკების საქმიანობაზე და ა.შ.). 1991 წელს მას დაემატა „ეკოლოგიური რადიოპროგრამის“ რამდენიმე გამოშვებაც (20 წუთი).

ისევ იყო ეთერში უკვე 20 წლის ისტორიის მქონე ყოველთვიური ნახევარსაათიანი რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“ (წამყვანები – გულნარა არობელიძე და ასმათ ბარსონიძე), რომელიც 1988 წლიდან 20 წუთამდე შემცირდა და ყოველკვირეული გახდა – იგი პრაქტიკულ სამედიცინო რჩევებთან ერთად პუბლიცისტურ მასალებსაც მოიცავდა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. წმინდა საგანმა-

ნათლებლო ხასიათისა იყო რუბრიკა „ჯანმრთელი რომ ვიყოთ“, რომელიც სპეციალისტებს ეთმობოდა. 1987 წლის ჩათვლით იგი სხვადასხვა პერიოდულობით გადაიცემოდა, 1988 წლიდან კი – ყოველკვირეულად (10-15 წუთი).

ძირითადად საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა ყოველკვირეულ 15-წუთიან რუბრიკას „სადღეისო თემაზე“ (1991 წელი), რომელშიც თავს იყრიდა ერთთემიანი გადაცემები სხვადასხვა სახელწოდებით: „კანონი და საზოგადოება“, „საარჩევნო კომისიაში“, „ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში“ და ა.შ. ისინი მსმენელებს აცნობდნენ საზოგადოების ინტერესების დაცვის სამართლებრივ გზებს, ადამიანის უფლებათა ხელშეუხებლობის პრინციპებს და სხვ. სტუდიაში მოწვეული სპეციალისტები პასუხობდნენ მსმენელთა შეკითხვებს, აძლევდნენ მათ რჩევა-დარიგებებს (წამყვანი – ვახტანგ დვალი).

პუბლიცისტურთან ერთად საგანმანათლებლო და უტილიტარული დატვირთვა ჰქონდა პროგრამებს „მათთვის, ვინც გზაშია“ (წამყვანი – ზეზვა ზვიადაური) და „მხოლოდ ქალებისათვის“, რომელსაც „პიკის საათის“ სარედაქციო ჯგუფი ამზადებდა (ნანა ჯაფარიძე, მარიკა დარჩია, მანანა ლაჭყეპიანი, ირინე მარღანია, ნინო ზაუტაშვილი, ნინო რამიშვილი) – ორივე მათგანს 1991 წელს ჩაეყარა საფუძველი. როგორც ვხედავთ, „პიკის საათის“ ავტორები მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციით აღარ შემოიფარგლებიან. გარდა ამ პროგრამისა და ზემოაღნიშნული „ბუმერანგისა“, 1991 წლიდან მათი ეგიდით გადიოდა ეთერში მხატვრულ-საგანმანათლებლო პროგრამა „კვირაძალს“ (ავტორი და წამყვანი ქეთევან სადღობელაშვილი).

რა თქმა უნდა, თავისი ადგილი ჰქონდა დათმობილი სოციალურ-აღმზრდელობითი ხასიათის საგანმანათლებლო გადაცემებს. 1987 წლამდე იყო ეთერში „დიდები და პატარები“, 1988 წლიდან მას დაემატა რუბრიკა „აღვუზარდოთ მამულსა შვილი“. კვლავ აქტიურად ემსახურებოდა რადიომსმენელების (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის) პატრიოტულ აღზრდას მწერალ ვახტანგ ჭელიძის საგანმანათლებლო ციკლი „საქართველოს ისტორია – გმირები და მოვლენები“ (ყოველ კვირას, 25-30 წუთი). გარდა ამისა, 1991 წელს ყოველკვირეულად ეთერში იყო ნახევარსაათიანი სერიული გადაცემა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდზე. მაგალითად, ჯერ გადაიცემოდა „ცხოვრება სოლომონ მეორისა“ (ავტორი – ვიქტორ ქორიძე), ხოლო 22 აპრილიდან დაიწყო ახალი თემა – „საქართველოს კულტურა 1918-1921 წლებში“.

1991 წლის მაისში ეთერში პირველად გავიდა თამაზ ხმალაძის ყოველკვირეული საავტორო პროგრამა „ენაი შემკული და კურთხეული“ (45 წუთის ხანგრძლივობით). იგი უკავშირდებოდა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის ამაღლებას, მის დღევანდელ მდგომარეობას, განიხილავდა მისი როგორც მეცნიერული შესწავლის, ისე პრაქტიკული გამოყენების პრობლემებს.

რაც შეეხება წმინდა სასწავლო დანიშნულების გადაცემებს, საქართველოს რადიო 60-იანი წლებიდან ამ მხრივ დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა (ეს ფუნქცია ტელევიზიამ აიღო თავის თავზე განსაკუთრებით ინტენსიურად 70-იანი წლების მორე ნახევრიდან). გრძელდებოდა ერთადერთი სასწავლო ციკლი – „რუსული ენის შემსწავლელთათვის“ (ყოველ კვირას, 20 წუთი), რომელსაც 1989 წელს დაემატა ასევე ყოველკვირეული 35-წუთიანი ციკლი „ვისაც ქართული ენის შესწავლა სურს“ (თუმცა ამ პერიოდულობით ენის შესწავლა საეჭვო ჩანს და უფრო ვალის მოსახდელადაა პროგრამაში ჩასმული). სასწავლო თვალსაზრისით უფრო რეალური იყო ციკლი „ვისაც ინგლისური ენის შესწავლა სურს“. მას საბავშვო რედაქცია ამზადებდა და ყოველდღიურად გადაიცემოდა ეთერში, გარდა კვირადღისა, ადრიან დილით, 20 წუთის ხანგრძლივობით, გვიან საღამოს კი მეორდებოდა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, გარდაქმნის ბოლო წლებში, როცა ცენზურა გაუქმდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ტაბუ მოეხსნა რელიგიურ თემას. ეს თავდაპირველად გამოიხატა ცალკეული გადაცემებითა და დიდი საეკლესიო დღესასწაულების ტრანსლაციით, 1991 წლიდან კი პირველად გავიდა ეთერში ნახევარსაათიანი რელიგიური პროგრამა „მწყემსი კეთილი“ (ავტორი – თინათინ კობალაძე, წამყვანი – თინათინ ელბაქიძე). შემდეგ იგი ყოველ კვირადღეს გადაიცემოდა 10 წუთის ხანგრძლივობით. პროგრამის უპირველეს მიზანს შეადგენდა რელიგიური ცოდნის გავრცელება, რაც 70 წლის მანძილზე აკრძალული იყო, და საქართველოში მართლმადიდებლური რწმენის აღორძინება. შემდეგში ეს თემა საქართველოს რადიოში კიდევ უფრო გაფართოვდა, მაგრამ ამ მოკრძალებულ დასაწყისს უკვე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა – არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხდებოდა ათეისტურ სახელმწიფოში, საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა.

გარდაქმნის პროცესებმა შესამჩნევი გავლენა იქონია საბავშვო და ახალგაზრდულ მაუწყებლობაზე. მართალია ეს გავლენა საკმა-

ოდ ნელი ტემპით ძლიერდებოდა (ისე, როგორც საერთოდ რადიოში, რასაც ზემოთ აღნიშნული მიზეზები განაპირობებდა), მაგრამ თანდათან იცვლებოდა აღზრდის ის ორიენტირები, რომლებიც მაუწყებლობის ამ სფეროში ათეული წლების მანძილზე ურყევად იყო მიჩნეული (მხედველობაში გვაქვს კომუნისტური აღზრდის ფუნქციები და მეთოდები).

თუმცა ბევრი საბავშო რუბრიკა 1985-1991 წლებში ისევ რჩებოდა პროგრამაში, მათი თემატიკა და იდეური მიმართულება გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. რა თქმა უნდა, ეს ნაკლებად შეეხო ისეთ რუბრიკებს, როგორიცაა: „რადიოსადგური ციცინათელა“, „ძილისპირული“, „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში“, რადიომიმოხილვა „ნორჩი ლენინელის ფურცლებზე“ (რომელიც 1985 წელს შეწყდა), ანდა „კონცერტი ყმაწვილთათვის“ თუ „მუსიკის საათი ბავშვებისათვის“. მაგრამ თანდათან განსხვავებული ხასიათისა გახდა: „წიგნის თარო“ (1985-1991), „წიგნის სამყაროში“ (1989), „შენი ბავშვობის თანამგზავრი“ (1985-1989), „მწერალი, რომელსაც უნდა იცნობდეთ“ (1985-1989) და განსაკუთრებით: „რადიოსადგური – „სიყმაწვილის თანამგზავრი“ (1985-1988), „ყველას საფიქრალი და საზრუნავი (1985-1991), „სადისკუსიო რადიოკლუბი – ჩვენი ცხოვრების ანბანი“ (1987).

ამ პერიოდში ერთგვარ ნონსენსს წარმოადგენდა რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, სადაც ბავშვები, როგორც წესი, უფროსების მიერ ცუდად დაწერილ (ყალბ, პათეტიკურ) ტექსტებს კითხულობდნენ, ხოლო „ნორჩი დიქტორების“ ენა არაფრით განსხვავდებოდა ოფიციალური ცნობების ენისაგან. ეს მდგომარეობა საბოლოოდ შეიცვალა მხოლოდ 1989 წელს, როცა „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვების ნაცვლად შეიქმნა საყმაწვილო პროგრამა „ცხრა-ნახევარი“ (იგი დილით, 9 საათსა და 30 წუთზე გადაიცემოდა). „ცხრა-ნახევარი“ ნაკლებად პოლიტიზებული, პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო პროგრამა იყო, უამრავ საინტერესო ინფორმაციას შეიცავდა და, რაც მთავარია, მას რედაქტორები (ჟურნალისტები ლალი ჭანიშვილი, დოდო იაშვილი) უძღვებოდნენ, რომლებიც ეთერში ესაუბრებოდნენ ბავშვებს თუ უფროსებს და მთელ გადაცემას იმპროვიზაციულ ხასიათს აძლევდნენ. 1990 წელს „საქართველოს პიონერის“ ორი დანარჩენი გამოშვებაც გაუქმდა და მათი ადგილი დაიკავა საყმაწვილო პუბლიცისტურმა პროგრამამ „დილა მშვიდობისა!“ („საქართველოს პიონერი“ ერთადერთი რადიოგაზეთი იყო უკანასკნელი 12 წლის მანძილზე და მის გაუქმებასთან ერთად მაუწყებ-

ლობის ეს მოძველებული ფორმაც საბოლოოდ გაქრა საქართველოს რადიოს პროგრამიდან). „დილა მშვიდობისა!“ ყოველკვირეულად გადაიცემოდა 30 წუთის ხანგრძლივობით (წამყვანები – ირმა ხარშილაძე, რუსუდან ვარძიაშვილი). მასში განიხილებოდა სკოლის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი, ჩართული იყო ინტერვიუები მოსწავლეებთან, რომლებიც საუბრობდნენ სასწავლო საგნებზე, მასწავლებლებთან ურთიერთობაზე, გამოცდებზე, არდადეგებზე და სხვ. გადაიცემოდა რეპორტაჟები რესპუბლიკის სხვადასხვა სკოლიდან. რუბრიკაში „გაცნობა“ სტუმრად იწვევდნენ ნორჩ შემოქმედებს და ა.შ.

1991 წელს მეტ-ნაკლები პერიოდულობით, მაგრამ მაინც გრძელდებოდა გადაცემა წინა წლების რუბრიკისა „მოზარდი – ყველას საფიქრალი და საზრუნავი“ (ავტორი და წამყვანი – დურმიშხან გრიგოლაშვილი). მასში განიხილავდნენ იმ მიზეზებს, რომლებიც უბიძგებდა ბავშვებს დანაშაულის ჩადენისაკენ, მსჯელობდნენ, რა უნდა გაეკეთებინა საზოგადოებას მოზარდის გადასარჩენად. სტუდიაში ხშირად იწვევდნენ სასულიერო პირს, რომელიც საუბრობდა დამნაშავე ბავშვების გამოსწორების გზებზე (რუბრიკები: „საუბრები ბერებთან“, „მონასტერი და დანაშაულის პროფილაქტიკა“ და სხვ.). საერთოდ, ამ პერიოდიდან საბავშვო მაუწყებლობაში თავის ადგილს იკავებს რელიგიური თემატიკაც – 1991 წელს ციკლით „ვკითხულობთ ახალ აღთქმას“ 12 გადაცემა მოეწყო.

რამდენადმე გაფართოვდა ეროვნული თემატიკაც, შეიქმნა რუბრიკები: „რას გვიამბობს ისტორია (1985), „მოვიარე საქართველო“ (1987), „საქართველოს ისტორიის ქრონიკები“ (1990), საგანმანათლებლო-პუბლიცისტური გადაცემა: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“(1990, 28.09).

საბავშვო მაუწყებლობაში თითქმის არ ყოფილა საუბარი თავად გარდაქმნის მიმდინარეობის შესახებ, შესაძლებელია იმიტომაც, რომ დემოკრატიზაციის პროცესში პროპაგანდაზე შეხედულებებიც შეიცვალა და საჭიროდ აღარ ჩაითვალა ბავშვებისათვის ყველა პოლიტიკური მოვლენის ახსნა-განმარტება. ამ თემას მიეძღვნა მხოლოდ ერთი გადაცემა „საჯაროობის გაკვეთილები“ (1988, 8.01). ეს მით უფრო შესამჩნევია, რომ საბავშვო რედაქცია სპეციალური რუბრიკებით ყოველთვის ეხმაურებოდა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. გარდაქმნის პირველ წლებშიც კი იყო შემორჩენილი ასეთი რუბრიკები: „მერიდიანი – მე-11 ხუთწლედი“ (1985) და „მერიდიანი – მე-12 ხუთწლედი“ (1986).

საერთოდ, საგრძნობია კურსის შეცვლა პოლიტიკიდან განათლებისაკენ, ზოგადსაკაცობრიო კულტურული ღირებულებების გაცნობისაკენ. 1985-1987 წლებში სისტემატურად იყო ეთერში ციკლი – „კომპიუტერი აზროვნებს, კომპიუტერი მოქმედებს“. 1991 წელს შეიქმნა რუბრიკა „გზა მშვენიერებისაკენ“, რომელსაც მალე ეწოდა „ცხოვრება ხელოვნებაში“. ეს იყო 30-წუთიანი რადიოკომპოზიციები, რომლებიც ეძღვნებოდა ხელოვნებას – მხატვრებსა და მოქანდაკეებს: „მარტო იყო და მარტო ხატავდა – ფიროსმანი“, „ლადო გუდიაშვილი“, „ოგიუსტ როდენი“, „პეტერ პაულ რუბენსი“ და სხვ. (ავტორი ანზორ გელაშვილი).

ბოლო 30 წლის მანძილზე საბავშვო რედაქციას არ ჰქონია არც ერთი სასწავლო ხასიათის გადაცემა ანდა ციკლი, რომელიც რამდენადმე მაინც უკავშირდებოდა სასკოლო პროგრამას. ერთადერთი ასეთი ციკლი აღმოჩნდა „საუბრები უახლეს ქართულ ლიტერატურაზე“, რომელიც 1989 წლის ოქტომბრიდან 1990 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში 20-25 წუთის მოცულობით. ციკლს უძღვებოდა კრიტიკოსი და პუბლიცისტი ნოდარ გრიგალაშვილი (საფიქრებელია, რომ საქართველოს რადიოს პროგრამაში ასეთი გადაცემის გამოჩენა სწორედ სკოლაში უახლესი ქართული ლიტერატურის ახლებურად სწავლის აუცილებლობით იყო გამოწვეული).

როგორც აღვნიშნეთ, პირველი ეროვნული ხელისუფლების დროს საბავშვო და ახალგაზრდულმა მაუწყებლობამ გარკვეული ორგანიზაციული ცვლილებებიც განიცადა – 1991 წელს ორი დამოუკიდებელი მთავარი რედაქცია ისევ გაერთიანდა ერთ მთავარ რედაქციად და ეწოდა საბავშვო და ახალგაზრდული პროგრამების მთავარი რედაქცია. ამ პერიოდში საბავშვო მაუწყებლობას დაემატა ახალი თანამშრომლები: რუსუდან ვარძიაშვილი და ირმა ხარშილაძე, ახალგაზრდულ მაუწყებლობას კი – მანანა ლაჭყეპიანი, ნინო კვარაცხელია, თამარ კიკვაძე, მზია გოგნიაშვილი, გიორგი ლეონიძე, ლალი დათუკიშვილი, მარინე ანდრონიკაშვილი, მაია კრანაშვილი.

როგორც საბავშვო მაუწყებლობას, ისე, ახალგაზრდულ მაუწყებლობასაც 1985-1991 წლებში ბევრი ტრადიციული რუბრიკა შემორჩა. ეს უმთავრესად იმით არის განპირობებული, რომ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ძირითადი გარდაქმნები ტელერადიოკომიტეტში 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება და ამ პერიოდში მხოლოდ ზოგიერთი მიმართულების კორექტირება ხდება.

ისევ იყო ეთერში რუბრიკები: „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?“ (1985-1987), „ახალგაზრდული სტუდია“ (1985-1990), „სტუდენტური ორბიტა“ (1985-1990), „სიყვარული, ოჯახი, ბავშვი“ (1986, 1987), „აირჩიე ჩემი პროფესია“ (1988), „ვირჩევ პროფესიას“ (1986, 1987). ამას ემატებოდა ოპერატიული ციკლები: „ლენინური შაბათობის მატიანე“ (1985), „გამარჯობა, ყამირელო!“ (1985), „მესამე შრომითი სემესტრის მისამართები“ (1985, 1986), „სტუდენტური ზაფხული“ (1987), „საქართველოს წარგზავნილები ფესტივალზე“ (1985), „მისაღები გამოცდების წინ“ (1986), „საქართველოს კომკავშირის 33-ე ყრილობის შესახვედრად“ (1987) და სხვ.

ჩვეულ სტილში მზადდებოდა მხატვრულ-პუბლიცისტური პროგრამები: „ნახევარი საათი გაცნობისათვის“ (1985) და „შეხვედრები ახალგაზრდა შემოქმედებთან“ (1985-1987) – ორივე ახალგაზრდა აუდიტორიას აცნობდა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს. ისევ გრძელდებოდა ილია კევლიშვილის საავტორო მუსიკალური პროგრამები „საღამო მშვიდობისა“ (1985-1989) და „სტუდენტური დისკოთეკა“, რომელსაც 1985-1986 წლებში ეწოდებოდა „საკვირაო პროგრამა – საუბარი მუსიკის თანხლებით“ (ორივე მათგანი მსმენელების წერილებზე იყო აგებული და მუსიკალურ ნომრებს ენაცვლებოდა წამყვანის მსჯელობა აქტუალურ ახალგაზრდულ პრობლემებზე).

გარდაქმნის პირველ სამ წელს ტრადიციული ფორმით გადიოდა ეთერში ახალგაზრდობის მთავარი პუბლიცისტური პროგრამა „რადიოსადგური „სიჭაბუკე“, მას დიქტორებთან ერთად ხშირად ჟურნალისტებიც უძღვებოდნენ. 1989 წლის მაისიდან (მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ეს იყო 9 აპრილის შემდგომი პერიოდი) პროგრამას ეწოდა „მეათე სტუდია“ და პირდაპირ გადაიცემოდა ეთერში (ამზადებდა შემოქმედებითი ჯგუფი: მზია ბაქრაძე, ლალი იაკობაშვილი, გია ნოზაძე, მანანა ხუროშვილი, ნატო მაჭავარიანი). პროგრამის მთავარი თემა იყო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. მოწვეული სტუმრები საუბრობდნენ იმდროინდელ პირობებში ახალგაზრდობის მდგომარეობაზე, მის პოლიტიკურ მრწამსზე, ახალ პარტიებთან დამოკიდებულებაზე და ა.შ. რუბრიკა „ანკეტა“ აუდიტორიას აცნობდა ახალგაზრდობის შეხედულებებს ქვეყანაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობაზე და სხვ. პროგრამაში ჩართული იყო რეპორტაჟები მოვლენათა ადგილებიდან და უცხოეთის სააგენტოე-

ბის მიერ გავრცელებული ინფორმაციები, იგი 1991 წლის სექტემბრამდე ყოველკვირეულად გადაიცემოდა 1 საათის ხანგრძლივობით.

ერთ-ერთი ტენდენცია, რომელიც შესამჩნევია გარდაქმნის წლებში, ისაა, რომ საბავშვო მაუწყებლობის მსგავსად ახალგაზრდულ მაუწყებლობაშიც თანდათან იზრდება პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო და გასართობი გადაცემების წილი.

1987 წლის ბოლოს ეთერში გამოჩნდა გადაცემა სახელწოდებით „შემეცნებით-გასართობი პროგრამა „მერანი". 1988 წელს იგი ყოველ კვირადღეს გადაიცემოდა 8 საათსა და 15 წუთზე 45 წუთის მოცულობით და „შემეცნებით პროგრამად" ან უბრალოდ „პროგრამად" ცხადდებოდა, 1989 წლის 1 ოქტომბრიდან კი „პროგრამა ახალგაზრდობისათვის – „კვირა დილას" დაერქვა. 1990-1991 წლებში ამ პროგრამამ შაბათს, იმავე საათებში გადაინაცვლა და ეწოდა „შემეცნებით-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის „შაბათ დილით" (ავტორი მზია გოგნიაშვილი). იგი შეიცავდა როგორც პოპულარულ, საგანმანათლებლო ხასიათის მასალებს, რეპორტაჟებს, გამოსვლებს, ისე მუსიკალურ ნომრებსაც. გარკვეულწილად საგანმანათლებლო ხასიათისა იყო აგრეთვე ახალგაზრდული პროგრამა „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!" (1990). ამით ამოიწურება ახალგაზრდული საგანმანათლებლო მაუწყებლობა 80-იან წლებში (თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა გადაცემას რაიმე თარიღთან ან ღონისძიებასთან დაკავშირებით – მაგალითად, ორ გადაცემას „რა განძი გვქონია" 1986 წლის აპრილში ვარძიის 800 წლისთავის აღსანიშნავად).

ფაქტობრივად, ახალგაზრდული პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო და მხატვრულ-საგანმანათლებლო (შემეცნებით-გასართობი) მაუწყებლობა საქართველოს რადიოს მხოლოდ 90-იანი წლებიდან იწყებს განვითარებას. 1991 წელს შეიქმნა პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო პროგრამა „პირისპირ" („ტეტ-ა-ტეტ") (ავტორი და წამყვანი მზია გოგნიაშვილი). იგი ეხებოდა ყველა თემას, გარდა პოლიტიკისა. მისი სტუმრები იყვნენ: მწერლები, მსახიობები, ესტრადის მომღერლები, სპორტსმენები და ა.შ. მოიცავდა რუბრიკებს: „წარსულთან პირისპირ", „ფიქრებთან პირისპირ", „მთებთან პირისპირ", „საკუთარ თავთან პირისპირ" და „ბახუსთან პირისპირაც" კი (ზოგიერთი თემა სახელწოდებასთან ხელოვნურადაც იყო დაკავშირებული). პროგრამა გადაიცემოდა ყოველკვირეულად 1 საათის ხანგრძლივობით.

ამავე წელს შეიქმნა აგრეთვე შემეცნებით-გასართობი პროგრა-

მა (როგორც აცხადებდნენ) „კამარა“ (ავტორების განმარტებით, ეს სახელწოდება ჰაერში კამარაშეკრული კაცის თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნის ანალოგიით შეიქმნა). „კამარის“ მთავარი თემა იყო თავისუფლება და ეს განსაზღვრავდა მისი რუბრიკების ხასიათსაც: „ბრძოლა ადამიანის თავისუფლებისათვის“, „ხმები თავისუფალი სამყაროდან“, „მხატვარი და თავისუფლება“ და ა.შ. პროგრამის სტუმრები – სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები საუბრობდნენ თავისუფლების როლზე მათ პროფესიულ საქმიანობაში, ფსიქოლოგები განიხილავდნენ მსმენელთა წერილებს. პროგრამის ავტორები და წამყვანები იყვნენ ილია მხეიძე და ლალი დათუკიშვილი, გადაიცემოდა ყოველკვირეულად 1 საათის ხანგრძლივობით.

ამასთან ერთად, ახალგაზრდობის რედაქცია ეხმაურებოდა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობასაც. 1991 წელს აპრილის თვიდან ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში ახალგაზრდული პროგრამა „ეკონომიკა, ბიზნესი, კომერცია“, რომელიც ასახავდა რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, ბიზნესის განვითარებას, სახელმწიფო პოლიტიკას კომერციის მიმართ და ა.შ. ყოველივე ამას განიხილავდნენ სტუდიაში მოწვეული სპეციალისტები. პროგრამა ერთსაათიანი იყო, უძღვებოდნენ ავტორი – ჟურნალისტი მაია გვრიტიშვილი და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლევან ძნელაძე.

მაინც უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლების ბოლოს მსგავსი გადაცემები ახალგაზრდულ მაუწყებლობაში სულ უფრო იშვიათადაა და ეთერი ძირითადად შემეცნებით-გასართობ გადაცემებს უჭირავს, რამაც შემდეგ პერიოდში ალბათ ბევრად განაპირობა მისი გარდაქმნა შემეცნებით-გასართობი პროგრამების მთავარ რედაქციად.

თავი V

დამოუკიდებელი საქართველოს რადიომაუწყებლობა (1992-2004)

1. საერთო მიმოხილვა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა – მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. როგორც აღინიშნა, ამას წინ უძღოდა უმწვავესი დაპირისპირება სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის, შიდა თუ გარე ძალების მიერ ორგანიზებული შეიარაღებული ამბოხება და ეროვნული გვარდიის ნაწილებისა და „მხედრიონის“ ფორმირებათა მიერ პირველი ეროვნული ხელისუფლების დამხობა. საქართველოში დაბრუნდა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალ ხელისუფლებას და ათ წელზე მეტხანს მართავდა ქვეყანას, სანამ იძულებული არ გახდა გადამდგარიყო უკვე სხვა ძალების მიერ ორგანიზებული კიდევ ერთი (ამჯერად უსისხლო) გადატრიალების შემდეგ.

ეს ცამეტი წელი (1992-2004) შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს რადიოს ისტორიის ბოლო, მეხუთე ეტაპად, როცა იგი სუვერენული სახელმწიფოს რადიოს წარმოადგენს და ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში ფუნქციონირებს. ამავე პერიოდს განეკუთვნება საქართველოში დამოუკიდებელი რადიომაუწყებლობის აღმოცენებაც. 90-იანი წლების მეორე ნახევარში ზედიზედ იქმნება FM-დიაპაზონზე მომუშავე კერძო, კომერციული რადიოსადგურები: „პირველი რადიო“, „რადიო – 105“, რადიო „ევრიკა“, „მწვანე ტალღა“, „ფორტუნა“, „აუდიენცია“, „საქართველოს ხმა“ და სხვა. ეს პროცესი ახალ საუკუნეშიც გრძელდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან აუქმებს მაუწყებლობაზე სახელმწიფო მონოპოლიას. დემოკრატიზაციის შემდგომი განვითარება კი განაპი-

რობებს თვითონ სახელმწიფო მაუწყებლობის გარდაქმნის აუცილებლობას. 2004 წლის ბოლოს საქართველოს რადიო საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსს იძენს და ამით მთავრდება კიდეც მისი, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის, არსებობის თითქმის 80-წლიანი ისტორიაც.

ცხადია, რომ ზემოთ აღნიშნული პროცესები უშუალო გავლენას ახდენდა საქართველოს რადიოს საქმიანობაზე. უკვე 1992 წლის 6 იანვარს ახალმა ხელისუფლებამ – ე.წ. სამხედრო საბჭომ – აღადგინა ჯერ ტელევიზიისა და შემდგომ რადიოს სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირება თავისი იდეოლოგიური მიზნების უზრუნველსაყოფად. თავის საქმიანობას დაუბრუნდნენ რადიოს გაფიცული თანამშრომლები, აგრეთვე ძველი ხელისუფლების მიერ დათხოვილი მუშაკების ნაწილი. რაც შეეხება პარლამენტის შენობაში მომუშავე ჟურნალისტებსა და დიქტორებს, მათი უმრავლესობა პროფესიულ საქმიანობას ჩამოშორდა. ტელერადიოდეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალა გოჩა ხუნდაძეს, 1992 წლის მარტიდან კი რადიო-ტელევიზიის ხელმძღვანელი ისევ არჩილ გოგელია გახდა. მის მოადგილედ რადიომაუწყებლობის დარგში დაინიშნა რადიოს საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამების ხელმძღვანელი ვახტანგ ნანიტაშვილი. 1992-1994 წლები მეტად მძიმე პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა უდიდეს ზეწოლას განიცდიდა სხვადასხვა პოლიტიკური კლანების, საეჭვო სამხედრო ფორმირებებისა თუ კრიმინალური დაჯგუფებების მხრიდან – ყოველი მათგანი საკუთარი ინტერესებისათვის ცდილობდა მის გამოყენებას. და თუ იგი (უპირველესად ტელევიზია) მაინც ინარჩუნებდა ზომიერებასა და სტაბილურობას, გადაურჩა ნგრევასა და დატაცებას – ეს, უწინარესად, მისი ხელმძღვანელობის დამსახურებაა.

1993 წელს ტელერადიოდეპარტამენტს ტელერადიოკორპორაცია ეწოდა და ერთიანმა სახელმწიფო სტრუქტურამ თითქოსდა ერთგვარი დეცენტრალიზაციაც განიცადა. როგორც 1993 წლის მაისში გაზეთი „7 დღე“ იუწყებოდა: „ძველებური სტრუქტურების შეცვლის მიზნით ტელერადიოკორპორაცია კომპანიებად დაიყო... ესენია: ტელეკომპანია „საქართველო“, ტელეკომპანია „რესპუბლიკა“ (შემდგომში ისინი გაუქმდა და ჩამოყალიბდა ერთი ტელეკომპანია „I არხი“), ტელეკომპანია „II არხი“, რადიოკომპანია, სატელევიზიო ფილმების საწარმოო-შემოქმედებითი გაერთიანება, ტექნიკური

ცენტრი, საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი, სამეურნეო ცენ-ტრი. მომავალში კომპანიებად ჩამოყალიბდებიან აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ტელერადიოკომიტეტები, ქუთაისისა და ცხინვალის რადიოსამსახურები, რომლებსაც კორპორაციასთან პარტნიორული ურთიერთობა ექნებათ“.[1] ძნელი სათქმელია, რა სტატუსით დაუკავშირდებოდნენ საქართველოს ტელერადიოკორპორაციას აფხაზეთისა და ცხინვალის შესაბამისი სტრუქტურები, მაგრამ რაც შეეხება თბილისში არსებულ „კომპანიებს“ ეს დეცენტრალიზაცია საკმაოდ ფორმალური იყო. ტელერადიოკორპორაცია ორგანიზაციული და ფინანსური თვალსაზრისით პრაქტიკულად ისევ ერთიან სტრუქტურად დარჩა, იმ განსხვავებით, რომ რადიოს ხელმძღვანელს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობასთან ერთად დაემატა რადიოკომპანიის გენერალური დირექტორის სახელიც, ხოლო პროგრამების მთავარი დირექციის მთავარ დირექტორს (ჯერ მედეა გეგეშიძეს და შემდეგ მანანა ხვედელიძეს) – გენერალური დირექტორის მოადგილეობა (1996 წელს). 1997 წელს რადიოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა კიდევ ორი მოადგილე დაინიშნა – ლია კარანაძე, ვისაც საინფორმაციო სამსახურის კურატორობა დაევალა და ილია კევლიშვილი, რომელმაც ეს თანამდებობა პროფკავშირის თავმჯდომარეობასთან ერთად შეითავსა.

1995 წლიდან, მას შემდეგ, რაც „რადიო-2 – ქართული რადიო“ შეიქმნა, საქართველოს რადიო უკეთ ამოცნობის მიზნით I არხის გადაცემებში ჯერ კანტიკუნტად ტიხრებში, შემდეგ კი სარეკლამო საცნობებშიც მოიხსენიებოდა როგორც „მთავარი რადიო“ („საქართველოს რადიო – მთავარი რადიო“). 90-იანი წლების ბოლოს რადიოტელევიზიის სტატუსი ერთხელ კიდევ „შესწორდა“. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 დეკემბრის 658-ე ბრძანებულების თანახმად, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაცია ჩამოყალიბდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქტელერადიომაუწყებლობა. ამავე ბრძანებულებით დამტკიცებული წესდებით ტელევიზიასა და რადიოს ჰქონდა ერთიანი საჯარო ინტერესები, თანაბარი უფლება-მოვალეობანი, საერთო საბანკო ანგარიში და ჰყავდა ერთპიროვნული მმართველი – ტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარე.

---

[1] ა. ქეშელაშვილი, ეთერშია საქართველო – ცისფერი ეკრანის პარადოქსები, „7 დღე“, 1993, 16, გვ. 7.

ამ დროისათვის რადიოს სამივე არხზე (I პროგრამა, II პროგრამა – „რადიო-2 – ქართული რადიო“ და III პროგრამა – მაუწყებლობა სომხურ, აზერბაიჯანულ, ქურთულ და ბერძნულ ენებზე) მუდმივი და დროებითი ანუ სახელშეკრულებო შტატით ირიცხებოდა 302 თანამშრომელი, აქედან 121 იყო სხვადასხვა მუსიკალური კოლექტივის წევრი. შემოქმედებითი ტენდერების შემდეგ თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი დაუსაქმებელი დარჩა და მათი დათხოვნის მექანიზმის არარსებობის გამო იმყოფებოდა სიმბოლურ, 32-ლარიან თვიურ ანაზღაურებაზე. რადიოს შემოქმედებითი სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა: პროგრამების დირექცია, ინფორმაციის დირექცია, უცხოეთზე მაუწყებლობის დეპარტამენტი და 5 მთავარი რედაქცია (საშინაო პოლიტიკის, ლიტერატურულ-დრამატული, მუსიკალური, საბავშვო და ახალგაზრდული). გარდა ამისა, ტელერადიომაუწყებლობის სტრუქტურაში იყო: რევაზ ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი (მთავარი დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი), საესტრადო შემოქმედებითი გაერთიანება „ფორტე“ (სამხატვრო ხელმძღვანელი დავით ტურიაშვილი), მომღერალ ბავშვთა გუნდი, ფოლკლორული ანსამბლი „კელაპტარი“ (მთავარი დირიჟორი ნუგზარ ქავთარაძე) და ფოლკლორულ-ვოკალური კვარტეტი (2004 წლის ბოლოსთვის ყველა მათგანი გაუქმდა).

1999 წლის მარტში თავმჯდომარის პოსტზე არჩილ გოგელია შეცვალა ზაზა შენგელიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა ტელერადიომაუწყებლობას 2005 წლის ბოლომდე, სანამ საბოლოოდ არ დასრულდა სახელმწიფო სტრუქტურის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის პროცესი. რადიოში კი გენერალურ დირექტორად 2004 წლის გაზაფხულამდე იყო ვახტანგ ნანიტაშვილი, რომელიც შემდეგ მცირე ხნით შეცვალეს ჯერ დოდო შონავამ და მერე ირინე მოსეშვილმა.

რადიო-ტელევიზიის ახალ ხელმძღვანელს მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება. დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს აღარ ძალუძდა მაუწყებლობისათვის იმ დაფინანსების უზრუნველყოფა, რაც საბჭოთა პერიოდში იყო და აუცილებელი გახდა ათეულობით წლების მანძილზე უზომოდ გაბერილი შტატების (რაც, საერთოდ, დამახასიათებელი იყო საბჭოთა სისტემისათვის) რადიკალური შემცირება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აუცილებელი პროცესი უმეტესწილად უსამართლოდ და თვითნებურად წარიმართა. ტელერადიოკოლექტივი სუბიექტურად დაიყო სასურველ და არასასურველ თანამშრომლებად და დაიწყო ამ უკანასკნელთა (ძირითა-

დად პროფესიონალი და გამოცდილი კადრების) თანდათან გამოდევნა, ჯერ ხელფასების უსამართლო დიფერენციაციით, შემდეგ კი პირდაპირ სამუშაოდან გათავისუფლებით. 2004 წლის მარტში გამოცხადდა ტელერადიომაუწყებლობის რეორგანიზაცია, რასაც მოჰყვა თანამშრომელთა შემცირება ჯერ ერთეულების სახით, ზაფხულის თვეებში კი – მასობრივად. ეს პროცესიც უცნაური ცინიზმით წარიმართა – იმის მაგივრად, რომ მადლობა მაინც ეთქვათ დამსახურებული ადამიანებისათვის, ვინც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი პროფესიულ საქმიანობას შეალია, მათ შენობაშიც კი არ უშვებდნენ, რომ სამუშაო ადგილზე დარჩენილი საკუთარი ნივთები წამოეღოთ. ამავე პერიოდს უკავშირდება თანამშრომლებთან ერთთვიანი ხელშეკრულების გაფორმების არაადამიანური და უკანონო პრაქტიკა (სამუშაოს დაკარგვის მუდმივი შიში), რომელიც, სამწუხაროდ, 2005-2006 წლებში საქართველოს რადიოს საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის შემდეგაც გაგრძელდა.

ზაზა შენგელიას წინააღმდეგ ამ პერიოდში პრესაში მრავალი წერილი გამოქვეყნდა და რადიო-ტელევიზია სხვადასხვა კომისიის შესწავლის ობიექტიც გახდა. მაგრამ ამას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. თვითონ კოლექტივის ყველაზე კომპეტენტური ნაწილის აზრით, ეს იყო საქართველოს სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის ინტელექტუალური და მატერიალური გაკოტრებისაკენ მიმართული პოლიტიკა. შემოქმედებითი პოტენციალის არაადეკვატური შეფასების გამო ტელევიზიაში მასშტაბურად, რადიოში – ნაწილობრივ დაიწყო უნარიანი კადრების თავიდან მოშორების პროცესი. კონცეპტუალური პრინციპების ნაკლებობამ, არასწორმა პრიორიტეტებმა და აქცენტებმა ტელერადიომაუწყებლობის მენეჯმენტი სრულყოფის ნაცვლად გაუარესებისაკენ წაიყვანა. ფინანსური პოლიტიკა კი ძალზე შორს იყო გამჭვირვალობისა და სახსრების ოპტიმალური გამოყენებისაგან.

ეს რაც შეეხება საერთო სიტუაციას, მაგრამ 90-იან წლებში გარკვეული ცვლილებები მოხდა რადიოს ორგანიზაციულ სტრუქტურაშიც: 1992 წლის იანვარში, მუშაობის განახლებიდან ცოტა ხანში, საბავშვო და ახალგაზრდული მაუწყებლობის მთავარი რედაქციები ისევ განცალკევდა – პირველის მთავარი რედაქტორი გახდა ჯულიეტა ლომთაძე, მეორისა – მანანა ლაჭყეპიანი. ამავე წელს საშინაო პოლიტიკის (ყოფილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ) მთავარ რედაქციას შეუერთდა სახალხო მეურნეობის მთავარი რედაქცია –

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამართლისა და ჯანმრთელობის დაცვის ჯფუფებს დაემატა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის ჯგუფები. გარდა ამისა, საშინაო პოლიტიკის მთავარ რედაქციაში შედიოდა სომხური, აზერბაიჯანული, ქურთული და ბერძნული გადაცემების რედაქციები, რომლებიც 1996 წლიდან საზღვარგარეთზე მაუწყებლობის დეპარტამენტს გადაეცა. 1999 წლის დეკემბერში საშინაო პოლიტიკის მთავარი რედაქცია გაერთიანდა ინფორმაციის მთავარ რედაქციასთან და შეიქმნა საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამების დირექცია, რომლის კურატორობა დაეკისრა რადიოკომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეს ლია კარანაძეს. 2000 წლის 1 იანვრიდან ეს გაერთიანება დაიშალა და ისევ შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სტრუქტურა – ინფორმაციის დირექცია (დირექტორი გიორგი ჩოკოშვილი) და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების მთავარი რედაქცია (ყოფილი საშინაო პოლიტიკის მთავარი რედაქცია), რომლის მთავარ რედაქტორად დაინიშნა ლია წიკლაური.

1992 წლის 25 აგვისტოს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მოპოვებისა და უცხოეთის ტელეკომპანიებისა და საქართველოს საინფორმაციო საშუალებებით მისი ოპერატიული გავრცელების მიზნით ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტში შეიქმნა საინფორმაციო სააგენტო „კონტაქტი“. მის დირექტორად დაინიშნა ჟურნალისტი დიმიტრი კიკვაძე, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს რადიოს ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორად. სხვადასხვა დროს „კონტაქტში“ მუშაობდნენ ჟურნალისტები: მაკა ანთიძე, მანანა გიორგობიანი, ხათუნა კიკვაძე, მერაბ მანჯგალაძე, თამარ მახარობლიძე, ნინო ნიჟარაძე, ვიქტორია ჩუბინიძე (დირექტორის მოადგილე); მენეჯერი მიხეილ გვარჯალაძე, პროგრამისტები მარინე ცალქალამანიძე და მარინე ბოკუჩავა.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში „კონტაქტი“ ამზადებდა საინფორმაციო გამოშვებებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. უცხოეთის ტელეკომპანიებისათვის მათი მიწოდება ხდებოდა ჯერ ტელეტაიპის მეშვეობით, შემდეგ კი – სატელიტური ფაქსით. „კონტაქტის“ ინფორმაცია მსოფლიოს ოცამდე ქვეყანაში იგზავნებოდა. მის მასალებს იყენებდნენ ბი-ბი-სი და „ამერიკის ხმა“. ასე რომ, მან გარკვეული როლი შეასრულა საერთაშორისო საზოგადოე-

ბისათვის საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდების, აფხაზი და ოსი სეპარატისტებისა და მათი მფარველების მხილების თვალსაზრისით. „კონტაქტის“ ჟურნალისტების მიერ მოპოვებულ და დამუშავებულ მასალებს ყოველდღიურად იყენებდნენ ტელევიზიისა და რადიოს საინფორმაციო სამსახურები: „მაცნე“, „ვესტნიკი“, „ალიონი“, უცხოეთზე მაუწყებლობის რედაქცია, რადიოს ინფორმაციის ქართული და რუსული რედაქციები, სომხური და აზერბაიჯანული რედაქციები, ტელევიზიის მეორე არხი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიოკომიტეტის საინფორმაციო სამსახური, სხვა საინფორმაციო საშუალებები.

„კონტაქტის“ საინფორმაციო წყაროები იყო: საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური; პარლამენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო კანცელარიის, თავდაცვის სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, საქართველოს უშიშროების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატორის, სტატისტიკის დეპარტამენტის, პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების, საპატრიარქოს, ქალაქის მერიის პრესსამსახურები; საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციები. სააგენტოს სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციას ტელერადიომაუწყებლობის რეგიონალური კორესპონდენტები, აგრეთვე უცხოეთის ქვეყნებში საქართველოს საელჩოები და მისიები. „კონტაქტს“ ჰყავდა საკუთარი კორესპონდენტები მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში. იგი იყენებდა აგრეთვე რადიოსადგურ „ამერიკის ხმისა“ და „რადიოსადგურ „თავისუფლების“ მასალებსაც, რომლებსაც ეთერიდან იწერდა ამჟამად უკვე მის სტრუქტურას მიერთებული სპეციალურ გადაცემათა რედაქცია (მისი ხელმძღვანელი გიორგი ჩიქოვანი „კონტაქტის“ დირექტორის მოადგილედ ითვლებოდა). ამასთან, რედაქციას ზოგიერთი სხვა ფუნქციაც დაემატა – მაგალითად, დასაბეჭდად ამზადებდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ორშაბათის რადიოინტერვიუების ტექსტებს, ასრულებდა სხვა სარედაქციო სამუშაოებსაც.

სააგენტო „კონტაქტი“ გაუქმდა 2000 წლის ბოლოს და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა საინფორმაციო-ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც შეუერთდა ტელერადიომაუწყებლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს.

1993 წელს სოხუმის დაცემისა და აფხაზეთიდან ქართველი მო-

სახლეობის მასობრივი გამოდევნის შემდეგ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით აფხაზეთის ტელერადიოკომიტეტმა მუშაობა განაგრძო თბილისში ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო არხებზე. ნოემბრიდან მას მიენიჭა ტელერადიოკომპანიის სტატუსი და რეგისტრაცია გაიარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. კომპანიის გენერალურ დირექტორად დაინიშნა თამაზ ჩოჩია, მოადგილედ რადიომაუწყებლობის დარგში მანანა დარჯანია, რადიომაუწყებლობის ქართული რედაქციის ხელმძღვანელი გახდა გოჩა ხუნდაძე (არა ის გოჩა ხუნდაძე, რომელიც ერთხანს ტელერადიომაუწყებლობის ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებდა). მოგვიანებით შეიქმნა აფხაზეთის მედიაცენტრი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა კობა ბენდელიანი, მოადგილეებად კი – გოჩა გვარამია და გოჩა ხუნდაძე.

აფხაზეთის რადიო დაარსდა სოხუმში 1937 წელს, მუშაობდა სამი რედაქცია: ქართული, რუსული და აფხაზური. 1988 წლიდან ქართული რადიოს საეთერო დრო ყოველდღიურად 4 საათს შეადგენდა, 1992 წლის 20 აგვისტოდან 1993 წლის 20 სექტემბრამდე კი მთელი დღის განმავლობაში ეწეოდა მაუწყებლობას. თბილისში დევნილ რადიოჟურნალისტთა ჯგუფმა დაიწყო მომზადება ნახევარსაათიანი პროგრამისა „ეთერშია აფხაზეთის რადიო“, რომელიც 1993 წლის ნოემბრიდან ყოველკვირეულად გადაიცემოდა საქართველოს რადიოს პირველი პროგრამით – ჯერ ორჯერ და შემდეგ ოთხჯერ, მონაცვლეობით ქართულ და რუსულ ენებზე. ეს მეტად დროული და საჭირო ნაბიჯი იყო, რადგან თვითგამოცხადებული აფხაზეთის სახელმწიფოს რადიო-ტელევიზია მთლიანად დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლდებოდა და ადგილობრივ მოსახლეობაში სეპარატისტული იდეების ტოტალურ პროპაგანდას ეწეოდა.

„აფხაზეთის რადიო“ თბილისში თავიდანვე ჩამოყალიბდა ორ – ქართულენოვანი და რუსულენოვანი გადაცემების რედაქციებად. პირველის რედაქტორი იყო მარინე გვაზავა (მოგვიანებით მისი ხელმძღვანელი გახდა დოდო იაშვილი), მეორისა – გივი სერგია (მოგვიანებით ვიქტორია ჩუბინიძე). თითოეულ მათგანს თავისი კორესპონდენტები ჰყავდა და თანაბარი სამაუწყებლო დრო ჰქონდა გამოყოფილი. თანამშრომელთა ბირთვს შეადგენდნენ ჟურნალისტები: ბერდია კალანდია, ელისო ხუთკუბია, ლელა ალანია, ელისო კაკულია, მედეა სისორდია. ამ დროისათვის საქართველოს რადიოს გადაცემები ვრცელდებოდა აფხაზეთის მხოლოდ ნაწილზე – ოჩამ-

ჩირე-სოხუმის რეგიონებზე, თუმცა ბათუმში არსებულ საშუალოტალღოვან რადიოსადგურს რომ შეუფერხებლად ემუშავა (სტაბილურად მომარაგებულიყო ელექტროენერგიით), I არხის გავრცელება შესაძლებელი იქნებოდა შავი ზღვის გასწვრივ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის დანარჩენ სანაპირო რაიონებშიც. „აფხაზეთის რადიოს“ გადაცემები განკუთვნილი იყო უმთავრესად აფხაზეთის მოსახლეობისათვის – როგორც აფხაზეთში დარჩენილთათვის, ისე იძულებით გადაადგილებულთათვის, მოიცავდა როგორც ინფორმაციულ, ისე ანალიტიკურ მასალებს. ოპერატიულად შუქდებოდა საქართველოში და აფხაზეთში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, ქართულ-აფხაზური და რუსულ-აფხაზური ურთიერთობანი. აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილის რუსულენოვანების გამო პოლიტიკურად და იდეოლოგიურად დატვირთული მასალები ძირითადად რუსული რედაქციის კომპეტენცია იყო, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. კი – ქართულისა. რუსულ გადაცემებს უძღვებოდა დიქტორი ჯულიეტა გელაშვილი, ქართულს – დიქტორი ნათელა ბერიკაშვილი, აფხაზეთის რადიოს სოხუმელი თანამშრომლები.

ჩვეულებრივად, გადაცემის პირველ ბლოკს (დიქტორის მიერ წაკითხულ მოკლე ინფორმაციებს) თან მოსდევდა ამა თუ იმ აქტუალური მოვლენის ვრცელი განხილვა, ხშირ შემთხვევაში კორესპონდენცია, რომელსაც ძირითადად რედაქტორი ამზადებდა და თავისივე საავტორო ტექსტით განაგრძობდა მუშაობას მიკროფონთან. აქ ავტორის კომენტარს თან ერთვოდა ინტერვიუები, რეპორტაჟები და ა.შ. გადაცემებში მონაწილეობდა თითქმის ყველა ცნობილი პოლიტიკოსი, მწერალი, ხელოვნების მოღვაწე, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენელი და სხვ. სისტემატურად გადაიცემოდა რუბრიკები: „გენოციდი და ეთნოწმენდა“, „ნოსტალგია“, „ისტორიის ლაბირინთები“, „პოლიტიკოსების ხედვა“, „კვირის მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები“, „თვალსაზრისი“ და ა.შ. იყო დროებითი რუბრიკებიც, რომლებიც რამდენიმე გადაცემაში გრძელდებოდა და შემდეგ იცვლებოდა. მაგალითად, 2001 წელს, ყოველ პარასკევს, კარგა ხნის მანძილზე რუსულენოვან გამოშვებაში გადაიცემოდა პროფესორ ზურაბ პაპასკირის ციკლი „Абхазия - историческое прошлое, настоящее и будущее“. იგი საუბრობდა აფხაზების ეთნიკური წარმომავლობის, ქართველებთან მათი ნათესაური კავშირის შესახებ (რასაც აფხაზი მეცნიერები უარყოფენ), კონფლიქტის მოგვარე-

ბის გზებზე და ა.შ. რა თქმა უნდა, რადიოს ამგვარი მცდელობა – აფხაზურ აუდიტორიამდე მოეტანა ისტორიული სიმართლე – მეტად ღირებული იყო.

1992 წლიდან 1995 წლის ოქტომბრამდე კვლავ განაგრძობდა ფუნქციონირებას საქართველოს რადიოს II პროგრამაც. იგი მოიცავდა უმთავრესად მუსიკალურ-მხატვრულ ნაწარმოებებს, უფრო იშვიათად პუბლიცისტიკას, აგრეთვე I პროგრამის გადაცემების გამეორებას, ფუნქციურად არ განსხვავდებოდა მისგან და არც მსმენელთა რომელიმე ჯგუფისთვის იყო განკუთვნილი. შეიძლება ითქვას, რომ იგი ინერციით განაგრძობდა არსებობას, რადგან ამგვარი დუბლირებითა და გავრცელების ნაკლები მასშტაბის გამო, საეჭვოა ფართო აუდიტორია ჰყოლოდა (თუმცა ეს 40 წლის მანძილზე არც არავის შეუსწავლია, რაც, თავის მხრივ, მისდამი ნაკლებ ინტერესზე მეტყველებს). გაზეთი „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ (შემდგომში „ეთერშია საქართველო“) ამ პროგრამას ხშირად არც კი აქვეყნებდა ხოლმე თავის ფურცლებზე. ამ დროს კი საქართველოში ინტენსიურ განვითარებას იწყებს დამოუკიდებელი, კომერციული რადიომაუწყებლობა – FM-დიაპაზონზე მომუშავე ე.წ. ფორმატული რადიოსადგურები, რომელთა სამაუწყებლო პრინციპი სწორედ ფუნქციური სპეციალიზაცია და საკუთარი აუდიტორიის მომსახურებაა.

ამგვარი პროცესები საზღვარგარეთ ჯერ კიდევ 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როცა ტელევიზიასთან კონკურენციის გამო მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მკვეთრად შემცირდა უნივერსალური, მრავალპროფილიანი რადიოპროგრამები, რომლებიც მაუწყებლობის ყველა სახეობასა და აუდიტორიის ყველა ჯგუფზე იყო გათვალისწინებული და დაიწყო სპეციალიზებული არხების ჩამოყალიბება. ეს სპეციალიზაცია ორი მიმართულებით განვითარდა: პირველი, შეიქმნა ცალკე არხები აუდიტორიის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (სქესის, ასაკის, განათლების, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების მიხედვით და ა.შ.) და, მეორე, ასევე დამოუკიდებელი არხებით რადიომ დაიწყო მისთვის ყველაზე „ხელმისაწვდომი“ და „ხელსაყრელი“ ფუნქციის შესრულება – ოპერატიული ინფორმაციისა და მუსიკის გადაცემა.

საქართველოში მსგავსი ფუნქციური სპეციალიზაციის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს გაცილებით გვიან, 1979 წლიდან „ნაშუადღევის“, „პიკის საათისა“ და „დილის ტალღის“, ხოლო შემდეგ 1987-1991 წლებში ვრცელი საინფორმაციო-მუსიკალური ბლოკის

„რადიოსადგურ „მაცნეს“ წარმოშობა. ცალკე სპეციალიზებული არხი კი მსოფლიოში გავრცელებული საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამის სახელით ქართულ სახელმწიფო მაუწყებლობაში ჩამოყალიბდა მხოლოდ 90-იანი წლების პირველი ნახევრის ბოლოს – 1995 წლის 1 ოქტომბერს საშუალო, 288 მეტრ ტალღაზე, ეთერში გავიდა „რადიო-2“ (მეორე არხი), რომელმაც შეცვალა საქართველოს რადიოს მანამდე არსებული II პროგრამა, დაიკავა მისი დიაპაზონი და საეთერო დრო. რამდენიმე ხნის შემდეგ მას დაემატა საღამოს ეთერი ქართული მუსიკის სახით, დატოვა II პროგრამის არხი და FM-დიაპაზონზე განაგრძო მუშაობა. თავიდან რადიოსადგურს ერქვა „რადიო-2 – დედაქალაქის ხმა“, 1996 წლის გაზაფხულიდან კი – „რადიო-2 – ქართული რადიო“ ეწოდა.

„რადიო-2 – ქართული რადიო“ ტიპური მუსიკალურ-ინფორმაციული ფორმატის არხს წარმოადგენდა, თუმცა დროის რაღაც ნაწილს საგანმანათლებლო და დრამატულ პროგრამებსაც უთმობდა (მათი რიცხვი მცირე იყო და არც სისტემატურობით გამოირჩეოდა) – იგი მოიცავდა საინფორმაციო გამოშვებებსა და მუსიკას, განკუთვნილი იყო ახალგაზრდა აუდიტორიისათვის. „რადიო-2“ თავიდანვე შეიქმნა როგორც უკვე მომრავლებული კომერციული მუსიკალურ-ინფორმაციული არხების ალტერნატივა (უფრო მაღალხარისხოვანი და უფრო ეროვნული) და, ამდენად, უთუოდ მუსიკალური უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ერთ-ერთი მისი დამფუძნებელი აღნიშნავდა, „საქართველოს რადიოში „მოლაპარაკე“ არხი („პირველი არხი“) უკვე არსებობდა და ახლა „მუსიკალური იყო საჭირო“.

თავდაპირველად „რადიო-2“-ის საკუთარი სამაუწყებლო დროის ხანგრძლივობა 6 საათი და 15 წუთი იყო – იწყებოდა 11 საათზე და მთავრდებოდა 18 საათსა და 15 წუთზე (შუადღისას, 14-დან 15 საათამდე, 1 საათი ეთერი „ამერიკის ხმის“ ინგლისურენოვან საინფორმაციო-მუსიკალურ პროგრამა „ექსპრესს“ ეკავა). 1996 წლიდან მას დაემატა რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართული მაუწყებლობის ერთსაათიანი პროგრამა (20-დან 21 საათამდე) და, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ე.წ. „ქართული რადიოს“ ანუ საღამოს მაუწყებლობა ძირითადად ქართული მუსიკის სახით (21 საათიდან 24 საათის ჩათვლით). 18 საათი და 15 წუთიდან 20 საათამდე არხი ისვენებდა, მოგვიანებით კი „რადიო-2“-ის დღის მაუწყებლობა 19 საათსა და 30 წუთამდე გაგრძელდა, ხოლო 20 საათამდე დარჩენილი ნახევარი საათი რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულმა პროგრამამ დაიკავა

(რომელიც ერთდროულად გადაიცემოდა I და II არხით). კიდევ უფრო მოგვიანებით „რადიო-2“-ის მაუწყებლობა გაიზარდა იმის ხარჯზე, რომ ეთერში გასვლა დაიწყო დილის 10 საათზე, 11 საათის ნაცვლად, ხოლო „ქართული რადიოს“ საღამოს მაუწყებლობა 24 საათის ნაცვლად ღამის 2 საათამდე გრძელდებოდა. 2002 წლიდან „რადიო-2“-მა დილის მაუწყებლობა 9 საათსა და 30 წუთზე დაიწყო და 2004 წლის ბოლომდე მისი ხანგრძლივობა „ქართულ რადიოსთან“ ერთად შეადგენდა 16 საათსა და 30 წუთს (დილის ათის ნახევრიდან ღამის ორ საათამდე), აქედან ორსაათ-ნახევარი ეთმობოდა უცხოეთის რადიოსადგურების „ამერიკის ხმისა“ და „თავისუფლების“ პროგრამებს. 2003-2004 წლებში ამას დილის ცხრა საათზე ყოველდღიურად კიდევ დაემატა ბი-ბი-სის ნახევარსაათიანი გადაცემა რუსულ ენაზე და „რადიო-2“-ზე უცხოეთიდან მოწოდებულმა პროგრამებმა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, საერთო ჯამში, ყოველდღიურად სამი საათი შეადგინა.

„რადიო-2 – ქართული რადიოს“ შექმნის ინიციატორები იყვნენ საქართველოს რადიოს გენერალური დირექტორი ვახტანგ ნანიტაშვილი და მისი მოადგილე მანანა ხვედელიძე. პროგრამაზე მუშაობდა შემოქმედებითი ჯგუფი: ლია წიკლაური, დარეჯან გულიაშვილი, ირინე მოსეშვილი, ხათუნა კობერიძე, ნინო გეგეშიძე, გიორგი ასანიშვილი, რამაზ ხატიაშვილი, ირმა ლორია, თამარ ცხოვრებაძე და სხვ. 9 წლის მანძილზე „რადიო-2 – ქართული რადიოს“ ბადე, ცხადია, გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა – იცვლებოდნენ რუბრიკები, ავტორები, წამყვანები, მაგრამ ძირითადი სტრუქტურა უცვლელი რჩებოდა. მთელი დღე იყოფოდა ორ ნაწილად: დღის მაუწყებლობა, რომელიც ჯერ 11, შემდეგ 10, ბოლოს კი 9 საათი და 30 წუთიდან 19 საათსა და 30 წუთამდე გრძელდებოდა (რასაც „ამერიკის ხმისა“ და „თავისუფლების“ ქართულენოვანი გადაცემები ემატებოდა საათნახევრის ხანგრძლივობით) და საღამოს მაუწყებლობა 21 საათიდან („ქართული რადიო“) ჯერ 24 საათამდე, შემდეგ კი ღამის 2 საათამდე.

საინფორმაციო მაუწყებლობაც, დღის ორი ნაწილის შესაბამისად, განსხვავებული ხასიათისა იყო. სულ გადაიცემოდა 14 (ზოგიერთ წლებში 15) საინფორმაციო გამოშვება, თითო საათის ინტერვალით, დღის 3-10, საღამოს – 10-12 წუთის ხანგრძლივობით. დღის საინფორმაციო გამოშვებები (საშუალოდ 10 გამოშვება) დიფერენცირებული იყო თემატიკის მიხედვით: მნიშვნელოვან ახალ ამბებს ცალკე გამოშვება ეთმობოდა, ცალ-ცალკე გადაიცემოდა ეკონომი-

კის, კულტურის, სპორტის, უცხოეთის ახალი ამბები, ამინდის პროგნოზი და ა.შ. თითოეულს თავისი კონკრეტული დრო და საკუთარი მუსიკალური ქუდი ჰქონდა. ასე რომ, მსმენელმა ზუსტად იცოდა, როდის შეეძლო მიეღო ინფორმაცია მისთვის საინტერესო თემაზე. საღამოზე 4 გამოშვება მრავალთემიანი იყო. მათში გაერთიანებული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული მოვლენები, ზოგჯერ თან ერთვოდა წამყვანის კომენტარიც. „რადიო-2 – ქართული რადიო“ თვითონ ინფორმაციებს არ მოიპოვებდა, სარგებლობდა საინფორმაციო სააგენტოების, პრესის, ტელერადიოკომპანიების მასალებით. საინფორმაციო გამოშვებებს, როგორც წესი, ჟურნალისტები უძღვებოდნენ. 1995-1999 წლებში საინფორმაციო სამსახურის შემოქმედებით ჯგუფს საქართველოს რადიოს საშინაო პოლიტიკის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილე ლია წიკლაური ხელმძღვანელობდა, შემდეგ – ნინო როდონაია. დღის გამოშვებებზე ორი წამყვანი მუშაობდა: მარიკა ბოცვაძე და თამარ ცხოვრებაძე, საღამოს გამოშვებებზე – ოთხი: ქეთევან მუმლაძე, ნინო როდონაია, ირმა ჯალაღონია და მანანა აბაშიძე. შემდეგ სხვადასხვა დროს „რადიო-2 – ქართულ რადიოში“ საინფორმაციო პროგრამებზე მუშაობდნენ ჟურნალისტები: ალეკო ელისაშვილი და ნინო ქვათაძე, ადმინისტრატორები: ლელა ვარაზაშვილი, ზურაბ ზურაბიშვილი, სოფიო მატკავა და მარიამ ნემსაძე. სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პუბლიცისტური ხასიათის გადაცემები „რადიო-2 – ქართული რადიოს“ არხზე, მისი ფორმატიდან გამომდინარე, არ ყოფილა. ერთადერთ უცნაურ გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველოს რადიოს გენერალური დირექტორის მოადგილის ილია კევლიშვილის საავტორო პროგრამა „ცხელი ტალღა“ (თბილისის მერის მონაწილეობით), რომელიც 2002 წლის ყოველ ოთხშაბათს გადაიცემოდა 12 საათსა და 30 წუთზე 30 წუთის მოცულობით (ამ დროს ის პირველი არხის ეთერშიც იყო) და მეორდებოდა კვირას, იმავე დროს. ეს ფორმატის საწინააღმდეგოდ რაღაც სხვა მიზეზებით იყო განპირობებული.

„რადიო-2“-ის მუსიკალურმა მაუწყებლობამაც 9 წლის მანძილზე გარკვეული ცვლილებები განიცადა. თავიდან იგი მოიცავდა ყველა ჟანრის, დროისა და ქვეყნის მუსიკას. მაგრამ 1996 წელს ჩატარებული ქართული სიმღერის ფესტივალის – „ლიგის“ შემდეგ საღამოს ეთერი 21 საათიდან მთლიანად დაეთმო ძველ და ახალ ქართულ მუსიკას ყველა კატეგორიის მსმენელისათვის და, როგორც აღვნიშ-

ნეთ, ეწოდა „რადიო-2 – ქართული რადიო“ (თუმცა დღის მუსიკალური პროგრამა ერთხანს ისევ „მრავალეროვანი“ დარჩა). „ლიგა“ პირველი იყო, რომლის ორგანიზებაში „რადიო-2“-მაც მიიღო მონაწილეობა, შემდეგ, 2002 წელს, მან დამოუკიდებლად მოაწყო ფესტივალი „ზაფხულის საღამოები“, ხოლო იმავე წლის ბოლოს ქალაქის მერიის კულტურის სამსახურთან ერთად – ფესტივალი „შენ გიმღერი, ჩემო თბილისი-ქალაქო!“.

2000 წლიდან „ქართული რადიოს“ პრინციპი „რადიო-2“-ის მთელ მაუწყებლობაზე გავრცელდა: დღისა და ღამის ეთერში ჟღერდა ყველა დროისა და ჟანრის მხოლოდ ქართული მუსიკა ან უფრო იშვიათად უცხოური სიმღერები ქართველი მომღერლების შესრულებით. თავიდან მუსიკალურ პროგრამაზე 9-კაციანი შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობდა, რომელსაც „რადიო-2“-ის ხელმძღვანელი, საქართველოს რადიოს პროგრამების დირექტორის მოადგილე (და შემდეგ დირექტორი) მანანა ხვედელიძე უძღვებოდა. დღის განმავლობაში ეთერში ჯერ ორი, შემდეგ კი ოთხი მუსიკალური წამყვანი მუშაობდა, რომლებიც დილა-საღამოს ენაცვლებოდნენ ერთმანეთს (მათ წამყვანებს უწოდებდნენ და არა დიჯეებს, როგორც ეს კომერციულ მუსიკალურ-ინფორმაციულ არხებზეა მიღებული). სხვადასხვა პერიოდებში „რადიო-2 – ქართული რადიოს“ ეთერში მუშაობდნენ: თეკლა თალაკვაძე, თამარ ბოჭორიშვილი, ნინო გეგეშიძე, სერგო კობალავა, ანი ბრეგვაძე, თამარ გველესიანი, ხათუნა კობერიძე, სანდრო ჯანგირაშვილი და სხვ. მუსიკალური პროგრამა თითქმის მთლიანად პერსონალურ საავტორო გადაცემებზე იყო აგებული და წამყვანების მსმენელებთან კონტაქტი პირდაპირ ეთერში განაპირობებდა კომუნიკაციის სტაბილურობასა და ეფექტიანობას.

„რადიო-2 – ქართული რადიოს“ მუსიკალური მაუწყებლობა, რა თქმა უნდა, დიფერენცირებული ხასიათისა იყო, მაგრამ მის ძირითად ნაწილს მაინც მსუბუქი, საესტრადო მუსიკა შეადგენდა, რაც დამახასიათებელია ამ ფორმატის რადიოსათვის და უპირატესად ახალგაზრდულ აუდიტორიას იზიდავს. ეთერში ჟღერდა როგორც ახალი, ისე რეტრომუსიკა, ძველი და ახალი ჰიტები. წლების მანძილზე ჩამოყალიბდა მთელი რიგი მიმართულებანი შესაბამისი რუბრიკებით. მრავალწლიან ტრადიციად იქცა პროგრამები: „მარიკა ჩიჯავაძე გთავაზობთ“ (კლასიკურ მუსიკაზე, 30 წთ.), მარინე კვიჟინაძის, შემდეგ ნანა მშვიდობაძის „ჩვენ მშვიდობა“ (ხალხურ მუსიკაზე, 30 წთ.), მანანა ხვედელიძისა და ჯიმშერ იაშვილის „ჯაზ ბრეიქი“

(1 სთ.), ნია ბახტაძის „მუსიკალური კალენდარი“ (30 წთ.).

სხვა პროგრამებიდან აღსანიშნავია: „მუსიკალური კატალოგი“ – საუკეთესო სიმღერები საუკეთესო მომღერლების შესრულებით, ტოქშოუები – შეხვედრები მომღერლებთან პირდაპირ ეთერში, უნიკალური ჩანაწერები საქართველოს რადიოს აუდიოფონდიდან; „აუდიომედია“ – „რადიო-2“-ის კომპეტენტური აზრი ქართული შოუ-ბიზნესის შესახებ (მანანა ხვედელიძე, ანი ბრეგვაძე, ნინო გეგეშიძე, 1 სთ.); „სახლი 100 და 9“ – ცნობილ შემოქმედთა კიდევ უფრო ახლოს და უცნობ ასპექტში გაცნობა. აუდიტორიაში პოპულარობით სარგებლობდა რუბრიკები: „დაბადების დღე“, „ბენეფისი“ (ცალკეულ მუსიკოსებზე), „კინომუსიკა“, „რიტმული მუსიკა“, „რეტრო“, „როკის 15 წუთი“, „ჯაზური კომპოზიციები“, „ჭრელ-ჭრელი მიქსი“ (მსმენელთა თხოვნით), „პეიჯინგი – 1“, „ხალხური მუსიკის 5 წუთი“, „ტრადიციული ქართული სიმღერა“ და სხვ. ყოველკვირეულად ეწყობოდა „რადიო-2“-ის ქართული ჰიტ-აღლუმები“, რომლებიც გარკვეულწილად საგანმანათლებლო ელემენტებსაც შეიცავდა.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებული სხვა ინფორმაციულ-მუსიკალური რადიოსადგურებისაგან „რადიო-2 – ქართული რადიო“ გამოირჩეოდა მუსიკალური პროგრამების უკეთესი ხარისხითა და მრავალფეროვნებით, წამყვანების უფრო თავშეკავებული და დახვეწილი საუბრით, რასაც, ცხადია, უპირველესად არხის კოლექტივის შემოქმედებითი პრინციპები და სამაუწყებლო კონცეფცია განსაზღვრავდა. ამასთან ეს კონცეფცია გარკვეულწილად იმითაც იყო განპირობებული, რომ მას სახელმწიფო სტატუსის გამო კომერციული სტრუქტურებისაგან განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციები ეკისრებოდა. ეს სტატუსი განსაზღვრავდა აგრეთვე ეროვნული კულტურის უფრო აქტიურ პროპაგანდასა და საღამოს ეთერის ქართული მუსიკისათვის დათმობას. თვითონ აუდიოსპოტების ოპტიმისტური ხასიათიც მიუთითებდა, რომ იგი სიტუაციებს უფრო ფართო თვალსაზრისით უყურებდა: „ყველაფერი კარგად იქნება!“, „არ დაივიწყოთ მეგობრები, მოიკითხეთ ისინი!“ და ა.შ.

გარდა საინფორმაციო გამოშვებებისა და მუსიკალური პროგრამებისა, „რადიო-2 – ქართული რადიო“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეულ დროს უთმობდა საგანმანათლებლო გადაცემებსაც. მაგალითად, 2001 წელს კვირაში ორჯერ პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა რუბრიკა „სქესი, სექსი, ქორწინება“ (წამყვანი მერაბ ნებიე-

რიძე); პროგრამა „სქოლიო“ ასევე პირდაპირ ეთერში განიხილავდა ლიტერატურისა და ხელოვნების საინტერესო საკითხებს, აუდიტორიას იწვევდა თავისუფალ თემებზე სასაუბროდ, მსმენელები ზოგჯერ საკუთარ ლექსებსაც კი კითხულობდნენ (წამყვანი ნანა ლომიძე, 1 სთ.); გადაცემა „ინტერპასივი“ მსმენელებს სთავაზობდა სხვადასხვა ვიქტორინა-თამაშებს და გამარჯვებულებს აჯილდოებდა (წამყვანი თეკლა თალაკვაძე, 1 სთ.) და ა.შ. დაარსების დღიდან „რადიო-2“ სისტემატურად უთმობდა ეთერს აგრეთვე რადიოსპექტაკლებს, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო შექმნილი და აუდიოფონდში ინახებოდა.

90-იან წლებს განეკუთვნება აგრეთვე გარკვეული ცვლილება პირველი პროგრამის სტრუქტურაშიც. საქმე ეხება ღამის პროგრამის დაარსებას, რომლის ცალკეული ცდები 80-იანი წლების ბოლოსაც იყო. ტრადიციულად საქართველოს რადიოს პირველი პროგრამა 24 საათზე ამთავრებდა მუშაობას, მაგრამ 1991-1992 წლებში იგი ერთი საათით გაიზარდა, როგორც გამეორების, ისე ორიგინალური გადაცემების ხარჯზე (24 საათის შემდეგ გადაიცემოდა, მაგალითად, 1991 წელს პროგრამა „კვირაძალს“ და 1991-1992 წლებში „როკი ნაშუაღამევს“). 1993-1999 წლებში იგი 00.00 საათიდან 03.00 – 03.20 წუთამდე გრძელდებოდა, მაგრამ გადაიცემოდა მხოლოდ რადიოსადგურებით (სადენებიანი მაუწყებლობით არ ისმინებოდა) და მოიცავდა როგორც პირველი პროგრამის გადაცემების გამეორებებს, ისე ახალ გადაცემებსაც. 2000-2002 წლებში „ღამის პროგრამის“ ყოველდღიურ სტრუქტურას შეადგენდა: რადიო „თავისუფლების“ ერთსაათიანი ქართული გადაცემა (ტრანსლაცია პრაღიდან) და მომდევნო დღის პროგრამის ხუთწუთიანი ანონსი, ხოლო დანარჩენი დრო პოპულარულ კლასიკურ მუსიკას ეჭირა. 2003-2004 წლებში ეს სტრუქტურა მკვეთრად შეიცვალა – კლასიკური მუსიკის დრო შემცირდა და ყოველდღიურ გადაცემებს დაემატა ხუთწუთიანი საინფორმაციო გამოშვება, ამინდის გრძელვადიანი პროგნოზი და საქართველოს რადიოსა და ბი-ბი-სის ერთობლივი ერთსაათიანი პროგრამა „JAZZ FM“. გარდა ამისა, ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით, 2 საათსა და 19 წუთზე 30 წუთი ეთმობოდა „ლიტერატურულ კითხვას“, ხოლო შაბათ-კვირა – პროგრამების: „ინტერნეტნიუსის“, „გალერეისა“ და „ქართლის ცხოვრების“ გამეორებებს.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, საქართველოს რადიო დაარსებიდან მრავალენოვანი იყო, რაც, ცხადია, ქვეყნის მოსახლეობის

მრავალეროვნულობით იყო განპირობებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მაუწყებლობას ეროვნულ უმცირესობათა ენებზე. ეს მაუწყებლობა 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაფორმდა როგორც საქართველოს რადიოს III პროგრამა. ყოველდღიურად ეთერში გადაიცემოდა ერთსაათიანი სომხური და ნახევარსაათიანი აზერბაიჯანული პროგრამები, ხოლო კვირაში ერთხელ 15-წუთიანი გადაცემა შაბათს ბერძნულ ენაზე და კვირას ქურთულ ენაზე (აქვე შევნიშნავთ, რომ ამ გადაცემების გაზრდის მოთხოვნა აღნიშნულ აუდიტორიას არასდროს გამოუთქვამს, თუმცა ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მოკლე ტალღებზე მომუშავე III პროგრამისათვის).

90-იან წლებში კვლავ განაგრძობდა ფუნქციონირებას საქართველოს საგარეო რადიომაუწყებლობაც. საზღვარგარეთ მცხოვრები თუ მივლინებული თანამემამულეებისათვის უცხოეთის ქვეყნებზე მაუწყებლობის მთავარ რედაქციაში ქართულ ენაზე მზადდებოდა პროგრამა „საქართველო“. იგი ოპერატიულად აშუქებდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, ქართული მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა თუ სპორტის ამბებს, გადასცემდა ქართულ მუსიკას. 1994 წლიდან ქართულს დაემატა თურქულენოვანი მაუწყებლობა, 1995 წლიდან – გერმანულენოვანი და ფრანგულენოვანი, 1996 წლიდან კი – ბერძნულენოვანი. 1999 წელს დაიწყო რადიომაუწყებლობა რუსეთზე. დუშეთის რადიოსადგურიდან მოკლე ტალღებით პროგრამა „საქართველო“ ვრცელდებოდა ისრაელზე, გერმანიასა და ნორვეგიაზე, „გეორგიენ“ – გერმანიასა და ნორვეგიაზე, „გრუზია“ კი – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებზე.

1996 წელს უცხოეთის ქვეყნებზე მაუწყებლობის მთავარი რედაქცია კვლავ დაიყო ტელევიზიის საერთაშორისო პროგრამების მთავარ რედაქციად (მთავარი რედაქტორი შამილ ჭიაბრიშვილი) და რადიოს უცხოეთის ქვეყნებზე მაუწყებლობის მთავარ რედაქციად (მთავარი რედაქტორი ბადრი მდინარაძე). 1999 წელს უცხოეთის ქვეყნებზე მაუწყებლობის მთავარი რედაქციის ბაზაზე საქართველოს რადიოში შეიქმნა უცხოეთის ქვეყნებზე მაუწყებლობის დეპარტამენტი, რომელსაც დაემატა აგრეთვე მანამდე პროპაგანდის მთავარი რედაქციის შემადგენლობაში მყოფი სომხური, აზერბაიჯანული და ქურთული გადაცემების რედაქციებიც. ამ სამი რედაქციის

პროფილის შეცვლამ (სომხური და აზერბაიჯანული გადაცემები შესაბამისად მიმართული იყო მეზობელ რესპუბლიკებზე, ქურთული კი – ახლო აღმოსავლეთზე) მისი თანამშრომლების პროტესტი გამოიწვია, რასაც საქართველოს პარლამენტში სომეხმა და აზერბაიჯანელმა დეპუტატებმაც დაუჭირეს მხარი. ისინი მოითხოვდნენ გადაცემებს ადგილობრივი, საქართველოში დამკვიდრებული სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის (რაც 2005 წლისთვის აღდგა კიდეც).

თურქულენოვანი გადაცემები მზადდებოდა კვირაში ოთხჯერ, ბერძნული და ქურთულენოვანი – კვირაში ერთხელ, დანარჩენები კი ყოველდღიურად ნახევარი საათის მოცულობით. ყოველდღიური 10-წუთიანი საინფორმაციო გამოშვება მზადდებოდა ქართულად და შემდეგ ითარგმნებოდა დანარჩენ ენებზე, ბერძნული და ქურთული გადაცემების განყოფილებები ამ გამოშვებათა მიხედვით ამზადებდნენ კვირის დაიჯესტს. საინფორმაციო გამოშვებას მოსდევდა თემატური სიუჟეტები საქართველოს ცხოვრებისა და ადრესატ ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

აღსანიშნავია ამ ქვეყნების საელჩოთა მხარდაჭერა საქართველოს საგარეო რადიომაუწყებლობისადმი. გერმანიის, სომხეთის, აზერბაიჯანის საელჩოებმა მონაწილეობა მიიღეს შესაბამისი განყოფილებების ტექნიკურ აღჭურვაში. საელჩოთა თანამშრომლები საჭირო ლიტერატურით უზრუნველყოფდნენ ჟურნალისტებს, აქტიურად მონაწილეობდნენ რადიოგადაცემებში. ქართველი ჟურნალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეწყობოდა ტრეინინგები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ (კერძოდ, გერმანიის საელჩოს დახმარებით).

საქართველოს რადიოს საზღვარგარეთ საკმაოდ ბევრი მსმენელი ჰყავდა. ამის დასტურია უამრავი წერილი, რომლებსაც სისტემატურად პასუხობდნენ შესაბამის განყოფილებათა თანამშრომლები, დაინტერესებულ პირებს უგზავნიდნენ ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ამსახველ ფოტოსურათებს, სხვა საჭირო მასალებს. ამ პერიოდში რადიოში მუშაობდა ბევრი სპეციალისტი, რომლებიც საფუძვლიანად ფლობდნენ როგორც ჟურნალისტურ პროფესიას, ისე უცხოურ ენებს: რუსული გადაცემების განყოფილებიდან – თემურ ნადირაშვილი, ირინა ჩუპრინინა, ნინო ბერიკაშვილი, გიული ჩაჩანაშვილი; სომხური გადაცემების განყოფილებიდან – სუსანა ხაჩატურიანი, გოჰარ მაზმანიანი, მაია კიღურაძე; აზერბაიჯანული გადაცე-

მების განყოფილებიდან – ნაზი ალიევა, ემინ მაჰმუდოვი, მირზა მაშოვი; თურქული გადაცემების განყოფილებიდან – ნინო შენგელია, მაკა კიკნაველიძე; ბერძნული გადაცემების განყოფილებიდან – ხათუნა ჯერვალიძე, მარი ამაშუკელი; ქურთული გადაცემების განყოფილებიდან – ქერიმ ანყოსი, ლეილა ჩალდარგუში, ბელა კახოევა; ინგლისური გადაცემების განყოფილებიდან – მაკა მაისურაძე, ნატო გუგუშვილი, ზურაბ ამირანაშვილი; გერმანული გადაცემების განყოფილებიდან – ეკა სანიკიძე, ირინე გეგეჭკორი, ნათია დათუაშვილი, ლია მუმლაძე; ფრანგული გადაცემების განყოფილებიდან – ქეთი კაპანაძე, მიხეილ კოღოშვილი; დაბოლოს, ქართული გადაცემების განყოფილებიდან – მანანა ქებაძე და ნანა ლომიძე. ამ განყოფილებაში მზადდებოდა როგორც საინფორმაციო გამოშვება, ისე თემატური სიუჟეტებიც, რომელთა უმრავლესობა ითარგმნებოდა 9 სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა მიმართულებით გადასაცემად.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის 236 განკარგულებით, მაუწყებლობის შესახებ სათანადო კანონის მიღებამდე შეიქმნა საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისია, რომელსაც დაევალა რეკომენდაციების შემუშავება საქტელერადიომაუწყებლობის მართვის სრულყოფისა და საკადრო ოპტიმაზიციისათვის რეფორმების მოსამზადებლად. იმდროინდელმა თავმჯდომარემ ზაზა შენგელიამ კომისიას შესთავაზა საქართველოს რადიოს საგარეო მაუწყებლობის დახურვა და მიუხედავად საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის მონდომებისა და უცხოური ორგანიზაციების რეკომენდაციებისა მისი შენარჩუნების აუცილებლობაზე, 2005 წლის დეკემბერში საქართველოს რადიოს უცხოეთის ქვეყნებზე მაუწყებლობა ნახევარსაუკუნოვანი არსებობის შემდეგ დაიხურა. საეჭვოა ეს გადაწყვეტილება სწორი ყოფილიყო. შორეული ნორვეგიისა და ინგლისის მსმენელებისათვის ყოველდღიური ნახევარსაათიანი გადაცემის ეფექტიანობა შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ჩვენს მეზობელ ქვეყნებზე – თურქეთსა და ირანზე (სადაც მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობაა) ქართულენოვანი და რუსეთზე (სადაც ტოტალური ანტიქართული პროპაგანდა მიმდინარეობს) ყოველდღიური რამდენიმესაათიანი რუსულენოვანი მაუწყებლობისათვის ალბათ ნამდვილად ღირდა ამ სტრუქტურის შენარჩუნება.

90-იან წლების უმწვავესმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა თავისი გავლენა იქონია ქართული რადიოპრესის მდგომარეო-

ბაზეც. 1991 წლის სექტემბრის შუა რიცხვებიდან ტელერადიოდეპარტამენტის ორგანოს „ეთერშია საქართველოს“ გამოცემა შეწყდა და განახლდა მხოლოდ რვათვიანი ინტერვალის შემდეგ, 1992 წლის მაისში, ახალი ხელისუფლების დროს. იგი ტრადიციულად მცირე ფორმატის ოთხგვერდიანი გაზეთი იყო და ტელერადიოპროგრამებთან ერთად პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა – ეხმაურებოდა მიმდინარე აქტუალურ პრობლემებს, გადაცემათა რეკლამა-ანოტაციებს ხშირად პოლიტიკა ცვლიდა. საბოლოოდ მან ორი წელიც ვერ იარსება – 1994 წელს გამოვიდა გაზეთის რამდენიმე ნომერი და გამოცემა შეწყდა.

სამწლიანი ინტერვალის შემდეგ, 1997 წლის სექტემბრიდან საქტელერადიოკორპორაციამ დაიწყო ახალი მცირეფორმატიანი გაზეთის „ახალი ტალღის“ გამოცემა (რედაქტორი გ. ზუბაშვილი). გაზეთის პირველი 7 ნომერი 12-გვერდიანი იყო, ხოლო მე-8 ნომრიდან გამოცემის ბოლომდე – 16-გვერდიანი. „ახალი ტალღა“, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად არც იყო დარგობრივი გაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ სისტემატურად აქვეყნებდა ყოველკვირეულ ტელეპროგრამებს (როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ძირითადი არხების) და საქართველოს რადიოს პირველი არხის პროგრამას, აგრეთვე საქართველოს ტელევიზიის I და II არხებზე გამავალი ტელესერიალების ბეჭდურ ვარიანტებს (ამას ბევრი სხვა გაზეთიც აკეთებდა). გაზეთის პირველ ნომერშივე გაცხადებული დაპირება, რომ „ახალი ტალღა“ განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ტელევიზიისა და რადიოს თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს“ განუხორციელებელი დარჩა (ერთადერთი გამონაკლისი იყო ლამარა კიკალიშვილის მეტად საინტერესო წერილები და მოგონებანი თავისი ჟურნალისტური პრაქტიკიდან). გაზეთი შეგნებულად გაცდა სპეციფიკური მიმართულების ორგანოს ფუნქციებს, რასაც ადასტურებს კიდეც 1999 წელს წარწერა გაზეთის სახელწოდების ქვეშ: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი“. ძირითადი ადგილი ეთმობოდა პოლიტიკურ სენსაციებს (როგორც თანამედროვეს, ისე ისტორიულს), კინოვარსკვლავებსა და შოუბიზნესის წარმომადგენლებს. ფაქტობრივად, „ახალი ტალღა“ უფრო კომერციული ტიპის გამოცემა იყო, იგი 1999 წლის სექტემბრამდე გამოდიოდა.

საკუთარი ბეჭდური ორგანოს გამოცემის კიდევ ერთი ცდა იყო 2000 წელს. 25 აგვისტოს გამოვიდა მცირე ფორმატის ილუსტრირებული გაზეთი სახელწოდებით „2x2“ (2001 წლის 11 მაისიდან მას

ისევ ტრადიციული სახელი „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ დაუბრუნდა). იგი თავიდან 12-გვერდიანი იყო, 2001 წლის მე-14 ნომრიდან კი 16-გვერდიანი გახდა. მისი მთავარი რედაქტორი იყო მიხეილ მჭედლიძე, მოადგილე ბადრი ცირამუა, პასუხისმგებელი მდივანი ზაალ ჭელიძე. გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობდა ჟურნალისტიკაში შექმნილ პრობლემებსა და თეორია-პრაქტიკის სიახლეებს. აღსანიშნავია რადიოს „ოქროს ფონდის“ ჩანაწერების საგაზეთო ტექსტები, რომლებსაც თითქმის ყველა ნომრისათვის ამზადებდა ჟურნალისტი ნუნუ დალაქიშვილი. გაზეთის მკითხველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა სახელოვანი წინაპრების რადიოგამოსვლებს. ამასთან, გაზეთის ფურცლები ეთმობოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებს, მეცნიერების, ხელოვნების, რელიგიის საკითხებს და სხვ. დრომ თავისი კვალი დაამჩნია გაზეთის განვითარებას – ტელერადიოპროგრამებისა და რეკლამა-ანოტაციების გამოქვეყნებას დაემატა ჯერ დარგობრივი გაზეთისა და შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანოს ფუნქციები. სამწუხაროდ, 2002 წლის მარტიდან გაზეთის გამოცემა შეწყდა. ასე დასრულდა 1957 წელს განახლებული ქართული ტელერადიოგაზეთის 45-წლიანი ისტორია და მას შემდეგ საქართველოს ტელერადიომაუწყებლობას საკუთარი ბეჭდური ორგანო აღარ ჰქონია.

ტელერადიომაუწყებლობის ბეჭდური ორგანოს გაუქმებამ უპირველესად რადიოაუდიტორიაზე იქონია უარყოფითი გავლენა. სატელევიზიო პროგრამებს ისედაც მრავალი სხვადასხვა გაზეთი ბეჭდავდა, რადიოპროგრამებს კი მხოლოდ იგი აქვეყნებდა და მისი დახურვის შემდეგ რადიომსმენელებს კვირის პროგრამაში ორიენტირების არავითარი საშუალება აღარ დარჩათ (ეს ხომ ტელერადიოგაზეთის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას შეადგენდა – რადიოკომიტეტის პირველ ბეჭდურ ორგანოს, რომელიც 1935 წელს გამოვიდა, ასეც ერქვა – „რადიოპროგრამები. რადიომსმენელთა დამხმარე“). გარდა ამისა, ჯერ კიდევ 1999 წელს შეწყდა (რადიოს პროგრამების მთავარი დირექციის მთავარი დირექტორის მედეა გეგეშიძის გარდაცვალების შემდეგ) რუბრიკა „რამდენიმე წუთი საქართველოს რადიოს პროგრამების დირექციისათვის“, რომელიც 1991 წლიდან მოყოლებული ყოველ პარასკევს გადაიცემოდა დილით 7 საათსა და 45 წუთზე, 5 წუთის ხანგრძლივობით და რადიომსმენელებს მომავალი კვირის ძირითად გადაცემებს აცნობდა (მას თავად პროგრამების დირექტორი უძღვებოდა).

დღევანდელ აჩქარებულ დროში შესაძლოა კვირის რადიოპროგრამის წინასწარი გაცნობა აუდიტორიისთვის არც იყოს აუცილებელი, მაგრამ დაბეჭდილ პროგრამებში ფაქტობრივად საქართველოს რადიოს საქმიანობა აისახებოდა და უფრო დასანანია, რომ ამ საქმიანობის ფიქსაცია შეწყდა. თანამედროვე რადიომაუწყებლობა უფრო დღის პროგრამის რეკლამაზე, მის სათანადო „შეფუთვაზე“ ზრუნავს. ამას ემსახურება მრავალჯერადი ანონსები ადრე დილიდან გვიან ღამემდე, აუდიოსპოტები და დევიზები, მუსიკალური საცნობები და ქუდები და ა.შ. ამან განაპირობა 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს რადიოში დიქტორების „გადაკვალიფიცირება“ დღის პროგრამის წამყვანებად (2001 წელს პროგრამაში დღის მანძილზე რამდენიმეჯერ „წამყვანის ფანჯარაც“ კი ცხადდებოდა). მაგრამ ასეთი „წამყვანებიც“ რადიოში ერთეულები შემორჩა. ესეც ბუნებრივი პროცესი იყო – დიქტორის, როგორც ტექსტის წამკითხველის, პროფესია თავის დროზე წარმოიშვა და ასევე დროს თან გაჰყვა როგორც ბევრი სხვა პროფესია. რადიოსა და ტელევიზიაში სხვაგვარი ჟურნალისტიკა ჩამოყალიბდა, ხოლო რადიოეთერის ბატონ-პატრონები ჟურნალისტები და დიჯეები გახდნენ.

1992-2003 წლებში საქართველოს რადიოს პროგრამაში თვალში საცემია რუბრიკების სიმრავლე (ხუთ ათეულამდე პერიოდული გადაცემა) და არცთუ იშვიათად მათი დუბლირებაც კი. სამაგიეროდ, 2004 წლის შემოდგომიდან რადიკალურად საწინააღმდეგო პროცესთან გვაქვს საქმე – რუბრიკების რაოდენობა მკვეთრად მცირდება. გამოჩნდა უცნაური რუბრიკა „მუსიკა საქართველოს რადიოში“ (ყოველდღიურად რამდენიმეჯერ), რაც ალბათ ყველა მუსიკალური ჟანრისა და მიმართულების ნაწარმოებების ერთ რუბრიკაში მოქცევის სურვილით იყო ნაკარნახევი. მაგრამ რუბრიკის ასეთი სახელწოდება გაუმართლებელია (სხვა მუსიკალური რუბრიკები, რომლებიც მის პარალელურად არსებობდა, მუსიკას არ მოიცავდა?). ამ ლოგიკით მთელი რადიოპროგრამა შეიძლება რამდენიმე რუბრიკაში მოქცეულიყო: „ინფორმაცია საქართველოს რადიოში“, „პუბლიცისტიკა საქართველოს რადიოში“, „სპორტი საქართველოს რადიოში“, „ლიტერატურა საქართველოს რადიოში“ და ა.შ. რუბრიკა გადაცემების ტიპიზაციას, გარკვეული კრიტერიუმების (თემის, იდეის, ჟანრის, აუდიტორიის) მიხედვით მათ დაჯგუფებას გულისხმობს – იგი არც მეტისმეტად ვიწრო შეიძლება იყოს, მაგრამ არც ისე ფართო, რომ მთელი მაუწყებლობის უდიდეს ნაწილს მოიცავდეს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ 90-იანი წლების მაუწყებლობის დარგობრივი პრინციპი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და ა.შ.) საკმაოდ შერყეულია, თუმცა ცალკე გადაცემები ეთმობა სამედიცინო და სამართლებრივ თემატიკას. 2000 წლიდან თვითონ ეკონომიკის თემაც კი (რომელსაც არასდროს დაუკარგავს აქტუალობა) ჩართულია მრავალთემიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში: „რაკურსი“, „ამერ-იმერი“, „განსხვავებული აზრი“, „ღია სტუდია“, აგრეთვე საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „პიკის საათში“.

შეიცვალა თვითონ რუბრიკების პერიოდულობაც. ყოველთვიური რუბრიკები, რომლებიც 80-იანი წლების ბოლომდეც კი იყო შემორჩენილი, გაქრა და რადიოპროგრამა მთლიანად ყოველკვირეულ რუბრიკებს დაემყარა (ცხადია, ოპერატიულ ყოველდღიურ გადაცემებთან ერთად).

და, რაც ყველაზე მთავარია, 90-იანი წლებიდან აშკარად საგრძნობი ხდება რადიოს კომუნიკაციური აქტივიზაცია, რაც პირდაპირი მაუწყებლობის პირობებში ინტერაქტიური კომუნიკაციური ფორმების მასობრივ დანერგვას ემყარება. რადიომსმენელს საშუალება ეძლევა ტელეფონის მეშვეობით პირდაპირ ჩაერთოს გადაცემის მსვლელობაში და კომუნიკაციის ორმხრივი ხასიათი აქვს – რადიო არა მხოლოდ გადამცემი, არამედ ერთდროულად მიმღებიც ხდება. რადიოპუბლიცისტიკის ამგვარი ფორმების ჩამოყალიბებას თან სდევს კომუნიკაციის პროცესში პიროვნული ფაქტორის გაძლიერება, „ღია“ სტრუქტურებზე გადასვლა და, აქედან გამომდინარე, პირდაპირი მაუწყებლობის შემდგომი განვითარება, რაც თანამედროვე ტექნოლოგიურ შესაძლებლობებთან ერთად უპირველესად საზოგადოების დემოკრატიზაციის შედეგიც არის (ამ პრობლემას რომ ჩავუღრმავდეთ, ლოგიკურად მივალთ საზოგადოებაში პიროვნების ინტეგრაციის, მისი სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზაციის გაცილებით რთულ საკითხებამდე).

პირდაპირი მაუწყებლობის დომინირებამ საქართველოს რადიოში, ერთი მხრივ, განაპირობა იმ პუბლიცისტური ჟანრებისა და ფორმების შემცირება, რომლებიც წინასწარ ფიქსაციასა და მონტაჟს მოითხოვდა (კორესპონდენცია, ნარკვევი, ე.წ. „პაკეტის“ ტიპის გადაცემები), ხოლო, მეორე მხრივ, გზა გაუხსნა ეთერში ჟურნალისტურ იმპროვიზაციას, საავტორო, პერსონალური პროგრამების დამკვიდრებას, მსოფლიო პრაქტიკაში კარგად ცნობილი „ტოქრა-

დიოს“ პრინციპების განხორციელებას – ე.წ. სატელეფონო ტოქ-შოუს ფორმების დამკვიდრებას საქართველოს რადიოში. ფაქტობ-რივად, აუდიტორიისათვის რადიოჟურნალისტების სახელები 90-იანი წლებიდან ხდება მასობრივად ცნობილი და დასამახსოვრებელი: „მედეა გეგეშიძე რადიოარხით „თანაგრძნობა“, „ანზორ გელაშვილი პროგრამით „სარკე“, „ლამარა კიკილაშვილი პროგრამით „სახსოვა-რი“, „ლია ძიძიგური პროგრამით „გალერეა“, „ზინაიდა მჭედლური და საზოგადოებრივ-ლიტერატურული პროგრამა „დროება“, „დოდო შონავა საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამით „ფაქტი პლუსი“, „ივანე ჯაფარიძე პროგრამით „ირაო“ და ა.შ.

პერსონალური პროგრამების ბუმი განაპირობა იმანაც, რომ გა-უქმდა საბჭოთა პერიოდში დაკანონებული წესი, რომელიც ავალდე-ბულებდა რედაქციას ჰონორარის 60 პროცენტი გარეშე ავტორებზე გაეცა, ხოლო შტატის მუშაკებისათვის დანარჩენი 40 პროცენტი გა-ენაწილებინა. ეს, ცხადია, ზღუდავდა შტატში მომუშავე ჟურნალის-ტების შემოქმედებით აქტივობას (ბევრი მათგანი განსაზღვრული ნორმის შესრულების შემდეგ აღარ ამზადებდა საავტორო გადაცე-მას, რადგან ვერავითარ ანაზღაურებას ვერ მიიღებდა), მაგრამ ამა-ვე დროს ფართოდ უღებდა კარებს რედაქციის გარეთ მყოფ შემოქ-მედებით ძალებს და უზრუნველყოფდა რადიოპროგრამის თემატურ თუ შემოქმედებით მრავალფეროვნებას. ამ წესის გაუქმების შემდეგ თითქმის მთელი სარედაქციო ჰონორარი შტატის მუშაკებმა დაისა-კუთრეს, რამაც მკვეთრად გაზარდა საავტორო გადაცემების რიცხ-ვი და დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგებიც გამოიწვია: ერ-თი მხრივ, რადიოჟურნალისტიკის პროფესიონალებს (მცირე ჯგუფს) მეტი თავისუფლება მიეცა, მაგრამ, მეორე მხრივ, მომრავ-ლდა დაბალხარისხოვანი პერსონალური გადაცემები (ყველა როდი აღმოჩნდა მზად აუდიტორიასთან ურთიერთობისათვის), ხოლო გა-რეშე ავტორებზე უარის თქმამ გააღარიბა და უფრო დაშტამპული გახადა რადიოპროგრამა.

საბოლოოდ, რადიოს თითქმის ყველა შემოქმედებითი მუშაკი მხოლოდ ავტორად იქცა და დაკარგა ლიტერატურული მუშაკის, რე-დაქტორის ფუნქცია – თითოეული თვითონ იყო თავისი გადაცემის ავტორიც, რედაქტორიც და რეჟისორიც. ცენზურის გაუქმებასთან ერთად რადიოს ხელმძღვანელობამ რატომღაც ჩათვალა, რომ საერ-თოდ აღარ არის საჭირო არც სარედაქციო საქმიანობის კონტროლი და ნელ-ნელა დაიწყო მართვის სისტემის მოშლა: დაეცა დაგეგმვის

ხარისხი, აღარ იმართებოდა სარედაქციო თათბირები და არ ხდებოდა საეთერო პროდუქციის შეფასება, აღარ მზადდებოდა სარედაქციო პროგრამები, აღარ ხდებოდა ტექსტების რედაქტირება – იგი აღარ გადიოდა ადრე სავალდებულო საფეხურებს რიგითი მუშაკიდან მთავარ რედაქტორამდე (ხშირად კი თავმჯდომარის მოადგილემდეც). პირდაპირი ეთერის საბაბით ხშირად არც გადაცემების ტექსტები მზადდებოდა წინასწარ და ეთერში არგუმენტირებულ მსჯელობას არცთუ იშვიათად კომერციული არხებისათვის დამახასიათებელი დიჯეების პრიმიტიული დიალოგი ცვლიდა – მასობრივი კომუნიკაციის ორგანო რადიო სატელეფონო ინტერპერსონალური კომუნიკაციის საშუალებას დაემსგავსა. საქართველოს რადიომ მნიშვნელოვანწილად დაკარგა ის, რასაც დარაჯად ედგა ათეულობით წლების მანძილზე – გამართული ქართული ენა. რა თქმა უნდა, ეს ყველა გადაცემას არ შეეხება, მაგრამ უარყოფითი ტენდენციები აღნიშნული მიმართულებით მაინც საგრძნობია (აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს დიდად უწყობდა ხელს რადიოს ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური დაქვეითებაც).

რადიოს კომუნიკაციური აქტივიზაციის მეორე მიმართულებად 1992-2004 წლებში წარმოჩნდა პოპულარული მუსიკის ინტენსიური შემოჭრა ინფორმაციულ-პუბლიცისტურ მაუწყებლობაში და საესტრადო-მუსიკალური პროგრამების მოძალება. ამ პროცესის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან იჩენს თავს, მაგრამ ამ პერიოდში იგი განსაკუთრებით აშკარად გამოიკვეთა. თავი რომ დავანებოთ მუსიკალური ფორმატის „რადიო-2 – ქართული რადიოს“ დაარსებას, თავად პირველი პროგრამაც მუსიკალურად უფრო დატვირთული და პოპულარულ-გასართობი ხასიათისა გახდა. „პიკის საათზე“ და სხვა საინფორმაციო-მუსიკალურ პროგრამებზე დილის ყოველდღიური საინფორმაციო-მუსიკალური ბლოკის „დილაადრიანის“ დამატება (1999) და პირდაპირ ეთერში ისეთი პროგრამების დამკვიდრება, როგორიც იყო: „კონცერტი 6 საათზე“, „ალო, გისმენთ 59 და 9“, „ესტრასფერო“, „როკი, სმოკი და ...“, „ჯაზის მოყვარულთათვის“, სხვადასხვა ჰიტაღლუმები და ა.შ. უთუოდ შეესაბამებოდა აუდიტორიის გაზრდილ ინტერესს მუსიკალურ-გასართობი ფორმებისადმი და კომუნიკატორთან პირდაპირი ურთიერთობის მოთხოვნილებას. წამყვანები პროგრამებისა „დილაადრიან“ და „ალო“, გისმენთ!“ არა მარტო აქტიურად მონაწილეობდნენ მსმენელებთან დიალოგში, არამედ საინტერესო თემებსაც სთავაზობდნენ

მათ ეთერში იმპროვიზაციისათვის; ამასთან აუდიტორიასთან ორმხრივი კონტაქტისათვის მუსიკალური, საბავშვო და ახალგაზრდული გადაცემების რედაქციები ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა სახის ვიქტორინებსა და სახალისო კონკურსებს. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში ყოველკვირეულად გადაიცემოდა ორ ათეულამდე საავტორო მუსიკალური პროგრამა, ბევრი მათგანი კი ყოველდღიურად თუ არა, კვირაში რამდენიმეჯერ მაინც და უშუალოდ პირდაპირ ეთერში.

შესაძლოა პირველი პროგრამის ასეთი „მუსიკალური ინტენსიფიკაცია“ მუსიკალური ფორმატის კომერციულ არხებთან კონკურენციით და აუდიტორიის (განსაკუთრებით ახალგაზრდობის) დაკარგვის შიშითაც იყო გამოწვეული, რაც მართლაც რეალური ჩანს. იქნებ იმანაც იქონია გავლენა, რომ 90-იან წლებში საქართველოს რადიოში თითქმის ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა მუსიკალური რედაქციის თანამშრომლებმა დაიკავეს. მათ კარგად იცოდნენ მუსიკა და მისი პოპულარიზაციის მეთოდები, მაგრამ ნაკლებად – ჟურნალისტიკა და ბოლომდე არ ესმოდათ საქართველოს სახელმწიფო რადიომაუწყებლობის, როგორც ჟურნალისტური არხის, საზოგადოებრივი დანიშნულება. იგი ხომ ამ ტიპის ერთადერთი არხი იყო საქართველოში და სამართლიანად უწოდებდა თავის თავს „მთავარ რადიოს“ (ასეთი „მთავარი რადიო“ ყველა განვითარებულ ქვეყანაშია შენარჩუნებული). აღნიშნული მომენტების გაუთვალისწინებლად ძნელია იმ სამაუწყებლო პოლიტიკის გააზრება, რამაც საბოლოოდ პირველი პროგრამის რადიკალური გარდაქმნა გამოიწვია. 2004 წლის სექტემბრიდან, როცა სამაუწყებლო ბადე ე.წ. პროგრამული ბორბალის პრინციპით აიგო, კვირის პროგრამაში შემორჩა სულ 15-მდე გადაცემა, დანარჩენი დრო მუსიკას, თეატრალურ სპექტაკლების ნაწყვეტებს, საინფორმაციო გამოშვებებს, ანონსებს, ამინდის პროგნოზს და ა.შ. ეკავა. თითოეული საათი იწყებოდა საინფორმაციო გამოშვებით (ზოგჯერ მას ცვლიდა სპორტის ახალი ამბები – „ესტაფეტა“ და „პიკის საათი“, ანდა მუსიკალური პროგრამა „ალო, გისმენთ!“) და მთავრდებოდა ამინდის პროგნოზით. ფაქტობრივად, საქართველოს ერთადერთი მრავალპროფილიანი რადიო საინფორმაციო-მუსიკალური ფორმატის რადიოდ გარდაიქმნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში აღნიშნული ტიპისაა მეორე სახელმწიფო რადიოარხი „რადიო-2 – ქართული რადიო“ და საქართველოს ყველა დამოუკიდებელი რადიოსადგური, კიდევ ერთი საინფორ-

მაციო-მუსიკალური არხის შექმნის საჭიროება მეტად საკამათოა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჟურნალისტური ფუნქციების შემცირებამ ერთგვარად დააქვეითა კიდეც საქართველოს რადიოს, როგორც „მთავარი რადიოს“ სტატუსიც და 2004 წლის მასობრივი დათხოვნების შემდეგ იგი საქართველოს ტელევიზიის რიგითი განყოფილების მსგავს დანამატად იქცა თანამშრომლების მეტად შემცირებული ჯგუფით.

როგორც ადრე აღინიშნა, ამ პერიოდში საქართველოს რადიო მაუწყებლობას ეწეოდა სამი არხით (პროგრამით). ძირითადი შემოქმედებითი დატვირთვა მოდიოდა პირველ არხზე, რომელიც დღე-ღამეში იუწყებოდა 21 საათის ხანგრძლივობით და 2004 წლამდე პროგრამული მრავალფეროვნებითა და იდეურ-მხატვრული ხარისხით ქვეყანაში ანალოგი არ მოეპოვებოდა. მეორე არხის ანუ „რადიო-2 – ქართული რადიოს“ სადღეღამისო მაუწყებლობა 16 საათსა და 30 წუთს შეადგენდა, ყოველ საათში გადასცემდა საინფორმაციო გამოშვებას, დანარჩენი დრო კი მუსიკას და გასართობი ტიპის რამდენიმე გადაცემას ეკავა. მესამე არხი დათმობილი ჰქონდა საზღვარგარეთზე მაუწყებლობას (სანამ იგი საერთოდ გაუქმდებოდა) და საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობისათვის განკუთვნილ გადაცემებს სომხურ, აზერბაიჯანულ, ქურთულ და ბერძნულ ენებზე (დღეში 9 საათი). სულ სამივე არხზე საქართველოს რადიოს ყოველდღიური მოცულობა 46 საათსა და 30 წუთს შეადგენდა.

სამწუხაროდ, ამ მოცულობის სამუშაოზე დახარჯული ინტელექტუალური და ფინანსური რესურსი ნაწილობრივ წყალში იყო გადაყრილი რადიოსიგნალის გავრცელების უაღრესად მძიმე მდგომარეობის გამო. დუშეთში არსებული გრძელტალღოვანი გადამცემი, რომელსაც თეორიულად საქართველოს მთელი ტერიტორიის დაფარვა შეეძლო, მოძველებული იყო და დიდი რაოდენობის ელექტროენერგიას საჭიროებდა (საათში 1,5 მეგავატს). მისი დაფინანსება მეტად გაძნელებული იყო და ამიტომ უსისტემოდ, კვირაში 2-3 საათი თუ მუშაობდა. ელექტროენერგიის დეფიციტის გამო ასევე სერიოზული შეფერხებით მუშაობდა ბათუმში არსებული საშუალოტალღოვანი გადამცემი, როდესაც ნორმალურ პირობებში შეეძლო პირველი არხის გადაცემების გავრცელება საქართველოს მთელ შავიზღვისპირეთში. შედარებით გამართულად, მაგრამ ლოკალური მასშტაბით მუშაობდნენ თბილისისა და ქუთაისის რადიოსატრანსლაციო ქსელები და თბილისის FM-გადამცემი 102,4 სიხშირეზე.

რაც შეეხება რაიონებში არსებულ FM-გადამცემებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით მესამედს მოიცავდა, ენერგოდეფიციტის პირობებში ისინიც შეფერხებით მუშაობდა.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა „რადიო-2 – ქართული რადიო". 1999 წელს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ მორალურად მოძველების საბაბით გააჩერა თბილისის ზღვაზე არსებული საშუალოტალღოვანი რადიოსადგური, საიდანაც „რადიო-2"-თან ერთად სომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული და ქურთული გადაცემები ვრცელდებოდა და იგი საპრივატიზაციო სიაში შეიტანა. როგორც შემდგომ გაირკვა, ამ ხერხით სამინისტროს თანამშრომლებს სურდათ ჩალის ფასად ჩაეგდოთ ხელში რკინის უზარმაზარი კონსტრუქციის ანძა, რომ შემდეგ სარფიანად გაეყიდათ. ყველაზე პარადოქსული ისაა, რომ ამ „საქმის" დასრულება მოხდა ახალი მინისტრის ხელში, რომელიც მანამდე მთელი თავისი ცხოვრება რადიო-ტელევიზიის სისტემაში მუშაობდა. საბოლოოდ ვერც პრივატიზაციის „ავტორებმა" შეისრულეს განზრახული – 2000 წლის 21 სექტემბერს პრეზიდენტის განკარგულებით თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მდებარე რადიოსადგურის ქონება დაკავებული მიწის ფართობთან ერთად საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა (ამ რადიოსადგურით ვრცელდება ამჟამად საპატრიარქოს რადიოს „ივერიის" გადაცემები). „რადიო-2" კი დარჩა FM-გადამცემის ამარა, რომელიც 100,9 სიხშირეზე მუშაობს და მისი გავრცელების არეალი ძირითადად დედაქალაქითა და მისი შემოგარენით შემოიფარგლება (მასთან შედარებით რამდენადმე გაუმჯობესდა პირველი არხის მდგომარეობა, რომელიც 2000 წლიდან სათანამგზავრო მაუწყებლობაზე გავიდა).

თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა ვერც რადიოსტუდიების აღჭურვილობა და სხვა ტექნიკური საშუალებანი (ხმის გადამცემი და სამონტაჟო სააპარატოები, აუდიოკასეტებზე და მინიდისკებზე ჩამწერი ტექნიკა, სხვადასხვა სახის მიკროფონები და ა.შ.), თუმცა თვითონ ტექნიკური სამსახურის სტრუქტურა ძირითადად შენარჩუნებული იყო. კვლავ განაგრძობდა ფუნქციონერებას რადიომაუწყებლობის სასტუდიო-საწარმოო კომპლექსი (უფროსი ჰამლეტ ცაგარეიშვილი), რადიომაუწყებლობის განყოფილება (უფროსი რევაზ ასათიანი, უბნის უფროსები: გურამ მესხიშვილი, მირიან მოსულიშვილი, ტარიელ კობახიძე), ხმის ჩამწერი განყოფილება (უფროსი ჯუმბერ ხობელია), სტუდიისგარე რადიოგადაცემათა გან-

ყოფილება (უფროსი ომარ არეშიძე), ტექნიკური კონტროლის განყოფილება (უფროსი ლევან კობერიძე), ხმის რეჟისორთა განყოფილება (უფროსი იური ნუცუბიძე), აუდიოფონდის სამსახური (დირექტორი ნინო ჟღენტი). 2004 წლის მასობრივი დათხოვნების დროს ამ განყოფილებებში მომუშავეთა რიცხვიც რადიკალურად შემცირდა და თანამშრომლების მხოლოდ მინიმალური რაოდენობა დარჩა.

ასეთი იყო ზოგადად 1992-2004 წლებში საქართველოს რადიოს საერთო მდგომარეობა და ის ძირითადი პროცესები, რომელთა მიმდინარეობა თავის გავლენას ახდენდა მის შემოქმედებით საქმიანობაზე, პროგრამების მიმართულებებსა და ხასიათზე.

2. ინფორმაციულ-პუბლიცისტური მაუწყებლობა

ინფორმაციულ და პუბლიცისტურ გადაცემებს საქართველოს რადიოში 90-იან წლებშიც დოკუმენტური მაუწყებლობის უდიდესი ნაწილი ეჭირა. **ოპერატიულ-ინფორმაციულ გადაცემებს** ამზადებდა ინფორმაციის მთავარი რედაქცია, რომელიც ორ მიმართულებას მოიცავდა – საინფორმაციო გამოშვებებსა და საინფორმაციო-მუსიკალურ პროგრამა „პიკის საათს“. საინფორმაციო გამოშვებებზე მუშაობდნენ: ირმა ლორია (კოორდინატორი), ლია კამლაძე, ნინო მჭედლიშვილი, ნინო ქვათაძე, ირაკლი ნატროშვილი, შალვა ადომლიშვილი, როინ თხილავა, ნინო აზმაიფარაშვილი, მაია ხოშტარია, ნათია არველაძე და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ოპერატიული ინფორმაციული ცნობების ბიულეტენს საქართველოს რადიოში 1991 წლიდან „უკანასკნელ ცნობებს“ აღარ უწოდებდნენ და იგი ეთერში გადიოდა უბრალოდ „საინფორმაციო გამოშვების“ სახელწოდებით. 1996 წლიდან რადიოს საინფორმაციო გამოშვებებს „მოამბე“ ეწოდა. ეს სახელი ერქვა თითქმის მეოთხედი საუკუნე საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებას. მაგრამ 1992 წელს იგი „მაცნეთი“ შეიცვალა, რადიომ კი, როგორც ჩანს, არ იუკადრისა თავისი უფრო პოპულარული პარტნიორის „გამონაცვალის“ გამოყენება. შემდეგ ტელევიზიამ „მოამბე“ისევ აღადგინა საინფორმაციო გამოშვების სახელწოდებად და, შესაბამისად, რადიოს საინფორმაციო გამოშვებებმაც ერთხელ კიდევ შეიცვალა სახელი – 2000 წელს ეწოდა „ამ საათისათვის“. ეს სახელწოდება შერჩა მას 2004 წლის ბოლომდე, სანამ საქართველოს რადიო სახელმწიფო რადიოს სტატუსით მაუწყებლობდა.

მიუხედავად სახელების ასეთი ცვლისა, საქართველოს რადიოს საინფორმაციო გამოშვებების არც დანიშნულება, არც პერიოდულობა და არც ქრონომეტრაჟი არსებითად არ შეცვლილია. 1992-2004 წლებში მისი განრიგი ასე გამოიყურება:

1992 – 6.03, 7.00, 9.00 (შაბათ-კვირას), 11.00 (შაბათის გარდა), 12.00 (შაბათს), 13.00 (სამშაბათს), 14.00 (შაბათ-კვირის გარდა), 17.00 (შაბათ-კვირას), 19.00 (შაბათის გარდა, ქართულ-რუსულად), 20.00 (შაბათ-კვირისა და ორშაბათის გარდა), 22.00, 23.55

1993 – 6.03, 7.00, 9.00 (შაბათ-კვირას), 11.00 (შაბათის გარდა), 12.00 (შაბათს), 14.00 (კვირადღის გარდა), 17.00 (შაბათ-კვირას), 19.00 (შაბათის გარდა, ქართულ-რუსულად), 20.00 (შაბათ-კვირისა და ორშაბათის გარდა), 22.00, 23.50

1994 – 6.03, 7.00, 9.00 (შაბათ-კვირას), 11.00 (შაბათის გარდა), 12.00 (შაბათს), 13.00 (კვირას), 14.00 (კვირადღის გარდა), 15.00 და 17.00 (კვირას), 19.00 (შაბათს გარდა, ქართულ-რუსულად), 20.00 (სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს), 22.00, 23.50

1995 – 6.03, 7.00, 9.00 (შაბათ-კვირას), 11.00 (შაბათის გარდა), 14.00 (კვირადღის გარდა), 19.00 (შაბათის გარდა, ქართულ-რუსულად), 20.00 (შაბათ-კვირის და ორშაბათის გარდა), 22.00, 23.50

1996 – 6.03, 7.00, 9.00 (შაბათ-კვირას), 11.00 (შაბათის გარდა), 15.00 (შაბათ-კვირის გარდა), 19.00 (შაბათის გარდა, ქართულ-რუსულად), 20.00 (ორშაბათის გარდა), 22.00, 23.50

1997-1998 – 6.03, 7.00, 9.00 (შაბათ-კვირას), 11.00, 15.00 (შაბათ-კვირის გარდა), 19.00 (შაბათის გარდა, ქართულ-რუსულად), 20.00 (ორშაბათის გარდა), 22.00, 23.50

1999 – მარტის თვემდე, „დილაადრიანის“ დაარსებამდე – 1998 წლის განრიგით, შემდეგ – 2000 წლის მსგავსად.

2000-2002 – 11.00, 15.00 (შაბათ-კვირის გარდა), 19.00 (ქართულ-რუსულად), 20.00 (ორშაბათის გარდა), 22.00, 23.50

2003-2004 (სექტემბრამდე) – 11.00 (ორშაბათის გარდა), 15.00, 17.00 (კვირას), 19.00 (კვირადღის გარდა, ქართულ-რუსულად), 20.00 (ორშაბათის გარდა), 22.00, 23.55

2004 (სექტემბრიდან) – 11.00, 12.00 (შაბათ-კვირის გარდა), 13.00, 15.00, 16.00 (შაბათ-კვირის გარდა), 17.00 (შაბათ-კვირას), 19.00 (კვირას), 20.00 (კვირადღის გარდა, რუსულ ენაზე), 22.00, 23.55

ძირითადად ყოველდღიურად პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა 7-8 გამოშვება (გარდა შაბათ-კვირისა), დასვენების დღეებში – 6 (1993-1995 წლებში – 9 გამოშვება). პირველი გამოშვება დილით, 6 საათსა და 3 წუთზეა ეთერში, ბოლო – საღამოს, 23 საათსა და 50 ან 55 წუთზე. 1992-1995 წლებში გამოშვებათა ქრონომეტრაჟი 5, 10, 15 წუთია, 1996-2000 წლებში – 3, 5, 8, 15 წუთი, შემდეგ, 2004 წლის პირველ ნახევარში – 5-10 წუთი (დღის მონაკვეთების გათვალისწინებით). ძირითადი საინფორმაციო გამოშვება 22 საათზე, რომელიც დღის შეჯამებას წარმოადგენს, სტაბილურად მოიცავს 20-25 წუთს (2004 წლის მეორე ნახევარში საქართველოს რადიოს ბადე რადიკალურად შეიცვალა – იგი ე.წ. „პროგრამული ბორბალის" პრინციპს დაემყარა და ყველა საინფორმაციო გამოშვება 5 წუთი გახდა).

დილის გამოშვებაში, 6 საათსა და 3 წუთზე, როგორც წესი, საუბარი იყო გასული დღის მთავარ ამბებზე, შემდეგ გამოშვებებში კი თანდათანობით ჩნდებოდა უახლესი ინფორმაციები (1992-1995 წლებში, მაგალითად, საღამოს 7 საათის გამოშვება მთლიანად ეთმობოდა საზღვარგარეთის ახალ ამბებს – ხშირად მას ასეთი ქვესათაურიც ჰქონდა „დეპეშები საზღვარგარეთიდან"). დღის მანძილზე ოპერატიულად შუქდებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და მოვლენები, გადაიცემოდა ინფორმაციები საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, სპორტის შესახებ. ამასთან, „მშრალ" ინფორმაციას, ფაქტების ფიქსაციას ხშირად ერწყმოდა მოკლე ანალიზიც. ეს უპირატესად დამახასიათებელი იყო 22 საათის გამოშვებისათვის, რომელიც ყველაზე ვრცელი იყო და დღის ახალი ამბების შეჯამებას წარმოადგენდა.

1992-1995 წლებში საქართველოს რადიოს საინფორმაციო სამსახური ოპერატიულად ასახავდა ქვეყანაში დაძაბულ სიტუაციას, ქართულ-ოსური კონფლიქტის განვითარებას, აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლებს, დიდი ადგილი ეთმობოდა 1992 წლის საპარლამენტო და 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს. საინფორმაციო გამოშვებაში სისტემატურად გადაიცემოდა კერძო ბიზნესის ამბები, განიხილებოდა კონფლიქტის ზონიდან დევნილთა საყოფაცხოვრებო პრობლემები, რეგიონების ცხოვრება, კრიმინალური მდგომარეობა ქვეყანაში და ა.შ. საერთაშორისო მიმომხილველი ირაკლი ჯაფარიძე მსმენელებს მოუთხრობდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, აცნობდა წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკას საქართველოს მიმართ და სხვ.

1996-2000 წლებში უპირატესი ყურადღება ექცეოდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემებს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებს, 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, შუქდებოდა კულტურისა და ხელოვნების საკითხებიც.

2001-2004 წლებში საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადი ადგილი კვლავ დამოუკიდებელი საქართველოს ზემოთ აღნიშნულ მუდმივ პრობლემებს უკავია, ამას ემატება 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა და მომდევნო პროცესების ასახვა, „ვარდების რევოლუციისა“ და შემდგომი პოლიტიკური მოვლენების წარმოჩენა.

თავიდან საინფორმაციო გამოშვებებს უპირატესად ორი წამყვანი უძღვებოდა – ქალი და მამაკაცი (უფრო ხშირად დიქტორები), შემდეგ კი ეს ფუნქცია დაეკისრა ჟურნალისტს (რომელსაც მოდერატორს უწოდებდნენ), ძირითადად მორიგე რედაქტორს. თითოეული გამოშვება რამდენიმე სიუჟეტს და მეტ-ნაკლებად რამდენიმე ჟანრს მოიცავს: გვხვდება რეპორტაჟები, მოკლე ინტერვიუები, გამოსვლები, კომენტარები, და ა.შ. ბევრ გამოშვებაშია პირდაპირი ჩართვები „ცხელი“ წერტილებიდან და სხვა ადგილებიდან.

გარდა ყოველდღიური გამოშვებებისა, საქართველოს რადიოს ინფორმაციის მთავარ რედაქციაში მზადდებოდა სპეციალური საინფორმაციო პროგრამები, რომლებიც ეძღვნებოდა მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ ღონისძიებებს, კულტურულ თუ სპორტულ მოვლენებს. მაგალითად, 1992 წელს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს დიტრიხ გენშერის საქართველოში ჩამოსვლას მიეძღვნა სპეციალური გამოშვება „მეგობრული ვიზიტით“, რომელსაც უძღვებოდა თავად გადაცემის ავტორი დიმიტრი კიკვაძე. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს 1992, 1995, 1999, 2000, 2003 წლებში თან ახლდა დამატებითი სპეციალური საინფორმაციო გამოშვებები. ასევე, ზაფხულობით გადაიცემოდა სპეციალური გამოშვებები „გამოცდები, გამოცდები“, რომელიც ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე მისაღებ გამოცდებს ეხებოდა. სპეციალური გამოშვებები მიეძღვნა 1999 წელს ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალს „საჩუქარს“, რომელიც პირველად ჩატარდა საქართველოში და ა.შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის საინფორმაციო გამოშვებები, რომლებიც ერთ კონკრეტულ დარგსა თუ თემას ეხებოდა, სოციალური

სინამდვილის ერთი სფეროს სიახლეებს ასახავდა (საერთაშორისო ცხოვრება, კულტურა, კრიმინალური ქრონიკა, სპორტი). მაგალითად, 1992-1995 წლებში ყოველ შაბათს 14 საათზე უცხოეთის ახალ ამბებს აცნობდა მსმენელებს 10-წუთიანი საინფორმაციო გამოშვება „ინტერკურიერი". ამავე სახისა იყო 1998-1999 წელს საინფორმაციო პროგრამა „პლანეტის ამბები", რომელიც სამუშაო დღეებში გადაიცემოდა 15 წუთის მოცულობით. 1998 წელს თემატურ საინფორმაციო გამოშვებას წარმოადგენდა აგრეთვე ყოველკვირეული „კულტურული ცხოვრების ქრონიკა" და პროგრამა „რადიოპატრული", რომელიც 1992-2003 წლებში ყოველდღიურად იყო ეთერში შაბათ-კვირის გარდა 10 წუთის ხანგრძლივობით. მას უძღვებოდა ორი ჟურნალისტი – მაია თავართქილაძე და კობა კობაიძე (ავტორი). „რადიოპატრული" აშუქებდა რესპუბლიკაში მომხდარ კრიმინალურ შემთხვევებს, აცხადებდა დაკარგულთა და სამართალდამცავთა მიერ ძებნილ დამნაშავეთა შესახებ, მსმენელებს აცნობდა დღის კრიმინალურ ქრონიკას.

საქართველოს რადიოში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სპორტის ახალ ამბებს და ეს ტრადიცია გრძელდებოდა 1992-2004 წლებშიც – ოპერატიული ინფორმაციები სპორტის შესახებ გადაიცემოდა საინფორმაციო გამოშვებებსა და საინფორმაციო-მუსიკალურ პროგრამებში. გარდა ამისა, სპორტული პროგრამების მთავარი რედაქცია ამზადებდა მუდმივ რუბრიკებსა და ცალკეულ გადაცემებს ამ თემაზე (რადიოს სპორტული გადაცემების განყოფილება, რომელიც მანამდე საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის სპორტული პროგრამების საერთო მთავარ რედაქციაში შედიოდა, 1994 წლიდან დამოუკიდებელ სამსახურად ჩამოყალიბდა).

სპორტის ახალი ამბები ოპერატიულად შუქდებოდა რუბრიკაში „5 წუთი სპორტის მოყვარულთათვის", რომელიც 1991 წლიდან კვირაში ოთხჯერ გადიოდა ეთერში. 1994 წელს ამ რუბრიკას ეწოდა „სპორტის მოყვარულთათვის" და გადაიცემოდა იმავე პერიოდულობით 10 წუთის ხანგრძლივობით; 1995-1997 წლებში ერქვა „სპორტი" და ეთერში იყო ყოველდღე, კვირის გარდა. 1995 წელს სპორტულ გადაცემათა რიცხვს შეემატა 10-წუთიანი პროგრამა „ასპარეზი", რომელიც მოიცავდა ინფორმაციებს საქართველოსა და უცხოეთის სპორტული მოვლენების შესახებ, რეპორტაჟებს მატჩებიდან და პრესკონფერენციებიდან, ინტერვიუებს, კომენტარებსა და სპორტულ მიმოხილვებს. 1998 წელს „სპორტს" ეწოდა „ესტაფე-

ტა“ და გადაიცემოდა დღეში სამჯერ (7.15, 14.00, 22.20), ყოველდღე, კვირის გარდა (ამზადებდნენ სპორტული ჟურნალისტები: სანდრო ცნობილაძე, გივი გვენცაძე, ალეკო ჯიბლაძე, ელენე ბილიხოძე). 1999 წლის მარტიდან, ეთერში „დილაადრიანის“ დამკვიდრების შემდეგ, 2004 წლის ბოლომდე იგი გადაიცემოდა დღეში ორჯერ.

გარდა ამისა, 1998 წელს ყოველ დილით, კვირა დღის გამოკლებით, 6 საათსა და 13 წუთზე გადაიცემოდა „სპორტის ახალი ამბები“. 1999 წლის აპრილ-სექტემბერში ყოველ შაბათს ეთერში იყო აგრეთვე „საფეხბურთო მიმოხილვა“ ჯერ 10 და შემდეგ 25 წუთის მოცულობით (აქვე აღვნიშნავთ, რომ 1999 წლამდე განაგრძობდა არსებობას ყოველკვირეული ტრადიციული ნახევარსაათიანი სპორტული პროგრამა „უტევანი“ – წამყვანი თამილა კახიძე). 2000 წლიდან სპორტულ მაუწყებლობას შეემატა ყოველკვირეული გადაცემა „ქართული სპორტი გუშინ, დღეს, ხვალ“ (20-25 წუთი), რომელსაც უძღვებოდნენ სპორტული პროგრამების მთავარი რედაქტორი თამილა კახიძე, ჟურნალისტები: დავით მინაშვილი, ალეკო ჯიბლაძე, ნინო ახვლედიანი და სხვ. 2001 წლის სექტემბრიდან მას შეენაცვლა ტოქშოუ „სპორტული პროგრამა „ლელო“, რომელმაც სამშაბათობით 14 საათზე „ესტაფეტას“ ადგილი დაიკავა და არსებობდა 2003 წლის ბოლომდე. 2003 წელს იგი ორშაბათობით გადაიცემოდა ღია ეთერში ნახევარი საათის ხანგრძლივობით და მასში სპორტის მოყვარული რადიომსმენელები აქტიურად მონაწილეობდნენ სატელეფონო კავშირის საშუალებით. გადაცემის სტუმრები იყვნენ სახელგანთქმული თუ ახალბედა სპორტსმენები, მწვრთნელები, გულშემატკივრები და ა.შ. იმართებოდა მსჯელობა სპორტის ყველაზე აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხებზე (წამყვანი თამილა კახიძე).

გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს საქართველოს რადიოში ინფორმაციულ-მუსიკალური მაუწყებლობის განვითარებაზე 1992-2004 წლებში. ინფორმაციულ-პუბლიცისტურ მაუწყებლობაში პოპულარული მუსიკის ინტენსიური შემოჭრა და საესტრადო მუსიკალური პროგრამების მოძალება ნათლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მაუწყებლობა ცდილობს მუსიკის გასართობი ფუნქციის გამოყენებას კომუნიკაციური ეფექტის გაზრდისათვის. რადიოს ერთ-ერთ პოპულარულ გადაცემად კვლავ რჩებოდა საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „პიკის საათი“. 1992-1998 წლებში შეიცვალა მისი ეთერში გასვლის დრო და ქრონომეტრაჟი – გადაიცემოდა ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, დილით, 7 საათსა და 50 წუთზე 2-სა-

ათიანი გამოშვება და 12 საათზე და 17 საათზე – 1-საათიანი გამოშ-ვება. 1999 წლიდან კი „დილაადრიანის“ დაარსების გამო „პიკის საა-თის“ დილის გამოშვებამ 8 საათზე გადაინაცვლა. კიდევ ერთი ცვლი-ლება მოხდა 2004 წლის შემოდგომაზე, როცა საქართველოს რადიოს ბადე რადიკალურად შეიცვალა – „პიკის საათისათვის“ გამოიყო 1 სა-ათი და 30 წუთი დილის 8 საათზე და 1 საათი საღამოს, 17 საათზე.

„პიკის საათს“ თავდაპირველად უძღვებოდა ორი წამყვანი: ქა-ლი და მამაკაცი, შემდეგ ერთი პიროვნება. სხვადასხვა დროს ესენი იყვნენ: ოთარ შაორშაძე, ლილი მაღალაშვილი, გელა კაპანაძე, დო-დო შონავა, ნატო ონიანი, რამაზ ქართველიშვილი, მანანა ლაჭყეპია-ნი, ლალი ბზიაშვილი, გოგი ჩოკოშვილი, ალეკო ფარულავა, ბაია შა-რაშიძე, ნინო როდონაია, ალეკო ელისაშვილი და სხვ. დილის პროგ-რამის დასაწყისში ისინი მსმენელს აცნობდნენ გადაცემის ანონსს და საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ცნობას მოსალოდნელი ამინ-დის შესახებ. შემდეგ მას მოჰყვებოდა საინფორმაციო გამოშვება წინა დღით მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე. „პიკის საათის“ დაიჯესტი მიმოიხილავდა საზღვარგარეთის პრესის საყურადღებო პუბლიკაციებს (მოგვიანებით გადაიცემოდა „დოიჩე ველეს“ მიერ მომ-ზადებული უცხოური პრესის მიმოხილვა). ინტენსიურად გამოიყენე-ბოდა ქართული და უცხოური საინფორმაციო სააგენტოს მასალები.

„პიკის საათი“ ყოველთვის მრავალთემიანი იყო. პროგრამაში ოპერატიულად შუქდებოდა საქართველოში მომხდარი პოლიტიკუ-რი, სოციალური და კულტურული მოვლენები, მოსახლეობის ყოფი-თი პრობლემები. თითოეულ თემას გამოყოფილი ჰქონდა თავისი რუბრიკა, სხვადასხვა საკითხების ანალიზისათვის სტუდიაში იწვევ-დნენ სათანადო სპეციალისტებს, ეწყობოდა პირდაპირი ჩართვები მოვლენების ეპიცენტრიდან, პროგრამაში გადაიცემოდა დღის ჰო-როსკოპი, რუბრიკით „კალენდარი“ აღინიშნებოდა ისტორიული თა-რიღები, მსმენელს აცნობდნენ სპორტის ახალ ამბებს, საუბრობ-დნენ მუზეუმებზე, კინოსა და თეატრის ცხოვრებაზე, ახალ ლიტე-რატურულ ნაწარმოებებზე. რუბრიკა „ქრონიკები დიდი მამულიშვი-ლის ცხოვრებიდან“ ეთმობოდა ქართული ლიტერატურის, ხელოვ-ნების, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს. ყურადღების მიღმა არც მსმენელი რჩებოდა. მათი თხოვნით გადაიცემოდა განცხადებე-ბი რუბრიკით „სატელეფონო ზარის შემდეგ“. 8 საათზე პროგრამას ასრულებდა საინფორმაციო გამოშვება.

„პიკის საათი“ უფრო მრავალფეროვანი გახდა 1992 წლიდან,

როცა გაიზარდა მისი ქრონომეტრაჟი და ეთერში გასვლის სიხშირე. საღამოს გამოშვებაში გამოჩნდა სიუჟეტები პრივატიზაციის შესახებ, რომელიც იმ პერიოდში მეტად აქტუალური იყო და მსმენელთა დიდ ინტერესს იწვევდა („პრივატიზაცია, სიახლე, პრობლემები“, „პრივატიზაცია ინტერესების გზაჯვარედინზე“, „პრივატიზაცია, როგორ ვემზადებით?“ და ა.შ.). მათ ამზადებდა ჟურნალისტი მარიკა სილაგაძე. პროგრამას დაემატა აგრეთვე რუბრიკები: „თხუთმეტსაუკუნოვანი განძი“ (ლიტერატურული გვერდი), „უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენები“ (ერთვებოდა „ამერიკის ხმა“), „კრიმინალური ქრონიკა“. გადაიცემოდა სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტის რეისების განრიგი.

პროგრამა გამოირჩეოდა ჟანრების სიუხვითაც: მოკლე გამოსვლა, ინტერვიუ, კომენტარი, კორესპონდენცია, რეპორტაჟი და ა.შ. 1999 წელს მათ დაემატა რადიოდადგმის ფორმის გადაცემაც. ეს იყო 10-წუთიანი სერიალი „ჩვენი ოჯახი“ (სცენარის ავტორი დევი ივანოვ-ჩიქოვანი), რომელიც თითქმის „პიკის საათის“ ყოველი დილის გადაცემაში იყო ჩართული. იგი ერთი ტრადიციული ქართული ოჯახის ყოველდღიურ პრობლემებზე მოგვითხრობდა და აქტიურად ეხმაურებოდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს (ამგვარი საოჯახო რადიოსერიალები ევროპულ რადიოპროგრამებში 50-იანი წლებში იღებს სათავეს და, როგორც ჩანს, საუკუნის ბოლოს საქართველოშიც შემოაღწია).

„პიკის საათის“ შემდეგ საქართველოს რადიოში გაჩნდა არაერთი პროგრამა, რომელიც უხვად იყენებდა მუსიკალურ ჩანაწერებს. 1999 წლის მარტიდან ეთერში გავიდა ახალი საინფორმაციო-მუსიკალური ხასიათის პროგრამა, უფრო ზუსტად, წამყვანებით გაერთიანებული დილის გადაცემების ბლოკი „დილაადრიან“, რომელიც 6 საათისა და 3 წუთიდან პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ჯერ ყოველ სამუშაო დღეს, შემდეგ კი, მაისიდან – ყოველდღიურად, შაბათ-კვირის ჩათვლით. მისი ქრონომეტრაჟი სამუშაო დღეებში ორი საათი იყო, ხოლო შაბათ-კვირას – სამი საათი. პროგრამა მოკლედ ეხებოდა ყველა თემას – პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას, საერთაშორისო ამბებს, თუმცა მის მთავარ მიზანს მაინც რადიოაუდიტორიისთვის დილის განწყობილების შექმნა წარმოადგენდა. „დილაადრიან“ გამოირჩეოდა ასევე აუდიტორიასთან უშუალო კონტაქტით. წამყვანები ხშირად სთავაზობდნენ მსმენელს რაიმე იმპროვიზაციულ თემაზე საუბარს (მაგალითად, „რას გააკეთებ რადიოჟურნა-

ლისტი რომ იყო?“, „საუკეთესო კურიოზი“, „რაზე ოცნებობთ?“ და ა.შ.). ამავე დროს, ისინი მთელი პროგრამის მანძილზე აცნობდნენ მას დღის გადაცემათა განრიგს, ამინდის პროგნოზს, რჩევას აძლევდნენ მოდის მიმდევრებს, კულინარულ რეცეპტებს სთავაზობდნენ დიასახლისებს და ა.შ. ყურადღების გარეშე არ რჩებოდა არც ღირსშესანიშნავი თარიღები. პროგრამას უძღვებოდნენ: თამარ ცოფურაშვილი, მერაბ შარიქაძე, შალვა ლონდარიძე, ირმა ჯალაღონია, ეკა ტალახაძე, გიორგი ნიორაძე, ნინო აზმაიფარაშვილი და სხვ. იგი ეთერში იყო 2004 წლის ბოლომდე. ყველაფერი ეს უხვად იყო გაჯერებული სხვადასხვა ჟანრის ხალისიანი მუსიკითა და სიმღერებით.

საინფორმაციო-მუსიკალურ პროგრამებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე „ექვსიდან შვიდამდე“ და „თბილისი და თბილისელები“ (ეთერში ასე ცხადდებოდა კიდეც). მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაკლებოპერატიული, ყოველკვირეული პროგრამებია და უფრო ვრცელ სიუჟეტებსაც მოიცავს, ძირითადად მაინც ინფორმაციული ხასიათისაა (გამოსვლები, ინტერვიუები, რეპორტაჟები) და მუსიკალური ნომრებით გაფორმებულ მიმოხილვებს ემსგავსება.

პროგრამა „ექვსიდან შვიდამდე“ ფაქტობრივად „პიკის საათის“ ყოველკვირეულ რუსულ ვარიანტს წარმოადგენდა და 1992-1993 წლებში ყოველ შაბათს გადაიცემოდა, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, საღამოს ექვსიდან შვიდ საათამდე. 1993 წლის ზაფხულიდან მას უბრალოდ „საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა“ დაერქვა, 1995 წლიდან კი საბოლოოდ ეწოდა „კვირის შედეგები“ და 2004 წლის ბოლომდე ყოველკვირეულად გადაიცემოდა შაბათს ან კვირას 30 წუთის ხანგრძლივობით. პროგრამა გათვალისწინებული იყო საქართველოს რუსულენოვანი მოსახლეობისათვის და ეხებოდა კვირის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. სხვადასხვა წლებში მას ამზადებდნენ ინფორმაციის მთავარი რედაქციის რუსულენოვანი ჯგუფის ჟურნალისტები: თამაზ კანდელაკი, იური დეკანოსიძე, თამარ სოგორაშვილი, მზია კუტივაძე, ელნა მუმლაძე, თემურ ნადირაშვილი, მაკა როიტბაკი-დედაბრიშვილი, ირინა ჩუპრინინა-კიკვაძე (აქვე შევნიშნავთ, რომ ბოლო სამი ჟურნალისტი რუსული რესპუბლიკური ცნობების თანამშრომლებს დაემატა გაცვლითი პროგრამების რედაქციისა და „გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის“ დახურვის შემდეგ. საქართველოს რადიოში ბოლო დრომდე ამ ჯგუფს ევალებოდა ყველა რუსულენოვანი გადაცემის მომზადება, როგორც ოპერატიული საინფორმაციო გამოშვებების, ისე პუბლიცის-

ტური პროგრამების და მისი ხელმძღვანელი გურამ კუციავა ინ-ფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგი-ლედ ითვლებოდა).

1992-1993 წლებში ინფორმაციის მთავარ რედაქციაში ასევე გრძელდებოდა საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამის „თბილისი და თბილისელების“ მომზადება. იგი გადაიცემოდა ყოველ შაბათს დილის საათებში 45 წუთის ხანგრძლივობით და ასახავდა დედაქა-ლაქის ცხოვრებას, მისი მოსახლეობის პრობლემებს. აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ სტუდიაში ხშირად იწვევ-დნენ სხვადასხვა პროფესიისა თუ სოციალური ფენის წარმომად-გენლებს. რადგან გადაცემა პირდაპირი ხასიათისა იყო, მსმენელს შეეძლო აქტიურად ჩაბმულიყო ამ საუბარში, გამოეთქვა საკუთარი აზრი, მიეღო პასუხი მისთვის საინტერესო კითხვაზე. პროგრამა მო-იცავდა მუდმივ რუბრიკებს პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ეკოლოგიის და ა.შ. საკითხებზე.

როგორც მსოფლიოს მრავალი რადიოსადგურის პრაქტიკაში, ისე საქართველოს რადიოს პროგრამაშიც ერთგვარი დამატებითი საინფორმაციო გამოშვების როლს ასრულებდა პრესის მიმოხილვა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევარი. 1992-1995 წლებში ეთერში მუდმივად იყო რუბრიკა „რესპუბლიკური ყოველდღიური პრესის მიმოხილვა“, რომელიც გადაიცემოდა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა. თავდა-პირველად იგი მსმენელებს აცნობდა რესპუბლიკაში იმ დროს გამო-მავალი ყველა ჟურნალ-გაზეთის საინტერესო და მნიშვნელოვან სტატიებს, 1993 წლიდან კი – მხოლოდ „საქართველოს რესპუბლი-კის“ ფურცლებზე დაბეჭდილ მასალებს.

1992-1995 წლებში კვირაში 4-5-ჯერ გადაიცემოდა უცხოეთის მედიის მასალებზე აგებული 45-წუთიანი „საქართველოს რადიოს დაიჯესტი“ (იგი ერთხანს 1998 წელსაც გამოჩნდა უფრო მცირე ქრონომეტრაჟით). იგი იძლეოდა როგორც პოლიტიკურ, ისე კულ-ტურულ ინფორმაციას, პრესასთან ერთად ზოგჯერ იყენებდა რადი-ოსადგურ „ამერიკის ხმის“ მიერ გავრცელებულ ცნობებსაც. უცხოე-თის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ უმნიშვნელოვანეს სტატიებს, აგრეთვე სენსაციურ ინფორმაციებს აცნობდა ქართველ მსმენე-ლებს ასევე პროგრამა „პრეს-რევიუ“, რომელიც 1998-1999 წლებში ყოველკვირეულად 2-3-ჯერ იყო ეთერში (ქრონომეტრაჟი 10 წუთი).

1993 წელს მზადდებოდა პროგრამა „ქართული დამოუკიდებე-

ლი პრესის მიმოხილვა“, რომელიც კვირაში ოთხჯერ გადაიცემოდა 20 წუთის ხანგრძლივობით. მისი გამოჩენა განაპირობა საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესმა, თავისუფალი სიტყვის განვითარებამ და სხვადასხვა მიმართულების დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთების მასობრივად გამოცემამ.

ასე რომ, 1992-2004 წლებში საქართველოს რადიოში ოპერატიულ-ინფორმაციულ მაუწყებლობას წამყვანი ადგილი უჭირავს. ინფორმაციული ხასიათის გადაცემები თითქმის ყველაზე მეტ დროს იკავებს. წინა პლანზე წამოიწია ფაქტებისა და მოვლენების ოპერატიულმა ფიქსაციამ, მათმა „ცოცხლად“ გადმოცემამ პირდაპირ ეთერში, რაც უპირველესად უახლეს ინფორმაციაზე აუდიტორიის მზარდი მოთხოვნილებით არის გამოწვეული.

პუბლიცისტური მაუწყებლობის მეორე მიმართულებას წარმოადგენს თემატურ-ანალიტიკური მაუწყებლობა, რომელსაც პრაქტიკაში უფრო **საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მაუწყებლობას უწოდებენ** (თუმცა თავისი არსით ინფორმაციული მაუწყებლობაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისაა). იგი მოიცავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, სამართლისა და მორალის, ყოფა-ცხოვრების საკითხებს და ა.შ. მას თავისი აქტუალურობისა და გამოკვეთილი პროპაგანდისტული ხასიათის გამო (ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაცია-განზოგადება, ცხოვრებისეული ტენდენციების გააზრება და საზოგადოებისათვის გარკვეული სოციალური ორიენტირების დასახვა) ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა საქართველოს რადიოს პროგრამაში. მაგრამ 90-იანი წლებიდან, ჯერ კიდევ პირველი ეროვნული ხელისუფლების დროიდან, იგი თავისი სულისკვეთებით რადიკალურად განსხვავდებოდა წინა ათწლეულებისაგან.

ძირითადი თავისებურება, რაც ახასიათებს 90-იანი წლებისა და ახალი საუკუნის დასაწყისის საქართველოს რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მაუწყებლობას, ისაა, რომ იგი უშუალოდ უკავშირდება მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მოვლენებს, ღებულობს ოპერატიული ანალიზის ფორმას და ფაქტობრივად საინფორმაციო-ანალიტიკურ მაუწყებლობად ყალიბდება. ამასთან, 1992-2004 წლებში საქართველოს რადიო განსაკუთრებით პოლიტიზებული ხდება და პოლიტიკური თემები პროგრამაში წამყვან ადგილს იკავებს. ეს, რა თქმა უნდა, განაპირობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამ,

ორჯერ ხელისუფლების შეცვლამ, ტერიტორიული მთლიანობის რღვევამ, პოლიტიკურ ძალებს შორის გამუდმებულმა დაპირისპირებამ და სხვა შიდა თუ გარე ფაქტორებმა. ამ პერიოდის გადაცემათა რეიტინგი ცხადყოფს, რომ რადიოაუდიტორია აშკარა უპირატესობას ანიჭებს პოლიტიკური ინფორმაციით გაჯერებულ გადაცემებს, აქტიურად მონაწილეობს ამგვარ პროგრამებში სატელეფონო კავშირისა და წერილების მეშვეობით. თანდათან ხშირდება სტუდიაში პოლიტიკური ლიდერების მოწვევა და მსმენელების პირდაპირი კონტაქტი მათთან პროგრამის მსვლელობაში. დიალოგური გადაცემები სცილდება სტუდიის ფარგლებს და ტოქშოუდ გადაქცევის ტენდენციას იჩენს.

1992 წელს საქართველოს რადიოში დაიწყო 45-წუთიანი ყოველკვირეული პროგრამის „რეგლამენტის“ მომზადება, რომელიც 1993-1999 წლებში ნახევარსაათიანი გახდა და კვირაში ორჯერ გადაიცემოდა ეთერში. „რეგლამენტი“ ოპერატიულად აშუქებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობას, აფხაზეთში ბრძოლების მიმდინარეობას, ეკონომიკური რეფორმების ძირითად მიმართულებებს და სხვ. პროგრამაში საუბრობდნენ ადამიანის უფლებათა დაცვაზე, მოსახლეობის სოციალურ გარანტიებზე, უმუშევრობის ზრდაზე, სხვა ყოფით პრობლემებზე (წამყვანები: ლია წიკლაური, ლელა ვაშაკიძე, მედეა ცხოვრებაძე).

ამავე წელს გამოჩნდა ეთერში 1-საათიანი ყოველკვირეული პროგრამა „ფაქტი პლუსი“, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს ემატება მათი ანალიზი. პროგრამა თემატურადაც და ჟანრობრივადაც მრავალფეროვანი იყო – ეხმაურებოდა ყველა სიახლეს, განიხილავდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ პრობლემებს. „რეგლამენტისაგან“ განსხვავებით იგი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და დიდ დროს უთმობდა რადიომსმენელების ურთიერთობას სტუდიაში მოწვეულ პირებთან. ძირითადად ერთ გამოშვებაში ერთი აქტუალური თემა განიხილებოდა. თუ რომელიმე სტუმარი სტუდიაში მოსვლას ვერ მოახერხებდა, იგი კამათში სატელეფონო კავშირის საშუალებით ერთვებოდა. სხვადასხვა დროს პროგრამაში მონაწილეობდნენ იურისტები ზურაბ ადეიშვილი და ინგა თოდრია, რელიგიამცოდნე ნუგზარ პაპუაშვილი, ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა, სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი ნათელა სახოკია, პოლიტოლოგები სოსო ცინცა-

ძე და პაატა ზაქარეიშვილი, ფსიქოლოგიური ცენტრის დირექტორი მანანა შარაშიძე და სხვ. 2003 წელს პროგრამის ხშირი სტუმარი იყო მიხეილ სააკაშვილი. „ფაქტი პლუსი“ 1995-2004 წლებში 40-50 წუთის ხანგრძლივობით გადაიცემოდა. მას სხვადასხვა დროს უძღვებოდნენ მარიკა ჩხარტიშვილი (პროგრამის პირველი ავტორი), დოდო შონავა და ირმა ჯალაღონია.

1993-1995 წლებში კვირის განმავლობაში მომხდარ ფაქტებსა და მოვლენებს აანალიზებდა ყოველკვირეული 50-წუთიანი პროგრამა „აქტუალური მიკროფონი“ – სტუდიაში მოწვეულ პირებთან ერთად მათ შესახებ პირდაპირ ეთერში მსჯელობდნენ რადიომსმენელებიც. ხშირად იყო სატელეფონო ჩართვები სხვადასხვა რეგიონებიდან ან მოვლენის ადგილიდან. პროგრამას მონაცვლეობით უძღვებოდნენ ჟურნალისტები: ნოდარ ბეთანიშვილი, ილია მხეიძე, თამაზ ხმალაძე. 1996-1999 წლებში პროგრამა შეიცვალა იმავე სახელწოდების 15-წუთიანი რუბრიკით, რომელიც კვირაში რამდენიმეჯერ გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში და კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზე ამახვილებდა ყურადღებას – წარმატებით ითავსებდა წმინდა ორგანიზატორულ ფუნქციას. რუბრიკას უძღვებოდა საქართველოს რადიოს პოლიტიკური მიმომხილველი ნოდარ ბეთანიშვილი.

1993 წელს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მაუწყებლობას შეემატა 1-საათიანი ყოველკვირეული საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა „დღეს“. იგი იწყებოდა საინფორმაციო ბლოკით კვირის მანძილზე მომხდარი მოვლენების შესახებ. შემდგომ განიხილებოდა დღის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სტუდიაში მოწვეული იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები – პოლიტიკოსები, ეკონომისტები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ლიტერატორები და ა.შ. თითქმის ყველა გამოშვებაში განიხილებოდა რესპუბლიკის კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი სიტუაცია, მსოფლიოს დამოკიდებულება მის მიმართ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, ქვეყანაში შექმნილი ყოფითი პრობლემები, დევნილთა მდგომარეობა, ეკონომიკური კრიზისი და ა.შ. პროგრამა გადაიცემოდა ჩანაწერის სახით, უძღვებოდნენ ჟურნალისტები: ლია წიკლაური, მედეა ცხოვრებაძე, არჩილ ჩხარტიშვილი. 1996-1999 წლებში „დღეს“ ნახევარსაათიანი გახდა, უძღვებოდა ავტორი – ლია წიკლაური.

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ყველა ზემოთ განხილული პროგ-

რამა ერთმანეთის მსგავსია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ზოგი პირდაპირ გადაიცემა ეთერში და ზოგი ჩანაწერის სახით. მაგალითად, 1992-1999 წლებში ყოველკვირეულად ეთერშია სამი ერთნაირი გადაცემა: „რეგლამენტი“, „ფაქტი პლუსი“ და „დღეს“ (აღარაფერს ვამბობთ „აქტუალურ მიკროფონზე“, რომელსაც 1993-1995 წლებში ასევე მათი მსგავსი პროგრამის სახე აქვს). წამყვანების ნაწილიც ორ ერთნაირ გადაცემას უძღვება და თვითონ ამ გადაცემებშიც არცთუ იშვიათად ერთი და იგივე პირები მონაწილეობენ. ასეთი სიტუაცია ან ისევ რადიოს ზედმეტი პოლიტიზაციით აიხსნება, ანდა პროგრამირების ხარვეზებით და იგი 2000 წლიდან რამდენადმე დარეგულირდა კიდეც.

1992 წელს კვლავ გრძელდებოდა 1-საათიანი რუსულენოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის „სპექტრის“ გადაცემა. 1993-1996 წლებში მისი ხანგრძლივობა 25 წუთამდე შემცირდა, 1997-1998 წლებში კი შეიცვალა ახალი გადაცემით „თემა“. ეს იყო პოლიტიკური ტოქშოუ, რომელიც ყოველკვირეულად გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში 30 წუთის ხანგრძლივობით (რიგრიგობით უძღვებოდნენ ჟურნალისტები: მაია როიტბაკი-დედაბრიშვილი, მზია კუტივაძე, თემურ ნადირაშვილი, ირინა ჩუპრინინა). ორივე პროგრამა რუსულენოვანი მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი და იგივე ფუნქციები ეკისრებოდა, რაც ზემოთ განხილულ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებს.

სხვა პროგრამებიდან აღსანიშნავია ყოველკვირეული პროგრამა „ფაქტი, კომენტარი“ (1997-1998), რომელსაც პირდაპირ ეთერში უძღვებოდა ჟურნალისტი ნინო ცხოიძე. აუდიტორიას საშუალება ჰქონდა მოესმინა სხვადასხვა მოსაზრება პრობლემატური საკითხების ირგვლივ, გაცნობოდა პოლიტიკური პარტიების ცხოვრებას, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებულ წინააღმდეგობებს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივებს და ა.შ.

1996 წლიდან ტრადიციად იქცა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ, რომელიც ყოველ ორშაბათს, დილის 10 საათზე გადაიცემოდა ნახევარი საათის ხანგრძლივობით. იგი პასუხს სცემდა იმ კითხვებს, რომელიც აინტერესებდა საქართველოს მოსახლეობას, კომენტარს უკეთებდა კვირის მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, საუბრობდა მომავლის გეგმებზე და ა.შ. თუმცა ძირითადად ეს ინტერვიუ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისთვის იყო განკუთვნილი, იგი უთუოდ იწვევდა

რადიომსმენელების დიდი ნაწილის ინტერესს. ინტერვიუს მუდმივად უძღვებოდა ჟურნალისტი ნატო ონიანი (გადაცემა პრეზიდენტის გადადგომამდე გრძელდებოდა).

2000-2001 წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების რიცხვს მიემატა პროგრამა „პოლიტიკა დე ფაქტო“, რომელიც კვირაში ერთხელ, შაბათობით, მიმოიხილავდა როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის პოლიტიკურ ცხოვრებას (ავტორი და წამყვანი ლია წიკლაური). ასევე პოლიტიკური ხასიათის იყო პროგრამა „რაკურსი“, რომელიც 2000-2002 წლებში კვირაში ორჯერ გადაიცემოდა 50 წუთის ხანგრძლივობით (წამყვანი ლია წიკლაური).

ტოქშოუს ფორმა, რომელიც ითვალისწინებს გადაცემაში რადიომსმენელების აქტიურ მონაწილეობას სატელეფონო ჩართვების მეშვეობით და ახასიათებდა ზემოთ განხილულ რადიოპროგრამებს, ყველაზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა „რადიოკლუბ „კონტაქტში“ (ისიც არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მას თავიდანვე „კლუბი“ უწოდეს და არა „პროგრამა“, ხოლო „კონტაქტი“ რადიომსმენელებთან უშუალო კავშირის პრინციპზე მიგვანიშნებდა). იგი ეთერში გადიოდა 1992 წლიდან 2004 წლის ბოლომდე, ყოველ შაბათს, 1 საათის მოცულობით. თუმცა „კონტაქტი“ „პიკის საათის“ რედაქციაში აღმოცენდა, მას თავიდან მონაცვლეობით ამზადებდნენ სხვადასხვა რედაქციის თანამშრომლები და ეთერში სხვადასხვა ჟურნალისტი უძღვებოდა (მაგალითად, ლია ძიძიგური, ნატო ონიანი, ლია წიკლაური, თამაზ ხმალაძე და სხვ.). ბოლო 10 წლის მანძილზე კი „კლუბის“ ერთპიროვნული წამყვანი გახდა ჟურნალისტი გიორგი ჩოკოშვილი. „კლუბში“ საუბრობდნენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა მოვლენებზე, რაც კვირის მანძილზე ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ მოხდა. სტუდიაში მოწვეული სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები პირდაპირ ეთერში აანალიზებდნენ ამ მოვლენებს და ეკამათებოდნენ ტელეფონის მეშვეობით გადაცემაში მონაწილე რადიომსმენელებს. განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობოდა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის ორშაბათის ინტერვიუში წამოჭრილ საკითხებს, ხშირად ამ ინტერვიუს ფრაგმენტებსაც იყენებდნენ.

გარკვეული თავისებურებით ხასიათდებოდა ყოველკვირეული ნახევარსაათიანი საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა „ათასი წვრილმანი“ (1993-1997 წლები). იგი ეხმაურებოდა ყველა მოვლენას, რაც საქართველოში ხდებოდა, იქნებოდა ეს პოლიტიკური, ეკონო-

მიკური თუ სოციალური ხასიათისა. პროგრამაში ჩართული იყო რეპორტაჟები და ინტერვიუები, მაგრამ, რაც მთავარია, პროგრამის ავტორი და წამყვანი ილია კევლიშვილი სტუდიაში კითხულობდა რადიომსმენელთა მიერ გამოგზავნილ წერილებს და კომპეტენტური პირების დახმარებით პასუხობდა მათ კითხვებს. ეს ალბათ ერთადერთი გადაცემაა 1991-2004 წლების პუბლიცისტურ მაუწყებლობაში, სადაც კომუნიკატორისა და აუდიტორიის ურთიერთკავშირი მომენტალურად კი არ ხორციელდება პირდაპირ ეთერში სატელეფონო ჩართვებით, არამედ რადიომსმენელთა წერილების მეშვეობით. როგორც ჩანს, აქ გარკვეული როლი შეასრულა იმ გამოცდილებამ, რომელიც ავტორმა წერილებზე აგებული გადაცემების – „საღამო მშვიდობისა“ და „სტუდენტური დისკოთეკის“ მომზადებისას შეიძინა.

ფაქტობრივად, „ათასი წვრილმანის“ გაგრძელებას წარმოადგენდა ილია კევლიშვილის მეორე პროგრამა „ინფორმაცია განსჯისათვის“, რომელიც 1997 წლის ნოემბრიდან 2004 წლამდე ყოველკვირეულად გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში 30 წუთის ხანგრძლივობით. პროგრამა ძირითადად სოციალურ თემებს ეხებოდა, განიხილებოდა პრობლემური საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებდა მოსახლეობას: ეკონომიკური კრიზისი, ადამიანის უფლებების დარღვევა, სოციალურად დაუცველი ფენებისა და იძულებით გადაადგილებულთა მდგომარეობა, ქვეყნის კულტურისა და სპორტის დეგრადაცია და ა.შ. პროგრამას ძირითადად ერთი სტუმარი ჰყავდა, იშვიათად – რამდენიმე. ერთსა და იმავე პროგრამას ზოგჯერ რამდენიმე გადაცემა ეთმობოდა (მაგალითად, სამ-სამი გადაცემა მომზადდა ნინოწმინდაში უპატრონო ბავშვთა სახლის დაარსებისა და გაზის საერთაშორისო კორპორაცია „იტერას“ შესახებ). თუ „ათას წვრილმანში“ უფრო რეპორტაჟები ჭარბობდა, ეს პროგრამა ძირითადად სტუდიურ დიალოგზე იყო აგებული, თუმცა ზოგჯერ აქაც იყო ხოლმე სატელეფონო ჩართვები.

1999 წლის თებერვლიდან ეთერში გავიდა ჟურნალისტ ილია კევლიშვილის კიდევ ერთი საავტორო გადაცემა „ცხელი ტალღა“, რომელიც 2003 წლის ნოემბრამდე ყოველ ხუთშაბათს იყო ეთერში 30 წუთის ხანგრძლივობით – ჯერ გადაიცემოდა შუადღისთვის, შემდეგ კი იმავე დღეს მეორდებოდა საღამოს საათებში (2002 წელს იგი „რადიო-2“-ის პროგრამაშიც იყო ჩართული). იგი ეწყობოდა თბილისის მერის ვანო ზოდელავას მისაღებიდან და ხშირად რამდენიმე სა-

ხელწოდებით ცხადდებოდა: „ცხელი ტალღა“ ანუ ვანო ზოდელავას რადიომისაღები“, „ვანო ზოდელავა და თბილისელები“. გადაცემა ხან პირდაპირ ეთერში იყო (საჭიროების მიხედვით), ხან კიდევ ჩანაწერის სახით მიეწოდებოდა მსმენელს. სტუდიაში, უფრო ზუსტად, მერის მისაღებში, წამყვანთან ერთად მხოლოდ ერთი რესპონდენტი იჯდა – თავად ქალაქის მერი და ჟურნალისტი ხშირად უსვამდა ხაზს მის დამსახურებას ქალაქის მწვავე პრობლემების გადაწყვეტაში. გადაცემის პირველი ნაწილი ეთმობოდა დედაქალაქის პრობლემებზე საუბარს, ხოლო მეორე – შემოსულ წერილებზე პასუხის გაცემას, დახმარების თხოვნაზე გამოხმაურებას. ზოგჯერ გადაცემაში ერთვებოდა ჩანაწერი თბილისის ქუჩებში ჩატარებული გამოკითხვებიდან, სადაც მოქალაქეები საუბრობდნენ თავიანთ ყოფით პრობლემებზე და მერს სთავაზობდნენ საქმიან წინადადებებს. უნდა ითქვას, რომ „ცხელი ტალღა“ ამ პერიოდში საქართველოს რადიოს ყველა გადაცემაზე მეტად ასრულებდა ჟურნალისტიკის ორგანიზატორულ ფუნქციას და გარკვეულწილად ხელს უწყობდა კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას.

2002-2004 წლებში პირდაპირ ეთერში იყო გადაცემა „განსხვავებული აზრი“. მის თავისებურებას შეადგენდა ის, რომ უძღვებოდა არა პროფესიული ჟურნალისტი (თუმცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარ რედაქციაში მზადდებოდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა მთავარი რედაქტორი), არამედ გარედან მოწვეული, საზოგადოებისათვის ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა გადაცემათა ერთ ციკლზე ერთი თემის გარშემო. ამ თემის მიხედვით წამყვანი თავად ირჩევდა და სტუდიაში იწვევდა საჭირო პირებს. სხვადასხვა დროს „განსხვავებული აზრის“ წამყვანები იყვნენ: მხატვარი გია ბუღაძე („სახელმწიფოებრივი ორიენტაცია“), პროფესორი ვალერი ლორია („კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის“), პოეტი რატი ამაღლობელი („თბილისი – ჩემი ქალაქი“), რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი („საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში“) და სხვ. „განსხვავებული აზრი“ ძირითადად ემყარებოდა სტუდიური დიალოგის ფორმას, გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში კვირაში ორჯერ, 45 წუთის ხანგრძლივობით.

აქტიური პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემატიკით დატვირთული გადაცემების გვერდით კვლავ გრძელდებოდა მედეა გეგეშიძის საავტორო პროგრამის „თანაგრძნობის“ გადაცემა. იგი,

როგორც ადრე აღინიშნა, 1989 წელს შეიქმნა და ავტორის გარდაცვალებამდე, 1999 წლის შუახანებამდე ყოველ შაბათს იყო ეთერში 1 საათის მოცულობით. თავისი თითქმის ორმოცწლიანი მოღვაწეობის მანძილზე საქართველოს რადიოში მედეა გეგეშიძემ მრავალი შესანიშნავი გადაცემა მოამზადა და მრავალ პოპულარულ რუბრიკას ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ მისი ჟურნალისტური ნიჭი და გამოცდილება ყველაზე მეტად გამოიკვეთა სწორედ პროგრამა „თანაგრძნობაში“, რომელიც ეთერში „რადიოარხის“ სახელით გადიოდა. ეს იყო მართლაც ადამიანის თანაგრძნობის, მისი სიყვარულისა და ნდობის რადიოარხი, მხატვრული რადიოპუბლიცისტიკის ნამდვილი ნიმუში. ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანების გამხნევება, იმედის ჩანერგვა, სიყვარულისა და სიკეთის რწმენის დაბრუნება, რასაც სწორედ იმ პერიოდში – ნგრევით, ტანჯვითა და უიმედობით აღსავსე 90-იან წლებში ჰქონდა ყველაზე დიდი მნიშვნელობა.

რადიოარხ „თანაგრძნობის“ თემატური და ჟანრობრივი სტრუქტურა ხშირად იცვლებოდა გადაცემიდან გადაცემამდე: ხან გულახდილი ინტერვიუები ჭარბობდა, ხან პორტრეტული ჩანახატები თუ რეპორტაჟული დაკვირვებანი; სტუდიაში მოწვეულ ცნობილ პოეტს ასევე ცნობილი ფსიქოლოგი ცვლიდა (რუბრიკა „ადამიანის ინსტიტუტი“), ფსიქოლოგს – სრულიად უბრალო, რიგითი ადამიანი, მაგრამ უაღრესად საინტერესო სწორედ თავისი უბრალოებითა და ადამიანური ღირსებით. „თანაგრძნობის“ მუდმივი რუბრიკები იყო: „საუკუნის დასაწყისიდან“, „ცხოვრება ბარათებში“ (ჟურნალისტი მაია წერეთელი მსმენელს აცნობდა გამოჩენილ ქართველ შემოქმედთა წერილებს), „ზეპირი მემუარები“ (სახვითი ხელოვნების წარმომადგენელთა ცხოვრებაზე), „მედალიონები“ (პორტრეტული რადიონარკვევები) და სხვ. ხშირად კითხულობდნენ ნაწყვეტებს ახალგამოსული წიგნებიდან, მსჯელობდნენ ისტორიის, რელიგიის, სპორტის საკითხებზე და ა.შ. „თანაგრძნობის“ ბევრ გამოშვებას ყოველთვის ექნება თავისი ღირებულება. ისინი დაცულია რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდში და 2004 წლამდე დროდადრო გადაიცემოდა კიდეც.

1992-2003 წლებში გრძელდებოდა აგრეთვე ზოგიერთი ტრადიციული პროგრამის მომზადებაც. პირველ რიგში ეს იყო პროგრამა „ლილე“ – გათანამედროვებული ვარიანტი „სოფლის დილისა“, რომელიც საქართველოს რადიოში 50-60-იანი წლებიდან არსებობდა. „ლილე“ მზადდებოდა სახალხო მეურნეობის მთავარ რედაქციაში, სოფლის მეურნეობის განყოფილებაში (ეს რედაქცია, როგორც ად-

რეც აღინიშნა, მოგვიანებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარ რედაქციასთან გაერთიანდა) და 1992-1998 წლებში გადაიცემოდა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, ადრიან დილით, 30 წუთის ხანგრძლივობით. უძღვებოდნენ ჟურნალისტები: დილარ ჯვებენავა, ზურაბ მახარაძე, გელა ზედელაშვილი, მეგი ჯანელიძე, ბარბარე ბენაშვილი. 1998 წლის ივლისიდან მისი პერიოდულობა შეიცვალა – იგი მხოლოდ შაბათ-კვირას გადაიცემოდა და მონაცვლეობით უძღვებოდნენ დილარ ჯვებენავა და ზურაბ მახარაძე.

„ლილე“ ოპერატიულად აშუქებდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესებს, ცდილობდა აესახა ამ სფეროში არსებული სიახლეები და პრობლემები. იგი მოიცავდა მოკლე საინფორმაციო გამოშვებას, მუდმივ რუბრიკებს: „სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა“, „რჩევა მებაღეს“, „სოფლის გასაჭირი“ (ინტერვიუები რაიონის ხელმძღვანელობასთან, თვითონ მშრომელებთან – მევენახეებთან, მწყემსებთან და ა.შ.). სტუდიაში ხშირად იწვევდნენ დარგის სპეციალისტებს. 1998 წლის ივლისიდან, როცა „ლილე“ შაბათ-კვირას დამკვიდრდა, ზოგიერთმა მისმა რუბრიკამ („კალეიდოსკოპი“, „რჩევა მებაღეს“, „საქართველოს სოფლები“, „ჭოტები და ტოროლები“) დამოუკიდებელი გადაცემის სახე მიიღო და „დილაადრიანის“ ბლოკში გადაინაცვლა. ასევე „ლილეს“ პარალელურად გადაიცემოდა ეთერში 2001-2004 წლებში ყოველკვირეული 30-წუთიანი პროგრამა „ამერ-იმერი“, რომელსაც მონაცვლეობით ამზადებდნენ ჟურნალისტები: ივანე ჯაფარიძე და დილარ ჯვებენავა (ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ – ბარბარე ბენაშვილი).

1992-2004 წლებში მზადდებოდა სხვა გადაცემებიც, რომლებიც დარგობრივი თუ არა, გამოკვეთილი თემატური მიმართულებით მაინც გამოირჩეოდა. უცხოეთის ქვეყნებზე მაუწყებლობის მთავარი რედაქცია 1992-1995 წლებში კვლავ გადასცემდა ყოველკვირეულ 20-წუთიან პროგრამას „ქვეყნები და კონტინენტები“. სტუდიაში მოწვეული საერთაშორისო მიმომხილველები საუბრობდნენ უცხოეთში მიმდინარე მოვლენებზე, კვირის ახალ ამბებზე, განიხილავდნენ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს, საქართველოს კონტაქტებს გარე სამყაროსთან. პროგრამაში ჩართული იყო ინტერვიუები საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან, რეპორტაჟები უცხოურ დელეგაციათა ვიზიტების შესახებ და ა.შ. 2000-2001 წლებში ამ პროგრამის ერთგვარ ანალოგს წარმოადგენდა ყოველკვირეული 20-წუთიანი გადაცემა „მზერა თბილისი-

დან“ (ავტორი შამილ ჭიაბრიშვილი, წამყვანი თამთა კოკელაძე).

უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს ეძღვნებოდა ამავე რედაქციის პროგრამა „გზა“ (ალბათ იგულისხმებოდა ის გზა, რომელიც განვლო 20-იანი წლებიდან ევროპას თავშეფარებულმა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ). იგი გადაიცემოდა 1992-2003 წლებში კვირაში ერთხელ, 45 წუთის ხანგრძლივობით, უძღვებოდა ჟურნალისტი ნანა ლომიძე. პროგრამაში ხშირად იყო ინტერვიუები საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველებთან, მსმენელებს აცნობდნენ უცხოეთში არსებული ქართული ორგანიზაციების საქმიანობას და ა.შ. დასამახსოვრებელი იყო გადაცემა ვიქტორ ნოზაძის შესახებ, რომელშიც ჩართული იყო „რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართულენოვანი მაუწყებლობის ვეტერანის კარლო ინასარიძის ადრინდელი ინტერვიუ პარიზში მცხოვრებ 80 წლის ვიქტორ ნოზაძესთან და ნანა ლომიძის ინტერვიუ ვიქტორ ნოზაძის ძმისშვილ ხათუნა ნოზაძესთან. ასევე, მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია გადაცემამ საფრანგეთში მცხოვრები ქართველი პოეტის გიორგი ყიფიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, გრიგოლ რობაქიძეზე, მიხაკო წერეთელზე, ნოე ჟორდანიას ოჯახზე და სხვ. ეს გადაცემები მზადდებოდა გერმანიაში მცხოვრები ჟურნალისტის, რადიო „თავისუფლების“ ქართული განყოფილების ყოფილი დირექტორის კარლო ინასარიძის არქივის საფუძველზე. რადიოპროგრამას დიდ დახმარებას უწევდნენ აგრეთვე პროფესორი გურამ შარაძე, ქართული ემიგრაციის მუზეუმი, თვალსაჩინო ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ქართულ ემიგრაციასთან.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან უცხოეთში ახალი ქართული ემიგრაციის ჩამოყალიბება დაიწყო (სხვადასხვა მონაცემებით საზღვარგარეთის ქვეყნებში მილიონამდე ჩვენი თანამემამულეა წასული საარსებო წყაროს მოსაპოვებლად). ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ამავე რედაქციაში მათთვის დაიწყეს ახალი პროგრამის „ყოველთა ქართველთას“ მომზადება. პროგრამა შეიქმნა 1996 წელს ორგანიზაცია „ყოველთა ქართველთა კონგრესის“ თანადგომით და 2000 წლის ბოლომდე ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში 20 წუთის ხანგრძლივობით. ცხადია, ამ გადაცემის ძირითადი სტუმრები და გმირები სწორედ სამშობლოს მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეები იყვნენ. პროგრამა „ყოველთა ქართველთა“ ხშირად გადაიცემოდა ქვესათაურებით: „ქართველები თურქეთში“, „ქართველები პარიზში“, ქართველები ბერლინში“ და ა.შ.

ერთთემიანი, გამოკვეთილი მიმართულების გადაცემებს განეკუთვნებოდა რადიოპროგრამა „მხედრული“, რომელიც 1992-2004 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში ნახევარი საათის ხანგრძლივობით. პროგრამის მთავარი თემა იყო ეროვნული არმიის მშენებლობა, მისი დღევანდელი ცხოვრება და მომავალი განვითარების გზები. განიხილებოდა საქართველოს საშინაო და საგარეო სამხედრო პოლიტიკის, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობის აქტუალური საკითხები. 1992-1993 წლებში ფართოდ შუქდებოდა აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლები და პროგრამის აუდიოარქივს ბევრი ქართველი მებრძოლის, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის ხმა შემორჩა. პროგრამაში ხშირად იყო რეპორტაჟები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებული საჯარისო ნაწილებიდან, ინტერვიუები ჯარისკაცებთან და მეთაურებთან, შუქდებოდა საქართველოსა და საზღვარგარეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები, სამხედრო განათლების საკითხები და სხვ. რეგულარულად გადაიცემოდა ინფორმაციები საზღვარგარეთის ქვეყნებში სამხედრო მომზადების, საქართველოში უცხოელი უმაღლესი სამხედრო პირების ვიზიტების, თანამედროვე სამხედრო ბაზებში დანერგილი უახლესი ტექნოლოგიების, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამებში ჩვენი მონაწილეობის შესახებ და ა.შ. პროგრამა „მხედრულს“ თან მოსდევდა ნახევარსაათიანი კონცერტი „ეროვნული არმიის მეომრებისათვის“.

თითო-ოროლა გადაცემა მზადდებოდა ქალებისათვის და ქალების შესახებაც. ასე მაგალითად, 1992-1993 წლებშიც კვლავინდებურად გადაიცემოდა ყოველკვირეული 45-წუთიანი პროგრამა „მხოლოდ ქალებისათვის“, რომელსაც ამზადებდა საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამის „პიკის საათის“ სარედაქციო ჯგუფი (წამყვანები: ნანა ჯაფარიძე, მარიკა დარჩია, ნინო რამიშვილი, მანანა ლაჭყეპიანი). პროგრამის ყველა გამოშვებაში მსმენელებს (სავარაუდოდ, ქალებს) აძლევდნენ კოსმეტოლოგიურ რჩევებს, აცნობდნენ კულინარულ რეცეპტებს ქართული და უცხოური კერძების მოსამზადებლად. სტუდიაში მოწვეული სტუმრები საუბრობდნენ ისეთ გლობალურ პრობლემებზე, როგორიცაა ნარკომანია, შიდსი, ალკოჰოლიზმი, ქალთა უფლებების დარღვევა და ა.შ. პროგრამის ყველა გამოშვებაში მსმენელი ხვდებოდა გამოჩენილ ქართველ ქალბატონებს, ისმენდა მათთან ინტერვიუს თუ რეპორტაჟს ოჯახიდან. პროგრამის მუდმივი რუბრიკა იყო „ვუხმობთ დედათა ჩვენთა“ (ბავშვთა აღ-

ზრდის შესახებ), აგრეთვე რუბრიკები: „ქალი და მუსიკა“, „თეატრი და ოჯახი“ (მომღერალ და მსახიობ ქალთა ცხოვრებაზე) და სხვ.

1995-1998 წლებში პროგრამას „მხოლოდ ქალებისათვის“, მოჰყვა „პროგრამა ქალებისათვის“ ანუ გეპატიჟებით რადიოკლუბში „ფინჯან ჩაიზე“. მას ამზადებდა საშინაო პოლიტიკის მთავარი რედაქცია, მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის ჯგუფი, გადაიცემოდა კვირაში ერთხელ, 45 წუთის ხანგრძლივობით (წამყვანები: ნანული ჭავჭანიძე, ირინე კეშელავა, ბარბარე ბენაშვილი). პროგრამა, ცხადია, ძირითადად აშუქებდა იმ პრობლემებს, რომლებიც ქალების საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. სტუდიაში მოწვეული ცნობილი ქართველი მანდილოსნები ტრადიციულად საუბრობდნენ თავიანთ ცხოვრებასა და საქმიანობაზე. გადაცემაში ჩართული იყო ასტროლოგიური პროგნოზი, კოსმეტოლოგიური და კულინარიული რჩევები, ბავშვთა აღზრდის პრობლემატური საკითხები, ინფორმაციები ქალთა საუკეთესო სალონებზე და ა.შ.

საქართველოს რადიოს ეთერში თავისი ადგილი ეკავა სამართლებრივ თემასაც. 1992 წელს ადრინდელი გადაცემების ნაცვლად შეიქმნა ახალი პროგრამა „კანონი კანონია“, რომელიც კვირაში ორჯერ გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში ნახევარი საათის ხანგრძლივობით (წამყვანები, ჟურნალისტები: დიმიტრი ლობჟანიძე და ლილი მაისურაძე) და 1999 წლის ბოლომდე არსებობდა. იგი გარკვეულწილად საგანმანათლებლო ინფორმაციასაც იძლეოდა – ოპერატიულად აშუქებდა სამართლებრივ სფეროში მომხდარ მოვლენებს, სტუდიაში მოწვეული სამართალმცოდნეები და სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები საუბრობდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, ახალმიღებულ კანონებზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე და სხვ. მაგრამ პროგრამას უპირველესად პუბლიცისტური დანიშნულება ჰქონდა (რაც, საერთოდ, დამახასიათებელია ბევრი სამართლებრივი გადაცემისათვის) – განიხილავდა რესპუბლიკაში არსებულ კრიმინალურ ვითარებას, აცხადებდა დაკარგულ მოქალაქეთა შესახებ და ა.შ. პროგრამის ბოლო 10 წუთი ეთმობოდა მსმენელთა შეკითხვებს, თუმცა პირდაპირი დიალოგი არ მიმდინარეობდა – შეკითხვებს წინდაწინ იწერდნენ და სპეციალისტები შემდგომ იძლეოდნენ განმარტებას.

შემდგომ პროგრამა „კანონი კანონიას“ ნაცვლად შეიქმნა პროგრამები: „ჩემი უფლებები“ (მოგვიანებით, „თქვენი უფლებები“, 2000-2004) და „იურიდიული კონსულტაცია“ (2001-2002). პირველი მათგა-

ნი იმით განსხვავდებოდა წინა სამართლებრივი პროგრამებისაგან, რომ მსმენელს შეეძლო თავად დაესვა შეკითხვა პირდაპირ ეთერში და მაშინვე მიეღო პასუხი იურიდიული კონსულტანტის, პარლამენტის კვლევითი ცენტრის წამყვანი სპეციალისტის ლალი ყიფშიძისაგან. ასეთი ცოცხალი კომუნიკაცია უთუოდ ხელს უწყობდა გადაცემის პოპულარობას. რაც შეეხება მეორე გადაცემას, ისიც პირდაპირ ეთერში უწევდა კონსულტაციას რადიომსმენელებს, ძირითადად სოციალურ საკითხებზე (ბინების პრივატიზაცია, ქონებრივი დეკლარაცია, ყოფითი პრობლემები), მაგრამ აქ წამყვანი ირინე ღლონტი წინასწარ ჩაწერილ შეკითხვებს პასუხობდა.

საკონსულტაციო ხასიათისა იყო აგრეთვე ტოქშოუ „სოციალური საათი მრგვალ მაგიდასთან“, რომელიც 2002-2004 წლებში ჯერ კვირაში ორჯერ, შემდეგ კი ერთხელ გადიოდა პირდაპირ ეთერში 45 წუთის ხანგრძლივობით (წამყვანი ლია წიკლაური). იგი რადიომსმენელებს აცნობდა იმ სამართლებრივ და სოციალურ უფლებებს, რომლებიც ყოველ მოქალაქეს კანონით აქვს მინიჭებული, ასწავლიდა მათ როგორ დაეცვათ ეს უფლებები, როგორ ემოქმედათ და ვისთვის მიემართათ საჭირო შემთხვევაში. ამ მიზნით რედაქციაში წინასწარ იწერებოდა რადიომსმენელთა მიერ ტელეფონით მოწოდებული შეკითხვები, საჩივრები, წინადადებები, რომლებიც შემდეგ განიხილებოდა გადაცემაში სათანადო სპეციალისტების მიერ, ანდა უშუალოდ გვარდებოდა რედაქციის დახმარებით (გარდა ამისა, გადაცემის რიგი გამოშვებები ეძღვნებოდა სამედიცინო საკითხებს, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ).

ცალკე უნდა გამოიყოს გადაცემები ეკონომიკისა და ბიზნესის თემაზე. დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე პროცესები დიდ გავლენას ახდენდა ამ სფეროს მდგომარეობაზე. სამოქალაქო დაპირისპირებამ და ომმა აფხაზეთში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევამ, ათწლეულობით მოქმედი ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ, კრიმინალური ბანდების თარეშმა და საყოველთაო კორუფციამ, სხვა არასასურველმა შიდა და გარე ფაქტორებმა დანგრევის პირას მიიყვანა ქვეყნის ეკონომიკა. სწორედ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზების ძიება და სასიკეთო ძვრების ოპერატიული ასახვა იყო მუდმივი ფუნქცია იმ გადაცემებისა, რომლებიც იქმნებოდა ეკონომიკურ თემაზე 1992-2004 წლებში. ამ გადაცემებს ამზადებდნენ როგორც საშინაო პოლიტიკის, ისე ახალგაზრდობისა და საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამების რედაქციათა თანამშრომლები.

სამოქალაქო დაპირისპირებისა და შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, როგორც აღინიშნა, ტელერადიოცენტრის შენობიდან რეგულარული მაუწყებლობა შეწყდა და მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ განახლდა. გადაცემების ნაწილი კვლავ გავიდა ეთერში, ნაწილი კი ახლით შეიცვალა. 1992 წელს კომერციული პროგრამა „ბუმერანგი“ ისევ გადიოდა ეთერში, მაგრამ 1993 წლიდან იგი შეცვალა საშინაო პოლიტიკის მთავარი რედაქციის პროგრამა „ბიზნესკლუბმა“ (ავტორი და წამყვანი ჟურნალისტი ქეთევან თერგიაშვილი). „ბიზნესკლუბი“ 1994 წელს კვირაში ორჯერ, ხოლო 1995 წელს ერთხელ გადაიცემოდა 25 წუთის ხანგრძლივობით და, ცხადია, ძირითადად ბიზნესმენებს უთმობდა ეთერს (რუბრიკები: „ინფორმაცია ბიზნესის სამყაროდან“, „მეწარმეთა თვალსაზრისი“, „ბიზნესდოსიე“ და სხვ.). 1993 წლიდან ეთერში გამოჩნდა აგრეთვე ყოველკვირეული 5-წუთიანი გადაცემა „ბიზნესკლუბის რადიობირჟა“, 1994-1995 წლებში მას უბრალოდ „რადიობირჟა“ ერქვა.

„ბუმერანგის“ მსგავსად, პროგრამა „ეკონომიკა, ბიზნესი, კომერცია“ შეიცვალა ახალი ყოველკვირეული 1-საათიანი რუბრიკით „საუბრები ეკონომიკაზე“. მასში შემავალი გადაცემები ეხებოდა კერძო საკუთრებას, მრეწველობის მდგომარეობას, საბანკო საქმიანობას, ბირჟებს, ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობას და ა.შ. 1992 წელს ასევე კვირაში ერთხელ იყო 15-20-წუთიანი ცალკეული გადაცემა ეკონომიკის სხვადასხვა საკითხზე: საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაზე საზღვარგარეთის ქვეყნებთან, ეკონომიკური განვითარების მოდელებზე („რომელ მოდელს აირჩევს საქართველო“?) და ა.შ. მზადდებოდა პროგრამა „ბაზარი და ორიენტაცია“, მასში ხშირად მსჯელობდნენ რეგიონების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საგადასახადო რეფორმებზე და სხვ.

1995 წლიდან ეკონომიკურ მაუწყებლობას შეემატა მთელი რიგი ახალი პროგრამები: 1995-1999 წლებში საშინაო პოლიტიკის მთავარ რედაქციაში მზადდებოდა ყოველკვირეული 25-წუთიანი პროგრამა „ეკონომიკა-ბიზნესი“ (ავტორები: მარიკა სილაგაძე და ქეთევან თერგიაშვილი). პროგრამა მიმოიხილავდა საქართველოში არსებულ სოციალურ და ყოფით პრობლემებს, ეკონომიკის სფეროში გატარებულ რეფორმებს. მასში ჩართული იყო დიალოგები უცხოელ ინვესტორებთან და მრეწველებთან, განცხადებები და რეკლამები. ფართოდ შუქდებოდა მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხები, უმუშევრებისთვის გადაიცემოდა ინფორმაციები ვაკანსიების შესა-

ხებ, რეპორტაჟები საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და ა.შ. ასევე, 1998-1999 წლებში მეტ-ნაკლები პერიოდულობით ეთერში იყო გადაცემა „ბაზრის მონიტორი“ (15 წთ.) და 2000 წელს – „ბიზნესკურიერი“ (15 წთ.).

ამავე პერიოდში მზადდებოდა 20-25-წუთიანი ყოველკვირეული პროგრამა „ბიზნესკლუბი“ (წამყვანი – ჟურნალისტი მაია გვრიტიშვილი). იგი იმეორებდა 1993-1995 წლებში არსებული საშინაო პოლიტიკის მთავარი რედაქციის პროგრამის სახელწოდებას, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული თემატიკა ჰქონდა – რადიომსმენელებს აცნობდა მსოფლიო ბიზნესის ამბებს, უცხოელ და ქართველ ბიზნესმენთა თანამშრომლობას. რუბრიკა „ბიზნესდოსიეს“ საშუალებით დაინტერესებულ პირებს შეეძლო მიეღოთ ინფორმაცია სხვადასხვა ფირმის პროდუქციის შესახებ, ერთხანს იგი დამოუკიდებელი რუბრიკაც იყო. „ბიზნესკლუბში“ რეგულარულად მონაწილეობდნენ ეკონომიკის სპეციალისტები, ბიზნესმენები, საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლები. 1997-1998 წლებში გადაიცემოდა 1-საათიანი ყოველკვირეული პროგრამა „მარკეტინგის სიახლენი“, რომელიც მსმენელებს აცნობდა მარკეტინგის სფეროში მიმდინარე ცვლილებებს, მისი განვითარების გზებს ჩვენს ქვეყანაში და სხვა საინტერესო ინფორმაციებს.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკურ თემას საქართველოს რადიოში 1992-2004 წლებში საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა დათმობილი, მაგრამ ისიც ადვილი შესამჩნევია, რომ ბევრი რუბრიკა და პროგრამა ერთმანეთს იმეორებს – იცვლება სახელწოდება, მაგრამ იგივე რჩება ავტორი და გადაცემის სულისკვეთება. თვალში საცემია ისიც, რომ ეკონომიკურ თემაზე ერთდროულად და ერთმანეთთან შეუთანხმებლად რამდენიმე მთავარი რედაქცია მუშაობს (საშინაო პოლიტიკის, საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამების, ახალგაზრდული გადაცემების). ეს კი იწვევს თემების დუბლირებას და ხელს უშლის ამ სფეროში მაუწყებლობის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას.

3. მხატვრული მაუწყებლობა

დამოუკიდებლობის პირობებში მხატვრულ მაუწყებლობას არსებითი ცვლილებები არ განუცდია. რა თქმა უნდა, შეიქმნა ახალი გადაცემები, მაგრამ კვლავ დარჩა ბევრი ტრადიციული რუბრიკა და მაუწყებლობის ძირითადი მიმართულებებიც არ შეცვლილა. რო-

გორც ჩანს, ამის საჭიროება არც ყოფილა. პოლიტიკურისგან განსხვავებით მხატვრული მაუწყებლობა დროის კონიუნქტურაზე ნაკლებად იყო დამოკიდებული და ახალ პირობებში უბრალოდ მას მეტი საშუალება მიეცა მარადიული ესთეტიკური და ზნეობრივი ღირებულებების წარმოსაჩენად.

1992-2004 წლებში **ლიტერატურული მაუწყებლობა** (ლიტერატურული გადაცემების განყოფილება) კვლავინდებურად დიდ ადგილს უთმობდა ქართული თუ უცხოური პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნიმუშებს. ისევ იყო ეთერში ტრადიციული რუბრიკები. 2000 წლამდე ყოველკვირეულად გადაიცემოდა „პოეტი მიკროფონთან“ (საკუთარი ნაწარმოებების კითხვა – 10 წუთი), კვირაში ორჯერ – „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (ცნობილ პოეტთა ლექსები მსახიობების კითხვით – 5 წუთი). 1996-2004 წლებში მათ დაემატა ყოველკვირეული 20-წუთიანი რუბრიკა „პოეზიის ქნარი“ (ძირითადად იკითხებოდა ცალკეულ პოეტთა შემოქმედების ნიმუშები). 2004 წელს ეთერში გამოჩნდა ყოველკვირეული 5-წუთიანი რუბრიკა „ქართული პოეზიის რადიოანთოლოგია“. ყურადღების მიღმა არ რჩებოდა არც ქართული ხალხური პოეზია. ხალხური ლექსები გადაიცემოდა სხვადასხვა ციკლით: „საერო პოეზია“, „საკულტო პოეზია“, „საგმირო პოეზია“, „სატრფიალო პოეზია“ და ა.შ.

ასევე კვლავ იყო ეთერში ტრადიციული რუბრიკა „ლიტერატურული კითხვა“ (მხატვრული პროზა მსახიობების კითხვით), რომელიც დღის საათებში კვირაში 2-3-ჯერ გადაიცემოდა 20-25 წუთის მოცულობით (2002 წელს იგი კვირაში ორჯერ გადაიცემოდა 23 საათსა და 30 წუთზე). ძნელია ითქვას, რომ მას მასობრივი მსმენელი ჰყავდა, მაგრამ მაინც გაუგებარია მისი გადატანა 2004 წელს ღამის პროგრამაში – 2 საათსა და 15 წუთზე, რაც საერთოდ გამორიცხავს ყოველგვარი მსმენელის არსებობას. თანდათან უფრო იშვიათად გადაიცემოდა აგრეთვე ნახევარსაათიანი რუბრიკა „მწერალი მიკროფონთან“, რომელიც ქართველ მწერლებს ეთმობოდა საკუთარი ნაწარმოებების წასაკითხად (ბოლო წლების მანძილზე მხოლოდ ერთხელ გაისმა პროგრამაში მწერლის სიტყვა – ეს იყო „რეზო ჭეიშვილის ზეპირი ნოველები“ 2004 წლის 4 სექტემბერს).

2002 წლამდე გრძელდებოდა „რადიოდიქტორთა ლიტერატურული სალონის“ გადაცემაც. 1996 წელს მას რადიოს ცნობილი დიქტორის ქეთო ლანდიას სახელი მიენიჭა. გაიზარდა მისი პერიოდულობა და ქრონომეტრაჟი – ყოველთვიური ნახევარსაათიანი გადა-

ცემა გახდა ყოველკვირეული და ერთსაათიანი. ამ რუბრიკით გადაიცემოდა სხვადასხვა სახელწოდების პროგრამები ქართველი მწერლებისა და პოეტების შესახებ, რომლებსაც თან ერთვოდა მათი ნაწარმოებების კითხვა. მზადდებოდა რადიოკომპოზიციებიც („კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაჟებო!", „მხოლოდ სიზმრად ქრიან ლურჯა ცხენები", „სიტყვა გადვაგდე ერშია" და ა.შ.). განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხალხური პოეზიისა და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ლიტერატურის ნიმუშებს.

სხვა ლიტერატურული გადაცემებიდან აღსანიშნავია ლიტერატურულ-მუსიკალური რადიოკომპოზიციები, რომლებიც პერიოდულად მზადდებოდა ამ წლებში და უხვად შეიცავდა ფრაგმენტებს ქართველი პოეტების ლექსებიდან („ჰე მამულო!", „ეს პაემანზე მოდის აპრილი", „გმადლობთ, დედაენავ!" და სხვ.)

ლიტერატურული მაუწყებლობისათვის 1992-2004 წლებში ასევე დამახასიათებელია დოკუმენტურ-მხატვრული ფორმების არსებობა, როცა ერთ გადაცემაში გაერთიანებულია პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებები. პირველ რიგში ეს ეხება პუბლიცისტურ-მხატვრულ პროგრამა „დროებას". იგი, როგორც წინა თავშია აღნიშნული, 1988 წლიდან არსებობს და თავის დროზე დიდი ღვაწლი დასდო ეროვნული ცნობიერების აღორძინებას, საქართველოში დემოკრატიული აზროვნების განვითარებას. „დროებას" სტაბილური ადგილი ეკავა საქართველოს რადიოს პროგრამაში – 1992-2000 წლებში კვირაში ორჯერ გადაიცემოდა 1 საათის ხანგრძლივობით, 2001-2004 წლებში კი – კვირაში ერთხელ 45 წუთი. იგი რეგულარულად ასახავდა კულტურისა და ხელოვნების სფეროში მიმდინარე პროცესებს, გადმოსცემდა რეპორტაჟებს სხვადასხვა ლიტერატურული ღონისძიებებიდან, მიმოიხილავდა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს, მსმენელებს აწვდიდა ინფორმაციას ახალგამოსული წიგნების შესახებ და ა.შ. დიდი დრო ეთმობოდა თვითონ ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვას (რუბრიკები: „დაუმორჩილებელი პოეზია", „ქართული მჭევრმეტყველება", „მსოფლიო პოეზიის საგანძური", „განძეული ფოლიანტები" და სხვ.). სერიულად გადაიცემოდა საუბარი გამოჩენილ მხატვართა ცხოვრებაზე, რომელსაც უძღვებოდა მხატვარი გია ბუღაძე. ამასთან, „დროება" რეგულარულად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, იმ პრობლემებს, რომლებიც აწუხებდა ქართველ მწერლებს და, საერთოდ, შემოქმედ ადამიანებს. 1999 წლის

ბოლოდან პროგრამაში გაჩნდა ახალი რუბრიკა „დროების“ ანკეტის კვალდაკვალ“, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი ნაწარმოებების წარმოჩენასა და მსმენელთათვის მიწოდებას. შეიძლება ითქვას, „დროება“ ერთდროულად ცდილობდა ესთეტიკური, პუბლიცისტური და საგანმანათლებლო ფუნქციების შესრულებას.

2001 წლიდან „დროებაში“ გამოჩნდა ახალი რუბრიკები: „ავს რომ ავი არ დავარქო, კარგი როგორ უნდა ვაქო“ (ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე), „ახალი ლიტერატურული ჩანაწერები“, „ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან“, „ზნეობრივი ანალოგიები“, „მწერლის არქივი“, „ერთი ლექსის ისტორია“, „ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან“, „შემოქმედებითი კალენდარი“, „ოქროს ფონდი“ და სხვ. ბოლო 10-15 წლის მანძილზე „დროების“ ავტორები და წამყვანები იყვნენ: ზინა მჭედლური, რუსუდან სულაკაური, დალი მორგოშია.

დოკუმენტურ-მხატვრული ხასიათისა იყო აგრეთვე პროგრამა „კინო სხვადასხვა რაკურსით“, რომელიც სატირისა და იუმორის რედაქციაში მზადდებოდა და 1986 წლიდან 2000 წლამდე ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში 1 საათის ხანგრძლივობით (ავტორი და წამყვანი ჟურნალისტი ლია ძიძიგური). იგი ეძღვნებოდა ქართული კინოს ისტორიასა და თანამედროვეობას, მსმენელებს აცნობდა ქართველ კინორეჟისორთა შემოქმედებას, კინოხელოვნების სიახლეებსა და მიმდინარე პრობლემებს, გადასცემდა აუდიოფრაგმენტებს ქართული კინოფილმებიდან, რეპორტაჟებს გადასაღები მოედნებიდან და ა.შ. თითქმის ყველა გამოშვებაში სტუდიაში იწვევდნენ კინოხელოვნების მუშაკებს – ვეტერანებსა და ახალგაზრდებს, კინოფაკულტეტის სტუდენტებს და სხვ.

2000-2004 წლებში ყოველკვირეულად იყო ეთერში 15-წუთიანი რუბრიკა „იალკიალი“ (საბას განმარტებით – „ცოტა ღრუბელი, ბევრი მზე“). ეს იყო რადიოესეის თუ რადიოჩანახატის ჟანრის გადაცემა, რომელიც ერთ ცალკეულ თემას ეძღვნებოდა (მაგალითად, „ცეკვა“, „სიცილი“, „ფრინველები“, „სადღეგრძელო“, „ბავშვი“, „სილამაზე“ და ა.შ.), ერთდროულად მხატვრულ-შემეცნებითიც იყო და გასართობიც (გადაცემის ავტორი და წამყვანი ზაზა ქინქლაძე).

ცალკე უნდა ითქვას სამწერლო პუბლიცისტიკის შესახებ, რომელიც მხატვრულ მაუწყებლობას არ მიეკუთვნება, მაგრამ როგორც მწერლის სიტყვა ლიტერატურული გადაცემების განყოფილებაში მზადდებოდა. ამ ტიპის იყო რუბრიკა „შეხვედრა მწერლებთან“, რომელიც 1992 წლის შემდეგ აღარ გამოჩენილა. იგი ეხებოდა

როგორც ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს, ისე ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და დიალოგური ფორმა ჰქონდა – მწერალს ესაუბრებოდა რედაქციის წარმომადგენელი. განსხვავებული ხასიათისა იყო „მწერალი და ცხოვრება“, რომელიც მეტ-ნაკლები სიხშირით, მაგრამ სისტემატურად გადაიცემოდა 1992-1995 წლებში 20 წუთის მოცულობით. ეს იყო პუბლიცისტური გამოსვლები ყველაზე აქტუალურ თემებზე, რომლებსაც ავტორები თავად კითხულობდნენ მიკროფონთან, აგრეთვე ნარკვევები და სხვა დოკუმენტური ნაწარმოებები ცხოვრების მწვავე საკითხებზე. გარდა ამისა, დროდადრო გადაიცემოდა რომელიმე კონკრეტულ თემაზე ცალკეულ ავტორთა პუბლიცისტური წერილების მიმოხილვა.

მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რადიოსერიალმა „საუბრები უნივერსიტეტში“, რომელიც 2002-2003 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში. მას საფუძვლად დაედო აუდიოჩანაწერები ლექციებისა, რომლებსაც ჩვენი დროის გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე აკაკი ბაქრაძე 1979-1982 წლებში კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტზე, როგორც მიწვეული ლექტორი. ეს არ ყოფილა ლიტერატურის ისტორიის ან თეორიის მწყობრი, ერთიანი კურსი. უბრალოდ, ეს იყო მსჯელობა საერთოდ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მათ ბუნებასა და თავისებურებებზე, დანიშნულებასა და ამოცანებზე, ქართულ კულტურასა და ქართულ ეროვნულ ღირებულებებზე. ლექციებმა სტუდენტების გარდა ფართო საზოგადოების დიდი ინტერესიც გამოიწვია და მრავალი მსმენელი მიიზიდა, რასაც საბოლოოდ ლექტორის უნივერსიტეტიდან გაძევება მოჰყვა.

აკაკი ბაქრაძეს განზრახული ჰქონდა გაეერთიანებინა მისი სტუდენტების მიერ შემონახული ამ ლექციების სტენოგრაფიული თუ აუდიოჩანაწერები და წიგნად გამოეშვა, მაგრამ აღარ დასცალდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ, ტელერადიომაუწყებლობის რეჟისორმა ნელი რუსიშვილმა თავი მოუყარა ამ ჩანაწერებს, გამოიყენა მწერლის სტატიები, ინტერვიუები, დღიურები, სხვადასხვა საარქივო დოკუმენტები, აგრეთვე საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდის“ მასალები და საბოლოოდ მას დოკუმენტურ-მხატვრული რადიოკომპოზიციების ფორმა მისცა. აკაკი ბაქრაძის საუბარს ამდიდრებდა თემიდან გამომდინარე ლიტერატურული, თეატრალური თუ მუსიკალური ფრაგმენტები, იმათი ხმები, ვის შესახებაც ავტორი საუბრობდა და სხვ. შეგროვებული მასალა სამოც-

დაათამდე გადაცემისთვის აღმოჩნდა საკმარისი და ეთერში ორი წლის განმავლობაში გადიოდა (პირველი მათგანი 1992 წლის 10 თებერვალს გადაიცა). ცალკეული გადაცემები მიეძღვნა დიმიტრი ყიფიანს, ნიკო ლორთქიფანიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძეს, შალვა ნუცუბიძეს, თენგიზ აბულაძეს, რეზო თაბუკაშვილს, მედეა ჯაფარიძეს, სხვა მრავალ მამულიშვილსა და ამაგდარ პიროვნებას. გადაცემების ნაწილი, აკაკი ბაქრაძის ლექციების შესაბამისად, თემატური ხასიათისა იყო: „როგორ ყალიბდება პიროვნება", „სულიერი საქართველო" „რა არის ზნეობრიობა", „ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანას ვეკუთვნით", „ეროვნული ენერგია" და ა.შ.

2003 წლის ივნისში გადაცემათა ციკლი ამოიწურა, მაგრამ რადიომსმენელთა ინტერესი აკაკი ბაქრაძის შემოქმედებისადმი იმდენად დიდი იყო, რომ გადაწყდა ახალი რადიოსერიალის მომზადება მისი ცნობილი წიგნის „ნიკო ნიკოლაძის" მიხედვით. ეს მით უფრო გამართლებული ჩანდა, რომ იდგა ნიკო ნიკოლაძის საიუბილეო წელი – აღინიშნებოდა მისი დაბადების 160 წლისთავი. ახალი სერიალის ავტორები იყვნენ ნელი რუსიშვილი და ვახტანგ ნანიტაშვილი (სულ მომზადდა 19 გადაცემა).

XX საუკუნის 90-იან წლებსა და ახალი საუკუნის დასაწყისში საქართველოს რადიოში უთუოდ გამოირჩეოდა შესანიშნავი ჟურნალისტის ლამარა კიკილაშვილის საავტორო სერიალი „სახსოვარი" (თუმცა ავტორი მას მხატვრულ პროგრამას უწოდებდა, თითოეული გამოშვება, როგორც წესი, ერთ პიროვნებას ან ერთ თემას ეძღვნებოდა და უფრო პუბლიცისტურ-მხატვრულ გადაცემას წარმოადგენდა). 1992 წლიდან იგი ყოველკვირეულად გადიოდა ეთერში 45-60 წუთის მოცულობით. გადაცემის იდეა იყო მსმენელებისათვის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, ზოგადად ქართული კულტურის მოღვაწეთა და მათი შემოქმედების გაცნობა, იმ სულიერ ფასეულობათა პროპაგანდა, წინაპრებმა რომ შექმნეს, თანამედროვეობა კი მომავალს გადასცემს. აქედან გამომდინარეობდა რადიოსერიალის კონცეფცია და მიზანდასახულება – ერთხელ კიდევ გააზრება იმისა, თუ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ.

„სახსოვარის" უპირველეს ღირსებას წარმოადგენდა დახვეწილი ქართული ენა, გამართული არქიტექტონიკა, თემის სიღრმისეული პლასტების წვდომა, პერსონაჟთა სახეების ოსტატურად ხატვა, დიალოგის წარმართვის ორიგინალური ავტორისეული მანერა და

ა.შ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ აღმოცენებულა – მას წინ უძღოდა ავტორის თითქმის ოცდაათწლიანი მუშაობა რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა განყოფილებაში, ურთიერთობა ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, ასეულობით გადაცემისა და აუდიოჩანაწერის მომზადება, რომელთა დიდი ნაწილი დღეს საქართველოს რადიოს აუდიოფონდშია დაცული. სწორედ ავტორის უდიდესი ჟურნალისტური გამოცდილება (ცხადია, ლიტერატურულ ნიჭთან ერთად) და მის მიერ შეგროვებული უდიდესი აუდიომასალა დაედო საფუძვლად „სახსოვარის“ მრავალწახნაგოვან სერიალს. ახალ გადაცემაში ძველი ჩანაწერების გამოყენების იდეა (თავისებური მეთოდი ხანგრძლივი რადიოდაკვირვებისა) ლამარა კიკილაშვილმა ჯერ კიდევ 1973-1975 წლებში განახორციელა გადაცემათა სერიალში „რაც დავიწყებით არ იბინდება“, რომელსაც მოგვიანებით (1976-1987 და 1991 წლებში) „გაუხუნარ ფერთა ექო“ ეწოდა. მაგრამ ისინი უპირატესად მაინც წარსულის გაუხუნარ ღირებულებათა „ექო“ იყო, „სახსოვარში“ კი „დროში მოგზაურობა“ დღევანდელი თემით იყო განპირობებული და „ორმაგი განზომილებით“ უფრო რელიეფურად წარმოაჩენდა გადაცემის გმირს.

„სახსოვარის“ თითოეულ გამოშვებას თავისი გამოკვეთილი თემა და სახელწოდება ჰქონდა: მაგალითად, „მხიარული და სევდიანი ნოდარ დუმბაძე“ – სტუმრად ნანული დუმბაძესთან, „ჭა – სავსე ცოცხალი წყლით“ – შეხვედრები თამაზ ჭილაძესთან, „თაობა – გზა არ მთავრდება“ – შეხვედრები ლანა ღოღობერიძესთან, „ფერწერის კომპოზიტორი“ – რამდენიმე ჩანაწერი „ოქროს ფონდიდან“ დავით კაკაბაძის სახსოვრად და ა.შ. ხშირად ერთ პიროვნებას რამდენიმე გადაცემა ეთმობოდა. მაგალითად, ლანა ღოღობერიძეს მიეძღვნა ხუთი გადაცემა, სერგო ზაქარიაძეს – ექვსი, ბესიკ ხარანაულს – შვიდი, თამაზ ჭილაძეს – რვა და ა.შ. ჩვეულებრივად ავტორი 3-4 გადაცემით შემოიფარგლებოდა და მათ სერიალს უწოდებდა. სხვადასხვა დროს „სახსოვარის“ გმირები იყვნენ: ნიკო ფიროსმანაშვილი, შიო მღვიმელი, ელენე ახვლედიანი, სერგო ზაქარიაძე, თენგიზ არჩვაძე, თამაზ ჩხენკელი და სხვ. 1992 წლიდან, რაც ეს სერიალი შეიქმნა, 500-ზე მეტი გადაცემა მომზადდა, 1993 წლიდან კი მას სატელევიზიო ვარიანტიც შეემატა. „სახსოვარის“ სამართლიანი აღიარება იყო ის, რომ მის ავტორს ამ სერიალის რადიოსა და ტელევიზიაში განხორციელებისათვის 2000 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

განსაკუთრებული ღირებულების მქონე ძველი აუდიოჩანაწერები საქართველოს რადიოს პროგრამაში ყოველთვის იყო წარმოდგენილი სხვადასხვა რუბრიკით. 1998-2000 წლებში ასეთი რუბრიკა იყო „უნიკალური“ (უფრო ზუსტად, „უნიკალური – ხმები დაცული რადიოს „ოქროს ფონდში“), რომელიც ყოველკვირეულად გადაიცემოდა 15 წუთის ხანგრძლივობით. იგი მოიცავდა რადიოს აუდიოფონდში დაცულ მართლაც უნიკალურ მასალებს: ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელთა საუბარს, მოგონებებს მათ შესახებ, მათ ნაწარმოებებს, რომლებსაც კითხულობდნენ: უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ეროსი მანჯგალაძე და სხვა გამოჩენილი მსახიობები. ეთერში ისმოდა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას და XX საუკუნის სხვა კლასიკოსთა ხმები. 2001-2003 წლებში გადაცემას სახელწოდება შეეცვალა და ეთერში გადიოდა სათაურით – „ძველი რადიო – ის, რაც მეხსიერებას შემორჩა და „ოქროს ფონდს“. ორივე რუბრიკის რედაქტორი იყო ნინო ჟღენტი.

ერთ-ერთი ტენდენცია, რომელიც შეინიშნება 1992-2004 წლებში საქართველოს რადიოში, ისაა, რომ პორტრეტული ნარკვევები თუ ჩანახატები, რომლებიც წინა წლებში თითქმის ყველა რედაქციაში მზადდებოდა (მათ შორის, სახალხო მეურნეობის, პროპაგანდის, ახალგაზრდობის), ნელ-ნელა ქრება და საბოლოოდ მხოლოდ ლიტერატურულ-დრამატულ მაუწყებლობას შემორჩა. თავისთავად ცხადია, რომ ამ ნაწარმოებთა გმირებიც ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები იყვნენ. რუბრიკებით: „შემოქმედებითი პორტრეტები“, „შტრიხები პორტრეტისათვის“, „ხელოვანის გზა“ რადიომსმენელები ეცნობოდნენ მწერლების, მუსიკოსების, მხატვრების, რეჟისორების, მსახიობების და ა.შ. ცხოვრებასა და შემოქმედებას, ისმენდნენ ნაწყვეტებს მათი ნაწარმოებებიდან, სცენებს სპექტაკლებიდან, მუსიკალურ ჩანაწერებს და სხვ. ეს რუბრიკები ცვალებადი პერიოდულობით და ქრონომეტრაჟით გადაიცემოდა. 90-იანი წლების მეორე ნახევარში შედარებით სისტემატური ხასიათი ჰქონდა 15-წუთიან რუბრიკას „ლიტერატურული პორტრეტი“, რომელიც მსმენელებს მოუთხრობდა გამოჩენილი ქართველი მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე (შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლადო ასათიანი, გურამ დოჩანაშვილი და სხვ.). დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ცალკეული გადაცემებიც, მაგალითად: „მშვენიერი ხარ შენ, შემოქმედო!“

(ვერიკო ანჯაფარიძეზე – 1991 წელი), „დიდი ხელოვანი“ (კოტე მარჯანიშვილზე – 1992 წელი).

2002-2003 წლებში ამ ტიპის გადაცემებს შეემატა რუბრიკა „პორტრეტი 3X4“, რომელიც თვეში ორჯერ გადაიცემოდა ეთერში (3X4 ზომის ფოტოსურათი, როგორც ცნობილია, პასპორტში და სხვა დოკუმენტებში გამოიყენება და ალბათ სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ გმირის პორტრეტიც დოკუმენტურად და მოკლედ გადმოიცემა). იგი დრამატული გადაცემების რედაქციაში მზადდებოდა და თავიდან, როგორც წესი, მსახიობებს, რეჟისორებს, სცენარისტებს აცნობდა მსმენელებს (მას ენაცვლებოდა რუბრიკა „ცხოვრებისეული ეტიუდები“, რომელიც ასევე თეატრალურ მოღვაწეებს ეძღვნებოდა). რუბრიკის ავტორი და წამყვანი იყო ჟურნალისტი თამარ კიკვაძე. დასაწყისში ეს იყო მოკლე კითხვა-პასუხებზე აგებული ე.წ. პორტრეტული ინტერვიუ და 20 წუთი გრძელდებოდა. შემდგომში გადაცემის შინაარსი ბევრად შეიცვალა, რადგან ავტორი სულ უფრო ღრმად იჭრებოდა სტუდიაში მოწვეული სტუმრის შინაგან სულიერ სამყაროში. იგი მიჰყვებოდა არა რესპონდენტის ბიოგრაფიულ ცნობებსა და ფაქტებს, არამედ ცდილობდა გაეხსნა მისი პიროვნება, ეჩვენებინა მსმენელებისათვის მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, საქმისადმი, სამყაროსადმი. 2003 წელს რუბრიკა უკვე ყოველკვირეულად გადაიცემოდა 40 წუთის ხანგრძლივობით. გაიზარდა რესპონდენტების სპექტრიც – თეატრალურ მოღვაწეებს სხვა სფეროს წარმომადგენლებიც დაემატნენ (მაგალითად, მწერალი ნუგზარ შატაიძე, პოეტი გიგი სულაკაური, მომღერალი ნანი ბრეგვაძე, მთასვლელი ბიძინა გუჯაბიძე). რუბრიკაში გამოჩნდნენ აგრეთვე სხვა, ნაკლებად ცნობილი ადამიანებიც.

პორტრეტული ინტერვიუს ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე სერიული გადაცემა „გალერეა“ (ცხადია, რომ აქაც სახელწოდება პორტრეტების გალერეაზე მიგვანიშნებს). მისი წინამორბედი იყო იუმორისტული გადაცემა „ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი ადამიანები“, რომელიც 1996 წლიდან გადაიცემოდა ეთერში ერთი საათის ხანგრძლივობით. რუბრიკის ავტორი და წამყვანი ლია ძიძიგური (თუმცა იგი მას „პროგრამას“ უწოდებდა) სტუმრად იწვევდა ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთი კოლორიტული იუმორით გამოირჩეოდნენ და გულწრფელად ყვებოდნენ სტუდიაში თავს გადახდენილ კურიოზებს (ნინო რამიშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ბიძინა კვერნაძე, იპოლიტე ხვიჩია, სესილია თაყაიშ-

ვილი, კოტე მახარაძე და სხვ). 1997 წელს სწორედ ეს რუბრიკა შეცვალა „გალერეამ“, რომელიც მხოლოდ ხუმრობებისა და მხიარული მოგონებების გადმოცემას კი აღარ ისახავდა მიზნად, არამედ პიროვნებათა რაც შეიძლება, სრულად ჩვენებას. რუბრიკა ასევე ყოველკვირეული იყო და გადაიცემოდა 45 წუთის მოცულობით. გადაცემის გმირები უმეტესწილად ისევ ხელოვნების მოღვაწეები იყვნენ, თუმცა დროდადრო სხვა სფეროს წარმომადგენლებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე (ელისო ვირსალაძე, რობერტ სტურუა, გურამ საღარაძე, ლიანა ისაკაძე, ნინო ანანიაშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, ლია სტურუა, აგრეთვე: აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, პროფესორი გია არსენიშვილი, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია, აფხაზეთის კულტურის მინისტრი სვეტლანა ქეცბა და სხვ.).

საერთოდ კი, იუმორისტული გადაცემები ლიტერატურულ-დრამატული მაუწყებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა და მას სატირისა და იუმორის ჯგუფი ამზადებდა (ლია ძიძიგური, გულიკო კაკაბაძე) – „კინო სხვადასხვა რაკურსით“ და „გალერეა“ მხოლოდ გამონაკლისი იყო. 1992-2004 წლებში აქაც შეიმჩნევა გარკვეული ცვლილება: ეკრანიდან ქრება სატირა – პამფლეტი, მწარე დაცინვა, დოკუმენტური ფელეტონიც კი, რჩება მხოლოდ უწყინარი იუმორი – ხუმრობები, პაროდიები, კურიოზები და ა.შ. იუმორისტულ გადაცემებს აღარ აქვს მებრძოლი, პუბლიცისტური ხასიათი (თავს ანებებს საზოგადოებრივ მანკიერებათა მხილებას) და მხოლოდ გასართობი ფუნქციით შემოიფარგლება. სხვადასხვა რუბრიკაში ხშირად გაერთიანებულია ინფორმაციულ-გასართობი და მხატვრულ-გასართობი ხასიათის მასალები, რომლებიც შეიცავენ სასაცილო შემთხვევებს ცნობილ ადამიანთა ცხოვრებიდან, კურიოზულ ფაქტებს, ნაწყვეტებს კომედიებიდან და იუმორისტული ნაწარმოებებიდან.

1992 წლიდან სატირისა და იუმორის ჯგუფმა დაიწყო ყოველკვირეული, 35-წუთიანი ახალი პროგრამის „აბი გლუკოზას“ მომზადება, რომელიც უფრო მრავალფეროვანი იყო (ავტორები გოჩა ბერია, გია ჯოხაძე, გულიკო კაკაბაძე). იგი იწყებოდა ცნობილი კინოკომედიის „შერეკილების“ კოლაჟით, შეიცავდა სასაცილო ინფორმაციებს („რაზე იცინიან ადამიანები?“), „მხიარულ ჰოროსკოპს“, „გლუკოზას სასაცილო კონცერტს“, „მხიარულ ბიოველს“, რეპორტაჟებს იუმორისტული საღამოებიდან და ა.შ. ყოველ გამოშვებას ჰყავდა სტუმარი ან სტუმრები, რომლებსაც შეკითხვებს უსვამდნენ

ასევე სტუდიაში მოწვეული რადიომსმენელები. სტუმრები – უმეტესად საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პირები – იხსენებდნენ თავიანთი ცხოვრების სასაცილო შემთხვევებს, განსაკუთრებით, პროფესიული საქმიანობისას შექმნილ უხერხულ სიტუაციებს, მეგობრებსა და კოლეგებზე თავსგადახდენილ კურიოზებს. ხშირად ერთი და იგივე პიროვნება რამდენიმე გადაცემაში მონაწილეობდა (მაგალითად, მწერალი ნანა კანდელაკი, რომელიც იხსენებდა ჟურნალ „ნიანგში“ მუშაობის წლებს და სასაცილო ისტორიებს ყვებოდა თავის კოლეგებზე – ცნობილ ქართველ ლიტერატორებზე). „აბი გლუკოზა“ 2000 წლის ბოლომდე გადაიცემოდა.

1998 წლის ბოლოს და 1999 წლის დასაწყისში რამდენიმეჯერ გადაიცა რუბრიკა „პოლიტიკოსები პოლიტიკის მიღმა“ – სტუდიაში მოწვეული ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები საუბრობდნენ თავიანთი ხასიათის თავისებურებებზე, ბავშვობის, სტუდენტობისა და პროფესიული საქმიანობის სასაცილო მომენტებზე, ხალხში გავრცელებულ უცნაურ ჭორებზე და ა.შ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გადაცემებისა, 1996-2000 წლებში საქართველოს რადიოს სამაუწყებლო ბადეში ხშირად იყო ინფორმაციულ-გასართობი იუმორისტული რუბრიკები: „დილა მხიარული“ (სახალისო ინფორმაციები და კურიოზები) და „დილის ღიმილი“ (მსოფლიოს ცნობილი ადამიანების ხუმრობები, ანეგდოტები, სასაცილო ამბები და სხვ.). ასევე, სპეციალური იუმორისტული გადაცემები მზადდებოდა საახალწლოდ, 1 აპრილისათვის და ა.შ. („მეკვლე“, „ცხელი არხი – ჰერალდიკა“, „ალო, თოვლის ბაბუა გისმენთ!“ – პაროდია გადაცემისა „ალო, გისმენთ 59 და 9“).

მხატვრული მაუწყებლობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოს რადიოში დრამატული მაუწყებლობა. იგი, როგორც ადრინდელ პერიოდებში, ახლაც მოიცავდა, ერთი მხრივ, თეატრალურ და რადიოსპექტაკლებს, ხოლო, მეორე მხრივ, პუბლიცისტურ-მხატვრულ გადაცემებს თეატრის შესახებ.

1992-2004 წლებში მუდმივად იყო ეთერში ტრადიციული რუბრიკა „თეატრი მიკროფონთან“. 90-იანი წლების პირველ ნახევარში დედაქალაქის წამყვან თეატრებს რადიოს პროგრამაში თავისი დღეებიც კი ჰქონდათ გამოყოფილი. ასე მაგალითად, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლების ჩანაწერები გადაიცემოდა ხუთშაბათობით, კინომსახიობთა თეატრისა – კვირადღეობით და ა.შ. საერთოდ კი, ყოველკვირეულად რადიოე-

თერში ერთი თეატრალური სპექტაკლი მაინც იყო. 1996 წლიდან სპექტაკლები ძირითადად კუპიურებით გადაიცემოდა. იგი დროდადრო წყდებოდა და რუბრიკის წამყვანი თ. ვახვახიშვილი სტუდიაში მოწვეულ რეჟისორთან თუ მსახიობებთან ერთად პირდაპირ ეთერში განიხილავდა მიმდინარე სპექტაკლს, თეატრალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, თეატრის თემაზე გამოქვეყნებულ წერილებსა და რეცენზიებს, განმარტავდა ცალკეულ სცენებს და ა.შ. მსმენელებს შეეძლოთ დაერეკათ და გასაუბრებოდნენ გადაცემის მონაწილეებს (ქრონომეტრაჟი 2 საათი). 2001-2004 წლებში „თეატრი მიკროფონთან“ ამავე სახით და ამავე ქრონომეტრაჟით გადაიცემოდა, ოღონდ ორ კვირაში ერთხელ (მეორე კვირა ეთმობოდა საოპერო სპექტაკლის გადაცემას). წამყვანი გულიკო კაკაბაძე თეატრის ეპიზოდებს შორის პირდაპირ ეთერში ესაუბრებოდა სტუდიაში მოწვეულ რაჟისორსა თუ მსახიობებს, საუბარში რადიომსმენელებიც მონაწილეობდნენ სატელეფონო ჩართვების საშუალებით. ამ პერიოდში ეთერში გადაიცა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და „კვაჭი კვაჭანტირაძე“, გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“, ლაშა თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ და „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“ და სხვ. გარდა დედაქალაქის თეატრებისა, საქართველოს რადიო თავის ეთერს უთმობდა აგრეთვე ქუთაისის, თელავის, ბათუმის, მესხეთის თეატრების დადგმებსაც. თეატრალური სპექტაკლების პარალელურად დროდადრო პროგრამაში გამოჩნდებოდა ხოლმე რუბრიკები: „სცენები სპექტაკლებიდან“ (1992-1994) და „საყვარელი თეატრალური და კინოგმირები“ (2002-2003).

საქართველოს რადიოში ასევე სისტემატურად (კვირაში რამდენიმეჯერ) გადაიცემოდა რადიოსპექტაკლებიც, რომლებიც სხვადასხვა დროს მომზადდა. ამავე დროს იქმნებოდა ახალი რადიოსპექტაკლებიც. 1992-2004 წლებში ჩაიწერა 60-ზე მეტი რადიოსპექტაკლი (მათ შორის 3 რადიოსერიალი, რომლებიც 10, 20, 30 სერიას მოიცავდა). პირველ რიგში ეს იყო როგორც ქართული კლასიკური ლიტერატურის, ისე თანამედროვე ქართველი მწერლების ცნობილ ნაწარმოებთა რადიოინსცენირებები: ნ. ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“, მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, გრ. რობაქიძის „ფალესტრა“, ო. ჩხეიძის „ცხრაწყარო“, გ. რჩეულიშვილის „ირინე“, გ. დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ და „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა“, ა. მორჩილაძის „უპატრონო ძაღლების პი-

რადი ცხოვრება“ და სხვ. შეიქმნა აგრეთვე რადიოინსცენირებები საზღვარგარეთის მწერალთა ნაწარმოებების მიხედვით: ვლადიმერ ნაბოკოვის „მეორე ნაპირი“, კობო აბეს „ქალი ქვიშაში“, ო'ჰენრის „პერსონალური მაგნეტიზმის ძალა“, პატრიკ ზიუსკინდის „კონტრაბასი“ და სხვ.

რადიოთეატრის რეპერტუარში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს სპეციალურად რადიოსთვის შექმნილ ნაწარმოებებზე – რადიოპიესებზე აგებული სპექტაკლები: ზ. კანდელაკის „კურდღლები“ და „გამარჯობა, სენიორ პირანდელო!“, ნ. ბატიაშვილის „ძახილი“, მ. სარიშვილის „სამი ვედრო თოვლი“, ი. ლომოურის „ბუუ“, გ. ნახუცრიშვილის „როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი“, ნ. მამაცაშვილის „დიალოგი წვიმიან მწუხრში“, ნ. შატაიძის „დაჭრილი წერო“, მ. ჯალიაშვილის „საუზმე ბეღურებისათვის“, თ. მილორავას „მოლოდინი“ და სხვ. ფაქტობრივად, საქართველოში ამ პერიოდში ჩამოყალიბდა რადიოპიესა როგორც დრამატურგიის ჟანრი. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ხელშეწყობით გამოიცა ორიგინალური ქართული რადიოპიესების ორი კრებული.

რადიოპიესის ჟანრის განვითარებამ ხელი შეუწყო ქართული რადიოთეატრის გასვლას საერთაშორისო ასპარეზზე. ცნობილ გერმანულ რადიოსადგურ ვე-დე-ერთან ერთად მოეწყო კონკურსი საუკეთესო ქართული რადიოპიესის გამოსავლენად. ამ კონკურსში გაიმარჯვა და ჯერ საქართველოში, შემდეგ კი გერმანიაში დაიდგა თამაზ ჭილაძის რადიოპიესა „სამოთხის კვარტეტი“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს რადიოს მთავარი რეჟისორის ზურაბ კანდელაკის წარმატებები. 1992 წელს მისმა საავტორო სპექტაკლმა „უფალო, გამიყვანე დერეფნის ბოლოს!“ დსთსა და ბალტიის ქვეყნების რადიოდადგმების ფესტივალზე მეორე პრიზი მოიპოვა, ხოლო 1994 წელს საერთაშორისო ფესტივალზე მოსკოვში (სადაც 30 ქვეყნის რადიოსპექტაკლები იყო წარმოდგენილი) სპექტაკლმა „რეპეტიციამ“ (რომლის ავტორიცა და რეჟისორიც თავად იყო) გრან-პრი – „ოსტანკინოს პრიზი“ დაიმსახურა. იმავე წელს ეს რადიოპიესა დაიდგა სლოვენიაში, შემდეგ გერმანიაში (ვე-დე-ერსა და „დოიჩლანდ რადიოში“). 1996 წელს „რეპეტიცია“ და „კურდღლები“ დაიდგა სლოვაკეთის რადიოში. „გამარჯობა“, სენიორ პირანდელო!“ და „მელოდრამის ჩვეულებრივი ხიბლი“ მოხვდნენ „Prix Europa“-ს საუკეთესო რადიოპიესების ათეულში. ეს პიესები დაიდგა სერბიასა და პოლონეთშიც. 2005 წელს „Prix Europa“-ს ჟიუ-

რის სპეციალური პრიზი მოიპოვა ნ. დუმბაძის „კუკარაჩას“ მიხედვით შექმნილმა რადიოსპექტაკლმა „კიდევ ერთხელ სიყვარულზე ანუ ჩაო, ჩაო!“ (ადაპტაციის ავტორი და რეჟისორი ზურაბ კანდელაკი).

90-იანი წლების ბოლოდან ქართულ რადიოთეატრთან ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ ახალგაზრდა რეჟისორებიც. ლევან ლორთქიფანიძემ, ხათუნა ბედელაძემ, ნათია ხოშტარიამ, კობა ცხაკაიამ ხმის რეჟისორებთან – რომეო ტერ-გრიგორიანთან, ნანა სანდუხაძესთან, თამარ გოგლიძესთან და გიორგი ცაგარეიშვილთან ერთად არაერთი სპექტაკლი შექმნეს.

1992 წელს რადიოთეატრს დიდი ხელოვანის, საქართველოს რადიოს ყოფილი დიქტორის ეროსი მანჯგალაძის სახელი მიენიჭა და ამის შემდეგ ყველა რადიოდადგმა ეთერში გადაიცემოდა რუბრიკით – „ეროსი მანჯგალაძის სახელობის რადიოთეატრი“. ეს მით უფრო სამართლიანი ჩანს, რომ ამ რადიოდადგმების არცთუ მცირე ნაწილში მისი ჯადოსნური ხმა არის შემორჩენილი.

1992-2004 წლებში თეატრალურ ცხოვრებაზე კვლავინდებურად მზადდებოდა პუბლიცისტურ-მხატვრული გადაცემებიც (ზოგიერთ მათგანს გარკვეულწილად საგანმანათლებლო მნიშვნელობაც ჰქონდა). 1992-1994 წლებში კვლავ გადიოდა ეთერში ტრადიციული პროგრამა „თეატრი და ცხოვრება“. იგი გადაიცემოდა თვეში ერთხელ 2 საათის მოცულობით და თეატრალურ დადგმებსაც მოიცავდა (ავტორები შოვინა ქაცარავა და მანანა თევზაძე). პროგრამის მუდმივი სტუმრები იყვნენ თეატრმცოდნეები, დრამატურგები, რეჟისორები, მსახიობები, რომლებიც საუბრობდნენ საქართველოში არსებული თეატრების წარსულსა და თანამედროვეობაზე, განიხილავდნენ თეატრალურ პრემიერებს, მსჯელობდნენ დღევანდელობის პრობლემებზე და ა.შ. სისტემატურად გადაიცემოდა რუბრიკები: „სცენაზე გაცოცხლებული ლიტერატურული გმირები“, „ჩვენი ჩანაწერებიდან“, „ქართული თეატრის ცხოვრების რამდენიმე ფურცელი“, „შეხვედრები თეატრის ხელმძღვანელებთან“ და სხვ. 1995-2004 წლებში პროგრამას „თეატრი“ ეწოდებოდა და გადაიცემოდა თვეში ორჯერ 1 საათის ხანგრძლივობით. პროგრამას დაემატა ზოგიერთი რუბრიკაც (მაგალითად, „მსოფლიო სცენაზე“, რომელიც მსმენელებს აცნობდა საზღვარგარეთის თეატრალურ ცხოვრებას), დედაქალაქის თეატრების სპექტაკლების ანონსი და ა.შ.

1993 წელს და 1994 წლის გარკვეულ პერიოდში დროდადრო ეთერში იკითხებოდა აკაკი ბაქრაძის „შვიდი წელი თეატრში“. იგი

ენაცვლებოდა რუბრიკას „სცენები სპექტაკლებიდან“. მზადდებოდა აგრეთვე ცალკეული გადაცემები თეატრის თემაზე, მაგალითად: „მღერიან თეატრის მსახიობები“, „ფარდის მიღმა“, „არქივის მასალები“. 1992 წელს მოეწყო პირდაპირი რეპორტაჟი ვასო გოძიაშვილის, ხოლო 1993 წელს გიორგი ტოვსტონოგოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოდან და ა.შ.

2000 წელს ეთერში გადიოდა ვახტანგ კობაიძის საავტორო პროგრამა „რადიობენეფისი“. იგი გადაიცემოდა ყოველკვირეულად 30 წუთის მოცულობით. მისი საავტორო პროგრამა იყო აგრეთვე 2000-2003 წლებში „საყვარელი თეატრალური და კინოგმირები“. პირდაპირ ეთერში საუბრობდნენ სტუდიაში მოწვეული მსახიობები, რეჟისორები, დრამატურგები, პასუხობდნენ მსმენელთა სატელეფონო ზარებს. გადაცემა კვირაში სამჯერ გადიოდა ეთერში 25-30 წუთის ხანგრძლივობით (მოგვიანებით მას ხათუნა ბაქრაძე უძღვებოდა).

2001-2002 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში ჟურნალისტ ნინო იაშვილის 40-წუთიანი საავტორო პროგრამა „ხელოვნება“. იგი აშუქებდა კულტურისა და ხელოვნების ახალ ამბებს, აგრეთვე სხვადასხვა თემებს ლიტერატურის, კინოს, თეატრის, მუსიკის, მხატვრობის, არქიტექტურის სფეროდან (რუბრიკები: „ალტერი“, „კადრი“, „პალიტრა“, „აფიშა“, „ობიექტივი“, „მსოფლიო სცენაზე“, „პრემიერა“ „მუსიკალური ინტეგრალები“, „რეტროსპექტივა, „მოდა“ და სხვ.). თვეში ორჯერ მას უძღვებოდა ჟურნალისტი ვახტანგ კობაიძე, ორჯერ – ჟურნალისტი ნინო იაშვილი.

2002 წელს შეიქმნა ახალი პუბლიცისტურ-მხატვრული პროგრამა „სახიობა“, რომელიც, ერთი მხრივ, პროგრამა „თეატრის“, ხოლო, მეორე მხრივ, პროგრამა „ხელოვნების“ გაგრძელებას წარმოადგენდა. 2004 წლის ბოლომდე იგი ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში 30 წუთის ხანგრძლივობით, უძღვებოდნენ: გულიკო კაკაბაძე, ნინო იაშვილი და ნათია ხოშტარია. პროგრამა ეხებოდა თეატრალური და კინოხელოვნების საკითხებს, გამოირჩეოდა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით (სტუდიური დიალოგი, ინტერვიუ, რეპორტაჟი, გამოსვლა, კომენტარი). სხვადასხვა დროს მისი სტუმრები იყვნენ: სოფიკო ჭიაურელი, რობერტ სტურუა, რეზო კლდიაშვილი, ამირან შალიკაშვილი და სხვ.

გარდა იმისა, რომ ინფორმაციულ-პუბლიცისტური, ლიტერატურულ-დრამატული თუ საგანმანათლებლო გადაცემების დიდი ნაწილი აქტიურად იყენებს მუსიკას გამოსახვით საშუალებად თუ შე-

რეული პროგრამების გასამდიდრებლად, ნებისმიერი რადიომაუწყებლობის უდიდეს ნაწილს მუსიკა შეადგენს (აღარაფერს ვამბობთ სპეციალიზებულ მუსიკალურ რადიოარხებზე).

საქართველოს რადიოში 1992-2004 წლებში მთელი მაუწყებლობის ორ მესამედზე მეტს **მუსიკალური მაუწყებლობა** შეადგენდა. იგი საკმაოდ რთულ სტრუქტურას წარმოადგენდა, რადგან მრავალპროფილიანი, უნივერსალური სახელმწიფო მაუწყებლობის ერთიან სისტემაში იყო მოქცეული. აუდიტორიის სხვადასხვა ნაწილის გემოვნებისა და მხატვრული ინტერესების მკვეთრი განსხვავება, აგრეთვე თვითონ მუსიკალური ჟანრებისა და ფორმების მრავალფეროვნება განაპირობებდა მუსიკალური რადიოგადაცემების დიფერენცირებულ ხასიათს. ეთერში რეგულარულად გადაიცემოდა ოპერაც და ხალხური სიმღერაც, სიმფონიური მუსიკის კონცერტიც და საესტრადოც. ზოგი გადაცემა მასობრივი აუდიტორიისათვის იყო განკუთვნილი, ზოგი კიდევ – მაღალი გემოვნების მსმენელისათვის. ძირითადად კი შეიძლება გამოიყოს მუსიკალური მაუწყებლობის სამი ძირითადი მიმართულება. რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა საქართველოს რადიოში და 1992-2004 წლებშიც არ განუცდია ცვლილება – კლასიკური მუსიკა, საესტრადო და მსუბუქი მუსიკა და ხალხური მუსიკა. თითოეული ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებები გაერთიანებული იყო სათანადო რუბრიკებში, რაც რედაქციას მათი ტიპიზაციის საშუალებას აძლევდა და ხელს უწყობდა მუდმივი აუდიტორიის ჩამოყალიბებას. კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის ეთერში რეგულარულად გადაიცემოდა რუბრიკები: „კლასიკური მუსიკის კონცერტი“, „სიმფონიური მუსიკის კონცერტი“, „მსუბუქი საორკესტრო პიესები“, „კამერული ნაწარმოებები“, „საავიოლინე პიესები“, „საკვარტეტო მინიატურები“, „ძველებური მუსიკის კონცერტი“, „გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი“, „სცენები ოპერებიდან“, „საოპერო მუსიკის კონცერტი“ და მრავალი სხვა. ეს იყო წმინდა საკონცერტო რუბრიკები – მხოლოდ მუსიკალური ნაწარმოებების ან მათი ფრაგმენტების გადაცემა. მათ გვერდით არანაკლები ადგილი ეჭირა შერეული ტიპის მუსიკალურ-პუბლიცისტურ თუ მუსიკალურ-საგანმანათლებლო კონცერტ-საუბრებსა და პროგრამებს, რომლებსაც ჩვენ ასევე მხატვრულ მაუწყებლობას მივაკუთვნებთ, რადგან მიუხედავად პუბლიცისტური და საგანმანათლებლო ელემენტებისა, ძირითადად მაინც ესთეტიკურ ფუნქციას ასრულებენ (თანდართული კომენტარები მხოლოდ ეხმა-

რება აუდიტორიას მუსიკალური ნაწარმოებების გაგებასა და აღქმაში).

ამ ტიპის, კონცერტი-საუბრის ჟანრის, გადაცემას წარმოადგენდა კონსერვატორიის პროფესორ ნოდარ ანდღულაძის საავტორო პროგრამა „მსოფლიოს საოპერო სცენის ვარსკვლავები“ (საერთოდ, 1992-2004 წლებში ყველა პროგრამა საავტორო ხასიათისაა – პერსონალურად ამზადებს ერთი ან რამდენიმე ავტორი, საერთო-სარედაქციო პროგრამები წარსულს ჩაბარდა). ეს იყო გაგრძელება 1984-1985 და 1988-1990 წლებში არსებული ამავე სახელწოდების რუბრიკისა, რომელიც ყოველკვირეულად გადაიცემოდა ნახევარი საათის მოცულობით. ავტორი მსმენელებს მოუთხრობდა პოპულარულ საოპერო მომღერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ასმენინებდა მათ მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს (პროგრამის მომზადებაში რედაქციას ეხმარებოდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი გოჩა ბეჟუაშვილი).

1992 წელს გრძელდებოდა აგრეთვე ანალოგიური ხასიათის ყოველკვირეული ერთსაათიანი რუბრიკა პირდაპირი ეთერით „50 ოპერა“, შემდეგ „ასი ოპერა“ და „ოპერა ღამით“ (ავტ. ლ. გაბუნია). 1992-2004 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა პროგრამა „მხოლოდ ოპერა“, 45-55 წუთის ხანგრძლივობით (ავტორი და წამყვანი მარიკა ჩიჯავაძე). იგი მრავალფეროვანი პროგრამა იყო, შეიცავდა საინტერესო ცნობებს სხვადასხვა საოპერო ნაწარმოების შესახებ, ფრაგმენტებს ოპერებიდან, ინტერვიუებს საოპერო მომღერლებთან, კომპოზიტორებთან, მუსიკისმცოდნეებთან. რუბრიკები: „ცოტა რამ ისტორიიდან“, „ასე იქმნებოდა საოპერო შედევრები“, „ჩვენი საუნჯე“, რომელიც მსმენელებს აცნობდა საქართველოს რადიოს აუდიოფონდის უნიკალურ მუსიკალურ ჩანაწერებს, „ნომერი ანუ მუსიკალური ჩანაწერი უკომენტაროდ“ და სხვ. პროგრამა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მსმენელს მასში მონაწილეობის საშუალება ჰქონდა.

1992-1999 წლებში კონცერტი-საუბრის ფორმის გადაცემებიდან აღსანიშნავია „საშემსრულებლო ხელოვნება – ფენომენები, ვირტუოზები“ (ავტორი ლალი ვარდანაშვილი). იგი მსმენელებს აცნობდა საშემსრულებლო ხელოვნების ვარსკვლავებს – პიანისტებს, მევიოლინეებს, ვოკალისტებს, დირიჟორებს და ა.შ. 1993-1997 წლებში მისი ანალოგიური იყო ასევე ყოველკვირეული ერთსაათიანი გადაცემა „ვარიაციები როკოკოს თემაზე“ (ავტორი ლალი გაბუნია). იგი მსმენელებს მოუთხრობდა კლასიკური მუსიკის სხვადასხვა

მიმდინარეობის შესახებ, მათი ჩამოყალიბების ისტორიაზე, მათ საუკეთესო წარმომადგენლებზე. კლასიკური მუსიკის ნაწარმოებებს და მათ შემსრულებლებს ეძღვნებოდა აგრეთვე 1996-1998 წლებში ყოველკვირეული 45-წუთიანი ციკლი „მუსიკალური „შედევრები" (ავტორი და წამყვანი ანი ბრეგვაძე). შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო კონცერტი წინასიტყვაობით, საინტერესო ინფორმაცია-განმარტებებით. ცალკეული გამოშვებები მიეძღვნა ბეთჰოვენის, მოცარტის, ბახის, ვივალდის, ბელინის, როსინისა და სხვათა შემოქმედებას.

აღნიშნულ პროგრამებთან ერთად 1999-2000 წლებში ეთერში იყო რამდენიმე ციკლი კლასიკურ მუსიკაზე: „ოპერები კარაიანის დირიჟორობით", „ბეთჰოვენის სიმფონიები" „უცნობი ოპერების ფურცლებზე" და სხვ. 2001-2002 წლების გადაცემებიდან აღსანიშნავია „XX საუკუნე. მუსიკა და მუსიკოსები" (ავტორი და წამყვანი მარიკა ჩიჯავაძე). ამ პროექტმა გაიმარჯვა ფონდ „ღია საზოგადოება „საქართველოს" კონკურსში და მისგან გამოყოფილი გრანტით მზადდებოდა (მ. ჩიჯავაძესთან ერთად გადაცემაზე მუშაობდნენ კომპოზიტორი თ. ბაკურაძე და მუსიკისმცოდნე ქ. ბოლაშვილი). კლასიკურ მუსიკას ეძღვნებოდა აგრეთვე ციკლი „ მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები", რომელსაც კონცერტის ფორმა ჰქონდა და კომენტარების გარეშე გადაიცემოდა. უფრო ადრე, 1992-1996 წლებში თითქმის ყოველდღე გადაიცემოდა ცალკეული კონცერტები (მაგალითად, „ზაქარია ფალიაშვილის საოპერო მუსიკა", „ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები", „მღერის ბათუ კრავეიშვილი" და ა.შ.). ამგვარი პრაქტიკა 2003 წლის ბოლომდე გრძელდებოდა.

პროგრამაში თავისი ადგილი ეკავა საგუნდო მუსიკას, ეთერში იყო რუბრიკები: „ქართული საგალობლები", „საგუნდო მუსიკა" და სხვ. 1992 წელს მომზადდა გადაცემათა ციკლი „საგუნდო ხელოვნების სამყაროში". ციკლის ავტორი და წამყვანი საგუნდო დირიჟორი ბორის ძნელაძე ყოველ გამოშვებაში აცნობდა მსმენელებს რომელიმე კოლექტივს, მისი შექმნის ისტორიასა და მოღვაწეობას. ხშირად გადაცემის თემა იყო საეკლესიო მუსიკა, ქართული საგალობლები. გადაიცემოდა ყოველკვირეულად (45 წუთი).

მუსიკალური გადაცემების მთავარი რედაქცია ოპერატიულად ეხმაურებოდა აგრეთვე ყველა ღირშესანიშნავ მოვლენას, რომელიც კლასიკური მუსიკის სფეროში ხდებოდა. ასე მაგალითად, 1997 წლის ოქტომბერში გადაიცემოდა „პიანისტთა თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსის დღიური", 1998 წლის აპრილ-მაისში – საოპე-

რო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ბრავო“, რომელიც თბილისში გაიმართა პაატა ბურჭულაძის ინიციატივით, ჩაიწერა საქართველოს რადიომ და რეპორტაჟების გარდა მთლიანი საოპერო სპექტაკლებიც გადაიცემოდა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა 1992-2004 წლებში საქართველოს რადიოში საესტრადო და მსუბუქ მუსიკას. მას ყოველთვის დიდი აუდიტორია ჰყავდა და რადიოპროგრამაში მუდამ უხვად იყო სათანადო ციკლები და რუბრიკები: „დილის კონცერტი“ (ყოველდღიური), „საესტრადო მერიდიანზე“ (კვირაში სამჯერ), „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (ყოველკვირეული), „საესტრადო კონცერტი“, „მსოფლიო ესტრადის მელოდიები“, „ქართული ესტრადის მელოდიები“, „ლირიკული მელოდიები“, „უბერებელი მელოდიები“, „საღამოს მელოდიები“, „ეკრანის მელოდიები“, „მსუბუქი მუსიკის კონცერტი“, „რეტრო, რეტრო“, „მუსიკალური რევიუ“, „მუსიკალური კოლაჟი“, „დილის რიტმები“, „ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები“ და სხვ. გარდა მეტ-ნაკლებად მუდმივი რუბრიკებისა, ეთერში გადაიცემოდა საესტრადო სიმღერების ცალკეული კონცერტები, მაგალითად: „რევაზ ლაღიძის სიმღერები“, „გიორგი ცაბაძის კინომუსიკა“, მღერის ანსამბლი „ორერა“, „მღერის მაიკლ ჯექსონი“, „ოსკარ პიტერსონის კონცერტი“ და ა.შ.

ჩვეულებრივ კონცერტებთან ერთად მრავლად იყო პერსონალური საავტორო გადაცემები – კონცერტი-საუბრები, მუსიკალურ-პუბლიცისტური და მუსიკალურ-საგანმანათლებლო პროგრამები. 1992-1998 წლებში ყოველდღიურად გადაიცემოდა მანანა ხვედელიძის ერთსაათიანი საავტორო პროგრამა „კონცერტი 6 საათზე“ (თავიდან მასთან ერთად პროგრამას უძღვებოდა გოგი ჭილაშვილი). იგი პოპულარიზაციას უწევდა როკს, ჯაზს, ბლუზს, კინომუსიკას, გადასცემდა უცხოელ შემსრულებელთა ჩანაწერებს. გადაცემაში მონაწილეობდნენ ესტრადის მომღერლები, მუსიკალური ჯგუფები, კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნეები. ისინი საუბრობდნენ თავიანთ შემოქმედებაზე, აუდიტორიას აცნობდნენ ახალ ნაწარმოებებს და ა.შ. პროგრამა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მსმენელს მათთან გასაუბრების საშუალება ჰქონდა.

ანალოგიური ხასიათისა იყო ყოველკვირეული ერთსაათიანი პროგრამა „ესტრასფერო“ (ავტორი და წამყვანი ირინე მოსეშვილი), რომელიც ამავე წლებში გადაიცემოდა. იგი იუწყებოდა კვირის განმავლობაში მომხდარ სიახლეებს ესტრადის სფეროში, ეთერს უთ-

მობდა სიმღერების პრემიერას, სტუდიაში იწვევდა მომღერლებსა და კომპოზიტორებს. პროგრამის მუდმივი რუბრიკები იყო: „ჩვეულებრივი ვარსკვლავები“, „სიმღერის პრემიერა“, „ახალი სახელები“, „ესტრასფერო და ბავშვები“, რომელიც მსმენელს აცნობდა ნორჩ შემსრულებლებს და „ახალი სიმღერები“ – ახალგაზრდა მომღერლების შემოქმედებაზე. 1993 წლიდან მათ დაემატა „ჯაზ-სპირიტი“, რომელსაც თამაზ დარსაველიძე უძღვებოდა.

90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა სპეციალური პროგრამები, რომლებიც ეძღვნებოდა როკსა და ჯაზს. 1992-1995 წლებში ყოველკვირეულად, ხოლო 1996-1998 წლებში კვირაში ორჯერ გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში 1-საათიანი მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „როკი, სმოკი და ... „. მისი ავტორი და წამყვანი იყო უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი ჟურნალისტი და მუსიკოსი დარეჯან გულიაშვილი (ზოგჯერ მას პარტნიორობას უწევდა ედიშერ აბულაძე). „როკი, სმოკი და ...“ მრავალფეროვანი პროგრამა იყო: გადაიცემოდა ინფორმაციები საქართველოში როკ-მუსიკის განვითარებაზე, საზღვარგარეთის მუსიკალურ ცხოვრებაზე, ქართველი და უცხოელი მომღერლების ჩანაწერები, ფსიქოლოგთა რჩევები, ანეკდოტები, სენსაციური ამბები და ა.შ. პროგრამაში ჩართული იყო ვიქტორინა და გამარჯვებულებს პრიზებით აჯილდოებდნენ. გარდა ამისა, ასრულებდნენ მსმენელთა მუსიკალურ დაკვეთებსაც.

1992-1997 წლებში დარეჯან გულიაშვილის საავტორო პროგრამა იყო აგრეთვე „როკი ნაშუაღამევს“, რომელიც ყოველკვირეულად გადაიცემოდა გვიან ღამით ასევე პირდაპირ ეთერში 1 საათის ხანგრძლივობით. მასში როკ-მუსიკის ძველ და ახალ ჩანაწერებს თან ახლდა ინფორმაციები ქართული და საზღვარგარეთული როკ-ჯგუფების შესახებ, რეპორტაჟები როკ-საღამოებიდან, ინტერვიუები როკ-მუსიკის მოყვარულებთან, ჰიტ-პარადი და ა.შ. სტუდიაში ხშირად მოდიოდა მსმენელთა წერილები, – ისინი ძირითადად ითხოვდნენ სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოების გადაცემას.

90-იანი წლების ბოლოს დარეჯან გულიაშვილმა კიდევ მოამზადა ორი საავტორო გადაცემა: მუსიკალურ-გასართობი ხასიათის „მუსიკალური ჰოროსკოპი“ (1998), რომელიც მსმენელს აცნობდა ჩინურ და იაპონურ ჰოროსკოპებს მუსიკის თანხლებით და „გამიღიმე“ (1999), რომელიც თანამედროვე პოპ-მუსიკითა და მოკლე ინფორმაციებით შემოიფარგლებოდა. ორივე პროგრამა მხოლოდ რამდენიმეჯერ გადაიცა ეთერში.

1992-1999 წლებში კვირაში ორჯერ გადაიცემოდა კონცერტი--საუბრის ფორმის 1-საათიანი პროგრამა „ჯაზის საათი“ (მას ლ. კარანაძე და მ. ჩიტიძე უძღვებოდნენ). იგი ინფორმაციას აწვდიდა ჯაზის მოყვარულებს ამ მუსიკალური მიმართულების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ, აცნობდა ჯაზის პიონერების ცხოვრებასა და შემოქმედებას, მიმოიხილავდა თანამედროვე ჯაზის მდგომარეობას და უახლეს ჯაზურ მუსიკას. პროგრამაში უხვად იყო ძველი და ახალი ჯაზმენების ჩანაწერები. მსმენელს საშუალება ჰქონდა პირდაპირ ეთერში გასაუბრებოდა გადაცემის წამყვანს. თავიდან გადაცემას უძღვებოდა შესანიშნავი ჟურნალისტი გელა ლეჟავა, რომელმაც 15 წელი იმუშავა მუსიკალური გადაცემების მთავარ რედაქციაში და ცხოვრების დიდი გზა განვლო – რიგითი რედაქტორიდან სახტელერადიოს თავმჯდომარის მოადგილემდე. მისი უდროოდ გარდაცვალების შემდეგაც ჯაზურ მუსიკას საქართველოს რადიოში სათანადო ადგილი ეჭირა და მის პოპულარიზაციას ჯიმშერ იაშვილი ეწეოდა. 1997-2004 წლებში ეთერში იყო „ჯაზის მოყვარულთათვის“, 2001-2002 წლებში „ღამის ჯაზი“, ხოლო 2004 წელს ღამის ეთერში კვირადღის გარდა ყოველდღე იყო საქართველოს რადიოსა და ბი-ბი-სის ერთობლივი პროგრამა „JAZZ FM“ (ქრონომეტრაჟი 75 წუთი).

1996 წელს შეიქმნა ყოველკვირეული ნახევარსაათიანი პროგრამა „ბლუზიდან დღემდე“, რომელიც მიმოიხილავდა მუსიკის სხვადასხვა მიმართულების წარმოშობისა და განვითარების ეტაპებს – როგორც თავად ბლუზს, ისე მძიმე როკს, როკ-ენ-როლს და ა.შ. გადაიცემოდა უამრავი საინტერესო ინფორმაცია და მუსიკალური ჩანაწერი (ავტორი და წამყვანი ლექსო ტურიაშვილი).

1996-1997 წლებში, ადრიან დილით, შაბათ-კვირის გამოკლებით, ყოველკვირეულად იყო ეთერში მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „დილის ტალღაზე“, რომელიც მსმენელს აწვდიდა თანამედროვე ქართულ და უცხოურ პოპულარულ მუსიკალურ ჩანაწერებს, ამასთან, გადასცემდა საინტერესო, სენსაციურ და გასართობ ინფორმაციას.

ზოგიერთი ციკლი უშუალოდ შეეხებოდა ქართული ესტრადის თანამედროვე პრობლემებს. მაგალითად, 1998-2001 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა 40-წუთიანი პროგრამა „ლექსი და სიმღერა“. მისი ავტორი და წამყვანი გულნარა ოდიშარია სტუდიაში მოწვეულ კომპეტენტურ პირებთან ერთად განიხილავდა ქართული სასიმღერო ლექსისა და სიმღერის დღევანდელ მდგომარეობას. ამ საკითხებზე მსჯელობაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: ნანი

ბრეგვაძე, თენგიზ ჩოჩუა, ალექსანდრე ბასილაია, ეკა კვალიაშვილი და სხვ. 1998 წელს ანალოგიური ხასიათისა იყო რუბრიკა „კიდევ ერთხელ ქართულ სიმღერაზე“.

საქართველოს რადიო არც იმ ადამიანებს ივიწყებდა, ვისაც უდიდესი წვლილი მიუძღვის მუსიკალური საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში. 1990-1995 წლებში პერიოდულად გადაიცემოდა მუსიკალური პროგრამა „გახსენება“ (ავტ. ლალი იმნაიშვილი). სტუდიაში მოწვეული მეგობრები და ახლობლები იხსენებდნენ გარდაცვლილ შემოქმედს, მის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს, ეთერში გადაიცემოდა მის მიერ შესრულებული ნაწარმოებები.

1999 წელს საქართველოს რადიოს საესტრადო მუსიკალურ გადაცემებს შეემატა სამი ახალი პროგრამა: „ჰარმონია“, „ახალი პატეფონი“ და „ალო, გისმენთ 59 და 9!“. პროგრამა „ჰარმონია“ (ანუ იგივე „ლექსი და სიმღერა“ – მას მხოლოდ სახელწოდება შეეცვალა) ეთერს უთმობდა ქართული ესტრადის ცნობილ წარმომადგენლებს (ეკა მამალაძე, ვახტანგ კიკაბიძე, რობერტ ბარძიმაშვილი, მერაბ სეფაშვილი, თემურ წიკლაური, თამარ ჭოხონელიძე და სხვ.). ისინი საუბრობდნენ ახალ სიმღერებზე, მომავალში დაგეგმილ კონცერტებსა და გასტროლებზე. ამავე დროს ეთერში გაისმოდა სიმღერები, რომლებმაც მათ პოპულარობა მოუტანეს. „ჰარმონია“ ეთერში გადაიცემოდა თვეში ორჯერ 30 წუთის ხანგრძლივობით. პროგრამა „ახალი პატეფონი“ (ავტორი და წამყვანი ხათუნა კობერიძე) გადაიცემოდა კვირაში ორჯერ ასევე 30 წუთის ხანგრძლივობით და სხვადასხვა რუბრიკისაგან შედგებოდა. რუბრიკა „ახალი ამბები“ მოკლედ აცნობდა მსმენელს ქართული საესტრადო მუსიკის სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან ამბებს; „რეტროფონი“ ეძღვნებოდა ქართული რეტრომუსიკის ღირსეულ მოღვაწეთა წარმოჩენას; „კვირის სიმღერა“ მსმენელს წარუდგენდა ბოლო კვირის ყველაზე პოპულარულ სიმღერას; რუბრიკა „კლუბი“ სტუდიაში იწვევდა ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებს და ეთერს უთმობდა მათთან საუბარს და ა.შ.

განსხვავებული ხასიათის იყო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „ალო, გისმენთ 59 და 9!“, რომელიც 2004 წლის ბოლომდე გადაიცემოდა. თავიდან ალბათ სახელწოდება მიანიშნებდა, რომ პროგრამა 59 და 9 მეათედი წუთი გრძელდებოდა, მაგრამ რადგან ყველა გამოშვება ამ ქრონომეტრაჟის არ იყო, 2001 წლიდან მას „ალო, გისმენთ!“ ეწოდა. „ალო, გისმენთ!“ პირდაპირი ეთერით გადაიცემო-

და სამშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დღეში ორჯერ – დილით, 9 საათსა და 30 წუთზე ან 10 საათზე და საღამოს 18 საათზე. დილის გამოშვება ნახევარსაათიანი იყო, საღამოსი – ერთსაათიანი. როგორც პროგრამის სახელწოდება ცხადყოფს, კომუნიკატორები მუდმივად იყვნენ მზად მსმენელთან ურთიერთობისათვის და ეს ზედმიწევნით აქტიურად ხორციელდებოდა. დილისა და საღამოს პროგრამები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა: თუ დილით წამყვანები ცდილობდნენ ხალისიანი განწყობილების შექმნას, საღამოს პროგრამა უფრო აუდიტორიის ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად იყო აგებული. პროგრამაში უხვად იყო ინფორმაციები შოუბიზნესის შესახებ. სტუდიაში იწვევდნენ ქართული ესტრადის წარმომადგენლებს, რომლებიც საუბრობდნენ მსმენელთათვის საინტერესო საკითხებზე და პირდაპირ ეთერში პასუხობდნენ მათ შეკითხვებს. პარალელურად ეთერში ჟღერდა მუსიკალური ნომრები მოწვეული სტუმრების შესრულებით. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული იყო რადიოვიქტორინა, ცნობები მოსალოდნელი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების შესახებ, ამინდის პროგნოზი და სხვ. დილის პროგრამაში აუდიტორიასთან კავშირის გაძლიერების მიზნით წამყვანები მსმენელებს სთავაზობდნენ იმპროვიზაციულ თემებს, ისინიც აქტიურად რეკავდნენ და პირდაპირ ეთერში საუბრობდნენ დასახელებულ თემებზე, ზოგჯერ საკმაოდ სერიოზულ საკითხებზეც. პროგრამას რიგრიგობით უძღვებოდნენ: მანანა ხვედელიძე, ნია ბახტაძე, ლალი სეთურიძე და ლალი იმნაიშვილი.

2000 წელს შეიქმნა კიდევ ერთი ყოველკვირეული საესტრადო-მუსიკალური რუბრიკა „ქართული ჰიტაღლუმი“. მის ყოველ გამოშვებაში შედიოდა 7 საუკეთესო პოპულარული სიმღერა, რომლებიც რადიოაუდიტორიის სატელეფონო ზარების მეშვეობით იყო გამოვლენილი. იგი 15 წუთს გრძელდებოდა და ამ დროის მანძილზე ეთერში ჟღერდა ეს შვიდეული, რასაც თან ერთვოდა მოკლე ინფორმაციები შემსრულებელთა შესახებ (ავტორი და წამყვანი ანი ბრეგვაძე).

კლასიკური და საესტრადო მუსიკის გვერდით თავისი ადგილი ეკავა ქართულ ხალხურ შემოქმედებას – მუსიკასა და სიმღერებს, თუმცა მისი მოცულობა გაცილებით მცირე იყო. 1992-2004 წლებში ეთერში მუდმივად იყო რუბრიკები: „ქართული ხალხური მუსიკა“, „ქართული ხალხური სიმღერები“, „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“ (ყოველდღიურად კვირადღის გარდა), „თაროდან ჩამოღებული სიმღე-

რები“, „ქალაქური ჰანგები“ და ა.შ. პერიოდულად მზადდებოდა ორიოდე პროგრამაც. 1998-1999 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა 40-წუთიანი პუბლიცისტურ-მუსიკალური პროგრამა „ქართული ხალხური სიმღერის მოამაგენი“ (ავტორი და წამყვანი ჟურნალისტი ნანა გარსევანიშვილი). იგი ეხმაურებოდა ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებლებისა და ამ სფეროში მოღვაწე სხვა ცნობილ შემოქმედთა საიუბილეო თარიღებს. უხვად იყო გამოყენებული საქართველოს რადიოს აუდიოფონდში დაცული, მათ მიერ შესრულებული უნიკალური ჩანაწერები, ცნობილ პიროვნებათა მოგონებანი მათ შესახებ და ა.შ. გადაცემაში მონაწილეობდნენ როგორც დედაქალაქის, ისე სხვადასხვა რაიონში მოღვაწე თვითმოქმედი ანსამბლები და ცალკეული მომღერლები.

2000-2002 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა ნახევარსაათიანი საგანმანათლებლო-მუსიკალური პროგრამა „ჩვენ მშვიდობა“. იგი მსმენელებს აცნობდა იმ ძველ ტრადიციებს, რომლებიც ოდითგანვე არსებობდა ჩვენს ქვეყანაში და დღეს უკვე ნაკლებადაა შემორჩენილი. გარდა ამისა, შუქდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული წეს-ჩვეულებები და რიტუალები (მაგალითად, ნიშნობის, ქორწინების, დაკრძალვის და ა.შ.). გადაცემაში უხვად იყო ჩართული შესაბამისი ქართული ხალხური სიმღერები, ხშირად იყო აგრეთვე საეკლესიო საგალობლები (წამყვანები მარინა კვიჟინიძე და ნანა მშვიდობაძე).

ზემოთ განხილული „დარგობრივი“ (კლასიკური, საესტრადო თუ ხალხური მუსიკის) კონცერტებისა და პროგრამების გვერდით საქართველოს რადიოში მზადდებოდა რამდენიმე შერეული სახის პროგრამაც, რომელიც მუსიკალური მაუწყებლობის სამივე მიმართულებას მოიცავდა. 1999-2000 წლებში პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ნახევარსაათიანი ყოველკვირეული პროგრამა „მუსიკალური კოლექციიდან“ (ავტორი და წამყვანი ლალი იმნაიშვილი). იგი მთლიანად იყო აგებული კერძო კოლექციონერების მიერ მოწოდებულ მუსიკალურ ჩანაწერებზე და მოიცავდა სხვადასხვა ჟანრს რესპონდენტის გემოვნების მიხედვით. სტუდიაში მოწვეული იყვნენ ამ ჩანაწერთა მფლობელები, რომლებიც უშუალოდ ესაუბრებოდნენ რადიომსმენელებს, აცნობდნენ სხვადასხვა უნიკალური აუდიომასალის ისტორიას, მსჯელობდნენ მუსიკის თანამედროვე პრობლემებზე და ა.შ. გადაცემაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: გოგი ჭიჭინაძე, რობერტ ბარძიმაშვილი, ლაშა ბუღაძე და სხვ.

2000 წელს შეიქმნა პროგრამა „მუსიკალური პანორამა“, რომელიც მსმენელს აცნობდა მსოფლიო მუსიკალური სამყაროს სიახლეებს, ახალ ჯგუფებსა და შემსრულებლებს. უხვად იყენებდა მუსიკალურ ჩანაწერებს. იგი გადაიცემოდა ყოველ შაბათს 30 წუთის ხანგრძლივობით, უძღვებოდა მარიკა ჩიჯავაძე. ფაქტობრივად, ამ პროგრამის გაგრძელებას წარმოადგენდა მარიკა ჩიჯავაძის მეორე საავტორო გადაცემა „ინტერნეტნიუსი“, რომელიც ასევე მსოფლიოს მუსიკალურ სიახლეებს მოიცავდა (ეყრდნობოდა ინტერნეტით მოპოვებულ მასალებს) და 2003-2004 წლებში ყოველ სამუშაო დღეს გადაიცემოდა 15 წუთის მოცულობით (მეორდებოდა იმავე დღეს).

ამავე წელს შეიქმნა შერეული სახის რუბრიკა „ბრწყინვალე მუსიკა“ (პროექტის ავტორი ლალი გაბუნია). იგი პოპულარიზაციას უწევდა როგორც კლასიკური მუსიკის შედევრებს, ისე სხვა ჟანრის უნიკალურ ნაწარმოებებს. ეთერში ჟღერდა ფრაგმენტები ოპერებიდან და სიმფონიური ნაწარმოებებიდან, ჯაზური მუსიკის, ბლუზის, პოპ-მუსიკის ჩანაწერები, ინფორმაცია მათი ავტორების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ყოველი გამოშვება რომელიმე ერთ მიმართულებას ეძღვნებოდა და თავისი წამყვანი ჰყავდა. არსებითად ეს იყო კონცერტი-საუბრის ჟანრის გადაცემა, კონცერტი განმარტებებით. 2000-2002 წლებში რუბრიკა ყოველდღიურად იყო ეთერში, 2003-2004 წლებში კი – კვირაში ოთხჯერ, 45 წუთის ხანგრძლივობით.

ასევე შერეული ხასიათის იყო: „მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის“, „კონცერტი ეროვნული არმიის მეომრებისათვის“, „მათთვის, ვინც გზაშია“ და სხვ.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს მუსიკალური მიმოხილვების შესახებ, რომლებიც 1992-1998 წლებში დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე საქართველოს რადიოს პროგრამაში. ამ ფორმის იყო რადიოპროგრამა (თუ რადიოჟურნალი, როგორც ხშირად ცხადდებოდა) „ჩანგი“, რომელიც საქართველოს რადიოში 1963 წლიდან არსებობს და 1998 წლის თებერვლამდე გადაიცემოდა (ავტორი ლალი გაბუნია). იგი ყოველი თვის ბოლოს იყო ეთერში 1 საათის ხანგრძლივობით და მსმენელებს აცნობდა ამ თვის მანძილზე მუსიკის სფეროში მომხდარ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს. სტუდიაში მოწვეული მომღერლები, კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნეები საუბრობდნენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე სამუსიკო ცხოვრების – კონცერტების, შოუ-პროგრამების, ფესტივალების შესახებ. პროგრამაში ჩართული იყო რეპორტაჟები საკონცერტო დარ-

ბაზებიდან, მუსიკალური ნომრები ქართველი მომღერლების შესრულებით და სხვ. იშვიათად „ჩანგს“ ენაცვლებოდა მიმოხილვები: „მუსიკალური იანვარი“, „მუსიკალური თებერვალი“, „მუსიკალური მარტი“ და ა.შ. 1992-1995 წლებში მუსიკალური გადაცემების მთავარ რედაქციაში მზადდებოდა აგრეთვე წლის მუსიკალური მოვლენების შემაჯამებელი პროგრამები სახელწოდებით: „მუსიკა 1992(1993...) წელს“. „ჩანგის“ შემდეგ რამდენიმე ხანს, 1998 წლის ივნისამდე, ეთერში იყო მიმოხილვა „კვირის მუსიკალური სიახლეები“ (მას ცალკეული რუბრიკებიც ჰქონდა, მაგალითად, „ახალი ჩემს შემოქმედებაში“ და „ვისაც ჯაზი გიყვართ“, რომელსაც ჯიმშერ იაშვილი უძღვებოდა). ეს თითქოს უფრო მისაღები ფორმა იყო, მაგრამ აღარ გაგრძელებულა – თანდათან აშკარა გახდა, რომ ამგვარი მიმოხილვები (მით უფრო ყოველთვიური და ყოველწლიური) მუსიკალური მაუწყებლობის თანამედროვე სტრუქტურას აღარ შეესაბამებოდა.

4. საგანმანათლებლო მაუწყებლობა

საქართველოს რადიოს პროგრამაში 1992-2004 წლებში თავისი გამოკვეთილი ადგილი ეჭირა საგანმანათლებლო მაუწყებლობას, რომელიც მოიცავდა მეცნიერებისა და ტექნიკის, ისტორია-ეთნოგრაფიის, სამართლის, მედიცინის, ეკოლოგიისა და სხვა მსგავს თემებზე შექმნილ გადაცემებს. ზოგიერთი მათგანი ადრინდელი, ტრადიციული პროგრამებისა და რუბრიკების გაგრძელებას წარმოადგენდა, უმეტესობა კი ამ პერიოდში პირველად გავიდა ეთერში. ამ პროგრამებს ამზადებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი რედაქცია (რომელიც ამ დროს უკვე სახალხო მეურნეობის მთავარ რედაქციასაც მოიცავდა), ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქცია, ასევე საბავშვო, ახალგაზრდული და მუსიკალური გადაცემების რედაქციებიც, მაგრამ ისინი იმდენად სპეციფიკურია, რომ უმჯობესი იქნება მათი ერთობლივად განხილვა.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს რადიო ყოველთვის ახერხებდა გარკვეული დრო დაეთმო ეთერში საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის საკითხებისათვის. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამის შესაძლებლობა, ცხადია, ბევრად გაიზარდა. სუვერენული ქვეყნის სახელმწიფო რადიომ საქართველოს ისტორიის გაცნო-

ბა პატრიოტული აღზრდის ეფექტურ საშუალებად აქცია. წარსულის საამაყო ამბებისა და ღირსეულ მამულიშვილთა გახსენებით საქართველოს რადიო თანამედროვეებს სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისაკენ მოუწოდებდა. ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი მწერალ ვახტანგ ჭელიძის საავტორო გადაცემათა ციკლი „საქართველოს ისტორია – გმირები და მოვლენები“, რომელიც 1992-1996 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა 25-30 წუთის ხანგრძლივობით (მიკროფონთან თვითონ ავტორი გამოდიოდა). ეს ციკლი სათავეს 1983 წლიდან იღებს და მუდამ იწვევდა მსმენელთა დიდ ინტერესს. როგორც ცნობილია, მისი ბეჭდური ვარიანტი რამდენიმეჯერ და რამდენიმე ტომად გამოიცა კიდეც „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ სახელწოდებით.

1997-2000 წლებში ვახტანგ ჭელიძის ციკლს ჩაენაცვლა მწერალ თამაზ ნატროშვილის ციკლი „ეტიუდები ჩვენი წარსულიდან“ (შემდეგ იგი 2004 წლის პროგრამაშიც გამოჩნდა). ციკლი პოპულარიზაციას უწევდა ჩვენი გმირი მეფეების მოღვაწეობას, ქართველი მეომრების პატრიოტულ შემართებას, ქრისტიანობისთვის წამებული ადამიანების ცხოვრებას და ა.შ. პროგრამის თითოეულ გამოშვებას თავისი სახელწოდება ჰქონდა: „რაინდები“, „უბადლო მესაჭე დავით აღმაშენებელი“, „ჯერჯერობით აუხსნელი“, „ჟამთა აღმწერელი“, „ჩაფუშული რევანში“ და სხვ. (ქრონომეტრაჟი 30 წუთი).

ასევე, 1992-1993 წლებში კვლავ გრძელდებოდა ჟურნალისტ ქეთევან სადღობელაშვილის საავტორო პროგრამის „კვირაძალის“ გადაცემა. ეს მხატვრულ-საგანმანათლებლო პროგრამა ყოველკვირეულად იყო ეთერში 1 საათის მოცულობით.

1998 წელს გაჩნდა ახალი 15-წუთიანი რუბრიკა „თბილისის ისტორიიდან“. მასში საუბარი იყო თბილისის დაარსებაზე, მის სატახტო ქალაქად ქცევასა და შემდგომ განვითარებაზე, იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც ქართველ ერს მოუხდა უცხოელ დამპყრობლებთან დედაქალაქის შენარჩუნებისათვის, ქალაქის სხვადასხვა დროის თავისებურებებზე და ა.შ. ასევე, 1997 წელს პროგრამა „ლილეში“ შეიქმნა რუბრიკა „საქართველოს სოფლები“, რომელმაც ერთი წლის შემდეგ დამოუკიდებელი სახე მიიღო. იგი ყოველკვირეულად გადაიცემოდა ადრიან დილით 15 წუთის მოცულობით. ავტორები – ივანე და სოფიკო ჯაფარიძეები მსმენელებს მოუთხრობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოფლებზე, მათ წარსულსა და თანამედროვეობაზე, აცნობდნენ იქ არსებულ ისტორიულ ძეგლებს, ადათ-

წესებს და სხვ. ამ რუბრიკებმა ორი წელი იარსება.

2000-2001 წლებში საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების რედაქციაში მზადდებოდა ყოველკვირეული ნახევარსაათიანი პროგრამა „საყრდენი“ (ავტორი გიორგი ზარიძე), რომელიც ეხებოდა ისტორიულ-ფილოსოფიურ პრობლემებს, რაც დღესაც მთავარ სააზროვნო საყრდენს წარმოადგენს მეცნიერებისათვის. ესაა: სახელმწიფოს არსი და მნიშვნელობა, მისი სიმტკიცისა და რღვევის საფუძველი, სამყაროში არსებული კანონზომიერებანი და სხვა, სადღეისოდ მეტად აქტუალური და ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი საკითხები. მასში გამოყენებული იყო ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, ფრაგმენტები სხვადასხვა ფილოსოფოსთა პუბლიცისტური ნაშრომებიდან და ა.შ.

საქართველოს ისტორიულ წარსულსა და ტრადიციებს ეძღვნებოდა აგრეთვე 20-წუთიანი პროგრამა „ფოლიანტები“, რომელიც 2001-2002 წლებში ასევე ყოველკვირეულად გადაიცემოდა (ავტორი და წამყვანი ჟურნალისტი დალი მორგოშია). ყოველ გამოშვებაში თითო სტუმარი იყო მოწვეული, მაგალითად: ისტორიკოსი მერაბ ვაჩნაძე, არქეოლოგი რამინ რამიშვილი, ენათმეცნიერი ავთანდილ არაბული, ეთნოგრაფი თინა ოჩიაური და სხვ. ხშირად იკითხებოდა შესაბამისი ნაწყვეტები მხატვრული ნაწარმოებებიდან. პროგრამაში საუბარი იყო აგრეთვე იმ ქვეყნების ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე, სადაც პირველად ჩაისახა ცივილიზაცია (ეგვიპტე, საბერძნეთი, ინდოეთი და სხვ.). მსმენელებს აცნობდნენ უცხოელი მოგზაურების თუ ცნობილი პირების გამონათქვამებს საქართველოსა და ქართველების შესახებ და ა.შ.

ამავე რედაქციის რამდენიმე საგანმანათლებლო გადაცემა ეძღვნებოდა ქართულ ენას, ლიტერატურას, თეატრს. როგორც ადრე აღინიშნა, 1991 წლის მაისში დაიწყო და 10 წელზე მეტხანს იყო ეთერში ლიტერატურული განყოფილების პროგრამა „ენაი შემკული და კურთხეული“ (ავტორი და წამყვანი მწერალი და ჟურნალისტი თამაზ ხმალაძე). იგი გადაიცემოდა ყოველკვირეულად 45 წუთის ხანგრძლივობით და მსმენელებს აცნობდა ქართული ენის რაობას, მის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში („როგორ ვიცით დედაენა“, „ენა და ეროვნული კულტურა“, „კავშირი დედაენისა ერის სულთან და ხორცთან“, „თავანკარა ქართული“, „რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“ და ა.შ.). სხვადასხვა დროს პროგრამაში მონაწილეობდნენ ენათმეცნიერები, ლიტერატორები, მწერლები, მთარგმნელე-

ბი, პედაგოგები (მაგალითად: ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ბესარიონ ჯორბენაძე, პროფ. გიორგი გოგოლაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მაია ლომაია, იაპონელი ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა, პროფ. გენადი ბურჭულაძე, ჟურნალ „საგურამოს“ მთავარი რედაქტორი ანდრო ბედუკაძე, აფხაზური ენის სპეციალისტი პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე და სხვ.). ისინი საუბრობდნენ ქართული ენის სადღეისო საჭირბოროტო საკითხებზე: ქართული სიტყვის კულტურაზე, ენობრივ დარღვევებზე, სასაუბრო ენაში არასწორად დამკვიდრებულ ტერმინებზე, იმ ბარბარიზმებზე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს თანამედროვე სალიტერატურო ენაზე და სხვ. პროგრამაში აგრეთვე ჩართული იყო პოეზიის ნიმუშები, პუბლიცისტური წერილები.

გარკვეულწილად საგანმანათლებლო, უფრო ზუსტად საგანმანათლებლო-პუბლიცისტური ხასიათი ჰქონდა თამაზ ხმალაძის მეორე საავტორო გადაცემას, „ლიტერატურა და სხვა“, რომელიც 2002-2004 წლებში ყოველკვირეულად იყო ეთერში 45 წუთის ხანგრძლივობით. იგი იმეორებდა 20-იანი წლების ცნობილი ქართული ჟურნალის სახელწოდებას და ეხებოდა არა მხოლოდ ლიტერატურისა თუ ხელოვნების სხვა დარგებს, არამედ ყველაფერს, რაც ერის სულიერ, კულტურულ ცხოვრებას უკავშირდება, განიხილავდა ისეთ თემებს, რაც მარადიული და ყველა დროისთვის მნიშვნელოვანია. გადაცემა რადიოსაუბრის ჟანრს მიეკუთვნებოდა. დიალოგი მიმდინარეობდა წამყვანსა (ავტორსა) და სტუდიაში მოწვეულ სტუმარს შორის, რომელიც, როგორც წესი, საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილ პიროვნებას წარმოადგენდა და უთუოდ ჰქონდა სათქმელი და აუდიტორიისთვის გასაზიარებელი (მაგალითად, თსუ მესხეთის ფილიალის რექტორი მერაბ ბერიძე, მწერლები ნუგზარ შატაიძე, ზაურ კალანდია, გურამ დოჩანაშვილი, ლაშა დავითაშვილი და სხვ.).

„ლიტერატურა და სხვას“ ყოველი გამოშვება ერთ თემას ეძღვნებოდა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ამ თემაზე საუბარი რამდენიმე გადაცემაშიც გაგრძელებულიყო. მაგალითად, 2004 წლის 4 აპრილის გადაცემაში მოწვეული იყო სოხუმიდან ახალდაბრუნებული მწერალი გურამ ოდიშარია, შესაბამისად, საუბარი ეხებოდა აფხაზეთის, კერძოდ ქართველებისა და აფხაზების ურთიერთდამოკიდებულებას ისტორიის მანძილზე და ახლა. ამ საუბარს „ლიტერატურა და სხვას“ სამი გამოშვება დაეთმო.

ქართული თეატრის განვლილ გზას ასახავდა გადაცემა „ქარ-

თული თეატრის ცხოვრების საფეხურები“ იგი სისტემატურად გადაიცემოდა 1995 წელს ნახევარი საათის მოცულობით (ავტორი და წამყვანი თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე).

დემოკრატიული საზოგადოება, ყველა სხვა ნიშან-თვისებასთან ერთად, უპირველესად სამართლებრივი საზოგადოებაა და ცხადია, რომ დემოკრატიის გზაზე დამდგარი საქართველოს რადიოში სამართლებრივი ცოდნის გავრცელებას სათანადო ყურადღება ექცეოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1999 წლის შემოდგომაზე შექმნილი პროგრამა „კანონმა მოგვანიჭა“, რომელსაც მოგვიანებით „მე, შენ და კანონი“ ეწოდა და 2004 წლის ბოლომდე გადაიცემოდა. პროგრამა მზადდებოდა საშინაო პოლიტიკის მთავარ რედაქციაში, უძღვებოდა ჟურნალისტი გიორგი ჩოკოშვილი. ამ პერიოდში მიღებულ იქნა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომლის შექმნაშიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანელი იურისტებიც. აქედან გამომდინარე, გადაცემათა ეს ციკლი მზადდებოდა გოეთეს ინსტიტუტთან და გერმანიის ტექნიკურ საზოგადოებასთან თანამშრომლობით. პირველი გადაცემა 1-საათიანი იყო და ეთერში გავიდა სახელწოდებით „ეს უფლება კანონმა მოგვანიჭა“ – სტუდიაში იყო იურისტი კობა დავითაშვილი. შემდგომ პროგრამა გადაიცემოდა ჯერ ორ კვირაში ერთხელ 45 წუთის, მერე კი – ყოველკვირეულად 30 წუთის ხანგრძლივობით. სხვადასხვა დროს მასში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები: ზვიად კორძაძე, ვახტანგ კობიაშვილი, თამუნა მეტრეველი და სხვები, ბოლო რამდენიმე წელს კი გადაცემას ჰყავდა უცვლელი იურისტი დიანა ბერიკაშვილი. ზოგჯერ სტუდიაში იწვევდნენ მოქმედ მოსამართლეებსაც. საუბარი მიმდინარეობდა პირდაპირ ეთერში მსმენელების აქტიური მონაწილეობით. ძირითადი თემები იყო ქონების, მემკვიდრეობის, ქორწინებისა და სხვა სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტები და კანონთა კოდექსები. პროგრამა 2004 წლის ბოლომდე არსებობდა.

საგანმანათლებლო ხასიათისა იყო აგრეთვე სამართლებრივი გადაცემა „უფლებები 18 წლამდე“, რომელიც 2001 წლის ნოემბრიდან 2002 წლის ბოლომდე გადაიცემოდა. იგი დაფინანსებული იყო გაეროს ფონდის გრანტით (ავტორი ლია წიკლაური, ქრონომეტრაჟი 20 წუთი).

სამართლებრივ საკითხებთან ერთად მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერესს ყოველთვის იწვევდა სამედიცინო ინფორმაცია,

ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. ამ მხრივ საქართველოს რადიოში გარკვეული ტრადიცია დიდი ხნიდან არსებობდა და ახლაც გრძელდებოდა. 1992-2001 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა პროგრამა „ჯანმრთელობა“, რომელიც 60-იან წლებში შეიქმნა (წამყვანები – გულნარა არობელიძე და ასმათ ბარსონიძე, ქრონომეტრაჟი 20 წუთი). მსმენელებს უხვად მიეწოდებდა ინფორმაცია სხვადასხვა დაავადების წარმოქმნის, გავრცელებისა და მკურნალობის შესახებ. სტუდიაში მოწვეული მედიცინის მუშაკები საუბრობდნენ ახალ პრეპარატებზე, სამედიცინოს სფეროს სიახლეებზე, უახლეს ტექნოლოგიებზე, დაავადებათა მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე, პასუხობდნენ მსმენელთა შეკითხვებს. პროგრამას გარკვეულწილად პუბლიცისტური დატვირთვაც ჰქონდა – თითქმის ყველა გამოშვებაში ჩართული იყო რეპორტაჟები სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებიდან, შუქდებოდა მათი საქმიანობა და პრობლემები.

ყოველკვირეულად იყო ეთერში ასევე ტრადიციული 15-წუთიანი რუბრიკა „ჯანმრთელი რომ ვიყოთ“. მასში გაერთიანებული იყო სხვადასხვა გადაცემები, რომლებიც ეხებოდა ბავშვთა დაავადებებს და მათ მკურნალობას, მოზარდთა სექსუალურ აღზრდას, გრიპს და მისი გავრცელების გზებს, ინფექციურ დაავადებებსა და მათი თავიდან აცილების საშუალებებს და ა.შ.

1992 წელს სამედიცინო გადაცემებს შეემატა შერეული სახის პროგრამა „ვიდრე სახლიდან გახვიდოდეთ“. იგი კვირაში ორჯერ გადაიცემოდა 10 წუთის ხანგრძლივობით – ერთხელ სამედიცინო თემაზე, მეორედ კი იურიდიული კონსულტაციის სახით. 1993 წელს მას ეწოდა „ვიდრე შინიდან გახვიდოდეთ“ და ეთერში გადიოდა ოთხჯერ იმავე ქრონომეტრაჟით (თემებიც ასევე იცვლებოდა), უძღვებოდნენ: ასმათ ბარსონიძე, ჯემალ მელქაძე, ირინე კეშელავა და სხვ. 1996-1998 წლებში პროგრამის ავტორი და წამყვანი იყო თამარ დონდუა. პროგრამის სამედიცინო გამოშვებები მოსახლეობას აწვდიდა სათანადო რჩევა-დარიგებას სხვადასხვა დაავადების, ინფექციისა და ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთში ბრძოლების დროს პროგრამა ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებდა რადიომსმენელებსა და მეომრებს შორის. სახელმწიფოს ხშირად არ ჰქონდა საშუალება დროულად მიეწოდებინა სათანადო მედიკამენტები დაჭრილი ჯარისკაცებისათვის. „ვიდრე შინიდან გახვიდოდეთ“ რეგულარულად მიმართავდა მოსახლეობას დახმარებისათვის, აცნობდა საჭირო მედიკამენტების ნუსხას, მისამარ-

თებს, სადაც უნდა მიეტანათ შემოწირულება, გადასცემდა, თუ რა ჯგუფის სისხლი იყო საჭირო დაჭრილებისათვის და ა.შ.

2002-2004 წლებში სამედიცინო რჩევებს გარკვეულ ადგილს უთმობდა აგრეთვე ადრე განხილული შერეული სახის საკონსულტაციო ტოქშოუ „სოციალური საათი მრგვალ მაგიდასთან". გამოშვებებს სამართლებრივ თემებზე ენაცვლებოდა გამოშვებები, რომლებიც მთლიანად სამედიცინო საკითხებს ეძღვნებოდა (წამყვანი – ჟურნალისტი მაია გვრიტიშვილი, ქრონომეტრაჟი 45 წუთი).

სხვა სამედიცინო რუბრიკებიდან აღსანიშნავია „ოჯახის ექიმი" (1998) და „რადიოაფთიაქი" (1999). პირველ გადაცემაში სტუდიაში მოწვეული ექიმი პასუხობდა რადიომსმენელთა შეკითხვებს და აძლევდა საჭირო რჩევებს, მეორე (წამყვანი მაია გვრიტიშვილი) – მსმენელებს აცნობდა სხვადასხვა პრეპარატის დანიშნულებას, ოჯახში მკურნალობის წესებს, პირველადი დახმარების მეთოდებს და ა.შ. ორივე რუბრიკის ქრონომეტრაჟი 15 წუთი იყო. ამ გადაცემების ნაცვლად 1999 წლის ოქტომბრიდან შეიქმნა ახალი სამედიცინო გადაცემა „ექიმი გვირჩევს", რომელიც 2002 წლის ბოლომდე კვირაში ორჯერ გადაიცემოდა 15 წუთის ხანგრძლივობით. გადაცემას ამზადებდა სამკაციანი ჯგუფი: ჟურნალისტი (მაია გვრიტიშვილი) და ორი ექიმი. პირდაპირ ეთერში ერთ გამოშვებაზე მუშაობდა ოჯახის ექიმი, მეორე გამოშვებაზე კი – ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

რამდენადმე განსხვავებული ხასიათი ჰქონდა სამედიცინო რუბრიკას „იცოცხლეთ, ბატონო!" (1998-1999). იგი მთლიანად ეძღვნებოდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას. განხილული იყო, თუ როგორ უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე ისეთი მავნე ჩვევები, როგორიცაა: თამბაქოს წევა, ლოთობა, ნარკოტიკების მიღება, როგორ შეიძლება მათგან თავის დაღწევა.

ზემოთ აღნიშნული სამედიცინო პროგრამების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ადრე განხილული ეკონომიკური გადაცემების მსგავსად მთელი რიგი პროგრამები აქაც ჰგავს ერთმანეთს, ხდება თემების გაუმართლებელი დუბლირება და ა.შ. მაგრამ იმ დროს, როცა ქვეყანა ძირითადად ფასიან სამედიცინო მომსახურებაზე გადავიდა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის არათუ მკურნალობა, არამედ ექიმის უბრალო დარიგებაც კი ხელმიუწვდომელი გახდა, რადიოთი გადმოცემული სამედიცინო კონსულტაციები და რჩევა-

დარიგებები ალბათ ბევრისთვის იქნებოდა საჭირო და საინტერესოც.

მიუხედავად იმისა, რომ 1992-2003 წლებში საქართველოს რადიოს სამაუწყებლო ბადე საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, გადაცემებს, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესებს ასახავდა, მასში არცთუ ისე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ეს არსებული სინამდვილის ანარეკლი იყო – სამოქალაქო დაპირისპირებებითა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლით ძალაგამოცლილ ქვეყანას ამ სფეროს განვითარებისათვის არც ფინანსური და არც მატერიალურ-ტექნიკური რესურსები აღარ გააჩნდა და ქვეყნის დიდი მეცნიერული პოტენციალი ძირითადად გამოუყენებელი რჩებოდა. შესაბამისად, რადიოპროგრამაში სამეცნიერო ინფორმაციის წილი საგრძნობლად შემცირდა, თუმცა დროდადრო გადაიცემოდა ცალკეული სამეცნიერო გამოკვლევისა თუ აღმოჩენის შესახებ. ძირითადი ადგილი დაიკავა მეცნიერების განვითარების ახალი გზების ძიებამ, საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობის თემამ, მსოფლიო ტექნიკური მიღწევების პროპაგანდამ და ა.შ.

1993 წლიდან „მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის“ რუბრიკით ეთერში გამოჩნდა ყოველკვირეული 25-30-წუთიანი პროგრამები: „კვანტი“, „ამპლიტუდა“ და „ახალი იდეა“. „კვანტი“ ეთერში გადაიცემოდა 1993 წლის მაისამდე. მისი მთავარი ამოცანა იყო მსმენელებისათვის გაეცნო საქართველოში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექტივები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოგონება-აღმოჩენები, რესპუბლიკაში ახალი ტექნიკის დანერგვის მიმდინარეობა და ა.შ. ანალოგიური პროგრამა იყო „ამპლიტუდა“, რომელიც მხოლოდ დეკემბრის თვეში გადაიცემოდა. პროგრამა „ახალი იდეა“ (ავტორები და წამყვანები – ნანული ჭავჭანიძე და ირინე კეშელავა) ძირითადად გადასცემდა ცნობებს ქართველ გამომგონებელთა მუშაობაზე. სტუდიაში იწვევდნენ ახალ იდეათა ავტორებს, რომლებიც საუბრობდნენ თავიანთ საქმიანობაზე, არსებულ პრობლემებზე. დიდი ყურადღება ეთმობოდა საზღვარგარეთის ფირმებსა და ფონდებს, რომლებიც ზრუნავდნენ საქართველოს ტექნიკური განვითარებისათვის. პროგრამაში ჩართული იყო რეპორტაჟები საწარმოებიდან და სამეცნიერო ლაბორატორიებიდან, სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციებიდან, რომლებიც იმართებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. 1996 წლიდან „ახალი იდეის“ პერიოდულობა დაირღვა – იგი ხან ყოველკვირეულად გადაიცემოდა, ხან ორ

კვირაში ერთხელ ან თვეში ერთხელ. ზოგჯერ კი მას ენაცვლებოდა ცალკეული გადაცემები: „მენეჯმენტი მეცნიერებაში“, „რეფორმა მეცნიერების ორგანიზაციაში“, „საქართველოში მინერალური რესურსების კონცეფცია“, „თბილისის სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტი“, „მონიტორინგი გეოლოგიაში“ და ა.შ.

გარკვეული ადგილი ეჭირა საქართველოს რადიოში ეკოლოგიის თემას. დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე არასასურველმა პროცესებმა, დაუსრულებელმა ეკონომიკურმა კრიზისმა ამ მხრივაც მრავალი პრობლემა წარმოქმნა, რაც სათანადო გადაცემებშიც აისახა. 1992 წლიდან დაიწყო „ეკოლოგიური რადიოპროგრამის“ გადაცემა, რომელიც მზადდებოდა საშინაო პოლიტიკის მთავარ რედაქციაში (ავტორი და წამყვანი ჟურნალისტი ბარბარე ბენაშვილი). იგი ნახევარი საათის ხანგრძლივობისა იყო და 1992-1993 წლებში ყოველთვიურად გადაიცემოდა, 1994-1995 წლებში კი – თვეში ორჯერ. 1996-1998 წლებში მას „ეკოლოგია“ ერქვა და ყოველკვირეულად იყო ეთერში იმავე ქრონომეტრაჟით. პროგრამა რადიომსმენელებს მოუთხრობდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. სტუდიაში მოწვეული ეკოლოგები საუბრობდნენ, თუ როგორ ზიანდება წყლები, ნიადაგი, ტყეები, ნაკრძალები მეწარმეების, ბრაკონიერებისა თუ უბრალოდ ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის მიერ და როგორ ავიცილოთ თავიდან ეს უბედურება. ამ თემაზე რეგულარულად გადაიცემოდა რეპორტაჟები საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან, რომლებსაც სპეციალური კორესპონდენტები ამზადებდნენ. რუბრიკები „ეკოგლობუსი“ და „ეკოდაიჯესტი“ მსმენელებს აცნობდა უცხოეთის ინფორმაციებს როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. 1998 წელს „ეკოდაიჯესტი“ დამოუკიდებელ გადაცემად ჩამოყალიბდა, მაგრამ ეთერში არარეგულარულად გადაიცემოდა. იგი იძლეოდა ინფორმაციას მობილური ტელეფონების მოხმარების წესებზე, კომპიუტერული სისტემების დანერგვაზე, ბენზინგასამართი სადგურების მავნეობაზე და ა.შ.

სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან აღსანიშნავია ყოველკვირეული ნახევარსაათიანი პროგრამა „მათთვის, ვინც გზაშია“, რომელიც 1992-1995 წლებში მზადდებოდა საშინაო პოლიტიკის მთავარ რედაქციაში სპეციალურად მძღოლებისათვის (ავტორი და წამყვანი ჟურნალისტი ზაზა ზვიადაური). მასში საუბარი იყო ტრანსპორტზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მძღოლების

უფლებებსა და მოვალეობებზე, თანამედროვე საუკეთესო მარკის მანქანებზე და სხვ., რასაც ზოგჯერ ემატებოდა ინფორმაციები საგზაო შემთხვევების შესახებ.

თავისი არსით საგანმანათლებლო მაუწყებლობას ესაზღვრება გადაცემები რელიგიის თემაზე – რელიგიური ცოდნის გავრცელებასა და რელიგიური რწმენის დამკვიდრებაზე. მას შემდეგ, რაც საბჭოთა იმპერია დაინგრა და საქართველომ დამოუკიდებლობას მიაღწია, ადრინდელი, სახელმწიფო იდეოლოგიით სავალდებულო ათეიზმი ჩვენს ქვეყანაში წარსულს ჩაბარდა და რელიგიურ თემას მასმედიაში ყოველგვარი შეზღუდვა მოეხსნა. 1992-2000 წლებში კვლავ გრძელდებოდა 15-30-წუთიანი რელიგიური პროგრამის „მწყემსი კეთილის“ გადაცემა (ავტორი თინა კობალაძე, 1996 წლიდან – მარიკა დაუშვილი, უძღვებოდა თინათინ ელბაქიძე). 1994 წლამდე იგი კვირადღეობით იყო ეთერში, შემდეგ კი – ყოველ შაბათ-კვირას. პროგრამაში საუბარი იყო ქრისტიანულ რწმენაზე, მორწმუნე ადამიანების თანამედროვე ცხოვრებაზე, წმინდანთა მოღვაწეობაზე და ა.შ. აღნიშნავდნენ საეკლესიო დღესასწაულებს, მოწამეთა ხსენების დღეებს. რამდენიმე გადაცემა მიეძღვნა წმინდან მეფეთა ცხოვრებას. პროგრამაში ჩართული იყო „საეკლესიო მოამბე“. ხშირად კითხულობდნენ საქართველოს კათალოკოს-პატრიარქის ილია მეორეს ეპისტოლეებს. გადაცემაში აქტიურად მონაწილეობდნენ სამღვდელოების წარმომადგენლები.

1996-1997 წლებში ეთერში იყო რუბრიკა „საუბრები მართლმადიდებლობაზე“. ეს იყო სასულიერო პირთა 10-15-წუთიანი ქადაგებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს ჭეშმარიტი ქრისტიანი, როგორ ტარდება საეკლესიო რიტუალები და სხვ. ამასთან, ისინი პასუხობდნენ მსმენელთა შეკითხვებს, იძლეოდნენ რჩევა-დარიგებას.

1999 წელს შეიქმნა 15-წუთიანი ყოველკვირეული რუბრიკა „საგზალი სულის საზრდოდ“ (2000 წლიდან „საგზალი“). იგი მსმენელებს მოუთხრობდა მორწმუნეთა თავგანწირვაზე ქრისტიანული რწმენის შენარჩუნებისათვის, სხვადასხვა კუთხით განიხილავდა ამა თუ იმ ისტორიულ და რელიგიურ ფაქტებს და ხელს უწყობდა აუდიტორიას გარკვეულიყო სასულიერო საკითხებში.

ამავე წლის 28 აგვისტოს პირველად გავიდა ეთერში საეკლესიო პროგრამა „უფლის გზაზე“, რომელიც მიეძღვნა მარიამობის დღესასწაულს. განმარტებული იყო, თუ რას ნიშნავს ეს დღესასწაული და როგორ უნდა აღნიშნოს იგი ქართველმა მართლმადიდებელმა

ქრისტიანმა. პროგრამის შემდგომი გამოშვებები მიეძღვნა სხვა რელიგიურ თარიღებს ქართველ და უცხოელ დიდმოწამეებს. გადაცემა აუდიტორიას აცნობდა აგრეთვე ძველ და ახალ აღთქმას, ასწავლიდა ფსალმუნებსა და სხვა მნიშვნელოვან ლოცვებს, აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებას.

გარდა ამისა, სპეციალურად მზადდებოდა ცალკეული გადაცემები შობის, აღდგომის, ბზობის, ხარების, ამაღლებისა და სხვა ტრადიციული საეკლესიო დღესასწაულების აღსანიშნავად. მაგალითად, 2000 წლის 30 აპრილს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მიეძღვნა 40-წუთიანი გადაცემა „სიკეთისა და სიყვარულის მადლით“, რომელსაც უძღვებოდა ჟურნალისტი გულნარა ოდიშარია. იგი ესაუბრებოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომელმაც მიულოცა ერს აღდგომა და განმარტა მისი მნიშვნელობა, აგრეთვე განმარტა საეკლესიო საგალობლები, რომელიც პარალელურად ისმოდა ეთერში. ასევე, საინფორმაციო-მუსიკალურ, საბავშვო და ლიტერატურულ პროგრამებში ხშირად იყო რუბრიკები რელიგიურ თემაზე. „დილაადრიანის“ პროგრამით გადაიცემოდა რუბრიკები: „დღე მეექვსე“ და „დღის წმინდანი“. შაბათის ტრადიციული რუბრიკა „დღე მეექვსე“ აუდიტორიას აცნობდა, როგორ წარმოიშვა საეკლესიო ნივთები: ჯვარი, ზარი, საკმეველი, ბარძიმი და ა.შ., როგორ მოექცნენ ქრისტიანულ რწმენაზე ზეციური სასწაულების შედეგად ურწმუნონი და სხვ. რუბრიკა „დღის წმინდანი“ გადაიცემოდა წმინდანთა ხსენების დღეებში და მსმენელებს მოუთხრობდა მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

2001-2002 წლებში რელიგიურ თემაზე საქართველოს რადიოს ბადეში მხოლოდ ერთი პროგრამაა – „წყარო“ (ქრონომეტრაჟი 15 წუთი), 2003 წლიდან კი აღარც ის ჩანს. სავარაუდოა, ეს იმით აიხსნება, რომ ამ პერიოდში უკვე მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს რადიოსადგური „ივერია“, რომელიც მთელ რესპუბლიკაზე ეწევა მაუწყებლობას.

5. საბავშვო და ახალგაზრდული მაუწყებლობა

საქართველოს რადიოში ყოველთვის იყო საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის განკუთვნილი თითო-ოროლა „მისამართიანი“ რუბრიკა (მაგალითად, გადაცემები ქალებისათვის, მშობლებისათვის, მძღოლებისათვის, ენების შემსწავლელთათვის და ა.შ.). მაგ-

რამ არსებითად მაუწყებლობის ეს სისტემა მოიცავდა ორ დიდ სფეროს – საბავშვო და ახალგაზრდულ მაუწყებლობას. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ყველაზე გამოკვეთილი იყო **საბავშვო მაუწყებლობა.** იგი 1992-2004 წლებშიც ინარჩუნებდა თავის სისტემურ სახეს, რადგან ერთდროულად მოიცავდა სხვადასხვა ასაკის აუდიტორიას (უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებს) და სხვადასხვა სახის მაუწყებლობასაც (პუბლიცისტურს, საგანმანათლებლოს, მხატვრულს). სამაუწყებლო რუბრიკების სისტემაც ამგვარ დიფერენციაციაზე იყო დამყარებული. ნაწილი ადრინდელი რუბრიკებისა („ციცინათელა“, „ძილისპირული“, „ცხრა-ნახევარი“, „წიგნის თარო“ და სხვ.) ისევ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ძირითადად პროგრამა ახალი რუბრიკებისაგან შედგებოდა, რაც უპირველესად განპირობებული იყო საბავშვო მაუწყებლობის მკვეთრი დეიდეოლოგიზაციით, პოლიტიკური აღზრდის ნაცვლად დიდაქტიკური და საგანმანათლებლო ფუნქციების წინ წამოწევით, ნორჩი თაობისათვის პატრიოტული სულისკვეთების ჩანერგვით.

ეს რუბრიკები მზადდებოდა საქართველოს რადიოს საყმაწვილო-საგანმანათლებლო პროგრამების მთავარ რედაქციაში – ასე ეწოდა მას 1992 წლიდან, როცა კვლავ გამოეყო საბავშვო და ახალგაზრდული პროგრამების მთავარ რედაქციას და ისევ დამოუკიდებელი სტატუსი შეიძინა (მთავარი რედაქტორი ჯულიეტა ლომთაძე). ამ პერიოდში რედაქციაში მუშაობდნენ: ანზორ გელაშვილი, ემა ბუგიანაშვილი, დოდო იაშვილი, ლილი ჭანიშვილი, თამარ გამრეკელი, თამარ კიკვაძე, ივანე ჯაფარიძე, რუსუდან ვარძიაშვილი, ირმა ხარშილაძე, ნელი რუსიშვილი, მაია მაცხონაშვილი, გურანდა კასრაძე, ნინო ჯიჯავაძე, ცისანა ელისაშვილი.

რადიოს საყმაწვილო-საგანმანათლებლო პროგრამები ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალთემიანობით, მაგრამ გადაცემების ფორმა სპეციფიკური იყო: თამაშის, დადგმის ელემენტები, კონკურსები, ვიქტორინები, მსმენელებთან უშუალო კონტაქტი, თავად მათი მონაწილეობა გადაცემებში განაპირობებდა იმას, რომ მოზარდებისათვის საინტერესო და ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო სერიოზული მოვლენები და პრობლემები. ეს განსაკუთრებით უმცროსი და საშუალო ასაკის ბავშვებს შეეხება. 1999 წლამდე ყოველკვირეულად გადაიცემოდა პატარა მსმენელებისათვის 20-წუთიანი „რადიოსადგური „ციცინათელა“ – მოკლე ზღაპარი-დადგმები. ზოგჯერ მას რადიოკომპოზიციის ფორმაც ჰქონდა და გარკვეულ თემას ეძღვნებო-

და. ასევე გრძელდებოდა მათთვის საღამოს ზღაპრის – „ძილისპირულის“ გადაცემა, რომელიც ეთერში იყო ყოველდღე, კვირისა და ორშაბათის გარდა (15 წუთი). 1993-1999 წლებში პატარებისთვის იყო განკუთვნილი აგრეთვე ყოველკვირეული ნახევარსაათიანი პროგრამა „ქაღალდის ფრანი“ („ეძღვნება მათ, ვისაც უყვარს ფრენა და ამისთვის ხანდახან ქაღალდის ფრანსაც აკეთებს“). პროგრამის ავტორი და მუდმივი წამყვანი, ბავშვების დიდი მეგობარი და მესაიდუმლე „გუგა“ (გურანდა კასრაძე) ადვილად ამყარებდა ურთიერთობას ამ სპეციფიკურ აუდიტორიასთან. ბავშვები მას უსვამდნენ უამრავ შეკითხვას მათთვის საინტერესო თემებზე და თვითონაც თამამად საუბრობდნენ რეალურ თუ გამოგონილ ამბებზე. გადაიცემოდა ნაწყვეტები საბავშვო სპექტაკლებიდან, მუსიკალური ნომრები, თვითონ ბავშვთა შემოქმედება – ლექსები, ჩანახატები, მოთხრობები და ა.შ. ხშირად ბავშვები ურეკავდნენ წამყვანს და მასთან საუბარში იბადებოდა გადაცემის ახალი თემა, რომლის ფორმას განაპირობებდა სერიოზული საგნების შესახებ მსუბუქი იუმორით გაჯერებული დიალოგი, სახალისო ფორმით მიწოდებული ინფორმაცია.

შემეცნებით-გასართობი პროგრამა „ბარდნალა“ მსუბუქი, ხალისიანი ფორმით პატარებს აწვდიდა ინფორმაციას ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა სამყაროს შესახებ, კოსმოსზე, ბუნების მოვლენებზე, ისტორიაზე, ფოლკლორზე, ხელოვნებაზე და ა.შ. გადაცემაში ჩართული იყო თემის შესაბამისი სიმღერები, ზღაპრები, ლექსები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში თავად ბავშვები კითხულობდნენ. შემეცნებითი მასალა ემყარებოდა დიალოგს წამყვანსა (მაია მაცხონაშვილი) და გადაცემის მუდმივმოქმედ ზღაპრულ პერსონაჟებს შორის. პროგრამა გადაიცემოდა კვირაში ერთხელ 1997 წლის იანვრიდან 2000 წლის სექტემბრამდე.

2000-2004 წლებში „ბარდნალის“ ფუნქციას რამდენადმე აგრძელებდა გადაცემა „ზღაპარეთი“, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვების ფანტაზიის გაღვივებასა და მეხსიერების განვითარებას. გადაცემის წამყვანი ნინო ჯიჯავაძე ბავშვებს უამბობდა ზღაპარს და შემდეგ ესაუბრებოდა მასში წამოჭრილ სხვადასხვა თემაზე. რუბრიკაში „ჯადოსნური ჭოგრიტი“ მსახიობების მიერ გაცოცხლებული ზღაპრის გმირები მსმენელებს ზღაპარეთის ქვეყნის სიახლეებს აცნობდნენ, ხოლო „ზღაპარეთის სკივრში“ საყვარელ ზღაპრებს ყვებოდნენ. „ჯადოსნური პატეფონი“ ბავშვებს მხიარულ სიმღერებს ასმენინებდა.

ბავშვობის თემას უკავშირდებოდა „გემი „ბავშვობა“ (ავტორები – რუსუდან ვარძიაშვილი და ირმა ხარშილაძე), რომელიც 1999-2001 წლებში თვეში ერთხელ ენაცვლებოდა პროგრამა „აბლაბუდას“. ეს იყო სიმბოლური „გემი“ თავისი მუდმივი ეკიპაჟით (კაპიტანი, შტურმანი, კოკი, მეზღვაურები), რომელზეც სტუმრად იწვევდნენ რომელიმე პოპულარულ პიროვნებას თავის ბავშვობაში სამოგზაუროდ. იგი იგონებდა თავის ეზოს, ბაღს, სკოლას, იხსენებდა ბავშვობაში საყვარელ სიმღერებს, ლექსებს და ა.შ. გადაცემას თან ახლდა ვიქტორინა მსმენელებისათვის და გამარჯვებულ ბავშვებს იწვევდნენ შემდეგ შეხვედრაზე.

საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის მაუწყებლობას უკვე დიფერენცირებული ხასიათი ჰქონდა – ეთერში იყო როგორც პუბლიცისტური, ისე საგანმანათლებლო და მხატვრული გადაცემები.

საყმაწვილო პუბლიცისტური პროგრამა იყო „დილა მშვიდობისა!“, რომელიც 1991 წელს დაიწყო და 1994 წლის ბოლომდე გრძელდებოდა, მისი მთავარი თემა სკოლა და მასთან დაკავშირებული პრობლემები იყო (წამყვანები რუსუდან ვარძიაშვილი და ირმა ხარშილაძე, გადაიცემოდა ყოველკვირეულად 30 წუთის ხანგრძლივობით).

შერეული სახის, პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო თუ პუბლიცისტურ-მხატვრულ პროგრამებს წარმოადგენდნენ „ცხრა-ნახევარი“ და „აბლაბუდა“. ლილი ჭანიშვილისა და დოდო იაშვილის პროგრამა „ცხრა-ნახევარი“, როგორც ადრე აღინიშნა, 1989 წელს შეიქმნა და 1994 წლის ბოლომდე ყოველ კვირადღეს გადაიცემოდა ეთერში 30 წუთის ხანგრძლივობით. სასკოლო ცხოვრების ასახვასთან ერთად პროგრამა ბავშვებს აცნობდა საქართველოს ისტორიის ღირსშესანიშნავ ეპიზოდებს, ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს, უყვებოდა სენსაციურ და სახალისო ამბებს და ანეკდოტებს. თითქმის ყველა გამოშვებაში განმარტავდნენ რელიგიის სხვადასხვა საკითხებს ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე, აღნიშნავდნენ საეკლესიო დღესასწაულებს და ა.შ. პროგრამას თავად მოსწავლეები უძღვებოდნენ.

პროგრამა „აბლაბუდა“ 1992 წლიდან ყოველკვირეულად გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში 2004 წლის მეორე ნახევრამდე 40 წუთის ხანგრძლივობით (აქედან 15 წუთი ეთმობოდა ბავშვთა ქართული სიმღერის „ჰიტ-აღლუმს“), უძღვებოდნენ ავტორები – რუსუდან ვარძიაშვილი და ირმა ხარშილაძე. პროგრამა ძირითადად სასკოლო ცხოვრების ამსახველ სიუჟეტებს შეიცავდა. გადაიცემოდა რეპორ-

ტაჟები სკოლებიდან, ინტერვიუები მოსწავლეებთან, ინფორმაციები კულტურის სხვადასხვა სფეროდან, ნორჩ ხელოვანთა შემოქმედების ნიმუშები. პროგრამას ჰყავდა თავისი სპორტული კომენტატორი და ჰქონდა საგანმანათლებლო რუბრიკები. „ჰიტ-აღლუმის“ მიზანი იყო საბავშვო აუდიტორიაში ქართული საბავშვო სიმღერის პოპულარიზაცია, ნიჭიერი მომღერალი ბავშვების გამოვლენა. წამყვანები (ბავშვი და პოპულარული მომღერალი) ყოველ გამოშვებაში წარადგენდნენ სამ საკონკურსო სიმღერას და ბავშვების სატელეფონო ზარების მიხედვით თვის ბოლოს გამოვლინდებოდა მათ შორის საუკეთესო – თვის ჰიტი. ყოველწლიურად ან წელიწადში ორჯერ კი ხდებოდა გამარჯვებულთა პრიზებით დაჯილდოება. აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის საკუთარი მუსიკალური ფონდიც შეიქმნა.

განსხვავებული ხასიათის იყო (ადრინდელი წლების გადაცემას – „ყველას საფიქრალსა და საზრუნავს“ ეხმიანებოდა) ტოქშოუ „ერთად“, რომელიც 2002-2004 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა 50 წუთის ხანგრძლივობით. იგი ეხებოდა იმ მწვავე პრობლემებს, რომლებიც მოზარდების წინაშე დააყენა ქვეყნის დღევანდელმა მდგომარეობამ (დანაშაულობათა ზრდა, ნარკომანია, პროსტიტუცია, მათხოვარი ბავშვები და სხვ.). სახელწოდება ალბათ მიანიშნებდა, რომ ამ პრობლემების გადაჭრა მხოლოდ საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით არის შესაძლებელი. სტუდიაში თავშეყრილი მშობლები, პედაგოგები, ფსიქოლოგი ან სხვა სპეციალისტი ღია ეთერში ისმენდნენ წინასწარ მომზადებულ სიუჟეტს ზემოთ აღნიშნულ რომელიმე საკითხზე, შემდეგ კი იწყებოდა მასზე მსჯელობა, რომელშიც ტელეფონით რადიომსმენელებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ასე რომ, ეს გადაცემა მოზარდების გარდა უფროსი თაობის მსმენელებისთვისაც იყო განკუთვნილი (ავტორები – რუსუდან ვარძიაშვილი და ირმა ხარშილაძე).

2001 წლის სექტემბრიდან ერთი წლის განმავლობაში და შემდეგ 2003 წელს ეთერში იყო ამავე ავტორების გადაცემა „კლუბი „პ“ (ანუ პროფესიონალთა კლუბი – 40 წუთი). იგი მოზარდების პროფესიულ ორიენტაციაც ემსახურებოდა და აცნობდა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს. გადაცემის პირველ ნაწილში სტუდიაში მყოფი მოზარდები ისმენდნენ სათანადო ინფორმაციას რომელიმე კონკრეტულ პროფესიაზე და გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს. მეორე ნაწილში სტუმრად მოწვეული აღნიშნული პროფესიის წარმო-

მადგენლები საუბრობდნენ თავიანთი საქმიანობის შესახებ და პასუხობდნენ ბავშვების შეკითხვებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საბავშვო-საგანმანათლებლო მაუწყებლობას (ეს თვითონ რედაქციის სახელწოდებაშიც გარკვევით არის მითითებული – „საყმაწვილო-საგანმანათლებლო“). 1992-1995 წლებში კვლავ გრძელდებოდა ტრადიციული ყოველკვირეული ნახევარსაათიანი პროგრამის „წიგნის თაროს“ გადაცემა (ავტორი დოდო იაშვილი, უძღვებოდნენ დიქტორები: ელენე ტაბლიაშვილი და თემურ ჩხიკვაძე). იგი ბავშვებს აცნობდა ქართველი და უცხოელი თანამედროვე მწერლების შემოქმედებას. ასევე გრძელდებოდა ანზორ გელაშვილის საავტორო ციკლი „ცხოვრება ხელოვნებაში“ (მხატვრებსა და მოქანდაკეებზე).

ანზორ გელაშვილი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ჟურნალისტი იყო საქართველოს რადიოში. მისი ბევრი, მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებული გადაცემა (ძირითადად რადიონარკვევები) დღემდე ინახება რადიოს აუდიოფონდში. მაგრამ მისი დიდი ერუდიცია, ლიტერატურული ნიჭი და დახვეწილი გემოვნება ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა პროგრამა „სარკეში“. იგი პირველად გავიდა ეთერში 1992 წლის დეკემბერში და ავტორის გარდაცვალებამდე, 2003 წლის ბოლომდე, ყოველკვირეულად გადაიცემოდა ჯერ ნახევარი საათის, შემდეგ კი 40 წუთის ხანგრძლივობით (დროდადრო ახლაც გამოჩნდება ხოლმე საფონდო ჩანაწერის სახით).

საგანმანათლებლო-პუბლიცისტური გადაცემა „სარკე“ (როგორც ცხადდებოდა) ფაქტობრივად რადიოესეების სერიალი იყო, რომელსაც ეთერში კითხულობდნენ: თინა ელბაქიძე, ზინა კვერენჩხილაძე, თენგიზ არჩვაძე, გიზო სიხარულიძე და მხატვრული კითხვის სხვა გამოჩენილი ოსტატები. იგი მოზარდებს აცნობდა გამოჩენილი ქართველი და უცხოელი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, პოეტების, მხატვრების, მუსიკოსების, კინოსა და თეატრის შემოქმედთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ვინც წარუშლელი კვალი დატოვა საკაცობრიო, უპირატესად მხატვრული აზროვნების ისტორიაში. „მთავარი ამ პროგრამაში ქართული სამყარო და ქართული ესთეტიკური აზრია – ქართული პოეზიის, ქართული მუსიკის, ქართული თეატრისა და მხატვრობის შედევრები, რომელსაც სიყმაწვილიდანვე უნდა შეეხო და ეზიარო“ – იუწყებოდა გადაცემის ანონსი. სხვადასხვა დროს გადაცემის გმირები იყვნენ: დავით აღმაშენებელი, ვახტანგ VI, ქეთევან დედოფალი, გიორგი მთაწმინდელი, დიმიტ-

რი ყიფიანი, არჩილ ჯორჯაძე, მირზა გელოვანი, მიქელანჯელო, პიკასო და სხვ. თუმცა გადაცემების დიდი ნაწილი უცხოელებს ეძღვნებოდა, მაქსიმალურად იყო წინ წამოწეული მათი დამოკიდებულება საქართველოსადმი. ქართული კულტურისადმი (მაგალითად, გადაცემაში ბორის პასტერნაკის შესახებ). „სარკეში“ უხვად იყო გამოყენებული საქართველოს რადიოს აუდიოფონდის უნიკალური ჩანაწერები. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა მუსიკას – ჟღერდა მხოლოდ კლასიკური მუსიკის შედევრები.

1993-1999 წლებში ყოველკვირეულად იყო ეთერში 45-წუთიანი პროგრამა „ირაო“ (ავტორი და წამყვანი ივანე ჯაფარიძე). მისი მთავარი თემა იყო მოგზაურობა, საერთოდ, გეოგრაფია. ბავშვებს მიეწოდებოდა საინტერესო ცნობები მსოფლიოს ქვეყნების, ოკეანეების, მდინარეების, მთების და ა.შ. შესახებ; საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ ისტორიულ ძეგლებზე, გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მოგზაურებზე და ა.შ. მუდმივად იყო რუბრიკები: „მსოფლიო მოგზაურები“, „მივიწყებული აღმოჩენები“, „ვარაუდი“ „საინტერესო ამბების სამყაროში“ და სხვ. პროგრამაში ჩართული იყო რეპორტაჟები, ინტერვიუები, გამოსვლები და ა.შ. გარკვეულწილად ანალოგიური ხასიათისა იყო პროგრამა „ქვეყანათმცოდნეობის დარბაზი“, რომელიც კვირაში ერთხელ გადაიცემოდა 45 წუთის ხანგრძლივობით (ავტორები – ნელი რუსიშვილი და ლილი ჭანიშვილი). იგი ბავშვებს აცნობდა სხვადასხვა ქვეყნის ისტორიასა და თანამედროვე ცხოვრებას, კულტურას, ხელოვნებას, ეროვნულ ტრადიციებს და ა.შ.

2000 წლის სექტემბერში პირველად გავიდა ეთერში ლილი ჭანიშვილის საავტორო პროგრამა „ქართლის ცხოვრება“, რომელიც მიეძღვნა დმანისში მილიონ შვიდასი ათასი წლის წინანდელი პირველყოფილი ადამიანების თავის ქალების აღმოჩენას. მას შემდეგ – 2004 წლის ბოლომდე, იგი ყოველკვირეულად გადაიცემოდა 30 წუთის ხანგრძლივობით და ყოველი გამოშვება ეხებოდა ერთ რომელიმე კონკრეტულ თემას – ერთი მეფის მოღვაწეობას, კულტურის ერთ ძეგლს ან ისტორიის ერთ გამოკვეთილ პერიოდს. მაგალითად, ერთ გადაცემაში საუბარი იყო X-XI საუკუნეში საქართველოს გაერთიანებაზე, სხვა გადაცემა მთლიანად მიეძღვნა სვეტიცხოვლის ტაძარს და ა.შ. ყოველ გადაცემაში თემის შესაბამისად მოწვეული იყო ერთი ისტორიკოსი ან სხვა სპეციალისტი (ანდრია აფაქიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, დევი კაჭარავა, დავით ხოშტარია და სხვ.). მათი მო-

ნათხრობი შევსებული იყო მსახიობების მიერ წაკითხული ეპიზოდებით „ქართლის ცხოვრებიდან“, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიიდან“, ვახტანგ ბერიძის „ძველი ქართული ხუროთმოძღვრებიდან“ და ა.შ. ასევე ჩართული იყო თემასთან დაკავშირებული მხატვრული ნაწარმოებების ნაწყვეტები (მაგალითად, ნაწყვეტი კ. გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ და ხალხური ლექსი „ხეკორძულას წყალი მისვამს“).

საგანმანათლებლო მაუწყებლობის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა გადაცემა „რადიოაუქციონი“ (ჟურნალისტები – დოდო იაშვილი და თამარ კიკვაძე). იგი, რა თქმა უნდა, მხოლოდ საბავშვო აუდიტორიისათვის არ იყო განკუთვნილი და არსებითად იმდროინდელი სოციალური რეალობით იყო განპირობებული. „რადიოაუქციონს“ გამოკვეთილი ორგანიზატორული ფუნქცია ჰქონდა – წიგნების პროპაგანდა-გაყიდვა. წამყვანი ასახელებდა სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის წიგნებს (ძირითადად მხატვრულ ლიტერატურას), მოკლედ უამბობდა მსმენელებს მათ შესახებ, აცნობდა სად და რა ფასად შეეძლოთ მათი შეძენა. გადაცემა პირველად 1994 წელს გავიდა ეთერში და იმ დუხჭირ პერიოდში ბევრი ინტელიგენტური ოჯახი სთავაზობდა რედაქციას წიგნებს გასაყიდად თავისი ბიბლიოთეკიდან.

მომდევნო წლებში „რადიოაუქციონის“ თემატიკა თანდათან გაფართოვდა: ეწყობოდა რეპორტაჟები წიგნების ბაზრობებიდან და ლიტერატურული საღამოებიდან; აღინიშნებოდა მწერლების, მუსიკოსების, იუბილეები, საეკლესიო თარიღები; გადაიცემოდა უნიკალური ჩანაწერები საქართველოს რადიოს აუდიოფონდიდან; პირდაპირ ეთერში იკითხებოდა პოეზიის ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები, რელიგიური თუ ფილოსოფიური წიგნების ფრაგმენტები, საზღვარგარეთის საბავშვო ლიტერატურის ნიმუშები. 2001-2002 წლებში მას ჯერ „კარცერი „ლუქსი“ ერქვა, შემდეგ კი – „რადიობიბლიოთეკა“ და ყოველკვირეულად გადაიცემოდა 20 წუთის ხანგრძლივობით. შუქდებოდა მიმდინარე კულტურული მოვლენები. რუბრიკა „ახალი გამოცემები“ ოპერატიულ ინფორმაციას იძლეოდა ახალგამოსული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შესახებ. სტუდიაში იწვევდნენ მეცნიერებს, მუსიკოსებს, პოლიტიკოსებს (გ. შარაძე, ნ. წულეისკირი, ბ. კვერნაძე, მ. სააკაშვილი და სხვ.), მათთან საუბარში ხშირად ერთვებოდნენ რადიომსმენელებიც. მწერლები კითხულობდნენ ნაწყვეტებს თავიანთი ნაწარმოებებიდან და ა.შ. ეთერში იყო რუბრიკები: „სიტყვის სალარო“, „ოქროს ფონდი“, „ჩემი საყვარელი წიგ-

ნი“, „ჩემი საყვარელი ლიტერატურული გმირი“ და სხვ. 2003 წელს გადაცემის სახელი ისევ შეიცვალა და ეწოდა „ეძიე წიგნი“, გადაიცემოდა 2004 წლის ივლისამდე.

ცალკე უნდა გამოიყოს შემეცნებით-გასართობი პროგრამა „რისკი“ – როგორც ეთერში ცხადდებოდა, „ჭკუის გასავარჯიშებელი-გასამხიარულებელი-გასართობი-დასასვენებელი თამაში“, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვებისათვის საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გაცნობას. მასში მონაწილეობდა ორი სასკოლო გუნდი. კონკურსი 6 ეტაპად მიმდინარეობდა და თითოეული მათგანი ემსახურებოდა გუნდების წევრთა ცოდნის გამოვლენას, აგრეთვე მათი იმპროვიზაციის უნარის გამომჟღავნებას. კონკურსების შედეგებს აფასებდა ცნობილი ადამიანებისგან შემდგარი „ბრძენთა საბჭო“, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ გულშემატკივრებს შეეძლოთ. „რისკი“ 1992-1993 წლებში თვეში ორჯერ გადაიცემოდა 1 საათის ხანგრძლივობით, უძღვებოდნენ ავტორები – რუსუდან ვარძიაშვილი და ირმა ხარშილაძე. ფაქტობრივად ეს იყო თამაშის ფორმის ერთადერთი გადაცემა მთელ იმდროინდელ საბავშვო-საგანმანათლებლო მაუწყებლობაში.

ასევე, ერთადერთი სასწავლო გადაცემა იყო 1991-2004 წლებში „ვისაც ინგლისური ენის შესწავლა სურს“. იგი ყოველდღიურად გადაიცემოდა, გარდა კვირადღისა, ადრე დილით, 20 წუთის ხანგრძლივობით და მეორდებოდა გვიან საღამოს.

საბავშვო მაუწყებლობის კიდევ ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა მხატვრული გადაცემები – მხატვრული ნაწარმოებების კითხვა, რადიოდადგმები, მუსიკალური კონცერტები და პროგრამები. მზადდებოდა რუბრიკა – „მწერალი, რომელსაც უნდა იცნობდეთ“ (მაგალითად, გადაცემა შიო არაგვისპირელზე 1993 წელს, შემდეგ ეს რუბრიკა 1999 წელსაც გამოჩნდა). პერიოდულად გადაიცემოდა რადიოდადგმები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა საბავშვო გადაცემების მთავარ რედაქციაში და საკმაოდ მდიდარი ფონდი შეადგინა. 2002 წლის სექტემბრიდან ეთერში გავიდა ციკლი „ვკითხულობთ ბიბლიას“ (ამგვარი გადაცემის მომზადების პირველი ცდა ჯერ კიდევ 1993 წელს იყო – ციკლს ერქვა „ვკითხულობთ ძველ აღთქმას“). მას საფუძვლად ედო იაკობ გოგებაშვილის „საღვთო ისტორია“ („ძველი აღთქმის“ პოპულარული გადმოცემა) და ბავშვებისათვის განკუთვნილი „ახალი აღთქმის“ ადაპტირებული ვარიანტი. პროექტის ავტორი იყო ჯულიეტა ლომ-

თაძე, ტექსტს კითხულობდა მსახიობი გრიგოლ წიტაიშვილი, ხოლო ყოველი თვის ბოლოს წაკითხულის განმარტებებს იძლეოდა სასულიერო აკადემიის ლექტორი, საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსი ზურაბ ცხოვრებაძე. 2004 წლის ივნისის ბოლოს ციკლი შეწყდა და აღარ გაგრძელებულა.

დიდი ცვლილება განიცადა საბავშვო მუსიკალურმა მაუწყებლობამ. ერთადერთი ტრადიციული გადაცემა, რომელიც 1992-1993 წლებში შემორჩა, იყო „მუსიკის საათი ბავშვებისათვის". ყველა სხვა რუბრიკა, რომელიც 2004 წლის ივლისამდე გადაიცემოდა, ახალი იყო. ეს ცვლილება განაპირობა, ერთი მხრივ, თანამედროვე მუსიკისადმი გაძლიერებულმა ინტერესმა და, მეორე მხრივ, მაუწყებლობის ახალი ფორმების ძიებამ. 1992-1996 წლებში თვეში ორჯერ გადაიცემოდა პროგრამა „ფავორიტები", რომლებსაც უძღვებოდნენ სანდრო სტაჟაძე და გიორგი ხმალაძე. ისინი მსმენელებს მოუთხრობდნენ სხვადასხვა მუსიკალური მიმართულების აღმოცენებასა და განვითარებაზე, ცალკეული მუსიკალური ჯგუფებისა და შემსრულებლების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მთავარი ყურადღება ექცეოდა პოპ-მუსიკისა და როკ-მუსიკის წარმომადგენლებს. პროგრამაში უხვად იყო ჩართული მუსიკალური ნაწარმოებები.

1995-1996 წლებში თვეში ორჯერ გადაიცემოდა 40-წუთიანი პროგრამა „დებიუტი" (ავტორები – თამარ გამრეკელი და ციცინო მენთეშაშვილი). მისი მიზანი იყო თანატოლებისათვის გაეცნო ნორჩი მუსიკოსები, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამდნენ შემოქმედებით გზაზე. მსგავსი ხასიათისა იყო ყოველკვირეული ნახევარსაათიანი პროგრამა „დუეტი". ორი ნორჩი წამყვანი სტუდიაში ესაუბრებოდა ბავშვების საყვარელ კომპოზიტორებს თუ კულტურის სხვა მოღვაწეებს. ისინი ყვებოდნენ თავიანთ ცხოვრებაზე, პასუხობდნენ შეკითხვებს პროფესიული საქმიანობის შესახებ. სტუდიაში მყოფი ნორჩი მუსიკოსები ასრულებდნენ მოწვეული კომპოზიტორების ნაწარმოებებს, ეწყობოდა მინივიქტორინა და ა.შ.

მუსიკალურ მაუწყებლობას უკავშირდებოდა საბავშვო რადიოთეატრი „მოსაწვევი ბარათი". მოსწავლეთა (ძირითად, ხელოვნების გიმნაზიის) მონაწილეობით იდგმებოდა მუსიკალური ზღაპრები, კომპოზიტორების ინსცენირებული ბიოგრაფიები. ასევე ინსცენირების სახით ბავშვები ეცნობოდნენ სხვადასხვა სამუსიკო საკრავებს.

2000 წელს საბავშვო მუსიკალურ პროგრამებს შეემატა ყოველთვიური ნახევარსაათიანი პროგრამა „დაბადების დღე". სტუდიაში

თავს იყრიდნენ იმ თვეში დაბადებული თანამედროვე კომპოზიტორები და მუსიკოსები, ბავშვები, რომლებმაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს (სხვადასხვა ფესტივალების, კონკურსებისა თუ ოლიმპიადების გამარჯვებულები, სპორტულ შეჯიბრებათა პრიზიორები და ა.შ.). გარდა ამისა, კალენდარულად აღინიშნებოდა კლასიკოსი მუსიკოსების საიუბილეო თარიღებიც. გადაცემას ჰქონდა რადიოწვეულების ფორმა – მისი მონაწილეები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ყვებოდნენ კურიოზებს და სასაცილო ამბებს, საჩუქრად კი იღებდნენ მუსიკალურ მილოცვებსა და ლექსებს. ეწყობოდა სახალისო მინივიქტორინაც.

სხვა გადაცემებისაგან უთუოდ გამოირჩეოდა შემეცნებით-გასართობი ხასიათის საყმაწვილო-მუსიკალური ვიქტორინა „მხიარული მელომანები“, რომელიც 2000-2002 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა 30 წუთის ხანგრძლივობით (ავტორები – თამარ გამრეკელი და ციცინო მენთეშაშვილი). სტუდიაში მოთამაშე გუნდში გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა სამუსიკო სკოლის IV-X კლასის მოსწავლეები. მათ ევალებოდათ არა მარტო გამოეცნოთ მოსმენილი ნაწარმოები, არამედ გამოემჟღავნებინათ მუსიკალური ლიტერატურის ცოდნაც და მსმენელისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია კომპოზიტორზე, ნაწარმოების ჟანრზე, მისი შექმნის ისტორიაზე. ვიქტორინა რომ ცალმხრივი არ ყოფილიყო, თამაშში ჩართული იყვნენ პატარა რადიომსმენელებიც. გადაცემის მსვლელობისას ისინი რეკავდნენ რედაქციაში და პასუხობდნენ შეკითხვებს (რადგან ეთერში ჩაწერილი გადაცემა მიდიოდა, სწორი პასუხის ავტორები შემდეგ გადაცემაში ვლინდებოდა). სტუდიაში მყოფ ბავშვებთან ერთად ქულებს რადიომსმენელებიც აგროვებდნენ და თამაშის პირობების თანახმად ემატებოდნენ სტუდიაში მოთამაშე გუნდს. საახალწლოდ გამარჯვებულები ცნობილი ხდებოდნენ და ჯილდოვდებოდნენ სამახსოვრო პრიზებითა და სიგელებით.

გარდა ზემოთ განხილული გადაცემებისა, საყმაწვილო მუსიკალური მაუწყებლობა სისტემატურად აშუქებდა მრავალრიცხოვან ფესტივალებს, კონკურსებს, საბავშვო მუსიკის კვირეულებს და, რაც მთავარია, თვითონაც გამოდიოდა ფესტივალების ორგანიზატორად. სწორედ მისი დიდი მონდომებით 1996 წლიდან 2003 წლის ჩათვლით რვაჯერ მოეწყო ბავშვთა ქართული სიმღერის ფესტივალი „გაზაფხულის ზარები“ (ფესტივალის დირექტორი – ჯულიეტა ლომთაძე, სამხატვრო ხელმძღვანელები – ირმა ხარშილაძე და რუ-

სუდან ვარძიაშვილი, მუსიკალური ხელმძღვანელი – გია ნაცვლიშვილი). ფესტივალის მიზანი იყო ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერის პოპულარიზაცია, ახალი საბავშვო სიმღერების აჟღერება, ნიჭიერ ბავშვთა აღმოჩენა, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს შორის მჭიდრო კულტურული ურთიერთობის დამყარება. სამწუხაროდ, როგორც საყმაწვილო-საგანმანათლებლო პროგრამების მთავარი რედაქციის ყველა სხვა საინტერესო წამოწყება, ეს ფესტივალებიც შეწყდა: 2004 წლის ივლისიდან რედაქცია საერთოდ გაუქმდა და საქართველოს რადიოს პროგრამაში საბავშვო გადაცემებიდან მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“ დარჩა (ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე „ძილისპირულისა“ და „სარკის“ საფონდო ჩანაწერებიც).

დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო რადიოში მკვეთრი ცვლილებები განიცადა **ახალგაზრდულმა მაუწყებლობამ.** ჯერ ერთი, კომუნისტური აღზრდის ფუნქცია, რომელიც ახალგაზრდული მაუწყებლობის საფუძველს წარმოადგენდა, შეიცვალა დემოკრატიული აზროვნების დანერგვისა და ახალგაზრდობის ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის ამოცანებით; მეორე, საბჭოთა კავშირის დაშლამ და საქართველოში განვითარებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა (სახელმწიფო გადატრიალება, შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირება, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ეკონომიკური სტაგნაცია და ა.შ.) უდიდესი გავლენა იქონია ახალგაზრდობის ცხოვრებაზე და თავისი ასახვა პოვა ახალგაზრდულ გადაცემებშიც. ამასთან, 90-იანი წლებიდან პუბლიცისტური პროგრამების გვერდით სულ უფრო იმატა საგანმანათლებლო და გასართობმა პროგრამებმა, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია თანამედროვე ახალგაზრდული სუბკულტურისათვის, ხოლო მეორე ნახევრიდან თითქმის მთლიანად დაიკავა ახალგაზრდული მაუწყებლობის ეთერი. ამ პროცესის ლოგიკური დასასრული იყო ის, რომ 2000 წლიდან რედაქციის ტრადიციული სახელწოდებაც გაუქმდა და მას შემეცნებით-გასართობი პროგრამების მთავარი რედაქცია ეწოდა. რედაქციის შემადგენლობაში ამ პერიოდში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: მანანა ლაჭყეპიანი (მთავარი რედაქტორი), მარინე ანდრონიკაშვილი, მზია გოგნიაშვილი, მაია გვრიტიშვილი, ლალი დათუკიშვილი, ზეზვა ზვიადაური, გულიკო კაკაბაძე, ნინო კვარაცხელია, თამარ კიკვიძე, მაია კრაწაშვილი, გიორგი ლეონიძე, ქეთინო მაღრაძე, ილია მხეიძე, თამარ ოქრუაშვილი, ნინო ჟღენტი, ნატო რობაქიძე, სოსო სიმონიშვილი, ამირან უსენაშვილი და სხვ.; მუსიკა-

ლური რედაქტორები: ნინო თორაძე, გურამ პაატაშვილი, დავით ჩაბრაძე, გოგი ჩლაიძე, რეჟისორები: თემურ ალექსიშვილი, ნინო ანდრონიკაშვილი, ზურაბ მექვაბიშვილი.

როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდული (შემდგომ კი – შემეცნებით-გასართობი) გადაცემების მთავარი რედაქციის პროგრამებში 1992-2004 წლებში სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა – პუბლიცისტური, საგანმანათლებლო და გასართობი (რიგ გადაცემებში ისინი გაერთიანებულიც არის). 1992 წელს წინა წლის პუბლიცისტური პროგრამა „მე-10 სტუდია“ შეიცვალა ასევე ყოველკვირეული ერთსაათიანი პროგრამა „არეალით“, რომელიც უფრო მრავალფეროვანი იყო – გადასცემდა პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სიახლეებს, დედაქალაქის ამბებს (ავტორები ნატო რობაქიძე და ნინო კვარაცხელია). მასში აქტიურად განიხილებოდა ახალგაზრდობის პრობლემები, სტუდენტთა ცხოვრება, ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა. აღსანიშნავია რუბრიკები: „ზნეობა და პოლიტიკა“, „ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“ (1994 წლიდან) და სხვ. 1996 წლიდან „არეალი“ 25-წუთიანი გახდა და მას ახალი ავტორები – ილია მხეიძე და მაია კრაწაშვილი ამზადებდნენ. წინა პროგრამის მსგავსად ისიც აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა. სტუდიაში იწვევდნენ პოლიტიკოსებს, რომლებიც საუბრობდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, ნატოში გაწევრიანებაზე, უცხოელ ლიდერთა ვიზიტებზე და ა.შ. დიდი ყურადღება ექცეოდა ნარკომანიის პრობლემას, ახალგაზრდობის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საკითხებს და სხვ. პროგრამა 1997 წლის ბოლომდე გადაიცემოდა.

ამავე პერიოდში ეთერში ყოველკვირეულად იყო 45-წუთიანი პროგრამა „სტუდენტური“ (ავტორი და წამყვანი – თამარ ოქრუაშვილი), რომელიც ეხმაურებოდა სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, გადასცემდა რეპორტაჟებს უმაღლესი სასწავლებლებიდან, ინტერვიუებს სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ყველაზე აქტუალურ თემებზე. რუბრიკები: „სტუდენტის თვალით“, „სტუდენტური წლების გახსენება“ (სტუდიაში მოწვეული უფროსი თაობის წარმომადგენლებისა), „გაცნობა“ (შეხვედრები შემოქმედ სტუდენტებთან) და სხვ. პროგრამაში რეგულარულად შუქდებოდა იმ დროისათვის ჯერ კიდევ ტრადიციული სტუდენტური დღეები, აგრეთვე სამეცნიერო კონფერენციები და ა.შ.

1998 წელს „სტუდენტურის“ ადგილი სამაუწყებლო ბადეში დაიკავა გადაცემამ „1+1 ანუ ქალი და მამაკაცი“, რომელიც 1997 წელს ორ კვირაში ერთხელ ენაცვლებოდა მას (ავტორი და წამყვანი ჟურნალისტი ნატო რობაქიძე). იგი, როგორც ანონსში მოიხსენიებოდა, კენტად მოსიარულე რადიომსმენელებისათვის იყო განკუთვნილი – „მათთვის, ვინც იპოვა, ვინც ეძებს, ვისაც სჯერა ოჯახური ბედნიერებისა“. გადაცემა ძირითადად აგებული იყო სტუდიაში მოწვეულ სტუმრებთან საუბარზე და რადიომსმენელთა მიერ პირდაპირ ეთერში დასმულ შეკითხვებსა თუ თხოვნებზე. მასში ჩართული იყო რეპორტაჟები კაფე-ბარიდან, სადაც საღამოობით გადაცემის მუდმივი მსმენელები და წამყვანი ერთმანეთს ხვდებოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ. რუბრიკები: „საოჯახო ფსიქოლოგია“ (სტუდიაში ფსიქოლოგები), „ფსიქოლოგიური ტესტი“, „ასე უყვარდათ წინათ“, „უხერხული კითხვების სერია“, „ფარული მიკროფონი“, „პოეტები სიყვარულზე“, „პირველი პაემანი“, „სტუმრად ოჯახში“ და სხვ. 2002 წლიდან გადაცემას „ოჯახი“ ეწოდა და 2004 წლის ბოლომდე ყოველკვირეულად გადაიცემოდა.

აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა აგრეთვე პროგრამა „დიალოგი თემაზე“ (ავტორი ნინო კვარაცხელია), რომელიც 1997-1999 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა 30 წუთის ხანგრძლივობით. იგი ფართო ასპექტით წარუდგენდა მსმენელს ქვეყანაში შექმნილ პრობლემებს. აქტიურად განიხილებოდა აფხაზეთის პრობლემა, რომელზეც საუბრობდნენ სტუდიაში მოწვეული ახალგაზრდა პოლიტოლოგები და დიპლომატები. გარდა ამისა, პროგრამაში საუბარი იყო ქვეყანაში მომრავლებულ სექტანტურ და სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა უარყოფით როლზე, ყველაზე მწვავე თანამედროვე დაავადებებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ნებისმიერი ასაკის ადამიანს, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდა თაობას და სხვ.

ამით ამოიწურება „წმინდა“ პუბლიცისტური პროგრამები 1992-2004 წლებში. ყველა დანარჩენი ახალგაზრდული პროგრამა საგანმანათლებლო, გასართობი ან შერეული სახისა იყო, თუმცა შეიცავდა პუბლიცისტურ ელემენტებსაც.

1992 წელს კვლავინდებურად მზადდებოდა შერეული სახის, პუბლიცისტურ-მხატვრული პროგრამა „შაბათ დილით“, რომელიც ყოველკვირეულად გადაიცემოდა ეთერში 45 წუთის ხანგრძლივობით (ავტორი და წამყვანი მზია გოგნიაშვილი). პროგრამის მთავარი

თემა იყო კულტურა. იგი შეიცავდა რეპორტაჟებს საგამოფენო დარბაზებიდან და თეატრებიდან, ინტერვიუებს მწერლებთან, მეცნიერებთან, მსახიობებთან და ა.შ. რუბრიკაში „შაბათის სტუმარი“ იწვევდნენ შემოქმედ ადამიანებს, ხოლო „ჩემი წყალ-ჭალის ხმებში“ კითხულობდნენ ქართველი მწერლების ნაწარმოებებს. ამასთან, „შაბათ დილით“ აქტიურად აშუქებდა ახალგაზრდობის პრობლემებს, სტუდენტების ცხოვრებას. თითქმის ყველა გამოშვებაში იყო სიუჟეტები სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

მზია გოგნიაშვილის მეორე ყოველკვირეული 1-საათიანი პროგრამა „პირისპირ“ („ტეტ-ა-ტეტ“), რომელიც 1991 წელს შეიქმნა და 1999 წლის ბოლომდე გადაიცემოდა, პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო ხასიათისა იყო და გართობის ელემენტებსაც შეიცავდა. მოგვიანებით მისი თემატიკა გაფართოვდა. პროგრამაში აისახებოდა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, ცალკეული რეგიონების წარსული და ტრადიციები, ქართული თეატრის განვლილი გზა და სხვ. 1996 წლიდან მასში პოლიტიკური თემებიც გამოჩნდა. ახალგაზრდა პოლიტიკოსებს მასპინძლობდა რუბრიკა „ფაქტების პირისპირ ანუ მსოფლიო თავდაყირა“, სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ახალგაზრდებს – რუბრიკა „ახალი ნაცნობობა“, ქართული ესტრადის წარმომადგენლებს – რუბრიკა „შეხვედრები რეტრობარში“ (პარალელურად ეთერში ჟღერდა მათ მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრებიც) და ა.შ.

ასევე პუბლიცისტურ-საგანმანათლებლო ხასიათისა იყო ჟურნალისტ ნინო ჟღენტის საავტორო პროგრამა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“, რომელიც 1990-1999 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა 1 საათის ხანგრძლივობით. ცნობილი ქართული კომედიის სახელწოდების გამეორება, როგორც ჩანს, იმდროინდელ უმძიმეს პირობებში აუდიტორიის ოპტიმისტური განწყობილებისთვის იყო განკუთვნილი. პროგრამა თემატურად არ იყო შეზღუდული და სულ სხვადასხვა საკითხებს მოიცავდა, რომელთა განხილვაში ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, საკმარისია დავასახელოთ: აკაკი ბაქრაძე („ღირსების გრძნობა“), ვახტანგ ბერიძე („საგანძური“), მერაბ ბერძენიშვილი („დუმან თუ არა მუზები“), ბიძინა კვერნაძე („გზა“), მიხეილ თუმანიშვილი („საქმეზე შეყვარებული კაცი“), მიხეილ ქვლივიძე და გურამ საღარაძე („მე ხომ მას ვიცნობ“), გოდერძი ჩოხელი („სიკვდილი“), ამირან შალიკაშვილი („ხელები“), ზურაბ კიკნაძე და ბესიკ ხარანაული („სა-

ქართველოს ისტორია და ქართული ხასიათი“), სულიკო ჟღენტი და ამირან ჭიჭინაძე („სცენის გმირები და ავტორები“), რუსუდან ფეტვიაშვილი („მხატვარი“), ანზორ ერქომაიშვილი და კუკური ჭოხონელიძე („როცა გული მღერის“) და სხვ. გადაცემის ხშირი სტუმრები იყვნენ ფსიქოლოგები, რომლებიც საუბრობდნენ ადამიანის ხასიათის თავისებურებებზე, გრძნობებზე, მისწრაფებებზე; განიხილებოდა სხვადასხვა პროფესიის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები და ა.შ.

გადაცემა იმპროვიზაციული ხასიათისა იყო და მონაწილეთა მრავალრიცხოვნების გამო იწერებოდა საქართველოს რადიოს ყველაზე ვრცელ, ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატულ სტუდიაში (ხმის რეჟისორები – ლავრენტი ჭელიძე და რომეო ტერ-გრიგორიანი). ფაქტობრივად, ეს იყო არა პროგრამა, არამედ ტოქშოუს ტიპის გადაცემა, რომელსაც უძღვებოდნენ ავტორი ნინო ჟღენტი და ჟურნალისტი გია ჯოხაძე. 2000 წლიდან „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ თავის ავტორთან ერთად გადავიდა საქართველოს რადიოს აუდიოფონდის განყოფილებაში და შეცვლილი სახით წარუდგა რადიომსმენელებს. იგი ეყრდნობოდა აუდიოფონდში დაცულ დრამატურგიულ მასალას და საშემსრულებლო ხელოვნების ნიმუშებს, აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობით ჩანაწერებს სხვადასხვა ნაწარმოების შესახებ.

1992-2001 წლებში კვლავ გრძელდებოდა აგრეთვე ყოველკვირეული 1-საათიანი შემეცნებით-გასართობი პროგრამა (როგორც ეწოდებოდა) „კამარას“ გადაცემა (წამყვანები – ილია მხეიძე და ლალი დათუკიშვილი). 1993-1995 წლებში „კამარამ“ ცვლილება განიცადა და უფრო მრავალფეროვანი გახდა. შეიქმნა ახალი რუბრიკები: „ყველაზე... ყველაზე... ყველაზე...“ (კურიოზები, პარადოქსები, მხიარული რეკორდები), „ინფორმაციის სკივრი“ (როგორ ერთობიან საზღვარგარეთ), „მოგზაურობა კაცობრიობის ისტორიაში“, „კამარას“ მუსიკალური კლუბი. 1996-2001 წლებში „კამარა“ 20 წუთამდე შემცირდა. გაჩნდა ახალი რუბრიკები: „ცხოვრება მხიარულია“, „რადიოგანზომილება“, დაემატა ვიქტორინები, სახალისო ინფორმაციები რუბრიკით „კამარა-ნიუსი“, „ჰიტ-პარადი“ და სხვ. პროგრამის წამყვანად დარჩა ლალი დათუკიშვილი.

1993 წლის ოქტომბრიდან პირველად გავიდა ეთერში ერთსაათიანი საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „დედაქალაქი“, რომელიც 1999 წლის ბოლომდე გადაიცემოდა ყოველ კვირა დღეს, დილის საათებში (ავტორები და წამყვანები – ილია მხეიძე და მაია კრა-

წაშვილი). არსებითად იგი საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „თბილისი და თბილისელების“ გაგრძელებას წარმოადგენდა, ოღონდ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გვერ-დით ყველაზე ფართოდ მაინც კულტურის სფეროს აშუქებდა. თით-ქმის ყველა გამოშვებაში მოწვეული იყვნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები (მაგალითად, მწერალი მიხეილ ანთაძე, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, მსახიობი მედეა ჩახავა და ა.შ.). პროგრამის მუდმივი რუბრიკა იყო „გულშემატკივართა კლუბი“, რომელიც მსმენელებს სპორტის სიახლეებს აცნობდა. 2000 წლიდან „დედაქალაქს“ რეტროარხი „რეპროდუქტორი“ ეწოდა. ძველ დრო-ში, როცა არა მხოლოდ ბატარეებზე მომუშავე, არამედ ელექტროქ-სელში ჩასართავი რადიომიმღებებიც დიდი იშვიათობა იყო და მთე-ლი საქართველო სადენებიანი მაუწყებლობის ქსელით იყო დაფა-რული, თითქმის ყოველ ოჯახს ჰქონდა რეპროდუქტორი ანუ იაფფა-სიანი აპარატი, რომელიც რადიოპროგრამას სატრანსლაციო ხაზე-ბით (მავთულით) იღებდა და აწვდიდა მსმენელს (რადიოპროგრამის „რეპროდუქციას“ ეწეოდა). რადიოგადაცემის ასეთი სახელწოდება და „რეტროარხად“ გამოცხადება აშკარად მიანიშნებდა, რომ „დედა-ქალაქმა“ მიმართულება შეიცვალა და სხვა ტიპის პროგრამად გარ-დაიქმნა. იგი ახლა წარსულის მოგონებებზე იყო აგებული, ადრინ-დელი წლების ცხოვრებას აცოცხლებდა (ქალაქური იუმორი, ჟურ-ნალ „საუნჯის“ ისტორია, ალპინიზმი საქართველოში, ნიკო კეცხო-ველის დროინდელი სტუდენტობა, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, თბილისის ცნობილი თამადები და ა.შ.) ზოგიერთი გამოშვება მთლი-ანად რომელიმე ცნობილი პიროვნების გახსენებას ეძღვნებოდა (მა-გალითად, ნოდარ ახალკაცის, თემურ ჩირგაძის, იპოლიტე ხვიჩიას, ზურაბ კაკაბაძის). სტუდიაში მოწვეული სტუმრები იგონებდნენ ძველ ამბებს და პასუხობდნენ სატელეფონო ზარებს. უხვად იყო გა-მოყენებული საარქივო ჩანაწერები საქართველოს რადიოს აუდიო-ფონდიდან. „რეპროდუქტორი“ არ ეწეოდა წარსულის იდეალიზაცი-ას – გარდასულ დღეთა გახსენებით ის აჩვენებდა იმ მარადიულ ღი-რებულებებს, რომელთა ათვისება თანამედროვე ახალგაზრდობის-თვისაც აუცილებელი იყო.

„რეპროდუქტორის“ მსგავსად, სხვა რედაქციების პროგრამების („მხოლოდ ქალებისათვის“ და „პროგრამა ქალებისათვის“) თემას განაგრძობდა გადაცემა „ქალი ინტერიერში“, რომელიც 2000-2002 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა ნახევარი საათის ხან-

გრძლივობით (უძღვებოდა ჟურნალისტი ქეთევან თვალჭრელიძე). იგი ძირითადად ერთ ცალკეულ პიროვნებას ეძღვნებოდა. სტუდიაში მოწვეული ქალბატონი, ჩვეულებრივად, ცნობილი შემოქმედი ან საზოგადო მოღვაწე, საუბრობდა თავის ცხოვრებასა და საქმიანობაზე, იხსენებდა სერიოზულ თუ სასაცილო შემთხვევებს პროფესიული ცხოვრებიდან, აღნიშნავდა თავისი ხასიათის თავისებურებებს, პასუხობდა მსმენელთა შეკითხვებს და ა.შ.

შესამჩნევია ისიც, რომ ახალგაზრდული გადაცემების თემა ხშირად ხდება უბრალო ადამიანური პრობლემები და ადამიანური ურთიერთობანი, რომელთა განხილვაში სულ უფრო ხშირად მონაწილეობენ ფსიქოლოგები. ერთ-ერთი ასეთი გადაცემა იყო პროგრამა „ყოველგვარ ამინდში“, რომელიც 2000-2001 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა 40 წუთის ხანგრძლივობით (ავტორი და წამყვანი მზია გოგნიაშვილი). იგი ძირითადად წარმოადგენდა საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, მხატვრების, მსახიობების, მუსიკოსებისა და, რაც მთავარია, ფსიქოლოგების საუბარს ადამიანური ურთიერთობის ამინდზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალგაზრდული გადაცემების მთავარი რედაქციის ბაზაზე 2000 წელს შეიქმნა შემეცნებით-გასართობი პროგრამების მთავარი რედაქცია. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ მეტი ყურადღება დაეთმობოდა რადიომაუწყებლობის ისეთ მასობრივ გასართობ ფორმებს, როგორიცაა იუმორისტული პროგრამები, სხვადასხვა სახის ვიქტორინები და კონკურსები. ამ პერიოდში მართლაც იყო ეთერში აღნიშნული ხასიათის რამდენიმე გადაცემა. 2000-2001 წლებში ყოველკვირეულად გადაიცემოდა ნახევარსაათიანი პროგრამა „მუხრუჭების გარეშე“ (ავტორი და წამყვანი თამარ ოქრუაშვილი). როგორც გადაცემის ქუდი იუწყებოდა, „მუხრუჭების გარეშე“ იყო მათზე, „ვინც რისკავს, შინაგანად თავისუფალია და ცოტათი უცნაური“. ჟანრობრივი თვალსაზრისით იგი ძირითადად ინტერვიუს წარმოადგენდა. სტუდიაში მოწვეული იყო რამდენიმე რესპონდენტი, რომლებსაც წამყვანი ცალ-ცალკე ესაუბრებოდა. პროგრამის შინაარსს შეადგენდა ცნობილი ჟურნალისტების, მსახიობების, მომღერლების მონათხრობი კურიოზები და სასაცილო ამბები (მაგალითად, ისეთი პიროვნებებისა, როგორიც არიან მწერალი რეზო ჭეიშვილი, მომღერლები – ეთერ კაკულია და თემურ წიკლაური, რეჟისორი და კლიპმეიკერი გიორგი წულაია, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სპეცრაზმის უფროსი თემურ მღებრიშვილი და სხვ.).

2001 წლის სექტემბრიდან „მუხრუჭების გარეშე“ შეწყდა და თამარ ოქრუაშვილმა მზია გოგნიაშვილთან ერთად დაიწყო ახალი იუმორისტული პროგრამის „ჟანგბადის ბალიშის“ მომზადება, რომელიც 2002 წლის ბოლომდე ყოველკვირეულად გადაიცემოდა 45 წუთის ხანგრძლივობით. სტუდიაში ხშირად იწვევდნენ მხიარულთა და საზრიანთა კონკურსის მონაწილე გუნდებს, რომლებიც მსმენელს წარუდგენდნენ თავიანთ პროგრამას. ასევე, ეთერში გადაიცემოდა ანეკდოტები და იუმორისტული ხასიათის ინფორმაციები. მზადდებოდა სიუჟეტები ისეთ თემებზე, როგორიცაა: „ულვაში“, „ღვინო“, „კუთხური იუმორი“ და სხვ. სტუდიაში მოწვეული იყვნენ მწერლები, რეჟისორები, მსახიობები, მეცნიერები და ა.შ. (მაგალითად, მწერლები – მიხეილ ქვლივიძე და გიზო ნიშნიანიძე, ჟურნალისტი ზაზა ქინქლაძე, პროფესორი მიხეილ ქურდიანი, რეჟისორი რეზო ესაძე, მსახიობები – გოგი გელოვანი და ნანული სარაჯიშვილი, შოუმენი გიორგი გოგიჩაიშვილი და სხვ.).

თამარ ოქრუაშვილისა და მზია გოგნიაშვილის ავტორობით მზადდებოდა აგრეთვე გასართობი პროგრამა „ღამის ლაბირინთი“ (მათთვის, ვისაც არ ეძინება), რომელიც 2003 წელსა და 2004 წლის პირველ ნახევარში ყოველკვირეულად გადაიცემოდა ღამის პირდაპირ ეთერში 1 საათის ხანგრძლივობით.

რაც შეეხება ვიქტორინებს, ამ მხრივ გამორჩეული იყო შემეცნებით-გასართობი პროგრამა „შუადღემდე“, რომელიც 2002 წელს, კვირადღის გარდა, ყოველდღიურად გადაიცემოდა 45-50 წუთის მოცულობით და მოიცავდა ვიქტორინებს სხვადასხვა თემაზე (ზოგჯერ ასე ცხადდებოდა კიდეც – „პროგრამა „შუადღემდე“ ვიქტორინით“). პროგრამის ხელმძღვანელი და ერთ-ერთი ვიქტორინის წამყვანი იყო ლალი დათუკიშვილი. სხვა ვიქტორინებსაც ჰყავდათ თავისი წამყვანები, რომლებიც კითხვებს შორის მსმენელებს აწვდიდნენ სხვადასხვა საინტერესო და სახალისო ინფორმაციას, ასმენინებდნენ მუსიკალურ ნაწარმოებებს და ა.შ. ორშაბათობით „შუადღემდე“ მხოლოდ მუსიკალურ პროგრამას მოიცავდა, სამშაბათს ეთერში იყო ვიქტორინა „დილის გამამხნევებელი ვარჯიში ანუ თავშესაქცევი“ (წამყვანი ლალი დათუკიშვილი), ოთხშაბათს – „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“ (ქართული ენის სიწმინდეზე – გია ჯოხაძე), ხუთშაბათს – „ეკოსამორინე“ (ბარბარე ბენაშვილი), პარასკევს – „რუბიკონი“ (ლილი ჭანიშვილი), შაბათს – „მუსიკალური ვიქტორინა“ (გულნარა ოდიშარია).

2002-2004 წლებში ეთერში იყო გასართობი პროგრამა „ყვითელი რადიო“, რომელიც ყოველკვირეულად გადაიცემოდა შაბათს, მოგვიანებით კი შაბათ-კვირას 45-50 წუთის მოცულობით (ავტორები და წამყვანები – ირინე მოსეშვილი და ქეთევან თვალჭრელიძე). იგი იმით გამოირჩეოდა ყველა სხვა ახალგაზრდული პროგრამისაგან, რომ ყვითელი ჟურნალისტიკის (განსაკუთრებით კი დედაქალაქში მომრავლებული კომერციული რადიოსადგურების) პაროდიას წარმოადგენდა, პაროდიული ფორმით აწვდიდა აუდიტორიას სხვადასხვა ინფორმაციას, ესაუბრებოდა აქტუალურ ცხოვრებისეულ საკითხებზე. რუბრიკები: „მამაჩემის ყვითელი უბის წიგნაკიდან“ („რადიო-101“-ის ანუ „მამაჩემის რადიოს“ გაშარჟება), „ყვითელი აფიშა“, „ყვითელი კალენდარი“ (იმ დღის სასაცილო და სენსაციური ამბები წარსულში), „ყვითელი ინტერვიუ“ (რესპონდენტის სავალდებულო სიმღერით), „პრეს-რელიზი“ (ყვითელი პრესის მიმოხილვა – სათაურები პიკანტური წერილებისა, რომლებზეც აწყობილია ამ ტიპის ჟურნალ-გაზეთები) და ა.შ.

მხატვრული (არსებითად, მუსიკალური) გადაცემები ახალგაზრდულ (თუ შემეცნებით-გასართობ) მაუწყებლობაში 1992-2004 წლებში დამოუკიდებელი სახით არ მზადდებოდა და სხვადასხვა პროგრამებში გაფანტულ მუსიკალურ ნომრებს მოიცავდა. წამყვანი ადგილი ეჭირა მას მხოლოდ ტოქშოუში „სტუდია „ა“, რომელიც ეთერში გავიდა 2000 წლის სექტემბერში (ნინო კვარაცხელიას პროექტმა გაიმარჯვა 2000 წლის ზაფხულში საქართველოს რადიოში გამართულ ტენდერში). ეს იყო მუსიკალური ფორმატის რადიოსადგურისათვის დამახასიათებელი ტიპური გადაცემა, სადაც პროფესიონალი დიჯეი რადიომსმენელებს სთავაზობდა გარკვეული მიმართულების (ძირითადად მოდურ) მუსიკას და პასუხობდა მათ სატელეფონო ზარებს. მის გასაძღოლად საქართველოს რადიოში მოიწვიეს დიჯეი მამუკა ბერიკა. შემდეგ რედაქცია „მსუბუქ თემებზე“ დიჯეის მოკლე საუბრით აღარ დაკმაყოფილდა და 2001 წელს დამატებით მოიწვიეს ჟურნალისტი გია ჯოხაძე. გადაცემას დაემატა რეპორტაჟები, ინტერვიუ სტუდიაში მოწვეულ სტუმრებთან, საინტერესო გასაუბრება რადიომსმენელებთან პირდაპირ ეთერში. ამ პერიოდში იგი ყოველკვირეულად სამჯერ გადიოდა ეთერში – ორჯერ საღამოთი 85 წუთი (სადაც მუსიკას თან ახლდა რადიომსმენელებთან საუბარი) და ერთხელ ნაშუადღევს ნახევარი საათი, რომელიც ძირითადად მუსიკალურ მიქსს წარმოადგენდა, დიჯეის მოკლე ტექსტი კი

„მსუბუქ“ და სახალისო თემებს ეხებოდა. 2003 წლიდან „სტუდია „ა“ კვირაში სამჯერ გადაიცემოდა საღამოს საათებში (22.30 ან 23.00) 85 წუთის ხანგრძლივობით. მისი ყოველი გამოშვება ერთ კონკრეტულ თემას ეძღვნებოდა და ნაწილობრივ საგანმანათლებლო ხასიათიც ჰქონდა. 2004 წლიდან მან გარკვეული სახეცვლილება განიცადა და ეწოდა „ხუთი მეოთხედი“, გადაიცემოდა კვირაში სამჯერ თითო საათის მოცულობით, რიგრიგობით უძღვებოდნენ: მამუკა ბერიკა, ირინე მოსეშვილი და ჯიმი იაშვილი. 2004 წლის მეორე ნახევრიდან, როცა საქართველოს რადიოს ბადე საინფორმაციო-მუსიკალური რადიოსადგურის პრინციპებით აიგო, „ხუთი მეოთხედი“ ყოველკვირეულად გადაიცემოდა 22 საათსა და 30 წუთზე 85 წუთის ხანგრძლივობით. სამაგიეროდ, რადიკალურად შემცირდა სხვა გადაცემების რიცხვი – ზემოთ განხილული პროგრამებიდან საქართველოს რადიოს მხოლოდ „ოჯახი“, „ყვითელი რადიო“ და „რეპროდუქტორი“ შემორჩა.

* * *

საქართველოს რადიოს სახეცვლილება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. ახალ საუკუნეში იგი აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, როგორიც თავისი არსებობის „კლასიკურ ხანაში“, ან თუნდაც წინა საუკუნის 90-იან წლებში. მრავალარხიანი ტელევიზიის, სათანამგზავრო და საკაბელო ტელემაუწყებლობის, ინტერნეტისა და მულტიმედიის განვითარებამ შეავიწროვა მისი ფუნქციები და უფრო მოკრძალებული ადგილი მიუჩინა ინფორმაციის ერთიან სისტემაში.

2004 წლის დეკემბრიდან საქართველოს სახელმწიფო რადიო--ტელევიზიას ოფიციალურად მიენიჭა საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსი. ამით დამთავრდა საქართველოს რადიოს, როგორც სახელმწიფო რადიომაუწყებლობის, თითქმის ოთხმოცწლიანი ისტორიაც. ეს ისტორია უდიდესი მოვლენებით იყო აღსავსე. საქართველოს რადიომ გამოიარა ახალი, კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისა და პოლიტიკური რეპრესიების პერიოდები, მსოფლიო ომი, მრავალნაირი საზოგადოებრივი რეფორმები, სახელმწიფო გადატრიალებები, გამოიცვალა სამი ხელისუფლება. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, თავის გამოხატულებას პოულობდა ეთერში, აისახებოდა რადიოს ყოველდღიურ საქმიანობაში. არქივებში დაცუ-

ლი რადიოგადაცემათა ტექსტები თუ სხვა დოკუმენტები, აუდიოფონდში შენახული ჩანაწერები უდიდეს მასალას იძლევა როგორც საკუთრივ რადიოს, ისე მთლიანად ეპოქის ისტორიაზეც, წარმოაჩენს არა მარტო ქართული რადიოჟურნალისტიკის განვითარების ეტაპებს, არამედ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებსაც. სწორედ ჟურნალისტიკის ამგვარი განუყოფელი კავშირი ქვეყნის ცხოვრებასთან განსაზღვრავს საქართველოს რადიოს ისტორიის შესწავლის მნიშვნელობასაც და გვეხმარება იმ წარსულის გააზრებაში, რომლის პირდაპირი მემკვიდრე ჩვენი დღევანდელობაა.

ავტორებისაგან

ეს წიგნი საქართველოს რადიოს ისტორიის გადმოცემის პირველი ცდაა და ალბათ არ არის ხარვეზებისაგან დაზღვეული. იქნებ ცალკეული საკითხები უფრო ვრცლად უნდა განხილულიყო, ანდა ზოგიერთი მომენტი საერთოდ არაა გათვალისწინებული. მაგრამ შეუძლებელი იყო ერთ ნაშრომში სრულად ასახულიყო ყოველივე ის, რაც რვა ათეული წლის მანძილზე ყოველდღიურად გადაიცემოდა ეთერში ადრე დილიდან გვიან ღამემდე. ასევე, შეუძლებელი იყო წიგნში ყველა იმ ადამიანის დასახელებაც, ვინც ამ დროის განმავლობაში საქართველოს რადიოში მუშაობდა (მით უმეტეს, რომ 1961 წელს გაჩენილი ხანძრის შედეგად რადიო-ტელევიზიის არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა და ბევრი დოკუმენტი საბოლოოდ გაქრა). წიგნში მხოლოდ მაუწყებლობის ძირითადი მიმართულებებია ასახული და ის ხალხია წარმოდგენილი, ვინც სხვადასხვა პერიოდში განსაზღვრავდა ქართული რადიოჟურნალისტიკის განვითარებას, მის პროფესიულ ხარისხს. მათ რიცხვში ჟურნალისტებთან, რეჟისორებთან, დიქტორებთან ერთად იგულისხმებიან რადიოს ტექნიკური მუშაკებიც – ტელერადიოცენტრის თანამშრომლები.

შეიძლება კამათი გამოიწვიოს იმან, რომ წიგნში ემპირიული მასალა სჭარბობს შეფასებასა და ანალიზს. ავტორების აზრით, ისტორიულ ნაშრომში (განსაკუთრებით მედიის შესახებ) ასეც უნდა იყოს, იგი უწინარესად ფაქტოგრაფიულად უნდა იყოს ღირებული – ზუსტ ინფორმაციას იძლეოდეს მიმდინარე მოვლენების, რადიოციკლებისა და რუბრიკების, მათი ავტორებისა და მონაწილეების შესახებ. მკითხველმა პირველ რიგში ის უნდა გაიგოს, რა გადაცემები მზადდებოდა საქართველოს რადიოში, რა ფორმები ვითარდებოდა, რა ფუნქციები იყო წინ წამოწეული. ეს აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი რამ, რაც დღეს თითქოს პირველად ხდება, დიდი ხნის წინ უკვე იყო და ახლა სხვანაირად გააზრებას მოითხოვს. ავტორები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ფაქტი, მეტი გადაცემა თუ რუბრიკა, მეტი ავტორი მოხვედრილიყო წიგნის ფურცლებზე, თუმცა

შეფასებასა და ანალიზსაც აქვს დათმობილი სათანადო ადგილი, დრო კი საბოლოოდ ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

ასევე, საქართველოს რადიო კვლავ ელის მომავალ მკვლევრებს, მომავალი წიგნების ავტორებს. წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ პირველი ნაბიჯია საქართველოს რადიოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. სხვადასხვა არქივებსა და ფონდებში ჯერ კიდევ ბევრი მასალაა მოსაძებნი, ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გასარკვევი და გასაანალიზებელი (სხვას რომ თავი დავანებოთ, გულდასმითაა შესასწავლი თვითონ ყოფილი ტელერადიოკომიტეტის არქივი, რომელიც ჯერ სისტემატიზებულიც კი არ არის). ავტორები მადლიერებით მიიღებენ ყველა საქმიან შენიშვნასა თუ წინადადებას, მით უმეტეს, აქამდე უცნობ ინფორმაციას. ეს გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას და საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად იქნეს წარმოდგენილი საქართველოს რადიოს ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი.

საქართველოს რადიო – წლები და მოვლენები

1924 – მოეწყო პირველი რადიოტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან ელექტრომექანიკური ქარხნის მუშათა კლუბში.

1925 – მოეწყო პირველი საცდელი რადიოსატელეფონო გადაცემა ნავთლუღის რადიოსადგურიდან.

1927 – საქართველოს რადიომ დაიწყო რეგულარული მაუწყებლობა.

– გაზეთებმა „კომუნისტმა“ და „ზარია ვოსტოკამ“ დაიწყეს საქართველოს რადიოს პროგრამების გამოქვეყნება.

1928 – ა/კ ფოსტა-ტელეგრაფი კომისარიატთან შეიქმნა ამიერკავკასიის რადიოს ცენტრალური საბჭო.

– საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატში შეიქმნა რადიოსამმართველო, რომელსაც 1931 წლიდან ეწოდა ამ კომისარიატთან არსებული რადიომაუწყებლობის კომიტეტი.

– შეიქმნა პირველი რადიოგაზეთი.

– შეიქმნა პირველი საბავშვო და ახალგაზრდული გადაცემები.

1932 – ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან დაფუძნდა ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობისა და რადიოფიკაციის კომიტეტი.

– გაუქმდა რადიოგაზეთები და დაიწყო „უკანასკნელი ცნობების“ გამოშვება.

1933 – შეიქმნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემათა კომიტეტი.

1934 – დაიწყო დიქტორების ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

1935 – გაუქმდა ა/კ რადიომაუწყებლობისა და რადიოფიკაციის კომიტეტი და შეიქმნა ა/კ ფედერაციის სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის რწმუნებულთა სამმართველო, რომელმაც 1936 წლის მეორე ნახევრამდე იარსება.

– აღმოცენდა ქართული რადიოპრესა („რადიოგაზეთი“, „რადიოპროგრამები“, „რადიოფრონტი“).

1936 – პირველად დაიწყო ხმის ჩაწერა „შორინოფონის“ გამოყენებით.

1945 – გადაიცა პირველი საფეხბურთო რეპორტაჟი „დინამოს“ სტადიონიდან.

1946 – დაიწყო ხმის მაგნიტური ჩაწერა, რამაც საფუძველი დაუდო საქართველოს რადიოს აუდიოფონდის შექმნას და ქართული რადიოთეატრის ინტენსიურ განვითარებას.

1949 – რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემათა კომიტეტს ეწოდა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოინფორმაციის კომიტეტი.

1953 – რადიოინფორმაციის კომიტეტი გადავიდა კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში და ეწოდა საქ. სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველო.

1956 – დაარსდა საქართველოს რადიოს II პროგრამა.

1957 – რადიო-ტელევიზია გამოვიდა კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებიდან და შეიქმნა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი.

– დაარსდა კომიტეტის მცირეფორმატიანი გაზეთი-პროგრამა „ლაპარაკობს თბილისი“ (შემდგომში „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“, „ეთერშია საქართველო“, „2X2“).

1960 – შეიქმნა „მხატვრულ-მუსიკალური პროგრამა“ ულტრამოკლე ტალღებზე.

1963 – განვითარება დაიწყო საქართველოს საგარეო რადიომაუწყებლობამ – ცალკე ჩამოყალიბდა უცხოეთზე მაუწყებლობის რედაქცია.

1970 – საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიო-ტელევიზიის კომიტეტი გარდაიქმნა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტად.

1975 – ეთერში გავიდა დამოუკიდებელი სტერეფონური პროგრამა ულტრამოკლე ტალღებზე.

1978 – რადიო-ტელევიზია გაფორმდა დამოუკიდებელ უწყებად – ეწოდა საქ. სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი (სახტელერადიო).

1979 – I არხზე დაიწყო საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამების ჩამოყალიბება.

1990 – საქ. სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი გარდაიქმნა საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიოდეპარტამენტად.

1993 – ტელერადიოდეპარტამენტი გარდაიქმნა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციად.

1995 – საქართველოს რადიოს II პროგრამის ნაცვლად შეიქმნა „რადიო-2 – ქართული რადიო“.

– საქართველოს რადიოს I და II არხებზე ჩაერთო „ამერიკის ხმისა“ და „თავისუფლების“ ყოველდღიური ქართულენოვანი პროგრამები.

1999 – საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას ეწოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა.

2000 – რადიოში ტელევიზიასთან ერთად პირველად ჩატარდა ტენდერი, რომელიც საფუძვლად დაედო მაუწყებლობის ახალ ბადეს და შესაბამისად საშტატო სტრუქტურას.

2004 – საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა გახდა საზოგადოებრივი მაუწყებელი.

ბიბლიოგრაფია

1. ე. თადუმაძე. ნარკვევები რადიოს ისტორიიდან. თბ., 1955.

2. ე. იბერი. რადიოჟურნალისტიკა. თბ., 2003.

3. ე. იბერი. ქართული რადიოპრესის სათავეებთან. „საისტორიო მოამბე“, 69-70, 1997.

4. თ. მჟავანაძე. რადიოს დიქტორი – წარსული და დღევანდელობა. „ტელერადიოჟურნალისტიკის საკითხები“, VI, 2003.

5. თ. მჟავანაძე. ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი! „ტელერადიო-ჟურნალისტიკის საკითხები“, VII, 2005.

6. გ. ნიშნიანიძე. ბრძოლა ეთერში (საქართველოს რადიომაუწყებლობა დიდი სამამულო ომის წლებში). „ჟურნალისტიკის საკითხები“, 7-8, 1981.

7. პ. შამათავა. ეთერში და ცისფერ ეკრანებზე. თბ., 1979.

8. დ. ხმიადაშვილი. რადიოტექნიკის განვითარება საქართველოში. თბ., 1961.

9. М. Глейзер. Радио и телевидение в СССР. М., 1989.

10. Гуревич П., Ружников В. Советское радиовещание. Страницы истории. М., 1976 .

11. История советской радиожурналистики. Документы, тексты, воспоминания. М., 1991.

შინაარსი

შესავალი (ე. იბერი) 5

თავი I. რადიომაუწყებლობის აღმოცენება და ჩამოყალიბება საქართველოში (1925-1940) (ნ. ტალახაძე) 11

თავი II. საქართველოს რადიო მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ წლებში (1941-1956) (ნ. ტალახაძე) 66

თავი III. საქართველოს რადიოს მმართველობითი ფუნქციების გაფართოება და მაუწყებლობის სტრუქტურის განვითარება (1957-1984) (თ. მჟავანაძე) 132

1. საქართველოს რადიო სახელმწიფო მართვის სტრუქტურაში 132
2. მაუწყებლობის ძირითადი მიმართულებანი 152

თავი IV. საქართველოს რადიო დემოკრატიული გარდაქმნებისა და ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (1985-1991) (თ. მჟავანაძე) 243

თავი V. დამოუკიდებელი საქართველოს რადიომაუწყებლობა (1992-2004) (ე. იბერი) 280

1. საერთო მიმოხილვა 280
2. ინფორმაციულ-პუბლიცისტური მაუწყებლობა 308
3. მხატვრული მაუწყებლობა 332
4. საგანმანათლებლო მაუწყებლობა 357
5. საბავშვო და ახალგაზრდული მაუწყებლობა 367

ავტორებისაგან 389

საქართველოს რადიო – წლები და მოვლენები 391

ბიბლიოგრაფია 394

წიგნი ააწყვეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიგრაფიულ ლაბორატორიის თანამშრომლებმა ვალიდა მექვაბიშვილმა და თამარ პირველაშვილმა.

გამომცემლობის რედაქტორი	ცირა ჯიშკარიანი
გარეკანის დიზაინი	თინათინ ჩირინაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ნინო ვაჩეიშვილი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.
www.press.tsu.ge (25-14-32)